1981/3

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

2 1981

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე № 2 თებერვალი, 1981 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შინაარსი

### სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად


თეიმურაზ ჯანგულაშვილი — მზისკენ მიჰყავს ქვეყანა ვრცელი... ლექსი . . . . 3
შალვა ამისულაშვილი — ჟამთასვლას კაცის ხელი მართავს . . . . . . . 5

გურამ გეგეშიძე — ხმა მღაღადებლისა. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . 17
ვანო ჩხიკვაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 52
მურთაზ არაბული — ლექსები . . . . . . . . . . . . 56
ნოდარ ადეიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 58
ავთანდილ გალდავაძე — დედაშვილობა. მოთხრობა . . . . . . . . . 61
ვახტანგ გორგანელი — ბალადა შალვა გელთაურზე . . . . . . . . . 81
მიხეილ ჩაჩუა — ლექსები . . . . . . . . . . . . . 83
კობა არაბული — ჯოყოლას სიკვდილი. პოემა . . . . . . . . . 85
იმედი ჯახუა — ლექსები . . . . . . . . . . . . . 93
თემურ ჩალაბაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 96
კოტე ხიმშიაშვილი — მოთხრობები . . . . . . . . . . . 98
თენგიზ გოგოლაძე — ცისფერი ცეცხლი. დოკუმენტური მოთხრობა. გაგრძელება 110
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები. გაგრძელება 122


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


შალვა ჩიჩუა — რომანი და თანამედროვეობა . . . . . . . . . . 133
არჩილ დავითიანი — კ. გამსახურდია და ნაირის ქვეყანა . . . . . . . 154
ნინო ჩიხლაძე — კატო მიქელაძე . . . . . . . . . . . 167


### ფაქტები, მოგონებანი


სერგი დურმიშიძე — ნიკო მუსხელიშვილი . . . . . . . . . . 173
ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან. გაგრძელება . . . . . . . . . 185


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ბიბიხეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული. რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5/I-81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/II-81 წ., ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 08349. ტირაჟი 25200. შეკვ. 3124. ნაბეჭდი ფურცელი 13. სააღრ-საგამომცემლო

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1981.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი




# მზისკენ მიჰყავს ქვეყანა ვრცელი...

17/30

ოცდამეექვსედ იკრიბება
ჩვენი პარტიის,
ბრძენი პარტიის
დიდი ყრილობა...
...თებერვალია.
ჯერ კახეთში ვაზი არ ტირის,
არ დაჰფენია
მიწას მუხის ჩრდილი ჭილოფად;

და მაინც მესმის
ღონიერი
სუნთქვა ხნულისა
და გულით მესმის
გაზაფხულის სუნთქვა ძლიერი,
ჩვენი სიცოცხლის
შუქბრდღვიალა გაზაფხულისა! —
თებერვალია,
უძველესი ქართველი ერის
ქვეყნად ახალი დაბადების
თვე ბედნიერი,
მისი უკვდავი გაზაფხულის
დასაბამი თვე!
მისი ახალი წელთაღრიცხვის
დასაბამი თვე.

კოლხეთის ცაო,
შენი ბროლის ელვა დამითმე,
სვანეთის მთაო,
სულში შენი სუნთქვა ჩამინთე,
შირაქის ველო,
ყაყაჩოთა ცეცხლი დამინთე,
თბილისის მზეო,
ნატყვიარი ძარღვი გამითბე,
რომ გავაგონო
მამულს ჩემი ჩანგის სიმთ ჟღერა,
რომ უნაზესი ყვავილები
შევკრა კონებად —
ეგების შევძლო,
ღირსეული ვუთხრა სიმღერა
ამ გაზაფხულის
შემოქმედის გულს და გონებას.

მამაღლებს ჩემი რესპუბლიკის
მხარგაშლილობა,
უნაპირობა
სინათლისა,
სიდიდე დღეთა.
თებერვალია.
იკრიბება კრემლში ყრილობა
და მე სამოცი
წლის წინანდელ
თებერვალს ვხედავ.
ვხედავ კრემლს,
კრემლში ლენინს ვხედავ
დეპეშით ხელში:
თბილისის თავზე ფრიალებსო
დროშა წითელი.
საქართველოს დიდ მომავალზე
ოცნებობს კრემლში
მსოფლიოს ერთი მეექვსედის
ბედის მზიდველი.
— შეუხორცდება საქართველოს
ყველა ჭრილობა! —
ამბობს ბელადი
და დეპეშას გადასცემს სტალინს...

თებერვალია.
იკრიბება კრემლში ყრილობა,
მიპყრობილია მისკენ ჩვენი
გონების თვალი.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწ. რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის უმწვერვალეს ტრიბუნიდან
ქართველი ხალხიც
ამაყად იტყვის
მსოფლიოსთვის გასაგონ სიტყვას.
— მამულო ჩემო,
წინ მავალო,
შემქმნელო ახლის,
ასე ძლიერი
ძმათა ძმობით და გულის მზით ხარ,
იმ ნათელ გზით ხარ,
დაგისახა რაიც პარტიამ
და რასაც მისდევ ერთგულ შრომით,
ბრძოლით და რწმენით,
მისი სიმართლე,
მისი სიბრძნე
ჯავშნად გარტყია,
მისით მიიკვლევს
გზას ხომალდი სიცოცხლის ჩვენის.

თებერვალია.
დიდ ყრილობას იწვევს პარტია
და უფრო მძლავრობს
სიყვარულის სინათლე ქვეყნად,
მისი ყრილობის
გულნათელი დელეგატია
ხალხის სიმართლე —
უმაღლესი სიმართლე ქვეყნად.

ყრილობის დარბაზს
გადაჰყურებს ლენინი ბრძენი,
და ცენტრალური კომიტეტი —
მესაჭე დიდი
კომუნისტური შემართებით,
სიმართლით,
რწმენით
მომავლისაკენ
უტყუარი კომპასით მიდის.
მიდის,
მიგვიძღვის,
მზისკენ მიჰყავს ქვეყანა ვრცელი —
სინათლეუხვი,
ბურჯმაგარი,
გუმბათმაღალი,
მიდის,
მიგვიძღვის,
იწერება უკვდავი ხელით
საბჭოთა ხალხის
ისტორიის თავი ახალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

# ჭამთასვლას კაცის ხელი მართავს

## ლიხსიქითური ჩანაწერები

მახსოვს, ჯერ კიდევ ადრე, ჭაობის ტყვეობიდან თავდახსნილ თითო მტკაველ მიწას როგორი მგზნებარებით უმღეროდნენ პოეტური სიტყვის ჩვენი გამოჩენილი ოსტატები. პაოლო იაშვილმა მთელი ციკლი შექმნა ამ დიდებულ თემაზე. აი, რას ამბობდა ერთგან: „ვხედავ, დასახლდა პირველი გლეხი და ცას შეჰხარის პირველი კვამლი; ვხედავ, სხივებში შეხიზნულ ხეხილს, მესმის ყვირილი კოლხეთის მამლის". დიახ, კოლხეთის მამლის ყივილზე პოეტი ხედავდა, როგორ იზრდებოდა რძიანი ბალახი. ეს იყო ახალი სიცოცხლე და ამ სიცოცხლეს ლექსი არ დააკლეს ისეთმა პოეტებმაც, ნინოწმინდის პალატებსა და გომბორის ღამეებს რომ უმღეროდნენ. არ გაგონდებათ ილო მოსაშვილის პეიზაჟური ლირიკის მშვენიერი ნიმუში — „კოლხეთის დილა"?!. მე დღესაც ზეპირად მახსოვს იგი, რადგან მის ყოველ სტრიქონს მედეას მოშრიალე თმების შუქი ადგას შარავანდედად. გეტყვით მხოლოდ პირველ სტროფს:

დილაა წყნარი, მზე მიწას აწვიმს,
ლალლა ფშანებში დაეძებს ლალლას;
ზღვა მივა ბალთან, და როგორც ყმაწვილს,
გაშლილ მკლავებში ჩაუწვენს ტალღას...

დანიელმა თვალი თვალში გამისწორა და როცა დარწმუნდა, რომ მომეწონა მის მიერ წარმოთქმული სტროფი, ისევ ჩვეულებრივად განაგრძო საუბარი:

— თუ დააკვირდით, სტროფში სიტყვა „ლალლა" ორჯერ არის ნახსენები, რამაც აი, ამ წუთში ოცდაათიანი წლების კოლხეთი გადამიშალა თვალწინ თავისი მობუყბუყე ჭაობებით. მაშინ ფოთის ქალაქკომის პირველ მდივნად გრიგოლ მალანია მუშაობდა და კოლხეთის აღორძინებისათვის თავდადებული მებრძოლიც იყო. ამიტომაც გაიძახოდა ერთერთ მაშინდელ სიმღერაში გაბოროტებული ციება: ჭაობებში ბინა მქონდა, ბინა მქონდა თბილადაო, ახლა გრიგოლ მალანია გამომიჩნდა ჭირადაო...

ჭირი ჭირს ნაულია და პატივცემულ გრიგოლს ჰყავდა ორი წლის ულამაზესი წითელი კვიცი, რომელიც ქალადიდის მახლობლად მობიბინე ბალახით დაფარულმა ჭაობმა სიღრმეში შეიტყუა და მისი დახრჩობა ყველაზე ადრე სწორედ ფშანებში მობინადრე იმ პატარა ფრინველმა შეიტყო, რომელზედაც წელან მოგახსენებდით. შეიტყო და ისეთი „ქაჩე-ქაჩეს" ძახილი ატეხა, რომ იქაურობა შესძრა, ალბათ გვანიშნებდა, უშველეთ როგორმეო... აბა, რაღას ვუშველიდით, როცა სანყალმა კვიცმა დაჭიხვინებაც ვერ მოასწრო..

— თქვენ მაშინ ბალღი იქნებოდით ალბათ...

— ბალღი არ ვიყავი, მაგრამ...

— სხვას ვის იცნობდით მალანიას თაობის ხალხიდან?

— ბევრს, ძალიან ბევრს, მათ შორის ჭაობის დაშრობაზე მომუშავე შესანიშნავ ინჟინრებს: გეგეჭკორსა და ნოდიას. პირველი მათგანი მთავარი ინჟინერი გახლდათ და გმირუ-

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 1.

ლი საქმეების გამო ლეგენდასავით იყო ხალხში გადასული...

მათს კვალზე მიდიან ახლები: მეთერთმეტე ხუთწლედში ჭაობების დასაშრობად კვლავ დიდი თანხებია გამოყოფილი მთავრობის მიერ... თუ ცოტა იქითაც გადავიხედავთ, 1990 წლამდე ოცდახუთმეტი ათასი ჰექტარი ფართობი მიწა უნდა დავიხსნათ ჭაობებისაგან. აქედან ნახევარზე მეტი ალბათ მეთერთმეტე ხუთწლედზე მოვა. ამიტომაც არის, რომ დღეს კოლხეთის ჭარბტენიანობას, დატბორებული ტყეებისა და მინდვრების მასივებს მართლაც გმირულად ერკინება თავის ამხანაგებთან ერთად სოციალისტური შრომის გმირი, მექანიზატორი გივი სიჭინავა. ასეა, სიცოცხლე უნდა დაუბრუნდეს კოლხეთის თითქმის მომაკვდავ მიწას...

— ალბათ სიჭინავასთანა ბიჭები ცოტანი არიან ქვეყანაზე...

— ცოტანი არ არიან, მაგრამ წალენჯიხაში მითხრა ერთმა კაცმა, ცხრა მოდგმა არის საჭირო, რომ კაცი ჯიშიანი გამოვიდესო. ცოტა არ იყოს, ჭკუაში დამიჯდა და კადრების შერჩევის დროს არ ვივიწყებ ხოლმე ამ შეგონებას. ისე რომ, ცხრამოდგმაგამოვლილი ვაჟკაცები ჩვენს ქარხანაშიც არიან ჭეშმარიტად.

ჩვენ უკვე ქარხნის მთავარ კორპუსში ვიმყოფებით, სადაც ხდება მიწისმწოვი მანქანებისა და მცურავი პონტონების საბოლოო აწყობა, მათი სასტენდო გამოცდა და შეფუთვნა.

— ქარხანა უკანასკნელ წლებში, — განაგრძობს აზარტში შესულივით დანიელ მალალაშვილი, — აღწევს სტაბილურ მაჩვენებლებს გეგმების შესრულებაში და მტკიცედ არის ჩამდგარი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა მწყობრში. ქარხანა მოწინავეა საკავშირო სამინისტროს ხაზითაც. აქ დამზადებული მანქანების ექსპორტირება ხდება მსოფლიოს ოც ქვეყანაში. ყველა მათგანი აღნიშნულია ხარისხის პირველი კატეგორიით. ქარხანა დიდ ყურადღებას უთმობს ფართო მოხმარების საგნებსაც.

— ქარხნის წარმატებები, — განაგრძობს მცირე სიჩუმის შემდეგ დანიელ მალალაშვილი, — მიღწეულია მისი მრავალრიცხოვანი და მრავალეროვანი კოლექტივის თავდადებული შრომით. ეს წარმატებები მით უფრო საამაყო და სასიხარულოა, რომ ქარხანა ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის უმეტესობა რესპუბლიკის ტექნიკურ სასწავლებლებშია მომზადებული. ჩვენ დიდად ვამაყობთ ჩვენი ქარხნის მუშათა კლასის სახელოვანი წარმომადგენლებით. ვის არ გაუგია სოლოგავას, გვადელიას და პოპოვიჩის სახელები?!. კარგა ხანია დამკვიდრდა ჩვენთან შესანიშნავი ოჯახური შრომითი ტრადიციებიც. ქარხანაში შრომობენ და იღწვიან ახალი წარმატებებისათვის ძმები ჯიქაძეები, დები ორჯონიკიძეები, ჟორდანიები და სხვები... დიდი, მეტად დიდი ამოცანებია დასახული ქარხნის წინაშე. ჩვენ ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი, რომ დავძლევთ ამ ამოცანებს, მით უმეტეს, რომ ქვეყნად ახალი თვალწარმტაცი პეიზაჟების დამკვიდრებაში ჯერ ჩვენს მიერ გამოშვებულ ამ უზარმაზარ მანქანებს მიუძღვით ხოლმე ღვაწლი და მერე პოეტებსა და მხატვრებს.

უეცრად ყურთან რაღაცამ გამიწუილა, შევიშმუშნე, ხელი ვიტაცე ყურის ბიბილოზე. დანიელ მალალაშვილს გაეცინა, ახლა არ თქვა, კოლო იყოო, თორემ არავინ დაგიჯერებს. მაშ რა იყო-მეთქი. მუმლიო და მერე სიცილითვე მკითხა: იცი, ფშავლები ერთსაც და მეორესაც რას უძახიანო. უარის ნიშნად თავი გავაქნიე. ბუკუკაისო, მომახალა მყისვე და თან კაფიაც მოიშველია:

— ბუკუკაი ხარ, ელიზბარ,
ზამთარ, რო მოვა, მოკვდები.
— კიდევაც მოვა ზაფხული,
ხელახლა დაგიმოყვრდები,
წამოგაჯდები კისერზე,
ბრაზით აგენთოს ლოყები...

აბა მე რაღა უნდა მეთქვა, გავჩუმდი, გავინაბე, სხვაც არა იყოს რა, სტუმარი ვიყავი მისი. მხოლოდ ირაკლიმ, ახალგაზრდა მძღოლმა გაიხარა მთელი გულით, ნათქვამი რომ დაუდასტურა. მან ხომ ადრევე მითხრა, დანიელს ლიტერატურა უყვარსო...

იწყება შესვენების საათი. ქარხანასთან ერთად მცირე ხანს მდუმარებაში იძირება თითქმის ნაბადას მთელი უბანი. დანიელ მალალაშვილს მე და ირაკლი ქარხნის სასადილოში შევყავართ. სიამოვნებით ვხვდებით მუშურ პატივისცემას. აქ პურსაც სხვა გემო და მადლი აქვს, თვითეული ქალიშვილის, თვითეული ჭაბუკისა და ჭარმაგის გამოხედვაში განახლებული საქართველო იღიმება. ზოგჯერ დანიელ მალალაშვილს შევავლებ ხოლმე თვალს და ძალაუნებურად მახსენდება ის ცეცხლწაკიდებული ხისლერძიანი ურემი, მან რომ ქართლის რომელიღაც გზაზე მიატოვა ყმაწვილობის ჟამს...

## ედემი აყალო მიწაზე

ზღვაზე სინგურისფრად გართხმულა დაისის შუქი, ალაგ-ალაგ მწიფე ლიმონისა და ფორთოხლის ფერებში გადადის და უცნაურად ციმციმებს... მე და საცდელი მეურნეობის თავკაცი, რომელსაც გიორგი ჰქვია სახელად, სუბტროპიკულ მცენარეებზე ვსაუბ-

რობთ... ზღვის ლამაზი ჰორიზონტით კი ვარ მოხიბლული, მაგრამ წამდაუწუმ მაინც ცაში ავარდნილ ევკალიპტებს შევცქერი, განსაკუთრებით იმ ევკალიპტებს, რომელთა შენითლებულ კენწეროებზეც თეთრი ღრუბელი ნებივრობს. მაოცებს მათი უეცარი ზრდის ამბავი.

— წყალია, ბატონო, წყალი მაგათი ტანაყრილობის პირველი მიზეზი, მიწისმწოვ მანქანებს როდი ჩამორჩებიან ეგ დალოცვილები, — მიხსნის გიორგი, — განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მანქანები წყალს ისევ მიწაზე აქცევენ და ევკალიპტები კი რტოებში ინანილებენ... ხომ იცით, კოღოების დაუძინებელი მტრებიც არიან ეგენი, სუნით ავლებენ მუსრს...

მე თვალი ევკალიპტებს შევავლე ისევ:

— მომწონს მათი სილაღე, სილაღესთან ერთად მათი სიმაღლეც!

— მეც მომწონს, მაგრამ ჩაის ბუჩქები დამიჩიავდნენ, ტანს ვერ იყრიან.

— ალვის ხეებად ხომ არ იქცევიან?

— ალვის ხეებად რომ არ იქცევიან, საქამრემდე მაინც უნდა იზრდებოდნენ, თორემ რა გამოდის, წელი არ შერჩებათ ჩაის მკრეფავებს.

— რა უშლის ხელს?

— მიწა, აყალო მიწა!

— მერედა, რატომ გააშენეთ ასეთ ადგილზე?

გიორგის გაეღიმა:

— კოლხეთის დაბლობზე სულ ასეთი ადგილებია. საცდელი მეურნეობა ერქვა ჩვენს მეურნეობას, ვცადეთ და მართლაც ცდა გამოვიდა... აქამდე კოლხეთის მთიან ზონაში მოჰყავდათ ჩაი, დაბლობში არავის გაუშენებია იგი...

— არ გაუშენებიათ და, დაბლობის კვალობაზე ეგეც კარგია, რაც მოდის.

— ბარემ არ არის კარგი, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ მაინც მოვლას არ მოვაკლებთ...

ამ საუბარში ვიყავით, რომ ჩვენს გვერდით ცისფერი ვოლგა გაჩერდა. კაბინიდან ჩემთვის უცნობი კაცი გადმოვიდა.

— იცნობდეთ, ჩვენი პარტორგანიზაციის მდივანია! — მეუბნება გიორგი და ისიც ვაჟკაცურად მართმევს ხელს: ყარამანი, ბატონო!..

მეურნეობის შუაგულისაკენ მიმავალ გზას ორივე მხრიდან ნარინჯისა და თურინჯის აყვავებული ბუჩქები და სხვადასხვა ფერის ყვავილიანი ოლეანდრები ამშვენებენ... არანაკლები სილამაზისაა თვით მეურნეობის მოედანი, რომელსაც გარს შემორტყმია მიხაკისფერი ტუფის ქვისაგან ნაგები ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი და ადმინისტრაციული სახლები...

— წელიწადში, მოგეხსენებათ, სამასსამოცდახუთი დღეა, — ანახლებს საუბარს მეურნეობის თავკაცი, — აქედან ჩვენში დაბლობებით ასსამოცდაათი დღე წვიმიანია. მერე წვიმაც არის და წვიმაც, ცა და მიწა ღვართქაფად გადაიქცევა ხოლმე. თუ შინა ხარ, ნოეს კიდობანში გგონია თავი, თუ გარეთა ხარ და — ტალღების გაგიჟებულ ჯოგში. ღრუბელსა და ტალღას ველარ არჩევ ერთმანეთში. ბიბლიური ნოე მოგონებაა მასთან, პირდაპირ კვარაცხელიას კამეჩებივით ბუღრაობენ და ბღავიან ის ოხრები... მოდი და, ამის შემდეგ მუშაობაზე იფიქრე, თუ ბიჭი ხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ.

როცა ნათქვამი ყარამანმაც დაუდასტურა, გიორგი ჩემსკენ შემობრუნდა და ასე განაგრძო:

— თქვენში იტყვიან, ყანა ამინდის შვილიაო. სწორია, მაგრამ ძირითადად მოსავლის ბედ-იღბალი მაინც თქვენზეა დამოკიდებული. „ყანა ამინდის შვილიაო", აქ ეს ანდაზა არ გამოდგება, აქ უნდა ცოტა სხვანაირად ითქვას: „ხელფასი ამინდის შვილიაო". ასსამოცდაათი დღე რომ ავდარი იქნება, ამ ხნის განმავლობაში ხომ არც მუშაობ. არ მუშაობ და ხელფასსაც არ ღებულობ. უხელფასოდ კიდევ კაცს რა გააჩერებს აქ, განსაკუთრებით მექანიზატორს...

მიუხედავად ამისა, ბატონო ჩემო, გულხელდაკრეფილები არ ვსხედვართ... ნათქვამია, მეგრელი ლხინში არ დაბადებულაო. საავსებით სწორია, ამ კოკისპირულმა წვიმებმა, ამ საუკუნოვანმა ჭაობებმა თავისი დაღი დაამჩნიეს ჩვენს სიმღერასაც და ჩვენს შრომასაც.

გიორგის სევდანარევი სიტყვა ყარამანმა დააბოლოვა:

— მაგას ისევ ჩვენ უნდა მოვერიოთ ჩვენივე შრომით. ჩვენს ახალ სიმღერებს ნუმც დაჰკვებებია იგი. აკი ასეც არის, დღევანდელი კოლხური სიმღერები ნამდვილ ზარზეიმად ისმის საქართველოს ბაღ-ვენახებში, დარბაზებში და ველ-მინდვრებზე. ახლა თუ ვაზმაც იხარა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ყარამანის ამ სიტყვაზე გიორგიმ კინაღამ ტაში შემოჰკრა:

— ჭაობი ბუნების მიერ წართმეული კოლხური მიწააო, იტყვიან ჩვენში. ახლა პირიქით უნდა ითქვას...

ყარამანმა აზრის დამთავრება არ დააცალა გიორგის:

— შენ ისე ლაპარაკობ გიორგი, თითქოს ჭაობები მარტო კოლხეთში ყოფილიყოს. არა, გენაცვალე, დედამიწაზე მათ სამასორმოცდაათი მილიონი ჰექტარი ფართობი უჭირავთ, აქედან საბჭოთა კავშირზე ოთხმოცდაათი მილიონი ჰექტარი მოდის, ისიც ევროპულ ნაწილში. ისე რომ, კოლხეთის დაბლობი ნეკის ფრჩხილად თუ გამოჩნდება მასთან.

— მერე, რა გინდა მაგითი სთქვა? — წყენა დაეტყო ხმაში გიორგის.

— ის მინდა ვთქვა, რომ ამდენი ჭაობების ხსენებით თავი მოვაბეზრეთ ჩვენს სტუმარს.

პასუხის გაცემა მე დავასწარი გიორგის:

— პირიქით, მინდა ჭაობის საიდუმლოებაში ღრმად ჩავიხედო, მაგრამ მერიდება, მაცდურად მობიბინე ლაქაშებმა შეტყუება იციან...

საუბარში მეურნეობის ბოლოსაც მივაღწიეთ. მაგისტრალური არხის მარცხენა მხარეზე წვრილი და ხშირი ტყე იყო აყრილი. ეს ხელუხლებელი ადგილი ვის ეკუთვნის-მეთქი. ჭაობსაო, მიპასუხა ერთმაც და მეორემაც. მე ცივმა ჟრუანტელმა დამიარა და მაგისტრალური არხის მარჯვენა მხარეზე გადავიტანე მზერა, სადაც ახალგაზრდა ბამბუკების ტევრი შრიალებდა ლაღად. მითხრეს, სულ მალე ეგ ტევრი დიდ ფულად შემოსავალს მისცემსო მეურნეობას.

გიორგიმ სიტყვა არც ბამბუკის დახასიათებაზე დაიშურა:

—ბამბუკი მთლად ტროპიკულ მცენარედ არც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი ხშირად გვხვდება ტროპიკების მიღმაც, კერძოდ, ჩინეთში, იაპონიასა და ჩრდილოეთ ინდოეთში. როგორც ხედავთ, არც საქართველოს ზღვისპირეთში უჭირს გაზრდა და გამრავლება, მაგრამ სრულ სიმაღლესა და სილამაზეს მაინც ტროპიკებში აღწევს, განსაკუთრებით ეკვატორზე. ფურცელი სამოთხის ჩიტის ჰაეროვან ბუმბულს მიუგავს, საამო სანახავია დღის ყოველ დროს, ნამეტნავად გათენებისას და შებინდებისას. რაღა არ კეთდება მისგან: გიგანტური კიბეები თვალშეუწვდენელ ხეებიდან ველური თაფლის ფიჭების ჩამოსაზიდად, გემის ანძები, მცურავი სახლები, რომლებიც მთელ ქუჩებსა ჰქმნიან წყალმოძალებულ ქალაქებში, საიატაკე ფიცრები, კარადები, ტიხრები, სკამლოგინები, ნაირნაირი კალათები, ჭურჭლეულობა, წყლის მილები, ხარიხები — პატარა ჯამფილებით, თუთიყუშებისათვის განკუთვნილი, ჩვეულებრივი ჩინური ქაღალდი და ათასი სხვა რამ...

— იმ ათასიდან ბარემ ერთიცა თქვი და სამდურავსაც აიცდენ ჩვენგან! — თავისებურად შეეხუმრა ყარამანი.

გიორგიმ არ ითაკილა ყარამანის ნათქვამი და ის ერთიცა თქვა:

— ბამბუკისაგან, გენაცვალე, საკრავი ინსტრუმენტების სიმებსაც ამზადებენ.

— ახლა სიმღერაღა გვაკლია და მეტი არაფერი! — დაარტყა მხარზე ხელი ყარამანმა მეურნეობის ხელმძღვანელს.

— გვაკლია და მაგასაც შევძლებთ, შრომას რომ სიმღერაც მოსდევს, არ იცოდი აქამდე?! — უპასუხა გიორგიმ.

იქ, ბამბუკის ტევრთან ბამბუკივით ტანლატანა ბიჭები დაგვხვდნენ. ზოგს ნალდი ეჭირა ხელში, ზოგს ნამგალი, ზოგს კიდევ ცელი. ბიჭები ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი, ერთნი მაგისტრალურ არხს ათავისუფლებდნენ შამბისა და ეკალბარდების ტყვეობისაგან, მეორენი კი ქარსაფარ ზოლს... ასეთი გამონაღდვა და გამოცელვა წელიწადში ორჯერ მაინც ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი გაველურდებაო ისევ, გვითხრა ერთ-ერთმა ქილისქუდიანმა;

უკან დაბრუნებულნი, საცხოვრებელ სახლებს რომ მივუახლოვდით, ყარამანმა მთხოვა, მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ერთიორი ოჯახიც დამეთვალიერებინა ბარემ. ვიცოდი, დათვალიერებას რაც მოჰყვებოდა და უარზე დავდექი...

იმ დღეს ძალიან დავიღალე, მაგრამ ღამით თვალიც არ მომიხუჭავს, მეგრული მერეხი მძვინვარებდა გარეთ. მეგონა, დაბა-ქალაქის ორსართულიანი სასტუმრო ხუხულასავით დაიშლებოდა. ჩვენებურ დელგმასაც არა ერთხელ შევსწრებივარ, მაგრამ მერეხი სხვა იყო მაინც...

გათენდა, სასტუმროში ყოფნას ისევ გარეთ ხეტიალი ვარჩიე... ქვითკირის შენობასთან გავჩერდი. იქვე, ხავსიან ჭიდან, ალბათ გაუქმებული იყო, ბაყაყების ყიყინი ისმოდა. ვთქვი, გარეთ რას მოვიწევდი, სასტუმროში ვყოფილიყავი-მეთქი. გუშინდელმა მეგობრებმა დროზე მომკრეს თვალი და ცისფერი ვოლგით მეურნეობაში გამაქროლეს ხელახლა, ტუნგოს ხეები არ მენახა და ისიც მანახეს, თითო-ოროლა კი არა, მთელი კორომები. ჯერ კიდევ წენგოს ფერისა იყო მათი ნაყოფი...

ტექნიკური ზეთის ამ უბადლო დედახეებს ჯერჯერობით ასამდე ჰექტარი ფართობი უჭირავთ მეურნეობაში. ეს დიდი სიმდიდრის საწინდარია. ტუნგოს ხე ორმოც წელიწადამდე ცოცხლობს და ამდენივე ხნის მანძილზე სძლებს მისგან დამზადებული საღებავიც. უამსაღებავოდ საზღვაო და საოკეანო ხომალდებს ლოკოკინებით მოუკენჭავი ფრჩხილის ოდენა ადგილიც არ შერჩებოდათ ფოლადის ძირზე.

— ტუნგოს ზეთში დამზადებულ საღებავს, — თქვა ყარამანმა, — „დღეგრძელობის პასპორტს“ ეძახიან ჩვენში. ისე რომ, გულს ნუ გაიტეხ გიორგი, ჩვენც გვეშველება რამე...

— შველა ჩვენ კი არა, აი იმ ჩაის ბუჩქებს უნდათ, ტანს რომ არ იყრიან. ქონდრისკაცები კიდევ მე არა მყავს, მკრეფავებად გამოვიყენო.

— ჩვენი ბრალი ხომ არაა, რაც შეგვიძლია ვუვლით და...

— შრომა შედეგით იზომება, გენაცვალე, უნდა ვილონოთ რამე...

— აგერ, ბამბუკის ტევრი გეზრდებათ.

აგერ ტუნგოს ხეთა კორომები გიმრავლდებათ, დიდ შემოსავალს მოგცემთ ერთიცა და მეორეც. ისე რომ, ბარი-ბარში გამოხვალთ ბოლოს! — ახლა მე ჩავერიე საუბარში.

გიორგიმ უკმაყოფილოდ გააქნია თავი. მე მომეწონა საქმის ინტერესით გამოწვეული მისი ნერვიულობა, მისი წუხილი. დაუმცხრალ, დაუძინებელ ფიქრს, ბოლოსდაბოლოს, ადამიანი გამარჯვებამდე მიჰყავს... ნათქვამია: აგაშენა ღმერთმა, ნაჯახმა და ხერხმაო. გიორგის არც ნაჯახი აკლია, არც ხერხი და არც ღვთის წყალობა. ღვთის წყალობა კი — გონება, ფიქრი და აზრია.

— ვფიქრობ, ძალიან ვჩქარობთ, არ ვარგა ამდენი სულმოკლეობაც, ნაჭაობარ მიწას მოლონიერება თუ არ ვაცალეთ, დიდ მოსავალს როგორ მოგვცემს მცირე დროში, — გუთანივით გაიტანა სიტყვის კვალი ყარამანმა.

გიორგიმ იმედიანად შეჰხედა თავის ძველ მეგობარს და ტკბილად უთხრა: დროა, ახლა საჭეს მიუჯდე და ურთას მთაზე აგვაქროლო შენი მანქანით. ჩვენმა სტუმარმა დაე იქიდანაც მოავლოს თვალი ჩვენს მეურნეობასო...

კოლხეთის დაბლობს ნესტიან უდაბნოსაც უწოდებენ ზოგიერთები. ჩემთვის კი ურთას მთიდან ედემივით გადაიშალა იგი. ედემის ნაწილად ქცეულიყო ჩემს მიერ დათვალიერებული მეურნეობაც თავისი ტანლატანა ევკალიპტებით.

## მოხუცი მჭედლის ხმა

აცანელ მჭედელს მარცხენა ხელის გული კოინდარზე აქვს დაბჯენილი, აი ის უკვე ზეზე დგება, მეც მასთან ერთად წელში ვიმართები, ვაკვირდები ხელის გულზე. ზედ ნედლი ბალახის ანაბეჭდები მოუჩანს. თითქოს ძარღვებში მშობლიური მიწის ძალა ჩაუდგაო, კაცი ერთბაშად გამოიცვალა, და როდესაც სამჭედლოში შემიძღვა, მისი ლაპარაკი უფრო შთამბეჭდავი გახდა: მუშაობაში გრდემლისა და ჩაქუჩის გარდა არაფერი მყვარებია ჩემს სიცოცხლეში. რა არ გამიკეთებია ამ ქვეყანაზე, მხოლოდ ბორკილები კი არასოდესო!..

მინდოდა, ცოტახანს კიდევ მესმინა მისთვის, მაგრამ რაიკომის მუშაკმა ამაჩქარა, სჯობია დროზე ვინახულოთ ჩაის პლანტაციებიო... მივდივართ და მიმყვება აცანელი მჭედლის ალერსიანი საყვედურით სავსე წამოძახილი: ჩაის სასწორსაც მე ვასწორებ, ეგეც ჩემი ხელობააო.

— მართალი და სწორი სიტყვა სცოდნია მაგ მოხუც კაცსა, — ვეუბნები მწვანე ოქროს ნორჩ დუყებზე თავდახრილ თამარს.

— აკი სასწორის შეკეთებაც ამიტომ მივანდეთ! აქ სიტყვასა და მწვანე ოქროს ერთნაირი სიზუსტით ვწონით. ისე რომ, [illegible] და ხალხის წინაშე გასანბილებელი [illegible] გვაქვს! — თქვა თამარმა და ბახმაროს თოვლიანი მწვერვალებისაკენ მიმახედა, — ხედავთ ყველაზე უნისლო მწვერვალს?

— ვხედავ! — ვუპასუხე სწრაფად.

— კეთილი და პატიოსანი! აი, მაგ მწვერვალს მზის ამოსვლის გორას უწოდებენ.

— კი, მაგრამ გორა ხომ პატარაა?!

— რას ვიზამთ, ასეა! გურულებს არ უყვართ მშობლიური კუთხის განდიდება-გაზვიადება, — მითხრა და ახლა სხვა მწვერვალისაკენ მიმახედა, — აი იმას კი მზის ჩასვლის გორას ვუწოდებთ.

თამარი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კი მკითხა:

— ჩაის კრეფა თუ გინახავთ?

— მინახავს!

— ალბათ კინოში, დელია-ოდელიათი რომ ჰკრეფენ ხოლმე, არა?!

აღარაფერი ვუპასუხე. წინ მეჩაიეთა მთელი ჯგუფი მიაბიჯებდა...

გურიაში წინათაც ვყოფილვარ... მახსოვს, სოფელ ბურნათში ძნელაძეებმა ღია მარანი მაჩვენეს. გარშემო ბზის ხეები ჰქონდა შემოჯარული და სახურავად ვარსკვლავებით მოკენჭილი ცა ედგა... ზოგან კი ქვითკირის მარნები იციან, კარზე კილოიანი ბოქლომები უდევთ...

ეს შთაბეჭდილება თამარს გავუზიარე. მან ასე მომიგო: გურულებს მარტო მარნის კარი კი არა, გულის კარიც ღია აქვთო... და მართლაც — კეთილი სტუმარი ლამის სულში ჩაისვან ხოლმე დალოცვილებმა...

სტუმართმოყვარე ლანჩხუთელებს არ ვეთმობოდი, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე, სხვანაირად ვერც მოვიქცეოდი, იმ საღამოს ჩოხატაურშიც უნდა ვყოფილიყავი აუცილებლად, ლიტერატურული შეხვედრა იყო დანიშნული...

ლიტერატურულ შეხვედრას მოჰყვა ჩოხატაურელთა დიდი კონცერტი, რომელზედაც ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სამოცი წლის კოლმეურნე დურგალმა, რომელსაც ტიტიკო ერქვა სახელად. მან თავისი ხელით შექმნილ ჭიანურზე სამშობლოსადმი მიძღვნილი საკუთარი სიმღერა შეასრულა. მე ძალიან დამაინტერესა მისმა ცხოვრებამ და კომკავშირელი ქალის — ჯენი ქერქაძის დახმარებით მეორე დღეს იგი ახლოს გავიცანი. ხიდისთაველი ყოფილიყო...

დაბა-ქალაქის დასათვალიერებლად მიმავალნი მცირე ხანს ჭიჭიკო ბენდელიანის სახლთან შევჩერდით. გზა მაღლობზე გადიოდა და სახელოვანი მფრინავის მშობლიური კარმიდამო ძალიან კარგად ჩანდა.

ნაწვიმარზე მწვანე კოინდარი, ჩვეულებრივზე უფრო ფეროვანი გამხდარიყო. ნიავის ოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავ ნამობერვაზე დაჩირთულ ხეებს შტოებიდან ცვარ-ნამი სცვიოდათ და ძაფგამწყდარ ძეწკვებივით იფანტებოდა ბალახებში.

ფიქრში წასულებს უეცრად თვითმფრინავის გუგუნი შემოგვესმა. ცას ავხედეთ, მაგრამ რას დავინახავდით, როცა თეთრად შედედებული ნისლი გართხმულიყო კიდით-კიდემდე.

მე და ჯენიმ მზერა ტიტიკოზე გადავიტანეთ. ხიდისთაველ ვაჟკაცს ნიკაპი სველ მესერზე დაეყრდნო და თვალებში ცრემლი მორეოდა. იმ წუთში ალბათ ომში გმირულად დაღუპულ თანამემამულეზე ახალ სტრიქონებს ჩარხავდა თავის ქიანურზე დასამღერებლად.

— ჭიჭიკო ბენდელიანს ახლოს იცნობდით, არა?! — ვკითხე ჩაფიქრებულს მორიდებით.

— ბენდელიანს მე კი არა, მთელი ქვეყანა იცნობდა ახლოს! — თქვა ტიტიკომ, სველ მესერს ნიკაპი მოარიდა და ახლა მარჯვენა ხელი ჩაავლო, თითქოს სიმაგრე გაუსინჯაო.

— ეჰე, რას ნიშნავს, რომ შენი ნაოსტატარია ეგ მესერი. შეხე, ოდნავადაც არ შექანებულა, — გამომწვევად წაულაპარაკა ჯენიმ...

თითქოს ძველი ჭრილობა გაეხსნაო, ტიტიკომ მწარედ ჩაიღიმა, ხოლო თქმით არაფერი უთქვამს. არ ვიცი, ჯენის ნათქვამი რამდენად მართალი იყო, მაგრამ იმ წუთში მე მსურდა დამეჯერებინა, რომ მთელი ხიდისთავი მისი აშენებული იყო...

— ტიტიკო ჩემო, სამამულო ომში შენც თუ იღებდი მონაწილეობას?! — დამებადა რატომღაც ასეთი კითხვაც.

— ვიღებდი, თორემ ჩემი გმირობით ქვეყანა გავაკვირვე...

— მაგრე რად ამბობ, ყველა პატიოსანი მეომარი მე გმირად მიმაჩნია.

— გმირები ისინი იყვნენ, სამშობლოსათვის რომ თავი დასდეს და შინ აღარ დაბრუნებულან.

— სამაგიეროდ მათი გმირული სული დაბრუნდა, წინ რომ მიგვიძღვის ყველა უბანზე.

— სიტყვაში არ შეგედავებით და, ვფიქრობ, არცაა საჭირო!.. მოკლედ, მე ასე მჯერა და...

კარგია, როცა ადამიანი თავისი თავის უკმაყოფილოა. ამგვარი ქცევა სხვების თვალში მას ერთი-ორად ამაღლებს. ტიტიკოც სწორედ ასეთი ადამიანი გამოდგა და მისი სიტყვები მხოლოდ დიდსულოვნებად მივიღე.

ტიტიკოს უკრაინის მეორე ფრონტზე უბრძოლია, იქ უშენებია ბლინდაჟები, სამზვერაო პუნქტები, უმთელებია დანგრეული ხიდები, პონტონები, ნავტიკები და ბორნები. მეც ხომ უკრაინის მეორე ფრონტზე ვიბრძოდი. ვინ იცის, მის მიერ აგებულ ბლინდაჟებში მეც მითენებია კოშმარული ღამეები.

ეს მოკრძალებული და სიტყვაძუნწი ხიდისთაველი ვაჟკაცი გურიაში სამამულო ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ დაბრუნებულა... დაბრუნებულა და დიდხანს არ უნებივრებია ოქროს მარჯვენა, დროზე დაუწყია მუშაობა ხიდისთავის კოლმეურნეობაში...

ხიდისთავს შუაზე ჰყოფს პატარა მდინარე გუბაზოული და ისედაც ლამაზ სოფელს უფრო მიმზიდველსა ხდის. მდინარის მარცხენა ნაპირს ჩაშენებული აქვს ქვითკირის სქელი ჯებირი, რომელიც წყალდიდობისაგან იცავს სოფლის მეორე ნახევარს.

მალე კოლმეურნეობის მანქანით გორაბერეჟოულისაკენ დავიძარით. იქ, ერისთავის სასახლის გარდა, მნახველთა დიდ ყურადღებას იპყრობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ახალგაზრდები სწავლობენ...

ბრტყელი, ლურჯლოდიანი გალავნით შემორკალულ სასახლის კართან შეგვხვდა ერთი ახოვანი ჭაბუკი. დირექტორმა გვითხრა: ხევსურეთიდან არის, წარჩინებული მოსწავლეა, იცნობდეთო...

მისმა ადლიანმა მტკაველმა და ხორხისმიერმა ხმამ წამით შორეულ წარსულში ჩაგვძირა ყველანი. მას რომ ევროპული პიჯაკის ნაცვლად აბჯარი სცმოდა, ალბათ ძველ საუკუნეთა მთელ სურნელებას ვიგრძნობდით... ხვალ ის ხევსური, საქართველოს ყველა კუთხის შვილებთან ერთად, დოსტაქარივით მოევლინება ლიხს იქითა და ლიხს აქეთა საკოლმეურნეო მინდვრებს, ზვრებსა და ბაღებს...

შევდივართ სასახლის გალავანში. მარჯვნივ პირღია ქოცოები იყურებიან მიწის წიაღიდან. შიგ ალბათ საზედაშო ღვინოებს თუ აყენებდნენ ჩვენი წინაპრები. ახლა დაძველებულან, დაბზარულან და წვიმის ჩაყვითლებული წყალილა მოსჩანს მათ ფსკერზე...

აჰა, ქვედა სართულში მოთავსებული მარანიც... ქვითკირის საწნახელი, ჩაბნელებული ქვევრები, ხის ჩაფურები და ვეება ყანწები შთაგონებას ახელებენ და გვიადვილებენ დევკაცა წინაპრების წარმოსახვას...

აი, ზემო სართულიც! დიასახლისი ოთახში გვეპატიჟება. დაცვარულ ბალში სიარულით შეციებულებს მდუღარე ჩაიდნიდან ამომავალი ორთქლი საამურად გვეჩვენება. ტექნიკუმის დირექტორი მიმართავს ჩვენს თავმდაბალ მეგზურს, რატომ ჯენი არ წამოიყვანეთ, ჰას ძლიერ უყვარს აქაურობაო. ამ სიტყვაზე თვალწინ დამიდგა წინადღით ნანახი ჩოხატაურის ჩაის პლანტაცია, სადაც კოლმეურნე ქალებთან ერთად ძირს უთოხნიდა ჩაის ბუჩქებს ჯენი ქერქაძეც.

თავთუხის ხელეურივით შემოგრაგნილ წაბლისფერ თმაზე თქორად წამოსული წვიმის წვეთები ციცინათელებად დასეოდნენ კომკავშირელ ქალიშვილს, და ხიდისთავში გა-

სამგზავრებლად დაძრულებს, თეთრად დაბურუსებულ სივრცეში, გვეგონა გზას გვინათებდა იმ ციცინათელების შუქი...

ამ ფიქრებში დროდადრო გამახსენდებოდა ხოლმე ძველი რგოლგატეხილი, ჟანგიანი ბორკილი, რომელიც ჩოხატაურის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვნახე. ასეთივე ბორკილი უფრო ადრე ვიხილე სოფელ ჩირგვეთში, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში. „ბორკილები მუზეუმებში!“ — სიმბოლურად ჟღერს ეს ორი სიტყვა... დიახ, სწორედ იქ არის მათი ადგილი!.. დიახ, იქ არისო, ამასვე მიდასტურებს აცანელი მოხუცი მჭედლის შორეული ხმაც...

## ქარხანა მაღლაკის ველზე

ცხელოდა, ძალიან ცხელოდა. კიკვიძის მონუმენტურ ძეგლთან ისე დარბილებულიყო ასფალტი, რომ ზედ ადამიანთა ნატერფალები შეიმჩნეოდა. გამახსენდა, დანიშნულ დროზე უნდა მისულიყავი საავტომობილო ქარხნის ჭიშკართან, წინაალმდეგ შემთხვევაში ქარხანას ვერ დავათვალიერებდი. სიცხისაგან გაოგნებულმა გადავწყვიტე, მისამართი მეკითხა ვინმესთვის, მაგრამ იქ, სადაც ჭადრების მაღალი ხეივანი იწყება, თვალი მოვკარი სამისამართო აბრას, რომელზედაც ლამაზი ასოებით იყო გამოყვანილი — „ავტოქარხნის ქუჩა“. ვიფიქრე, ახლოს ვყოფილვარ-მეთქი და ალარავინ შემიწუხებია, მშვიდად გავუდექი გზას.. .ახლოს კი არა, კაი ერთი საათის სავალი ყოფილიყო იქამდის...

მეგონა, ველარ შევიდოდი ქარხანაში და დავდარდიანდი. ბედზე, ჭიშკართან ვილაც ქერა, მორჩილი ტანის ახალგაზრდა დამხვდა, რომელმაც მკითხა: თქვენ მავანი და მავანი კაცი ხომ არ ბრძანდებითო. იგი საქარხნო გაზეთის თანამშრომელი აღმოჩნდა. რამდენიმე წამში ჩვენ უკვე ქარხნის უზარმაზარ ეზოში ვიმყოფებოდით. იქაც გზატკეცილი, იქაც ჭადრები, იქაც კორპუსები...

ალბათ შესვენების საათი იყო, ავტოქარხნელები გარეთ გამოშლილიყვნენ, ზოგნი მწვანეზე წამოწოლილიყვნენ, ზოგნი სკამებზე დამსხდარიყვნენ, ზოგნიც ბოლთასა სცემდნენ ხეივანში, ერთი სიტყვით, ძალას იკრებდნენ დაზგებთან, კონვეიერებთან, სადნობ ღუმელებთან და ვეებერთელა პნევმატურ უროებთან ხელახალი იერიშის მისატანად...

შესვენების დამთავრების კარგა ხნის შემდეგ პირველად საიარალო-სატვიფრო საამქროს ამწყობ ზეინკალ იაკობ ჯლამაძესთან მოვხვდით... „ოქტომბრის რევოლუციის ორდენის“ კავალერი, კომუნისტური შრომის ბრიგადირი, რაციონალიზატორი, ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი!.. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ამის ჩამოთვლაც კმარა მისი კაცური კაცობის დასახასიათებლად. ქარხანაში იგი 1945 წელს მოსულა სამუშაოდ, თუმცა ქარხანა სად იყო მაშინ, მაღლაკის ველზე ერთადერთი საამქრო იდგა თურმე. მთელ შემოგარენში ერთი საჩრდილობელი ხეც არა მდგარა, სიცხეში შეჰფარებოდა მგზავრი. ახლა კი კიკვიძის მონუმენტურ ძეგლიდან დაწყებული ავტოქარხნის მაღალჭადრებიანი ქუჩა თითქმის სოფელ მაღლაკამდე აღწევს.

— ადრე ამ ადგილზე, — იგონებს ქუთაისის მკვიდრი იაკობ ჯლამაძე, — წვიმაშიაც და დარშიაც ისეთი დაჭაობებული ტბორები და გუბეები იდგა, რომ უოჩოფეხოდ კაცი ვერ გაივლიდა...

სახელოვან ზეინკალს თოთხმეტი წლისას დაუმთავრებია ქუთაისის სახელოსნო სასწავლებელი და სწორედ იქიდან ითვლის კიდეც თავის შრომით ბიოგრაფიას. საამქროში ყოველი ჯურის სამარჯვი სპეციალური ნახაზების მიხედვით კეთდება, რაც ადამიანისაგან ღრმა ცოდნას, დიდ დაკვირვებასა და სიზუსტეს მოითხოვს. ეს ყოველივე არ აკლია ჯლამაძესა და მის ამხანაგებს. ჯლამაძის ბრიგადის მიერ გაკეთებული სამარჯვებით „კაზ-618“ ავტომობილის დეტალები მზადდება თურმე ქარხანაში...

იაკობი ამაყობს თავისი ამხანაგებით, მაგრამ არანაკლებ ამაყობს იგი თავისი აღმზრდელებითაც, რომელთა შორის არიან სოსო დვალიშვილი, ედიშერ ბარდაველიძე და სხვები. ქარხანა კი არც ისეთი პატარაა, ასოც ჰექტარ ფართობზეა განლაგებული მისი ხმაურიანი საამქროები. ახლა მუშახელს არ იტყვით? მარტო მოწინავე კომკავშირელთა რიცხვი ორი ათასს აღემატება.

— აქ მომუშავენი თავის დროზე, — მეუბნება საქარხნო გაზეთის თანამშრომელი, — ყველანი კომკავშირელები იყვნენ. კომკავშირელი იყო მთავარი კონვეიერის ამწყობ-ზეინკალი, ამჟამად სოციალისტური შრომის გმირი — ბორის ვაშაკიძე. კონვეიერიდან პირველი ქართული ავტომობილი მან გადმოიყვანა. ეს მოხდა 1951 წლის 18 აგვისტოს, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მთლად ადრე ჭრიალა ურმის ადამისჟამინდელ თვლებს აკეთებდნენ მხოლოდ... კომკავშირელი იყო უბადლო მღარავი, ზეინკალი და ხარატი, ავტოქარხნელთა უსაყვარლესი ძმა უშანგი ქარქაშაძე. დღეს იგი „ოქტომბრის რევოლუციის ორდენის“ კავალერია. მოიწადინოს ოღონდ, მის ხელს გაუკეთებელი არაფერი დარჩება. ოქროს მარჯვენას რომ იტყვიან, ისეთი მარჯვენა აქვს, შეიძლება უკეთესიც..

— იარაღია ერთი, — შეიმშრალა ოფლიანი შუბლი ჩემმა დაუზარელმა მეგზურმა და განაგრძო, — „ჭიახრახნულ მღარავს“ უძახი-

ან, ადრე იგი ძვირად ფასობდა და ჯინაზე ხშირად ტყდებოდა ხოლმე. მის დამზადებას სხვას ვის შესთავაზებდნენ, თუ არა უშანგი ქარქაშაძეს... ისიც ამზადებდა და ამზადებდა, დრო დიდი მიჰქონდა ძალიან, საქმე კი თავსაყრელი ჰქონდა... იფიქრა, იფიქრა და ამ ფიქრში იშვა აზრი, რომელსაც რაციონალიზატორული წინადადება ჰქვია. ავტოქარხნელებმა მოუწონეს იგი, რის შემდეგ უშანგი ქარქაშაძემ დაამზადა სრულიად ახალი კონსტრუქციის სწრაფმჭრელი საჭრისი. ძვირად ღირებული „ჭიახრახნული მღარავი“ სამუდამოდ გაქრა ავტოქარხნელთა პრაქტიკიდან.

— კიდევ ვის დაასახელებდით ძველ მომუშავეთაგან ყველაზე საუკეთესო კომკავშირელს? — ვკითხე ჩემს თავაზიან მეგზურს, როგორც კი სიტყვა მოათავა ქარქაშაძეზე.

— რომელი ერთი გავიხსენო, ისინი ბევრნი არიან. დავასახელებ მხოლოდ ბადრი სახელაშვილს. იგი საქმეში ჩახედული, თავდაჯერებული და უყოყმანო კაცია. არ ყოფილა თუნდაც ერთი დღე, პირველი არ გამოცხადებულიყოს სამუშაოზე. ამიტომ საამქროში შემოსული მუშების პირველად თქმული „გამარჯობათ“ მხოლოდ მას ეკუთვნის. უბანი, სადაც ის მუშაობს, ემსახურება საკმაოდ რთულ საქმეს — კაბინის ჩონჩხის აკრებას, მერე შედუღებას.

ხმაური საუბარს არ გვაცლის, იქნებ სჯობია კიდეც, თვალსა და გუმანს მეტი ასპარეზი დაეთმოს. ჩვენც მივდივართ, ვათვალიერებთ. ჩანს, ქარხანაში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ყველგან, სადაც კი შევდივართ, გვხვდება ლამაზი, მოხდენილი წარწერები, რომელთა მიხედვითაც ვტყობილობთ ცალკეული კოლექტივების, უბნებისა და ბრიგადების შეჯიბრებაში მიღწეულ შედეგებს.

ხმაური ხმაურია, მაგრამ ჩემი მეგზური მაინც ახერხებს ზოგიერთი რამის თქმას. მეც ვუსმენ... ქარხნის ღრმაშინაარსიან ცხოვრებაში აღსანიშნავია ეგრეთ წოდებული „ხარისხის დღე“, რომელიც ეწყობა თვეში ერთხელ. აქ იკრიბებიან საამქროს ხელმძღვანელები, უბნის უფროსები, ოსტატები, ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკები. ისინი ანგარიშს აბარებენ ქარხნის მთავარ ინჟინერს, აცნობენ მას, თუ როგორაა ხარისხის საქმე ქარხანაში და შემდეგ ისახება შესაფერისი ღონისძიებანი...

ქარხანაში ოთხასამდე ოსტატი მუშაობს. მათი საქმიანობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული „ოსტატთა საბჭო“, რომელიც რეგულარულად მართავს „ოსტატთა დღეს“, სადაც მოხსენებით გამოდიან წარმოების პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, მოწინავე ადამიანები. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას.

ადრე დილიდანვე ერთბაშად ახმაურდებიან ხოლმე ჩარხები, კონვეიერები, სადნობი ღუმელები, საკოპე დანადგარები. შრომის ამ დიდებულ რიტმში ბუნებრივად არის ჩაბმული, როგორც ადრე ვთქვით, სხვადასხვა პროფესიის მქონე ორი ათასზე მეტი კომკავშირელი, კიდევაც ვიტყვით, მხოლოდ დასახელებულ გვარებს აღარ გავიმეორებთ, რადგან მოწინავენი სხვებიც არიან...

კომკავშირულ შრომით შემართებაზე მეტყველებს შოთა გამცემლიძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელიც ქარხნის შემკეთებელ მექანიკურ საამქროში მუშაობს. ამ ექვსიოდე წლის წინათ ბრიგადამ თავის რიგებში ჩარიცხა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ქერჩის მიწაზე დაღუპული უცნობი ქართველი ჯარისკაცი, ვისი ნეშტიც ამჟამად თბილისის გამარჯვების პარკში განისვენებს. ბრიგადა დაბეჯითებით ცდილობს ყველა ხუთწლედის ყველა დავალება ვადაზე ადრე შეასრულოს ხოლმე.

ქების ღირსია ახალგაზრდა რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც კომკავშირის პრემიის ლაურეატი შუქრი გიგინეიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადაში თოთხმეტი კაცია და თოთხმეტივე გიგინეიშვილივით კომკავშირული პრემიის ლაურეატი, ამავე დროს, თოთხმეტივე სხვადასხვა პროფესიის მქონე. მოვუსმინოთ მათ ხელმძღვანელს:

— მე და ჩემი ბრიგადის წევრებმა შარშან რაციონალურ წინადადებათა ცხოვრებაში საფუძვლიანი გატარებით ქარხანას მივეცით ათეული ათასობით მანეთის ეკონომია. განვლილი პერიოდის საუკეთესო მაჩვენებლები სრულიადაც არ გვაძლევენ თვითდამშვიდების უფლებას. შემდგომში გაცილებით მეტს გავაკეთებთ.

მზე შუბის ტარზე არცკია ხოლმე ასული, რომ ქარხანაში გატეხილია უკვე ერთი წილი დღიური სამუშაო. ცხელა, დილიდანვე ცხელა. რაც დრო გადის, მცხუნვარება უფრო მატულობს, განსაკუთრებით ლითონსადნობ ღუმელებთან, ყალიბებით დატვირთულ კონვეიერთან. მზადაა ათობით სხვა ყალიბიც და თავის რიგს ელოდება კონვეიერზე. ელოდება, რომ აივსოს თხიერი ლითონით, მერე იგი შეკრული, შეციებული, ფოლადისფერმიცემული გაგზავნოს მექანიკური დამუშავებისათვის.

მეყალიბეობა ერთ-ერთი რთული პროფესიაა სამსხმელო წარმოებაში. რთულია იმდენად, რამდენადაც მუშისაგან უაღრეს დაკვირვებასა და სიზუსტეს მოითხოვს. აგერ, ხიდურმა ამწემ თუჯის ყალიბი გამოატარა. საამქროს სიღრმეში დადგმულ ღუმელებიდან ამოსული ცეცხლის ენები ჰაერში იკლაკნებიან

და გაშავებულ კედლებს ლოკავენ. შევდივართ საამქროში, ვუახლოვდებით ბრიგადის ხელმძღვანელს, მაგრამ ვერაფერს ვაგებინებთ ერთმანეთს. იძულებული ვხდებით სხვა საამქროსაკენ ავიღოთ გეზი...

აი, მივადექით დათვალიერების ბოლო ობიექტსაც — ექსპერიმენტულ საამქროს, სადაც, ჩვენდა საბედნიეროდ, სრულიად მოულოდნელად შევხვდით საავტომობილო ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს ბათიაშვილს... შეიტყო თუ არა ჩვენი დაბნეულობა, იგი მაშინვე ჩვენთან გაჩნდა და თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით, ისე დაგვიწყო ლაპარაკი. ის კი არა, ხელში რომ ცისფერი რვეული მეჭირა შთაბეჭდილებების ჩასანიშნავად, გამომართვა და თვითონ ჩამინიშნა, ყველაზე საყურადღებო რაც იყო საამქროში. ავტომატარებლების პატარა ნახაზებიც გააკეთა ერთ გვერდზე. შემდეგ შეკითხვებს აღარ დაელოდა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— 1980 წელი ჩვენთვის სიახლის შექმნის, ძიებისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი წელიწადი იყო. ამჟამად ჩვენი ქარხანა მუშაობს კიდეც და შენდება კიდეც. იგი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ახალ ფაზაში შედის. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეექვსე ყრილობის გახსნის დღეს მთავარ საწარმოო კონვეიერიდან გადმოვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პირველი ავტომობილი, რომელიც, პირველყოვლისა, კომბაინებთან მუშაობისათვის არის გათვალისწინებული.

მთავარი მაინც ქარხნის რეკონსტრუქციაა, რომლის დამთავრების შემდეგაც მისი საწარმოო სიმძლავრე სამჯერ მეტად გაიზრდება. ამჟამად მიმდინარეობს თბოელექტროცენტრის საქვაბე ნაგებობათა მშენებლობა, სადაც მებეტონეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ნიჭიერი ტექნიკოსი მურთაზ ჭელიძე. საქვაბის დამონტაჟებაში გვეხმარებიან მოსკოველი სპეციალისტები. მასში მოთავსდება ორი ისეთი ენერგეტიკული ბლოკი, რომელიც ყოველ საათში ას ტონაზე მეტ წყალს მიაწვდის ჩვენს მშობლიურ საავტომობილო გიგანტს... თუ გნებავთ, წავიდეთ, დავათვალიეროთ...

ჩვენ სიხარულით ვუერთდებით საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის ამ წინადადებას... მართლაც ზღაპრული სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ. დიახ, ზღაპრული სანახაობა, რომელიც სულ ახლო ხანში სინამდვილედ უნდა იქცეს...

— ქარხანა მაღლაკის ველზე! — ამაყად ჟღერს ეს ფრაზა, რადგან მასში საქართველოს ინდუსტრიული გული ფეთქავს. ინდუსტრია კი ქვეყნის ძლიერებაა. ვემშვიდობები ქუთაისს და მეხსიერებაში რჩება მაღლაკის ველზე გატარებული ერთადერთი დღე, საოცრად მხურვალე და ღონიერი დღე...

## ვისაც სვანეთი არ უნახავს...

— ქუთაისი, ზუგდიდი, ჯვარი, ხაიში, მესტია! — ასე შესცვალა ჩემი საჰაერო მარშრუტი უამინდობამ. ეს ძალიან სასიხარულო იყო, მაგრამ გულში მაინც დარდად ჩამრჩა, რომ ლაილაშის მწვერვალებს ველარ ვნახავდი... ზუგდიდში გვიან ჩავედი. ისე რომ, მესტიაში მეორე დღეს მომიხდა გამგზავრება. ათი საათის განმავლობაში თვალმოუშორებლად ჩავცქეროდი უფსკრულებში დაგრაგნილ ენგურს, მესმოდა მისი გრგვინვა-გრიალი და ორბელიანის სტრიქონებს — თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან — ახლა მდინარე ენგურს ვუსადაგებდი...

ვიდრე ავტობუსი ზემო სვანეთში აივაკებდა, ჩემი პირველი ყურადღება ერთმა გოლიათურმა ლოდმა მიიპყრო. მსგავსი ლოდი ყვარელშიაც მენახა — დურუჯის მიერ მოგლეჯილი და ჩამოტანილი. დურუჯის ლონე თუ მაოცებდა, ენგურისამ არ გამაოცა, რადგან ენგური გაცილებით დიდი იყო და, ცხადია, დასაძრავსაც დიდს დასძრავდა. მე გამაოცა მხოლოდ იმ ფიჭვის ხემ, რომელიც ენგურში ჩაბალავრებულ ლოდზე ამოსულიყო და ამაყად ზვერავდა ჩამობერებულ კლდეებს. აი, რა სცოდნია თურმე სიცოცხლეს — მის ფესვებს ტინის ლოდშიაც შესძლებია ბურღივით გავლა...

რაც ზევით და ზევით მივიწევდი, ბუნებას უფრო და უფრო მკაცრი იერი ედებოდა. ხშირად მხვდებოდა ღვარებისაგან ჩამოხრამული ფლატეები, ძირგამოთხრილი ხეები, თითო-ოროლა ფესვითღა ჩაბღაუჭებოდნენ ფხასიფრიფანა ფრიალოებს, მაგრამ ისინი მაინც ძველებური სიმშვიდით იდგნენ და შაბიამნისფერ ლაჟვარდს ალერსიანად უთათუნებდნენ ზურმუხტის თათებს...

მათ შემყურეს, მეც გადამავიწყდა, რა იყო შიში, თავს თავისუფლად ვგრძნობდი. ხანდახან დახრამულ ადგილებზე ავტობუსის მოულოდნელი დაბუქნავება თუ შემიცვლიდა ხოლმე იერს. სოფელ ბეჩოში პირველად გამისწორეს ამოლამებული თვალებივით თავიანთი სათოფურები სვანეთის პირქუშმა კოშკებმა, მაგრამ ყველაზე პირქუში მაინც უშბა აღმოჩნდა. ამ სიმკაცრეს მხოლოდ ცისფერთვალება ხილაბანდიანი გოგონები ანელებდნენ, შავფიქალა გალავნის კარიბჭეს რომ შეჰყუჟებოდნენ...

საღამო ხანზე უკვე მესტიაში ვიყავი. სასტუმროში ადგილი დავიკავე და დაღლილობის მიუხედავად, მაინც გარეთ გამოვედი, ოთხსართულიანი კოშკები მთვარისა და ვარ-

სკვლავების შუქზე უკვე სასწაულებრივ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ბინდისა და შავი ფიქალის ფონზე ფანჯრებში აციმციმებული სინათლეები რატომღაც მენამულ სხივებს გამოსცემდნენ.

მოასფალტებული მოედანი ტბასავით კამკამებდა მესტიის შუაგულში. გარს შემოჯარული მთები მამონტებივით მიჰყუდებოდნენ ერთიმეორეს და შვეულა ნისლებით განახევრებული თოვლიანი მწვერვალები ეშვებად უელვარებდათ ივლისის დადუმებულ ღამეში. ეს იყო რაღაც ამათრთოლებელი სილამაზე.

მეორე დღეს განათლების განყოფილების ერთ-ერთმა მუშაკმა თითქმის მთელი მესტია დამათვალიერებინა, რამდენიმე ოჯახშიც შემიყვანა. მეგონა, ყველგან სიძველე მეცემოდა თვალში, მაგრამ ტელევიზორებისა და ელექტრო-ქორკანდელების ფონზე ყველაფერი ახლებურად მომეჩვენა.

დავათვალიერეთ ყველაზე ძველი ციხე-კოშკიც. ხის კიბეებით ვმაღლდებოდით სართულიდან სართულზე. წინ კვარით ხელში განათლების განყოფილების მუშაკი მიმიძღოდა. ვიხსენებდი სვანეთის სისხლიან წარსულს და თავს ბედნიერად ვთვლიდი, რომ ძველი ციხე-კოშკის სათოფურებიდან ახალ, თავისუფალ სვანეთს დავცქეროდი...

ასვლა იმდენად არ გამძნელებია, როგორც ჩამოსვლა, თითქოს უძირო ორმოში ვეშვებოდი... ვიდრე კიბის პირველ საფეხურს მივაწვდენდი ფეხის წვერს, ჯერ კედლის ძგიდეები უნდა მომეძებნა... ეს არც ისეთი იოლი იყო შეუჩვეველი ადამიანისათვის... ამ სიძნელეს ახლა ჩვენივე ჩრდილების უცნაური მოძრაობაც ართულებდა და ცოტა არ იყო, შიშის გრძნობაც მეუფლებოდა. დაბლა რომ ჩავედით, შალვა ჩართოლანს გაუმარჯოსო, ხუმრობით მომაძახა ვიღაც ახალგაზრდამ, რომელსაც პირველი კიბის პირველ საფეხურზე შეჰყინოდა მარჯვენა ფეხის ტერფი. რაიონული გაზეთის ფოტო-კორესპონდენტი აღმოჩნდა იგი, ვცნობებოდი...

მე დიდად მესიამოვნა ეს მოსწრებული ხუმრობა და მცირე ხნით ნათხოვარი სვანური ქუდი კმაყოფილების ნიშნად ორივე ხელით მჭიდროდ მოვირგე თავზე... იმ დღეს მესტიის ვეძასაც ვესტუმრეთ, ყავარგადახურული ქვითკირის სვეტებიან ფანჩატურში, ხის ლარზე, ახლად გამოხდილი არაყივით მოწანწკარებდა მადლიანი მთების ნაჟური. სამი დღის მწყურვალებივით დავეწაფენით რიგრიგობით გრილსა და კამკამა წყალს. მალე ფანჩატური ტურისტი ქალიშვილების კისკისმა მოიცვა. სვან გოგონას მწვანე ქეთლის სახურავი გამოართვეს და ერთმანეთს ეცილებოდნენ წყლის დალევაში...

ქვის ფანჩატურიდან მესტიურას ხეობაში ჩარჩოში ჩასმულივით მოსჩანდა ორი ყომრალი კოშკი. მათ შორის იდგა მათივე ფერის ორსართულიანი სახლი, რომლის აივანზეც წითელი ატლასის საბანი გადმოეკიდათ გასამზეურებლად. მარჯვენა კოშკის მწვანე ფერდობზე კი ჭრელთავსაფრიანი ქალები ორკაპა ჯოხებზე გაჭიმულ თოკზე სარეცხს ჰფენდნენ. ეს ყველაფერი ხეობის ლოდნარიან ნაპირებს და ტყვიისფერ დაბურუსებულ კლდეებს სინაზის ერთგვარ ელფერს აძლევდა, აშინაურებდა ველურ ბუნებას.

სურვილი გამოვთქვი, სვანეთის ტიპიური სოფელიც გვენახა. არჩევანი სოფელ მულახზე მიდგა, მაგრამ სვანი მეგობრების რჩევით ჯერ მესტიის მუზეუმი დავათვალიერეთ. ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო, მათ შორის, ორმაგი რკინის ლაგამი, რომელიც მხედარი ქალის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. აკი მას თამარმეფისეულს ეძახიან კიდეც სვანები. დიდხანს დავტრიალებდით ასურული წარმოშობის ბრინჯაოს საცეცხლურებს, ბრინჯაოსავე ხვითოებს. მწარე წარსულის გამჭოლავი სუსხი გვაგრძნობინა რკინის რამდენიმე დაჟანგულმა ბორკილმა, რომლებიც ტყვედჩავარდნილთათვის იხმარებოდა თურმე. გვაჩვენეს ვეებერთელა დროშაც. იგი „ლემის“ ანუ ლომის სახელწოდებით არის ცნობილი. დიდი ჯირითობის დროს მუზეუმიდან გარეთ გამოაქვთ, ჰაერით ივსება და ლომს ემგვანება ხოლმე. შემდეგ მას დოლში გამარჯვებული მხედარი აბრუნებს უკან.

მუზეუმის საუკეთესო ექსპონატების რიცხვს ეკუთვნის მეათე საუკუნისდროინდელი „იერუსალიმის კანონარი“, კონსტანტინე კახთბატონის და მისი შვილის მიერ სეფის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შემოწირული სამი ზარი, ერთი დიდი და ორი პატარა, ეკატერინე დადიანის მიერ საჩუქრად მოქსოვილი მურზაყან დადეშქელიანის ყაბალახი, დადიანების შუაზე გაჭრილი ვერცხლის სურა, ხის მტრედებიანი სასანთლე, სათოფე ლულის ამომბურღავი დაზგა, სპილენძის დიდრონი ბუკები, სპილენძისავე სადღესასწაულო ქვაბი, ერთდროულად ადგილობრივი ჯიშის ხუთი ძროხა რომ იხარშებოდა შიგ...

მოულოდნელი იყო ჩემთვის გერმანული სანადირო დანის ხილვა. 1944 წელს იგი უშბაზე უპოვნიათ სვანებს. მას საკმაოდ სქელი ტარი აქვს და სიგრძით ჩვეულებრივ ხანჯალს არ ჩამოუვარდება. თვითონ დანის პირი გაცილებით ფართოა ხანჯლისაზე. მუზეუმის თანამშრომლებმა გვითხრეს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში უშბის დასაპყრობად გერმანელი ალპინისტები ყოფილან სვანეთში და შეიძლება რომელიმე მათგანმა დაკარგაო მაშინ. რა იცოდნენ იმ ალპინისტებმა, რომ ოთხი ათეული წლის შემდეგ უკვე მათი შთამომავლები სანადირო დანას კი არა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარ თავს დაჰკარგავდნენ კავკასიონის მისადგომებთან.

როდესაც მულახში შევედით, მეგონა, ახლა სხვა უფრო დიდ მუზეუმში მოვხვდი-მეთქი, მაგრამ ეს წამიერი ცდუნება იყო მხოლოდ. სოფელში, გარინდებულ კოშკებსა და აბალახებულ გალავნებს ვერ დაეფარათ მრავლისმეტყველი დღევანდელობა, რაც განსაკუთრებით კარგად ვიგრძენი კულტურის სახლში, სადაც მულახის ახალგაზრდებმა შესანიშნავი კონცერტი ჩაატარეს. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მულახელი ქალიშვილის დაკვრამ ჭუნირზე, აგრეთვე მისმა ძალდაუტანებელმა სიმღერამ. ჩემს თვალწინ თანდათან ცოცხლდებოდნენ სვანური ფოლკლორის გმირები: მირანგულა, ბედან-მონადირე, ბაილ-ბეთქილი და სხვანი...

ჭუნირის ხმა ქვას აატირებსო, უთქვამთ სვანებს და ეს ფიგურალური თქმა მართლაც საკმაო სიმართლეს იტევს. ჭუნირის სიმები როდია გაკეთებული განსაკუთრებული მასალისაგან. სიმებად მას ცხენის ძუა აქვს გაბმული... ცხენის ძუა აქვს გაბმული აგრეთვე ხემადესაც, რომელიც ნამდვილ მშვილდსა ჰგავს და მიზრაფის მაგიერობას ეწევა. როცა იგი ჭუნირის სიმებზე გადი-გამოდის, თქვენა გგონიათ, ბგერების ნაცვლად ისრები იტყორცნებიანო მისგან. კონცერტი გვიანობამდე გაგრძელდა. სვანურმა „ლილემ“ ქედი მომახრევინა თავისი სიდიადის წინაშე. უთუოდ ყელამდე მართალი იყო ტიციან ტაბიძე, როდესაც ზაქარია ფალიაშვილისადმი მიძღვნილ წერილში ამბობდა:

„მუსიკაში დიდი ნაცადი არ უნდა იყოს კაცი, რომ სვანური მზის ამოსვლის საგალობელ „ლილეში“ ესმოდეს ვაგნერის „ნიბელუნგები“ და სკრიაბინის „პრომეთეს ჰიმნი“... ვინ იცის, იქნებ სკრიაბინსაც რომ ეცხოვრა სვანეთის მთებში და მოესმინა „ლილე“ და „ქალდეას სიმღერა“, ჰიმალაის მაგიერ შეიძლება თეთნულდი ან უშბა აერჩია თავისი ფანტასტიკური ტაძრის ასაშენებელ ადგილად, რაზედაც სიკვდილის დღემდე ოცნებობდა.

როგორც იყო, დავტოვეთ მესტიის შემოგარენი და გეზი უშგულისაკენ ავიღეთ... უღვირის აღმართიან მოსახვევებს მანქანა ადვილად იმორჩილებს. რაც მაღლა მივიწევთ, მრისხანე უშბა უფრო თვალმისაწვდომი ხდება. მას ტანზე შავი კლდის ჯავშანი აცვია და ცაში ორ მწვერვალად აზიდულს ორი მუზარადი უპრიალებს. მის ყბადაღებულ უფსკრულებში ბევრ მუხლმაგარ ვაჟკაცს დაულევია სული, მაგრამ ჯიუტია ქართველი კაცის ხასიათი, აუღებელი არ დარჩენია მისი ყინულოვანი ციხე-სიმაგრე.

აღმართი ახლა დაღმართმა შესცვალა და მალე სოფელ იფარში შევედით... კვლავ ჩაშავებული კოშკები, კვლავ ქვის ყორეები, განსხვავებაა მხოლოდ სიმჭიდროვეშია. [illegible] იფარს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მთებს მთელი სოფელი მუჭაში მოუმწყვდევიათო. სოფლის მყუდროებას მხოლოდ სახერხი ქარხნის ხმაური არღვევს. ერთის გარდა, ყველა კოშკი თითქმის ერთ ყაიდაზეა აშენებული. იქნებ ისიც არაფრით განსხვავებულიყო დანარჩენ კოშკებისაგან, რომ ბორცვად ამოზიდულ ლოდზე არ ყოფილიყო აღმართული.

საავტომობილო გზა სოფელ კალაში დასრულდა. ავტომანქანიდან სასწრაფოდ ჩამოვედით. ერთხელ კიდევ შევავლეთ თვალი მრისხანე უშბას და საცალფეხო გზით კალულდარის აღმართებს ავყევით...

ირგვლივ ტყეები და მხოლოდ ტყეები. აქაიქ ზოგჯერ ფერადოვანი მდელოები სცვლიდნენ პეიზაჟის თავისებურებას. ასეთ ადგილებში ჩვენ თითქმის ყოველთვის ვისვენებდით, ვტკბებოდით ველური ყვავილების ცქერით. გზადაგზა ხშირად გვხვდებოდა აგრეთვე ჩვეულებრივი მთის არყიც. ზოგიერთი მათგანი მოალისფრო ტალებით ისე იყო დატვიფრული, თითქოს ჯეირნებს ჯინაზე დაუკოცნიათო ხავერდის ტუჩებით.

ჩავათავეთ კალულდარის დაღმართიც და ჩვენს წინაშე, დაახლოებით შვიდასი მეტრის მანძილზე, უშგულის მაღალი კოშკები აისვეტნენ. სოფელში შესვლამდე, დაღლილებმა ცივ ნაკადულთან სული მოვითქვით. საამო იყო შორიდან უშგულის ცქერა, მაგრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

გზა უცაბედად დასრულდა. წინ ახლა ეზო ჩანდა ყორეშემოვლებული, რომელსაც სამპირა ხრიხალი ჰქონდა დატანებული. ეზოში რამდენიმე ორსართულიანი ქვიტკირის სახლი იდგა. აივნებზე თავსაფარიანი ქალები გადმომდგარიყვნენ. ნამით დავიბენით. მალე ფოტოკორესპონდენტმა ხრიხალის ზემოთა ხარიხას შლაგბაუმივით ააწევინა ცალი წვერი და შიგნით შეგვიყვანა. მერე სოფლსაბჭო იკითხა სად არისო და სახლებსა და კოშკებს შორის დაკლაკნილ ბილიკს გავყევით ნალიკნალიკ...

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეზოში კი არა, უშგულის პირველ უბანში ვიყავით შესულები და სამპირა ხრიხალთან შეწყვეტილი გზა სწორედ ამ უბანშივე გრძელდებოდა. უბნიდან გასასვლელსაც სამპირა ხრიხალი ჰქონდა დატანებული. ფოტოკორესპონდენტმა აქაც მაღლითა ხარიხას კვლავ შლაგბაუმივით ააწევინა ცალი წვერი.

ჩვენს წინ კვლავ შავფიქალა კოშკები და ორსართულიანი სახლები აღიმართნენ. ეს იყო უშგულის მეორე უბანი. მივედით სოფლსაბჭოში, ლენტეხის კომკავშირის რაიკომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკი უნდა დაგვხვედროდა, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა, დააგვიანდებაო.

ვიდრე ის კაცი ლენტეხიდან უშგულში ამოვა, ჩვენ ხომ აქ არ ვისხდებითო, გვითხრა ფოტოკორესპონდენტმა და გეზი ახლა უშგულის მესამე უბნისაკენ ავიღეთ. მას თურმე იმ უბანში ღვიძლი ბიძა ჰყოლია... საუბარში გამოირკვა, რომ ლენტეხის რაიკომის მუშაკი უშგულიდან იყო წარმოშობით... დაღამდა, ის მაინც არ ჩანდა... უცებ აივანზე ვიღაც ბიჭუნამ ამოირბინა, ეს-ეს არის ბიძია ბორისი ლენტეხიდან ამოვიდა და გთხოვათ, ოჯახში მესტუმრეთო, მაგრამ ჩვენმა მასპინძელმა თავი გამოიდო, იმ ღამეს ფეხი არსად გაგვადგმევინა.

დილას მე და ფოტოკორესპონდენტი ენგურზე ჩავედით. პირი იქ დავიბანეთ. გადასარევად მოსჩანდა შხარა. მისი მწვერვალები ხეობის ჩარჩოში გოლიათებად ჩარაზმულიყვნენ, თავით ბოლომდე ქათქათა თოვლით იყვნენ ჩამოლესილები, მათი შემპარავი სუსხი ჩვენამდე აღწევდა. მრისხანეა უშბა, თილისმიანია თეთნულდი, მაგრამ შხარა ერთიც არის და მეორეც. ყოველივე ამას ზედ ერთვის მისი საოცარი სილამაზე. ამიტომ ალპინისტები შხარასთან შერკინებაში უფრო მეტად ფრთხილობენ. ამ ფიქრში ვიყავით, რომ ჩვენს წინ, ალაპლაპებულ ბრტყელ ლოდზე ადამიანის ჩრდილი გამოისახა. მივიხედეთ და შავგვრემანი ჭაბუკის ღიმილმა შემოგვანათა თვალებში. უცნობი უფრო ახლოს მოვიდა, ხელი გამოგვიწოდა ჩამოსართმევად, თან ხორხისმიერი ხმით დააყოლა: წუხელ რად მიღალატეთო. მაშინვე მივხვდით, რომ იგი ლენტეხის რაიკომის მუშაკი იყო.

იმ დღეს მის მასპინძლობას ვერ გადავურჩით. თითქოს დანაშაულში დაგვიჭირაო, უხმოდ ვეთანხმებოდით ყველაფერში. უშგულის დათვალიერების შემდეგ ჩვენ უკვე ახალი მასპინძლის ჭერქვეშ ვიყავით. ვიდრე სუფრა გაიშლებოდა, მასპინძელმა თოფი გამოიტანა: აბა, ნიშანში სროლა თუ გეხერხებათო. ენგურის პირას, ოთხსართულიანი კოშკის სახურავზე, მან ნეკის სიმსხოდ ამოსული მეჭეჭიანი არყი დაგვანახა... დაგვანახა და გაჩაღდა სროლაც.

ჩვენს გარდა სტუმრები სხვებიც იყვნენ. უცბად კახური სიმღერა „გუშინ შვიდნი გურჯანელნი" გამახსენდა: შვიდთავ ესროლეს მაგრამა ჯიხვს ერთიც არ მოეკიდა, ესროლა ბერმა პაპამა, ჯიხვი კლდეს გადმოჰყურებდა... მასპინძლის გარდა, ჩვენც სწორედ შვიდნი ვიყავით და შვიდთავემ დავაცდინეთ ნიშანში. ბერ პაპად აბა როგორ ჩავთვლიდით ჩვენს ახალგაზრდა მასპინძელს, მაგრამ ყველას გვაჯობა. ნეკის სიმსხო მეჭეჭიანი არყი მის გასროლაზე მოულოდნელად შეირხა, შეტორტმანდა. ჭაბუკი მასპინძელი მქუხარე ტაშით დავაჯილდოვეთ.

სადილობის შემდეგ მასპინძლის მანქანა ლენტეხისაკენ დაიძრა. გზაში ათასი რამ გვახსენდებოდა. მე პირადად თვალწინ მედგა თამარის კოშკი, რომელიც უშგულის დანარჩენ კოშკებს მაღლიდან დაჰყურებდა. ენგურის მხრიდან კედლის კუთხეში მას დატანებული ჰქონდა გარდიგარდმო მაჯის სიმსხოდ გახვრეტილი ვეება ლურჯი ლოდი. ამბობენ, თამარმეფის ცხენს მეჯინიბე ამ ლოდზე აბამდაო...

მე გამახსენდა აგრეთვე ენგურში მდებარე მწვანე, მოწითალო და ყვითელი ტალებით დატვიფრული ერთი სხვა ლოდიც, რომელსაც ნამდვილ გომბეშოსაგან მხოლოდ თავისი სიდიდით თუ გაარჩევდა ადამიანი. კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში სოფლსაბჭოს თავმჯდომარის ნათქვამი:

— ეგ ფუთა დაჩქელანის ძეგლია. ჩვენ არ შევწუხებულვართ მის გამოძერწვაში, თვითონ ბუნებამ შექმნა მაგნაირი საფრთხობელა. სვანების ნაამაგარით ისიც მაგ გაქვავებულ გომბეშოსავით იყო გასიებული, მაგრამ უბატონო სვანეთს განა ტყუილად ეკუთვნოდა ჩვენი უშგულიც. ყველა ოჯახის მიერ მისხალ-მისხალ შედუღებულმა ერთმა პატარა ტყვიამ სული გააფრთხობინა უშგულის ეკლესიის გალავანში სისხლიან მოძალადეს!..

ახლა, როდესაც თბილისში ვარ და სვანეთში გატარებულ დღეებს ვიგონებ, ჩემი ქვეყანა უფრო ლამაზი, უფრო მდიდარი მეჩვენება და დაჯერებული რწმენით ვამბობ: ვისაც სვანეთი არ უნახავს, მან საქართველო ნაკლებად იცის... ო, როგორ მინდა, აი ამწუთშიც იქ ვიყო, სვანებთან ერთად ვზეიმობდე ცისფერი ეკრანის აციმციმებას თეთრი მწვერვალებისა და შავფიქალა კოშკების მარადიულ სამფლობელოში. გზად ენგურჰესსაც ვინახულებდი თავის სწორუპოვარი კაშხალით, კლდოვანი გვირაბებითა და მიწისქვეშა ელსადგურებით!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

17/30

გურამ გეგეშიძე

# ხმა მღაღადებლისა

რომანი

4.

ახალციხე ხრიოკ ადგილზე იყო გაშენებული. მტუტისფერი ედო აქაურობას. თურქების ნაგებ ციხე-სიმაგრეში ახლა რუსული გარნიზონი იდგა. მოსახლეობის უმრავლესობა ულიმღამო მიწურებში და ბანიან ქოხმახებში ცხოვრობდა, თუმცა აქა-იქ ყაზარმის ტიპის აგურის შენობების შენებაც დაეწყოთ. ჭრელი ხალხი დასახლებულიყო აქ, ქართველები, ნაქართველარნი, სომხები და თურქები ერთმანეთში არეულიყვნენ. სევდის მომგვრელი იყო ეს ცოდვიანი მიწა, ქართველთა მრავალი ჭირისა და ვაების მოწამე. მტკვრის ვიწრო ხეობა და გამოფიტული მრეში ფლატეები იყვნენ მომსწრენი აქედან სამაჰმადიანოში ტყვედ გაყიდული ქალ-ვაჟთა ვარამისა. მაგრამ საღამოობით, როცა ჩამავალი მზე ოქროშერეულ მეწამულად აფერადებდა დასიცხულ მთებს, თავისებური მკაცრი სიმშვენიერე აცოცხლებდა აქაურ მიდამოს.

გლახუნამ და დურსუნამ რესანი ორ თუმნად გაჰყიდეს. ფული გაიყვეს, თითოს თითო თუმანი ერგო. გარიგებული საქმის კმაყოფილნი, მეორე დღეს ახალციხის ბაზარში გამოვიდნენ. აყაყანებულ ხალხმრავალ ბაზარში გლახუნამ უკან რომ მოიხედა, თავისი ამხანაგი ველარ დაინახა. „დურსუნა, დურსუნაო", — უძახდა და საღამომდე ეძება ვიწრო და მტვრიან ქუჩაბანდებში, მაგრამ დურსუნა არსად ჩანდა, მიწამ უყო პირი. ბოლოს რესანის მყიდველ თათარს მიაკითხა, რომლის ეზოს ქვის მაღალი ყორე ჰქონდა შემოვლებული. ტყვეებით მოვაჭრე თათარმა გლახუნას ერთი მაგარი პანღური უთავაზა და გარეთ გამოაგდო, ვინ ოხერი ხარ და აქ რა დაგრჩენიაო. ასე დარჩა გლახუნა მარტო უცხო ქალაქში, უცხო ხალხს შორის, უცხო ენის უცოდინარი, უვიცი, უბირი.

დაღონებული მტკვრის პირას ჩავიდა და ხიდის ყურეში მოკალათდა. წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ დაბრუნებულიყო შინ, საით იყო მისი სამშობლო მხარე. „მგონია, ვიკარგები სხვის ქვეყანაშიო", — შემოეპარა გულში წვერწამახული შიში. რესანის ფასად აღებული ოქროს თუმნიანი, ქისაში შენახული, ღრმად ჩამალა უბეში, მაგრამ რაღად უნდოდა ოქრო და ფული, თუკი აქედან ვერ გააღწევდა. თუმცა ისიც კი გაიფიქრა, მოუკვდა პატრონი

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

2. „მნათობი", № 2.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ.

კეკელას და სილარიბეს, სარფიან საქმეს და მდიდარ ხალხს რომ წავაწყდე, აქანაც გავძლებდი, ბალნები უჩემოდაც დაიზრდებიანო. ამ ფიქრებით გართულმა სიბნელეში ფეხის ხმა გაიგონა. ორი უცნობი მიუახლოვდა, თათრულად ლაპარაკობდნენ. ერთის ხმა დურსუნას ხმას მიამსგავსა და გულში იმედი ჩაესახა. წამოჯდა ყურდაცქვეტილი. ამ დროს უცნობები თავზე დაადგნენ და ბეჭებში კომბალი თხლიშეს. ერთი კი წამოიყვირა გლახუნამ, რას მერჩითო, მაგრამ იმავ წამს ზედ დააცხრნენ, თავზე ტომარა ჩამოაცვეს, ტანსაცმელი შემოაგლიჯეს და იმდენ ხანს უბაგუნეს, სანამ გონი არ დააკარგვინეს. როცა თვალი გაახილა უმოწყალოდ ნაცემნაბეგვმა, ღამეული ცა დაინახა, ლალად მოსრიალე ღრუბლების თეთრი და ლურჯი ლაქებით დატვიფრული. მეყვსეულად ფული მოიძია, მაგრამ ველარ იპოვა თავისი ქისა, გაეძარცვათ გლახუნა იმ ძაღლთაპირ თათრებს. სიმწრისაგან შუბლში იტკიცა ხელი, რავა წყალში ჩამიცვივდა ნაშრომ-ნაღავიო და ხმამაღლა აბღავლდა. იჯდა და იწყევლებოდა ხიდის ყურში, თავზე მტვერს იყრიდა.

სწორედ ამ დროს, გზაზე ლანდმა ჩამოიარა. გლახუნას გოდება რომ გაიგონა, შეჩერდა. ხორცშესხმული კაცი აღმოჩნდა, შემოფლეთილ გრძელ ანაფორაში გახვეული. დაიხარა და ქართულად ჰკითხა:

— ვინ ხარ, რა გატირებსო?

— გლახუნა ვარ, უნდილაძე, წიფლნარიდან. გამძარცვეს და ის მატირებსო!

— წიფლნარი საით არი?

— იმერეთში!

— აქეთ რამ მოგიყვანა?

— გაჭირვებამ.

— ახლა რას აპირებ?

— არ ვიცი!

— მაშინ ადექ და წამომყევი!

ადგა გლახუნა და უკან მიჰყვა იმ უცნობ კაცს.

ეროვნული

ახალციხე დატოვეს და [illegible]რო ხეობას აუყვნენ. ბნელი ღამე იყო, სადღაც ხრიოკებში აფთრები კიოდნენ. მდინარე უდარდელად მოშხუოდა, ცაზე ცივი ვარსკვლავები ცახცახებდნენ. გათენებამდის აიარეს ჩუმად და მერე ერთ გამოქვაბულს შეაფარეს თავი. მიწაზე მიეგდნენ დასაძინებლად. როცა გლახუნას გამოეღვიძა, გამოქვაბულიდან გამოვიდა. მის თვალწინ გადაიშალა სექტემბრის მზით შეყვითლებული ჭალა, სადაც თუთისა და კაკლის უზარმაზარი ხეები იდგნენ. ყავისფერ კლდეებს შორის მოქცეული მდინარე მწვანედ ლაპლაპებდა, შორს, გაღმა ნაპირზე სოფელი იყო, ციცაბო ფერდობზე ტერასებად გაშენებული. ბაღებში ხეხილი ხარობდა, მიწურებიდან ბოლი ამოდიოდა. მეწამული შრეები ზოლებად გასდევდა მთების მორღვეულ უბეებს. აჭარის ულრანი ტყეებისა და სიმწვანის მნახველ გლახუნას აქაურობა განძარცვული და გატრუსული მოეჩვენა. მან გამოქვაბულის წინ, ლოდზე მჯდარი ანაფორიანი გრძელწვერა კაცი დაინახა, რომელსაც უყოყმანოდ მიენდო წუხელ, და ჰკითხა, შორსაა აქედან იმერეთიო?

— შორსაა! — უპასუხა ბერმა.

— შორს თუა, რას წამომიყვანე აქეთ, რას მიპირობ?

— ვინმე ქრისტიან კაცს წავაწყდებით და ჩავაბარებ შენს თავს, ეგებ შინ დაგაბრუნოს.

— სად ვნახავთ ქრისტიანს ამ სათათრეში?

— სათათრეთი კი არა, საქართველოა ეს, — მტკიცედ თქვა ბერმა, — საქართველო იყო და საქართველო იქნება. ხოლო რაც არ უნდა შავი დღე დაგვადგეს, საქართველოში პატიოსანი ქრისტიანი ყოველთვის მოიძებნება!

არ ეჭაშნიკა გლახუნას ბერის სიტყვები, მაგრამ რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იფიქრა, იქნებ მართლაც გამოჩნდეს ვინმე ქრისტიანი და მეშველოს რამეო. პირჯვარი გადაიწერა,

რადგან უსასოოდ დარჩენილს უეცრად მოაგონდა ღმერთი.

— ეს რა სოფელია? — იკითხა მან და გაღმა ნაპირისკენ გაიშვირა ხელი.

— თათრების სოფელია. წინათ, ძმაო ჩემო, ამ მხარეშიც ქართველები სახლობდნენ, მაგრამ ჟამთა სიავემ ამოწყვიტა ნათესავი ჩვენი და ახლა ქართველთა ნასოფლარებს უცხო ხალხი დაეუფლა, — ბერი დინჯად ლაპარაკობდა, თითქოს ქადაგებდა.

სოფლის შუაგულში, ბანიანი სახლის სიახლოვეს, კალოზე პურს ლეწავდნენ. კევრში შებმული ხარები ზანტად ტრიალებდნენ, თეთრპერანგა ბიჭი წინ მიუძღოდა უღელს, კევრზე ფესკიანი კაცი იდგა. ბანზე ჩადრიანი ქალები ისხდნენ, რომელთაც წითელი და მწვანე სამოსი ეცვათ. სოფლისაგან მოშორებით თივით დატვირთული ურემი აღმართზე მიიზლაზნებოდა. იყო სიჩუმე, სიმშვიდე. ჩქამი არ ისმოდა. შორეული უცხო სოფელი მახლობელი და სანატრელი ხდებოდა. გლახუნამ ამოიოხრა და ქვაზე ჩამოჯდა. ბერმა გუდა გახსნა, ხმელი პური და ნივრის გალა ამოიღო, გლახუნას გაუმასპინძლდა. უხალისოდ ილოღნებოდნენ.

— კი მარა, შენ ვინ ბრძანდები? — ჰკითხა გლახუნამ ბერს.

— ბერი ვარ, ზოსიმე მქვია, წმინდა ადგილთა მოსანახულებლად დავიარები.

ბერი ზოსიმე ორმოცი წლისა იქნებოდა. წაბლისფერი თმა-წვერი ჰქონდა, ნამტირალევი კაცივით ჩაწითლებული სევდიანი თვალები, მზერა — თითქოს შიგნით მიმართული. გამხდარი იყო, მათრახის წნულივით აჩნდა ხელებზე ძარღვები. ბოხი ხმა ჰქონდა, მაგრამ ხმადაბლა ლაპარაკობდა. ჭუჭყიანი ანაფორა ეცვა, დაფლეთილი ქალამნები. საღამო ხანს, როცა მზე ჩასასვლელად გადაიხარა, წამოდგა და წასასვლელად მოემზადა. გუდა შეკრა და არგანი აიღო. იგი ვარძიისკენ მიეშურებოდა. ბერ-მონაზვნებისადმი მტრულად განწყობილ არაქართულ სოფლებს დღისით სიარულს ერიდებოდა, გამოქვაბულებში და კლდე-ღრეებში ათევდა ღამეს, ეტყობოდა, არაერთგზის ევლო ამ გზებზე. თან წაიყოლა გლახუნა და გასწია წინ.

შუაღამეზე სოფელს მიადგნენ. ბოხი ხმით ყეფდნენ ავი ძაღლები. ღამის მნათობი შუქს ვერცხლისფერ ფიფქივით ჰფენდა მიდამოს. ძაღლების შიშით სოფელში შესვლა ველარ შებედეს. ველზე ერთი ვეებერთელა ბებერი მუხა იდგა. იმ მუხის ფუღუროში შეძვრნენ და ღამე იქ გაათიეს.

როცა ინათა, ფუღუროდან გამოძვრნენ. სოფლის განაპირა მიწურთან, ვიღაც კაცი ცხენს კაზმავდა.

— ივანე! — დაიძახა ზოსიმე ბერმა და გამოენთნენ სოფლიდან ხმაჩახრეწილი ნაგაზები. მაგრამ, ეტყობა, იცნეს მოხეტიალე ბერი ზოსიმე. შორიახლო შედგნენ, დაცხრნენ.

— შენა ხარ, ზოსიმე ბერო?! — გამოეხმიანა ივანე.

— მაშ ვინ ვიქნები?

— რა სოფელია ეს? — იკითხა გლახუნამ.

— ქართული სოფელია, აქ ჩვენებურები ცხოვრობენ. ასი წლის წინათ, ერეკლემ ამ ადგილას მუსრი გაავლო თურქებს.

— ვინ იყო, შე კაცო, ერეკლე?

— საქართველოს უკანასკნელი მეფე, — ნაღვლიანად უთხრა ბერმა. ამასობაში ივანეც მოახლოვდა და შინ მიიპატიჟა სტუმრები. ერთმანეთი მოიკითხეს.

— ხომ მშვიდობაა? — თქვა ზოსიმემ.

— რაღა მშვიდობაა, ამ ურჯულოების ხელში. გუშინ საქონელი მოგვტაცეს, ახლა მივდივართ, უკან უნდა დავიბრუნოთ.

მართლაც, მიწურებიდან გამოდიოდნენ შეიარაღებული კაცები და ცხენებს კაზმავდნენ. როგორც ჩანდა, ერთმანეთის ძარცვა და აწიოკება აქ ჩვეული

ბად ჰქონდათ თურქებს და მესხებს. მესხების სოფელიც მეზობლად მცხოვრები თურქების სოფელს ჰგავდა. ამათაც დარანისებური მიწურები ედგათ. ეტყობა, კარ-ფანჯრების დატოვება ეშინოდათ, რადგან ყოველწამს ელოდნენ მომხვდურს.

ივანემ თავის მიწურში შეიყვანა მოსულნი. ივანე დროული გლეხი იყო, დიდი ჯალაბის პატრონი. ორი უფროსი ვაჟი უკვე დაექორწინებინა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ერთად ცხოვრობდნენ. როცა სტუმრებმა კარის ზღურბლზე გადააბიჯეს, უფროსი რძალი აკვანში მწოლ ჩვილს ძუძუს აწოვებდა. ივანე სტუმრებს გაუმასპინძლდა. მერე მთელი სოფლის კაცებმა იარაღი აისხეს, ცხენებს მოახტნენ და სადღაც გასწიეს. დარჩა სოფელი მოხუცების, დედაკაცების, ბალღებისა და ძაღლების ანაბარა.

ის დღე გლახუნამ და ზოსიმე ბერმა ივანეს ოჯახში გაატარეს. ღამით ბანზე ავიდნენ, ქეჩები დაიგეს და ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ დაიძინეს. უთენია, ქალების კივილმა გამოაღვიძა გლახუნა. ზეზე წამოიჭრა და სოფლის ბოლოს, დაინახა ოთხი შეიარაღებული თურქი, წყაროზე მომავალ ორ ახალგაზრდა ქალს ხელებს უგრეხდნენ. ეს ქალები ივანეს რძლები იყვნენ, გლახუნამ იცნო ისინი და ისიც დაინახა, როგორ შეისვეს ქალები ცხენებზე და გაიტაცეს მოთარეშეებმა ჭენებ-ჭენებით. ასვეტილი მტვერი თან მისდევდა მხედრებს, ხოლო ზოსიმე ბერი წყევლაკრულვით გარბოდა სოფლიდან მოთარეშეთა კვალდაკვალ.

დედაკაცებისა და ბალღების წიოკობა ზეცას სწვდებოდა. გლახუნამ იფიქრა, ამ უპატრონოდ მიტოვებულ სოფელში კარგი დღე არ დამადგებაო, და ზოსიმე ბერს გაეკიდა, რადგან მისი იმედი ჰქონდა, რაკი თავიდანვე მიანდო ბედი. წამოეწია და იარეს ერთად გახრუკულ ველზე. ერთი გორაკი გადაიარეს, მერე მეორე, და განაგრძეს გზა მეწამულად შეფერადებულ ნარინჯისფერ უტყეო მთების გასწვრივ, ვიდრე შორს მწვანეში ჩაფლულ ნაკვეთებისა და კოხტად მოვლილი ბოსტნების მიღმა, თათრული სოფელი არ გამოჩნდა, ზურნის ჭყვიტინით და დოლის ბრახუნით გაყრუებული. ფრთხილად მიუახლოვდნენ სოფელს, ქარაფზე აძვრნენ, ჩირგვებში გაინაბნენ და იხილეს საოცარი რამ: სოფლის შუაგულში ივანეს რძლები გაეშიშვლებინათ, მიწაზე გაეწვინათ, ირგვლივ კაცები შემოსხდომოდნენ და ტყვე ქალების შიშველ ზურგზე ბანქოს თამაშობდნენ. მოშორებით დაფა-ზურნა ჭყიპინებდა და წრეში ჩამდგარი თათრები დავლურს უვლიდნენ.

— ღვთის რისხვა და ეშმაკის მძვინვარება თქვენს თავს, ამოწყდა თქვენი რჯული და ჯიში! — შეშლილივით დაიღრიალა უცებ ზოსიმე ბერმა, ზეზე წამოიჭრა და სოფლისკენ გავარდა მუშტებმოღერებული, ხოლო შიშისაგან გულგახეთქილმა გლახუნამ ხევში ისკუპა. მან გაიგონა სროლის ხმა და ძაღლების ყეფა, დაფა-ზურნა მიწყდა. მაგრამ ახლა ჩოჩქოლი და გნიასი გაისმა, კიდევ ორჯერ გავარდა თოფი, რაღაცას ყვიროდნენ თურქულად თურქები და მერე, კარგა დიდი ხნის მერე, მინელდა ჩოჩქოლი, კვლავ აჭყიპინდა ზურნა, აბრახუნდა დოლი, კვლავ გაისმა გალაღებული შეძახილები, ეტყობა, კვლავ განაგრძეს თათრებმა ბანქოს თამაში და დავლურის ცეკვა, და გლახუნამ გაიფიქრა, მოჰკლეს საწყალი ზოსიმე ბერიო. პირველად, თავის სიცოცხლეში, ბოლმა მოერია სხვისი შეურაცხყოფისა და უბედურების გამო. ისიც კი მოუნდა, ზოსიმე ბერის მსგავსად გადამშვებულიყო მოზეიმე თურქთა შუაგულში და შეემუსრა ვინმე, მაგრამ არ ჰქონდა გლახუნას ზოსიმე ბერის უჩინარი ძალა და შეუვალი სიმაღლე, ის ვერასდროს ვერ ტოვებდა უბადრუკ ნაჭუჭს, ახლაც მისი მრისხანება დასძლია შიშმა და ამიტომ, როცა სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბნელდა, სამალავი დასტოვა, ხევიდან ამოძვრა და უკანმოუხედავად გაიქცა სადღაც, უგზოუკვლოდ, უმისამართოდ, და სულმოუთქმელად იბრინა ღრანტეებში მანამ, სანამ სიშორემ და სიბნელემ არ შთანთქა და შეისრუტა შემაძრწუნებელი დაფა-ზურნის ხმა. მიწაზე მიეგდო გასავათებული. იმერეთი კი არა, ისიც კი არ იცოდა საით იყო ის სოფელი, წუხელის ღამე რომ გაათია. „ნამდვილად დევიკარგე ამ უცხო ქვეყანაშიო", — გაიფიქრა ნირწამხდარმა და სასოწარკვეთილმა, და მყისვე ჩაეძინა.

მეორე დღეს, ერთი სერი აიარა და ორი მდინარის შესართავთან, მიუდგომელ კბოდზე ალმართული ციხე დაინახა. ეს იყო ხერთვისის ციხე. ციხის ძირში რამოდენიმე მოსახლე ჩანდა, მაგრამ ვერ ჩაბედა გლახუნამ ქვემოთ ჩასვლა. პატარა მდინარეს საურმე გზა მისდევდა, გზაზე ცხენებშებმული ფორანი მირახრახებდა. გლახუნამაც აქეთ არჩია წასვლა. მან არ იცოდა სად იმყოფებოდა, საით აელო გეზი, საითაც რუსული ფორანი მიდიოდა, გულმაც იქეთ გაუწია. ხევი აიარა და უზარმაზარ დახრამულ ზეგანზე ავიდა. სადაც უსასრულოდ გაჭიმულიყო ყვითლად მოღაღანე პურის ყანები. ყანებს ჭრელტანსაცმლიანი მომკელები შესეოდნენ. ჯაგებიდან მწყერი ამოფრინდა და ცას შეასკდა. სექტემბრის თბილი და კამკამა დღე იდგა. ჰაერში გრატა ჩიტების სტვენა ისმოდა. ლომის ზურგივით მბზინავ ზეგანზე ჭადრაკის პაიკებივით ეწყო თივის ზვინები. ეს რა ბარაქიანი ადგილი ყოფილაო, გაიფიქრა გლახუნამ, რომელსაც არასოდეს ენახა ამდენი ხვავი.

მდინარის მაღალ ნაპირზე ქალაქი იყო გაშენებული, რომლის შუაგულში ეკლესიის გუმბათი მოჩანდა, ხოლო განაპირას, რუსული ყაზარმები. ყაზარმების წინ თეთრხალათიანი ჯარისკაცები სამწყობრო ნაბიჯით დაიარებოდნენ. ფორანი კი, რომელსაც გლახუნა წამოჰყვა აქეთ, ალმართზე აბობღდა და ქალაქში შეხრიგინდა. საქრისტიანო უნდა იყოს აქო, გული დაუმშვიდდა გლახუნას და ქალაქისკენ დაიძრა.

შევიდა გლახუნა ქალაქში და იბორიალა მტვრიან შუკებში. ეს ხალხი, ეტყობა, ვაჭრობას და ხელოსნობას მისდევდა, პატარა ქალაქში ბევრი დუქანი და სახელოსნო იყო. ერთ ადგილას, ოქრომჭედლის დუქნის წინ, ვიღაც დაბალ, შავგვრემან და ხუჭუჭთმიან სომეხს ურმით ყურძენი მოეტანა და ქუჩაში ჰყიდდა. ყურძენს ბზუილით ესეოდა ფუტკარი, მყიდველებიც ყაყანებდნენ. ასეთი ყურძენი, გრძელმარცვლებიანი დიდი ქარვისფერი მტევნებით, პირველად ნახა გლახუნამ და გაოცდა, რადგან ბუჩქის ნასახი არ ჩანდა ამ მხარეში, ნეტა სადა აქვთ ვენახებიო. შიმშილისგან გული უყანცალებდა, მაგრამ სამათხოვროდ ხომ ვერ გაიმეტებდა ხელს. იქაურობას გაეცალა და დიდხანს იხეტიალა ქალაქის ქუჩებში, იხეტიალა და როცა ვერსად გაიგონა მშობლიური სიტყვა და ვერც თავისი შეასმინა ვინმეს, ეკლესიის წინ, კედლის ჩრდილში ჩამოჯდა. გზაზე გრძელულვაშებიანმა, ლოყებღაჟღაჟა უნტეროფიცერმა ჩამოიარა, ყაწიმზე ჩამოკიდებულ ხმლის ბოლოს მტვერში მიათრევდა, სამიკიტნოში შევიდა და არაყი გადაჰკრა. გლახუნას კუჭი უხმებოდა, თავბრუ ესხმოდა. მეორე დღე იყო პირში ხემსი არ ჩაედო. უაზროდ მისჩერებოდა სივრცეს. ვიღაც ორი კაცი, მესავით ჩამობღარდნილი და გაბურძგნილი, გვერდით მოუსხდნენ, აქეთი-იქედან. თავზე დაფლეთილი ბოხოხები ეხურათ. ლაპარაკი დაუწყეს, მაგრამ გლახუნას არც სომხური ესმოდა და არც თათრული. „გლახუნა ვარ, უნდილაძე, წითლნაროდანო", ეუბნებოდა, მაგრამ არც იმათ ესმოდათ გლახუნას ენა. ეს კაცები ისე მიეკვრნენ გლახუნას, ისე შებოჭეს, რომ ხელის განძრევის საშუალება მოუსპეს და ახ-

ლა უბეში და ჯიბეებში დაუწყეს ფათური. გაოცდა გლახუნა. ჩემისთანა გლახაკს რა უნდა ჰქონდეს, გაძარცვას რომ მიპირებენო. გაჰკრა იდაყვები მაწანწალებს და ზეზე წამოვარდა. მაგრამ ყვირილით წამოცვივდნენ ისინიც და მხრებზე ჩამოეკიდნენ. ჩოხის გახდა მოუნდომეს. კიდევ უქიმუნჯა გლახუნამ და მოიშორა. მაგრამ ერთ-ერთმა სახრე დასცხო ბეჭებზე. ამასობაში, მთვრალი ჯარისკაცი გამოვიდა სამიკიტნოდან და გლახუნა მისკენ გაიქცა. სახელოზე წაავლო ხელი. „მიშველე, მძარცვავენ ეს უპატრონოები!"

— წადი, შენი დედაცო! — პანღური ამოსცხო ჯარისკაცმა გლახუნას და აშმორებულ, ლეყეპომოდებულ გუბეში ჩააგდო. სამიკიტნოდან გამოსული მიკიტნები ახარხარდნენ. სეირის შემყურენი. ჯარისკაცმა სიმღერით გააგრძელა გზა. წაქცეულ გლახუნას კიდევ უთავაზა სახრე ერთ-ერთმა გლახამ და მერე ორივენი წავიდნენ, მიატოვეს იავარქმნილი, სასწარკვეთილი, თავსლაფდასხმული.

წამოდგა გლახუნა და წალასლასდა ქალაქიდან. შმორის სუნი სდიოდა. სიმწრით გაეცინა საკუთარ თავზე. გაკეთებას ვაპირებდი და მთლად არ დავგლახაკდიო?! ქალაქიდან გამოვიდა და გატრუსულ ფერდობზე სასაფლაო დაინახა. მართკუთხა საფლავის ლოდები მძიმედ აწვნენ მიწას. სასაფლაოს ბოლოში, ნახევრად დანგრეული ბომონი იდგა. ორი შტოებდამტვრეული ფიჭვი სევდიანად დასცქეროდა ნანგრევებს. მილასლასდა გლახუნა იმ ულიმღამო ბომონთან და კედლის ძირში მიეგდო. მზე ჩავიდა და სასტიკად აცივდა. იწვა გლახუნა დაფლეთილ ჩოხაში გახვეული და ძაგძაგებდა. არაფერი ენატრებოდა. არაფერი ახსოვდა, არც არაფერზე წუდებოდა გული. სადღაც, შორს ურემი მიჭრიალებდა. მეურმე მღეროდა, ალბათ, ამ კაცს ემღერებოდა. ძალაუნებურად ყურს უგდებდა გლახუნა მოახლოებულ სიმღერას და ერთბაშად, თითქოს ელდამ დაჰკრაო, ზეზე წამოიჭრა, რადგან მშობლიური სიტყვები გაიგონა.

ურემო ფერსომალალო,
ღერძი გიყრია გიშრისა,
გადადი, გადაამტვრიე,
რომელი სოლიც გიშლისა.

მღეროდა მეურმე, შავი კამეჩები ზანტად მოაჭრიალებდნენ ურემს, მოჰქონდათ იმედი და შვება. გლახუნას ტირილი აუვარდა. გზაზე გამოვიდა და დაიბღავლა:

— ქართველი ხარ, შენი ჭირიმე?!

— ქართველი ვარ! — შეაყენა ურემი ახალგაზრდა შავქოჩორა მეურმემ და ძირს გადმოხტა. გლახუნა მუხლებზე დაემხო და ფეხებზე შემოეხვია, თითქოს ეშინოდა არსად გამექცესო.

— მიშველე რამე, შენი ჭირიმე, ვილუპები ქრისტიანი კაცი!

მეურმემ გლახუნა წამოაყენა და ურემზე დასვა.

— ნუ გეშინია, არ დაგღუპავ! — უდარდელად უთხრა, კამეჩებს სახრე გადაჰკრა და სიმღერა განაგრძო.

5.

ასე გადარჩა გლახუნა უნდილაძე. იმ დალოცვილმა ჯავახელმა გლეხმა თავის სოფელში მიიყვანა. ერთი კვირა ფიჭიანი თაფლით და ნალებიანი რძით კვებავდა. რძე და გოლეული მოუხდა გლახუნას, ჯანზე მოვიდა და მაშინ ქართლს მიმავალ მეცხვარეებს ჩააბარეს მასპინძლებმა, რადგან ქართლიდან იმერეთის გზის გაგნება უფრო იოლი იყო. გამოყვა გლახუნა მეცხვარეებს. გადაიარეს ტაბაწყურის ტბა, ქციის სათავეებთან მცირე ხანს აძოვეს ცხვარი, მერე თრიალეთის ლივლივა ქედებს დაუყვნენ და თეძმის ხეობაში ჩამოვიდნენ. რკონის მონასტერთან შესასვენებლად შეჩერდნენ. წიფობისთვე იწურებოდა. ტყეებს უკვე ეცვალა ფერი, ოქროს ფულივით ეყარა მიწაზე ჩამოცვენილი ფოთოლი. მწიფდა ასკილი, კუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, მოცვი. მდოგვისფერი ფერდობები ვიწრო ხევებში და ღრმა ხეობებში იკარგებოდნენ. გალიგვებულ მთების წვერებზე მინანქარივით ბრჭყვიალებდა ნაადრევი თოვლი. მონასტერში მხოლოდ ერთი სიტყვაძუნწი ბერი იყო და ისიც მცხეთაში წასასვლელად ემზადებოდა. მეორე ბერიც ყოფილიყო აქ, მაგრამ წინა კვირას მოეკლათ ყაჩაღებს. ის ბერი, ძველი მონასტრის პირდაპირ, მთის წვერზე აგებულ საყდარში დაყუდებულიყო. ყოველ კვირას ადიოდა თურმე მასთან რკონელი ბერი, ქერის პური და თაფლი აჰქონდა. მცირე ხანს იბაასებდნენ და მერე მთელი კვირით შორდებოდნენ ერთმანეთს. გუშინაც ასულიყო და დაყუდებული ბერი თავგაჩეხილი ეპოვა კლდეში გამოჭრილ ვიწრო სენაკში. ეტყობა, მონასტრიდან გადამალული განძი ეგულებოდათ იქ უცნობ ყაჩაღებს. საყდარი გაეძარცვათ, ბერი მოეკლათ და წასულიყვნენ. ვინ იცის, იქნებ, მართლაც ინახებოდა რომელიმე სამალავში მონასტრის სიმდიდრე? შეწუხებული სახით ჰყვებოდა ამ ამბავს რკონელი ბერი, რომელსაც უბედური მოწამე მთის წვერზე დაემარხა, იმ გამოქვაბულის წინ, სადაც ის ცხოვრობდა და მარტვილობდა, და ახლა თვითონ მცხეთას წასვლას აპირებდა, რათა ეპისკოპოსისთვის შეეტყობინებინა ეს სამწუხარო ამბავი. მეცხვარეებმა თხოვეს, ეს იმერელი კაციც თან წაიყოლე, ვინძლო როგორმე შინ გაისტუმრო. წამომყვესო, თქვა ბერმა. მეცხვარეებს შორი გზა ჰქონდათ სავალი, სანამ ბარში ზამთრის საძოვრებზე დაეშვებოდნენ. გლახუნა ბერს ჩააბარეს და დაემშვიდობნენ.

რკონელი ბერი და გლახუნა ხეობას დაუყვნენ. მართალია, მეცხვარეებმა დიდი პატივი დასდეს, გზააბნეული გზაზე დააყენეს, უიმედოს იმედი მიაგეს, ასვეს და დააპურეს, მაგრამ გლახუნას მაინც გაუხარდა მათთან დაშორება, რადგან ისეთი კაცი იყო, იოლად სხვას ვერ ეგუებოდა. გულის სიღრმეში გლახუნას აღიზიანებდა მათი წესები და ჩვევები, მათი განსხვავებული ქართულიც კი ნაკლად მიაჩნდა და ზოგჯერ, იმ მგზავრობისას, გესლიანი სიტყვისაგან თავს ვერ იკავებდა, დასცინოდა თავის პატივისმცემლებს. გამომშვიდობებისას, გლახუნამ ულრმესი მადლობა გადაუხადა მეცხვარეებს, თქვენს ამაგს რა გადამახდევინებსო, მაგრამ მადლიერების გრძნობა არ დარჩენია. კიდევ კარგი ეს ბერი შემხვდა, აყროლებულ ცხვრის სუნს მაინც ჩამოვიშორებო. გლახუნა დაუნანებლად დაშორდა მეცხვარეებს და მიჰყვა ბერს. ბარგი არაფერი ჰქონდათ, რიყეზე მსუბუქად მიაბიჯებდნენ. შუადღე იყო, ყინულივით მოკრიალებულ ცაზე შემოდგომის ძალგამოცლილი მზე ფეთქავდა. ჩრდილში ძალზე ციოდა. ყოველ ნაბიჯზე ნასაყდრალები, ნაციხარები და ნასოფლარები მოჩანდა. ერთ პიტალო კლდეზე ისეთი მიუვალი ციხე იდგა, რომ გლახუნა გაოცდა, ფრენით ხომ არ ადიოდნენ იმ სიმაღლეზეო. მზე თანდათან ჩადიოდა და ალანძული მთების წვერები ფერს კარგავდნენ, მუქდებოდნენ.

ციხეს რომ გასცდნენ, შემოაღამდათ. მღვრიე ბინდბუნდში სოფელი გამოიკვეთა, მთის მორღვეულ უბეში მყუდროთ შეყუჟული და კენარი ალვის ხეებით შემოსაზღვრული. პატარა ბიჭი და თავსაფრიანი დედაკაცი ძროხას მიდენიდენ სოფლისაკენ. მცირე მანძილი რომ გაიარეს, ორი ლანდი დალანდეს ველზე, ცხენებს მიერეკებოდნენ სადღაც. „ჰეი, ქიტესო, საით გაგიწევია? გამოეხმაურნენ ისინი, მაგრამ ბერს და გლახუნას ხმა არ გაუციათ, რადგან არც ერთი იყო ქიტესო და არც მეორე. კარგა ხნის მერე ტყეს ჩაუარეს, იქედანაც გაისმა ტყის მჭრელების ხმა, ურემს ტვირთავდნენ. მერე კი ისეთი უკუნი ჩამოწვა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი, და ამ უკუნში ჩუმად მიაბიჯებდა ბერი, გლახუნას კი დამზრალი

ხელები უბეში ჩაეყო და ძალისებური ძუნძულით მისდევდა.

ასე იარეს მდინარის გასწვრივ. გლახუნას იმედი ეწურებოდა, რადგან კვლავ ღამე იდგა, კვლავ უცნობ ბერს მისდევდა სადღაც, და ეგონა, კვლავ განმეორდებოდა ერთხელ უკვე გადატანილი შავი დღეები და თეთრი ღამეები, მაგრამ ამჯერად გაუმართლა იმედმა, ერთ ადგილას ბერმა ფონი მონახა, მდინარეზე გადავიდნენ და სოფლის ორღობეებს შეჰყვნენ, სადაც იდგა მშვიდი სუნი ნამჯის, საქონლისა და ბოსტნისა. ხოლო სოფლის შუაგულში მოჩანდა ეკლესია, რომლის კარიბჭეს მიადგა ბერი და ეკლესიის ეზოში, გალავნის კედელზე მიშენებული ქოხის კარი დააბრახუნა. კარი გაიღო და ისინი ჭრაქით განათებულ დერეფანში შევიდნენ.

ეს სოფელი — ერთაწმინდა იყო, მასპინძელი კი — სოფლის მღვდელი. მღვდელმა და ბერმა იმ ღამეს ბევრი იბაასეს, ყაჩაღებისგან მოკლულ მოწამეს იგონებდნენ და სწუხდნენ. უფრო მეტად მღვდელი ლაპარაკობდა, ბერი იშვიათად ჩაურთავდა სიტყვას. ვახშამს რომ მორჩნენ, მღვდელმა გლახუნას თავისი ამბავი გამოჰკითხა, ვინ ხარ, რა კაცი ხარო? გლახუნამ უამბო, რაც თავს გარდახდა. საქონელი წავასხი გასაყიდად ახალციხეს, მაგრამ ამხანაგმა მიღალატა, გამძარცვეს, ამწიოკესო. ახალციხის მერე რაც შეემთხვა, სწორად, დაწვრილებით მოყვა. მღვდელი ოხრავდა, თვალზე მომდგარ ცრემლს იწმენდდა, ასპინძელი ივანეს რძლების ბედზე დიდად დაამწუხრა.

— უბედური ერი ვართ, ყველა ჩვენ გვძიძგნის და გვწიოკებს, — თქვა მან.

ნახევრად ბნელ ქოხში ჭრაქის ალი ფართხალებდა. მოღლილი ქარი მოაწვა ფანჯრებს. წვიმამ გზააბნეული მგზავრივით მოუკაკუნა მინას. სახურავზეც გაისმა წვიმის შხაპუნი. მღვდლის მეუღლე, გრძელცხვირა დედაკაცი, მონაზონივით შავებში გახვეული, ოთახის კუთხეში სკივრზე იჯდა გაოცებული და მაგიდის ირგვლივ შემომსხდარ კაცებს მისჩერებოდა.

— მღვდელო, მხოლოდ მოთმინებაა ჩვენი ხვედრი ამ ცოდვილ მიწაზე, — შეახსენა ბერმა.

მღვდელმა თავი დაუქნია, პირჯვარი გადაისახა და ზემოთ აღაპყრო მზერა.

დაილოცოს უფალო სახელი შენი, გამოუცნობია ნება შენი, აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი.

— როცა მღვდელი ლოცვას მორჩა, გლახუნამ გესლიანად ჩაიქირქილა.

— რა გაცინებს, კაცო? — გაკვირვებითა და წყენით ჰკითხა მღვდელმა.

— სულ მოთმინება, ბატონო, არ არის ადვილი. შინ რომ მივალ, ჩემს მშიერ ცოლ-შვილს რაფერ ვუთხრა, მეითმინეთ-მეთქი?! — გესლიანად იღიმოდა გლახუნა.

— მიხვალ კი შინ? — თვალი თვალში გაუყარა გლახუნას ბერმა, — ღმერთმა მშვიდობით დაგაბრუნოს შენს ოჯახში, მაგრამ არავინ იცის ვის რა მოელის.

მისი მზერა იყო ისეთი გამსჭვალავი და უნდო, რომ გლახუნას შიშის ციებამ ერუანტელმა დაუარა, ერთბაშად დაცხრა, მოიკუნტა, სახე საწყლად დაემანჭა.

— არ ყოფილა საშველი, — საწყალობლად თქვა. მღვდელს შეეცოდა და მხარზე ხელი დაადო.

— ნუ გეშინია, გლახუნა, შენც გეშველება რაიმე. მატარებელში ჩაგსვამ და გაგისტუმრებ. ერთი ღარიბი მღვდელი ვარ, მეტი არაფერი შემიძლია.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს მამაო, თუ მაგ სიკეთეს მიზამ, შენს სახელს სიკვდილამდე ვილოცებ, — იმედის შუქი გადაეფინა ბერის სიტყვებით შეშფოთებულ გლახუნას, წამოიწია და მღვდელს ხელზე აკოცა.

— ჩემს სახელს კი ნუ ილოცებ, არამედ შეძლებისდაგვარად აჭამე მშიერი და ასვი მწყურვალი, შეიწყნარე უცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, მოიკითხე სნეულნი, განმართე დაბრკოლებანი, ნუგეში ეცი მწუხარეთ. ღმერთი შეგიწყნარებს, — უთხრა გლახუნას მღვდელმა, მაგრამ ეს კეთილი სიტყვები მისი, იყო ვითა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამის შემდეგ მღვდელი წამოდგა. მეტი აღარ ულაპარაკიათ. იმ ღამეს, გლახუნას დერეფანში დაუგეს ლოგინი. სანამ დაწვებოდა, გლახუნამ კარი გამოაღო და გარეთ გაიხედა. წვიმიანი ბურუსი გადაჰფარვოდა სოფელს, შორიდან ჭოტის კივილი ისმოდა.

მეორე დილით, უთენია გამოეღვიძა. წვიმას გადაეღო. ბერი უკვე წასულიყო მცხეთას. გლახუნას ეწყინა, რათ არ დამიცადა მაგ პირშავმაო, მაგრამ თან გაუხარდა, რადგან წუხანდელი ეჭვის შემდეგ, რომელიც ბერმა გამოთქვა, ამ ადამიანის მოგონებაც კი აღარ სიამოვნებდა. ქოხიდან კარში გამოვიდა და ეკლესიის ეზოში, ერთ-ერთი საფლავის ლოდზე ჩამოჯდა. შემოდგომის ცივი დილა იყო, მაგრამ ცა ისე იწმინდებოდა, ჩანდა ტაროსი შეიცვლებოდა. ამასობაში, მღვდელიც შემოვიდა გალავანში, თან ერთი კაფანდარა, ხანშიშესული გლეხი მოიყვანა, რომელიც თოქმავირზე იჯდა, და გლახუნას გააცნო.

— ამ კაცს კიკოლა ჰქვია, ძეგვში მიდის საქმეზე. წაჰყე, ჩაგიყვანს იქა და მატარებელში ჩაგსვამს.

მღვდელმა გლახუნას სამგზავრო ფული მისცა და პირჯვარი გადასწერა. გლახუნამ მადლობა გადაუხადა ერთაწმინდელ მღვდელს, ხელზე აკოცა, გამოემშვიდობა და კიკოლას გაჰყვა.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მზე ამოვიდა, ამობრჭყვიალდა. ცა გაკრიალდა. ჩირგვნარით დაფარულ დახორკლილ გორაკებზე დაეშვნენ, ხრამები და ღელეები გადმოიარეს, დამწიფებული ხილით დახუნძლული ბაღები და შემოდგომის ოქროსფერ რინდში ნებიერად მთვლემარე სოფლები ჩამოიტოვეს და ნაშუადღევს ძეგვს მიაღწიეს. კიკოლამ სადგურში მიიყვანა გლახუნა, მატარებლის ბილეთი აალებინა, მერე გამოემშვიდობა და თავის საქმეზე გასწია. გლახუნა მარტო დარჩა. ხელსახოცში გულდასმით გამოკრული ბილეთი უბეში შეინახა. შვება იგრძნო, მგონი, საშველი დამადგაო, თვალი მოავლო ბაქანს. ჩინოვნიკის ფორმიანი შავგვრემანი მაღალი კაცი, ჩოხიანი მოხუცის თანხლებით აქეთ-იქით დასეირნობდა, რაღაცაზე დინჯად საუბრობდნენ. დაბალი, ჯმუხი რკინიგზელი მატარებლის მომლოდინე გლეხებში ჩამჯდარიყო და გულიანად იცინოდა. ლიანდაგის მიღმა მდინარე მტკვარი მიედინებოდა. გაღმა ნაპირზე, მთებში შეჭრილ ჭალაში, შიომღვიმის მონასტერი მოჩანდა, რომელსაც გამოთხრილი თვალებით დასცქეროდა ზემოდან ფრიალო კლდის მორღვეულ ტანზე გამოჭრილი შავი გამოქვაბულები. მაღლიდან მომავალი მდინარე ერთ ადგილზე ვიწროვდებოდა, სწორედ იმ ვიწროზე რკინიგზის ხიდი იყო გადებული, იქვე, რიყისკენ შეჭრილ ქარაფზე. ნაცრისფერი ნაციხარი იდგა. მდინარე თავქვე მიიჩქაროდა, შორს, ლივლივა სივრცეში, ცაში ატყორცნილი ტაძარი გამოკვეთილიყო, ვერ გაიგებდი მყარზე იდგა თუ ძაფზე ეკიდა. შინ დაბრუნების იმედით გახალისებულ გლახუნას ცნობისწადილი გაეღვიძა და ყურადღებით ათვალიერებდა გარემოს. ნაციხარების და ნასაყდრალების სიჭარბე აკვირვებდა, დიდად უცნაურ ქვეყანაში მოვხვდიო, ფიქრობდა, აქაურ ხალხს ციხეებისა და ეკლესიების შენების მეტი სხვა საქმე არა ჰქონიაო. მან გლეხებთან მჯდარ რკინიგზელს მიაშურა და მატარებელი როდის მოვაო, ჰკითხა. ერთ საათშიო, მიუგო რკინიგზელმა.

რა ბედენა იყო ერთი საათი, მეტადრე ამდენი წვალების შემდეგ, მაგრამ გლახუნას მოუთმენლად შეეკუმშა გული. მატარებლის მოსვლამდე დარჩენილი დრო უსასრულოდ გაჭიმულ საუკუნედ მოეჩვენა. ლიანდაგზე გადავიდა, მდინარისკენ გასწია, კლდის პირზე დადგა და ზემოდან დახედა მძლავრად

მომავალ მტკვარს. მდინარის კამკამა, მომწვანო ზედაპირზე სანოვაგით დატვირთული ტივი მისრიალებდა, მეტივეები ორთაყვირებს უსვამდნენ, ალბათ ქალაქისკენ ჰქონდათ გეზი აღებული სავაჭროდ. როცა ტივი თვალს მიეფარა, გლახუნამ ბილიკი მონახა, მაგრამ სლიპზე ფეხი ვერ მოიკიდა და ჩასრიალდა ქვემოთ. ბილეთი მოსინჯა, დამშვიდდა, მოვა ის უპატრონო მატარებელი, აბა, რა იქნება. მიწაზე დაჯდა, ქალამნები და წინდები გაიხადა, ფეხები ცივ წყალში ჩაჰყო. ფეხს ფეხს უსვამდა, იბანდა. იჯდა კმაყოფილი და იმედიანი. ისე ავიწყდებოდა გადატანილი წვალება, როგორც სიზმარში ნანახი ავი ზმანება. თანდათან შორდებოდა ნახევარი წლის მანძილზე განცდილ განსაცდელს და მთელი არსებით უახლოვდებოდა საკუთარ ქოხს. თავისი ეზო-კარმიდამო ისე ცხადად წარმოუდგა თვალწინ, ისე ახლოს, თითქოს სამუშაოდან მობრუნებული ნელ-ნელა უახლოვდებოდა მას, და როცა შორიდან მატარებლის კივილი მოესმა, კეთილის მომასწავებელი კივილი, გული ძალუმად აუჩქროლდა და ზეწამოიჭრა, მაგრამ სლიპზე ფეხი დაუცურდა და ტყაპანი მოადინა მორევში. და ვინაიდან გლახუნამ ცურვა არ იცოდა, ტყვიასავით ჩაიძირა, თუმცა ერთხელ მაინც ამოჰყო წითური თავი და აასავსავა, „რკონელო ბერო, შენი დედაო...“ წამოიყვირა, მაგრამ უკანასკნელი შეგინება ვეღარ მოასწრო, ისევ ჩააყურყუმალა ძლიერმა ტალღამ, გაიტაცა, დაუძლეველ სიმკვრივედ დააწვა, ჩაიძირა, წამით კვლავ გამოჩნდა კამკამა წყლის ზედაპირზე გვალვიან მიწასავით დამსკდარი ხელისგულები წყალწაღებული კაცისა, მაგრამ ახალმა ზვირთმა წაშალა კვალი, იქ კი, ზემოთ, მყარზე, საიდანაც არ ჩანდა მდინარის ნაპირი, მატარებელი ჩამოდგა სადგურზე.

ორთქლმავალი ქშინავდა, სარკმელში თავგამოყოფილი მემანქანე რაფაზე გადმოწოლილიყო და ყვითელქუდიან რკინიგზელს ელაპარაკებოდა. რამდენიმე წუთის წინ, გორისკენ მიმავალ გლეხებთან იჯდა მხიარული ბაასით გართული, ახლა კი ორთქლმავალთან იდგა და თავაწეული მემანქანეს უყურებდა.

— რა ამბავია, ქალაქში, ვანო? — კითხულობდა რკინიგზელი.

— რა უნდა იყოს, წვიმდა გუშინა. — მემანქანე ხელებს ჭუჭყიანი ჩვრით იწმენდდა. გლეხები მესამე კლასის ვაგონისკენ გარბოდნენ, მათ ფეხქვეშ მიწაყრილის ღორღი ხრაშუნობდა.

— ბიჭო, ნასყიდავ, რა უყავ ი ტომარაი?

— მომაქვს, კაცო. აბა, ჩქარა ადი, მოგაწოდო!

ჩინოვნიკის ფორმიანმა შავგვრემანმა კაცმა თავის თანმხლებ მოხუცს ხელი ჩამოართვა და მეორე კლასის ვაგონში ავიდა. მატარებელმა გააცოცხლა ეს მიყრუებული მიდამო. სადგურის უფროსი ბაქანზე გამოვიდა, საათს დახედა და ზარს ჩამოჰკრა. ორთქლმავალთან მდგარმა რკინიგზელმა ყვითელი ალამი აღმართა და მემანქანეს გზა დაულოცა.

— კარგად იყავ, ვანო!

— იცოცხლე, შაქრო!

მატარებელი ნელა დაიძრა. ერთ-ერთი ვაგონის ფანჯარაში ახოვანი, წვეროსანი საზღვაო ოფიცერი იდგა, მომხიბლავ რუსის ქალთან ერთად, და ლიანდაგთან მდგარ მწყემს ბიჭს უყურებდა. ეს ბიჭი არასოდეს მჯდარა მატარებელში. შვინდის სახრე მხარზე გაედო, ბოლოები ორივე ხელით ეჭირა, საქონელი რკინიგზის პირას ბალახობდა. მატარებელი კი თანდათან სვლას უმატებდა, აგე, ხიდისკენ გაუხვია, ბოლო ვაგონიც თვალს მიეფარა და კვლავ მიჩუმდა, ჩაყრუვდა არე-მარე, ბორბლების გრუხუნით და ორთქლმავლის ქშენით ახმაურებული და გაცოცხლებული. პატარა მენახირემ სოფლის ნახირი მდინარისკენ გარეკა, მან იცოდა სადაც იყო წყალი თავთხელი. როცა საქონელმა წყურვილი მოიკლა, ბიჭმა ნაპირნაპირ გარეკა ძროხები. მერე მწყემსმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ადგილზე ოფლიანი წინდები და გაცვეთილი ქალამნები შენიშნა. სახრე წაჰკრა, ნეტა ვის დარჩენიაო. მას არასოდეს ენახა გლახუნა, მისი არსებობაც არ გაეგონა და საიდან უნდა მიმხვდარიყო, რომ ეს გლახუნას ქალამნები იყო, რომელსაც ზედ შეხმობოდა იმერეთის, აჭარის, მესხეთის, ჯავახეთის და ქართლის მიწა.

მატარებელი კი აღმა მიუყვებოდა მდინარეს, რომელმაც გლახუნა უნდილაძე ჩაითრია და საღლაც ქვემოთ, ქვესკნელში წაიღო. მატარებელი ყველა სადგურზე ჩერდებოდა, ზოგან დიდხანს, ზოგან მცირე ხანს, ორთქლმავალი ქშინავდა, კიოდა, მიათრევდა ვაგონებს მთებით შემოსაზღვრულ ქართლის ველებზე, მგზავრები ჩადიოდნენ, ამოდიოდნენ, ზოგს კი ეძინა, რადგან ბინდმა დაფარა ქვეყანა და ისვენებდნენ ისინი, ვისაც შორი გზა ედო, მხოლოდ მემანქანე ფხიზლობდა, მემანქანე, კონდუქტორები. მკრთალად განათებული სადგურების წინ მდგარი რკინიგზელები, მორიგეები, ტელეგრაფისტები, მეისრეები, წყვდიადი გარს ეხვეოდა დაუღალავად მიმავალ მატარებელს, რომელმაც გაიარა წიფის გვირაბი და იმერეთის ვიწროებში მიიკლაკნებოდა. ხოლო ღამე, მრუმე, ხენეში ილეოდა, იფერფლებოდა, ფერფლისფერი ალიონი გამკვრივებულ წყვდიადს თანდათან სძლევდა და როცა აჯამეთის ტყის შუაგულში შეგრუხუნდა მატარებელი, საბოლოოდ დაიფლითა ღამის ფარდა, აციმციმდნენ სინათლეები მღვრიე ბინდბუნდში, დილის სუსხი შემოიჭრა ვაგონებში, გამოეღვიძათ მგზავრებს, ჩაიცვეს და დაიბანეს, ჩასასვლელად მოემზადნენ, ფანჯრებს მიაწყდნენ, საიდანაც ჩანდა მთები, ტყეები, მდინარეები, ნაყანარები, ახოები, ტელეგრაფის ბოძები, მტვრიანი გზები, გზაჯვარედინებთან მდგარი ურმები, ჩიხში ჩაყენებული ვაგონები და მაზუთისა და ნახშირის სუნით გაჟღენთილი მოშიშინე ორთქლმავლები: იცლებოდა და კვლავ ივსებოდა ვაგონები, მატარებელი მიდიოდა თავისი გზით, როგორც ყოველი არსი ცისქვეშეთში, და როცა სამტრედიის ხალხმრავალ სადგურზე გაჩერდა, პირველი კლასის ვაგონიდან ახოვანი, წვეროსანი საზღვაო ოფიცერი გადმოვიდა, ქამარზე მოოქროვილი დაშნა ეკიდა, ხელი გაუწოდა შავკაბიან, მანტომოსხმულ ქალს, მაღალ კიბეზე ფრთხილად ჩამოიყვანა, თითით მოუხმო მებარგულს, ვაგონში აგზავნა და ორი დიდი ჩემოდანი ჩამოატანინა, სადგურის უკან გამოვიდა, ეტლი დაიქირავა, ბარგი დააწყო, თვითონაც ჩაჯდა იმ ლამაზ რუსის ქალთან ერთად და წიფლნარისკენ გაუდგა გზას.

ეს კაცი ბეგლარ ნიგურიანი გახლდათ, ხოლო შავებში გამოწყობილი ქერა რუსის ქალი — მისი მეუღლე.

6.

ბეგლარი შეცვლილი იყო, გრძელი წვერი მოეშვა, საფეთქლებთან თმა გაჭაღარავებოდა. კარგა ხანია არ ენახათ ბეგლარი წიფლნარში. ამ ხნის განმავლობაში ოჯახში ბევრი რამ შეიცვალა. ბესია დავაჟკაცდა, დაცოლშვილდა. ლანირელი ქალი გაურიგეს, სახელად მაიკო. ქალი შეძლებული ოჯახიდან იყო და კარგი მზითევიც მოჰყვა, მაგრამ შესახედაობა არ უვარგოდა, ოდნავ კოჭლობდა. მუყაითი, გამრჯე ქალი გამოდგა და მიუხედავად იმისა, რომ კოჭლი იყო, მაინც კარგი ფეხი შემოდგა ახალ ოჯახში, ნიგურიანებს საქმე უკეთ წაუვიდათ. ბესიამ ოდა-სახლი დაიდგა, მალე შვილებიც შეეძინა. მართალია, ბაბალე უკმაყოფილო იყო რძლისა, შე კოჭლო და უჯიშოო, ხშირად ეტყოდა ხოლმე, მზითევი რომ არ გქონოდა ვინ გითხოვდა, რა გასათხოვარი ქალი შენა ხარო, მაგრამ მაიკო დედამთილს ყურადღებას არ აქცევდა, არ ეპასუხებოდა, კოჭლი ვარ, რა მეთქმისო. მოყვრები და მეზობლები ამის გამოც პატივსსცემდნენ.

ოჯახიდან წასული ბეგლარის ამბებს ნიგურიანები საბას წყალობით გებულობდნენ. მას ხშირად მოსდიოდა ბეგლარისგან წერილები, თუმცა, რაც დრო გადიოდა, ბეგლარს, ეტყობა, ქართული წერა ავიწყდებოდა, რუსული ემარჯვებოდა და ამიტომ, უფრო ხშირად ბატონ ნესტორს წერდა, რომელმაც რუსულიც კარგად იცოდა და ფრანგულიც. ნესტორიც, წელიწადში ორჯერ-სამჯერ, თავისი ერთცხენიანი ეტლით მიადგებოდა ნიგურიანების ჭიშკარს, ოქროპირს ან საბას გამოიხმობდა და ბეგლარის ამბავს გადასცემდა. ამგვარად, სოფელში იცოდნენ ბეგლარის ასავალ-დასავალი, იცოდნენ, რომ მან ზღვებზე ბევრი ხეტიალის შემდეგ ოდესის საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა. აქ, ის სასწავლებლის უფროსის ქალიშვილს შეჰყვარებია თურმე. ამ ქალზე დაქორწინებულა. ერთხანს სამგზავრო გემის შტურმანად მუშაობდა შავ ზღვაზე, მერე სატვირთო გემის კაპიტნად გადაიყვანეს კასპიის ზღვაზე, ახლა კი, როცა მრავალი წლის შემდეგ შინ დაბრუნდა, გავლენიანი სიმამრის წყალობით ისევ შავ ზღვაზე გადაეყვანათ კაპიტნად, და ბაქოდან ფოთში მიემგზავრებოდა, თავისი დანიშნულების ადგილზე. ბეგლარის ჩამოსვლამდე სამი თვით ადრე ბაბალე გარდაიცვალა. ბეგლარს ეს ამბავი შეატყობინეს, მაგრამ ვერ მოახერხა მაშინ ჩამოსვლა. ბაბალეს სიკვდილის გამო ეცვა შავები ბეგლარის მეუღლეს ნატალია ივანოვნას. მართალია, მას თვალით არ ენახა ქმრის ნათესავები, მაგრამ ეტყობოდა, ძლიერ უყვარდა ქმარი და ცდილობდა გაეზიარებინა მისი სიხარულიც და მწუხარებაც, თუმცა დედის სიკვდილით დიდად დამწუხრებული არ ჩანდა ბეგლარი, რომელიც ჩამოსვლისთანავე გაემართა სასაფლაოსკენ. შემოდგომის ოქროსფერი შუადღე იდგა, ბეგლარმა ცოლს მკლავი გაუწოდა და მიჰყვნენ შუკებს, სადაც მოშრიალე ყვითელ ფოთლებს დაეფარა მიწა. ოქროპირა, საბა და ბესია უკან მისდევდნენ, ათიოდ ნაბიჯით ჩამორჩენილნი. ბეგლარი და მისი მეუღლე ნელა მიდიოდნენ, თავალმართულნი, თავის დაკვრით პასუხობდნენ თავიანთ ჭიშკრებთან მდგარი მეზობლების თავაზიან სალამს, თუმცა ბეგლარი ვეღარ ცნობდა მეზობლებს, და სოფელიც მოწიწებით და სიამაყით გაჰყურებდა მას, წარჩინებულს და გადიდკაცებულს, მეზღვაურის შავ კიტელში გამოწყობილს, ოქროსფერი ეპოლეტებით და მოოქროვილი სატევრით დამშვენებულს, მეუღლესთან ერთად მიმავალს დედის საფლავის მოსანახულებლად. საფლავის ბორცვზე მრგვალი თეთრი ქვა იდო.

— საწყალი დედაჩემი! — თქვა ბეგლარმა.

ნატალია ივანოვნას თვალთან ცხვირსახოცი მიეტანა და სახეში შესცქეროდა ქმარს შეჭირვებული, მომლოდინე მზერით. ბეგლარი კი მშვიდად იდგა სურომოდებულ, ფოთლებშემხმარ ცაცხვებ ქვეშ. მან ჯიბიდან ფული ამოიღო და ძმას გაუწოდა.

— ჩემ სახელზე ძეგლი დაუდგით დედაჩემს!

— გმადლობთ, შენი ჭირიმე! — ფული გამოართვა ბესიამ.

ჯოხზე დაყრდნობილი ოქროპირა თავდახრილი დაჰყურებდა მიწას, ხოლო საბამ ბიძის საფლავთან მიიყვანა ძმისწული.

— აქანა ბიძაშენი გოგიელა მარხია, აქანა ალათი, სიმონას ცოლი. ბატონებით დეიხოცნენ.

— დაუდგით ჩემ სახელზე ძეგლი! საბასაც მისცა ბეგლარმა ფული. მერე პატარა, ძველ ეკლესიას გახედა, რომლის ჩრდილში იჯდა მრავალი წლის წინათ და თავის გულისნადებს ანდობდა ბიძას, ახლა საგრძნობლად მობერებულს. ისედაც კუზიანი საბა კიდევ უფრო მოხრილიყო წელში, და სასაფლაოს ყრუ მდუმარებამ ბეგლარს მოაგონა უმწეობისა და სიმარტოვის ის უცნაური სევდა, რომელიც პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიცადა თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე, ორპირიდან ფოთისკენ მიმავალი გემის ერდოზე მდგარმა, საიდანაც ის ხედავდა ნაპირზე დარჩენილ მამას და თავმოშვლეპილ ბიძას. დიდი ხნის წინათ გადავიწყებულმა შეგრძნებამ ერთბაშად გულში ტკივილივით გაჰკრა, თვალზე ცრემლი მოადგა, მთელი ცხოვრება წაელო დროს; მოშორებით მდგარ მამას სიბრალულით გახედა, კაფანდარა ბიძას ხელი მოხვია და გულზე მიიხუტა, რადგან მადლიერებით ალვსილმა ცხადად გაიაზრა, რომ ამ ადამიანებს იგი მაშინაც უყვარდათ, როცა მარტოსულობით შეშფოთებულმა პირველად შედგა ფეხი გემბანზე, და ახლაც, — როცა დასძლია უმწეობა და მიუსაფრობა, და ზღვებს და გემებს შეგნებულად დაუკავშირა ბედი. ბეგლარის უნებლიე ცრემლის დანახვაზე ნატალია ივანოვნას ქვითინი აუვარდა, მხარზე ჩამოეკიდა ქმარს, თითქოს სურდა იმ შორეულ მოგონებებში მასთან ერთად ყოფილიყო, როგორც მოზიარე, მაგრამ იქ, იმ უსათუთეს ფიქრთა ტევრში, ბეგლარს არც სჭირდებოდა და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა მოწმე. ამიტომ ცოლი ისე უცხო მოეჩვენა, ხოლო მისი თანაგრძნობა ისე უცნაური და გაუგებარი, რომ ერთბაშად გამოერკვა, დაუბრუნდა ჩვეული სიფხიზლე, ყოველდღიური და მყარი, საბას ხელი უშვა და ცოლს მოეხვია, განზე გაიყვანა.

— ნატაშა, ნუ აჰყვები გრძნობებს!

ნატაშა მეოცნებე ქალი იყო, თეატრითა და ლიტერატურით გატაცებული. ზოგჯერ, როცა თავისიანებს მონატრებული ბეგლარი დიდი ხნის უნახავ ნათესავებში ჩაჯდებოდა საბაასოდ, ნატალია ივანოვნა ბაღის ჭიშკარს გამოალებდა, შემოდგომისაგან შეყვითლებულ ხეებს ჩამოუვლიდა, ფერად ფოთლებს და ყვავილებს კრეფდა, ლელვის რტოებზე დასკუპულ გულყვითელა მოლაღურების გალობას უსმენდა. უსმენდა გატაცებით, აღფრთოვანებით, და თითქოს ამ გალობამ შთააგონაო, თვითონაც იწყებდა სიმღერას. მღეროდა დიდხანს, თავდავიწყებული, მთელ სოფელს ესმოდა მისი კრიალა ხმა. ბეგლარ ნიგურიანს მომღერალი ქალი შეურთავსო, ფიქრობდნენ სოფლელები და ოქროპირას სახლკარს თუ ჩაუვლიდნენ შუკაში, ღობის იქიდან თვალს აპარებდნენ ბაღისკენ მალულად, სადაც ნელი ნაბიჯით, ტანის რხევით, ხელში თაიგულით, ან ბროწეულის შტოთი დაიარებოდა ნატალია ივანოვნა, მიიმღეროდა, ხან ხმას აუწევდა, ხან დაუწევდა, ძლივს გასაგონად ღიღინებდა, მერე სულ ჩუმდებოდა, ხეს მიეყრდნობოდა და ჩაფიქრებული გასცქეროდა ოქროსფრად დავარაყებულ ხეებში ჩაფლულ, ჩამყუდროებულ, თითქოს სიმღერის მოსასმენად განაბულ სოფელს, ტყლაპის, ჭაჭისა და კვამლის სუნით გაჟღენთილს. როგორც კი მიიკარგებოდა სივრცეში ნატალია ივანოვნას კრიალა ხმა, სოფლის სიმყუდროვეში, დრო და დრო, მამლების ყივილი ისმოდა. ბეგლარის ნათესავებს ცოტა უცნაურ ადამიანად ეჩვენებოდათ რძალი, მაგრამ მაინც მოსწონდათ, განსაკუთრებით ოქროპირას, რომელსაც თავისი სიყვარული ენით ვერ გამოეთქვა, რადგან არ იცოდა რუსული, და ამიტომ ხელებს უკოცნიდა ხოლმე. ნატალია ივანოვნას სახეზე ალმური ასდიოდა მამამთილის მოუხეშავი და გულწრფელი ალერსისაგან. ის გრძნობდა, რომ ყველასათვის სასურველი და საყვარელი არსება იყო ამ ოჯახში, მაგრამ მაინც უჭირდა ქმრის ნათესავებთან შეგუება.

ახალი სახლი კარგად იყო გაწყობილი, დაგვილ-დასუფთავებულ ოთახებში ნედლი ფიცრის სუნი იდგა. ბეგლარი და მისი მეუღლე რომ არ შეეწუხებინათ, სახლის ბინადარნი სამზად ქოხში გადავიდნენ, ოდა ცოლ-ქმარს დაუთმეს. სტუმარს თვალში შესციცინებდნენ, თუმცა ბეგლარს სტუმარი არ ეთქმოდა, მაგრამ არც შინაური იყო იგი. რძე, ყველი, ლობიო, ტყემალი, მჭადი, ღომი და ნიორწყალში ჩაწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი შემწვარი ვარიები ბლომად მოჰქონდათ სუფრაზე. მაგრამ ნატალია ივანოვნა არ იყო მიჩვეული მარილიანი რძის სმას და ცხელი ღომის უჩქიფოდ ჭამას. არა და, აქაური გლეხების საკვები ეს იყო, შაქარს და ჩაის მხოლოდ ავადმყოფს აძლევდნენ. დანა-ჩანგალს კი საერთოდ არ ხმარობდნენ. ხელით ჭამდნენ, ჭამის დროს პირს აწკლაპუნებდნენ და ძალზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ამ ნაკლმა ნატალია ივანოვნას თვალში წაშალა მათი გულითადობა, კულტურული. მეოცნებე მანდილოსანი ვერ შეეთვისა ქმრის ნათესავების მდაბიურ წეს-ჩვეულებებს, გულის სიღრმეში ისიც კი აღიზიანებდა, რომ ამ უბირმა გლეხებმა არ იცოდნენ რუსული. და როცა ბეგლარი მშობლიურ ენაზე ებაასებოდა მათ, ეჭვიანობდა თავის ძვირფას მეუღლეზე. შეიძლება, ჩემზე უფრო ეს ხალხი უყვარსო. მას არ უნდოდა ბეგლარის სიყვარულში მოცილე ჰყოლოდა. სწამდა, რომ ბეგლარი მხოლოდ მას ეკუთვნოდა, და რომ ბეგლარს არ ჰქონდა უფლება ზრუნვა, სითბო და ალერსი ნატალიას გარდა ვინმესთვის გაენაწილებინა. რასაკვირველია, ნატალიას უკმაყოფილება აშკარად არ გამოუმჟღავნებია, მაგრამ ბეგლარს არ გამოპარვია ცოლის განწყობილება და ყურადღება გაუათმაგა. ისინი სულ ოთხ დღეს დარჩნენ სოფელში. როცა ბეგლარი ჩამოვიდა, ბატონი ნესტორი სოფელში არ იყო.

ერთ დღეს, ზეგლარმა ცოლს მკლავი გაუწოდა და თავის ბიძაშვილს სიმონას ეწვია. აქ ნატალია ივანოვნამ პირველად იხილა სიმონას შვილები. ბავშვები აივანზე ამოვიდნენ მოკრძალებით, ვაშლი, მსხალი, კომში, ხურმა და ყურძენი მოართვეს ბიძას და ბიცოლას. ხუთნი იყვნენ, შესახედავად ერთი მეორეზე უკეთესნი, მიხაკო — უკვე ტანაყრილი, იასე — გამხდარი, ფერმკრთალი, ცისფერთვალება, პაპუნა — კულულებად ჩამოშლილი თმებით, მკვრივი, გაბადრული, კონსტანტინე — დახვეწილი და ნაზი, ვენე[illegible]ზა, ძლივს დაბაჯბაჯებდა ჯერ კიდევ. ნატალიას ისე მოეწონა ეს ბავშვები, რომ აღტაცება ვერ დამალა, გულში ჩაიკრა თვითოეული სათითაოდ, დარცხვენილ ბიჭებს დაუკოცნა ლოყები, შუბლი, თვალები, მოეფერა, მიუალერსა და როცა მათი ობლობა შეიტყო, გულწრფელი ცრემლი დაღვარა. საოცარი სევდა იგრძნო, რომ თვითონ არ ჰყავდა შვილები და გამოღვიძებულმა დედურმა ინსტინქტმა გული აუჩქროლა. იმ საღამოს, როცა შინ დაბრუნებული ცოლქმარი ლოგინში დაწვნენ, ნატალიამ ქმარს კისერზე მკლავები შემოხვია და მინაზებული ხმით უთხრა:

— ბეგლარ, ძვირფასო, ავიყვანოთ შენი ბიძაშვილის ერთ-ერთი ვაჟი, მოვუაროთ, გავზარდოთ. როდესაც შენ ზღვაში იქნები, შენი სისხლი და ხორცი მეყოლება გვერდით და მე ეს მანუგეშებს.

ბეგლარი შეცბა.

— ნატაშა...

— მე მზად ვარ ამისთვის, მე დედობას გავუწევ მას.

— ჰო, მაგრამ...

—არავითარი მაგრამ. მოელაპარაკე სიმონას. ბოლოსდაბოლოს, კმაყოფილი უნდა იყოს, რომ მისი შვილი წესიერ ხალხში აღიზრდება.

— უმცროსები ძალზე პატარები არიან, ნატაშა, გაგიჭირდება, უფროსები კი...

— შუათანა ავიყვანოთ. ის ათი წლისა იქნება, თანაც ძალზე ლამაზია...

— კეთილი, ძვირფასო, როგორც შენ ინებებ? — და მეორე დღეს ნატალია ივანოვნას სურვილი ბეგლარმა სიმონას გადასცა.

კვლავ დასხდნენ ბჭობად ნიგურიანები. არ ემეტებოდა სიმონას თავისი პაპუნა, თუმცა უქალოდ დარჩენილ ოჯახში ხუთი შვილის მოვლა არ იყო იოლი. თან იმასაც ხედავდა, ოჯახიდან წასული ბეგლარი რა წარჩინებული კაცი დადგა. პაპუნა უკვე სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში დადიოდა, რუსული ცოტათი ეხერხებოდა. სიმონა შეძლებული გლეხი იყო, იმედი ჰქონდა, რომ ვაჟებს როგორმე დაასახლებდა, მაგრამ საბას სწავლა-განათლება მიაჩნდა უმთავრეს საქმედ და ახლაც, როგორც ოციოდე წლის წინათ, დაიჟინა, გავატანოთ პაპუნა ბეგლარს, თვითონ ბეგლარი თუ თავის დროზე რუსეთში გავისტუმრეთ. რა წააგო, ფოთი აგერ არ არის, როცა გინდა ჩაჯდები მატარებელში და ინახულებ შენს ვაჟსო. ასე გადაწყდა პაპუნას ბედი. ბოხჩაში გამოუკრეს ტანსაცმელი და საცვალი, ხელი მოკიდეს და შემოდგომის ცივ და ბნელ საღამოს, ოქროპირა ნიგურიანის ჭიშკართან გაჩერებულ ეტლთან მიიყვანეს. გამოეთხოვა ბეგლარი ნათესავებს

— ა, შვილო, შენ გაბარებ ამ ბალანას! — საწყალობლად უთხრა საბამ. ცალი ხელი დაბნეული პაპუნასთვის დაედო თავზე, მეორე ხელი კი კისერთან მიეტანა ხვეწნის ნიშნად.

— დარდი ნუ გაქვთ, ამ ბავშვს არაფერი გაუჭირდება. კარგად იყავით! ჩემი წილი მამისეული ქონება, ბესია, შენ მოიხმარე! თუ ისე წამიხდა საქმე, რომ საცხოვრებლად აქანა დავბრუნდი, იმედია, ერთ ლუკმას არ დამამადლით.

— იცოცხლე, ბეგლარ, შენი ჭირიმე!

— იცოცხლეთ, ნათესავებო!

ბეგლარი მეუღლის გვერდით ჩაჯდა ეტლში, პაპუნა წინ დაისვეს. მეეტლემ ალვირი მოქაჩა და მათრახი გადაჰკრა ცხენებს. გაისმა დაჭედილი ფლოქვების თქარუნი, საღამოს ბინდში მიიმალა რწევით მიმავალი ეტლი, რომელსაც დიდხანს გასცქეროდნენ სიმონა ნიგურიანის შინ დარჩენილი შვილები.

ამ დროისათვის თანდილა ნიგურიანის ერთადერთი ვაჟი დარისპანი სრულწლოვანი შეიქნა და მამისეულ სახლში დაბრუნდა. ამ ყმაწვილს დედის ხასიათი გამოჰყვა. ჩუმი, დინჯი, მუყაითი, მორიდებული, გარეგნობითაც კი არ დაემსგავსა უჯიათ თანდილას, მაღალი, თხელი აგებულებისა იყო. მართალია, სიმონა უვლიდა თანდილასეულ კარმიდამოს და ქოხიც მყარად იდგა, მაგრამ დიდი ხანია ცეცხლი არ დანთებულიყო კერიაზე და კვამლი არ ამოსულიყო სახურავიდან. ახლა ოჯახი ისევ განაახლა დარისპანმა. განახლებულ ფუძეს დიასახლისი სჭირდებოდა. ნიგურიანებმა დაიწყეს ფიქრი დარისპანის დაქორწინებაზე. გასათხოვარი გოგოები სოფელში ბლომად იყო.

როგორც ბევრგან საქართველოში, წიფლნარშიც ერთი ჩვეულება ჰქონდათ: კვირაში ერთხელ, საღამოობით, ეკლესიის მინდორზე, ბებერი ცაცხვის ქვეშ იკრიბებოდა ახალგაზრდობა. ვინმე ჩონგურს მოიტანდა, დაუკრავდა და დაამღერებდა. მერე წრე შეიკრებოდა, დოლის და მუსიკის ხმაზე ცეკვა-თამაში იმართებოდა. ცეკვის გამრიგე წრის შუაგულში ტრიალებდა შოლტით ხელში, წინ წამოსულებს ფეხებში მისცხებდა ხოლმე შოლტს ალეგზნებული. ცეკვით ჩამოუვლიდა წრეს, აფართოებდა, მერე ისევ იქნევდა მათრახს და სხვებს უთმობდა საცეკვაო ასპარეზს. რამდენიმე ბიჭს ანთებული მაშხალები ეჭირათ და ანათებდნენ მიდამოს. თავმომწონე ყმაწვილები წრეში შედიოდნენ და ხელებგაშლილნი საცეკვაოდ იწვევდნენ გოგოებს. ამ თავშეყრას და დროსტარებას ჯარიანობას ეძახდნენ. ყოველ კვირას იმართებოდა ჯარიანობა, აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს შეყვარებულები, აქ უყვარდებოდათ ერთმანეთი, ბევრის ბედი გადაწყვეტილა აქ, ბევრი კავშირი გაკვანძულა და გაწყვეტილა, ბევრი გულისთრთოლვა და გულისტკივილი ახსოვდა ტოტებგაშლილ ბებერ ცაცხვს, რომლის ძირში ნიაღვარივით ბობოქრობდა ძალუმად აჩქროლებული ვნება, საღამოს თბილი იდუმალებით შემოსილი, დაფარული და მოუსვენარი. აყალ-მაყალი, სარების ტრიალი და ხანჯლების ქნევა თან ახლდა ზოგჯერ ჯარიანობას, მაგრამ ენით უთქმელი ნეტარების მოლოდინი თითქოს ჰაერში დანთხეულიყო ბანგივით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიახლოვე სასაფლაოსი, სადაც იწურება ყველა იმედი, სრულიადაც არ ანელებდა ეკლესიის გალავანს მიღმა თავშეყრილი ხალხის სულში სიცოცხლის ჩასახვის გაუაზრებელ, გამძაფრებულ დაუოკებელ წყურვილს.

თავის ტოლების დარად, დარისპანიც დადიოდა ჯარიანობაში: ხედავდა ხოლმე ხეების ჩრდილში განცალკავებულ მოჩურჩულე წყვილებს. გრძნობდა ხოლმე საკუთარ გულისცემას და სისხლის ჩქროლვას. თვითონაც სურდა გამოლაპარაკებოდა ვინმეს, მაგრამ არც გაბედულობა ჰყოფნიდა და არც გამოცდილება ჰქონდა. ქალი მიუღწეველ და საიდუმლო არსებად ეჩვენებოდა, ნათლად ვერც კი წარმოედგინა ის სიამე, რასაც უნუგეშო მოლოდინით ელოდა. იდგა ხოლმე წრეში და შორიდან შესცქეროდა ცეკვა-თამაშს. მაგრამ ერთხელ, მოხდა ისე, რომ ტოლებმა ძალით შეაგდეს წრეში და როცა არაფერი გაუვიდა, მორცხვობა დასძლია, ხელები გაშალა და ჩამოუარა. სასაცილოდ როკავდა ცეკვას უჩვევი. ერთი ფეხშიშველა გოგონა გამოიხმო, ისიც იმიტომ, რომ შემთხვევით ამ გოგოს დაჟინებულ მზერას წააწყდა, თითქოს თხოვდა, მაცეკვეო. თორმეტი წლისა თუ იქნებოდა გოგონა. დარისპანმა რომ თავი დაუკრა, დაუყოვნებლივ გაშალა ხელები და საცეკვაოდ გამოვიდა, და დარისპანმა უჩვეულოდ მოზღვავებული ხალისი იგრძნო, თითქოს რაღაცის თანხმობა თუ დასტური მიიღო. ერთბაშად, მთელი არსებით მიიზიდა ამ გოგონამ და ფიცხლად დაუარა დარისპანმა, თვალი თვალში გაუყარა, მაგრამ გოგონამ მოკრძალებით კი არ დახარა თავი, არამედ გამომწვევი, თამამი, მრავლის აღმთქმელი მზერა შეაგება და გული რაღაცამ, ძალზე საამომ აუვსო დარისპანს, და როცა ცეკვის მერე ქარაოცი გოგონა წრიდან გავარდა, ანგარიშმიუცემლად მისდია და წამოეწია კიდეც ბროწეულის ბუჩქებისკენ განცალკევებულს.

— რა გქვია, გოგო, შენ? — ჰკითხა აღელვებულმა.

— ანეტა!

— ვისი ქალი ხარ?

— გლახუნა უნდილაძის!

დარისპანი შეკრთა, თითქოს აკრძალულ რასმე შეახო ხელი. გლახუნა უნდილაძის ხსენებას ნიგურიანები ყოველთვის ერიდებოდნენ, მაგრამ დარისპანმა იცოდა, რომ გლახუნა იყო მამამისის მკვლელი. ეს კაცი რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი ეკლესიის ეზოში, წირვაზე მოსული. როცა მის ხმას გაიგონებდა, ან თვალს მოჰკრავდა მის წითურ თავს, ჭორფლიან სახეს და უფერო თვალებს, სულისგამყინავი სიცივე უვლიდა ტანში და თავზარდამცემი შიში, ან იქნებ ზიზღი, აიძულებდა უმალვე გასცლოდა იქაურობას, თითქოს განსხვავებული სიკვდილი დასდგომოდეს თავს. სოფელი პატარა იყო, გლახუნას ვაჟს, ამბაკოსაც იცნობდა დარისპანი, მაგრამ არასოდეს ხმა არ გაუცია მისთვის და არ შეუხედავს სახეში. თვითონ გვარიც კი უნდილაძეებისა მის შეგრძნებაში უკავშირდებოდა მტრულ ძალას, სახიფათოს და საძულველს. ამიტომ იმ საღამოს, როცა გაიგო იმ თამამი გოგონას ვინაობა, უსიტყვოდ გამობრუნდა და შინისაკენ გასწია. ამის შემდეგ კარგა ხანს არ გაჰკარებია ჯარიანობას. კვირაობით, საღამო რომ ჩამოწვებოდა, შორიდან ესმოდა ხოლმე დოლისა და მუსიკის ხმა. თავის ქოხის წინკარში მჯდარი სევდიანად მისჩერებოდა წყვდიადს და ყურს უგდებდა შორეულ, მიგუბებულ ჟრიამულს. რატომღაც არ უნდოდა იქ მისვლა, თუმცა გული იქეთ მიუწევდა. ვიღაცას ეწინააღმდეგებოდა, რაღაცას ებრძოდა, იჯდა გარინდული. მაგრამ ზოგჯერ, როცა ყანას თოხნიდა მარტოდმარტო, ერთფეროვანი შრომით დაღლილი თოხს დაეყრდნობოდა ხოლმე და სანამ ახალ სვრელს გაიტანდა, იგონებდა უნდილაძის გოგოს აციმციმებულ, მაშხალებით განათებულ სახეს.

ამ მოგონებას უცნაური სიამე მოჰქონდა, ძალა ემატებოდა და უადვილდებოდა მძიმე შრომა. შიშისა და განრიდების უტყვი ზღუდე, ცივად აღმართული მის წინაშე უნდილაძეების ხსენებაზე თუ მოგონებაზე, ისე იოლად ირღვეოდა ანეტაზე ფიქრისას, თითქოს ამ გოგონას არავითარი კავშირი არა ჰქონდა ამ გვარის ხალხთან, თითქოს ანეტა სულ სხვა იყო, ხოლო უნდილაძეები სულ სხვანი. ერთ საღამოს, როცა კვლავ მოისმა დოლის ბრახუნი ეკლესიის მინდვრიდან, დარისპანი თავისი ეზოდან გამოვიდა და ჯარიანობისკენ გასწია. გოგო-ბიჭები უკვე შეკრებილიყვნენ ცაცხვის ქვეშ. დარისპანმა დიდხანს ეძება ანეტა უნდილაძე და რომ ვერ წააწყდა, საოცარი სევდა იგრძნო, დაღონებული დაბრუნდა შინ. ამის შემდეგ არცერთი საღამო აღარ გაუცდენია, როცა ჯარიანობა იმართებოდა, დარისპანი იქ იყო. და ერთხელ, როგორც იქნა, დაინახა იგი, და გული ისე შეუქანდა, ისეთი უნაპირო სიხარული დაეუფლა, როგორც მაშინ, პირველად, როცა შემოიგლიჯა გაუბედაობის არტახები და მიჰყვა ცეკვის ზეაღმტაც დინებას. მიუახლოვდა და აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— სად იყავი, გოგო, შენ?

— შენ სად იყავი, რომ არ დადიოდი აქანა?

— რა ვიცი, — გაიღრიჭა დარისპანი, — ვიცეკვოთ?

— კი!

იცეკვეს. ცეკვის მერე განზე გადგნენ.

— მოხვალ ხომ კიდევ? — ჰკითხა დარისპანმა.

— შენ მოხვალ?

— კი!

— მეც მოვალ.

ასე ხვდებოდნენ ერთმანეთს საღამოობით და უყალიბდებოდა დარისპანს საკუთარი თავის რწმენა.

ერთხელ, როცა დარისპანი თავის ეზოში ხის ქვეშ იჯდა და გოდორს წნავდა, შუკაში წითელკაბიანმა [illegible] ჩამოიარა, ხბოს მოდენიდა. დარისპანს დღისით არასოდეს ენახა ანეტა და ძლივს იცნო იგი. ზეზე წამოიჭრა და დაუძახა. გოგო უმალ შედგა, თითქოს ამ ძახილს ელოდაო, ღობეს მოუახლოვდა. პირველად ხედავდნენ ერთმანეთს დღის სინათლეზე და უხერხულობას გრძნობდნენ, ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ.

— რა გინდოდა აქეთ? — ჰკითხა დარისპანმა.

— ხბო მყავდა საბალახოზე.

— შემოდი ეზოში!

— აჰ, ამბაკომ რომ გამიგოს, მომკლავს.

— საიდან გაიგებს, არავინ ჩანს ახლომახლო.

— კაი აბა, ერთ წამას შემოვალ, — სწრაფად გადმოხტა ღობეზე გოგო და ქოხისკენ გაიქცა. დარისპანმაც მისდია და როცა ქოხში მარტონი დარჩნენ, ისე იყვნენ აღელვებულნი, რომ უსიტყვოდ გაშალეს ხელები, ჩაეხვივნენ ერთმანეთს და გაშმაგებით დაუწყეს კოცნა. მუხლებში ძალა გამოელიათ, სოხანზე დაეყარნენ და იმდენ ხანს კოცნეს ერთმანეთს, სანამ ტუჩები არ დაუსივდათ.

ამის შემდეგ, ანეტას ხშირად დაჰყავდა ხბო საბალახოდ ბატონი ყაფლანის ჯაგნარისკენ და უკანა გზობაზე ხშირად შედიოდა დარისპანის ქოხში. იშვიათად თუ ჩაივლიდა ვინმე ამ განაპირა ადგილას. თანდილას სიკვდილის შემდეგ, ზოგიერთები ამ ჯაგნარს ნაძრახ ადგილადაც კი თვლიდნენ. ხბოს მიუშვებდა ხოლმე ანეტა მდელოზე და წამოწვებოდა თხმელების ძირში. თავქვეშხელებამოდებულ გატრუნულ გოგონას ზოგჯერ დარისპანი წამოადგებოდა თავზე, მიუწვებოდა და ეალერსებოდა ვნების ბანგით თავბრუდახვეული. სიამტკბილობაში გაატარეს შემოდგომა და როცა ზამთარი დადგა, ძლიერ გაუჭირდათ, რადგან აღარ ჰქონდათ საშუალება ერთმანეთის ნახვისა. ზამთრო-

ბით, გლეხები იშვიათად გამოდიოდნენ კარში.

მაგრამ მოვიდა გაზაფხული და ისევ განახლდა ჯარიანობა ეკლესიის მინდორზე. შრომით დაღლილ ახალგაზრდებს, მთელი ზამთარი რომ ვერ ხვდებოდნენ ერთმანეთს, ისევ აუდუღდათ სისხლი. გაზაფხულის სითბო და გამოღვიძებული ვნება კვლავ თენთავდა სხეულს, და ანეტას ისევ ბატონი ყაფლანის ჭაგნარისაკენ დაჰყავდა უშობელი საბალახოდ. უკანა გზობაზე ისევ შედიოდა დარისპანის კოხში და ამ განმარტოებულ შეხვედრებს და თავდავიწყებულ ალერსს ბოლოს და ბოლოს მოჰყვა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა.

იმ ზაფხულს ანეტას ცამეტი წელი შეუსრულდა. ანეტა დასრულდა, სხეული დაუმრგვალდა, მკერდი ამოებურცა. წინა წელს ოჯახიდან გადასული გლახუნა კვლავ არ ჩანდა. ხმები დადიოდა, ვილაცას ფოთში უნახავს, თურმე სიმინდით ვაჭრობსო, მაგრამ დრო გადიოდა და არ უბრუნდებოდა ოჯახს გლახუნა. ბოლოს ყველას გადაეწურა მისი ნახვის იმედი. ოჯახის სიმძიმე ამბაკოს დააწვა. ამბაკოს ჯერ კიდევ ბავშვი ეთქმოდა, სად ჰქონდა ოჯახის გაძღოლის თავი. ისედაც ღარიბ-ღატაკი კარმიდამო გლახუნასი მთლად პარტახდებოდა, მაგრამ კაცი არ იყო ამათი შემწე.

ერთ საღამოს, ბატონი ნესტორი ჩამოვიდა გერმანიიდან, სადაც ის მეუღლესთან ერთად სამკურნალოდ იმყოფებოდა. სადგურზე მსახური ივანიკა დახვდა ერთცხენიანი ეტლით. ნაწვიმარი, გრილი საღამო იყო. ბატონების ჩამოსვლით გახარებულმა ივანიკამ ბარგი მკვირცხლად დააწყო ეტლზე და ქალბატონი მადლენის შეკითხვაზე, რა ამბავია ოჯახშიო, ხალისიანად პასუხობდა. ბატონი ნესტორი ჩუმად იჯდა, დაღლილი და მოწყენილი გასცქეროდა სივრცეს, თითქოს შინ კი არ ბრუნდებოდა, არამედ ახლა ტოვებდა სამშობლოს. ბოლო ხანს კუჭის ტკივილები აწუხებდა, საერთო უგუნებობამ [illegible]-ოდა. არ იყო მადლიერი ბედისა. მეუღლე არ უყვარდა, თუმცა შეეგუა და შეეჩვია, არც შვილი მისცა ღმერთმა, ამ გარემოებასაც მტკივნეულად განიცდიდა. მაგრამ ყველაზე უფრო დამთრგუნველი იყო ეჭვი იმისა, რომ ოდესმე თავისი სამშობლოს თავისუფლებას მოესწრებოდა. რუსეთში ორი მეფე გამოიცვალა, მაგრამ ამ ამბავს არავითარი შეღავათი არ მოჰყოლია. ისევ სასტიკად იდევნებოდა ქართული ენა, საქართველოს ეკლესიას ისევ რუსეთიდან მოვლენილი ეგზარხოსი მართავდა, რომელიც წყევლიდა თავის სამწყოს. თუ ვინმე სამშობლოს გამოქომაგებას დააპირებდა, სასტიკად ისჯებოდა, თვითონ ქართველობაც გათიშულიყო, არ იყო ერთობა, არ იყო ერთი მიზანი, ახალ თაობას ქვეყნის მომავალი სხვანაირად ესახებოდა, ზოგს გული გატეხოდა, ზოგი ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალს მინებებოდა, ზოგისთვის კი თვითონ ერი განყენებულ ცნებას წარმოადგენდა და ბედნიერებას მხოლოდ ნივთიერ თანასწორობაში ხედავდა. უბედურება ის იყო, რომ არაფერი არ იცვლებოდა, ძველისძველი ტკივილები და ამოცანები ისევ მოუშუშებელი და გადაუჭრელი რჩებოდა. ბატონი ნესტორი დღითი დღე უფრო მწვავედ გრძნობდა, როგორ ქრებოდნენ და იმსხვრეოდნენ სიყრმისდროინდელი ოცნებები და ახლა, ევროპიდან დაბრუნებულს სულ არ ეტყობოდა ის სიხარული, რომელსაც კაცი სამშობლოს ხილვაზე განიცდის. უხალისოდ ჩამოვიდა იგი ეტლიდან და ოთახში შევიდა, ხოლო ქალბატონმა მადლენმა მყისვე გააბა ბაასი დამხვდურებთან თავისი დამტვრეული ქართულით.

მეორე დღეს, მეუღლესთან ერთად, ნესტორი მამას და ძმას ეწვია. ეტლმა გაიარა გრძელი ხეივანი და სასახლის კიბესთან გაჩერდა. გამოეგებნენ მასპინძლები. დარიგდა გერმანიიდან ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანილი საჩუქრები. ყველაზე მეტი ძმისწულებს ერგოთ. ამ დროისათვის ჯამბაკურს ორი შვილი ჰყავდა, ვახტანგი და თამარი. ქალბატონი მენიკიც კი გამობრძანდა თავისი ოთახიდან, თუმცა ბოლო ხანს იშვიათად ტოვებდა თავის სამყოფელს. ძლივს დალასლასებდა, მხოლოდ გონება შერჩენოდა უწინდებურად ფხიზელი. ახლა ნინო ამილახვრის ქალი უწევდა ოჯახს დიასახლისობას, მაგრამ ქალბატონ მენიკის ყველა პატივს ცემდა. სუფრა აივანზე გაშალეს. ქალბატონი მადლენი აქებდა და ადიდებდა გერმანიას. მას ყველა ყურადღებით უსმენდა. მაგრამ ნესტორს კარგა ხანია მობეზრდა სხვათა ქვეყნების ქება და დიდება.

— სხვა, რა ამბავია ჩვენში? — უხალისოდ იკითხა მან.

— თავადი ელიზბარი გარდაიცვალა, სადგურის უფროსი ივანოვიც გადააყენეს, ძალიან დაბერდა და ვერ უძლვებოდა, თურმე, საქმეს, — მიუგო ჯამბაკურმა.

— სხვა?

— ზეგლარ ნიგურიანი იყო ჩამოსული თავისი მეუღლით, ფოთში გადაუყვანიათ გემის კაპიტნად. ისე წავიდა. ჩვენ არ გვინახულა!

— სხვა?

— გლახუნა უნდილაძე დაიკარგა. საშოვარზე გადავიდა შარშან, იმის მერე, იმისი არაფერი ისმის. დიდ გაჭირვებაში დატოვა ოჯახი.

აქ ქალბატონმა ნინომ ჩაურთო:

— ჩაკვდა ალბათ, სადმე.

— ნინო, გენაცვალე, არ არის საკადრისი ასე რომ ავითვალისწუნეთ უნდილაძეები, — საყვედურით უთხრა ბატონმა ყაფლანმა.

— მე, ბატონო, მკვლელები არ მიყვარს!

— ღვთის წინაშე არავინ ვართ უცოდველი. შენი მეუღლე... — ყაფლანმა ჩაახველა და თვალი მოარიდა რძალს, — გლახუნას ვაჟის ნათლიაა. სხვა თუ არაფერი, ნათელ-მირონობა გვავალებს მივხედოთ იმ გაჭირვებულ ხალხს, დავეხმაროთ ცოტათი.

— როგორც ინებებთ, ჩემო ბატონო!

მეორე დღეს, ამბაკო და ანეტა სასახლეში გადაიყვანეს.

უნდილაძეებმა სული მოითქვეს, ლუკმა პური აღარ ჰქონდათ საფიქრალი. ამბაკო დაბერებულ სისო მოურავს მიუჩინეს დასახმარებლად. საქმით არ იყო დატვირთული. რაც არ უნდა იყოს, ბატონის ნათლული იყო და მოსამსახურეები მორიდებით ეპყრობოდნენ. თვითონაც სწრაფად აუღო ალღო ვითარებას და ნათლულის უფლებებს მოხერხებულად იყენებდა. როგორც ოდესღაც მამამისი, ამბაკოც ქედმაღლურად ექცეოდა თანამოძმეებს, ზოგს აბუჩად იგდებდა, უბრალო დავალებასაც კი არ კადრულობდა. კაცი იფიქრებდა, ამ ყმაწვილს გაჭირვება არასოდეს განუცდიაო. გულის სიღრმეში, არც ჯამბაკურის მიმართ იყო მორიდებით ან მადლიერებით გამსჭვალული. „ბაბუაჩემი მაგის მოკლულია, ვალდებულია ყურადღება მომაქციოსო“, ამბობდა ზოგჯერ.

თავადის ოჯახში არც ანეტა ჰყავდათ დიდად დასაქმებული. ის ქალბატონ ნინოს ემსახურებოდა, მაგრამ ქალბატონი ნინო ისეთი გამრჯე და საქმიანი ადამიანი გახლდათ, რომ სხვის მომსახურებას არ საჭიროებდა. ყველაზე ადრე დგებოდა და უთენია იჭერდა ოჯახის თადარიგს. როცა მოიცლიდა, მოახლე გოგოებს დაისვამდა და ჭრა-კერვას და ყაისნალით ქსოვას ასწავლიდა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ანეტას და პისტის, თათრის ქალის ნაშიერს, ქალბატონი მენიკის გამოზრდილს, რომელიც ახლა გადიობას უწევდა დაუძლურებულ დიდ ქალბატონს. ქალბატონი ნინო მკაცრი ადამიანი იყო, მაგრამ არა გულქვა. მას განსაკუთრებით ებრალებოდა უპატრონო პისტი, გულის სიღრმეში სინდისის ქენჯნას განიცდიდა ანეტას მიმართაც. დაისვამდა ამ ორ გოგოს ოთახში და შესა-

კერი და მოსაქსოვი თუ არაფერი ჰქონდა, ანბანს აზეპირებინებდა. ეს გოგოები თითქმის თანატოლები იყვნენ, მაგრამ ხასიათით ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. დაბალი, ჩაფსკვნილი, ვიწროშუბლიანი პისტი ჯიუტი და გულჩათხრობილი იყო, ხოლო ანეტას მზერა ერთ საგანზე არასოდეს უჩერდებოდა, თითქოს ფიქრებით სხვაგან იყო წასული. ერთხელ, როდესაც ანბანის სწავლისას, ანეტა ფანჯარას მიაშტერდა და ქალბატონის შეკითხვა ვერ გაიგონა, ქალბატონი ნინო გაბრაზდა და „რა მოგივიდა გოგო, შენაო?“ მიაძახა.

— არაფერი, ბატონო, — შეკრთა ანეტა.

ქალბატონი ნინო მოახლე გოგონას გაფითრებულ სახეს დააკვირდა, ზეზე წამოაყენა, ხელები ააწევინა, ოთახში გაატარ-გამოატარა. ამის შემდეგ ქალბატონმა ნინომ ქალბატონი მენიკის ოთახს მიაშურა. დედამთილი ლოგინში დახვდა.

— დედა ბატონო, უნდილაძის გოგო ფეხმძიმედ უნდა იყოს!

— აჰ, რას ბრძანებ, გენაცვალე?!

— მე მგონი, არ მეშლება.

— დაუძახე აქ, მაგ არდასაცლელს!

ანეტას დაუძახეს და გამოკითხვა დაუწყეს, ვინ შეგაცდინაო, მაგრამ გოგო არაფრით არ ტყდებოდა. „არა და არაო“, გაიძახოდა და ერთხანს მოეშვნენ, მაგრამ მუცელი დღითი დღე ეზრდებოდა და ახლა ამას ყველა ამჩნევდა. ქვეყნის ყბაში ჩავარდნილმა გოგომ მაშინაც არ გაამხილა თავისი დაორსულების მიზეზი, როცა ერთხელ, კეტმოღერებულმა ამბაკომ მოსაკლავად გაიწია დაზე. ძლივს დააშოშმინეს გამხეცებული ახალგაზრდა უნდილაძე, და ამის შემდეგ ანეტა საქალებოდან აღარ გამოდიოდა, რომ ძმას არ დანახვებოდა. მთელი სოფელი ანეტას სირცხვილზე ლაპარაკობდა.

დარისპანსაც ესმოდა ეს მითქმა-მოთქმა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ანეტა სასახლეში გადაიყვანეს, აღარ ჰქონდა საშუალება სატრფოსთან შეხვედრისა. ზოგჯერ მაინც აუვლიდა და ჩაუვლიდა ვარდანიძეების მამულს, მაგრამ თვალიც კი ვერ მოჰკრა ვერსად ანეტას, და გული დარდით უსივდებოდა, ისე ენატრებოდა სატრფო. მისი ხვევნა-კოცნა-ალერსი, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო. როცა გაიგო ანეტა დაორსულებულა და მასხრად იგდებენო, სიბრალულმა და მადლიერებამ გული აუჩუყა, ცრემლები ვერ შეიკავა, რადგან გოგო არ ამბობდა თურმე, ვინ იყო მისი გამაუბედურებელი. დარისპანს უნდოდა სიმართლის გამხელა, მაგრამ ვერ ბედავდა. გაურკვევლობა და მოლოდინი ისე აფორიაქებდა, რომ გულს ვერაფერს უდებდა, მუდამ შემკრთალი, ხალისდაკარგული დაიარებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ვეღარ გაუძლო უსუსურ დუმილს და გადაწყვიტა შეყვარებულის ხსნა. გადაწყვიტა განეცხადებინა სიმართლე და ჯვარი დაეწერა თავისი მამის მკვლელის ქალიშვილზე. ეს განზრახვა პირველად საბას ამცნო. საბა კინაღამ ჭკუაზე შეიშალა.

— გადაირიე, ბიჭო, შენ? უნდილაძის ქალის შემოყვანას აპირებ ოჯახში?

— რა უჭირს ვითომ? — უნიათოდ ამოთქვა დარისპანმა და თვალები დახარა.

— რავა რა უჭირს?! — გაცეცხლდა საბა.

— რითია ვითომ სხვაზე ნაკლები? — თანდათან გამხნევდა დარისპანი.

— სხვაზე ნაკლები ეგება არაა, მაგრამ მამაშენის ცოდვა აწევს მაგის გვარს კისერზე.

— მამაჩემის გვარსაც აწევს სხვების ცოდვა.

— ყველას თავისი მიეზღვება. მტერი როგორ შემოგყავს ოჯახში?

— შენ არ ამბობდი, გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და კეთილსა უყოფდეთ მოძულეთა თქვენთაო?

— კი ვამბობდი, — დაიბნა საბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოდა, უნდა შევიყვანო, — განუცხადა დარისპანმა.

საბას გაუკვირდა მორიდებული და გაუბედავი დარისპანი ამ საქმეში ასეთ სიმტკიცეს რომ იჩენდა. ღრმად ჩაფიქრდა. თავზე ხელები შემოიწყო და საგონებელს მიეცა. ვინ იცის, ეგებ, ასე სჯობდესო. იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამაი თქვენი მოწყალე არს!

მეორე დღეს, თვითონ მიადგა დარისპანს. ეზო მოვლილი იყო, ყანა გათოხნილი, ბოსტანი მორწყული. მაგრამ ქალის ხელი მაინც ესაჭიროებოდა აქაურობას. ერთგან ბზე ეყარა, მეორეგან გატეხილი ვარცლი ეგდო, კერიაზე ნაცარი გაციევებულიყო. დარისპანი ყანის ბოლოში, ყაფლანის ნაბოძებ ჯაგნარს კაფავდა, რომელსაც ისევ ეძალა და წარეტაცა ოდესღაც თანდილასგან დამუშავებული ახო.

გადაიარა საბამ ყანა, კუნძზე ჩამოჯდა და თვალი მიადევნა თავისი ნათესავის საქმიანობას. დარისპანი ხმისამოუღებლად მუშაობდა. მახლობლად ხეზე შაშვი ჩამომჯდარიყო და გალობდა.

— რას შვები, ბიჭო? — ჰკითხა ბოლოს საბამ.

— ვმუშაობ.

— მაგას არ გეკითხები მე! მოგყავს ის ქალი?

— შევიყვან!

— კაი, აბა! — თქვა საბამ, — ადექი. წამომყევი!

დარისპანმა ცული დადო და წაყვა. სასახლეში მივიდნენ.

სასახლეში უყვარდათ საბა. ამ ჭკვიან და ენაწყლიან გლეხს ბატონებიც და ქალბატონებიც გულთბილად ეპყრობოდნენ. იმ დღეს, როცა საბამ დარისპანი სასახლეში მიიყვანა, ქალბატონმა ნინომ საბა აივანზე მიიხმო, დარისპანი ეზოში დარჩა. აივნის ერთ კუთხეში, უნდილაძის ანეტა და თათრის ქალის ნაშიერი პისტი ჯორკოებზე ისხდნენ. ანეტას აბრეშუმის შულო დაეხვია ორივე ხელზე, ხოლო პისტი ძაფს ართავდა. საბამ ირიბად გახედა უნდილაძის გოგოს და დატალული [illegible] დაინახა, ირწმუნა მისი ფეხმძიმობა.

— რას შეუწუხებიხართ, ჩემო საბა? — ჰკითხა ქალბატონმა ნინომ.

— ყური მოვკარი, უნდილაძის გოგოს რაღაც შემთხვევიაო.

— მართალია, თავი კი გაუხმა მაგას.

— ისიც გავიგე, ვინ ყოფილა მისი გამბედნიერებელი.

— ვინა? იმას კი ამოაგდებს ღმერთი.

— ჩემი ნათესავი დარისპან ნიგურიანია მაგ უკეთურების ჩამდენი, ახლა ჯვარის დაწერას თხოულობს, თუ ნებას დართავთ.

— ეს ყმაწვილი? — ეზოში გადაიხედა ქალბატონმა ნინომ, სადაც თავჩაღუნული დარისპანი იდგა.

— კი, ბატონო!

ქალბატონი ნინო წამოდგა და ოთახში შეუძღვა საბას, სადაც ჯამბაკურს სანადირო თოფი დაეშალა და ზეთიანი ჩვრით წმენდდა. საბას მოტანილი ამბავი ქალბატონმა ნინომ მეუღლეს აუწყა. ჯამბაკური გაოცდა.

— თანდილას ვაჟი?

— კი ბატონო!

— უყურე შენ?!

მერე ჯამბაკურმა გაიცინა.

— წეიყვანოს!

— როგორ? — წარბები აწკიპა ქალბატონმა ნინომ.

— ისე.

— მერე?

— იცხოვრებენ და აღარ იქნება მაგათ შორის შუღლი. რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო, ხომ გაგიგონიათ? — თქვა ჯამბაკურმა.

ასე გადაწყვიტეს. ეს ამბავი ბატონმა ყაფლანმაც მოიწონა, არც ქალბატონი მენიკი წასულა წინაალმდეგი. ვინაიდან გოგო უკვე ფეხმძიმედ იყო, საქმის გადადება აღარ ღირდა. ქორწილის ხარჯები ჯამბაკურმა იკისრა, რადგან ნეფე-დედოფალს არაფერი ებადა. ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ, დაშოშმინდნენ. მკათათვის მიწურულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეტას და დარისპანს ჯვარი დასწერეს.

7.

იმ ზაფხულს, ქალბატონ ნინოსთან ერთი მისი ნათესავი ახალგაზრდა ქალი სტუმრობდა. ეს იყო ხელმოკლე ქართველი თავადის ციციშვილის ასული ცაცა. დედა პოლონელი ჰყავდა, მაგრამ თავისი გარეგნობით ცაცა ქართველი ქალის სილამაზეს განასახიერებდა. თვრამეტი წლისა იქნებოდა, თეთრი, ლურჯთვალება, გიშრისფერთმიანი, წელწვრილი და ტანკენარი. ისეთი ნაზი და გამჭვირვალე სახის კანი ჰქონდა, რომ ზოგჯერ ძარღვების წვრილი, ცისფერი ხაზები ეტყობოდა ყელზე. ამბაკო უნდილაძემ პირველად რომ იხილა იგი, თვალი ვერ მოსწყვიტა ამ უფაქიზეს ცისფერ ძაფებს და გაიფიქრა, ეტყობა. სისხლიც ცისფერი უჩქროლავს ძარღვებშიო. იმ დღიდან ამბაკოს მტკიცედ სჯეროდა, რომ ცაცა ცისფერსისხლიანი იყო, და რომ ცისფერსისხლიანი ადამიანები მართლა არსებობდნენ.

საოცრად ჯიშიანი და მომხიბლავი ქალი იყო ცაცა. მხიარული, მომღერალი, მომლხენი, თამამი, ცელქი და ცქრიალა. ახალი დამთავრებული ჰქონდა თბილისში რომელიღაც კერძო პანსიონი. ამბობდნენ, ვიღაც მდაბიო მასწავლებელი შეჰყვარებია და იმერეთში იმიტომ გამოგზავნეს მშობლებმა, რომ შეუფერებელ მიჯნურს დააშორონო. თუ ეს მართალი იყო, მიჯნურთან დაშორების დარდი სულ არ ეტყობოდა. ყველგან სიხალისე შეჰქონდა, ყველას იოლად უახლოვდებოდა. ჯამბაკურსაც ძლიერ შეაყვარა თავი. კვირაობით, როცა წიფლნარელი ახალგაზრდები, თავადიშვილები და აზნაურიშვილები, მაცხოვრის ეკლესიის წინ, ჰადრებით და ცაცხვებით დაჩრდილულ მინდორზე იკრიბებოდნენ, ბაასობდნენ, დასეირნობდნენ, ოხუნჯობდნენ, ერთმანეთს ქვეყნის ამბებს უზიარებდნენ, ჭორს და მართალს, ამ მთისას და იმ მთისას და ამით თავს იქცევდნენ, ცაცა ქოლგით ხელში, რომელიმე მოსამსახურე გოგოს თანხლებით, მათ შორის ტრიალებდა და ყველანი გარს ეხვეოდნენ მას. ბევრ წიფლნარელ ახალგაზრდას შეჰპაროდა მისი ტრფობა გულში და ზოგს ეს აშკარად ეტყობოდა. ცაცა იყო საზოგადოების სული და გული ლხინშიაც, ვარდანიძეების ოჯახში რომ იმართებოდა ხანგამოშვებით. იგი სცენითაც ყოფილა გატაცებული. ერთხელ აქაური ყმაწვილკაცები შემოიკრიბა და ვარდანიძეების სასახლის დიდ აივანზე ერთი ძველებური ქართული პიესა წარმოადგინა. ამ პიესაში მთავარ როლს თვითონ ასრულებდა, შესანიშნავად ანსახიერებდა სომეხი ვაჭრის ქალს. საზოგადოება სიცილით დაიხოცა. წარმოდგენას გლეხებიც ესწრებოდნენ. უსასყიდლოდ, რასაკვირველია. თავადაზნაურობას კი ბილეთები აყიდვინეს და შემოსული ფული, ბატონი ნესტორის რჩევით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირეს.

ხსენებულ წარმოდგენაში ამბაკო უნდილაძეც მონაწილეობდა. ამბაკო მაშინ ახლად შეღერებული ბიჭი იყო, რომელსაც საულვაშეზე ღინღლი აშლოდა. მამამისივით წითური იყო, ოღონდ უფრო მკვირცხლი, მარდი, კოხტა, ტანმორჩილი და მსუბუქი. შესანიშნავი მხედარი გამოდგა. ერთხანს ჯამბაკურმა მეჯინიბედაც კი დაადგინა. მთელ დღეებს რიყეზე ალამებდა, სადაც სოფლის რემა იყო მიშვებული. დღენიადაგ უბელო ცხენებს დააჭენებდა ჭალაში. ფაფარში მოეჭიდებოდა, ზურგზე გადაევლებოდა და ისევ გადმოევლებოდა, ალვირი და უნაგირი მას არ სჭირდებოდა, არ ყოფილა შემთხვევა ოდესმე ცხენიდან გადმოვარდნილიყოს. უნაგირით მორთულ-მოკაზმულ ცხენზე პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. ოთხით განავარდებულ ცხენს მუცელქვეშ მოექცეოდა და მეორე მხრი-

დან ამოძვრებოდა ისევ უნაგირზე. ზოგჯერ, ვინმეს წინასწარ ხელებს შეაკვრევინებდა და ასე ხელშეკრული ადგილიდან მოსხლტებოდა და უნაგირზე დახტებოდა, ფეხებს უზანგში გაუყრიდა, გააჭენებდა ფეხმარდ ბედაურს, უცბად ისკუპებდა და ისე დაერჭობოდა მიწას, წინ ნაბიჯს არ წარსდგამდა. მართლაც უებრო მოჯირითე იყო. თავდავიწყებით უყვარდა ცხენები. არ არსებობდა მისთვის არსება უფრო მშვენიერი, ვიდრე ვნებადამცხრალი ცხენია ლაღად და თვინიერად მდგარი მწვანე მდელოზე. მაგრამ როცა გახურებული ულაყების და ატეხილი ფაშატების ალერსს უყურებდა, სახეზე სიფითრე გადაეფინებოდა ხოლმე. აჭიხვინებული, ნესტოებდაბერილი ულაყი, ქვექვეით მიმავალი თავის სატრფოსკენ და მოლოდინით განაბული ნაზი ფაშატი, ვნების ჟრუანტელს ულვიძებდა, ამ ამაყი ცხოველების ტრფობა, წამიერი, მძაფრი და შმაგი, უმშვენიერეს სანახაობად ეჩვენებოდა. როგორც კი იხილა ქალბატონ ნინოსთან სტუმრად ჩამოსული ცაცა, ტრიალ მინდორზე განმარტოებით მდგარი ყელმოღერებული ფაშატი წარმოუდგა, ულაყის მოლოდინით განაბული და აღელვებული. ვერაფრით ვერ მოიშორა ეს ხატება და როცა ხვდებოდა ცაცას, ასაკით უფროსს და ტანითაც მაღალს, — თვალს ვერ წყვეტდა, თითქოს გრძნობდა ცხენის საამო სურნელს და თავბრუდამხვევ, ვნებიან თრთოლვას.

ცაცა ამჩნევდა მსახური ბიჭის მოურიდებელ, მოწყურებულ მზერას და ეცინებოდა, გულის სიღრმეში, შეიძლება ეამებოდა კიდეც, ყოველშემთხვევაში, ამ ბიჭს თანაგრძნობითა და თავაზით ეპყრობოდა. როცა წარმოდგენა გამართა, ამბაკოს ფარდასთან დგომა დაავალა. ცაცას ნიშანზე ამბაკოს ფარდა უნდა გაეწია ან დაეხურა. ამ უბრალო დავალებას ამბაკო პირნათლად ასრულებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი მოქმედების დროს, ცაცას გამოსვლა შეაგვიანდა. ვიღაცამ ამბაკოს უჩურჩულა, ჩქარა, ცაცას დაუძახეო. აივანს, სადაც სახელდახელო სცენა იყო მოწყობილი, პატარა ოთახი ემიჯნავებოდა, იქ წარმოდგენის მონაწილენი ტანსაცმელს იცვლიდნენ და გრიმს იკეთებდნენ. ამბაკომ შეაღო იმ ოთახის კარი და ადგილზევე გაშეშდა. სარკის წინ იდგა ნახევრად შიშველი ქალიშვილი, რომელსაც ხელები ზე აღემართა და ამაოდ ცდილობდა ზურგს უკან კაბის შეკვრას.

— ქალბატონო ცაცა, გთხოვენ, — ძლივს ამოღერღა რეტდასხმულმა ამბაკომ.

ცაცა ერთბაშად შემოტრიალდა და თავისი ლამაზი ლურჯი თვალები უტიფრად შეანათა კართან ატუზულ უნდილაძის ბიჭს. მერე მაცდურად გაუღიმა და გამომწვევად უთხრა:

— მოდი, ერთი, შენს გაზრდას, კაბა შემაკვრევინე!

ბარბაცით გადადგა ამბაკომ ის რამდენიმე ნაბიჯი, ჩაუცმელ ქალს რომ აშორებდა. სუნთქვაშეკრული აფათურებდა ხელს თეთრ და გლუვ ზურგზე, მაგრამ ხან ღილი უსხლტებოდა და ხან ღილკილო. სიზმარში ეგონა თავი, და რაც უფრო აჩქარებდა ცაცა, მით უფრო იბნეოდა, ჭირის ოფლი ასხამდა და უცებ, ეცა გამგელებული, ვერც კი გაიგო ისე დაეწაფა ცეცხლმოდებული ტუჩებით ამ სპეტაკ და სანეტარო სხეულს. ძლივს დაუსხლტა ცაცა, ხელის კვრით მოიშორა და კარისკენ გაიქცა. იქედან გაკვირვებით და ყურადღებით გამოხედა შუა ოთახში მდგარ ნირწამხდარ ბიჭს, თვითონვე შეიკრა ღილები, ტუჩები დაცინვით აიბზუა და სიცილი წასკდა. „ეჰ, ჩემო ამბაკო, ვერ ყოფილხარ კახაბერიო!“ უთხრა და ოთახიდან გასრიალდა.

იმ დღიდან ამბაკო უნდილაძეს ცაცას დანახვაზე გული ბოლმით ევსებოდა. გულჩათხრობილი და ჭირვეული ისედაც იყო. მას არავინ უყვარდა და არავინ ებრალებოდა. ყველასთან რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც ჰქონდა სადაო, საჩხირკედელაო, საწუთრო უსამართლობით სავსე ჭუჭლად წარმოედგინა. მისი სიავე, ზოგჯერ იმდენად უმიზეზო ჩანდა, რომ ყველას აკვირვებდა.

იმ ხანად ცხენის ქურდობა იყო გავრცელებული. ეს მეტად სასახელო ხელობად ითვლებოდა. ვის და სად არ ჰპარავდნენ ჯიშიან ცხენებს საიდან და სად მოსული ქურდები. ჯამბაკურსაც მოჰპარეს ერთი ყარაბაღული რახსი ლაფშა და ერთი წმინდა სისხლის ოქროსფერი ულაყი. მაგრამ ერთხელ, ჯამბაკურის კაცებმა შემოჩვეული ქურდი შეიპყრეს და ბატონს სასახლეში მიჰგვარეს.

— რა ვუყოთ, ბატონო, ამ ცხენიპარიას?

— ცეცხლს მიუფიცხეთ! — შესძახა გაცეცხლებულმა ჯამბაკურმა.

თავლასთან კოცონი ააგუზგუზეს, ცხენის ქურდი გრძელ სარზე მიაბეს, წამოაქციეს და შესაწვავი გოჭივით დაატრიალეს. ჯამბაკურის კაცები ირგვლივ შემოეხვივნენ და ხარხარებდნენ, „არ მოიშლი ქურდობას შე წამხდარო?“ როცა ცეცხლმა კარგა მოუჭირა, ქურდი აყვირდა, ვიწვიო. ოფლი ღვარად სდიოდა, სახე შეფაკვლოდა. და მაშინ ამბაკო უნდილაძემ სახრე აიღო და გამეტებით დასცხო შამფურზე მიკრულ ცხენიპარიას. ისეთი თავდავიწყებით ურტყამდა, თითქოს სიამეს ჰგვრიდა გაჭირვებული ადამიანის კვნესა-ყვირილი. ყველანი გაოცდნენ. სისო მოურავმა სახრე გამოსტაცა უმიზეზოდ მხეცქმნილ ამბაკოს და კინწის კვრით გააგდო. ცხენის ქურდს ღვედები შეხსნეს, წამოაყენეს და თვალი მოარიდეს, რადგან სატანჯველად არავის ემეტებოდა ეს უცხო კაცი, თუმცა ჭკუის სასწავლებლად შეფუცხუნება მართებულად მიაჩნდათ.

— რა ვუყოთ, ბატონო, ამ კაცს?

— ჰკარით პანღური და გააგდეთ! — ბრძანა აივანზე გადმომდგარმა ჯამბაკურმა.

არც თანატოლთა შორის ჰქონდა კარგი სახელი ამბაკოს. ჯარიანობაში და მხიარულ თავშეყრაში აუცილებლად ჭინჭყლი უნდა აეტეხა. ჩახმახივით შემარუთლი იყო მუდამ საჩხუბრად. არავინ მოსწონდა, მცირე წყენას გულში ხანგრძლივად ინახავდა და სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობდა. ვერავის უმეგობრდებოდა, რადგან მოსვენებას არ აძლევდა მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა. ზოგის სიმდიდრე შურდა, ზოგის გვარიშვილობა, ზოგის თვალტანადობა და ზოგის სხვა რამ ნიჭი. განგებამ არცერთი ეს წყალობა არ არგუნა და სასტიკად უკმაყოფილო იყო საკუთარი ყოფითა და ბედით. სასახლეში გამართული წარმოდგენის დროს დაცინვით რომ მოიშორა ცაცამ და უარჰყო მისი მოუხეშავი ალერსი, შეურაცხყოფად მიიღო. სიმდიდრე რომ მქონოდა, ან გვარიშვილობა, ან თვალტანადობა, ან თუნდაც სიმღერის ან მოლხენის შნო, განა ასე ხელს მკრავდაო. სხვა მის ადგილზე, შეიძლება მადლიერიც კი ყოფილიყო ცაცასი, მას რომ ერთი სიტყვა დასცდენოდა უბადრუკი მსახურის საქციელზე. შავი დღე დაადგებოდა უნდილაძეს. მაგრამ ამბაკო სხვა კაცი იყო.

სასახლეში მსახურებს უყვარდათ ჭორაობა. ჭორავდნენ ცაცასაც. ზოგს მოსწონდა ის, ზოგს არ მოსწონდა. როცა ამბაკო ცაცას ქებას გაიგონებდა ისე იქედნურად ჩაიცინებდა ხოლმე, რომ ყველანი ფიქრობდნენ, ამბაკომ რაღაც იცის, მაგრამ არ ამბობსო. სინამდვილეში ამბაკომ არაფერი იცოდა, ცაცას სათაკილო არაფერი ჩაუდენია. მართალია, ყმაწვილკაცებთან ურთიერთობა ეამებოდა, შეიძლება, სხვა მის თანატოლზე უფრო, მაგრამ უვნებელ ბაასში და ხუმრობაში რა იყო გასაკიცხი? თუმცა ზოგნი ამ უბრალო თავშექცევისთვისაც კილავდნენ ცაცას, ორაზროვან ეჭვებს გამოთქვამდნენ და როცა ეს დაუსაბუთებელი მითქმა-მოთქმა ესმოდა ამბაკოს, ისეთნაირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუმდა, რომ მისი დუმილი დაუზოგავ ლანძღვაზე უარესი ჩანდა.

მიუხედავად ამისა, ამ ბიჭს ღამღამობით არ ასვენებდა ცაცას ხატება, მისი თეთრი, ქათქათა ზურგი თვალწინ ედგა საოცნებო სურვილით აცახცახებულს და ძილგატეხილს, მისი სიცილი და მოძრაობა კვლავ აგონებდა ველზე განავარდებული ფაშატის ვნებიან ჭიხვინს, და მთელი ღამე უჩუმრად ნატანჯი და გამოუძინებელი, იმიტომ იყო დღისით ასე გაღიზიანებული და უკმაყოფილო. ცაცა კი ისე ექცეოდა ამბაკოს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ასეთი მოპყრობა ამბაკოს არ აკმაყოფილებდა, რადგან მარადჟამს სურდა რაღაცით გამორჩეული ყოფილიყო. მაგრამ რით, როგორ, სად? და ისევ და ისევ ცხენებისკენ მიილტვოდა, რათა ჯირითში მაინც არ ჰყოლოდა ბადალი, სხვა მხრივ უჩინარს და ჩვეულებრივს. ჯირითში კი მართლაც ბევრი ვერ გაუტოლდებოდა, ეს იყო მისი სიამაყის თავშესაფარი. ვარდანიძეების ფართო ეზოში მოჯირითეების მეტი რა ენახათ, მაგრამ ამბაკომ მაინც გაითქვა სახელი. ერთი-ორჯერ ჯამბაკურმაც კი შეაქო, ვინ ვინ, და ჯამბაკურმა მაინც იცოდა ცხენებისა და ცხენოსნობის ყადრი. ჯამბაკურის შექებამ ფრთები შეასხა, მაგრამ იმ ზაფხულს ჯირითშიც გამოუჩნდა მეტოქე და განადგურების საფრთხე ერთბაშად მოვარდნილი ნიაღვარივით მიაწყდა მისი სიამაყის საძირკველს.

ეს მეტოქე ზემოიმერელი თავადიშვილი გახლდათ, ქველი წერეთელი, შვილიშვილი აწ გარდაცვლილი თავადის ელიზბარისა, ყაფლან ბატონის მოყვარის და თანამებრძოლის ჩოლოქის ომში.

ელიზბარს ორი ასული ჰყავდა. უფროსი, დედა ქველისა, თავის დროზე ზემოიმერეთელ წერეთელს მიათხოვა, ხოლო უმცროსი, ფატმანი, შინ დარჩა, შინაბერად. უცნაური ხასიათი აღმოაჩნდა ფატის. თვალტანადობით არავის ჩამოუვარდებოდა, იყო მაღალი, [illegible]ლი, სასიამოვნო სახის ნაკვთებით. ისეთი თმა ჰქონდა, რომ გაიშლიდა, მთელ სხეულს უფარავდა. გარეგნულად არაფერი ქალური მას არ აკლდა, მაგრამ გათხოვება არ ეჩქარებოდა, ამაზე, ეტყობა, სულაც არ ფიქრობდა. მამაკაცებთან ყოველთვის ამხანაგურ ურთიერთობას ამყარებდა, ცხენოსნობაში, ბურთაობაში და ნადირობაში ეჯიბრებოდა. ვინ გაეარშიყებოდა ასეთი ძლიერი ხასიათის ქალს? მას სულაც არ მიაჩნდა ქალი კაცზე ნაკლებ არსებად, და ისე შევიდა ხანში, რომ გულისწორი ვერ გაიჩინა. ამბობდნენ, ნესტორ ვარდანიძის ტრფობა ჰქონდა გულშიო, მაგრამ ნესტორს ცოლი ჰყავდა და უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, ქალების მიმართ სრულ გულგრილობას იჩენდა. მიუხედავად ამისა, ფატის მაინც შეეძლო გათხოვება, რადგან დიდი ქონება დაუტოვა მამამ, მაგრამ ოჯახის შექმნა ისევ და ისევ არ იზიდავდა და ისიც კი არ სიამოვნებდა ამ თემაზე რომ ჩამოუგდებდნენ სიტყვას. ცხოვრობდა ლაღი ცხოვრებით, უყვარდა მოგზაურობა, ნაცნობ-ნათესავების ოჯახებში სტუმრობა, ეკლესიების მონახულება, და ეტყობა, კმაყოფილი იყო ბედისა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალმა, ორმოც წელს ძლივს მიტანებულმა, თავისი უძრავ-მოძრავი ქონება საყვარელ დისწულს ქველი წერეთელს უანდერძა, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა დეიდასთან და დიდი ხნით რჩებოდა აქ.

იმ ზაფხულს ქველმა სამხედრო სასწავლებელს თავი დაანება. სასწავლებლიდან ბევრი ვერაფერი გამოიტანა, გარდა იმისა, რომ ისედაც უზადო მხედარმა კიდევ უფრო დახვეწა თავისი ოსტატობა სასწავლებლის გამოცდილი მწვრთნელების ხელში. აქ, წიფლნარში, დეიდამ ახლად გახედნილი ყაბარდოული ულაყი დაახვედრა. შესხდებოდნენ დეიდა და დისწული ცხენებზე, ჭენებ-ჭენებით მოლევდნენ სავალს, ეწვეოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ რომელიმე ნათესავს, იმხიარულებდნენ, მოილხენდნენ, სტუმრობა რომ მობეზრდებოდათ, კვლავ შინ გამობრუნდებოდნენ, სადაც ფატი წვეულებებს მართავდა, ყმაწვილკაცებს იპატიჟებდა, ქეელს რომ არ მოსწყენოდა. თვითონაც უყვარდა ახალგაზრდებში გარევა, სიმღერა, მოლხენა, ჯირითი და ტკბილი საუბარი. მას შემდეგ, რაც ცაცა ჩამოვიდა წიფლნარში, ქეელი ხშირი სტუმარი გახდა ვარდანიძეების ოჯახისა. ეს ხუჭუჭთმიანი ოცი წლის ჭაბუკი მეტად სასურველი სტუმარი იყო. ყოველმხრივ შემკული ყმაწვილი გახლდათ, ლამაზი, კოხტა, ტანადი, ზრდილი, მშვენიერი მომღერალი და მოსაუბრე. მის ჯირითობას ალტაცებაში მოჰყავდა ყველა და როცა ვარდანიძეების ვრცელ ეზოში გაანავარდებდა ბედაურს, ხან ლობეზე ან თხრილზე გადაახტუნებდა, ხან ყალყზე შეაყენებდა და ისევ დაათოხებდა, — ამბაკოს შურით გული ეფლითებოდა, ეს ბრწყინვალე თავადიშვილი ჩრდილიდან სამზეოზე გამოსვლის ყოველგვარ იმედს უსპობდა. ახლა ამბაკო ისევ წყევლიდა თავის გაჩენის დღეს, მღვრიე ბოლმა ისევ ელეწებოდა მისი გულის კედლებს. რამდენი მსახური იყო სასახლეში ბედს მინდობილი და კმაყოფილი, მაგრამ მხოლოდ ამბაკოს სურდა რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ებოძა, და ეს შინაგანი შეურიგებლობაც კი ამხედრებდა ზოგჯერ საკუთარი თავისა და მთელი ქვეყნიერების წინააღმდეგ.

ამასობაში კი, ბედის ნებიერმა ქეელმა ყველა მოხიბლა, მათ შორის ცაცაც. ქალბატონ ნინოს სასურველად მიაჩნდა ამ ახალგაზრდების დაახლოება. ქეელისთანა სიძეს ვერც თვითონ დაიწუნებდა და ვერც მისი ხელმოკლე ქართლელი ნათესავები. მაგრამ ქალბატონ ფატის ყურმოკრული ჰქონდა მდაბიო მასწავლებლით ცაცას გატაცების ამბავი და ამიტომ სარძლოდ ეს ლამაზი ქალიშვილი არ ესალბუნებოდა, თუმცა დისწულს არ უშლიდა მომხიბლავ ქალთან ურთიერთობას გასართობად და თავშესაქცევად. ახალგაზრდები მართლაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მშვენიერი სანახავი იყვნენ, თეთრ ცხენზე ამორძალივით მჯდარი, თეთრ კაბაში მორთული ცაცა და მის გვერდით მელნისფერ ულაყზე ამხედრებული ყლალჩოხიანი ქეელი, ნელი ჩორთით რომ მიაჭენებდნენ ცხენებს მწვანე მინდორზე, რომლის ბოლოში მოჩანდა დაბურული ტყე, სადაც მხარგაშლილი ბებერი მუხები იდგნენ ათასწლოვან მოწმეებად. მათი დაახლოვება ყველასათვის აშკარა იყო, ყველა ელოდა ნიშნობის გამოცხადებას, ან რაღაცას ამის მსგავსს, მაგრამ ერთ საღამოს, როცა ქეელმა სასახლეში მოაცილა ცაცა და უკან გაბრუნდა, ვიღაცამ, ეკლესიის გალავანთან ჩასაფრებულმა, თოფი ესროლა და მხარში დაჰკრა. ფეხზე დადგა სოფელი, მაშხალებით გამოეფინა ხალხი გარეთ. გადაქექეს და გადაჩხრიკეს მთელი ეკლესია, მაგრამ ავის მოქმედს ვერ მიაგნეს. ჯამბაკურის სახლეულნიც მონაწილეობდნენ ძებნაში, ყველაზე დიდ თავგამოდებას ამბაკო იჩენდა, ბოროტის განმზრახველი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, იმის კვალიც არსად ჩანდა, ვერ გაიგეს ვინ იყო მსროლელი, ან რატომ ესროლა ქეელის, რას ერჩოდა.

ქეელის ჭრილობა არ იყო საშიში, მაგრამ შეშინებულმა ფატიმ იმავე ღამით წაიყვანა თავისი დისწული ქუთაისში საექიმოდ. ალბათ ამით უნდოდა ცაცასათვის ჩამოეშორებინა ქეელი და მათი დაახლოებისთვის ხელი შეეშალა. ამბობდნენ, წასვლის წინ ისეთი სიტყვები წამოსცდა ცაცას მისამართით, რომ უმჯობესია ცაცამ ქუთაისში არ მიაკითხოს თავის მეგობარსო. ქუთაისში გამგზავრება ცაცას არც უფიქრია. გამოხდა ხანი და სოფლის სანახებში ცხენით გასეირნებისათვის მან ახალი მეგზური ▪ ·აჩინა, ყმაწვილი თავადი ფინეზიშვილი. ისევ ალაპარაკდნენ მეჭორავენი. ბევრს არ მოეწონა ცაცას

ასეთი გულმავიწყობა. იმ მშვენიერ ქაბუკს, ქველი წერეთელს ჯერ ჭრილობა არ მოშუშებია და ცაცამ უკვე ახალი გამრთობი გამონახა. ისიც კი თქვეს, თითქოს მეველე დურმიშხან სტურუას ტყეში ენახოს ფინეზიშვილი და ცაცა ხის ძირში წამოწოლილნი, ხოლო მათი ცხენები მინდორზე საბალახოდ მიშვებულნი. ათას რამეს მიედმოედებოდნენ სასახლეში მოცლილი მსახურები, მაგრამ სწორედ იმჟამად ისეთი რამ მოხდა, რომ ამბაკოს სრულიად დაეკარგა ინტერესი სასახლის ჭორებისადმი. მან ანეტას შერცხვენის ამბავი გაიგო.

ამაზე კარგა ხანია მთელი სოფელი ლაპარაკობდა. მაგრამ ვინაიდან ოჯახის რომელიმე წევრის სირცხვილის ამბავს, ხშირად, ყველაზე გვიან მისი მახლობლები გებულობენ, ამბაკომაც არაფერი იცოდა. სასახლეში ერთი მოხუცი მელანია გადია ცხოვრობდა, რომელიც, როცა დასჭირდებოდა, მამაკაცივით იგინებოდა. იმ დღეს, ამბაკო აუტყდა მელანოს, გამოტყდი, საყვარელი თუ გყავდაო. „შენ დას მიხედე, შე უპატრონო, დარისპანა ნიგურიანმა რომ გიგიბახაო". ამბაკო გაშეშდა. პირველად ვერც კი დაიჯერა, რაც უთხრეს. სიმწრისაგან თვალთ დაუბნელდა, რადგან მიხვდა, რომ ამ ცხვირმოუხოცავ გოგოს გულისთვის სოფლის სამასხრო უნდა გამხდარიყო. როცა გონს მოეგო, უფრო სწორად, გონს გადაეგო, კეტს დაავლო ხელი და პირზე დორბლმომდგარი, გამხეცებული გაიქცა საქალებოსკენ. წამოესივნენ ბიჭები, არიქა, არ გაუშვათ, ცოდვა არ დატრიალდესო, შემოახიეს ტანსაცმელი, მაგრამ ზოგს კეტი მისცხო ამბაკომ, ზოგს მუშტი და წიხლი უთავაზა, დაუსხლტდა დამკავებლებს, თან ბნედიანივით ყვიროდა და ილანძღებოდა, დაფეთებულმა გოგოებმა კივილი ატეხეს და გზა უტიეს, და ალბათ მოკლავდა ამბაკო ღვიძლ დას, მაგრამ განგებამ მხსნელ ანგელოზად მოუვლინა ცაცა. ყვირილი და ალიაქოთი რომ გა[illegible] აივნიდან ჩამოიჭრა იგი და წინ გადაუდგა.

— რა ამბავში ხარ, ამბაკო?!

— ქალბატონო ცაცა, ჩამომეხსენი, — კბილების კრაჭუნით წარმოსთქვა ამბაკომ. მიუხედავად იმისა, რომ გაცოფებული იყო, იცოდა, რომ ცაცას ვერც ხელს ჰკრავდა და ვერც კეტის მოღერებას ჰკადრებდა. შედგა და თვითვე გაუკვირდა თავისი სიფხიზლე, რადგან მართლა ჭკუაზე გადასული ეგონა თავი. — ქალბატონო ცაცა, ჩამომშორდი. უნდა მოვკლა ეგ ცოდვის დღეზე გაჩენილი! — იყვირა მოულოდნელი თავშეკავებით გალიზიანებულმა, მაგრამ სადღაც, სულის ფარულ ფენებში, საოცარი მადლიერება გაეღვიძა ცაცასადმი, განსაცდელს რომ არიდებდა ახლა, და მის არეულ ტვინში მკაფიოდ გამოიკვეთა სურვილი: „ნეტავი არ ჩამომეცალოსო". მაგრამ, ამავე დროს, აღარ შეეძლო განზრახვაზე უარის თქმა და გაშმაგებული იხვეწებოდა: — ჩამომეცალე, ქალბატონო ცაცა!

— დამშვიდდი ამბაკო, შენი ჭირიმე, არა გრცხვენია?! — ალერსიანად ეუბნებოდა ცაცა. იგი ნელა დაიძრა მისკენ, თუმცა კეტმოღერებული ამბაკო კვლავ უყვიროდა არ მომეკაროო. გაბედულად მიუახლოვდა, ისეთი ნდობით და სილაღით, თითქოს სატრფიალოდ იწვევსო. ხელი ჩაავლო მაჯაში, კეტის გამორთმევა უნდოდა, და გამოართმევდა კიდეც, და დაამშვიდებდა, რადგან მისმა სილბომ და მოფერებამ გამწარებულ ამბაკოს, მიუხედავად დაკარგული წონასწორობისა, ერთბაშად მოაგონა ის ტკბილ-მწარე ჟამი, როცა სარკის წინ მდგარმა, ნახევრად შიშველმა ცაცამ ღილების შესაკრავად მიიხმო. იმ დღის მერე, ბევრჯერ უოცნებია ცაცას სხეულზე, მაგრამ ასე ახლო არასოდეს მდგარა მასთან და ვნების ჟრუანტელმა თავბრუ დაახვია, ძალა და ნებისყოფა მოუდუნა, თუმცა ჯერ არ დამცხრალიყო მისი მძვინვარება. ქალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულის საამო სურნელმა ათრთოლებული ფაშატი მოაგონა კვლავ, და აუტანელმა სირცხვილმა, ასე დამცირებულს რომ ხედავდა მშვენიერი ქალი, მრისხანება გაუორმაგდა.

— მომშორდი! — იყვირა მან და ქვითინი წასკდა. სწორედ ამ დროს, ზურგიდან ეცნენ ბიჭები და კეტი გამოსტაცეს, გაბაწრეს და გაბაწრული თავლასთან მიაგდეს. ჭკუაზე რომ მოხვალ, აგიშვებო, უთხრა სისო მოურავმა.

ასე ეგდო თავლასთან გაბაწრული ამბაკო. სხეული ჯერ კიდევ უცახცახებდა, მაგრამ აღარ ტიროდა. შორეული ტყის მიღმა წითლად გაბერილი მზე ჩადიოდა. ამბაკოს ესმოდა ცხენების ფრუტუნი და სამოახლოსთან შეგროვილი მსახურების ყაყანი. იცოდა, რომ საუბარი მას შეეხებოდა, მაგრამ ეს ახლა მისთვის სულერთი იყო. თითქოს ბნედამ გადაუარაო, სხეული მოუდუნდა და უძირო ნაღველი ჩარჩა სულში. ნაღველი სიამოვნებდა. წელან განცდილმა დამცირებამ თითქოს თვალი აუხილა და დაანახა რა უმწეო იყო, რა უმნიშვნელო. სულაც არ იყო იმის ღირსი, რასაც ცხოვრებისგან მოითხოვდა. შეურაცხყოფამ წამით ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა, ახლა მას აღარავისი და აღარაფრის აღარ რცხვენოდა. სული დაუმშვიდდა, ჩაუმყუდროვდა, თითქოს ტკივილი საჭირო და აუცილებელი იყო, თითქოს მის გარეშე არ არსებობდა შვება და სიმართლე. შორიდან ცაცას ხმა ესმოდა, ვიღაცას რომ ტუქსავდა სამოახლოსთან. უეცრად მიხვდა, რომ სულ ტყუილად აიძულებდა თავს ამ ტკბილი ხმის შეძულებას.

მკათათვის მიწურულს ანეტას და დარისპანს ჯვარი დასწერეს. რა უნდა ყოფილიყო ამბაკოსათვის ამაზე სასიხარულო? სირცხვილი აირიდა, ღვიძლი და დაბინავა. თანაც ნათლიამ საგანგებოდ ამ დღისათვის ახალი ჩოხა-ახალოხი, ქამარ-ხანჯალი და დამბაჩა უფეშქაშა. დამბაჩა, ქამარ-ხანჯალი და ჩოხა-ახალოხი მართლაც ახარებდა, მაგრამ ანეტას მიმართ საოცრად გულგრილი გამხდარიყო, აღარ აინტერესებდა დის ბედი. აღარაფერი აინტერესებდა, აღარაფერი ესმოდა და ვერაფერს ხედავდა ცაცას მეტს. სულმთლად შეიცვალა ბიჭი. ცაცას ხმის გაგონებაზე მონუსხულივით შეშდებოდა, ცაცას დანახვაზე თვალები უშტერდებოდა და საქმე ავიწყდებოდა, თუკი საქმით იყო დაკავებული. თითქოს სიამაყეც დაჰკარგვოდა და თავშეკავებაც, ისე აშკარად გამოხატავდა თავის სიყვარულს, რომ სასახლეში დიდი და პატარა, სტუმარი და მასპინძელი, სიცილით იხოცებოდნენ. სად თავადის ქალი ცაცა და სად გლეხის ტლუ ბიჭი ამბაკო, ყველა გრძნობდა ამ შეუსაბამობას ამბაკოს გარდა, და ამის გამო დღითი დღე უფრო სასაცილო ხდებოდა იგი.

— ბიჭო, რამენაირად უნდა მოაწონო თავი, თუ არა ისე არ წამოგყვება!

— ბიჭო, მგონია მოწონხარ, მარა არ ამხელს!

— ბიჭო, მგონია კარგადაა შენი საქმე, ცაცას უთქვამს წიფლნარში უნდა გავთხოვდეო! — ამხნევებდნენ ბიჭები.

— სიძეს გაუმარჯოს! — ესალმებოდნენ ამბაკოს გოგოები.

— თქვენი მიჯნური მობრძანდება! — გაეხუმრებოდა ზოგჯერ ჯამბაკური ცაცას ამბაკოს დანახვაზე.

ყოველივე ამას თან სდევდა სიცილხარხარი, მსახიობის უნარით მომადლებულ ცაცასაც ისე ეჭირა თავი, თითქოს თანაუგრძნობდა ამბაკოს, თვალებს ნაბავდა და კეკლუცობდა მის დასანახად. ყველაზე უბირი მსახურებიც კი ხვდებოდნენ, რომ ეს იყო მასხრობა, მაგრამ ამბაკო ვერ გრძნობდა, სასაცილო რომ გამხდარიყო ყველასათვის.

— შენ გლეხის ჭირო, ვინ მოგცემს შენ ცაცასავით ბედაურ ქალს?! — უთხრა ერთხელ ენამწარე მელანია გადიამ და იმის მერე ამბაკოს მელანია გადია შესჯავრდა. როგორც ჩანს, ოცნებამ მართლაც არ იცის ზღვარი. გაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგებულ ვნებას თან სდევს სიბრმავე, ხოლო თავხედური სითამამე დაუოკებელი სურვილის წილნაყარია.

როცა ანეტას და დარისპანს ჯვარი დასწერეს, დედოფლის მდადობა ცაცამ იკისრა, განზრახვაზე ხელი ვერ აალებინეს. გახალისდა მთელი სასახლე. ისედაც უჩვეულო ქორწინება, ამბაკოს სიყვარულმა ცაცასადმი კიდევ უფრო თავშესაქცევი და სასეირო გახადა. დანიშნულ დღეს, ხალხი ეკლესიაში შეიკრიბა. ამბაკო შეიმოსა ნათლიის ნაჩუქარი ტანსაცმლით და ალიჭურვა იარაღით. სისო მოურავმა თავისი კავშა ცხენი ათხოვა და ამხედრებული ამბაკო ცაცას ამალაში გაერია, სეირის სანახავად მოსულ თავადიშვილებსა და აზნაურიშვილებში, რომლებიც ხაზგასმული მოწიწებით ებაასებოდნენ ვითომდა ცაცას მიჯნურ ამბაკოს. ეკლესიაში ხმაური იყო. ბავშვები დარბოდნენ, ჭრიამულობდნენ, ყველას დედოფლის მდადის დანახვა სურდა. ცაცა მშვენივრად ასრულებდა თავის როლს. იყო ერთი სიცილი და ხუმრობა, მხოლოდ დარისპანის მიერ ეჯიბად არჩეული მიხაკო ნიგურიანი გამოიყურებოდა სერიოზულად. როცა ჯვარისწერის შემდეგ მღვდელმა ეკლესიას შემოატარა ჯვარდაწერილნი და დალოცა, ცაცა და მისი ამალა ცხენებზე შესხდნენ, მაყრული შემოსძახეს და ჭენებ-ჭენებით მიაცილეს ნეფე-დედოფალი დარისპანის მიყრუებულ კარ-მიდამომდე, სადაც ნიგურიანებს ეზოში საქორწილო სუფრა გაეშალათ. იქაც გაგრძელდა მხიარულება, მექორწილენი შეთვრნენ, გალაღდნენ. ამასობაში, მზე დასავლეთისკენ დაეშვა, შორეულ ხეთა ტოტებში გაიბლანდა. ცაცა წამოდგა, წამოიშალა მისი ამალაც. შეზარხოშებულმა ამბაკომ ცხენი მიჰგვარა ქალბატონს და უზანგი დაუჭირა. მხედრებმა მათრახები ატკაცუნეს, დამბაჩები დაცალეს და გაეცალნენ დარისპან ნიგურიანის სახლ-კარს. ზოგიერთები პირდაპირ ღობეს გადაევლნენ. მიწყდა ფლოქვის თქარუნი. სუფრ[illegible]ლოდ გლეხები შემორჩნენ. მაგრამ ცაცას წასვლის მერე, ამბაკოს აქაურობა დაცარიელებული მოეჩვენა. იმ დღეს მან თავის სიცოცხლეში პირველად დალია ღვინო, სისო მოურავის კავშა ცხენი გამოიყვანა, ღობეზე რომ იყო მიბმული, და ჯდომა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. ისე დამთვრალიყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა.

— შენ სად მიხვალ, ბიჭო? — უთხრა საბამ.

— უნდა წევიდ

— სად უნდა წახვიდე ბიჭო, დის ქორწილი გაქვს! — უთხრა სიმონამ.

—მოუკვდა პატრონი!

— რას მიტმასნებიხარ, ბიჭო, ამ მოცლილ თავადიშვილებ გონს მოდი! — უთხრა საბამ.

— კუზს მოუარე, ბაუა, სხვას საქმეს არავინ გეკითხება!

— შენ შეგირცხვა ცხვირი, რომ დაგიმოყვრდი იმიტომ გელაპარაკები თუ არა, წინ წყალი და უკან იწყერი, სადაც გინდა წადი! — გაბრაზდა სიმონა, ჯილავს ხელი უშვა და ჭიშკარი გაალო.

ამბაკო ცხენს მოახტა და სასახლისკენ გაქუსლა. აქ, აივანზე, სადაც გრილი სიო უბერავდა, ქალბატონ ნინოს სუფრა გაეშალა დარისპანისა და ანეტას ქორწილიდან მობრუნებული ახალგაზრდებისათვის. ისინი ტკბილად მღეროდნენ, გიტარის თანხლებით. როცა ეზოში ცხენი შემოანავარდა ამბაკომ, სიმღერა შეწყდა, „სიძე მოსულა, სიძეს გაუმარჯოს!“ გაისმა შეძახილები, სიცილი, კისკისი, ოხუნჯობა, წამოიშალნენ ახალგაზრდები. ამ შეძახილებმა ფრთები შეასხა ისედაც თავბრუდახვეულ ამბაკოს, სიტყვა „სიძე“ ტკბილად ელამუნებოდა მის სმენას, თან მოჯამაგირეების რჩევაც მოაგონდა სატრფოს თავი უნდა მოაწონოო, უზანგებზე წამოიმართა, მჭექარედ დასჭყივლა და ისეთი სისწრაფით გააჭენა ცხენი სასახლისაკენ, რომ ყველას ეგო-

ნა კედელს შეასკდება და თანაიტანსო. მაგრამ ზედ კიბესთან, ალინებულ ლაფშას თავი დაუჭირა, ადგილზე შემოატრიალა და აივნისკენ აიხედა. სვეტს მიყრდნობილი ცაცა სახეგაბადრული იცქირებოდა ზემოთ და ტაშს უკრავდა.

— ქალბატონო ცაცა, ვისაც შნო აქვს, გამეჯიბროს!

— შენ ვინ გაგიტოლდება, ამბაკო! — გადაიკისკისა ცაცამ.

შუბლშეჭმუხნული ქალბატონი ნინო მიხვდა, რომ ამბაკო ჯინისგან იყო ასე გათამამებული და ბრძანა ცხენიდან ჩამოდიო, მაგრამ ის დაუჯერებდა ამბაკო როცა ცხენი ალაღებდა და აზვიადებდა, მთელი ქვეყანა თავისი ეგონა. აივანზე შეგროვილი ახალგაზრდების გამამხნევებელ ყიჟინაში ვერავითარ ირონიას ვერა გრძნობდა. მათრახი შორს ისროლა ცხენი ადგილს მოწყვიტა, გადმოიხარა და მარჯვედ აილო მიწაზე დაგდებული მათრახი. აივნისკენ შემობრუნდა. ყველანი ტაშს უკრავდნენ, რადგან ხუმრობა იქით იყოს და მართლაც მოსაწონი მოჯირითე იყო. კვლავ გააჭენა ცხენი ეზოში, უნაგირის ტახტს მოეჭიდა. გადმოხტა[illegible]ს, დაჰკრა მიწას ფეხი, გადაევლო გაჭენებული ცხენის ზურგს. დაჰკრა მიწას ფეხი და ისევ უნაგირზე მოექცა. ყველანი ტაშს უკრავდნენ, ყოჩაღ ამბაკოო, მაგრამ ამბაკო მხოლოდ მოცინარ ცაცას ხედავდა. გამოაჭენა ცხენი, ავჟანდში ფეხი გაამაგრა და უცებ თითქოს გადმოვარდაო, ძირს გადმოეშვა, ხელებით მიწას შეეხო და როცა სასახლეს მიუახლოვდა უნაგირიდან გადმოკიდებული, მშვილდივით აზიდა ტანი და გასწორდა. „ყოჩაღ ამბაკო, ბრავო!“ — ისმოდა ისევ და ამბაკომ ისევ მოცინარ ცაცას მოჰკრა თვალი. და მაშინ უზანგებიდან ფეხები გამოაძრო, ჭინკასავით დასჭყივლა და ცხენი დაართხა, უნაგირზე შედგა, ნელნელა წამოიმართა, წელში გასწორდა, ხელები გაშალა. ცხენი კი ოთხით მიჰქროდა დიდი ცაცხვისკენ, ხოლო როცა [illegible] შემოუარა და სასახლისკენ გამობრუნდა, ამბაკო ლამაზად იდგა გაჭენებული ცხენის ზურგზე. თვითვე გრძნობდა, რომ საკუთარ თავს გადაამეტა, რომ მართლაც მშვენიერი სანახავი იყო. არასოდეს განუცდია ასეთი სიამაყე. სიხარულისაგან მეცხრე ცაზე აფრინდა. აივნისკენ გააპარა თვალი, თითქოს ნიშნს უგებდა იქ მყოფთ, ხომ ხედავთ რა ბიჭი ვარო. მაგრამ დაბლა ჩამოწეული ხის ტოტი ვერ შეამჩნია, წამოედო, წონასწორობა დაჰკარგა და მოლზე მოადინა ზღართანი. როცა ტკივილი დასძლია და გაიაზრა, რაც მოხდა, მოეჩვენა, თითქოს ცის თაღი ჩამოენგრა თავზე. წამოიწია და მწვანე მინდვრის ბოლოში, ფაფარგაშლილი, უმხედროდ გაჭენებული ცხენი დაინახა. როგორც იქნა, ძალა მოიკრიფა და წელი აათრია. ტორტმანით გადადგა ნაბიჯი. ისევ სასახლისკენ გააპარა თვალი და უცებ, გულში ყველა ძარღვი ჩასწყდა. მას ეგონა, რომ აივანზე, შეშფოთებულ, გულშეწუხებულ, სახეზე ხელებაფარებულ ცაცას დაინახავდა, მაგრამ ცაცა ისე ხალისიანად იცინოდა, ამბაკოს მარცხს ისე გაემხიარულებინა მისი ამალა, თითქოს ამბაკომ მორიგი ფანდი შეასრულაო, და ერთბაშად გონება გაუნათდა, მიხვდა, რომ არაფრად ულირდა ამ ხალხს იგი, ცხენიდან გადმოვარდნილი, შერცხვენილი. მათთვის სულერთი იყო ამბაკოს ყოფნა-არყოფნა. მიხვდა, რომ ცაცა მხოლოდ თავს ირთობდა, და რადგან ახლაც კი, ამ ამბის შემდეგაც, არ შეეძლო ცაცას სიყვარულის გულიდან ამოგლეჯა, — ისე გამწარდა, ისეთი დაუძლეველი ბოღმით აღივსო, რომ ყოველივემ დაჰკარგა მისთვის აზრი, ჯამბაკურის ნაჩუქარი დამბაჩა დააძრო, გულთან მიიდო და ჩახმახს გამოჰკრა.

8.

იყო ერთი კაცი, საჩინო ბარათელი. ცხოვრობდა იგი წიფლნარში. სოფლის

განაპირას, ტყის პირზე. პატარა ქოხი ედგა ამ კაცს მწვანედ აბიბინებულ ეზოში, რომელსაც ტოტებგანიერი ბებერი ხეების ჩრდილი ფარავდა. ბილიკიდან მწვანეში ჩაფლული სახლი არც კი ჩანდა რიგიანად. დილაუთენია გადარეკილი სოფლის ნახირი საღამოობით ამ ბილიკით ბრუნდებოდა საძოვრებიდან. შორიახლო ზოგიერთებს სიმინდის ყანებიც ჰქონდათ. როცა მოსავალს მოიწევდნენ, გლეხები ნაყანარებსაც საბალახოდ იყენებდნენ.

ცხოვრობდა ეს კაცი მარტოდ-მარტო. არავინ ჰყავდა, არც ნათესავი, არც მეგობარი. მეზობლებს არ აწუხებდა. მასთანაც არავინ დადიოდა. ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, მაღალი და გამხდარი იყო. თმა და ულვაში ყოველთვის მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. ტანისამოსი უცნაური ეცვა, შიშველ ტანზე შემოსხმული გრძელი და ფართო ჯვალოს ხალათი, წელზე ქამრით შემოჭერილი, კოჭებამდე სწვდებოდა, განიერ შარვალს ატარებდა. ფეხშიშველა დადიოდა. ზამთრობით, თბილ ჯუბას მოიხურავდა, შალის წინდებს იცვამდა და ფეხს ხისძირიან ქოშებში უყრიდა. ამბობდნენ, ტანისამოსს თვითონ იკერავსო.

ამ საჩინოს მამა, თავის დროზე, ყაფლან ბატონის ყმა ყოფილა. მერე გაქცევია ბატონს, რადგან ბატონის ერთი მოახლე გოგო შეჰყვარებია, მაგრამ ჯვარის დაწერის უფლება არ მიუციათ. ის გოგო, სახელად ბაბალე, ოქროპირა ნიგურიანისთვის მიუთხოვებიათ. საჩინოს მამა გადასულა ქართლში, ერთ გორელ ვაჭართან მოჯამაგირედ დამდგარა და ფული უშოვია. მერე ერთ შეძლებულ გლეხს ჩასიძებია. კარგა ხანს არავის სცოდნია ამ კაცის ამბავი, მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ისევ დაბრუნებულა წიფლნარში და თან წამოუყვანია თავისი ერთადერთი მცირეწლოვანი ვაჟი. ბატონ ყაფლანს ნება მიუცია ნაყმევისთვის ძველ ნასახლარზე დასახლებისა. აუშენებია საჩინოს მამას ისლის ქოხი და შვილთან ერთად დასახლებულა სოფლის განაპირას. ამ კაცზე ამბობდნენ, ქართლში კარგი მოსახლე იყო, მაგრამ ჭირმა გაუწყვიტა ოჯახიო. როცა მხოლოდ უმცროსი ვაჟი დარჩა ცოცხალი, მისულა გრაკალში იქაურ მკითხავთან რჩევის საკითხავად. მკითხავი ბნელ ქოხში მჯდარა, თურმე, და ამთქნარებდა. უცხო კაცი რომ დაუნახავს, ძაფივით წვრილი ნაოჭებით სახედაღარულ დედაბერს არც კი უკითხავს მოსვლის მიზეზი, უთქვამს, თუ გინდა შვილი დაგრჩეს, მამისეულ კერას დაუბრუნდიო. ყურად ულია გრაკლელი მკითხავის რჩევა საჩინოს მამას, გაუყიდია საქონელი და სახლ-კარი, გამოუწევია წიფლნარისკენ. საჩინო მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიუბარებია და ერთ ხანს უცხოვრია ასე.

სწორედ იმ წელიწადს, საქართველოში რკინიგზა რომ გაჰყავდათ, როცა ნესტორ ვარდანიძე, ბეგლარ ნიგურიანის თანხლებით, პეტერბურგს გაისტუმრეს სასწავლებლად, საჩინოს მამა ხიდან გადმოვარდა და მოკვდა. დაკრძალეს იგი სოფლის ეკლესიაზე. მისი კუბო ერთადერთმა ქალმა მიაცილა სამარემდე. ეს იყო ნიგურიანების რძალი ბაბალე. ხოლო ერთი კვირის შემდეგ, საჩინომ გუდანაბადი აიკრა და გაქრა. მაშინ საჩინო ოცი წლის ყმაწვილი იქნებოდა. მიატოვა სახლი, კარი, საქონელი, და არავის დამშვიდობებია ისე გაუჩინარდა. ისევ გაუდაბურდა მისი კარმიდამო, ისევ ნასახლარად იქცა. ქოხი დაინგრა, ღობე მოიშალა, თხრილი ამოივსო. მხოლოდ ხეხილი დარჩა და ერთხანს კიდევ იტყოდა კაცი, აქ ვიღაცას უცხოვრიაო მაგრამ მერე გადახმა ხეხილის ბაღი და ტყეს შეუერთდა აქაურობა. მონადირენი თუ ჩაივლიდნენ ზოგჯერ, აქეთკენ.

ერთხელ, საღამო ხანს, ბარათელების ნასახლარის მახლობლად, ერთი მარჯვე მონადირე, სახელად მახუტელა, მისეფს გადაყრია, ნადირთა მეუფეს.

ტყის პირზე მოდიოდა, თურმე, თეთრად შემოსილი ქალი, მოდენიდა ირმების ჯოგს, გვერდით ვეებერთელა ძაღლი მისდევდა. ერთი ახალგაზრდა ირემი ბარათელთა ნასახლარისაკენ წამოსულა, სადაც მახუტელა ყოფილა ჩასაფრებული ბებერი წიფლის ძირში. სამჯერ დაუძახა, თურმე თეთროსანმა ქალმა ირემს, უკან დაბრუნდიო, მაგრამ არ დამორჩილებია ცხოველი. მაშინ მესეფის უთქვამს, მახუტელას კერძი ყოფილიყავიო. ესროლა, თურმე, მახუტელამ თოფი და მოჰკლა ირემი, ხოლო მესეფი ირმის ჯოგიანად და ძაღლიანად მყისვე გამქრალა. ეს ამბავი მახუტელამ უამბო სოფელს და შემდგომად ამისა, მონადირენი იმ მიდამოებს ერიდებოდნენ.

ასე გავიდა ოციოდ წელი. სოფელს გადაავიწყდა საჩინო. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მენახირემ ამბავი მოიტანა, ბარათელთა ნასახლარზე ვიღაც უცხო კაცი გამოჩნდა და ისე ჩანს, იქ დამკვიდრებას აპირებსო. გაემართა საბა ნიგურიანი ამბის გასაგებად. მართლაც, მოულოდნელად მოვლენილ უცხო კაცს გაველურებული ნაეზოვარი გაეკაფა და გაეწმინდა, თხრილი გაეთხარა, რათა ეზოში წვიმის წყალი არ დაგუბებულიყო, ნეშოთი და აქა-იქ დარჩენილი ძველი ფიცრით კარვის მსგავსი ტალავერი გაეკეთებინა თავშესაფრად. ეტყობა, მუშაობა შეეძლო და ბარაქიანად ემუშავნა, მაგრამ იმ წუთას, როცა საბა მის სანახავად მივიდა, უცნობი შუა ეზოში თავდაყირა იდგა. საბა გაშტერდა, შიშით გული გადაუქანდა, რას შვება ეს ოჯახქორი, ვიღაცაა, ჭკუიდან გადაქანებული არ ყოფილაო: ერთხანს განრიდებაც კი განიზრახა, მაგრამ მერე ცნობისწადილმა დასძლია, ხეს ამოეფარა და კარგა ხანს უყურა. მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ უცნობი ამგვარ ყოფაში ყოფნას დაუსრულებლად აპირებდა, შიში გადალახა, მიუახლოვდა და გამოელაპარაკა, რას აკეთებთ, ბატონო, თქვენო?

— ვისვენებ, ბატონო, [illegible] მაცალეთ!

ამის შემდეგ უცნობი მუცელზე დაწვა, ფეხები მოღუნა, ხელები წაავლო და ისე დაჭიმა, რომ მთელი სხეული რგოლად შეიკრა. როცა ეს ვარჯიშიც მოათავა, წამოდგა. შეშინებული და გაოცებული საბა პირდაღებული შესცქეროდა.

— ვინ ბრძანდებით, ბატონო, თქვენ? — ჰკითხა ბოლოს კანკალით, რადგან ეჭვობდა, მაქციას ხომ არ გადავეყარეო.

— საჩინო ბარათელი გახლავართ!

— ცოცხალი ბრძანდებით?

— როგორც ხედავთ!

— სად ბრძანდებოდით ამდენი ხანი?

— ბევრი ვიხეტიალე, ინდოეთი და ტიბეტი მოვიარე, — და საჩინომ მეოცნებე მზერა შეავლო სივრცეს, თითქოს საბას კი არ აძლევდა პასუხს, არამედ გონების თვალით იმ გარდასულ დღეებს იგონებდა, სამშობლოსგან მოშორებით რომ გაატარა.

ასე და ამგვარად, მრავალი წლის მერე, საჩინო კვლავ დაუბრუნდა მამისეულ ფუძეს. დარჩა იგი სოფელში, აღადგინა ქოხი, გაახარა ხეხილის ბაღი, შემოღობა ეზო და მოკლე ხანში წალკოტს დაამსგავსა გავერანებული კარმიდამო. მგალობელი ჩიტების მეტი სულიერი არ ჭაჭანებდა მის ეზოში, საქონელი და ფრინველი არ მოუშენებია, ვინაიდან არც ხორცს სჭამდა და არც რძის ნაწარმს მხოლოდ ბოსტნეულით და ხილით საზრდოობდა. ბოსტანს უვლიდა, სიმინდის ყანაც ჰქონდა, მისი მოსავალი მთელი წლის სარჩოდ ჰყოფნიდა. ძალზე თავშეკავებული კაცი იყო, იგი ყველას უცნაურად ეჩვენებოდა. პირველ ხანებში, შაბათობით, წიფლნართან ახლო მდებარე სოფელ კულაშში დაიარებოდა, სადაც ებრაელები დასახლებულიყვნენ, რომლებიც ბოლო დროს მომრავლდნენ და გაფართოვდნენ, ღარიბი აზნაურებისაგან და თავადებისაგან სამოსახლოები შეისყიდეს, ახალი სინაგოგაც აიშენეს. ამ სინაგოგის

აივანზე ხშირად ხედავდნენ ხახამთან მოზაასე, საჩინოს. ებრაელის რჯულზე გადასულაო, ხმა გავრცელდა სოფელში და ამბის გარკვევა ისევ საბამ ითავა. ამჯერად საჩინო თავდაყირა არ დახვედრია. იგი თავის ქოხში მაგიდასთან იჯდა, წინ წყლით სავსე ჭიქა ედგა და თვალისდაუხამხამებლად მისჩერებოდა. ისევ გაშტერდა საბა, რას შვება ეს კაციო, მაგრამ როცა საჩინომ არც სალამზე უპასუხა და არც თვალი მოაშორა წყლით სავსე ჭიქას, საბა გარეთ გამოვიდა და ხის ძირში წამოწვა. შეფიქრიანდა, ნეტავი ამ კაცის სულში ჩამახედა, გიჟია თუ ჭკვიანიო. ერთი საათის შემდეგ, საჩინოც გამოვიდა ქოხიდან და ჩეროში წამოწოლილ სტუმარს ბოდიში მოუხადა, მზერას ვიმახვილებდი და ყურადღება ვერ მოგაქციეო.

— კაცო, შენ ურიის რჯულზე ხომ არ გადასულხარ? — ჰკითხა საბამ.

— არა, ბატონო!

— აბა, ყოველ შაბათს სინაგოგაში რატომ დაიარები?

— იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ კაცს ვეძებ, ვისთანაც ლაპარაკი შემეძლება. მარა ებრაელებში ჯერჯერობით ვერ ვიპოვე სწორად მხედავი და განთავისუფლებული კაცი, აწი ქართველებში უნდა ვეძებო.

— შე კაცო, რაღა ებრაელებიდან დაიწყე, ქართველებით დაგეწყო.

— ებრაელები ქართველებზე ძველი ხალხია და მეტი უნდა იცოდნენ.

— ქართველებშიც რომ ვერ იპოვო?

— მაშინ ქე ვიქნები ჩემთვის ჩუმად.

საბა წამოდგა.

— კაი, ბატონო, ჰყავ იგი, რაიცა გეგულებოდეს!

ამის შემდეგ, საჩინომ სინაგოგაში სიარული მიატოვა და ეკლესიაში სიარულს მოუხშირა. იგი ყველა წირვას ისმენდა, წირვის მერე სოფლის ხუცესს ებაასებოდა. ხუცესი ვერ იყო დიდად განსწავლული კაცი, საჩინოს კითხვებს ვერც კი გებულობდა. ერთხანს მაინც იარა და იბაასა საჩინომ ასე, მაგრამ ბოლოს ეკლესიაში სიარულსაც თავი მიანება, რაღა ხუცესი და რაღა ხახამი, არცერთს არ ესმის რას ქადაგებენო. გამოიკეტა და განცალკევდა. თუ ვინმე მიაკითხავდა თავაზიანად იღებდა, თვითონ კი არავის აწუხებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ბატონი ყაფლანი დაინტერესდა, მომიყვანეთ, მაჩვენეთ ის ჩემი ნაყმევის შვილი, ვინ არის, რა კაცი დამდგარაო. საჩინოს ბიჭი გაუგზავნეს და სასახლეში დაიბარეს. ფეხშიშველი იყო, ჯვალოს განიერი შარვალი ეცვა, ჯვალოსავე ხალათი შიშველ ტანზე, წელზე თოკით შემოჭერილი. საჩინოს ჩაცმულობამ სასახლის მკვიდრთ ღიმილი მოჰგვარა. იმის უცნაურობაზე ბევრი რამ ჰქონდათ გაგონილი, მაგრამ თავად რომ იხილეს, მაინც განცვიფრდნენ. განსაკუთრებით მისმა ჯიქურმა მზერამ შეაცბუნა ყველა, ისეთნაირად უყურებდა, ხალხს, თითქოს მახვილს უყრიდა თვალებში. აივანზე რომ აიყვანეს, ჯამბაკურის ვაჟს, გადიის კალთაში მჯდარ პატარა ვახტანგს მოჰკრა თვალი. ბავშვს სახეზე მუწუკები ჰქონდა გამოყრილი და მოწყენილი იყო. საჩინო შეჩერდა, ბავშვს გაეთამაშა და გააცინა. მერე მაჯაზე ხელი მოჰკიდა, თვალებში ჩახედა და რაღაც, უცნაურზე უცნაური სიმღერა უმღერა. ბავშვმა ისევ გაუცინა და თმაში ჩააფრინდა.

— ხვალიდან ბალანას მუწუკები მოურჩება! — თქვა საჩინომ, ბავშვის ფუნჩულა ხელებისგან თავი გაითავისუფლა და გასწორდა.

— უწამლოდ? — გაოცდა გადია.

— კი!

— შენ მკურნალი ყოფილხარ, ვეჟო! — გაეღიმა ყაფლან ბატონს:

— კი, ზოგს რამეს ვარჩენ, ბატონო!

— კიდევ რა იცი?

— შეხებით კითხვა ვიცი. ნაწერს ხელს დავადებ და დაუხედავად ვკითხულობ.

— კაი, კაცო, არ გადამრიო?

— კი, მომიტანეთ წიგნი.

ბიბლია მოხვდათ ხელში და მიუტანეს. საჩინომ თავი აღმართა, ჭერს მიაპყრო მზერა, წიგნი ალალბედზე გადაშალა, ხელი დაადო და წაიკითხა: „ხოლო გველი იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა“.

ყველანი განცვიფრდნენ. ასეთი რამ არც ენახათ და არც გაეგონათ. საჩინოს თვალები აუხვიეს და ახალი გვერდი გადაუშალეს. დაადო ხელი და კვლავ წაიკითხა: „რაჟამს ამაღლდე ღმრთისა მიერ, მაშინღა უფრორე ჯერ არს შენდა დამდაბლება თავისა შენისა“.

კვლავ გადაუშალეს ახალი გვერდი, თითქოს არ სჯეროდათ, რასაც ხედავდნენ, და მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ადამიანი ხედავდა ხელით და არა თვალით. „უფროს ამისა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისათვის“.

— განსაცვიფრებელი კაცი ყოფილხარ! — წამოიძახა ყაფლან ბატონმა და პირჯვარი გადაისახა, ეს რა სასწაული ვიხილეთ. მეორე დღეს კი პატარა ვახტანგი წყლულებისაგან განიკურნა.

ამის შემდეგ საჩინოს მკურნალის სახელი გაუვარდა სოფელში, მაგრამ თან ეშინოდათ მისი, როგორც განსაკუთრებული, განსხვავებული. არაადამიანური. ვინ იცის, იქნებ, ეშმაკეული უნარის მქონის. გაჭირვებულები ზოგჯერ მაინც აკითხავდნენ. ზოგ სნეულებას საჩინო მართლაც არჩენდა. ავადმყოფს მაჯაში ხელს ჩაავლებდა, მიქელგაბრიელივით თავზე დაადგებოდა, სინათლისგან ზურგშექცევით, შუქი სნეულს უნდა დასცემოდა სახეზე, და მისი თვალებიდან გადმოსული უხილავი ძალა, იმ სიტყვებთან ერთად, ავადმყოფს რომ არწმუნებდა სიჯანსაღეში, თითქოს ჭანგივით ესობოდა დაავადებულის სენს და მიდენიდა, სდევნიდა სხეულიდან. ამ დროს, ისე იმანჭებოდა დაძაბულობისაგან, თითქოს აუტანელი სიმძიმე უჭირავს მხრებით და საცაა წელში გაწყდებაო. ოფლი სდიოდა, კუნთები უთრთოდა, და ამგვარი უცნაური. უწამლო მკურნალობით ბევრს შველოდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დასტაქრობაც ეხერხებოდა, მაინც ბოლომდე არ სჯეროდათ მისი, არ ენდობოდნენ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აკითხავდნენ, როცა სხვა გამოსავალი და საშველი არ ჩანდა. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა და ერთ-ერთი, ალბათ, ისიც იყო, რომ ხშირად ხედავდნენ თავის ეზოში თავდაყირა მდგარს, ან ისეთნაირად დაგრეხილს და დახლართულს, რომ ვერ გაიგებდი სად ჰქონდა ხელი, ფეხი და თავი. ხალხს აეჭვებდა მისი საქციელი და ყოფა, ვერ გაეგოთ, გიჟი იყო თუ ეშმაკთან წილნაყარი. მისი ცხოვრების წესი აფრთხობდა სოფელს, ის არ ესწრებოდა ქორწილს და ქელეხს, არავისგან არაფერს მოითხოვდა, არ ენდობოდა სოფელი საჩინოს, მაგრამ საჩინოს არ სწყინდა სოფლის უნდობლობა. თუკი მიმართავ-დნენ, ყველას უანგაროდ ეხმარებოდა, თუმცა ეს უანგარობაც გაუგებარი იყო ზოგისთვის. ამოუხსნელ გამოცანად ქცეულიყო საჩინო სოფლის თვალში. გამოცანად, რომელსაც ყველანი შეეჩვიენენ.

იმ საღამოს, როცა ჯამბაკურის მოჯამაგირემ გახვითქული ცხენი მოაჭენა ჭიშკართან, საჩინო ხის ძირში იჯდა და გამძაფრებული ყურადღებით მისჩერებოდა ცაზე დაკიდულ, ჯერ კიდევ ბაცად შეფერილ მთვარეს. ისე იყო ჭვრეტით გართული, თითქოს მთვარის ფერისა და ბნელი ლაქების გარდა, კიდევ რამეს ხედავდა იმ შორეული ცთომილის ზედაპირზე არც საძოვრიდან დაბრუნებული ნახირის ბღავილი ესმოდა, არც ჭიშკართან ჩამოქვეითებული მხედარი დაუნახავს.

— არიქა, საჩინო ბატონო, გვიშველე, კაცი გვიკვდება! — შევარდა ეზოში მოჯამაგირე. და მხოლოდ მაშინ გამოერკვა საჩინო, ირიბად გახედა მოსულს, წამოდგა და ქოხიდან ჩანთა გამოიტანა, სადაც საექიმო ხელსაწყოები ეწყო.

— კი, ბატონო, წავიდეთ!

— შებრძანდით, ბატონო, ცხენზე!

— არა, ბატონო, ცხენზე ვერ შევჯდები.

— აბა, ვერ მივუსწრებთ მომაკვდავს!

— გევიქცეთ, გამიძეხი წინ! — და ეს ორმოცდაათი წლის ჭაღარა კაცი ისე გაიქცა, რომ ცხენზე ამხედრებული მოჯამაგირე, დაოთხილი ძლივს ეწეოდა. ორღობეებში ცხენის ფლოქვების თქარუნით გაღიზიანებული ძაღლები გამორბოდნენ ეზოებიდან და ყეფდნენ, ბოგირზე სამუსაიფოდ ჩამომსხდარი გლეხები გაოცებით ადევნებდნენ თვალს ამ უცნაურ რბოლას. მაგრამ უფრო უცნაური ის იყო, რომ საკმაოდ შორი მანძილი თავისი ქოხიდან სასახლემდე, საჩინომ ისე გაირბინა, რომ წვეთი ოფლი არ გამოსვლია ტანზე, და როცა სასახლის კიბეზე ადიოდა ფეხშიშველი და გულგაღეღილი, თავისუფლად სუნთქავდა, დასვენებული კაცივით.

საჩინო პატარა ოთახში შეიყვანეს. ტახტზე მკერდგაგლეჯილი ამბაკო იწვა. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. როცა სროლა გაისმა და ამბაკო მოლზე დაეცა, ქალებმა კივილი ატეხეს, ცაცას გული შეუღონდა, ჯამბაკური კიბეზე ჩამოიჭრა და თავისმკვლელისკენ გაიქცა, მაგრამ სისო მოურავს მიესწრო, მიწაზე ჩაცუცქულიყო და ხელში ამბაკოს მაჯა ეჭირა.

— მკვდარია? — ჰკითხა სირბილისგან აქლოშინებულმა ჯამბაკურმა.

— არაა ჯერ მკვდარი...

— ჩქარა, ექიმო!

— სანამ ექიმი მოვა იმ სიშორიდან, ქე მოკვდება.

— აბა, რა ვუყოთ?

— საჩინოს დოუძახოთ!

— ჩქარა, საჩინო!

აფრინეს კაცი. მამუკა მოჯამაგირემ მინდვრის ბოლოში გავარდნილი დამფრთხალი ცხენი სისო მოურავისამ ... მელმაც წელან ამბაკო გადმოაგდო, დაიჭირა, შეახტა და გააჭენა.

ყაფლან ბატონი, ჯამბაკური, სისო მოურავი, ქალბატონი ნინო და აცრემლებული ცაცა, ხელებს რომ იმტვრევდა და შეწუხებული, თავს დადგომოდნენ მომაკვდავს.

საჩინომ ამბაკოს მაჯა გაუსინჯა.

— ეტყობა, ტყვია გულს აცდა, თქვა მან და ისე დაუწყო თვალიერება მომაკვდავს თავიდან ფეხებამდე, თითქოს რაღაცას ეძებდა მის სხეულზე. სისო მოურავს დიდი ლამფა ეჭირა და უნათებდა.

— თუ ღმერთმა ინება, გადარჩება!

— თუ ღმერთმა ინება კი გადარჩება, მაგრამ ჩვენ თუ შეგვიძლია ხელის შეწყობა? — ჰკითხა ყაფლანმა.

— კი, ბატონო, — თქვა საჩინომ, ტახტზე ჩამოჯდა, თავისი საექიმო ჩანთა გახსნა და იქიდან მალამოებით და წამლებით სავსე სხვადასხვა ზომის ჭურჭლები ამოალაგა. ჭრილობას სისხლი მოსწმინდა და დაგლეჯილი კანის ნაფლეთები ერთმანეთს მიაწება, ზედ რაღაც მალამო წაუცხო და ჭინჭით გაკრა. მერე გრძელი ნემსი აიღო და რამდენიმე ადგილზე უჩხვლიტა, ფეხის გულებზე, ბარძაყთან, მუცლის არეში, და უეცრად ამბაკომ თვალი გაახილა. და მყისვე წამოხტა საჩინო, მაჯაში ჩააფრინდა, სახე ახლოს მიუტანა, თვალი თვალში გაუყარა და დაუწყო ლაპარაკი სრულიად გაუგებარ, უცნაურ ენაზე, ამბაკოს თვალებში, მიცვალებულის აზრგამოცლილ, გაყინულ, გაშეშებულ თვალებში აზრის ნატამალი გამოსხივდა, მზერა შერბილდა და შეთბა, სრული გულგრილობისა და განურჩევლობის ნაცვლად, შიგ სურვილის იოტი აციმციმდა.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე

## მუზეუმში

გადაიარეს...
გადაიარა...
აღარ გაუდის მთაზე ლაპლაპი
ჯაჭვის პერანგს და შიშველ იარაღს.

ამწყალობებდათ თეთრი მხედარი
და პიტალოზე მახვილს ლესავდნენ,
მთელი სიცოცხლე ნიშანს ველოდი,
მაგრამ ჩვენ შორის ჩადგა მესამე...

— ვინ ვარ? — ვკითხულობ და რიგს
მივყვები
გაჩერებაზე... მაღაზიასთან...

და მუზეუმის ყვითელ კედლებზე
სძინავს პატრონმკვდარ ჯაჭვს და
იარაღს.

— რა ბევრი გვსურდა,
რა ცოტა გვყოფნის,
ვინ, ვინ აღადგენს კავშირს
გაწყვეტილს...
მაგრამ პასუხი ცბიერი სოფლის
მარტივია და გულდასაწყვეტი.

გადაიარეს...
გადაიარა...
აღარ გაუდის მთაზე ლაპლაპი
ჯაჭვის პერანგს და შიშველ იარაღს.

* * *

მოგონებაში ირხევა პალმა,
უსმენ ძველსა და ნაცნობ გაკვეთილს...
მოგხვია ხელი საღამოს ქარმა,
მოგწმინდა ცრემლი სასოწარკვეთის.

ის მიდიოდა
და ფერად კენჭებს
ფანტავდა მშვიდი და ვალმოხდილი,
შენ კი ლოდინის ამომშრალ ფსკერზე
დარჩი შეკრული დარდის ბორკილით.

გეჩვენებოდა გამოხსნეს კევრი
და თავდაღწეულს შენი ულლიდან
მატარებელი შეშლილი სტვენით
მის ნაზ სხეულსაც გადაუვლიდა...

ტყუის სუყველა, ვინც აგვიანებს,
ვისი მზეც ჩაქრა და ჩაიწურა...
დგება ანტრაქტი —
ზღვაზე იალქნის
ფარდა ეშვება...
გემი მიცურავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ო, სახსოვარო გარდაცვლილი
გაზაფხულისა.
ისე გეწვია შენი ხილვის მძაფრი
სურვილი.

სხვა არაფერი,
არაფერი,
მხოლოდ სურვილი
გამოკეტილი ქარიშხალივით
აწყდება კედლებს.
შენ კი შორს ხარ, როგორც წარსული,
როგორც მწვერვალზე დარჩენილი
მარტის ყვავილი.
სხვა არაფერი —
ამოვარდა გული მკერდიდან,
ჩადგა შტორმი და
შენს უხილავ მკერდზე გავთავდი...
სხვა არაფერი,
არაფერი,
ღმერთმა შეგინდოს
ის უარყოფა და... საკუთარ თავის
ღალატი.

* * *

ხელს გადაუსვამ დაორთქლილ
სარკმელს,
ძალიან ფრთხილად,
თითქოს შვილის შუბლს ეფერები...
თოვლი მოსულა,
უძილოს და გაჟღენთილს წამლით
იანვრის დილამ შემოგხვეია ცივი ხელები.

სავსე ხარ ბოღმით,
როგორც მწარე კვამლით ბუხარი —
ხრჩოლავს წარსული —
დამწვარი ხიდი...
აქეთ ვილაცას გაუვლია —
სველ თოვლზე კვალი
ორღობეებში ბარბაცით მიდის.

ამოხმა ყელი უხმო ძახილით,
ვის გააგონებ,
ყველა ტკბება თავის ბუნაგით.
რატომ ხარ მარტო,
მომლოდინე ვის გზას გაჰყურებს
ფანჯრის ჩარჩოდან შენი სურათი!

## ზოოპარკში

დღესაც მოვდივარ.
შესასვლელში ოც კაპიკს ვიხდი,
რომ კიდევ გნახო
ხარის ძვლებთან როგორ ბუღრაობ.
შე საცოდაო,
მაინც მე მიღრენ? —
წყნარად, ლეოპარდ,
შენთან მაინც მე ვარ უბრალო.

რკინის გისოსებს
მთელი ტანით როცა აეკვრი
და გამეყრება შენი მზერა, როგორც
ორკაპი —
თვალწინ წინაპრის მრისხანება
აირეკლება
და სევდა,
მარად მოარული სევდა — მომავლის.

გაიმეორე,
ეგ ნახტომი გაიმეორე,
რომ შებარბაცდეს
ამ ქალაქში ვინც მშვიდად ცხოვრობს.
ჩემი სიცოცხლე
პროტესტია შენი ტყვეობის
და ჩემი ძვლებიც
შენ დაგრჩება მხოლოდ და მხოლოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## როდესაც კარი გამოვიხურე...

როდესაც კარი გამოვიხურე,
მაშინღა მივხვდი —
არაფერი აქ არ მეკუთვნის:
ვალში წამართვეს,
უსასწოროდ და უარშინოდ
დაინაწილეს, რაც შემომრჩა მემკვიდრეობით...

მხოლოდ ნალვლიან შემოდგომის მძიმე უღელი,
მხოლოდ წვეთები, მოაჯირის გასწვრივ ასხმული
და ჩემი ჩრდილი, არეკლილი სველ ფილაქანზე,
რომელიც უკვე აღარც ვიცი, მიყვარს თუ არა —
სულ ეს შემომრჩა.
ვდგავარ დაბერტყილ კაკალივით,
ხელისგულებში
სახელდახელოდ წამოკრეფილი ცრემლს ვაჩხრიალებ.
ან ეს რაღ მინდა,
დამეტოვა,
მაგრამ ვერ დავთმე,
ვერ დავტოვე თვალის გუგებში
გამოწრთობილი დანის პირები...

როდესაც კარი გამოვიხურე
და გულში მტკიცედ ამოვიჭერი —
„ბარი-ბარში ვართ, მეყოფა, კმარა“ —
უზნეო ბიჭის სითამამით გადავუკურთხე
ყველას, სულ ყველას,
ვისაც თავის ბედნიერ ჭერქვეშ
გაღიმებულს და უზრუნველი სახით ეძინა.
როდესაც კარი გამოვიხურე —
გადაიშალა თვალწინ ქალაქი,
ვით გასუსული ამფითეატრი.
მოვიდა ჩემი საყვარელი
და ყველას თვალწინ
მოწამლულ ჭიქას ხელი ამიკრა —

გადაიდო დრამის ფინალი...
ძლივს გასაგონი ფოთლების ტაშით
სტოვებდა დარბაზს მაყურებელი —
დარაბებიდან გადმოღვრილი სინათლეები
შრებოდნენ, როგორც ნაკადულები...
მეკი მწყუროდა.
მაგრამ ვიცოდი —
ზურგი მაქცია,
აღარ გაშლიდა
ჩემს შესახვედრად მკლავებს ქალაქი.
ქალაქი — ძველი ბუტაფორია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნებათაღელვის და მიძინების აბლაბუდაში
გაბმული ჩემი დარდის ფრინველი...

როდესაც კარი გამოვიხურე,
ვიგრძენი როგორ ამეხუტა
შემოდგომა. ნოტიო მკერდით
და აჩურჩულდა, ისე, როგორც პირველი ქალი —
უკვე შემჭკნარი,
მაგრამ სათნო და ლმობიერი...
როგორც ოდესღაც,
დღესაც ამან გადამარჩინა, —
ეს არის ჩემი საყვარელი
და თუ დავკარგავ
პირველი ფოთლის დაფენისას ისევ ვიპოვი,
ხმელ ბალახებში პირქვეჩამხობილს.

* * *

მე შემეშინდა შენთან შემოსვლის.
ხმაჩახრინწული ფრინველებივით დაფარფატებენ
შავი ქალები
და ზუზუნებენ მარადიულ ჭკნობის სიმღერას —
შენ აღარა ხარ —
გარდაიქმენი დაობლებული შვილების და დედის
ცრემლებად
თავთან რომ გიზის, გალეულო ნამგლის პირივით,
ქანგიანი და უსასოო!
გათავდა, მორჩა,
გადაითიბა მისი კუთვნილი სიხარული.
შენ აღარა ხარ.
დღევანდლიდან ქვასთან იცხოვრებ,
სადღაც რომ თლიან ჩამუხლული, მთვრალი კაცები
და მოქანცულებს ჭილყვავების გაბმული ზარი
ეგლისებათ გაოფლილ ტანზე.

მე შემეშინდა შენთან შემოსვლის.
ცივა... ყინული იყურება შენი სახიდან...
ერკემლის რქებზე ჩაკიდებული
თანდათანობით მეკარგები
მახსოვრობის გამოქვაბულში
და სტალაქტიდის დარბაზებიდან მოჩვენებების ღმუილი
მესმის.
ვის ეძახიან!
ვის მიუხვალ მდიდრული ძღვენით,
ვის უწილადებ ცრემლსა და ღვინოს?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურთაზ არაბული

## შორს სილურჯეში

ავდექი, ამყვა სიზმარი უშნო
და სიჩუმეში სიჩუმეს ვისმენ,
ჭოტი გულისწორს ყივილით უხმობს,
პასუხს ვერ იღებს, ჩუმდება ისევ.

არაგვს ამოჰყვა სტვენით ლემადე,
უკან დატოვა მთები სამხრეთის,
რამდენი რამე ითქვა ჩემამდე
ან კიდევ იტყვის შემდეგ რამდენი.

ჰა, გაფერმკრთალდა შუქი ვარსკვლავთა
და გადმოიქცა ზეცა უძირო,
ზევით, ხევებში, ღამე გამქრალა...
ამ სილამაზეს მინდა ვუცქირო.

ცას შევხედე და განაჭენები,
მღვრიე ღრუბელი გადადიოდა,
შორს, სილურჯეში, ლურჯა ცხენებით
გადაიქროლა გალაკტიონმა...

* * *

სად გადასახლდით
შატილიონნი,
რად მოჩანს ბჭენი შავ-ბნელი?
აღარსად კაცი,
პატრონი სოფლის,
მტერ-მოყვარისად დამხვედრი.

გამრავლებულა
დეკა, ჭინჭარი,
დიყი, შუპყა და იელი,

მუდამ მტერთ გულთა
შესაშინარნი,
არსად მოსჩანან გმირები.

შესაბრალისად
გამხდარა მიწა
მამული მოუხმობს მოყმეთ,
ყველა სახლიდან,
ნასახლარიდან,
ფუძის ანგელოზი გოდებს...

## გამარჯვება, მზეო!

თოთია ყანწს მაწვდის, სავსეა არყით,
ვიყუდებ ჯიხვის რქას, ამიღო კანკალმა,
„ნუ გზიზღავს, შენ გაზრდას,
ანწლია, გადასწი“.
ავწიე: ცა ლურჯი, უძირო, კამკამა.

შიშხინით ერბოში იწვება ხინკალი,
დავცალე მეორეც, ძარღვებმა
შეიგრძნო,
ვენთები, ვმაღლდები, რაღაცა მიხარის,
გამარჯვება მზეო! უსაზღვროდ კეთილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანზე ვართ, ვსაუბრობთ, თავს
ვიქცევთ სიმღერით,
იცლება ყანწები, ერთურთის მიმყოლი.
ჩონგურის ლარებზე ცეკვავენ რითმები
და ვაცზე წრიაპით კიდია სტრიქონი.

საქონი მიუდის ფერდაზე სამძიმარს,
რა ვიცი, ან იქნებ კი არი მზექალი,
აქ, მთაში, ყოველთვის ასეა, რას იზამ,
სუყველა მიყვარს და სუყველას
შევხარი!

## თუ გიღალატო

აი ეს ციხე-გალავანი უნდა შეკეთდეს,
აქედან იყო, თურქს თუ სპარსელს ხმლით რომ ეკვეთნენ,
აი ბილიკი, წინაპართა სისხლით მორწყული,
ამ ადგილებში გაიელიტა ჩვენიც, მომხდურიც.
ეს ობელისკი, გახსენება სამას არაგველს,
შთამომავლობამ შეიხორცა იგი მარადის,
თვითონ ეს ნისლი, ბოლქვა-ბოლქვად ამოსროლილი,
განა არ არის წინაპართა სულის რონინი!
ხომ ისევ დაქრის ლაღად ცაში დღესაც არწივი,
ხომ მოხტუნაობს მთიდან წყარო, ურჩი არჩვივით...
ვით არ ამოვთქვა,
ვით გავჩუმდე,
ვით არ ვიყვირო,
განა გათავდა, განა გაწყდა ჩვენში ღიღილო!
მე დამეწიოს ხალხის წყევლა, ხალხის გინება,
თუ გიღალატო, დაგიპირო მე შეგინება,
შენც მე დამწყევლე,
შენც ჩამქოლე, დედავ გამზრდელო,
ყველგან თუ არ ვთქვა: „იმზევგრძელე, მამულო ჩემო“!

## ბარისახოსკენ

ცისპირტეხაა. ნისლი ბარბაცით
აეტოტავა, აჰყვა ამაყ მთებს.
ჰე-ჰეი, ნისლო, მიხვალ სადამდის,
აი ეს მთები გადამატარე!

ფეხდაფეხ მომდევს ჩემი აჩრდილი,
ავჩქარდები და ფეთიანდება.
ჩუმი ალერსით ვიცი ამ დილით
გზა დამილოცა დედის თვალებმა.

შევხედავ სალებს, გარდავიქმნები,
დავაყურადებ არაგვის ბუბუნს,
თოთია, კოლა, ბიძა-შინშები,
ვიცი მელიან ამ დღის მიწურულს.

ვჩქარობ და ამ გზას ველარ ვახანებ,
გველეთის ჭალას ავცდები როდის,
ჩამისაფრდება ტიალი ღამე
და არ მიმიშვებს ბარისახომდის...

გონება: მაინც უნდა იარო!
თუნდა გაგიხდეს ღამე მოსისხლედ!
გული: იარე ადამიანო!
იქნებ გზა-ჭალას მალე მოვცილდეთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ადეიშვილი

## თოვლი—საავადმყოფოს ფანჯრიდან

ამ დროს ყოველთვის მეძახდი შენსკენ
და მეც მწყუროდა ფიფქთან შერევა...

მეფინებოდა
სახეზე,
მხრებზე
პირველი თოვლის მშვენიერება.

კვლავ თოვსო, მაგრამ, არა მგონია
ისე თოვდეს და ისე ნატრობდნენ...

ან სხვებს რომ ათოვს
ის რა თოვლია,
. . .
ის რა ფრთებია
თუ აქ დამტოვებს.

## განა არ მეყო?..

განა არ მეყო, რაც ვიმარხულე;
ეს ცა, ეს მიწა, ცხადი, ზღაპარი...

მოდი, ამაღამ ისევ დამხურე
ჩემი ბავშვობის ჭრელი საბანი.

მოდი, ამაღამ ისევ მასიზმრე
პატარა ბიჭი ურმის კოფოზე...

ამაღამ მაინც,
ნუ ჩამასიძებ
უცხო მხარეს და უცხო გოგოზე.

ამაღამ მაინც
ნუ მისცემ ნებას,
რომ წვიმის იყოს შენი ფანჯრები...

ამაღამ მაინც მოკლეზე გებას
ქარი, ძაღლები და ალქაჯები.

## ჩ ქ ა რ ა!

ჩქარა! სანამ აფრებს ავშლი
და გავყვები ქარებს...

ჩქარა! სანამ ამ თხელ წყალში
ჩაიხრჩვება მთვარე.

ჩქარა! სანამ ამ წყვილ ჭადარს
წაუხდება ჩერო...

ჩქარა! სანამ
წყარო ხარ და
მწყურვალი ვარ, ჩემო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯერ როცა...

ჯერ როცა ძმები ისევ ელიან
შენს ამოდგომას მხარში,

ჯერ როცა
შენს ცრემლს ცრემლის ფერი აქვს
რამ გაგახსენა მაშინ —

სადღაც,
ოდესღაც ამოკითხული,
აყეფებული ქვაში, —
ეპიტაფია:

ვიყავ,
ვიცხოვრე,
მაგრამ ამაოდ დავშვრი.

* * *

განა ამქვეყნად მთელი ცა მსურდა,
მცირე ნაჭერზეც სანთელს გწირავდი...

ქარს ვეკიდე თუ
ვეკიდე გუთანს
მინდოდა ვიღაც მყოლოდა გულთან.
. . . . . . . .
ენახა ჩემი ქოხი წვიმამდის...

ახლა რაღა ვარ, —
გიჭირს მიხვედრა:

რას ყვება ქვაზე ასომთავრული:

მე ყველგან ჩემი სევდის ციხე ვარ,
შენ ყველგან შენი ხარ სიყვარული.

## ხალხურიდან

ეს, ისე,
არც თავს გაცოდებ,
არც თავს გაწონებ, ყამარო...

თუ არც მდიდარი ვინმე ვარ,
აღარც ღარიბი ყრმა ვარო.

ციდან, რომ წვიმა იპნევა, —
ზოგჯერ იმ წვიმას ვგავარო.

მინდა —
შენს პეშვზე დავლევ სულს,
მინდა კვლავ ცაში ავალო.

## ხომ არის...

რახან უფალმა ასე ინება,
რახან ამქვეყნად სხვა გზა არ არი, —

ერქვას ამ წასვლას გასეირნება,
რაც უნდა მწარე ერქვას სავალი...

ხომ არის
ჩემი წილი სამარე
და სადმე ნერგი იასამანის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უწარწერო ქვები

ამ გზით ქარიც ყელს იღადრავს,
შენც თალხები გფარავს...
ცრემლიანი მიხსნი სად რა
ციხე-კოშკი მდგარა.

მოიმსხვრევა ხსოვნის ზარი
და ხმაც ეკალს ისხამს, —
სადღა არის: ის საყდარი,
ის წისქვილი,
ის გზა...

მათი ფუძის ნაშალია
ალბათ გზად ეს ქვებიც...

ვკვდები,
ჩემო მაფშალია,
მადლობა ღმერთს, —
ვკვდები!

## ს ა ა კ რ ი ლ ო

მე ვუმღერი მზეს და მზისფერს,
სხვამ უმღეროს სხვას...

კვლავ მივყავარ ბავშვობისკენ
შენს სანატრელ ხმას.

ქარი მანთებს,
ქარი მაქრობს
ვით ასანთის ღერს...

როცა გინდა მომკალ, ოღონდ,
ნუღარ მომკლავ დღეს.

## ეს მთვარეც მალე ჩავა

სანთლების ჯარი მინთია, —
იქნებ გამოჰყვე ნათელს,

სხვები რომ თვლიან
მშვიდია, —
მე იმ ღამესაც ვათევ.

მაინც არაფერს გემდური,
ეს მთვარეც მალე ჩავა...

რა ვიყავ შეყვარებული,
შეძულებული — რა ვარ.

## გიორგი სააკაძე

მტრებმა რაც უნდა ხმა დამიყარონ, —
მე მაინც შენით ვიქნები სავსე...

რაა საეჭვო, ან საყოყმანო
ამ ჩემს ისედაც დაწყევლილ გზაზე?

მშვიდობით,
მივალ,
აწ შენს სამრეკლოს
სხვამ ჩამორეკოს ის ჩემი წილიც...

... რა იყო მაინც,
რა ბედი მერგო, —
ვერ აგითავდი შვილით და ძირით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ გალდავაძე

# დედაშვილობა

## მოთხრობა

მძიმე, ძალზე მძიმე იყო ცალად დარჩენილი რისიკოსათვის ცხოვრების ჭაპანის ჭიმვა, — წვრილი ბავშვები, მტერ-მოყვარე, სირცხვილ-ნამუსი... დაცალებული დედაკაცი წელებზე ფეხს იდგამდა, შვილებისათვის ლუკმაპურის მოპოვებაში ათენ-აღამებდა, წაქცევამდე მისულ ოჯახს სუსტი მხრებით შეჰყუდებოდა.

ოჯახს სუსტი მხრებით შეჰყუდებოდა და მოყვარე-მოკეთეების შეძლებისდაგვარი ხელშეწყობით, — ეს ერთი მობრუნება ყანის მოხვნაო, ეს მისი მოთესვაო, ეს მისი მოთოხნაო, ეს მოტეხაო, მოტანა და ამ წინაკბილებით საჭმელი სარჩო-საზრდოს დაბინავებაო — ავად თუ კარგად ამაგრებდა.

ღმერთო სახიერო — გამჩენს შევედრებოდა — ეს ბალნები დამაყენებინე ფეხზე და მერე, თუ მოიგუნებებ, წკვარამში გადამჩეხეო...

და, ამ გაწამაწიაში, უფროსი შვილი, მიშა, უკვე ტანაყრილი, შავთვალწარბა, შავტუხა ბიჭი, აი დღეს უსიკვდილოდ მივხედავ, აი ხვალ უსიკვდილოდ მივხედავო, თვალთახედვის არედან გამორჩა, ხელიდან გაუსხლტა — გარე-გარე მოხეტიალე, კვიმატი და მაკვარანცხი ბავშვი დადგა.

დედისათვის, მაინცდამაინც, ხელის წამოკვრით თავს არ იწუხებდა, და არც სწავლა-მეცადინეობის სურვილი გააჩნდა... ზამთარში თოვლის ბაბუა და კაკანათი არ ასვენებდა, ზაფხულში წყალუხვ მდინარეში უნდა ეჭყუმპალა და წყალმარჩხ ღელეში უნდა ეთევზავა, შემოდგომაზე მწყრის კრუტუნსა და ლალის ტიხტიხს დასდევდა ძუის მახეებით...

პირმშოზე საჩივრებით რისიკოს გული ჰქონდა გაწყალებული: აი შურდულით მეზობლის მამალს დეზი წააგდებინაო, აი მეზობლის ბასარსხალებს დაერია და დააწიოკაო, აი მეზობლის ხეხილნარი გადაირბინა და, ბეჩა, იმის ხელი არ იყოს, მწიფე ვაშლის ქვეშ ქუდს ნუ მოიხდიო, თვარა მის პატრონს ქურდი ეგონებიო, ხილს ხელს შეახებდაო...

დღე ერთი ჩამოდიოდა და რისიკო ათჯერ მაინც გამოენთებოდა მიშას ცოცხით ხელში.

უკვირდა მიშას, ძალიან უკვირდა: როგორც კი დაუტევდა და დაედევნებოდა დაბოღმილი დედა, სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს — სახლში, კარში თუ შუკაში — მიბრუნდ-მობრუნდებოდა და ხელში მყისვე შემართული, მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხებად მოღერებული ცოცხი უჩანდა... ერთხელ ყველა დგამის ზევითა და ქვევით აფათურა ხელები, ყველა კუთხე-კუნჭული გადმოაქოთა, ხან ჭაში და ჭურში ჩაეყუდა თავით და ხან ჩელტმოგებულ სხვენის მტვერში ამოიგანგლა, მაგრამ ვერა და ვერა, ვერა სახვეტსა და ვერა საგველს, გარდა ერთადერთი, ბოლომოცვეთილი და ტარდაძენძილი ცოცხისა, თვალი ვერ დაადგა...

ჰოდა, გამოენთებოდა დედა შვილს, ერთ მუქარაზე დაეწევოდა, საგველს მოუქნევდა, უთაქებდა... უთაქებდა და უმალ ცოცხს პირთან მიიტანდა, კბილებს დააჭერდა და ზეცას ახედავდა: ღმერთო, ხმელი რამ დავარტყი ამ მიწადასაყრელი ხელით უამბო ბალანას და შენი მუხლის ჭირიმე — მე და შენ ვიცოდეთ. მართლა ავი და ბოროტი კი არ არის, სათნოების სათავსია, ქალობას ვფიცავარ, სათნოების სათავსი... — არაფერი გაუხმო და არაფერი მოუწიოო... მაგრამ, მეტწილად, როცა ბეჯითად დაატყობდა, რომ მორბენალს ვერ ეწეოდა, შეყოვნდებოდა, კაბის კალთებს ჩაიზიდავდა, სახელოებს ჩაისწორებდა, მარცხენა ხელს გულისპირზე დაიფარებდა, მარჯვენას შემართავდა და ცოცხს ჭოლოკივით მოიქნევდა... მიშა მონარტყამზე ხელს მოისვამდა, ცოცხს დასწვდებოდა, დაფერთხავდა, უკან გამოირბენდა, მდევარს გადააწოდებდა და ისევ ისე სირბილით გასწევდა წინ... რისიკო ცოცხს სულს შეუბერავდა და კვლავინდებურად მამაზეციერთან ლაღადს გააბამდა: ეს პატარა ტკივილი აკმარე გაუხარებელ ბალანას, კოჭში მოხვდა მგონია და შენი ჭირიმე ფეხი არ გაუხმო, თვალები არ დამივსო დედამისს და არ დამიფეხუცო ჩემი წარბა, აწოწილი, მოსწრება ბიჭიო...

ამ მოქნევა-მოსროლაში თუ დარტყმა-თაქებაში ცოცხს სულ დაჰკარგოდა პირვანდელი იერი და ის ადგილი, სადაც ადრე ტარი ეთქმოდა, ახლა ცარიელი ძენძის კონად ქცეულიყო...

დიდ ტკენასა და ტკივილს გამხმარი ცოცხის ცაცუნი აბა ვის მოჰყვებოდა, მაგრამ მიშა მაინც გაურბოდა იმ უამურ სასჯელს, და იყო მოშვილდული შვილისა და ცეცხლმოკიდებული დედის ეზო-ეზო, მინდორ-მინდორ და შუკა-შუკა სირბილი, მუქარა და მიძახილი: „ახლა დამიხვდი მაქანე, თუ ბიჭი ხარ“, „მე შენ გიზამ საშენო სეირს“, „შე მაკვარანცხო, შენი კუბო არ ეღირსა დედაშენს“...

და გარბოდა მიშა... გარბოდა ბუზღუნ-ბუზღუნითა და ხტუნვა-ხტუნვით ცვარმცვრეულ კოინდარზე, მოხვინჭკულ შუკაზე, თუ ერთი გაჭენება ჭალაზე... და იმდენსირბენდა, სანამ არემარეს თვალში სინათლე არ ჩაუქრებოდა, ეკლესიის ეზოში არ გადახტებოდა და არ გაუჩინარდებოდა.

სოფელში ბინდი პირველად გაბარჯღული ხეებით დაბურულ ეკლესიის ეზოში, სასაფლაოზე ჩამოწვებოდა..

გაცეტებული ბიჭი ცაში თავშერგულ ჭადარზე აბობღდებოდა, ტოტზე გადაჯდებოდა და „ჭოოტ-ჭოოტის“ ძახილით დედასა და ჭოტებს გამოაჯავრებდა.

— ჭყუუტ-ჭყუუტ! — დაიკივლებდა მკვდართა სავანის ყველა კუთხიდან ჭოტთა მოდგმა და ატყდებოდა ჭყავილის გადაძახილ-გადმოძახილი, ყარყაში და ალიაქოთი.

ქანცგაცლილი, ნერწყვგამშრალი დედა პირჯვარს გადაიწერდა, ერთხელ კიდევ შეევედრებოდა სიყრმის შვილს შინ წავიდეთო და პასუხის მაგივრად კვლავ „ჭოოტ-ჭოოტისა“ და „ჭყუტ-ჭყუტის“ განგაში და კორიანტელი რომ დადგებოდა, ახლა სხვა შვილების დარდი დაძალავდა და ბარბაცით, ცოცხამოტრიალებული და ცრემლომმდგარი უკან გამოჰყვებოდა შარას...

და მთელი გრძელი ღამე ძეწნის ფურცელივით აკანკალებული რისიკო ლოგინში წუხდა და ძრწოდა, ხოლო მიშას გულის ძილით ეძინა და სიზმარშიაც ხან შურდულს ისროდა, ხან ტოლებს იფრენდა და ხან სხვისი მწიფე ვაშლის ქვეშ იხდიდა ქუდს...

...იმ ხანობად მიშა როგორღაც გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, გაფითრდა, გაითანგა... ისედაც გამწარებულ დედას გული გადაუტრიალდა: რა ფარსაკი ეცა ბიჭს, უკურნებელი სნება და სახადი არ შეეყაროს, არ დამღუპოსო, და ზაფხულში, არდადეგებზე, მეზობელ სოფელში, თავის ხელმომთბარ დასთან წაიყვანა. მისი და ბარბალე და სიძე ბარნაბა უშვილძიროები იყვნენ, სარჩო-საბადებელი თავსაყრელად ჰქონდათ, ერთი ბალანას მაძღრისად ჭმევა რავა გაუჭირდებათ, მაგ კი არა, ჩემს მიშაიას ჩიტის რძესაც არ მოაკლებენ და მომიმჯობინებენო, — ვარაუდობდა რისიკო და ცოცხლდებოდა იმედი მშობლის გულში.

რისიკოს მოკეთეებს ჯანელებში სამი ქცევა ძეძვით შემორაგვული, დიხაშხო საყანე მიწა ჰქონდათ, ირგვლივ შემოვლებული ხასხასა ბარდითა და ბუჩქნარით... ტალაბოურში თითქმის ამდენივე წარაფი ედგათ, აშოლტილი, მოშრიალე ეკლის ხეების წარაფი... წელიწადჩაგდებით, რიგობრივად ჭრიდნენ და ცვიოდა აუარება სარი, ხარდანი, შეშა, ფიჩხი... კარ-მიდამოზე კიდევ ცალკე ოდა მოგტაცებდათ თვალს, ცალკე მრავალგვარი ნაგებ-ნაშენი და ცალკე მრავალნაირი ნარგავ-ნათესი... ერთი სიტყვით, გლეხკაცის გული უკეთესს ადგილ-მამულსა და უმჯობესს ღვთის უბეში ყოფნას ველარ ინატრებდა: საგლოვი და საგონებელი არა ჰქონდათ რა... მაგრამ ბარბალესა და ბარნაბას საწყაო არ ევსებოდათ, ამოდენა ქონება-ცხოვრება თვალში ეცოტავებოდათ და გაუმაძღარი სურვილი მოპოების და მეტისმეტი ნატვრის. ნატვრა გამდიდრებისა მოსვენებას არ აძლევდათ...

გარეგნულად კი ჩვეულებრივი ცოლქმარი, ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ერთმანეთს სულს არ დაუჭერდნენ, სიამტკბილობით ცხოვრობდნენ და სხვა მოსახვეჭი და მოსაპოვარი, განგებით ბოძებულის გარდა, არა უნდოდათ რა...

ეს მხოლოდ გარეგნულად...

რისიკომ მიშა დიდი ხვეწნა-მუდარით დაიყოლია, გამოაწყო და დასთან წაიყვანა.

დღე ის იყო ჩამოთავდა, მასპინძლები ყანიდან მობრუნდნენ, ძროხები მორეკეს, ხარ-ურემი მოაყენეს. სტუმრების სტუმრობა ჯერ გაიკვირეს, მერე მოიკითხეს, ხელი ჩამოართვეს, ურემი გამოხსნეს, კონკილა შეუდგეს... მერე ერთი ძროხა და ერთი ხარი ბარბალემ გაიდევნა ერთ მხარეზე, მეორე ძროხა და მეორე ხარი ბარნაბამ — მეორე მხარეზე. მასპინძლებმა რამდენიმე კვანჩხი წყალი ხელზე გადაივლეს, რამდენიმე პეშვი პირზე შეისხურეს, ზინთი ჩამოირეცხეს, ხელები ზურგზე, ხოლო პირი სახელოთი შეიმშრალეს, ერთმანეთს გადახედ-გადმოხედეს, მოითათბირეს, ქათმების ბუნდში ერთი მაშლაყინწა მოინიშნეს, დაიჭირეს და დაკლეს... ოდა-სახლზე მიდგმულ სამზარეში შუა ცეცხლი გააჩაღეს, კეცი შემოდგეს, ყვინჩილა შამფურზე ააგეს, მჭადი გამოაცხვეს, ხალმიდან კბილა ყველი ამოიღეს, ნახარჯი ღვინო ჩამოასხეს.

ფიტონზე შემოდგმული ჭრაქი აანთეს.

ტაბლა დადგეს, საჭმელითა და მისაჭმელით გააწყეს, ჯორკოები შემოალაგეს და შემოუსხდნენ.

ლუკმა გატეხეს, მტერ-მოყვარე გაიკითხეს. მერე მუსაიფიც მოსწყინდათ და მთქნარება დაიწყეს.

რისიკო აჩქარდა და მიშაზე ჩამოაგდო სიტყვა: ბიჭი ძალიან დამიჩიავდა, ჰაერის გამოცვლა მირჩიესო, მოიმიზეზა და, თუ ღმერთი გწამთ, ერთი-ორი კვირა შემიკედლეთ და შემინახეთო, შეევედრა.

თან დიდი მჭამელი, დედ-მამის სულს გეფიცებით, სულაც არაა, ჩამოაყოლა.

ამასთან დაუზარელი ბალახაა, მისი ხნოვანების პირობაზე, საქნარშიაც შეგეხიდებათო, თქვა და შვილს მუდარით გადახედა.

დეიდას, მაინცდამაინც, სიხარულით ცა არ გახსნია...

ფაშფაშა ცოლმა თავის თავწაგიდელებულ ქმარს შეავლო თვალი. ბარნაბა ზოზინ-ზოზინითა და მთქნარებ-

მთქნარებით წამოდგა, საძილე ოთახისაკენ აიღო გეზი და გზადაგზა საცმელსამოსის გახდას მოჰყვა. დაბინდულ სამყოფის ერთსაგდულიანი კარი რომ გამოაღო, ჭრაქის მცხრალმა შუქმა შესდია, წინიდან ამოუქროლა და საგებელგაფენილი ტახტი გაუნათა.

— კაი რისიკო, კაი, თავგადასაყრელი კი არაფერი გვაქვს, მაგრამ კარზე მოსულს უარს რაფერ გეტყვით, დატოვე ბალანე, იმდენს მაინც რავა ვერ მოისაქნარებს, რომ დაუყვედრებელი ლუკმა მიიტანოს პირში.

— მადლობა, შენი ჭირიმე, ჩემო ბარაია, დიდი მადლობა, — ადგა რისიკო, კაბა ჩაიფერთხა, პირმშო მკერდში ჩაიხუტა, თავსაფარი წაიკრა და კარში გავიდა.

მიშა გამოედევნა, კაბის კალთაში ხელი ჩაავლო, გააჩერა, ყურში ჩაუფუჩურჩულა:

— დია, მეც წამოვალ!..

— არ დამლუპო შვილო, გული საგულედან არ ამომიგდო, იყავი აქ ერთი ათი დღე, ამათი კრძალვა და რიდი იქონიე, ჯანი გაიმაგრე, ეგებ ჩამოგვხედოს გამჩენმა.

ბარბალე სტუმრებს დაეწია, ჭიშკრამდე მიაცილა, ხოლო დისშვილი უკან გამოიყოლა.

ვერა, ვერ მოასწრო, ვერ შეეპასუხა მიშა დედას...

ის ღამე დედა-შვილმა, სხვადასხვა ჭერქვეშ, ერთნაირად თეთრად გაათენეს...

მეორე დღეს, სისხამ დილაზე, როცა მზეს ჯერ კიდევ კონინდრიდან ცვარ-ნამი არ აეკრიფა, დეიდა ბარბალემ ყმაწვილი ფეხზე წამოაყენა და ნახევარ ეზოში ხეხილნარიდან ჩამოყრილ ყლურჭე ხილის მოგროვებაში წაიხმარა, სავსე კალათები ერთ-ერთ მარანში შეატანინა და ბადიმმოხდილ, კარბჩატეხილ საარყე ჭურთან დააყრევინა. მერე კევერო მიაწოდა ხელში, ხილი აჩეჩქვინა, ჭურში ჩააყრევინა და ჩააჭყლეტინა...

— იქით? — საქმეს რომ მორჩა, ეზოს მეორე მხარეზე გაიშვირა ხელი მიშამ.

— იქით ბარნაბასია, თითონ მოუ[illegible]ჩებს თავისას.

—?!

— რა გაუგებარი ყოფილხარ ამხელა ბიჭი, რა ვერ გაიგე, რას ვერ მიხვდი, ჩვენს ოჯახში მისხლის სასწორითაა ყველაფერი გაყოფილი: ნახევარი შენი დეიდისაა და ნახევარი შენი ჯიმადიაპი... ხარი ერთი ჩემია და ერთი მისი, ძროხა ერთი მე მიბია და ერთი მას... ყანაც, ტყეც, ეზოც, ფრინველიცა და საყოლიც ნახევარი ჩემია და ნახევარი მისი... ჩემს სტუმარს მე ვმასპინძლობ და მის სტუმარს — იგი... მე ცალკე მაქვს შავი დღისათვის გადანახული გროშები და მას ცალკე... ასე ჯობია დია. განუყოფელი, საერთო ქონება, ეშმაკისაა... შენსას შენი სახელი უნდა ერქვას და სხვისას — სხვისი...

გაოცებულმა მიშამ მზერა მოატარა ეზო-კარს და თვალში გაეჩხირა ორი ძირეული ვენახი, ორი ბოსტანი, ორი სასიმინდე, ორი ხულა, ორი ბოსელი, ორი მარანი, ორი შეშის ხორა, ორი დაკაპანებული, ბოძკინტებშეყენებული ხეხილნარი, ორი ჩეჩმა...

— დიდუ, რა ხალხი ყოფილან ეს შავსიელები, — ახლა მოაგონდა ყმაწვილს დედის ნათქვამი: ჩემი და ჩემი სიძებატონი მთავრობამ შავ სიაში შეიტანაო, — და ძალიან, ძალიან მოენატრა თავისი დედა, თავისი, და-ძმა, თავისი ეზო-კარი, თავისი გემრიელი მჭადის-მჭადი და გემრიელზე გემრიელი ჭინჭრის შეჭამანდი.

ბარბალე და ბარნაბა ცოტას ჭამდნენ, ცოტას სვამდნენ, ღარიბულად იმოსებოდნენ, ცოტას ისვენებდნენ... სამაგიეროდ ბევრ ჯაფაში იყვნენ, დღესა და ღამეს ასწორებდნენ, თავის მოსაფხანი და მუხლის გასამართი დრო არ რჩებოდათ... ილეწოდნენ, ირჯებოდნენ, ხელხვაობდნენ და ჰყიდდნენ ტყეს, სიმინდს, ყველს, ხილს, ღვინოს, არაყს და თავთავიანთ ქისაში ბეირივით ტენიდნენ ფულს... ფულს — ნორმაზე სიკეთის წყაროსა და ნორმის ზევით — სიავკაცობის სათავეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ის-ის იყო ღამეს ჩქამი ჩაუდგა, მამლებმა ჩამოიყივლეს, მზემ ყური ამოყო და ჰიშკარს ჩარდახიანი ურემი მოადგა.

აქეთ დეიდა ბარბალემ და მიშამ და იქით ბარნაბა ჯიმადიამ შესწყვიტეს ხილის შეგროვება და სტუმრებს გაეგებნენ.

ეზოში სხივჩამქრალთვალებიანი, ხვანჩგადმოვარდნილი კაცი და ტანმორჩილი, გამტკნარებული, ღაწვებჩაცვენილი დედაკაცი შემოვიდნენ.

კაცი ბარნაბას მამიდაშვილი, თეოფილე გამოდგა, ქალი კი მისი თანამესასთუმლე, ანეტა.

კაცები რიკულიან პარმაღზე ავიდნენ, ძველისძველ, მონჯღრეულ სკარცხულებში ჩასხდნენ, ქალები განზე გადგნენ და აქეთურ-იქითური გააბეს.

სახლის წინამოში აბურძგნილი, აჭრელებული კატა იჯდა და პატარძლის გულმოდგინებით სახეს ილამაზებდა. ცოტა მოშორებით ორ გუნდად გაყოფილი ქათმები ქოთქოთებდნენ, კაკანებდნენ და საკენკს კენკავდნენ. ბიბილოდაწითლებული, ზორზოხი მამლები დინჯად დააბოტებდნენ და ნამუსშეუნახავ დედლებს დაბღვერით დასცქეროდნენ.

სუროთი მოფარჩულ ხეებზე შაშვები მინაბადებულიყვნენ და ჭახჭახი აეტეხათ.

— ერთი, შენს გაზრდას, ახალი წყალი მოარბენინე! — სიტყვა ესროლა ბარნაბამ მიშას; ბიჭმა დოქს წაავლო ხელი, გზადაგზა დააპირქვავა, ჭიდან ცივ-ცივი წყალი მოიტანა და სტუმარს მიართვა.

— აგერ ერთი წელია დაავადდა ჩემი ნაჴაფ-ნავაგლახარი კაცი, დღეში ათი დოქი წყალი არ ჰყოფნის, გამუდმებით სვამს და, ბოდიშმოხდით გეუბნები, გამუდმებით შარდავს... გაუგონარი, არნახული ავადობაა, პირი სულ გამოგვალული აქვს, მუცელში წყალი არ უჩერდება, ეტყობა ბუშტი არ უმუშავებს, წელებს რეცხავს და იღვრება... ამასთან მუწუკები გაუჩნდა... ამ ერთი წლის განმავლობაში ისე დაძაბუნდა, ნაფოტიც არ გადაუბრუნებია ოჯახში... ამოვვარდით, ბალნები დამეშა, სახლის კედლების გარდა, არაფერი შემრჩა ხელში... გავწყდით მაგის მოვლა-პატრონობითა და მაგის ცოდვით... ბოლოს გვირჩიეს ხონში კარგი ექიმიაო და ჩვენც აქეთ გამოვწიეთ, ეგება საშველი დაგვადგეს რამე-თქვა... თქვენი შეწუხება ძაან გვეხათრება, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, ხელი უნდა გაგვიმართოთ და, თუ ღმერთი შეგვეწია, კი გადაგიხდით სამაგიეროს...

ბარბალემ ქმარი ჩამოიხმო პარმაღიდან და საქმის ვითარება აუხსნა.

ბარნაბამ მიწაზე დაგდებული თოხი წამოაყენა, ხეს მიაყუდა, ცოლს გადახედა და რბილს მიმართა:

— დარჩით, დარჩით, აბა რას ვიზამთ ახლა...

დიასახლისმა ქმარსა და საქმარეულოს ზურგი შეაქცია, მის მხარეზე გადმოსულ ბარნაბას მამალს გამოენთო, სიმინდის მარცვალი დააგდებინა და ერთი უშველებელი აქში შე გასაწყვეტოო, დაუთია.

ავადმყოფის მეუღლემ ხელები დაუკოცნა ბარნაბას, ჰიშკარზე გადავიდა, ურმის ზეწარზე ჩამომჯდარ ჩია მეურმეს ათასი მადლობა და ერთი ამდენი ბოდიში მოახსენა, ასე უფინჩხოდ რომ ისტუმრებდა — რა ვქნა, მთლად ასე ძვირი ხალხი კი არ იქნება, მაგრამ, ალბათ, ისეთი თავზარი დასცა ძაან ახლობლის ავადობამ, რომ არაფრის ამანი არა აქვთ... მაგრამ არა უშავს, აგერ, სადაცაა, ჩემი კაცი გამოკეთდება და კი დაგიმადლებს, ვალში არ დაგრჩება, ქეიცი შენ, ავკარგიანი ადამიანიაო...

— საბოდიშო და სამადლობელი რა გაქვს, შე ქალო, ოღონდ თქვენ კარგად იყავით და ერთი დღით ხარ-ურმით მოხმარება რა მოსატანია... ჭამაზე კიდევ რა თავს იწუხებ, გზას შევუყვები და იმდენი მაყვალი და იმდენი ბჟოკაკალაა ჩვენს არე-მარეზე, რომ მე მარტო კი არადა, მთელ უტუს ჯარს ეყოფა, — სიტყვა მიუბრუნა მეურმემ, ჩამოხტა,

ჭალზე ჩამოკიდებულ ყანწში საპონი ააქაფა, ღერძს წაუცხო, ხარებს რქებზე სახრე წაუკაკუნა, წაუტია და პირი უკან აბრუნებინა.

გზა მდორე მდინარის მისადევარს მისდევდა, ურემი აქეთ-იქით ნარვალებში ხრიგინით ვარდებოდა და თეძოამოვარდნილ სახიჩარივით ხან მარჯვნივ გადაიბრიცებოდა და ხან — მარცხნივ.

— უჰ, უსაუზმოდ რავა გავუშვით ის ადამიანი?! — ურემმა რომ კარგა გაიმანძილა, მაშინ შეფუცხუნდა ბარნაბა.

— არა უშავს, არა უშავს, არაა უცხო კაცი, — დაამშვიდა ავადმყოფმა მასპინძელი.

სამი დღე ბარნაბამ ხონში წასასვლელად და ექიმის მოსახმობად ვერ მოიცალა: ეს ყანა უნდა გამოვთოხნო, თორემ ალერდი მოერევაო, ეს ვენახი უნდა შევწამლო, თორემ ჭრაქი შეჭამსო, ეს პამიდორი უნდა შევტეხო, თორემ აყვირდებაო.

დილდილაობით გასავათებული სნეული, საამქვეყნო პირი რომ არ უჩანდა, ლაფაროში გამოვიდოდა, ჯორკოზე დაეშვებოდა, დოქით წყალს მოიდგამდა და ყლურწვით ეწაფებოდა; მიშას ხელები დააწყდა წყლის ზიდვით.

სნეულის სასომიხდილ, მიკნავებულ მეუღლეს ცრემლის ჭურჭელი პირთამდე ჰქონდა ავსილი და, როგორც კი სადმე რამეს მოეფარებოდა, ღვარად ღვრიდა კურცხალს.

საქმეს მოცდენილი მეზობლები ათას რამეს იმიზეზებდნენ და ამ უჩვეულო სანახაობის თვალის სადევნელად და ყურის საგდებლად ბარბალეს და ბარნაბას სახლ-კარს რიალით ეტანებოდნენ და ერთი ჯგლეთა ჰქონდათ.

მასპინძლები, ნამეტურ ბარბალე, სტუმრებს პირს არიდებდნენ და ერთ წუწუნში, წყევლასა და წყრომაში იყვნენ.

მიშას მხოლოდ ყველის ნამცეცებითა და ხმელი მჭადის ყუით უმასპინძლდებოდა დეიდამისი — და ახლა, ამ წყენასა და მდურვაში, სულ არავის ახსოვდა იგი.

როგორც იქნა ბარნაბამ საქმეებს [illegible] მოათავა, თმა შემოიკვერცხა, [illegible]ვნილი ულვაში შეიკრიჭა, სანიადაგო, დაპონჭილი ტან-ფეხი გაიხადა, საგარეოდ გამოეწყო და ხონისაკენ გასწია ექიმის მოსაყვანად.

ბარბარემ ქმრის ფქვილითა და ყველით თხელ კეცზე ხაჭაპური დააცხო, მისივე ჯანჯუხა, თხილი და არაყი გამოამზადა. ხაჭაპური გამოცხვა, დიასახლისმა გათქვეფილი კვერცხის გული გადაასხა, გამოსაშუშებლად კეცის კარბზე წამოაყენა და კანტიკუნტად მოსაუბრე ცოლ-ქმართან. წინამოში, გავიდა და დაჯდა.

მიშა ყნოსვამ არ დააყენა, მოღიავებულ კარებიდან სამზადში შეუმჩნევლად შევიდა და დაბრაწულ ხაჭაპურს შეაცქერდა.

არა, დასტურ უსაშველო ძალა ჰქონია ამ მშიერ კუჭს...

სულმა წასძლია ყმაწვილი, ცხელ კეცეულს ხელი წამოავლო, ხან ერთ ნებზე მოიქცია, ხან—მეორეზე, ბოლოს უბეში იტუცა, უკანა კარიდან გავარდა და გაბარდულ ვენახში დურთა თავი.

გავარდა და კვალში კბილების კაწკაწითა და კნავილით გამოუდგა ჭრელი კატა.

უბე დაეთუთქა...

ვაზის ძირში ჩაიმუხლა, შარვალში ჩატანებული ხალათი აიწია — ხაჭაპური ძირს დაენარცხა — მკერდი მოისრისა, სული მოიბრუნა, კეცეულს დაწვდა, ორად გაკეცა და ეცა...

უსაშველოდ ცხელი იყო და უსაშველოდ სანუკველი.

„მიავ, მიავ“ — შეკრუტუნებდა იქვე წამოწოლილი, პირში მიძუძგურებული კატა, კუდს იპრეხდა და აქეთ-იქით იქნევდა.

მიშა ორივე ყბას ასაქმებდა, იყმინდებოდა, ლუკმა ყელზე ადგებოდა, მკერდზე მჯიღს იბაგუნებდა და მსუნაგ კატას ხან ნამცეცსა და ხან ხელს მოუქნევდა.

ყმაწვილი კარგა ლაზათიანად მიაძლა ხაჭაპურს, კბილებშუა ჩარჩენილი ნაფ-

ხვენები ვაზის პწკლით გამოიჩიჩქნა, ტუჩი ხელის ზურგით მოიწმინდა, უბე დაიფერთხა, გაიხედ-გამოიხედა და ვენახიდან გადმოვიდა.

გაოცებულმა ქალებმა ბიჭს თვალი აარიდეს.

ეზოს ეტლი ტაატით მოადგა და შლაპიან-ხელჯოხიანი, ხანსრული და ტანსრული ექიმი და ახვირაკი ბარნაბა გადმოვიდნენ.

მკურნალმა ავადმყოფს წამოდგომა აღარ დაანება, პირი დააღებინა, ჭარხალივით წითელი, თეთრ ზოლებად დალაქული ენა გამოაყოფინა, მუწუკებს, ძირმაგარებსა და ძიძიბოებს დააცქერდა; მერე ავადმყოფის ახლობლების მონათხრობი მოისმინა.

— დიაბეტეს მელიტუს — თავისთვის ჩაილაპარაკა მკურნალმა, ხოლო ავადმყოფს მიუბრუნდა და პირმორიდებით უთხრა: საგანგაშო არაფერია, წყურტის ჭირვებაა, იმედის წყალს ნუ გადაწურავთ, წამლებს გამოგიწერთ, მიიღეთ და გაივლის.

ხიზნებმა ერთმანეთს გადახედეს, თვალები დაუმრგვალდათ, აუწყალიანდათ, აუციმციმდათ.

დიდება შენდა ძალო იმედისავ!..

— მობრძანდით, მათე ექიმო, მობრძანდით! — ოდაში მიიწვიეს მკურნალი და მრგვალ მაგიდასთან მიიპატიჟეს.

მათე ბატონმა პიტალო შუბლი მოისრისა, სათვალე მოირგო, რეცეპტი გამოწერა და ავადმყოფის მოვლა-პატრონობაზე დარიგება მისცა სნეულის სახლობას.

ამასობაში ბარბალემ თეფშებით თხილი, ჯანჯუხა და გრაფინით ცალნახადი არაყი შემოდგა.

ექიმი ერთი წამოდგომა წამოდგა, მეჩქარებაო, მოიბოდიშა, მერე თხოვნა ყურად იღო, მასპინძლები აღარ გააწბილა და დაჯდა.

მკურნალი დაჯდა, ბარბალე სამზადში გავარდა და გაბმული ვაი-ვუი გაისმა.

...სამზადში, კეცზე, სადაც გამოშუშებული ხაჭაპური ეგულებოდა ბარბალეს, აფხორილ კატას მოეკალათებინა; დიასახლისმა შეიცხადა, ჯოხ[illegible] წამოავლო ხელი და მთელი ძალით სდრუზა უცოდველ ხატაურას.

— რა მოხდა?! — აწრიალდა სტუმარ-მასპინძელი.

— იმ ჭირისშესაჭმელ კატას ხაჭაპური შეუსანსლია, — შუბლზე ხელისხეთქებით გამოვარდა სახეშეშლილი ბარბალე, — მომჭრა თავი მათე ექიმო, შენთან და ესაა, წყალში ჩამიყარა ჩემი ამდენი ჯაფა, მაინც რა სტომაქში ჩაეტია ამხელა კეცეული, ცხრა კაცს ეყოფოდა მუცლის ამოსავსებად!

— დამშვიდდით ქალბატონო, დამშვიდდით, თქვენს შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, კატაც სულდგმულია, პირის პატივი და მუცლის ამოჩხორვა მისთვისაც დაუწესებია გამჩენს, — დაამშვიდა ექიმმა აწრიმატებული დიასახლისი, ერთი თლაშო არაყი გადაჰკრა, ერთი ციცქნა ჯანჯუხა შეჭამა, ერთი ცალი თხილი გატეხა და გააკნატუნა.

გასამრჯელოზე თავი გაიქნია, შლაპა წამოსწია, კარგად გნახეთო, დაუტოვა მასპინძლებს, სნეულს მზერა მოარიდა და ეტლში ჩაჯდა.

დაიმედებულმა, ღიმილმოსილმა ავადმყოფმა (ღმერთო, როგორ არ უხდებოდა, როგორ არ შვენოდა სიხარულის ეს ნიღაბი სანთლისფერ სახეს...) დოქი მიიყუდა და რაკრაკით დაცალა.

შიმშილისაგან პირამოხახული, კნავილით დასიებული კატა ახლომახლო დახანხალებდა.

მიშას მუცელში გაგანია ალხი ჩავარდნოდა, წყალი უსაშველოდ სწყუროდა, დოქი მოედგა და გამუდმებულ ყლურწვაში იყო.

...რიბირაბოზე პარმაღზე მწოლიარე ავადმყოფი სულ მიილია, მიიბნიდა, მიილუშა, ფერხთით მოკუნტულ ცოლს ფეხი ჰკრა და გამოაღვიძა.

— წყალი...

საცვლების ამარა ანეტამ დოქი მიაწოდა.

თეოფილე დოქს წაეპოტინა, მაგრამ ვერ მოიმარჯვა, ამანი აღარ ჰქონდა.

წვალება-ჯახირით ისევ დედაკაცმა დაალევინა.

— ვკვდები... ბალღები არ დამიტოვო შარაგზაზე...

— ხვარ შეიშალე კაცო, რა დროს სიკვდილია, დღეს წამლებს მოგიტანთ...

— სული მხდება... ოჯახი არ დამიქციო და ცხოვრება არ მომიშალო...

— შენს მტერს ამოხდა სული და შენს ბოროტს, ჩვენი ბალღების მამის სიკვდილი რავა იქნება, კაცო?! — ცრემლში იმდუღრებოდა ანეტა, საბანს ხდიდა „თავის კაცს“ და გულს უღელავდა.

ნახევრად გაციებული, ნახევრად იმქვეყნიური იყო თეოფილე...

თვალები მილულა, კბილები გააკრაჭუნა, კრინტი გაიკრიფა...

დედაკაცმა თავში ხელი წაიშინა.

— მა-ზი-არე... — მოიკრუნჩხა, დაიძაგრა და დამარცვლა სულთმობრძავმა.

ქალი დაიბინდა, გაილურსა, ქანდაკად იქცა.

მერე გონი გაეხსნა, კაბა, მგონი, უკუღმა გადაიცვა, პირში ენა მოაბრუნა.

— ღმერთო, სად ვნახო ახლა მღვდელი... — ალუღლუღდა და დაცრემლილ ბლიკვზე იკბინა.

— მა-ზი-არე...

— რა წყალს მივცე თავი, ამ უდროო დროს ან შენდობით ვინ შეგვინდობს, ან ზიარებით ვინ გვაზიარებს? — სლუკუნებდა ანეტა და ცალი თვალი და ცალი ყური ოდაში მწოლიარე მასპინძლებისაკენ ეჭირა...

ოთახიდან ბაიბური არ ისმოდა.

ატყდა ანეტა, ყველაფერი დაივიწყა ამა ქვეყნისა და ზიარება ახსოვდა მხოლოდ... მხოლოდ ერთი კოვზი ნაკურთხი ღვინო და მხოლოდ ერთი ფინჩხა სეფისკვერი... სასუფეველში ამაღლდება მისი, ცხოვრებითა და ავადმყოფობით გაჯახირებული კაცი, თეოფილე...

— მომეცით ერთი კოვზი ზიარება და ყველაფერს განაცვალებთ, ყველაფერს... — ცასა და ქვეყანას ეღაღადებოდა უმწეო ქალი...

— მი-წა...

დედაკაცი ჯერ გაშეშდა, მერე მუხლზე იტკიცა და პარმალის კიბეზე დაეშვა.

...ომშიო, — უყვარდა ნასალდათარ თეოფილეს მოყოლა — ერთი თუში ძმაკაცი მყავდაო, მარჯვე იყო და მამაცი იყოო, ხმლის მოქნევაც კარგად ემარჯვებოდა და თოფის დაცემაცო, ფეხის გამოკვრაც კაი იცოდა და ხელის შემორტყმაცო. ხიფათიანი გზების ტრფიალი იყო, სულ მტრის ზურგის დასაზვერად იწევდა და ხან ზურგზე მოკიდებული ოტროველა მოენეები მოჰყავდა და ხან შინელის ჯიბეები მოჰქონდა გატენილი მაჯაში მოჭრილი მარჯვენებითო... ამ მარჯვენებს მერე ჩვენს ძელმიწურს დიდი ლურსმნით — ყადალას ეძახდა — გარედან მიაჭედებდაო... ქვეყნის სალდათები და ოფიცრები აწყდებოდნენ ამ საწაულ სანახაობასო... გულზე სულ თავის თუშეთიდან წამოღებული ერთი მუჭა მიწა ეკიდაო... ვფიქრობდი ამ მიწას, სავინცობიოდ, საფლავში მისაყრელად დაატარებსო... ვუთხარით და სიცილით მოკვდაო... კაცო, თქვე ვირისთავებო, თუ მომკლეს, ამ სატიალე მინდორში ან ჩემი დამარხვის თავი ვის ექნება ან ეს ერთი მუჭა მიწა რა ბედენაა, გინდ დამაყარონ და გინდ არა, რა ნაბადად წამეხურებაო... აბა, ახლა ჩვენ მივდგებოდით, მაშინ. შე კაიკაცისშვილო, რატომ დააპორწიალებთქო... ეს რისთვინა და იმისთვინაო, რომაო, ჩემი ქრისტიანი მამა-პაპები ლაშქრად რომ აიყრებოდნენ — მშვიდობიანობა უცხო ხილი იყო მათთვის და სულ თოფ-იარაღში იხდნენო — ერთ მუჭა მიწას თან წაიტანდნენ — სიკვდილი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელოდათ და უზიარებლად რომ არ დახოცილიყვნენ, — აბა, თქვე ადამიანებო, იმდენი მღვდელი და მოძღვარი სად იყო — ბრძოლის დაწყების წინ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ამ მიწას შეჭამდნენ, — ეს ზიარების მაგიერი იყო და გულგალომებულები მტერს სასიკვდილოდ ეკვეთებოდნენო... თავად კი ამ ვაჟკაცმა აგერ ა, ომის მიწურულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა ქვეყანაში შეჭამა ქართული მიწაო... დანანებით დაამთავრებდა თეოფილე და შენდობას შეუთვლიდა ჩვენი ხალხის სასიქადულო შვილს...

...ანეტა პარმაღის კიბეზე დაეშვა, ჭასთან სამი თითი გადაიბანა, ვენახში გადაფრინდა, დაიჩოქა, ნალოლიავები დიხაშხო ხელით გადაწმინდა, სული შეუბერა, ერთი მწიკვი სუფთა, მაყვალივით შავი მიწა ამოჩიჩქნა და უკან გამოენთო.

სნეული სულს ლაფავდა.

— კაცო, მიწა მოგიტანე... — დაიხარა და ყურში ჩააყვირა.

სულთმობრძავმა ქუთუთოები გააფახურა, ოდნავ წამოიწია, მიწოდებული მიწა ჩაილუკმა, თავი გადააგდო და... წავიდა წიაღსა შინა აბრამისასა...

— კაცო, თეოფილე!.. — შეიცხადა ამა ქვეყანაზე სატანჯველად შთენილმა ანეტამ და ცხედარს გადაემხო...

...ავადმყოფის ტუჩდანაკარებ დოქს კავი მოსდეს და სანაკელეზე მოიქნიეს.

შეშინებულმა ბარბალემ წყურტის ჭირვება გადამდები არ იყოს და ხათაბალაში არ ჩავარდეო, საშინაო მორთულობა გაიხადა, შმორის სუნდაკრული, გვირგვინის კაბა გადაიცვა, თავზე სირაქლემასფრთიანი ფეტრის ფერნაცვალი შლაპა დაიხურა, ქუსლებშელანძღული ფერადი შევროს წაღებში გაუყარა ფეხები, აქერცლილი რედიკული დაიჭირა, მიშას ხელი ჩაავლო, რისიკოს გაუარა, გაიყოლა და ხონისაკენ, ექიმთან, გაიბაწრნენ.

მათე ექიმმა კარები ფართოდ გაალო და სტუმრები მიიპატიჟა.

— სნეული? — ყრუდ იკითხა.

— ...

— ღმერთმა გაანათლოს... საამქვეყნო პირი არა ჰქონდა, ძალზე მიშვებული იყო წყურტის ჭირვება... ჩვენ, ქართველებს, ერთი უბედური ზნე გვჭირს: სანამ სასიკვდილო სარეცელზე არ გაგვაკრავს, მანამდე არ მივხედავთ ავადმყოფობას...

მასპინძელმა სტუმრების მოსვლის მიზეზი იკითხა.

ასე და ასე, ქვეყანა თავზე გვექცევაო.

ფეხტინტრაქა მიშა ხაოიან, ნახატნოხზე იდგა, ფეხი ლომის ხახაში ჩაეყო და ეს ფაფარაშლილი მხეცი, თუ უწყინარი ბუსუსოები ტერფზე ულიტინებდნენ... ერთი გაცინება მთელ ქვეყანას ერჩია...

მკურნალმა მიშა სავარძელში ჩასვა, სახეზე დახედა, ხახაში ჩახედა, წამოაყენა და საჯდომზე ხელი წამოარტყა.

— ბარაქალა თქვენს ქალობას, ა, ასე უნდა, ბატონო, ადამიანზე ზრუნვა... შენ კი, ჩემო ძმობილო, მწუთხე გიჭამია და ტყუილად მოგიცდენია ეს მანდილოსნები! — გაიღიმა მასპინძელმა.

— შარზე ხომ არ ხარ, მათე ბიძია, ხაჭაპური მე კი არა, კატამ შეყლაპა — შეფუცხუნდა მიშა.

ვინ კატამ? — ხელები გაშალა ექიმმა.

აი იმანაო, — წვრილად მოუყვეს და გონში ჩააყენეს.

მასპინძელი ახარხარდა, მიშას თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— ღმერთმა შეარგოს კატას ხაჭაპური!..

მიშამ ქალებს ზურგი შეაქცია, ექიმს სხივიანი მზერა შეანათა და ოდნავ გასაგონად გაიცინა.

— რა გაცინებს უზრდელო? — იდაყვი უთავაზა და დაუბღვირა ბარბალემ.

— რა ჩემი ბრალია, ნოხი მბწკენს... — ლომის ხახიდან ფეხი ამოიღო, ექიმისკენ გაიწია და უტეხად გაუსწორა თვალები დეიდას.

რისიკო მათე ექიმის ხარხარმა დაამშვიდა, დააშოშმინა, გული მოუბრუნა.

— ფული რამდენი მოგართვათ? — შეეკითხა ბარბალე და რედიკული გასახსნელად მოიმარჯვა.

— უჰ, ეს რა ბრძანებაა?! — ალმური აუვარდა მკურნალს სახეზე.

ქალებმა მასპინძელს მდაბლად თავი დაუკრეს, მადლობა მოახსენეს და ისის იყო უნდა გამობრუნებულიყვნენ, რომ ექიმმა მიშა შეაჩერა და შეეკითხა:

— მამაშენი ვინაა, ბიძიკო?

— მამაჩემი?

— ჰო...

— მე მამა არა მყავს, მათე ბიძია...

— ჰმ... — ამოთქვა ექიმმა, ჯიბე ამოიბრუნა, ფული, რაცკი რამ ებადა, მიშას გაუწოდა და უთხრა:

— ღენტორას დუქანში გაიარე შენს გახარებას, ზიზია ტუფლები იყიდე, მერე, იქიდან საკანდიტროში შეირბინე, ფოჩიანი კამფეტები მოივაჭრე და პირი ჩაიტკბარუნე...

...ფერმოჭარბებული, მუხლმომაგრებული, მხრებში სიხარულშემდგარი რისიკო ივანდიდის შარას დასდგომოდა და გაპობილ ტუჩკილოებს თავსაფრის ყურით მალავდა... მიშას პრიალა ტუფლებში ფეხი გაეყარა, კამფეტისათვის ხრამახრუმი აეყენებინა და კვალდაკვალ, დედას ბიჭივით მისდევდა რისიკოს... მაგრამ ქამიდან ქამზე ცდუნებას ვერ დაიოკებდა, მშობელს ცუნცულით ამოურბენდა და ცალიკ-მალიკით გზას გადაუჭრიდა...

— დედა შემოგევლოს... — ჩუმად ჩაილაპარაკებდა რისიკო.

ღვთის წინაშე არც ბარბალე დარჩა დაზარალებული და დარდდაყრილი, — ექიმისათვის მისაცემი ფულიც შერჩა და ზედმეტი ხახაც გაერიდა...

მიშა ჩემზე ორი წლით უფროსი იყო, ორი წლით ჩემზე ადრე გააბარეს სკოლაში, ორჯერ ჩარჩა და ახლა მე და ჩემი თანაკლასელები დავეწიეთ მას.

პირველ დღეებში ამრეზით, ზევიდან ქვევით დაგვცქეროდა, ღლაპებს გვეძახდა და ჩვენთან გასაუბრებას, გაშინაურებასა და გავლა-გამოვლას გაურბოდა... მერე და მერე შეგვეჩვია, შეგვეთვისა, შეგვეწყა და მისი თვალში საცემი სიმაღლე, დაძარღვული მკლავები და თუთუნისაგან შერუჯული თითები თუ არა, ბევრად ვერაფრით განსხვავდებოდით ჩვენგან.

ჩვენ ერთი თაობა გავხდით.

...შემოდგომის მიწურული იდგა, ცა განიადაგებულად, დღეცისმარე თუ ღამეცისმარე, მოქუფრულ-მოქურუხებული იყო და თქორად და [illegible] ოდა.

ხანდახან მზე პირბადეს გადაიხდიდა, თვალს გააჭყეტდა და ცისძირიდან ცისძირამდე შვიდფერა მშვილდს გადარკალავდა...

ეს მხოლოდ ხანდახან.

ისე კი განიადაგებულად ასხამდა...

ასხამდა და გაღენთილ-გაჟიებული მიწა, ადგილ-ადგილ ტბორე და გუბე რომ მოეყენებინა, ალაფებულიყო და ყველა მოარულს, უტყვს თუ მეტყველს, მუხლებამდე იფლობდა.

თავი, ტანი და ფეხები სულ სველი, გაზუზული გვქონდა, რალა ჩვენ და რალა წვიმაში ამოწუწული, აწივწივებული წიწილები.

ლაბადა ჩვენ არ გვებადა, ქოლგა და კალოში...

ეს უცხო ხილი, ახალი საცმელ-სამოსი, მთელ ხონში რამდენიმე თავშენახულ მოქალაქესა და თითო-ოროლა ხელმომთბარი მშობლების ბავშვებს თუ გააჩნდათ...

ლაბადა, ქოლგა და კალოში, ჩვენს წრეში, მხოლოდ ეთერ ინჯიაძეს ჰქონდა... ეთერს მამა მასწავლებელი ჰყავდა, დედა — ექთანი. მშობლებს მის გარდა არავინ უჭაჭანებდათ, ეფოფინებოდნენ, ელოლიავებოდნენ, თავს ევლებოდნენ... იგი ასკილზე ლამყნილი ჩაის ვარდივით ნაზი, შოლტივით მხვართი და ალვასავით ალნაგი გოგონა გახლდათ.

ქვეყანაზე რაც რომ სიმწყაზრე, სისათნოე და სინარნარე ყოფილა, მხოლოდ მასზე დაუხვავებია გამჩენს თუ განგებას.

ყველაფერში ბეჯითი, სწავლაშიაც მეცადინე იყო, მართალია სულ თავგადაკლულიაო ვერ იტყოდით, — მისი ამდენი ქალური სიკეთე, რაც ახლახან მოგახსენეთ, ხომ მეურვეობასა და მოვლა-პატრონობას მოითხოვდა, — მაგრამ ყოველთვის კარგად სწავლობდა.

ყველაფერში ყველასგან გამორჩეულს, ფეხის ხმაც კი თავისებური

ჰქონდა: პირისფერ კაბაში პეწენიკად გამოწკეპილი, რძისებრ თეთრი სახის ქათქათისა და ჟუჟუნა თვალების ციმციმით, ყორექვით ნაგებ ფართო ქუჩაზე, ბეტონის ვიწრო ფილაქანზე თუ სკოლის გრძელი დერეფნის ფიცარფენილზე რომ გაივლიდა და ბაკაბუკსააყენებდა, მთელი ჩვენი სკოლის ბიჭებს გული აგვიჩქარდებოდა, სისხლი აგვიჩქროლდებოდა და ჟრჟოლვა და ჟრუანტელი დაგვრევდა ხელს.

აიკრიფებოდა დღის სინათლე. ფეხს მოიდგამდა ბინდი, ჩამოდგებოდა კუნაპეტი ღამე, ცოცხალმკვდარივით მივეყრებოდით დასაძინებლად დღე ცისმარდი ნარბენი, დაქანცული ბიჭები, ვინ სად და ვინ სად — ზოგი დაფარღალალებულ, ფარდაგწაფენილ იატაკზე, ზოგი — ჭრაჭუნა ტახტზე, ზოგი — რკინის ზამბარებიან საწოლზე... არც ქვეშაგები გვქონდა ერთნაირი. — ერთის საბან-გობანი ბუმბულით იყო გაწყობილი, მეორის — ბამბით, მესამის — თივით...

გავიშხლართებოდით, ზედასახურს წავიფარებდით, თვალს დავხუჭავდით და ის ერთადერთი, მთელი ამხელა ქვეყნის ზურგზე ერთადერთი ეთერი გამრავლდებოდა, გაბევრდებოდა, გაოცკეცდებოდა, იმდენი გახდებოდა რამდენი ბიჭიც ვიყავით და ჩვენი გულის სწორი ლერწამქალწული წამისუმალ თავზე წამოგვადგებოდა. გულაზიზი და გულზვავი კი არ იყო გაბევრებული ეთერი: წარბშეუხრელად შემოდიოდა სოხანია ჯარგვალში, ფიცრულ ოდაში თუ აგურით ნაგებ სახლში.

ყველასთან შემოდიოდა ეთერი, ყველას გვაპურებდა იმ ერთადერთი, უმწიკვლო, უწილო, განუყოფელი სიყვარულით, რომელიც მხოლოდ ერთი ჩვენთაგანისათვის, მხოლოდ ერთი ბიჭისათვის ფეთქავდა მის გულში...

მთელ ღამეს ჩვენთან ათევდა ეთერი და მწველი ალერსის აგურგურებულ ალში გვხვევდა.

და აღგვითქვამდა შეუბღალავ სიყვარულს, საუკუნო ერთგულებას, სოლომონ დოდაშვილის მეუღლისებრ განწირვას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვპირდებოდა ოჯახის აყვავებას, ცხოვრების გამართვას, ჯიშიან-ჯილაგიან გოგო-ბიჭების დაჩენას...

გვპირდებოდა სიკეთეს...

გვპირდებოდა სიამეს...

გვპირდებოდა უკიდეგანო ბედნიერებას...

გვპირდებოდა, გვპირდებოდა, გვპირდებოდა... და გვეხვეოდა, და გულში გვიკრავდა, და სულში გვიხუტებდა.

გამთენიისას ის კინჩხმოსატეხი მამალი დაიყივლებდა, დაგვარბევდა, თვალს დაგვაჭყეტინებდა და გულზე შემოგვყრიდა: ეთერი წამოფრინდებოდა, წამოენთებოდა, არიქა, არიქას ძახილით ყველა თავის სიკეთეს აიკრეფდა და თვალს მიეფარებოდა. — ამდენი გაბევრებული ეთერი კვლავ ერთ ეთერად იქცეოდა და თავის სახლში გაიზმორებოდა და გაიღვიძებდა.

გაიღვიძებდა და წკრიალა, ანკარა, ნარნარი ხმით წაიღიღინებდა ხონელების ძველისძველ სიმღერას:

გათენ-გათენებულაო,
უყივლია მამალსაო,
შავო ძაღლო შენ მიაკვდი
ხონის მტრების მამასაო...

დილით რომ ავდგებოდით ხან ტუჩები გვქონდა აფეთქული, ხან ლოყა გვქონდა ატკრეცილი და ხან ეთერის თავნადები მკლავი გვქონდა დაბუჟებული...

ეთერიმ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა თავის ღამეული თავგადასავლის შესახებ... ჩვენ, რაყიფი ბიჭები, ერთმანეთს რა შვილები გავუნდობდით ხვაშიადს, ხოლო ინჯიაძის ქალს, აბა, ვინ შეჰბედავდა რაიმეს გამხელას?!

დილით ეთერი კუტიკარს გაალებდა, ბოგირს კისკასად გადმოირბენდა, მაყვალთვალებიდან ცინცხალს ჰყრიდა, ლერწამივით მიქანაობდა, ჩანთას მიაკონწიალებდა, და წყვილი ნაწნავი წერწეტ წელზე ელამუნებოდა.

ეთერის სახლიდან ჩვენს სკოლამდე

ეროვნული

ზუსტად ათას სამას ოთხმოცდათვრამეტი ნაბიჯი იყო, ამას წყალი არ გაუვიდოდა, ყველა ჩვენგანს, თუ მეტი არა, ათას სამას ოთხმოცდათვრამეტჯერ მაინც გვქონდა გადაზომილი და გადათვლილი...

რამდენიმე ბიჭი, მეტი უტეხი თუ მეტი უტიფარი, იქვე ბოგირთან დავემგზავრებოდით, რამდენიმე ბიჭი კიდევ, შედარებით მორიდებული თუ მორცხვი, გზადაგზა ავეტორღიალებოდით...

ზოგი წინ ვუსწრებდით, ზოგი უკან მივყვებოდით, ზოგი მარცხნივ ვუდექით და ზოგი მარჯვნივ.

მირონინობდა ეთერ ქალი...

მივყვებოდით ჩვენ, რაყიფი ბიჭების ჯგრო...

ვის გაგვიღიმებდა, ვის გაგვესიტყვებოდა. ვის თვალში შეგვანათებდა და ბედნიერები მთელი დღე მაღლა-მაღლა, ჰაერში დავნავარდობდით და მიწაზე ფეხს არ ვაკარებდით.

ეთერი ერთი იყო, ჩვენ — ოჰოჰოო...

და ბიჭები, შიგადაშიგ, ერთმანეთს ვმტრობდით. ვშურიანობდით, „სიფათს ვულამაზებდით“...

...ეჰ, ჩემო თანაშეზრდილო, მოჩიტულო, პირიზიარება ბიჭებო, თურმე რა ტყუილად ვუნაყავდით ერთმანეთს ცხვირ-პირს... ვინ უწყოდა მაშინ, რომ დრო გადაბრუნდებოდა, ულვაშის აგრეხასაც ვერ მოვასწრებდით და ომი ატყდებოდა... ომი ატყდებოდა და ჩვენი სულის სწორი, საოცნებო და სათაყვანო ეთერი ხონიდან მტკვრისპირა ქალაქს გაუდგებოდა, უმაღლესს გალევდა და იქვე დაიდგამდა გვირგვინს... ხოლო ჩვენ, საწადელს ვერ წეულნი, ფარაჯებში გამოვეწყობოდით და ზოგი დნეპრზე დავდებდით თავს, ზოგი ვოლგაზე და ზოგი შპრეეზე...

ინჯიაძის ქალის თაყვანისმცემლებში მიშა, რასაკვირველია, უკანასკნელი არ იყო...

ეთერთან ახლოს მდგომი მიშა არავის უნახავს, მაგრამ ვერც ეთერს ნახავდით სადმე, რომ მიშას აჩრდილი ახლომახლო არ ხლებოდა.

...მიშა, რომ უმამოდ დარჩა, [illegible]ის სწორს, პარასკევს, მამის დეიდაშვილმა, იასონმა, განთქმულმა მექუდემ, ზოგი საკუთარი ჯიბის ნაფხეკითა და ზოგი ვახშად აღებული ფულით, ხონის ქართაში, ძიკი კვარაცხელიასეული, ნახშირივით შავი დეკეული იყიდა და რისიკოს მიუდენა:

— ა, ჩემო რძალო, ცოტა ხელი უნდა ამ უშობელს, ხანში მოდგება, დაძროხდება, ჯიში და ჯილაგი, ღმერთმა მოგვცეს, კარგი აქვს, და ბალნების დაპურებაში მხარში ამოგიდგება.

რისიკომ ბაწარი ჩამოართვა იასონს, მარჯვენა მკლავზე ემთხვია, თვალები ცრემლში აუცურდა და გული ამოუჯდა: „ჩემი ბალნების მადლი მოგაცხოს გამჩენმა, ჩემი ბალნების მადლიო“...

ვინ საიდან და ვინ საიდან გამოტყვრნენ ბავშვები, სტუმარს ფეხათრევით მიესალმნენ, კოცნა და კამფეტი მხრების შმუშვნით ჩამოართვეს, პირუტყვთან შორი-ახლოს დადგნენ, ფაციცით მიაჩერდნენ, შეღიმილიანდნენ და იხვის ნისკარტივით ცხვირგაბრტყელებულებმა თვალი ერთმანეთზე შეაგდეს.

ბავშვები მთელი კვირა ბჭობდნენ, ერთიმეორეზე ყვირილითა და მუჭით მიიწევდნენ, აი ესაო, აი ისაო და ბოლოს დეკეულს ნაზიბროლა კვარაცხელიხე დაანათლეს...

ქამთასვლამ რამდენიმე ბრუნი იბრუნა, ნაზიბროლა კვარაცხელიხეს ხანი დაედო, ხბლი მოეკიდა, დაძროხდა და რისიკოს წვრილშვილის პირველი მწე გახდა...

რისიკოს წვრილშვილის პირველი მწე გახდა ნაზიბროლა კვარაცხელიხე და პირველ პატივშიც ჰყავდა იგი მთელ ოჯახს: ბოგა დასუფთავებულიო, საპირე დაკრიალებულიო, ტანი დაურვებულიო... ახლა ხასხასა ბალახიო, რძიანი ალერდიო, ეკლის ხისა და ბჟოლის ზეზეულად დაკრეფილი ნეშოო, თივაო, ჩალაო, მოდუღებული მუხუდო და ჯუგარაო... აუგად არ მოიხსენიებდნენ, ფარსაგად არ დაუყვირებდნენ, ანაგებად ხელს არ აუქნევდნენ...

იმ კვირა დღეს აუცილებელი საქმე გამოუჩნდა რისიკოს, — ძროხის მისახედად არამც და არამც არ ეცალა, — თავის მოსწრება შვილს, მიშას, ეხვეწა, ემუდარა, რის ვაი-ვაგლახით დაითანხმა და ნაზიბროლა კვარაცხელიხე საბალახოდ გამოუშვადა... სამხრე ჩანთაში მჭადი, კვახის ნეშოში გახვეული ყველი, აჩოყებული პრასა და ქინძში გამოკრული ბლომა მარილი ჩაულაგა, ნამგალი ქამარში ჩაუჩარა, თვალები დაუკოცნა, საქონელს გავაზე ხელი გადაუსვა და, აბა შენ იცი, ჩემო დასახანებულო ბიჭო, როგორ ჭკვიანად მოაბალახებ ამ ჩვენს მარჩენალსო... მერე მშვიდობით რომ დამიბრუნდებით შენ და ნაზიბროლა, რისიკო გენაცვალოთ, ერთ ბოთლ რძეს ნანულის გავუგზავნით, ხომ იცი თოთო ბალანა ჰყავს, ძუძუ არ აჰყვა საწყალს, ცოდოა, დია, ეედა-შვილი... დანარჩენ რძიდან დიდ წველას ამოვიყვან, აგერ, ჩვენი მრუდე შუკის მიღმა, სწორედწასულ შარაგზაზე, ჩხეიძეების ოჯახში მდგმური რო დგას, კილასონია ახალგაზრდობაში და სიჭარმაგეში ღვინითა და არყით უხეთქია იმხელა მუცელი, ახლა, წლებით რომ დამძიმებულა და ჯანი და ღონე, აგერ იმასავით, ხელით სათრევი გახდომია, ყველა და ყველაფერი აუკრძალია და საზრდოდ და სარჩოდ რძე, ნადული და ყველი დაუწესებია — იმას მივუტანთ და იმ დაწყევლილ ფულს ხელს შევავლებთ... შენ და მოცოროზებს კიდევ გულნაკლულს არ დაგტოვებთ: სველში ფქვილის ფაფას მოგიდუღებთ და ცხლად მოგართმევთ...

— კაი, კაი დია, გავიგონე და გავიგე, ყრუ და ბოთე ხომ არა ვარ, — უთხრა, მხარზე საგზლიანი ჩანთა მოიგდო, ხელში ნედლი წნელი შეათამაშა და ჰეიო, შეესმიანა ნაზიბროლა კვარაცხელიხეს.

— ხომ იცი, დია, სანამ ფერდს არ ამოივსებს, მანამდე უნდა აბალახო, პირის გაჩერება არ დაანებო... ისე, დაიხსომე შვილო, ცხოვრებაში გამოგადგება — ვინიცობაა, ჩვენ რო დევიხოცოთ ჩვენს ნაგრამს ხო უნდა დაჭრივოთ გარჯით ნაგროვი გამოცდილება — ფენთხს ცალ-ცალკე კი არ ამოიღებს, ორივეს ერთად ნელ-ნელა, ნელ-ნელა ამოსწევს და ასე, მზის გადაბრუნების დროს, დღე რო ჩამოვა, მუცელს ამოიბრუნებს, — ავ თვალს არ დაენახება მაშინ ისე დალამაზდება და დამშვენდება ჩვენი ნაზიბროლა... ხოდა, მაშინ ქე იბრუნეთ პირი აქეთ, აბა, შე კაცო, მართლა ერთ ბოთლს რძესა და ერთ წველა ყველს ხომ არ გადაყვები ადამიანი...

— კაი, დია, კაი, ყრუ და ბოთე ხომ არ ვარ! — გაიმეორა მიშამ და კვლავ გაიწია.

— დია, ხო იცი, ორი თვის ხბო ყავს — დედა, დედა, რა საძროხე უშობელია — ხოდა, შენ და შენი ღმერთი, ერთი ილღია ბურჩხა ბალახი დაგლიჯე და ქე წამოიღე, მადლია შვილო...

— კაი, კაი... — ყელში მოადგა ამდენი ჭკუის სწავლება მიშას, ძროხას წნელი გადაუქირა და წინ გაიძღვარა...

— აჰ, წნელი არ დაკრა, დედაა, შე კაცო, დედაა და, აბა, დედას რომელი ქრისტიანი მოუღერს ხელს?

— კაი, კაი... — უკანმოუხედავად დაუგდო მიშამ და ახლა იდაყვი უთავაზა ნაზიბროლას ჩავარდნილ ფერდში.

მიდის, მიალაჯებს მიშა, მიერეკება ნაზიბროლას და უამრავი ფიქრი უბრუნავს თავში... ვით გასძლოს, მთელი დღე ეთერის უნახავმა: ვით დაიტიოს გულში საგულემ, თუ ერთგზის მაინც ახლომახლო არ დაიგულა გულის ტოლი? ვით შერჩეს თვალთა ნათელი, თუ ერთხელ მაინც არ იხილა ეს საამო, სახიერი სახილავი?!

ვინ უწყის დღეს რომელი ბოთე დაუწყებს ფოფინს? ანდა რომელი ლენგერა გაელლაბუცება და შეჭამს თვალებით?!

ცეცხლი მოეკიდა მიშას... ერთი წუთით ფეხი ფეხს მიადგა, წინგაგდებული ნაზიბროლას მიშვებული საბელი მოქაჩა და უკან დაბრუნება დააპირა... მერე ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და გა-

დაიფიქრა — იმ დილაადრიან აფუსფუსებული მეზობლები ეზო-გარემოში გამოფენილიყვნენ და ათასი საქმით იყვნენ გართულნი... ათასი საქმით იყვნენ გართულნი და წნული, გვერგმოდგმული ღობის მილმიღან ასი თვალი უმზერდა მიშას და ნახევარი ამდენი გული ლოცავდა: შეხედეთ, შეხედეთ ხალხო, ეს გასახარებელი ბიჭი რანაირად დაჭკვიანდა და რანაირად ამოუდგა მხარში გაწამებულ დედასო...

არა, მიშა ამ ადამიანებს ამდენ აღფრთოვანებას ვერ ჩაუშხამებს და კვარაცხელიხეს ვერ დააბრუნებს ახლა უკან...

ფეხს აუჩქარა, ნაზიბროლა სულ ძუნძულ-ძუნძულით გაიდევნა...

ვაკე ხონში მიწის ყოველი ციდამტკაველი მამასისხლად ფასობდა და ხვასტაგის გასადენად და გასარეკად, აბა, ვინ რა ადგილს დასთმობდა — საქონელი საბელით ხელში სხლტესხლტე, ნოლა-ნოლა და მიჯნა-სამანებზე უნდა გეტარებინა და გებალახებინა.

კოდარაში გზიდან მარცხნივ აუხვია, მდინარის კალაპოტს მაღლა აჰყვა, ნოლაზე აბიბინებულ მურწას მიადგა, მეშველათ ჩაილაპარაკა, ნაზიბროლა ნებაზე მიუშვა, ჩანთა მოიხადა, სული მოიდგა და ჩაიმუხლისთავა.

ხელები გაშალა, გაიზმორა, ხასხასა არემარეს თვალი შეჰკრა: ლურჯი, გამჭვირვალე, კამკამა ჰაერი შემოგარსოდა ირგვლივ დაცემულ შემოგარენს.

რძით გაჟივებულიყო ბალახის ღერო, სიმინდის ტარო, ჯუგარას თაველი.

მდინარის პირას მუქი თხმელისა და ნაცარა ტირიფის ხერგულები და მაყვლის, ასკილისა და კუნელის ბუჩქები თუ ჩირგვები ჩარიგებულიყვნენ. ...ჩირგვ-ბუჩქებში ბაყაყები, კალიები, პეპლები და კრუალები ბინადრობდნენ და ერთ ყარყაშში და ყოფაში იყვნენ.

ფრთების ფარფარით დაფრინავდნენ ლობემძვრალები, მწიფობელები, ნიბლიები.

კალაპოტის გასწვრივ, გაღმა-გამოღმა, რამდენიმე რიგი სორგო ჩაეთესათ, აქა-იქ, სიწითლეში შესულ თავთავებს მარცვლები გუბეში ჩასცვივნოდნენ და დუბელა სინგურისფრად შეეღება.

სანამ მიშა გარემოს შეეგუებოდა და შეერწყმოდა, ნაზიბროლას ყანაში ფეხი წასცდენოდა და სიმინდის მწკრივებს შორის გამოთესილ მუხუდოს კაი ძალი ძირი გამოეძოვა.

— აუუ, აღიქვი ახლა ამის გადამკიდემ ბუნება... — ხელი ზე აღმართა, ბარძაყზე დაირტყა, წამოდგა, კვარაცხელიხეს დაუცაცხანა, ნოლაზე გამოდევნა, დაფაცურდა, მუხუდოს ძირები ამოთხარა და წყალში გადაუძახა... მერე დარჩენილი ღრმულები ზოგი ხელით, ზოგი ფეხით შეასწორა, მოაშანდაკა, მოტკეპნა და დანაშაულის კვალი მოსპო.

— ჰამე ახლა ძურწა, ქალბატონო ნაზიბროლა, რაც მოხდა მოხდა, ალალი და უსაყვედურო იყოს შენზე ის ცხვირპაჭუა იაპონელების ლობიო...

ნაზიბროლა ერთხელ კი დაიხარა ქვევით, ერთხელ კი დააკარა ძურწას პირი, ერთხელ კი დაყნოსა ბალახი, დაიფრუტუნა, თავი აიმაღლა, გაჩერდა და კუდით მწერები მოიგერია.

— მიირთვი, შე ქალო, რას გაჩერდი, რა ჩემი ჭირი გინდა?

კვარაცხელიხემ დაიზმუვლა და აქოჩრილ, ჩაულვაშებულ სიმინდისაკენ გასწია სქელი, გიშერი, ცვრიანი დრუნჩები.

არა, გამოტეხილად არ იყო ნაზიბროლა ძურწის მჭამელი...

ამოიოხრა მიშამ, მიდგა-მოდგა, პალო მოძებნა, მოეჭიდა, მოალანლალა, მოაძრო, მოიტანა და მიწაში ჩაარჭო.

— ახლა შენ, ჩემი ცოდვით სავსე ნაზიბროლავ, მთლად შტერი და შუშუ არ ხარ, მაგრამ მაინც ხვადაგი ბრძანდები და, თუ უკაცრავად პასუხი არ იყოს, დიდი სირცხვილ-ნამუსი არ გაგაჩნია, — გატყობ, რომ იმ თავნაყარ სიმინდზე გაქვს კბილი ალესილი და დაუბმელს ვერ დაგტოვებ... აბა, შენს პოხონდრიაზე რომ მიგიშვა, სულ გადასანსლავ აჭაურობას, მერე მოვა მეველე და ორივეს წაგვრეკავს სადაც საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როა... დილამდე დილეგში მოგვაყუჩებენ და ჩვენი პირის პატივზე, აქაოდა სინდის-პატიოსნებაზე ხელაღებული ხალხიაო, თავს არავინ შეიწუხებს... ეს ხომ ასე იქნება და იქნება, ახლა ნანულის, თოთო ბალანა რომ ჰყავს, ერთ ბოთლ რძეს ვინ ვაჟბატონი მიურბენინებს? ხო იცი რა თქვა რისიკომ, ძუძუ არ აჰყვა და ცოდოა დედა-შვილიო... ან კიდევ ჩხეიძეების მდგმურს — მუცლის კანი ღვინისა და არყის ყლურწვისაგან რო დაბზარვია, ჯანი და ჯანმრთელობა სულით საბერი რო გახდომია და ახლა რძეზე, ნადუღზე და ყველზე რო დაუწერია ჯვარი, იმ კაცს — დიდ, ჰყინტ წველას ვინ მიართმევს ა? გაიგე? ვერ გაიგე? ვერა? უჰ, სულ ბენტერები რავა ხართ ეს ლამაზი ქალები? — ერთი გოგოა, სახელს ვერ ვიტყვი, და ჯერჯერობით სათოფედაც არ გამკარებია. შენა ხარ და კრიჭა შეგიკრავს და ძურწას კბილს არ აკარებ... სხვას ყველაფერს რო თავი დავანებოთ, იმ დილეგში შენ შენს ბალანას დაგანატრებენ, მე კი — ჩემი ეთერის თვალის შევლებას...

„ეთერი“ წამოცდა, წამოწითლდა და ნაზიბროლა კვარაცხელიხეს თვალი მოარიდა.

ნაზიბროლას „ეთერის“ გაგონებაზე თავში ხელი არ წაუშენია, ყვირილბღავილი არ აუტეხია, ნიშნის მოგებით არ მიუხედავს მიშასაკენ და კვლავ, თითქოს არაფერი არ თქმულაო, აღალანებულ ყანისაკენ მიიწევდა.

„არა, ჭორიკანა და ენატანია დასტურად არაა, ჯანაბას, გადავალ და ბურჩხას მოვუთიბავ“, — გაიფიქრა, საბელით პალოზე მიაბა, ნამგალი მოიმარჯვა, ფრჩხილით ფხა მოუსინჯა, ხელი დაინერწყვა, ცხენკაცის სიმაღლე სიმინდში შევიდა, ერთი კაი ტვირთი წელსმოყრილი ბურჩხა მონამგლა, მიუტანა და წინ გაუშალა

წელში გაიდრიკა, ნამგალი მოიქნია, ოფლი მოიმშრალა.

ნაზიბროლას თავი არ გაუპატიეა, ცალი ფეხი წინ წადგა. ბურჩხას დრუნჩი გაჰკრა, მთელი ბუნჯგალი ხახში მოიგდო და ქვედა ყბა სიბრტყივ მოუქნია.. .ნელ-ნელა შეუყვა, მერე შეუწყრა, შეუტია და ელვისუმალ ნატამალიც არ დასტოვა ბურჩხა ბალახისა.

კვარაცხელიხემ ბურჩხა ბალახი უკანასკნელ ღერამდე შესმუსნა, თავი აიღო, ყურები აცქვიტა და მრგვალი, დიდი თვალები კვლავ მიშას მიაცეცა.

მიშას მზერა სტომაქისაკენ გაექცა და გაშრა — ლარტაფივით ჩაქცეული ფერდი ფრჩხილისოდენადაც არ ამომაღლებულიყო...

— დედა რა ლოქაფი ყოფილხარ...
— ჩაისისინა მიშამ და ხელი ჩაიქნია.

შუბის ტარზე წამომდგარი მზე ჯერ კიდევ ჯიქურ ჩამოსცქეროდა ცისქვეშეთს, მაგრამ უკვე პაპანაქება დაენთო და ალხი აეყენა, მდინარის გაყოლებაზე, ზევით, ასე ერთი-ერთნახევარი ადლის შემაღლებით, ბული დამდგარიყო, ლივლივი გაჰქონდა და ადამიანს თვალს სჭრიდა — რაღაც უხილავი იწვოდა, ილვენთებოდა, იფერფლებოდა...

— ნაზიბროლა, ძლაბო, შედი ჩემს მდგომარეობაში, გააქნიე მაგ ოხერი ყბა, შეჭამე ეს ძირგასახმობი ძურწა და მორჩი ამბავს, — რუსულის გაკვეთილი მაქვს დასამზადებელი... განა ხვალ შენ გამოგიძახებს კოტე ინჯია... ავიღოთ სიტყვა утроба, — აბა ყმაწვილო — თვალებით გამბურღავს — დიახ, თქვენ გეკითხებით, თქვენ მიხეილ ბატონო, თავი ნუ მოგიკვდებათ, აბრძანდით და გვიპასუხეთ, ამ სიტყვაში — утро-ба — რომელ მარცვალზე ეცემა მახვილი?... და ხმას რომ ვერ ამოიღებ, ხომ დამეცემა თავზე მახვილი?

ვინ მოთვლის მიშას ამ მწყაზარი მასწავლებლის რამდენ შეკითხვაზე არ გაუცია პასუხი, მაგრამ თავზე, რაც თავი ახსოვს, არც ერთხელ არ დაცემია მეხი და მახვილი...

აშკარად ასულელებდა ნაზიბროლას...
ეთერი ენატრებოდა ერთობ...
მაგრამ ნაზიბროლაც არ იტყუებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს — პირი დაებჩინა, იდგა და იცდიდა...

— მასე ხომ? მე შენ გიტირებ ყოფას თუ ბიჭი ვარ! — დაექადნა მიშა, ჩანთა აიტაცა, ფატარი მჭადი ამოიღო, შუაზე გახლიჩა, ყველი ჩაატანა, მუჭა მარილი ჩააყარა და პირში ჩაატენა.

ჩაყლაპა...

პირი დააღო...

სასა გაილოკა...

გაიწია, პალო მოთხარა, მდინარეში შეტოპა და ჩადგა.

მიშას თვალში ციაგი ჩაუდგა.

ხანი აბანოს საათივით ჩამოდიოდა...

წყალი ისმებოდა.

ფერდი ივსებოდა.

მიშა მხრებში იშლებოდა, ფეხის წვერებზე იწევდა, ხელებს იფშვნეტდა.

ძროხა ისევ ისე მდინარეში იდგა და წყალს წრუპავდა.

მიშას გულზე მოეშვა, თვალი გაანავარდა. თავქვე დაუყვა.

გლეხკაცებს მდინარე გადაეკეტათ, წყალი ყანაში მიეგდოთ, ფეხშიშველები, შარვალაკოტავებულები წინ მიუძღვოდნენ და თოხით უკვალავდნენ სადინარს.

წყალი უკეთური კაცის კურცხალივით მღვრიე იყო.

დაწრეტილ კალაპოტში ტიტლიკანა ბიჭები ჩაცვენილიყვნენ, ზოგი ჭალანგარებს აბრუნებდა, ზოგი ჯილეში ხელს აფათურებდა და ნაპირზე ისროდნენ ვერცხლისფერ, ულვაშა წვერას, შავ, დიდთავა ღორჯოს, ათფეხა, კუდმუცელა კიბოს, ბრტყელ, ცხრაკიდურა კიბორჩხალას.

იმ ადგილას, სადაც მეთევზეების ტანსაცმელი ეყარა და ვედრო იდგა, პირდაფჩენილი თევზები ყირაზე გადადიოდნენ და სულს ღაფავდნენ, კიბოები მარწუხებით ბალახს გლეჯდნენ და უკან-უკან იხევდნენ, დაღვლარჭნილი კიბორჩხლები ლოლიალობდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

ბიჭები, ერთი უშველებელი ყიჟინა, ყვირილი და ყაყანი რომ აეტეხათ, მიშას კარის მეზობლები, სახლიკაცები და სახლიშვილები იყვნენ.

მიშამ ბიჭებს „გამარჯობა“ გადაუგდო, ვედროს თვალი მოკრა, უნახავივით დააცქერდა, დაილურსა, დაილხინა.

დამხვდურები შემოსწრებულის ახლობლები იყვნენ, მაგრამ მისი შიში, რიდი თუ თავაზი მაინც დიდი ჰქონდათ, — თევზაობას თავი ანებეს, ფეხზე აიჭრნენ, და მოწიწებული „გაგიმარჯოს“ მიაგებეს.

— ვიჭერთ? — იკითხა და დოინჯი მოიყარა.

— ისე, პატარას...

— პატარა კაია, მაგრამ ამ დროს თევზაობა ნებადართული რომ არაა?

მხრები აიჩეჩეს, თავი დაჰკიდეს, ფეხი მოინაცვლეს.

— ახლა არ დამიწყოთ არ ვიცოდითო და ამნაირები... თუმცა ჯანდაბას, ჩვენი ბიჭები ხართ, მე ვედრო მინდა! — თქვა, გაიცინა და კბილები დააჩინა.

ბიჭებმა იცოდნენ: მიშას თხოვნას უარი არ ეგებოდა.

— პატარა რო დაგვიტოვო? — შეეკითხა ყველაზე გულადი, თვალები აუფახურდა, უკან დაიხია, ზურგში ფუთფუთი აუტყდა.

— თევზი სულაც არ მინდა.

— ?!

— ვედრო მჭირდება, სახლამდე მათხოვეთ და უკანვე დაგიბრუნებთ.

შვებით ამოისუნთქეს, სავსე ვედროს მიცვივდნენ, გადააპირქვავეს, ...ნადავლი ტოლ ნაწილებად დაჰყვეს, ტირიფს წვრილი ტოტები შეატეხეს, გასხეპეს და ამ წკეპლის წნულში ჩააწნეს: ღორჯო — კისრით, წვერა — ულვაშით, კიბო — მარწუხით, კიბორჩხალა — ფეხით...

აცმები დაალაგეს, ერთი ბიჭი შეაბრუნეს და გაყოფა დაიწყეს.

— ვის?

— კოწიას ვასოის.

— ვის?

— კიმოთეს შოთაის.

— ვის?

— ირაკლის გედევანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვის?

— კაკოიას ზურიას.

— ვის?

— კოსტაიას გენოიას.

— ვის?

— ლასიას გივიას.

წილის ყრას მორჩნენ, ყველა აცმას პატრონი მიუჩინეს.

— ბიჭებო, ვედროს ჩვენი კალოს კოპიტის ფულუროში შევდებ, იქ მიდით და წაიღეთ, გაიგეთ?

— გავიგეთ, გავიგეთ...

— აბა, ახლა, ყანაში შევარდით, თითო მუჭი ბურჩხა მომიგლიჯეთ — წილში ხომ არ გამიყვანეთ? — მერე აიღეთ თქვენ-თქვენი არჩივი თევზი და შეაყოლეთ აქედან.

ბიჭები დატრიალდნენ, თითო-ოროლა მუჭა ბალახი მოგლიჯეს, მიშას მიუტანეს, თავთავიანთ აცმებს ხელი დასტაცეს და ღადაღუდა გზას კუნტრუშითა და ასკინკილით გაუყვნენ...

ოლროჩოლრო გზას გაუყვნენ...

...მკითხველო, ძალიან გთხოვთ, თვალდასმით დაუკვირდეთ და კარგად დაიხსომოთ ეს, ჩემი, ერთი მტკაველა შუკის შხვართი, ეშხიანი ბიჭები... მათ ახლა არაფერი უწყიან... მერე კი... მერე, კი ისინი, ჯერ კიდევ ტანაყრადაუმთავრებელნი, აი ამ ცხენისწყლის ტოტის, აი ამ ჭიჭყინა თევზებისა და აი ამ ამწვანებული არე-გარემოს გამო პირდაპირ სკოლის მერხიდან გაუტევენ დიდ სამამულო ომში, ცასა და ქვეყანას მოივლიან, ჯანს არ დაზოგავენ, სისხლს არ დაზოგავენ, თავს არ დაზოგავენ და უკან — უკლებლივ! გულის მურაზებს, მშობლებს თუ სოფელყურეს შინმოუსვლელთა დაფაზე დაუბრუნდებიან...

ჰო, ეს მერე, რამდენიმე ხნის მერე...

ახლა კი... თქვენი ჭირიმეთ, იკუნტრუშეთ, ილაღობეთ და შეიტკბეთ ეს თქვენი ღარიბული, მაგრამ ნეტარი ბიჭობა...

...მიშამ ბალახი იღლიაში ამოიჩარა, ვედრო აალიცლიცა, დინებას მაღლა აედევნა. მდინარეში ხელი ჩაჰყო, წყალში გველივით აცურებულ ს[illegible] ეტანა, ნაზიბროლა ნაპირზე გაიყვანა და ბაწარი რქებზე დალალივე დააწნა...

მდინარე და ნოლა უკან მოიტოვეს, მიშამ შარაზე წინ გასწია და ნაზიბროლა უკან გაიყოლა...

ვედრო ალაგ-ალაგ დაზიანებული იყო და წყალი წვრილად, წკანწკარით სდიოდა...

კვარაცხელიძე მოარულ ბურჩხასა და დალტობილ ვედროს ძუნძულით მიდევდა, ეტანებოდა, ეპოტინებოდა, მაგრამ საწადელს ვერა და ვერ სწვდებოდა. — გადაულახავი მანძილი ჩამდგარიყო მათ შორის...

მანძილს კი მიშა განაგებდა — ნაზიბროლა ჩქარა, მიშაც — ჩქარა, ნაზიბროლა ნელა, მიშაც — ნელა...

გზადაგზა ვედროში წყალი იწრიტებოდა, ეზოში, ღობის მიღმა ჭას დაინახავდა, გადახტებოდა, სავსე ჭურჭელს გამოიტანდა და ისევ ისე, ძუნძულძუნძულ, მიყვებოდნენ გზას. მიშა — წინ, ნაზიბროლა — უკან.

ინჯიაძეების ქუჩაზე ჩამოირბინეს — კაი ერთი-ორი კილომეტრი მეტი მოიარეს — სანატრელის სახლს გაუსწორდნენ და მიშამ კუტიკარში შემავალ სულზეუტკბესი ეთერის ცალ ფეხს შეავლო თვალი...

შედგა, შეღიმილიანდა, ამოვარდნაზე მისული გული საგულეში ჩაიბრუნა. აქოშინებულ, გასავათებულ, ხვითქადდაღვრილ ნაზიბროლას ბალახი გაუწოდა და ვედრო დაუდგა.

— შეისვენე ახლა, სული მოითქვი, შეახრამუნე ეს ბალახი და შესვი ეს წყალი... რა იყო მაინც, რა ცეცხლი წაგეკიდა, მომკალი ამდენი რბენით... მოესწრები შენი ორი თვის კუდრაჭას ნახვას... შვილი ვის არ ჰყოლია, შე ქალო, მაგრამ ასეთი უსაშველო, გაუგონარი სიყვარული გაგონილა?! — საყვედურობდა მიშა და საკბილოს პირში უმარჯვებდა.

ნაზიბროლას არც ჭამის ამანი ჰქონ-

და, არც სმის, ცახცახებდა და ლამაზ ტუჩებზ ლოპი სდიოდა...

ყმაწვილმა გალეღილი ბლუზა გაიხადა, კვიაცხელიხეს ოფლი და ლოპი შეუმშრალა, კისერზე მოეხვია...

...ძოხის მოწველის თავი ვისლა ჰქონდა: მოსწრება შვილი ტახტზე დამხობილიყო და მძიმე-მძიმედ სუნთქავდა..

— რა მოგივიდა მიშაია, ბიჭო? — თავე გადაეგო ფერჩამქრალი, ღაწვებჩაცთქილი მშობელი.

— ტვინი მიდუღს... — ამოიკვნესა.

მიშას ტვინის ადუღებაში, ერთი პირობა, ეჭვი შეეპარა რისიკოს, მაგრამ მერე დედის გულმა იფეთქა, ვაი მე ფუდურს, უქმური შეჰყრიაო, ითავცემ. ბოსტანში გადავარდა, კეეერა მხლის ფოთლები მოარბენინა, შუბლზე დაუფინა და სველი სახოცით შეუხვია.

იქვე ჩაიმუხლისთავა, ჩაკოცნა, ჩაეწმახნა და ნაუქმურევის ლოცვას მოჰყვა...

მიშას თავზე ეთერი ედგა და მთელი კალთა ალერსს აბერტყავდა...

ნეტარებით ილიმებოდა...

რისიკო სიხარულით ცას სწვდებოდა: უქმური უკან იხევსო, ლოცვის ბუტბუტს გულმოდგინედ განაგრძობდა და მთქნარებით ყბებს იმტვრევდა...

თუ ვინმე ჩვენთაგანი ძალიან გაუშინაურდებოდა ეთერის და მის საგანგებო ყურადღებას მიიპყრობდა, ვაი მისი ბრალი. საღამოს სიფათი მონგრეული ჰქონდა. ხოლო საამისო მიზეზს, რომ სიფათი მოენგრია, მიშა ყოველთვის პოულობდა: ან გახედვას დაგიწუნებდა, ან გამოხედვას, ან მიხრა არ მოეწონებოდა შენი ან მოხრა, ან პირდამუწული რადა ხარო შეგედავებოდა, ან კბილები რად დაგიჩენიაო, შარს მოგდებდა.

მიშა თვალადობითა და ტანადობით თუ ყველას არა, უმრავლესობას მაინც გვჯობდა, ხოლო ძალ-ღონეს ნულა იკითხავთ — ვინ იყო მისი ტოლი და ფერი? მაგრამ კვიმატი, მაკვარანცხი, სწავლაზე გულდაუდებელი და ჩვენზე შილიფად ჩაცმულ-დახურული [illegible] მეორე ეშელონის ბიჭებში იდგა...

...იმ წვიმიან, ცამოღვეულ შემოდგომის მიწურულს, თქორს, თქეშსა და დელგმას რომ გასათავი არ უჩანდა, ჩვენს ამხანაგებს, ქორას, დედისერთა ბიჭს, დედა გარდაეცვალა... თურმე სიკვდილის წინ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დედამ, დილიდანვე დაიყენა მხოლოდშობილი სარეცელთან და მზერა მანამ არ მოაშორა, სანამ სამუდამოდ არ დახუჭა ქუთუთოები — ეგებ თვალებში ჩამრჩეს და საიქიოში გამყვესო მისი სახე-ხატი...

ობოლი ჯერ ტიროდა, ცრემლში ცურავდა, მაგრამ მისი ამხანაგები რომ შემოვეჯარეთ და, რაც მთავარია, ეთერი რომ ამოუდგა მხარში, ბიჭი სულ გამოიცვალა, ცრემლიც შეაშრა და დარდიც გაუნელდა...

სათუთი გული ჰქონდა სათნო ეთერის, შეაძრწუნა იგი ქორას დაობლებამ, თავად ვერასგზით ვერ წარმოედგინა უდედობა და ერთი სული ჰქონდა რამეში წახმარებოდა და რაიმეთი შეემსუბუქებინა კლასის ამხანაგის ვალალი ბედი.

ქორამ ეთერი ერთნაირად დაითავისა, ოთახებში დაატარებდა, ასნაირ ავეჯს, დგანსა და გობელენს აჩვენებდა — მამა-პაპები შთამომავლობით ვაჭრები ჰყავდა და ქონება-ცხოვრება იმთავითვე მოსდგამდათ...

ბოლოს გამოხედვა გაუსხივიანდა, ჩაცმა-დახურვაში პეწი დაედო, პირში მოქნილი ენა დაეკიდა და დაალხეინდა.

ერთი სიტყვით, დაბლა, აქ, ის იყო და მაღლა, ის, მისი გამჩენი..

მიცვალებულის გასვენების დღე დადგა... თავსხმა იყო, სიცივე ძვალრბილში ატანდა, გალუმპული ხალხი ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, აქეთიქით აწყდებოდა და ტალახს ზელდა.

ჩვენი, ბიჭების, თვალები ერთად მოფუსფუსე ეთერისა და ქორას მეტს ვერარას ხედავდა...

შესანდობარის შესმა ჩამოთავდა. ბინდბუნდი ჩამოდგა. მიცვალებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლიდან გამოასვენეს, ეზოში ტაბურეტებზე' დაასვენეს... თავსხმა თავსხმაა, მაგრამ, რადგან ჯერ კიდევ ქრისტიანებს გვეძახიან, წესი წესიაო, — დაცუხცუხობდნენ, ვიღაცას გაბრაზებით ეპასუხებოდნენ ძაძებში ჩამჯდარი, თვალებჩამრეტილი ბებრუხუნები და ტაბურეტებს ფეხქვეშ ნაფოტებს უდებდნენ.

მოიტირეს: აქეთ შე რა გეშველება შე ხანდამწვარო და იქით შენ დანატოვარ სავსე ოჯახსა და ოხრად დარჩენილ ქმარ-შვილსო.

ერთმა შეჭორიკებულმა, ადრაგუნე კაცმა ქვითქვითით წაიკითხა დეპეშები...

გული მოიჯერეს, კუბოს თავი მოადგეს, ეზოში სამჯერ მოატარეს, ბარე ცხრაჯერ წაიფორხილეს, ჭიშკარი განვლეს და უკანმოუბრუნებელ გზას გაუყენეს.

მიშა ჩემიას, უალრესად მელომანი კაცის, სასულე ორკესტრი ხან მოცარტის რექვიემს უკრავდა და ხან ჩვენებურ „რად მოსილხარ შავად ჩემო დედაო? რად დამტირი მწარედ საფლავზედაო? სულ ერთია თვალით ველარ მხედაო, ქვა და ლოდი მაფარია ზედაო“...

ძუნძულით მიაქანებდნენ კუბოს, ძლივს ეწეოდნენ აქოშინებული მოტირალ-მოზარეები, ნათესავ-მოკეთეები, მოხევე-მეზობლები...

ეთერმა გაშლილი ქოლგა მაღლა ასწია და აწურული, გაწუწული ეორა შეიკედლა შიგ.

წვიმამ არა და არ იკარა, ცაგახსნილ ეორას ეთერთან ერთად ერთი ქოლგა ჰხურავდა, გულზვიადად გადმოგვხედავდა ტოლებს და ასე მიაცილებდა მიცვალებულ დედას...

თავიდან ფეხებამდე გაზუზული, ბურძგალაშლილი, ტუჩ-ნიკაპჩალურჯებული, წუღებში წყალაჭანჭყარებული, დაბოლმილი მიშა შორიახლო მიჰყვებოდა ქოლგას და გუნებაგამხამებული თავის კანში არ ეტეოდა.

— ეორაია ბუტურა, მკვდარ დედას არ მისდევდე ახლა შენ და რა უნდა გამჩენს, მე მოგივლიდი... ჰოჰოჰო, როგორ მოგივლიდი, შენგან მოწონებულს გაგილაწუნებდი, ბუსავით გაგისიებდი თავს და იმ გვერდს, ეთერს რომ ეხახუნება და ეტმასნება, კბილით გამოგგლეჯდი...

და მერე გევლო ალთა-ბალთას ქოსატყუილას ბატივით გვერდამოწნულს...

მიშა პროცესიას საფლავამდე ვერ გაჰყვა — შეეშინდა ვაი თუ თავი ვერ შევიკავო, ხუშტურმა წამომიაროს და ამ სირისტიან ეორაიას ჩემეული წესი ავუგოო. შეტრიალდა და უკან შეაყოლა.

ლიპი, ღრმულიან გზის ტბორებში მიტოპავდა აბურძგნილ-აძაგძაგებული და მაღალ ღმერთს ერთ ამბავს უთევდა: შე კაი ადამიანო, ვის ჩაუგდე ხელში ეთერი? დახეთ, როგორ მიდიან ერთ ქოლგის ქვეშ შეყუჟულები? რატომ ეორაიას არგუნე ეს სიამე და არა მე, მიშას?

და მიშამ წარმოიდგინა თვითონაც როგორ გადაეგება დედის კუბოს, გადაქვითინდება. მოვა ეთერი, წამოაყენებს, ერთიციცქნა ბატისტის ცხვირსახოცს მოიმარჯვებს, ამოუშრობს ცრემლებს, ჩაიკრავს მკერდში და თავზე გადაუსვამს ხელს...

— ჩემი მიშაია, ჩემი ობოლი მიშაია, — თრთოლვით ეტყვის ეთერი.

...თავი გააქნია მიშამ, ჟრუანტელმა დაუარა, სითბო ჩაეღვარა გათოშილ გულ-მუცელში.

სიამით შეძაგძაგდა...

შეძაგძაგდა და ლეშხი ჩამოეფერთხა თმებიდან, მხრებიდან, სახელოებიდან...

ჭიშკარს ბინდი მოდებოდა, ძლივს ჩანდა... შედგა, შებრუნდა, ფეხი წადგა და კუტიკარის გასაღებად ხელი გაიწვდინა... ვინღა დაანება — რისიკო, პირმშოს მოლოდინში, იქვე, ბოძზე, ყოფილიყო ატუზული... გაულო, შემოეგება, გალუმპულს მოეხვია, მოგიკვდეს დედა, მშრალი არაფერი შეგრჩენიაო შეიცხადა. სამზარეულოში შეუძღვა, კერიასთან მი კოროზები მისწი-მოსწია, შუაცეცხლს ფიჩხი შეუმატა, ცეცხლი აპრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალდა, ალი აბურბურდა... ტანზე გახადა, სამოსი გაუწურა, წუღები გააძრო, სველი, გაყივებული, თითებშუა ტალახმოყენებული ფეხები ცხელ წყალში ჩააყრევინა, ტაბლა მიუდგა, ნადული, მხლის ჯინგულა და მჭადის ნატეხი შემოუწყო.

მიშა გალურსული იყო, ხელს არ ატოკებდა, ხვნეშა-ხვნეშით სუნთქავდა.

— რა იყო. ჩემო მიშაია? რამ წაგიხდინა გუნება? ამოიდგი ენა, წაიხემსე რამე! — უტრიალებდა და თავს ევლებოდა დედა შვილს.

მიშა კვლავინდებურად პირქუშად, მუხლებზე ხელებშემორკალული, თავჩაკიდებული იჯდა, კრინტს არ ძრავდა, დანა პირს არ უხსნიდა.

— უი, — შუბლზე ხელი იტკიცა რისიკომ — შენი, მიწის ლუკმა დედა, მიგიხვდა ჩემო მიშაია... კარგ გუნებაზე რავა იქნები შვილო, შენი მოსიყვარულე გულის პატრონი — ამხანაგს ხო დედა მოუკვდა და დაგიობლდა... საწყალი, საცოდავი ბიჭი, რა ეშველება აწი? ვინ გაუწევს დედის მაგივრობას?...

მიშას ტუჩები აუცმაცუნდა, ნიკაპი აუკანკალდა და თვალზე მომდგარი ცრემლი რომ შეეკავა, ხ[illegible] რით ჩაისუნთქა...

ხანგრძლივად, თითქმის მთელი ერთი წუთი ისუნთქა... არა მისხალი კუთხეკუნჭული არ დარჩა კისერქვეშ ცარიელი და ამოუვსები... ჭარხალივით გაწითლდა მიშა და თვალები დაჭყიტეს მოცორომზებმა — ბუზის გაფრენას გაიგონებდით...

დიდხანს ვერ აიტანა ჰაერით ამხელა დაჭირხნა სხეულმა და თავისთავად. ყოველგვარი ზეგარდმო ჩაგონების გარეშე, ყელიდან ხრიალით ამოაფრქვია ჩანასუნთქი... ამოაფრქვია, ამოისუნთქა, ცეცხლწაკიდებულივით წამოხტა, კარი გამოლლიტა და „მაპატიე დედი, მაპატიე დედის“ ბლავილითა და ცხარე კურცხლით ღვარღვარით, ტიტლიკანამ, გარეთ გაუტია...

მიშამ გარეთ გაუტია და დამჭკნარი ლაწვების პოტნით დაედევნა რისიკო, ხოლო ამ უკანასკნელს ტყაპატყუპით, ლეკვერთხების მაღლა-მაღლა ზიდვითა და „დედიკო, დედიკოს“ მოთქმა-ძახილით აეკიდნენ ფაფით პირმოზმუზნული მოცორომზები...

ყურყუმი, ყიამეთი, ღვთის რისხვის ღამე იდგა — ძაღლი გარეთ არ გაიგდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

# ბალადა შალვა ბელთაურზე

გასულ წელს, აპრილში, ყიზლარის იალაღებზე, მინდვრად ერთ ობელისკს წავაწყდით. მწყემსებმა უმალ მოიხადეს ქუდები. ობელისკს ეწერა — აქ განისვენებს ახალგაზრდა მწყემსი შალვა ბელთაური.

1.

ეს რა დილაა — ცხრათვალა,
ცხრა ლომის მხრებზე შემდგარი,
მთებს გარიჟრაჟის ნათელი
აცვიათ, როგორც ბექთარი.
ხეობამ უბე გაიხსნა,
თუ ნამდვილდება სიზმარი,
ბილიკს ჩამოსდევს ნიავი
ცხრაწყაროს ნათილისმარი.
შარას მიჰყვება ცხვრის ფარა.
თუ არხში ტალღა მილელავს.
ორბივით ჩასაფრებულა
ლერწამში მწყემსის სიმღერა.
ახლა დაიძარ სურვილო,
ხედავ, რა ბედი გრგებია,
ჩანჩქერის ელვის ნასხლეტი
ზედ ფრთებზე შემოგნთებია.
— გზა მშვიდობისა გქონოდეს.
გადმოსძახიან ზვირთები,
ლოცავენ შალვა ბელთაურს
ოქრო ნარევი მინდვრები.
— არსად შეგვარცხვენთ, კლდეებო,
ჩემი ცოცხალი თავითა,
თქვა და ვით თერგის ქუხილი
დარიალიდან გავიდა.

2.

ხან ტახტზე ადის გრიგალი,
ხანაც მეფდება ნამქერი,
ჰრილობასავით იხსნება
ღრუბლების გადანათქერი.
ამ მრისხანების გველეშაპს
განა რამდენი სწყურია,
გგონია, გამოიდარა,
ისევ ნისლი და ბურია.
გგონია, ყინვამ წაშალა
მიწის და ზეცის სამანი,
ვერასდროს გაიშრიალებს
ვარდი მზით ნათამამარი.
იმედი მაინც იმედობს,
ვერა ჰკლავს ლამე ფრთაშავი,
ამ იმედივით აქა-იქ
კვლავ ყელყელაობს ავშანი.
გული სცემს ქედმოუხრელის,
არა მხდალის და ლაჩარის,
თერგდალეული ვაჟკაცი
არ წავა სირცხვილნაჭამი.
იქნება თოვლმა იმატოს,
ქარმა დათხაროს ფესვები,
ცხვარს კი არ მოამშიებენ
ლენინგორელი მწყემსები.

3.

შენ, ბელთაურო, რას დახვალ,
რად ზვერავ კუმის ნაპირებს,
მალე გალხვება ყინული,
ხმელეთი გაიაპრილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა რაღა გინდა. ხომ გიდგა
ფარეხთან თივის ზვინები,
შენ მხართეძოზე წამოწექ,
ჩონგურს აუწყე სიმები.
ოცნების აფრა აშალე.
ძარღვებში ცეცხლი ჩადგება.
ზეცა დაგხედავს ლარგვისის,
ქსნის ტალღა აშრიალდება.
ეგ ძარტოობის ნაღველი
ისე წავა და მოკვდება,
ის შენი ნატვრის ქალმერთი
აქ თავად შემოგოგდება.
— გვერდს მიდგა მაშინ შავთვალა,
ლომისის ცა აქ მეგულვის,
როდესაც მე ჩემი სოფლის
ცხვარი მყავს გალაღებული.
რძეჩამღვარ ბალახს მიაგნო,
როცა ალისფრად გათენდა
და კუმის მწვანიანები
ცხვრის ფარით გადაათეთრა.

4.

სადღაც კვალს ქარი გადაშლის
ელვის და მეხთა ჭიდების,
ფარაში რქები ყოჩების
ჩანან ვით მეხამრიდები.
ხან აიმღვრევა ლურჯი ცა,
სივრცეში ელდის გზებია,.
გაავდებიან ძაღლები
და ჩრდილებს შეესევიან.
შემოუვლიან ცხვრის ფარას,
მწყემს რომ სითხიზლე აჩვენონ,
მერე კვლავ მუხლს მოიყრიან.
გაშლილი ფარის გარშემო...
და ასე ძოვებ-ძოვებით
ცხვარი მიჰყვება იალაღს,
ლერწმის ლულუნში შუშდება
მწყემსის გახსნილი იარაც.
ო, სალამურო, დამწვარ გულს
ისევ შენ უნდა უშველო,
ამ გადმოკარგულ მინდვრებში
ძნელია ყოფნა უშენოდ.
შენ უნდა ამოადუღო
სულის ლოცვა და ლაღადი.
სიმღერავ, ფრთები გაშალე
და სიყვარულში ამაღლდი!

5.

ბირუზიაკის მინდვრები,
უმზერ და განა გასწვდები!
სავაზნესავით არტყია
მიწის მკერდს ლიანდაგები.
ლიანდაგს იქით ბალახი
რა მომხიბლავად ბიბინებს.
კასპიის თეთრმა იხვებმა
გუნდ-გუნდად გადაიფრინეს.
ცხვარს შორით უხმობს სიმწვანე:
„მოდი და ჩემთან გალაღდი...
სად ყელყელაობს ავშანი
ფარაც იქითკენ გადადის.
მწყემსი აჩქარებს ცხვრის ფარას,
ლიანდაგებზე შეფენილს:
ვახ, ბედო ოხერტიალო,
გამოჩნდა მატარებელი!..
მოასწრებს თუ ვერ მოასწრებს?
რა მოაქვს წუთებს მობელილს!
ერთია, უნდა უშველოს
დოვლათ-ბარაქას სოფელის.
ჰა, გადარეკა ცხვრის ფარა.
ქარს გაატანა მუქარა.
თვითონ კი ველარ მოასწრო
და თავი გაიუკვდავა.
იქ, სადაც კუმის წყალი ჩქეფს,
რკინიგზის ლიანდაგებთან,
დგას ობელისკი ამაყად
იმ ერთი მწყემსის საქებრად.
დილა არის თუ ცა გრგვინავს,
რომ ტალღა ტალღას ახალოს,
აქ ისე ვერვინ ჩაივლის,
რომ თავი ძირს არ დახაროს.
ჩიტიც კი ვერ გადაიფრენს,
ვაჟკაცს რომ არ სცეს თაყვანი,
რომ არ დალოცოს ღირსეულ
მისი გამზრდელი აკვანი.
ეს ხსოვნა უდიადესი,
შიგ მზე რომ ბუდეს იკეთებს,
მარად გვახსენებს სოფლისთვის
თავდადებას და სიკეთეს.
ლექსო, ამოდი გულიდან,
თქვი გმირის ქება-დიდება
და შენაც ამ ქვეყანაზე
ჟანგი არ მოგეკიდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჩაჩუა

## მინაწერი მოთხრობაზე „შუშანიკის წამება"

შენს სულში რწმენის მზე და დარია,
გაუძლებ ყველა ტკივილს, იარას...
მზე ჩამქრალია, მზე ჩამქრალია
პიტიახშების, შენი კი არა!

ათასხუთასი წლის წინანდელი
მომეახლება მაინც ტკივილი,
ათასხუთასი წლის წინანდელი
გულს ტყვიასავით გახვრეტს კივილი...

და... ციმციმებენ ციცინათლები
ათასხუთასი წლის წინანდელი.

ეს შენთა თვალთა ციმციმი არის,
რომ გამინათა ღამე გულშავი.
არ მახსენდები სიცილიანი,
დაო შუშანიკ!

მაგრამ მე ცრემლიც არ მახსოვს შენი—
იმედი რწმენით კემსე და კერე...
დამასნეულე მაგ შენი რწმენით
და განკურნება არ მინდა მერე.

* * *

მანანას

მე სათხოვარი ესა მაქვს,
თუ შემისრულებ, შენ იცი:
ყველაზე ძვირფას ყელსაბამს
სხივი გერჩიოს შენი მზის.

იყავი ასე ამაყი,
ასე დიდგულა იყავი,
ოღონდ შეგეძლოს ამოხსნა
სიკვდილ-სიცოცხლის იგავის.

სხვა რა გისურვო, ნეტა რა?
დე, გინათებდეს მუდამ მზე,
ჩემო მაია წყნეთელო,
ჩემო ზოია რუხაძევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ის ჩემი ლურჯი პერანგი

ცა — ჩემი ლურჯი პერანგი —
აპრილის მზეში გავფინე,
ქარი მოვარდა ვერაგი,
ღრუბლები წამოაფრინა.

ქარი მოვარდა ვერაგი,
(სახსენებელი არც კია)
და ჩემი ლურჯი პერანგი
სულ ნაფლეთებად აქცია.

მერე კი ისე გაწვიმდა,
ცა ჩამოვიდა ფეხადა...
ნეტავ ის ლურჯი პერანგი
ტანთ მცმოდა, არ გამეხადა.

## რაც ყოფილა

გაზაფხული ხსოვნას შერჩა,
ეს ზაფხულიც მიიწურა,
შემოდგომაც წავა და
მერე ზამთრის თეთრ ტაძარში
ტკბილად აკანკალებული
შეხვალ სალოცავადა.

მერე? მერე რა იქნება?
რაც ყოფილა... ჩათავდება
ზამთრის ტკბილი ზღაპარიც
და სიცოცხლე სანთელივით
დაილევა და ჩაქრება
პარპალ-პარპალ-პარპალით.

## ერთადერთი

დაუფარავს ფერფლს და მიწას,
რაც მიაჩნდათ მარადისად,
ცხადი იყო, ზღაპრად იქცა
ბაღი სემირამიდისა.

და სახელიც ჩაკარგულა
ჟამთა ტევრში — დიდ ღამეში;
არა? მაშინ მიპასუხე:
ვინ დაწერა „გილგამეში“?

შორს რა მინდა... ამ მიწაზე
ვინ დამკვიდრდა სულ პირველად?
(ხან სწყალობდა ბედი, ალბათ,
ხანაც მოსრას უპირებდა):

ვინ ჩასჭიდა ამ მზეს ხელი,
ასე მწველს და უკარებას?
ვინ დაუდო საძირკველი
საქართველოს უკვდავებას?

არვინ იცის, ვერვინ მეტყვის,
გულს ვერავინ დამირწყულებს...
წუთისოფლის მიქრის ეტლი,
სულს უბერავს სიო წყლულებს.

ერთი არის ყველას ბოლო...
სამშობლოა, კარგო, მხოლოდ
ერთადერთი, რაც არ კვდება,
რასაც ჰქვია უკვდავება.

სხვა სანთლები ილევიან,
სანთლებივით — დრონიც, დრონიც,
კვლავ დგას ჩემი ნინევია,
ჩემი დიდი ბაბილონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა არაბული

# ჯოყოლას სიკვდილი

პოემა

...976 წლის დიდ ხუთშაბათს გარდაიცვალა ჯოყოლა ჩირდილელი
და გრძელი ამბავი მოკლედ ითქვა...
უეცრად დასრულდა ლექსითა და ჯვრიანი პერანგებით ნაჭედი
ისტორია,

ყოველი საიდუმლო გამხელილ იქმნა
და ხევსურების ძველ მამულში
სინანულის ცრემლიანი კოშკები აღიმართნენ...

დაიძინა ჯოყოლა ჩირდილელმაც...
ხოლო მანამდე და იმის შემდეგაც გარდვიდნენ:
ბაჭყია კოტორელის ძე და ბაჭყია ჯუთელი.
მშვილდოსანი ძიბლაისძენი;
ლექსის მჭედელი — მწერელტყვე ხინკალაური...
ოზოლი თვალაჯაისძე; ბერდიათ გაგა — დავლათიანი;
გაბუური — ეშმაკის მჭრელი...
ძაისტელი, ბენინა და გიგი ბერდიშვილნი — რჯულის კაცნი.
გიგიათ გიორგი — ზეისტეჩოური ჯვარის განთქმული ხუცესი.
მოკლია ხირჩლა ბაბურაული — მომღერალი მახვილსა ზედან!
მისურაული მარტია — ერისთავის მტერი;
ქიჩბარაული სამნა — ხმლების მჭედელი; გოგოთურ გორელაური;
მონა უფლისა — ჩარუხელა მანმაველი...
ხევსურეთის ამანათი, ქისტი, — სანაგის სანაგი...
თმაყვითელი პელენე დათვისელი...
შატილიონი — მზექალა ჭინჭარაული...
„ვაჟუსძის გადამღებელი“ თორღვა ძაგანი —
„მარჯვენივ მზე წერებულიყო, მარცხნისკე მთვარის ნალია“!
ქალუნდაური — ყვარნის გრილოების მდევარი:
„ნეტავი ამაყენა და თუ კიდევ მომკლავდნენ მტრები,
აღარ ამაყენა!“...

. . . . . . .

უფრო ადრე: — ბერი ბაადური;
უხორცო გახუა მეგრელაური — ქაჯებთან მეომარი;
ხოგაის მინდი — გველის მჭამელი...
ყელღილიანი სამძიმარა, ცოქალა, სუქალა და სეითქალა —
ქაჯავეთელი ტყვეები;

და ის ვეფხვი — პირტიტველა მოყმის დედამ რომ დაიტირა...

. . . . . . .

...ხოლო ვინ იყო კოპალა, ლალი ლახტიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურწმუნონი რომ აჰყარა თავისი მიწიდან?!
ოჟა — ჯურხამ ფარი დაჰკიდა ბეთლემის კარზე,
ფარი მზესავით ანათებდა...
მერე მზე ჩავიდა და ფარი მაინც ანათებდა!..

წევლილიანი გველეთელი, ხატის კარზე იდგა და სწყევლიდა
სოფელს,
რომელიც მას სძულდა.
და ერთ დილას, როდესაც გაიღვიძა,
ველარ იხილა სოფელი იგი, რომელსაც სწყევლიდა
და ხალხი იგი, რომელიც მუნ სცხოვრობდა...
მთები თითქოს თავდაყირა იდგნენ
და თოვლის მდინარეებს დახოცილი წეროები მოჰქონდა...
ხოლო ირგვლივ ჯვრები ჰყვაოდნენ!

მაშინ იქ იყო ჯოყოლა ჩირდილელი:
ახვევდა სანთელს...
მოჰქონდა საფარეზო და სალბილობელი საჭამანდი
მკვდრებისათვის,
ლოცვანი აღდგინებისთვის...
და არას იტყოდა წევლილიან გველეთელზე...

* * *

...განა მარტო ეს საოცარი სახეები,
რომლებიც გავიდნენ სახლიდან და უჩინარ იქმნენ,
მათი უცნაური სახელებიც კი გაჰქრნენ ამ ქვეყნიდან
და ცაში შეიკრიბნენ...

ნეტა თუ როდესმე მოვლენ წვიმად ისინი,
ანდაც ყვავილთა შტოებად აღმოცენდებიან მიწიდან?..
ვის დაერქმევა მათი სახელები?
უმხედრო ცხენებივით რომ დაჰქრიან ჩვენს ირგვლივ
და უპატრონო აბჯარივით მწუხარენი სჩანან...
ზოგჯერ კი მიტოვებული ეკლესიის ზარებივით ჟრიალებენ...

ვის დარჩება მათი სიყვარული,
მათი სიცილი, მათი წილი სიხარული?...
სად მიფრინავენ ის ლამაზი ხალიჩები
ვარსკვლავიან ღამეებში რომ ეფინათ,
და დიაცის უბეებში ჩათვლემილი სიზმრები?
. . . . . . .
თქვენ აღარ გიყვართ ერთმანეთი
თვალჭრელო ხევსურის ქალო და ცხენმალე არხოტიონო?..
. . . . . . .
ანდაც, გახუა ქაჯაეთში მოარულო
და სამძიმარა ყელღილიანო — ხახმატის ჯვარის ანგელოზო? —
ძირონში რომ ჩაიბანენ ლამაზნი კოჭნი... და ცაში აჰფრინდი,
ხორციელი გახუა იმისიც მადლობელია შენი,
ტახტზე რომ ვერცხლის ღილი დაუტოვე!
. . . . . . .
ანდაც შენ, ხოგაის ვაჟო,
ახლა რას ფიქრობ (და რასა იქმ?)
ხომ არ მოენატრა შენი სიბრძნე უდაბურ ნასოფლარებს:
ამლას, ჭიმლას, ბაცეს, მიცუს,
ზენ ბაცალიგოს,
ქვენ ბაცალიგოს,
ქაჩუს, ლიფოდას, დათვისს!?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . . . . . . .

და ჯინსიან, თმაგრძელა ტიპებს,
ბრეგის უმარილო წყალს რომ სვამენ,
აპოლონივით რომ დგანან... არაფრის მოლოდინში,
სხვათა ტანსაცმელში ამაყად გამოწყობილნი?
და ბერო ბაადურო: ხომ არ დაგაგვიანდა?!
დიდი ხანია მიმწუხრის ქედებზე გადაიარეს შენმა დროშებმა,
რწმენის კალთები აიკრიფეს
და ის-ის იყო მზეც ჩავიდა... რომ...
ისევ შემოერტყა კარატის ჯვარს გველ-ვეშაპი
და თავ-ბოლო შეიკრა...
შენ კი არ ჩანხარ!...

. . . . . . . . . .

* * *

ახლა კვლავ პირველსავე სიტყუასა ალვიდეთ:
ჯოყოლას სიკვდილზე არ იყო ისეთი რიტუალი,
როგორც რეკათ ჯამრულის დროს იქნებოდა...
ფერმკრთალი ქალები უსასოოდ ქვითინებდნენ,
დავიწყნოდათ სიკვდილის სიდიადე —
მათი რექვიემი არარაობიდან არარაობაში მიჟონავდა...
ვერ ბუთუნებდნენ მამაცი კაცები,
არ მიუფარებიათ თვალზე ქუდები —
ისინი დაზაფრულნი იდგნენ აბჯრიანი ჯოყოლას ირგვლივ,
რომელიც ულიმოდა ისევე, როგორც ჯორზე მჯდომარი
მარიობა დღეს...
არც ახლა და არც მაშინ არ ბრუნავდა დედამიწა ჯოყოლასათვის,
მაშინაც და ახლაც თავისი ხევსურული ტანსაცმელი ეცვა...
თავის მიწაზე იდგა და იწვა...
არსად არ წასულა აქედან და ახლაც აქ იყო!
ერთხელ ესეც მითხრა:
„ძმისწულო, მთვარეზე სახლების აშენება რომ გდომებიათ,
მთვარე წელიწადში თორმეტჯერ გაქრება და ალივსება,
წელიწადში 12-ჯერ ჩამოიყრებით იქიდან...
აქ იყავით, აქო!..“ — და მიწას ხელი დაადო.

* * *

„ცხენიო, — იკითხა აბიკამ, — სად არიან დარახტული
სადოლე ცხენები?!“
„ჩვენ დროში ცხენით ვინღა იმაშვრება,
იქაც... მანქანებით დადიან!“ —
წამოსცდა გადასახლებულ ხევსურს.
არ მოეწონა, ჯოყოლას ძმობილს — ბებერ თოთიას,
მისი „იუმორი“, —
იტიტვლა ხანჯალი და... მოუქნია სარქეზე, აუცდა და ტანი ეძრა...
გული დასწყდა ყველა იქ მყოფს:
თოთია ძალიან ბებერი იყო! და საერთოდ —
ირგვლივ მარადიული სიბერე და წარმავალობა სუფევდა,
ყოველივეს დასდგომოდა თავისი ჟამი... და სტკიოდა...
სტკიოდა გული და სიმარტოვის მოულოდნელი ჭრილობა,
შემოდგომის წითელ-ყვითელი ტყეებით რომ სტიროდა...

* * *

ჯოყოლას შვილები უცხო ქვეყნიდან მოსულივით იდგნენ ხალხში,
პასუხობდნენ ჭირის საწყენად მისულ ხევსურებს,
მათი ფრაზები ჭრელი და გაუმართავი იყო,
ისევე, როგორც მათი ტანსაცმელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათიშული, როგორც მათი აწმყო და წარსული...
ოთხივეს ყვითელღილიანი პიჯაკები ეცვა,
ურწმუნოდ იდგნენ შურისმგებელ მიწასთან
და მათი არსება მერყეობდა გაყოფილი ისტორიის სამანზე.

ქვის ნიში წამოაყენეს დედულეთით მოსულმა კაცებმა,
ახლა ქვა ყველაფერს ამბობდა...
თოვდა ჩირდილში (ზენ ბაცალიგოსაც თოვდა!),
თეთრი კელაპტრები ნელიად ქრებოდნენ
და შიშველი ქვა თანდათან სველდებოდა...
მთების ბნელი ილლიებიდან ყვავები მოფრინავდნენ
და კოშკები ჯვრებივით იდგნენ...
. . . . . . .
ძველი სტილითაც და ახლითაც ნაკიანი წელი იდგა,
ეს წელი საბედისწერო იყო და ყველაფერი ცუდად დასრულდა
და მოხდა ბევრი რამ მოულოდნელი
და ისეთი რამ, რომელიც სხვა დროს უნდა მომხდარიყო...

* * *

როცა ქალების გრინი მიიწურა,
ვინმე ხმით მატირალი მოვიდა შორეული სოფლიდან,
იგი დიაცთა ქორეს სათავეში დადგა და წრე შეკრა...
ჯოხზე დაყრდნობილი ირყეოდა...
მას გრძელი ტალავარი ეცვა და საკმაოდ გაცრეცილი
ორნამენტებიდან,
თითქოს მთვარის შუქივით, გამოკრთოდა მრეში სინათლე...
მისი ხმა წყალთა მრავალთა ტირილს ჰგავდა
და უსმენდნენ უდაბური ნასახლარები,
და სახლები, რომლებიც აკლდამებივით დუმდნენ,
და ისინი ვინც იქ იყვნენ და აღდგომის იმედი დაჰკარგოდათ...
მისი ტექსტი მხოლოდ მისივე მოგონილი არ იყო, —
არ შეიძლებოდა ერთ სულდგმულს მსგავსი რამ შეექმნა...
ეტყობა ამ შექმნაში ყოფნა-არყოფნის ძალები, ერთად
მონაწილეობდნენ, —
ყველანი, ვინც იქ იყვნენ, ანდაც არ იყვნენ...
მატირალი ხშირად ახსენებდა „მზე-მთვარეს", დღესა და ღამეს,
და ჟამსა მწუხრისას!... (რომელიც თავზე დასდგომოდა)
და თვისი ხმიერი ზახილით მსჭვალავდა!...
მის სიტყვებზე ქალები ტირილით იხოცებოდნენ...

* * *

საერთოდ, ამ მხარეში, ბევრი რამ მნათობთა მიხედვით
აღესრულებოდა:
დგომისა და წოლის ჟამი, კვდომისა და შობის წესი,
გზისა და მგზავრის, ცისა და მიწის რიტუალი...

მათ სულზე მნათობთა მაგია ბატონობდა
და თავადაც მნათობთა იერი ჰქონდა:
ბავშვებს მნათობთა სახელებს არქმევდნენ,
მნათობთა ორნამენტებს სვამდნენ ტახტის სათავესთან,
ხმიადებზე მნათობთა სახე გამოჰყავდათ,
მთიებისა და სულთოხათ მეოხებით მიიკვლევდნენ დროს...
ქალები თავის ძმათ მზეს იფიცავდნენ,
„მზეო დადეგ და დაგვიანდიო" — სტიროდნენ...

* * *

ჯოყოლას პატივსაცემად დადგმულ ტაბლაზე
ვიღაცამ, მოულოდნელად, შილაფლავი და ლობიო მოიტანა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებერმა აბიკამ თვალები დატყვრიცა:
„ამას აქ არა სჭამდა ჯოყოლა ჩირდილელი,
თქვენმა მზემ, ახლა იქ შეგიჭამსთო!“...
„დაიწყებს ახლა ესიც, დაბერდა და გონი გამოერთვა,
განა ისევ ის დროა!“... — შეუბღვერს ხაკისკაბიანი შვილიშვილი...

. . . . . . .

ლობიოსა და შილაფლავის მსგავსად
თმაგრძელა, ანონილი ყმანვილკაცებიც ერივნენ
გახუნებულ ჯვრიან კაცებში
და მოურიდებლად აბოლებდნენ,
კიდევაც იცინოდნენ და ბევრი რამ ფეხზეც ეკიდათ...

. . . . . . .

იდგა ძველი ფორმების კვდომისა და გაქრობის ჟამი,
მთლიანად გახუნებულიყვნენ უმცროს-უფროსობის მადლიახი
ხესები,

მაგრამ ამას არავინ ჩიოდა,
ჯერ კიდევ არავინ უწყოდა რა ხდებოდა ჩვენს თავზე,
(მიზეზი და მიზეზთა მიზეზი):
იქნება თვით მიწა შეიქმნა მავნე ნაყოფთა მომლები,
მტერი და მდევარი თვისი ხალხის, —
იმიტომაც აიყარნენ და გადაიხვეწნენ მრავალნი იქიდან...
თუმცა ჯოყოლასავით სხვაც ბევრი დარჩა ამ მაღალ მიწაზე —
სადაც ჯაჭვი დაუცურდა თორღვა ძაგანის ძეს
და გულჯავრიანმა მუცო ააშენა!...
მარიემულის ძემ თავისი ფარი შეაბა ციხეს კარად
და 60 ფხანეხლის გალოებით გაამაგრა!...
ხოლო ბერდიათ გაგამ უთხრა თავის დედას:
„ნუ გეშინია დედილო,
მტერი ვერ გაგვათავებს, თუ ღმერთმა არ გაგვათავა“!!!
ამიტომაც 300 არაგველი ყოველთვის იყო,
ყოველთვის მოდიოდნენ და ყოველთვის კვდებოდნენ...

* * *

ნუთუ ღმერთი ურევია ამ საქმეში, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება?
გაახსენდა ვიღაცას ჯოყოლას საფლავთან
და სახეები წამით ყველას გარდუვალობის განცდით დაებინდა...
„რაკი ღმერთი ურევია, ალბათ ეგრეც უნდა იყოს“!...
თქვა კაცმა „სულის ცხენს“ რომ კაზმავდა ვერცხლის უნაგირით
და გაიღიმა!..
გაიღიმა და რაკი გაიღიმა, რაღაცის იმედიცა ჰქონდა
და იმედი დიდი საქმე იყო!...

თუმცა ორ მანდილოსანს გადმობრუნებული ტანსაცმელი ეცვა
და თმაჩამონწნილი ტირიფებივით იდგნენ!
ისინიც „მზეო დადეგ და დაგვიანდიო“ — სტიროდნენ,
იფიცავდნენ ჯოყოლას მზეს, ევედრებოდნენ:
სულ ერთი წამით გაჩერებულიყო საწუთროს ცაზე,
სულ ერთი წამით გაეგრძელებინა სამზეოს წამი!..

* * *

ჯოყოლას ყველაფერი საუკეთესო ეცვა:
ბრწყინავდა მისი ტალავარი,
უელავდა ვერცხლიანი აბჯარი...
ყოველთვის კარგად ეცვა ჯოყოლას;
მაშინაც კი, როცა ქერის ყანას მკიდა,
ანდაც საათენგენოდ ლუდიან ქვაბს ადუღებდა...
როცა რჯულში მიდიოდა, რჯულის კაცად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ უფრო ლეგა ტალავარს იცვამდა:
რჯულის კაცებში გამორჩეულ იყო სიტყვით
და ტალავრით — უბრალო, როგორც მწყემსი!

დავითის სიკვდილზე მიცუს კლდესავით ლეგა მოვიდა ჯოყოლა,
მზის ჩასვლამდე მდუმარე იდგა თეთრი თოვლის აკლდამებთან;
შორიდან ქალის ხმა მოისმოდა:
„მთვარე ნავიდა, მზე მოვიდაო, ვაჟი საწოლთით არ
მობრუნდაო“...
...მზის ჩასვლისას, რაკი სოფელი აღარ იყო,
დამთრგუნველმა მწუხარებამ მოიცვა არემარე;
ღამესთან ერთად დარჩა ჯოყოლაც სოფლის ნანგრევებში
და მათი მარტოობა გაიზიარა...

. . . . . . .

„— შავო ნუ მოჰკლავ სიკვდილო, მეგრელათ ფუნჩიასაო,
ნუ ჩაუხდები მთვარეო, ნუ ჩაუბნელებ გზასაო...
რას ეთელები ყორანო, მრუდს რად რა იქნევ მხარსაო!“ —
ჩახლეჩილი ხმით მღეროდა მთვრალი ბაბურაულთ აკია...

* * *

...ჯოყოლას სამძიმარა ჭინჭარაულის ნაქარგი პერანგი ეცვა
და ისე უხდებოდა რო... რა ვიცი!
პერანგი ჭრელი იყო, როგორც ცა ათენგენობა ღამეს —
როცა დასტურნი გარეთ გამოვლენ და... შეხედავენ!..
მერე სულთოხანი რომ ამოვლენ და გადივლიან...
მერე მრავალნი რომ გადიურიალებენ...
მერე მთვარე რომ გამოჩნდება კარატეს თავზე
და დროშების ვერცხლიან ბორაყებს დაეყრდნობა...
მერე მთიები რომ ამოსჭვივიან
და ცისკარი ალმოხდება! — ასეთი იყო ჯოყოლას პერანგი.

ცოლი კი ვითომ არას ნაღვლობდა, — იდგა და გული უტიროდა...
მხოლოდ მისთვის აღარ იყო ჯოყოლას პერანგი ჭრელი,
მისი ყველა ფერი დაბინდული ჩანდა!

„არაფერია! დედას შვილები დარჩნენ და შვილებს — დედა...
იქნებიან და იცხოვრებენ...
ბრალი ის არის, ვინც აღარ არის!!“
თუმცა შემდეგ ქადაგმა ალდიამ ესე ბრძანა:
„თქვენ რა იცით კაცნო!
სანატრელ ის არს... ვინც გაეყრება ცოდვის ჭურჭელს და
განთავისუფლდება,
ჯოყოლა თავისუფალ არს! თავისუფალ!“..

* * *

სულის ცხენი ტაბლასთან თავდახრილ იდგა,
ქურწითელა, ჭორფლიან ჩირდილელ ქალებს მოეთავათ მისი
მოხატვა...
ფაფარ დაწნული და ძუა დავარცხნილი იგი ნიშივით
იდუმალ იყო...
თითქოს მწვერვალებზე სულების გადასარეკად მიჰყავდათ!!

. . . . . . . .

სამ ცხენზე მეტ არ მოგროვდა მთელს ხევსურეთში,
რა იქნება სამის ცხენის დოლი, ხევსურის კაცებო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ერთიც რომ იყოს, მაინც იქნება დოლი!...
იქნება დოლი ხევსურეთში, რადგანაც ყველამ უნდა გაიგოს
ჯოყოლას სიკვდილი...
უნდა გაიგონ სულის ცხენის გამოჩენით!
. . . . . . .
ალბათ უკანასკნელად იქნება დღეს დოლი ხევსურეთში,
უკანასკნელად გაანათებენ ცხენის ნალები ოხერხევის რიყეზე...
ერთხელ კიდევ გამოიტანენ დედულები სამკვდრო ტაბლას
რძიან ჯამებით!...
ერთხელ კიდევ იტირებენ მოკეთის სიკვდილს...
მეტი აღარ იქნება სიკვდილი...
მეტი აღარ იქნება დოლი ხევსურეთში, რადგანაც აღარ
იქნებიან ცოცხლები...
და თუ იქნებიან, აღარ ეცოდინებათ ცხენების დაჭედვა,
ჭირის წყენა და ლოცვა შეშინებულისა...
აღარ ეცოდინებათ ხავინის დუღება...
ეცოდინებათ პურის ცხობა,
მაგრამ გახუნდებიან და გაჰქრებიან მნათობთა სახეები
ქერის ხმიადებზე!..

. . . . . . . .

გასრულდა...
სამი-ოთხი ხევსური დარჩა ტაბლასთან
და მზე ნვეროვანს დაელოდა.
თოთია... აბიკა....
თავლექა — ბებრები... ღამით რომ აღარ ეძინებათ ხოლმე,
დღისით კი — მზის სითბოს ველარა გრძნობენ...
კაცი — საკუთარი აბჯრის ტარება რომ აღარ შეეძლო, —
მაშინ ინოდებოდა მოხუცად უნინ;
ოდეს ჯაჭვის ტარებას შესძლებდა, — მაშინ იყო — ჭაბუკი;

ახლა ყველას დაჰკარგოდა თავისი ჯავშანი
და ვის რა ეთქვა არვინ უნყოდა,
შეუცნობის და უხილავის გამოცხადების
მოლოდინი კი ისევაც ჰქონდათ...

* * *

მერე ხახმატის ჯვარის ხუცესიც აიყარა და ნავიდა,
ხოლო ნასვლისნინ, ქუდმოხდილი, ეაჯოდა მეორე ჯვარის
ხუცესი:

„არ ნახვიდე, ძმაო ვეფხვიავ,
არ გასნირა ჯვარ-ჯვარის კარი,
ჯვარსაც კაცნ აჯვარებენ, ვეფხვიავ ძმაო...“
კაცნი ნავლენ, ეშმანი მავლენ!...“

მაინც ნავიდა ვეფხვია... ძმაი...
და მისი ნილი სალოცავიც გაუქმდა... ესრეთ!

* * *

ის, რასაც ახლა ვსნერ, ყველასათვის არ იქნება საინტერესო,
მაგრამ საინტერესო იქნება მეხრეთა და მეურმეთათვის,
ბებერი აბჯრის მტვირთველთათვის...
ეთნოგრაფთა და მხატვართათვის... არქეოლოგთათვის...
და მათთვის, ვის ქალაქურ კომფორტსაც
მშობლიური ხეობების ხავსი შესცოცებია,
ვის დუმილშიც კრნანისის ენადანყვეტილი ზარები მნუხარებენ...
და ვინც განუნყვეტლად ბრუნდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაც სურს დაბრუნდეს თავის მივიწყებულ მამულში
და იცხოვროს იქ, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ!..
. . . . . .
მაგრამ იქნება კი საინტერესო ეს ლექსი ხევსურთათვის, —
მათთვის ვინც მთიბლურებს,
ხოგაის მინდიასა და ქალუნდაურის სიმღერებს სჭედდა?!
იქნება კი საინტერესო —
გუდანის ჯვარის ბებერი ხუცესისათვის,
ალაქანათ ხვთისოსათვის, მგელათ გიორგისათვის,
თაველექასთვის, ტოლხასთვის, გიორგი ჭოლიკაურისთვის...
და რაც მთავარია —
არ(ი)ხილოს კალოზე დაყუდებული როშკიონი მელექსისათვის,
თავისმა სწორფერმა რომ ველარ იცნო! —
არ ვიცი...
. . . . . . . .
ჯოყოლა კი მომიწონებდა, მიმიტყუებდა და დამდებდა
სალბუნს სიტყვისას;
დამიდგამდა იმედის კარავს,
გამიღიმებდა და ზოგჯერ ჩემი ტოლი მეჩვენებოდა!

ვიცი ჯოყოლა არ მეტყოდა:
ლექსი ისეთი უნდა, ხირჩლა ბაბურაული რომ სწერდა ხმლითო,
ანდაც: კუმეტ ღამეს მთვარესავით რომ ამოდიოდეს
და სალპინგივით ბღაოდეს ქართლის მთებზე!
. . . . . . .
არ მეტყოდა:
რადგან არა ძალ მედვა, არა ხელ მეწიფოდა და არას ვუწყოდი...
და ვიყავი უბირი და ტლუ —
შობილი ახალ სტილზე...
და ის სკამიც კი, ბრძენი და ხანდაზმული იყო ჩემზე,
რომელზედაც ვიჯექი...
ხოლო ყოველი ნივთნი ახალნი და უცხონი იყვნენ ირგვლივ
და მოკლებულნი მთლიანობასა და სასოებას...
. . . . . .
ეს და (სხვაც ბევრი რამ) ნათელი იყო ჯოყოლასთვის
და არღა დაამცრობდა ჩემს ნაკლულოვნებას!

და მით უფრო მიყვარს იგი,
რომ დედამიწის ბრუნვამ ხელში ნაჭერი ლუდიანი ბარძიმი
ვერ ნაუქცია,
რომელსაც ზედ მზის დისკო ეხატა...
თუმცა არც სიკვდილი იყო მისთვის უცხო ხილი!
. . . . . . .
მეც ამიტომ გავთამამდი და შევჰკადრე ეს ლექსი მას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი ჯახუა

## ციკლიდან „მონოლოგები ყრუ კედელთან“

### შემოდგომა

ისევ შეტბორდა სინანული... ისევ ვნებდები
ფერიცვალების ნაცნობ შრიალს...
ცეცხლი მინელდა...
დღედათვლილ ფოთლებს დაეკიდა ცრემლი ვედრების...
ნაწვიმარ ღრუბელთ გაედევნა
მზერა ფრინველთა...
ეს შემოდგომა
გაძარცვული ჩემი სახლია...
მალე ზამთარი ჩემს მოლოდინს ისევ გაფიფქავს...
უმწეოდ ვუმზერ
ნაცნობ ხეთა მწირ და ნაღვლიან
და მაინც ასე ძვირფას გრაფიკას...
უმწეოდ ვუმზერ —
ამ ორ დღეში როგორ მობერდა
ირგვლივ ყოველი...
ვნებაც ჩაცხრა ჭკნობის გზაწვრილთან...
თითქოს ღრუბლებმა ამოკენკეს ხმა მგალობელთა
ამ მინდვრებიდან —
ორი დღე რომ ულვთოდ აწვიმდათ...
გადაირეცხა უმოწყალოდ კვალი ზაფხულის,
ფერთა ხასხასი
მოლაჟვარდე ზეცის კრიალით...
და მჭმუნვარება —
უხილავი და უსახური
ჩემს დაღლილ ტანში გაიფოთლა
როგორც ხვიარა...
და უსასოოდ ვჭვრეტ —
ზამთრისკენ როგორ გარბიან
ჩემი დღეები —
დაჩხვლეტილნი სუსხის ეკლებით,
უნდა ყველაფერს წაეტანოს —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გული ხარბია —
თუკი ხსნას ვერა — აღსასრულს ხომ გადავეყრები...
რად მომიზომე საცხოვრისად
მიწის კუნჭული
და ძილგამფრთხალი ღამეები —
როგორც სასჯელი...
ნაგვიანევი ყვავილების ბედზე ჩურჩული —
სევდაა ჩემი —
მრავალთაგან გამოსარჩევი...
ნაღვლიან ფერთა მელოდია ხმაშეუცვლელი
დაგუბებულა ჩემს სხეულში
და ჩემს გუგებში...
ნესტიან ქარში მოფარფატე კენტი ფურცელი
სულია ჩემი, მხარქცეული და უნუგეშო...
იმედის ხავსი
ყველა ხავსზე თურმე გამძლეა
(ასე ყოფილა...
ეს ამბავი თვითონ მაკვირვებს)...
ხავსს ეჭიდება
ეჭვებისგან ილაჯგაცლილი
ჩემი სიცოცხლეც —
წყალჩამდგარი ორმო — საკირე...
იმედის ხავსიც დღემდე ბიბინებს
და ხსოვნის მიღმა
დაკარგული მიხმობს სიმშვიდე...
წყაროს საძებრად თითქოს ფერდი ჩამოვირბინე
და უდაბნოსი შემეფეთა მზერა ქვიშიდან...
მალე ამ დღესაც გააცილებს მზე — ნასამხრალი...
გადამაფარე ჩრდილი ფოთლის,
ტოტი სიჩუმის...
იმედის სხივით გამინათლე
ხვალის ცარგვალიც
და ამ გაძარცულ დღეებს მაინც ნუ დაიშურებ...

## დილა

რა დრო გასულა...
მთელი ბავშვობა...
კვლავ ლურჯ სიშორეს მიანათებს
უძილო თვალებს,
უჩუმრად ხსოვნა
და როგორც ზღაპრის ილუსტრაციებს,
ბავშვობის ფერად მოგონებებს ათვალიერებს...
ყოველ დილით,
გაწამებულს ან სიზმრებით,
ან უსიზმრობით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვენება ახალი დღის ბილიკზე შემდგარს,
რომ ვდგავარ ზღურბლზე
ნაგვიანევი ფერიცვალების
და მენანება
არა მარტო ბავშვობა ჩემი, —
დღეც გუშინდელი —
როგორც ამაოდ დაღვრილი სისხლი...
და თითქოს წლობით მიტოვებულ სახლს ვუბრუნდები—
კიდევ ერთი დღით დამძიმებული წარსულის ტვირთით,
გამოგონილი სიმშვიდის ნილბით
(ძველი ნილბით და ძველი ჭრილობით),
კვლავ (მერამდენედ) ვუბრუნდები,
კიდევ ერთი დღით გაგრძელებულ სიცოცხლეს ჩემსას...

## ძველი ნატურმორტი

რაც თავი მახსოვს —
ასე გვახსოვს მე და მაგიდას —
ჩქამიც არ იძვრის
ბროლის თევზის ღია ბაგიდან.
ბროლის სტომაქი წყალს იზოგავს,
აორთქლებს ნელა,
ვერ იქნა, დღემდე ზღვის კენჭები ვერ მოინელა...
ვერ იქნა,
დღემდე ძველი მაგიდა
ჩქამს ვერ ელირსა ბროლის ბაგიდან...
იქნება ზღვიდან მოიტანეს ჭრელმა კენჭებმა
ამბავი,
რომ იქ ყველა თევზი დუმილს ეჩვევა
და ბროლის თევზსაც ჩააგონეს
ხმით იდუმალით:
რამეთუ პირში წყალი უდგას,
იყოს მდუმარი...
მე ხომ არც წყლით მაქვს პირი სავსე,
აღარც კენჭებით
მაინც რომ დღემდე მაძალებენ
დუმილს ეჭვები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემურ ჩალაბაშვილი

## დ ე დ ა

არ გამეყრება საკუთარი სიცოცხლე ვიდრე,
ვიდრე ვაწუხებ საკუთარი სხეულით მიწას,
ხარ ბედნიერი, რადგან შენში მე აღვსდეგ ისევ,
არარაობის ქაოსიდან სიცოცხლე იშვა...
და ვდგევარ ასე შენს კალთაზე —
ვით მწვანე ბორცვი.
მე შენი ფრთა ვარ, შენი ნეკნი, ტკივილი შენი,
და ძლიერ ხშირად ვეფერები სიშორეს ჩვენსას,
შენს დაღლილ სახეს, მალულ მზერას, ნაჯაფარ ხელებს,
ხელებს, რომელთაც ამიშენეს ტაძარი რწმენის,
თვალებს, რომელთაც მომიხატეს თავანი სულის;
არ გამეყრება საკუთარი — სიცოცხლე ვიდრე,
ვიდრე ვაწუხებ საკუთარი სხეულით მიწას —
ხარ ბედნიერი და გქვია დედა...

## *ივანე მაჩაბელი*

იქნებ მტკვართან დასცდა ფეხი ვინ იცის,
როცა მთვარე ქართლის მთაველს ჰქარგავდა,
რა ჯანდაბამ დააძინა თბილისი,
არ იცოდა რა დიდებას ჰკარგავდა?
თუ მთაწმინდამ დაიშურა ნიავი,
ვერ უკოცნა შუბლი დასადაფნავი,
რა ყოფილა ბედი ოხერტიალი,
არ აღირსა — სამშობლოში საფლავი!

იქნებ ღამით ქართლის მთებიც კვენოსდნენ,
როცა თვალი გასაქცევად ეჭირა,
რად უყვარდა საქართველო ესოდენ —
გოჯ მიწაშიც ქართველს არ შეეცილა.
და მამულის შეკრთა მიწა-მტკივანი,
მისი ხვედრი მწარე სევდად დარჩა ერს,
საქართველო და მთაწმინდის ნიავი —
დღესაც ეძებს კვალდაკარგულ მაჩაბელს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მთაწმინდაზე ნისლს ეძინა,
ქაშუეთთან ღამის ბინდი ეყარა.
გაიავდრა, შენ გეწყინა —
მტკვარს გაჰქონდა თბილისიდან
ქვეყანა.
მთების ლანდმა — მთვარე შორით
გაიტაცა,
თუ მეტეხთან მიამსხვრია ტიალად,
გაგახსენდა შენი ჯვარცმა
და წაქცეულს ტანში გაგაჟრიალა...
...მერე მთვარეს ირემივით დაეძებდი,
შენი ცრემლით ცა ათასჯერ გაწვიმდა,
მთაწმინდაზე ნისლს ეძინა
და მთვარეზე არ ფიქრობდა
მთაწმინდა...

* * *

ამიერიდან მე შენ გეკუთვნი,
გადამავიწყდა ძველი მითები.
შენ ხარ მაღალი — ჯვარი გეგუთის,
მე კი დაღლილი — ბერის თითები.
და როგორც მიწა ლტოლვით მიუტევთ,
ნუ გაგაოცებს ჩემი იერი,
შენ ამაყი ხარ — ვით სიჯიუტე,
მე ვით სიმორცხვე ვარ თვინიერი.
აჰა, მორჩილი მონის კისერი,
აღზევებულა ჩემი ქალაქი,
ისევ და ისევ შენ თუ მიშველი,
ცოცხლობდეს ჩემი ძვალთშესალაგი.
ამიერიდან მე შენ გეკუთვნი,
გადამავიწყდა ძველი მითები,
შენ ხარ მაღალი — ჯვარი გეგუთის
მე კი დაღლილი — ბერის თითები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე ხიმშიაშვილი

# მოთხრობები

## ქაჯთა სასძლოს სახსოვარი

იამანიძის გორაზე ზარი დარეკეს. ეს ზარი უწინ ეკლესიისა გახლდათ; სამრეკლოდან ჩამოღებისას ზარი საფლავის ქვას დაეცა და გაიბზარა. სოფლის მჭედელმა უმკურნალა, მაგრამ სკოლაში ჩამოკიდებული ეკლესიის ზარის ხმა ისევე გამოიცვალა, როგორც თხუთმეტი წლის წინ საკუთარი ხელით გაკრეჭილი მამა ივანე, რომელმაც დალაქობას მიჰყო ხელი. ჯერ დიაკვანი და მნათე გაპარსა, შემდეგ სხვებიც მიაყოლა, და ამჟამად საკოლმეურნეო სადალაქოს გამგე და ერთადერთი თანამშრომელი ვანო დალაქი გახლდათ. მოკლედ, ზარმა დაიჟღარუნა და ამცნო კოლმეურნეებს სკოლის ეზოში მოგროვილიყვნენ.

გლახუკამ სახარაზო იარაღი ყუთში ჩააწყო, შეიტანა ცარიელ სასიმინდეში, სადაც იგი დროებით იყო დაბინავებული, კუთხეში მიკეცილ ლოგინიდან თეთრი მეშის ნაჭერში გახვეული რაღაც მძიმე ნივთი გამოიღო, უბეში ჩაიდო, სასიმინდის კარები ბოქლომით გადაკეტა და იამანიძის გორისკენ გასწია.

იამანიძის გორაზე ორსართულიანი, ყავრით გადახურული ქვითკირის შენობა იდგა. გლახუკამ თავის ბავშვობა და ადრე სიჭაბუკე იმ სახლში გაატარა, და ახლა, ორღობეებში აუჩქარებლად მიმავალ მოხუცს უნებურად აგონდებოდა წარსული.

უწინ ის სახლი შეძლებული აზნაურის — ბარდღა იამანიძისა იყო. გლახუკას ბარდღა ფეხიზელი არ ახსოვდა; დილით ნაღვინევი ადგებოდა ხოლმე აზნაური, პილპილიან ტყემალში მჭადის ყუას ჩაუწობდა, ლურჯას შეაკაზმინებდა და დაბარებულივით გასწევდა მახლობელ რკინიგზის სადგურისაკენ. იქ სადგურთან მიდგმულ დუქნებში, თავს იყრიდა მთელი იმ კუთხის აზნაურობა — ნარდს თამაშობდნენ, ლაზღანდარობდნენ და სვამდნენ. საღამოხანს არეული ნაბიჯით გამოვიდოდა ბაქანზე, ბარდღა და მეისრეს მიმართავდა:

— ბიჭო, წავიდა მატარებელი?...

— წავიდა, ბატონო...

— კი მარა, ზარი რომ არ ყოფილა!... იყოვო! აბა მე ყრუ ვყოფილვარ, შე მამაძაღლის შვილო!...

და ისეთ ალიყურს აჭმევდა, რომ მეისრე, თავის ფერადი სანათურებითა და დროშებით, შემაღლებულ ბაქნიდან მაზუთიან ლიანდაგებზე გაიშლებოდა. სადგურის უფროსი და ამფსონები დააწყნარებდნენ ბარდღას, ნახევრად ამოღებულ ხანჯალს ჩააგებინებდნენ, ლურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაზე შესვამდნენ და სახლისაკენ გამოისტუმრებდნენ. ლურჯა, რაკი სადგურს ზურგს შეაქცევდა, მხედრის ჯანჯალს ყურს აღარ უგდებდა და ჩალის მოლოდინში უზადო თოხარიკით გამოსწევდა იამანიძის გორისკენ. შუაღამისას ჭრაქებს აუწევდნენ და მთვლემარე გოგობიჭებს მუჯლუგუნით გამოაფხიზლებდნენ — ბატონი მოდისო!

გლახუკა წინ მიეგებებოდა, ჭიშკარს გაუღებდა, უზანგს დაუჭერდა, სადავეს ჩამოართმევდა, თუ ბატონი კარგ გუნებაზე იყო — მხარში შეუდგებოდა და აივანზე აიყვანდა, თუ არა და... დალახვროს ეშმაკმა ხარის ძარღვისგან დაწნული მათრახის მომგონი. გლახუკა იამანიძეებისას იყო გაზრდილი, რომელიღაც იამანიძეს უცუღლუტია მოსამსახურე გოგოსთან, გოგო მშობიარობას გადაჰყოლია და პატარა გლახუკა სამზარეულოში, თხის რძით გაუზრდიათ. სწორედ ამ დროს ბარდლას მეუღლეს ქალი შესძენია; ქალს ნესტანს ეძახდნენ, მაიკო ქალბატონმა პატარა გლახუკას და ნესტანს ერთად ასწავლა ანბანი, „მამაოჩვენო“ და ბოლოს — „ვეფხისტყაოსანი“.

აი, გლახუკა სამზარეულოსთან თონისთვის ფიჩხსა სჭრის.

— ბიჭო, გლახუკა!... — ეძახის აივნიდან ნაცნობი ხმა. ბიჭს წალდი ჰაერში უჩერდება, ჯერ დააყურებს — ხომ არ შემომესმაო. შემდეგ წალდს გვერდზე გადაისვრის. ბატონის გამონაცვალ, კოჭებამდე ჩაფორიალებულ ახალუხის ღილებს აჩქარებით იბნევს და გამოეხმაურება:

— რა გნებავს, ქალბატონო...

— მოდი აქ ერთწამს, მომწყინდა...

— ამ წუთში გეახლები...

გლახუკა ახალუხის კალთებს აიკეცავს, სირბილით მიიჭრება აივანთან და სასოებით შესცქერის როგორ ჩამოდის თხუთმეტი წლის ნესტანი კიბეზე. ქალი ცალი ხელით თეთრი დარაიის გრძელი კაბის კალთას იწევს, ოქრომკედით მოქარგული შავი ხავერდის ქოშები მოუჩანს მხოლოდ; მეორე ხელით იღლიაში უჭირავს ალისფერი ატ[illegible]ში ჩასმული სქელი „ვეფხისტყაოსანი“. აუჩქარებლად ადგამს პატარა ქოშებს კიბის საფეხურებზე აზნაურის ასული. კაბა ისალტება მაღალ, ნატიფ თეძოებზე, და გლახუკა ამჩნევს როგორ ირხევა მარმაშა დარაიის ქვეშ ოდნავ აზორცვილი მკერდი. ტანთან შედარებით პატარა თავი აქვს ნესტანს, მაგრამ ლამაზი; ლაწვები მწიფე ატმის კანს მიუგავს და პატარა ტუჩები — ორ ფურცელს ატმის ყვავილისას; შავი ნაწნავების ჩარჩოში ჩასმულ სახეს შავი გალვივებული თვალები ძაფის მორგვთან მოთამაშე კატის იერს აძლევს. კიბის ბოლო საფეხური მაღალია და გლახუკა ნესტანს ხელს შეაშველებს, ქალი წამით დაეყრდნობა ბიჭის მკლავს და მიწაზე გადმოხტება; ბიჭი კიდევ დიდხანს გრძნობს მკლავზე ნესტანის თითების შეხებას. გლახუკა მძიმე წიგნს გამოართმევს და ქალ-ვაჟი მხარდამხარ გაემართებიან კაკლის ხისკენ.

კაკლის ძირში გრძელი, ხავსმოკიდებული ლოდი გდია.

— უი, ფარდაგი დაგვავიწყდა... — იტყვის ნესტანი.

— ფარდაგი რად გვინდა, აგერ დაბრძანდი...

გლახუკა ლოდზე ჩამოჯდება, ახალუხის კალთას ქამრიდან ამოიძრობს და ნესტანს გაუფენს, ქალი მუხლებზე გადაფურცლავს ძველებურ, ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანს“ და გლახუკას გადასცემს:

— დაიწყე.

წერა-კითხვა ერთად ისწავლეს, მაგრამ ნესტანს კითხვის დროს ენა ებმის, ბორძიკობს, გლახუკას მოსმენით კი თვით მაიკო ქალბატონიც სტკბება ხოლმე. გლახუკა ღრმად ჩაისუნთქავს და იწყებს:

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ
ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქვა: „სხვათა მიჰხვდების
იგი ალვისა ტანითა.
არამ სიცოცხლე უშენოდ!

ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ,
ანუ მოვიკლავ დანითა".

ნესტანი მკლავით და ნიკაპით ეყრდნობა ბიჭის მხარს, და ისე იცქირება წიგნში; ბიჭი კისერზე გრძნობს ქალის სუნთქვას, სახეზე ალმური ეკიდება და დაძაბული განაგრძობს:

შენმან მზემან, უშენოსა
ვერვის მიჰხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს,
მო-ცა-კიდნენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ,
ახლოს მახლავნ დიდნი კლდენი,
სული ჩემი შეივედრე,
ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი!"

მგონი უკვე მეასეჯერ სხედან ისინი ამ კაკლის ძირში და ნესტანის სიახლოვისაგან, თუ შოთას გრძნეული სიტყვებისაგან საბრალო გლახუკას:

გული მი და მო· უარდა,
კრთებოდა და ემალვოდა.

გატაცებით კითხულობდა ბიჭი; უნებურად ნესტანის ხელს მონახავდა და სათუთად მოუჭერდა მის თლილ თითებს თავის ხელს, თან მხარზე გრძნობდა ქალის მკვრივი მკერდის შეხებას. ვერაფერმა დაავიწყა გლახუკას ის დღეები. თუნდაც ახლა, თვალს დახუჭავს და ისევ გრძნობს ნიგვზის ფოთლების სუნს, ნესტანის სუნთქვას კისერზე და ლოყაზე, მწყერივით განაბულ მის თბილ ხელს თავის ხელში; ახლაც ყურში ჩაესმის:

ზამთარი ვარდსა გაახმობს,
ფურცელნი შთამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე
დასწვავს, გვალვასა ჩივიან...
სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს,
წყლულნი ორჯერვე სტკივიან.

ზოგჯერ ბიჭი კითხვას შეწყვეტდა, ნესტანს მიუბრუნდებოდა, ჩააშტერდებოდა გალვივებულ თვალებში და ახლო, სულ ახლო მიიტანდა თავის სახეს ქალის სახესთან. ქალი წამით გაუჯავრდებოდა, შემდეგ ბუსუსებით დაფარული პატარა ტუჩი აუთრთოლდებოდა, ხელს წაართმევდა ბიჭს და ფეხზე წამოიჭრებოდა:

— წაიკითხე, თორემ, წავალ...

იგი ახლა ისევ აზნაურის ქალი იყო, წარბს ამაყად ასწევდა და ნესტოები ჯიუტად დაენაკვთებოდა.

— კი ბატონო...

უპასუხებდა ცივწყალგადასხმული შმაგი მიჯნური და განაგრობდა:

„შენი სიცოცხლე მეყოფის
ჩემად იმედად გულისად,
გულისად ერთობ წყლულისა
და ასრე დადაგულისად...

მხოლოდ კითხვის დროს ავიწყდებოდათ მათ, რომ ერთი ბატონის ქალი იყო და მეორე — ხელზე მოსამსახურე ნაბიჭვარი. როგორც კი შეწყდებოდა შოთას გრძნეულ სიტყვათა დინება — ნესტანი თითქო გამოფხიზლდებოდა და ისევ „ლაღი, უკადრი" პატარა ქალბატონი იდგა გლახუკას წინ. ნესტანიც რომ ერქვა იმ ცოდვით სავსეს! ერთხელ გლახუკა შეევედრა — ტარიელი დამიძახეო. გლახუკა აბა რა მიჯნურის შესაფერი სახელიაო, ფიქრობდა ბიჭი. ნესტანმა ამ თხოვნაზე ისე ხმამაღლა გადაიკისკისა, რომ ეზოს ბოლოდან დედაბატი ყივილით გამოეხმაურა. გლახუკა დაჰპირდა — მგალობელ შაშვს მოგიყვანო, ცოცხალ ბაჭიასაო, ციცრის კვერცხს მოგიტანო; ნესტანი დათანხმდა ქრთამზე, მაგრამ გულმავიწყობდა და ისევ გლახუკას ეძახდა თავის მიჯნურს. კითხვაში გართულ ბიჭს სამზარეულოდან ხშირად დაუძახებდნენ ხოლმე დასასაქმებლად, მაგრამ ნესტანი წარბს შეიკრავდა და გასძახებდა:

— გვაცალეთ ერთწამას!...

ბიჭი მადლიერის თვალით გადახედავდა „გულის ქალბატონს" და ისევ დაუბრუნდებოდა გაყვითლებულ ტყავის ფურცელზე ხატაველთა ლაშქარივით წამოშლილ, შავი მელნით გამოყვანილ ასოებს, რომელთაც წინ სისხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით ჯუბაშელებილ ტარიელივით ედგათ წითელი მელნით ჩახატული ასომთავრული.

შემოდგომის ერთ მზიან დღეს, როცა კაკლის ფოთლები ქარის ფურცლებად ეფინა მიწაზე, ქალ-ვაჟმა უთუოდ მეასეჯერ ჩაიკითხეს „წიგნი ნესტანდარეჯანისა საყვარლისა წინაშე მინაწერი“.

„რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“, — დაასრულა გლახუკამ, ნესტანს მიუბრუნდა, თვალებში ჩააცქერდა და ფრთხილად, ფრთხილად მოუჭირა ხელი მის სათუთ პატარა ხელს. მაგრამ ქალი არ გაჯავრდა, არც ხელი წაართვა ბიჭს, მხოლოდ სახე აარიდა, მისთვის უჩვეულო სევდიანი თვალებით მიაშტერდა მიწაზე დაცვენილ, გაყვითლებულ ფოთლებს და ჩუმი ხმით სთქვა:

— იცი, გლახუკა, მე მალე გამათხოვებენ...

გლახუკა ჯერ კარგად ვერ მიხვდა რას ნიშნავდა ნესტანის ნათქვამი, წანაკითხით გაბრუებულ თავში წამსვე გაუელვა: „რა მოვიდეს სიძე, მოჰკალ მათია სპათა აუწყვედლად...“

— მართლა გათხოვებენ?!

— მართლა, საქმროსგან უკვე ნიშანიც მომივიდა...

ბიჭმა იგრძნო, როგორ გადავიდა სიცივე ხავსიან ლოდიდან მის ტანში და კუნთები შეუბოჭა. ნესტანს წაიყვანენ, აღარ დაჯდება ხოლმე მისი ახალუხის კალთაზე პატარა ქალბატონი, ველარ შეხედავს გლახუკა გაღვივებულ შავ თვალებში: „გათავდება ამბავი, „ვითა სიზმარი ღამისა“. ბიჭის გული დაცარიელდება, გაშავდება და დაჭკნება, როგორც შემოდგომის ნიგვზის წენგო, კაკლის ძირში რომ ეყარა გამხმარ ფოთლებთან.

ნესტანი წყნარად წამოდგა, გლახუკას მუხლებიდან ალისფერი ატლასისყდიანი მძიმე წიგნი აიღო და ხელში შეატრიალა.

— ეს „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი სამზითვოა, — სთქვა ქალმა, — როცა წამიყვანენ, მე შენ ამ წიგნს სახსოვრად დაგიტოვებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მიბრუნდა, თავდახრილი აუჩქარებლად წავიდა სახლისკენ, წავიდა და გლახუკა სამუდამოდ მარტო დასტოვა.

მას შემდეგ ისინი ერთად აღარ ყოფილან. მალე იამანიძის ოჯახში საქორწინო ფუსფუსი შეიქნა. გლახუკა რეტდასხმულივით დაბორიალობდა, მარანში გაგზავნეს ღვინის ამოსაღებად და ორშიმო ჰურში ჩააგდო, გოჭი მისცეს გასაპუტად და ხელები მდუღარეში დაიფუფქა, შეშის დასაჩეხად გააგდეს და ნაჯახი ფეხზე დაიკრა; „ნეტა რა გუნებაზეა ახლა ჩემი ნესტანი?“ — ფიქრობდა გატანჯული ბიჭი, „ვებრალები? ვუყვარვარ?“... თუ არ ვუყვარდი — რატომ მექცეოდა ასე?.. ბიჭი ამოიოხრებდა და მოიგონებდა გაზეპირებულს:

მიკვირს, კაცი რად იფერებს
სიყვარულისა სიყვარულსა:
ვინცა უყვარს, რად აყივნებს,
მისთვის მკვდარი, მისთვის წყლულსა?
თუ არ უყვარს, რად არა სძულს,
რად აყივნებს, რაც არ სძულსა?!

იქნებ უყვარს, მაგრამ რა!.. ვინ მისცემს ნაბიჭვარს, სხვის კარზე გაზრდილ ოხერს აზნაურის ქალს. ზოგჯერ სისხლი აუვარდებოდა თავში და აბუტბუტდებოდა.

„კარვის კალთა ჩახლართული,
ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,
ყრმასა ფეხთა მოვეკიდე,
თავი სვეტსა შევუტაკე“...

ჰო და, ამ დროს იყო ნაჯახი ფეხზე რომ დაიკრა! ბოლოს, როცა სასიძოს მოსვლის დღემ მოაღწია, გლახუკამ ველარ გაძლო, თვითონვე შეეშინდა თავისთავის, იამანიძის სახლიდან გაიქცა და ორი დღე მშიერი დაეხეტებოდა მახლობელ რკინიგზის სადგურზე.

გიორგობისთვის დამდეგი იყო და პირველი თოვლიც მოვიდა

ახალმან ფიფქმა დათოვა,
ვარდი დათრთვილა, დანასა,
მოუნდის გულსა დაცემა,
ზოგჯერ მიჰმართის დანასა...

სიცივისაგან აბუზული გლახუკა მიყრდნობოდა სადგურის ბოძს და, მწარედ ჩაფიქრებული, გასცქეროდა თოვლცვენას, ეფინებოდნენ პატარა, თეთრი ფიფქები ჭუჭყიან ბაქანსა და რკინის ლიანდაგებს, ეფინებოდნენ და მაზუთის ლაქებზე ფერს იცვლიდნენ: ასევე უცვალა ფერი მის პირველ სპეტაკ გრძნობას ცხოვრებამ. მართლაც და, რა მისი შესაფერი იყო აზნაურის ქალი, მას ვილაც შეძლებულ კაცზე, კარგ გვარიშვილზე გაათხოვებდნენ და ბედნიერიც იქნებოდა, ეჰ, ქაჯეთს ნებით გათხოვილო, ნესტან!... ყველა ღარიბისთვის მდიდრის ქალი ქაჯთა სასძლოა.

როცა „ველად გაჭრილი მიჯნური", დამშეული და გათოშილი დაბრუნდა იამანიძისას, ნესტანი უკვე იქ აღარ დაუხვდა. წასვლისას ქალს მოსამსახურე გოგო-ბიჭები დაესაჩუქრებია და მოხუცი ძიძისთვის დაებარებია — ჩემი „ვეფხისტყაოსანი" გლახუკას მიეციო.

საწყალ ბიჭს კიდევ უფრო აემღვრა გული. ჩუმად დაჰკოცნა ძვირფასი წიგნის ფურცლები, რომელთაც ოდესღაც ნესტანის თითები შეხებია. ქორწილის მონარჩენ ხაჭაპურის ნატეხთან ერთად ახალუხის უბეში ჩაიდო, ორივის გამომშვიდობებია, ისე გამოიპარა და, იმავე საღამოს, მატარებლით გასწია ჭიათურისაკენ, მაღაროში სამუშაოდ.

მას შემდეგ ბევრჯერ მოვიდა პირველი თოვლი. გლახუკამ ბევრი იხეტიალა, თითქმის მთელი რუსეთი მოიარა, მაგრამ ვერ იქნა, ვერსად მოიკიდა ფეხი.

ხშირად უფიქრია დაბრუნებულიყო თავის სოფელში, მაგრამ ისევ მოჯამაგირედ დადგომას გული არ აძლევდა, საკუთარ მეურნეობას კი ლატაკი და მარტოხელა როგორ შექმნიდა. მხოლოდ რევოლუციის შემდეგ, როცა კოლექტივიზაცია დაიწყო, გლახუკამ გადაწყვიტა ჩასულიყო სოფელში და ახლად დაარსებულ კოლმეურნეობას მიკედლებოდა. იამანიძის სახლში სკოლა გაეხსნათ. ბარდღას და მის მეუღლეს, რასაკვირველია, დიდი ხანია თქვენი ჭირი წაეღო, ნესტანი კი არც ახსოვდა ვისმეს; კაკლის ხე, რომელიც სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში გლახუკას, მასავით მოხუცებულიყო, ტანი დასქელებოდა, სამი ვაჟკაცი მკლავს ვერ შემოაწვდენდა. ნახევრამდე მიწაში ჩაფლული გრძელი ლოდი ფართო ფოთლებიან სუროს დაეფარა.

* * *

— ახლა, ამხანაგებო, გადავიდეთ მიმდინარე საკითხებზე, — გამოაცხადა თავმჯდომარემ; გლახუკას გული აუჩქროლდა და კაკლის ძირში, სკოლიდან გამოტანილ სკამებზე ჩამომსხდარ კოლმეურნეებს გადახედა.

— განცხადება გვაქვს განსახილველი, მდივანო, გააცანი კრებას...

ჭილოფისქუდიანი თავმჯდომარე იჯდა და ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი წამოდგა. ქალმა შუბლზე ჩამოცვენილი, შეკრეჭილი თმები უკან გადაივარცხნა, პატარა მაგიდიდან ქაღალდის ფურცელი აიღო და ხმამაღლა წაიკითხა:

სოფ. ზერეთის კოლმეურნეობას
განცხადება
ამავე სოფ. მცხოვრებ გლახუკი
მწყერაშვილისაგან.

მე საწუთრომ დამაშორა ჩემს სოფელს და ჩემთა სწორთა. ყოველი პირი ქვეყნისა მოვლიე, სრულად მოვიარე, ასრე რომე ცისა ქვეშე არ დამირჩა არ ვიარე. ახლა დავუბრუნდი ჩემს სოფელს, ვარ ხელობითა ხარაზი, ღარიბი, ყოვლად უსახსრო, ცარიელ სასიმინდეში ვბინადრობ, აწ გე...გე..."

ქალმა წაიბორძიკა და თავმჯდომარეს გადახედა:

„აწ გაეაჯებით მიმიღოთ თქვენს კოლმეურნეობაში".

— იმე!... წამოიძახა ვილაცამ.

„ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო —

ნათქვამია“, — განაგრძობდა კითხვას მდივანი, — „დამეხმარეთ და მეც შეგეწევით ჩემის მცირედის სამსახურით. გამცხადებელი გლახუკა მწყერაშვილი“.

— რას იტყვით, ამხანაგებო, — მიმართა კრებას ჭილოფისქუდიანმა თავმჯდომარემ, გამგეობის აზრით ამხანაგი გლახუკა უნდა მივიღოთ, მაგრამ საჭიროა საერთო კრებამ დაადასტუროს...

— რა უნდა ვთქვათ, ძმია... ბერიკაცია და, როგორც მუშახელი. მაინცდამაინც...

გლახუკამ სკამზე წამოიწია და შეხედა მოლაპარაკეს, ეს ვანო ღალაქი გახლდათ...

ჰმ... უყურე ამ გაკრეჭილ მოძღვარს!... — გაიფიქრა გლახუკამ, უნდოდა მკვახედ ეპასუხნა რამე ნამღვდელარისთვის, მაგრამ თავი შეიკავა — „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

— ქონება თუ აქვს, ქონება, — დაიძახა ვილაცამ უკანა რიგიდან.

— განცხადებაში არაფერია ნათქვამი და... თავმჯდომარემ გლახუკასკენ მოიხედა, — თვითონ თუ გვეტყვის რამეს.

მოხუცი ფეხზე წამოდგა. ღელავდა, მაგრამ ცდილობდა თავი დაეძლია.

— მე რა ქონება გამაჩნია, — აღელვებული ხმით თქვა მოხუცმა, — [illegible] დამტვრეული კალაპოტი, სადგისი და ჩაქუჩი ვის რად უნდა, ერთადერთი ძვირფასი ნივთი ესა მაქვს — მოხუცმა იღლიისკენ წაიღო ხელი, — თუ გამოგადგებათ — შემოვიტან კოლექტივში. შოთას უთქვამს — „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო“...

მოხუცმა თეთრი მეშის ნაჭერში გახვეული რაღაც ნივთი ამოიღო და თავმჯდომარეს გადასცა. მთელი კრება წამოიშალა და ყველა გაფაციცებით შეხყურებდა რა აღმოჩნდებოდა მეშის ნაჭერში.

თავმჯდომარემ ფრთხილად გაშალა შეხვეული და გაოცებულმა გახუნებულ ალისფერ ატლასის ყდაში ჩასმული სქელი წიგნი გადაფურცლა.

— „ვეფხისტყაოსანი“, წამოიძახა მასწავლებელმა ქალმა და სახე გაუბრწყინდა, — ძველებური „ვეფხისტყაოსანი“... — ხალხი აჟრიამულდა.

ოქმში ასე ჩასწერეს: „მიღებულ იქნას კოლმეურნეობის წევრად ამხ. გლახუკა მწყერაშვილი. მის მიერ კოლექტივის კულტფონდში შემოტანილი ხელნაწერი ძველებური „ვეფხისტყაოსანი“ გადაეცეს სამკითხველოს“.

და ქაჯთა სასძლოს სახსოვარი მინისკარებიან კარადაში ცალკე თაროზე მოათავსეს.

## კაცის ენა

— მადლობა მაინცა თქვი, ძმაო, ხმა ამოიღე, — უთხრა თეთრხალათიანმა ექიმმა ტაპაიას, — ტყუილად ვიშრომეთ? ერთი სიტყვა გაგვაგონე, ამ ქალებს გამოემშვიდობე, თორემ დაგემდურებიან.

ექიმის ახალგაზრდა თანაშემწეები და საავადმყოფოს სხვა მოსამსახურე ქალები ჯგუფად იდგნენ ტალანში, გაცინებული თვალებით, ინტერესით შესცქეროდნენ ბიჭს.

ტაპაიამ გაიღიმა ჩავარდნილი, მოკუმული ტუჩებით, როგორიც მხოლოდ მუნჯებს აქვთ ხოლმე; სახეგაწითლებული, ცოტახანს კიდევ ატრიალებდა ხელში ჭილის ფართო ქუდს, მერე ისევ უსიტყვოდ, მდაბლად დაუკრა თავი ექიმს და მთელ ამ, თეთრებში გამოწყობილ საზოგადოებას, განიერი ზურგი

უჩვენა მათ და ისე აჩქარებით გაიხურა კარი, რომ უთუოდ ეშინოდა უკან არ მიებრუნებინათ.

კარსუკან ხმამაღალი სიცილი მოესმა, მიხვდა — მასზე იცინოდნენ, მაგრამ არ გაჯავრებულა, ღიმილით დაიხურა თავზე ჭილის ქუდი, აჩქარებული ნაბიჯით, თითქმის სირბილით წავიდა.

მოულოდნელი სიხარულისაგან კაცს ზოგჯერ ენა წაერთმევა, ეს ყველამ იცის, მაგრამ ტაპაიას ახლა არ შეეფერებოდა ენის ჩავარდნა, რადგან... დალახვროს ეშმაკმა, მას სწორედ ის უხაროდა, რომ ენა ამოიდგა, დაილაპარაკა, და თუ სიხარულისაგან ისევ ჩაუვარდებოდა, რაღა გამოდის... თხა ვიყიდე, თხა გავყიდე??...

ტაპაიამ ჩაიცინა და უკან მიჰხედა გორაკზე ჩამომდგარ საავადმყოფოს თეთრ შენობას. დარდი ნუ აქვთ, ტაპაიას ახლა მტყუანი კაცის ყბედივით შეუძლია გრძლად ლაპარაკი.

სულ მოულოდნელად, უცნაურად და უეცრად მოხდა ყველაფერი. ამ ერთი კვირის წინ ტაპაიას ყელი ასტკივდა და საკოლმეურნეო კლინიკაში მივიდა. ექიმმა პირი გააღებინა, ენა გადმოაგდებინა, როგორც წესია. ჯერ ყელში ჩახედა, მაგრამ მერე რატომღაც ენით უფრო დაინტერესდა, კარგახანს აწვალა ორთავა კოვზით და მეორე დღეს ტაპაია მახლობელი დაბის საავადმყოფოში წაიყვანა.

თურმე ენა სულ ორიოდე ზედმეტი ძარღვით ჰქონდა დაბმული ტაპაიას, საკმარისი იყო მსუბუქი ოპერაცია, რათა მას თავისუფლად მეტყველება შესძლებოდა. მაგრამ პატრონი არ ჰყავდა და ბავშვობიდანვე მუნჯად ჩათვალეს. ოცდაათ წელს ისე გადასცდა, რომ თითონაც მუნჯი ეგონა თავი. სმენა კი კარგი ჰქონდა, ზოგიერთი ბგერების წარმოთქმას, რამდენიმე სიტყვის მიმსგავსებას ახერხებდა, მაგრამ საერთოდ მისი საუბრიდან მხოლოდ ერთი რამ ისმოდა:

— ტაპა, იაპა... ტაპაჰ... — დანარჩენს ხელებით მიუგახვედრებდა, ამიტომაც შეარქვეს ზედმეტ სახელად ტაპაია.

და აი, მუნჯი ტაპაია ერთი კვირის წინ ამეტყველდა. ოღონდ როცა გაიარა პირველმა, ბუნებრივმა და უსაზღვრო სიხარულმა და ტაპაიამ შენიშნა, თუ რა ცნობისმოყვარეობით შემორტყმიან მას დასტაქრები, მომვლელი ქალები, მომჯობინებული და საცვლების ამარა მოსეირნე ავადმყოფები, პირში შესცქერიან და ისე მოელიან ყოველ სიტყვას, როგორც ჩვილი ბავშვის „აღუს" — უეცრად შერცხვა.

უკვე შუახნის კაცი იყო, აქამდე თითონაც მუნჯად სთვლიდა თავს, სხვებიც მუნჯად იცნობდნენ და ახლა ენის „გატლეკა" ველარ მოახერხა. მაგრამ მოკუმა ჩავარდნილი ტუჩები და ამის შემდეგ იშვიათად თუ წამოაცდევინებდნენ რამეს. მხოლოდ იმ დასტაქარს, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა, ხათრს ვერ უტეხავდა და თუ მარტონი დარჩებოდნენ — მისგან სწავლობდა ძნელი ბგერების გამოთქმას, ვარჯიშობდა. სხვებთან კი სდუმდა, უკვე ხელებით საუბარიც ეუხერხულებოდა, აღარც ხმას იღებდა. და კიდევ კარგი, რომ დიდხანს არ დაუყოვნებიათ, მალე გამოსწერეს საავადმყოფოდან; წამოსვლის დროს მაინც გააწბილა ექიმი — მადლობაც ვერ ათქმევინეს.

ახლა მხიარულად მიჰყვებოდა შარას ტაპაია.

ადრე გაზაფხულის დღე იყო, როცა ჩრდილში და მზეზე სხვადასხვა სუნსა გრძნობ. ტაპაიას საავადმყოფოდან გამოჰყვა წამლებისა და ახლად დაუთოვებული თეთრეულის მძიმე სუნი, ამიტომაც სიამით ისუნთქავდა მცენარის წვენით შეზავებულ ჰაერს; ისეთი სურნელი იდგა ირგვლივ, თითქოს ყველა ხეზე საგანგებოდ ფოთლები დაესრისოთ.*

შარაგზის გასწვრივ, ქვევით, მწვანე ფერდობის ძირში მდინარე მიიკლაკნებოდა. სხვა დროს წყალმარჩხი ბუღე ახლა გაზაფხულის წვიმებით ადიდებულიყო, იქოჩრებოდა ლოდებზე, ეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქებოდა თხილნარ ნაპირებს და ყურთასმენა მიჰქონდა.

ტაპაიამ გალაღებული თვალებით გადახედა ქაფმორეულ ზვირთებს, ისეთ გუნებაზე იყო, თუნდ ტანგაუხდელი გაცურავდა ამ მღვრიე წყალში. ჭილის ქუდი კეფაზე მოიგდო დარდიმანდულად, ქამარი შემოიხსნა და მხარიღლივ გაიკეთა, რაც აგრეთვე დარდიმანდობის ნიშანი იყო, მერე დაღმართზე სირბილით დაეშვა მდინარის ნაპირისკენ, შლამის ნამქერებთან შესდგა და ცოტახანს ყურს უგდებდა წყლის გამალებულ შხუილს.

ჩქეფდა, ბუყბუყებდა, დრტვინავდა მოღონიერებული მდინარე, ქვებს მოაგორებდა, ზვირთებს ლოდებზე ამსხვრევდა, შლამიან ნაპირს ლოკავდა, გავსებული და გახალისებული ყიჟინით მიჰქროდა გორაკებშუა.

უსმენდა ტაპაია გაზაფხულის ამ აურზაურს და თანდათან თითონაც აბუტბუტდა თავისთვის, ალაპარაკდა, აყვირდა, ამღერდა...

რას არ ამბობდა, გაჰკიოდა, მდინარის ხმაურის დაფარვას ცდილობდა, უხაროდა, რომ წყალი გამაყრუებლად შხუოდა, ეს საშუალებას აძლევდა შეჩვეოდა საკუთარ ხმას. ყველაფერს გამოესაუბრა — გახელებულ მდინარეს, მშვიდ ზეცას, ზვირთისცემით დასველებულ თხილის ბუჩქებს, მოსილულ ღვინჭებს, წუილით აშლილ კოღოებს, ყველას, ყველას დაუძახა სახელი, რამდენჯერმე გაუმეორა, თითქოს მოუხედავდნენ და გასაცნობად ხელს ჩამოართმევდნენ.

ასე ქაქანით გაჰყვა წყლისპირა ბილიკს.

ერთგან, ძლიერ დაბლა, გზისპირა ხეების კენწეროებზე ბლანტი ფრენით გადაიარა მოწითალო ძერამ, მხრებგაშლილი დინჯად მოდიოდა, საცეკვაოდ გამოსულ თავმომწონე ბიჭივით. ტაპაიამ მაღლა ახედა, ორივე მკლავი აიქნია და შეჰკივლა:

— ჰაუ, ჰაუ, ძე-ერავ, ძერავ... ჰაუ...

ვინ იცის რამდენი კრუხ-წიწილი დაუწიოკებია ამ ძერას, იქნებ ეზ[illegible]რედ მაშინ დასცემია მეხივით, როცა დიასახლისი თავგამოდებით გაჰკიოდა, ძაღლი ყეფდა, ბავშვები ქვებს ესროდნენ, კრუხი ქოთქოთებდა, ქათმები კრიახობდნენ, მთელი დაბა ბანს აძლევდა, საფანტიანი თოფითაც იმუქრებოდა. მაგრამ ძერა მათ არ შეპუებია, მაინც გაუკრავს კლანჭი და თეთრი ბუმბული გაუბნევია ნიავზე.

ოღონდ ასეთი უცნაური ხმა, — ახლა რომ გზაზე მარტოდ მიმავალი კაცისგან მოესმინა, — დამფრთხალი ციცრისგანაც არ სმენია უთუოდ. ამიტომაც სწრაფად შეჰკრა კამარა, ფრთები მძლავრად მოუსვა და პირიც კი იბრუნა, სხვა მხარეს გაფრინდა.

ტაპაია ძლიერ კმაყოფილი დარჩა, რაკი ძერამ კაცად ჩააგდო.

— ასეა, ბიძია, — მიაძახა თვალმოჭუტულმა, ისევ მუნჯი ხომ არ გეგონე!... — და გზა განაგრძო.

მოსახვევთან მდინარე ღრმად შეჭრილიყო ფერდობში, მორევი ტრიალებდა და აქ წყალი დაწმენდილი, გამჭვირვალე იყო. მორევის სიღრმეში ტაპაიამ მურისფერი თევზები დაინახა, ბინდში ერთ ადგილას ლივლივებდნენ და წყნარად არხევდნენ კუდებს. ზევიდან ვერ შენიშნავდი წითელ ფიდაკს — თევზის ფერდებზე დაყრილ ხალებს, მაგრამ ტაპაია გამოცდილი მებადური იყო და მიხვდა, რომ ეს კალმახები უნდა ყოფილიყვნენ, წყლის ზედაპირზე თავბრუდამხვევად მოსრიალე მწერების გუნდს უდარაჯებდნენ უთუოდ. სხვა დროს ტაპაია ბადეს ინატრებდა, ან ტანთ გაიხდიდა, ყვინთვით მოსძებნიდა ქვებში ონჩხს — თევზის ბუნაგს და ხელით გამოათრევდა მიმალულ კალმახებს. ახლა ეს აზრადაც არ მოსვლია, მედიდურად გადადგა წყალზე და ჩასძახა ქვევით:

— ვაი, თქვე უბედურებო, ერთი თქვენი ხმა თუ გაუგონია ვინმეს?! პირში წყალი გვიდგას და რას ვიტყვითო? კი მარა მიწაზე რომ სულს ღაფავთ და მაინც ღრინტი ვერ დაგიძრავთ?..

ფართო ქუდის ჩრდილი ხელბადესა-

ეროვნული

ვით დაეცა წყალს, თევზებმა თითქო დაცინვით გაიქნიეს კუდები და ბინდბუნდში მიიმალნენ.

მდინარე ვრთგან გზას ეკვროდა და ბილიკიც იქ იკარგებოდა. ტაპაია ისევ შარაზე გავიდა, უკან მიიხედა და წამსვე ხმა გაკმინდა, მოშორებით მგზავრები მიდიოდნენ.

გაყუჩდა ტაპაია. თავისი ყმაწვილკაცობა ერთ გზაჯვარედინზე დადგმულ დუქანში გაატარა მან, ბახმაროზე მიმავალ ჩალვადარს, თუ ოზურგეთისკენ წასულ ურემს ამ დუქანთან უნდა გაევლო და სული მოეთქვა: ამიტომაც მთელი გურია იცნობდა ტაპაიას. შარვალი მუდამ მუხლამდე შემოფლეთილი ეცვა, ფეხი მარიობისთვეშიც ტალახში ჰქონდა ამოსვრილი, როცა ტალახს ლორიც წამლად ვერსად იშოვნის. კარებთან კი ჯორკოზე იჯდა დუქნის პატრონი ბესარიონი, ყალიონს აფლაკუნებდა და ცხვირწინ რომ დაგედგა დოქი — ხელს მაინც არ გაიწვდიდა:

— ტაპაია, ბიჭო, მომე წყალი ელანძე!

ჯარასავით ტრიალებდა ტაპაია, დუქანიც უნდა დაეხვეტა, ლობი მოეშუშებინა, თევზი კეცზე შეეწვა, ვარია — შამფურზე, დუქნის უკან ჩხავერისთვის წყალი შეერივნა და დუქნის წინ კაკლის ძირში მოქეიფეებისათვის ლიტრითა და ჭინჭილებით მიერთმია. დღეს ღამისგან ვერ არჩევდა. მოუცლელობისაგან ზოგჯერ დაცუცქული თუ დაისვენებდა ქუსლზე ჩამოჯდომით. მაინც მუდამ მხიარული იყო, ტანმკვრივი, როგორც ყველა მუნჯი, მუშტარს უსათუოდ გაუბამდა საუბარს ხელების ქნევითა და „ტაპა, ჰაპას“ ძახილით. მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა საოცნებო და სანატრელო — ყურიანი, წვეტიანი, რბილი წუღა-მესტი, რომლითაც ფეხები თითონ ცეკვავენ. ტაპაიამ ცეკვა იცოდა, რადგან სმენა ჰქონდა და ამით მუდამ აკვირვებდა ხალხს — მუნჯია და ცეკვავსო; მაგრამ უწუღოდ რა ფასი ექნებოდა თითის წვერებზე შედგომას, ვერ იქნა და ვერ ეღირსა ტაპაია შავი მეშის სრიალა უძიროებს, ასე მეგონა [illegible] სანამ...

ახლა ბესარიონი, მოგეცა ლხენა, თავისით წყალს დალევს კი არა, შაურისთვის ტრაპეზონს ფეხით გამოგყვება, ტაპაია კი კოლექტივში მუშაობს, წუღა-მესტიც აცვია და არის მისთვის პატიოსნად, მაგრამ...

მთელმა გურიამ იცის, რომ მუნჯი ხარ, გადაუდექი ახლა უცბად გზაზე მეზობელს და გამარჯვება უთხარი! ხომ მართლა გადაიწერა კაცმა პირჯვარი, დავიწყებული რომ არ ჰქონდეს პირჯვრისწერა...

მგზავრებმა ისე ჩაუარეს, რომ მათკენ არც მიუხედავს ტაპაიას. მაგრამ როცა ისინი მოსახვევში თვალს მიეფარნენ და უკანაც მომავალი არვინ ჩანდა, ტაპაია ისევ აბუტბუტდა, კვლავ გაუბა თავისთავს საუბარი.

კარგახანს იარა ასე, სანამ ისევ არ მოესმა ფეხის ხმა. მიიხედა და დაინახა, რომ ვიღაც უცნობი წამოსწეოდა. ჯერ გაჩუმდა და მაგრად მოკუმა თავის ჩავარდნილი ტუჩები, მაგრამ შემდეგ უეცრად სახე გაუნათლდა — ამ კაცთან ხომ თამამად შეეძლო ლაპარაკი: რა იცის მან, თუ მუნჯი ვიყავი. მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, დაკვირვებით შეათვალიერა. უცნობი ქალაქელი ჩანდა, თეთრი შარვალ-ხალათი ეცვა და მასაც ჭილის ქუდი ეხურა, მხოლოდ შავბაფთიანი და უფრო ვიწროფარფლებიანი, ისე რომ მარტო შუბლი და თვალები ქონდა ჩრდილში, ტაპაიას ფართო ქუდი კი პატრონის განიერ მხარბეჭსაც იცავდა მზისგან. მგზავრი თითონ მიესალმა ტაპაიას, გამოესაუბრა და აღმოჩნდა, რომ მართლაც თბილისელი იყო, მისი ძმა აგრონომად მსახურობდა თურმე მახლობელ სოფელში, ეს კი სტუმრად ჩამოსული, დაბიდან ფეხით მოდიოდა მუხლის გასამართავად.

ერთი კი იკითხა სტუმარმა — მოსავალს რა პირი უჩანსო, თუ როგორი ამინდები გაქვთო, ჩვეულებრივ რომ იკითხავენ ხოლმე... ნერწყვი გადაყლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პა ტაპაიამ, ღრმად შეისუნთქა ჰაერი და აქაქანდა. რა არ უთხრა, რას არ მოჰყვა, — ჩაის კრეფას როდის დაიწყებენ, სიმინდს როდის გამარგლავენ, რამდენ შრომადღეს გამოიმუშავებს ტაპაია, აღებული ფულით რას იყიდის, კრაველის ქუდი რა ფერისა მოსწონს, რომელია კარგი ჭონი იზურგეთში, მაინც რა ღირს კარგი ქუდი ბაზარზე, ერთი ამბიდან მეორეზე ხტებოდა, ძველსა და ახალს ერთმანეთში ურევდა, ენა ხშირად ებმებოდა, ბორძიკობდა, ზოგჯერ უცნაურ ხმებს გამოსცემდა, თითქო სლოკინი აუვარდა, ან ყივანა ხველა სჭირსო, მაგრამ არ ცხრებოდა; სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, სახეგაცინებული, წამოწითლებული, ხელების ქნევით მოჰყვებოდა ოდნავ გაოცებულ მგზავრს და დაუღალავად ქაქანებდა. ოცდაათი წლის სურვილს იოკებდა ტაპაია, თითონვე ტკბებოდა საკუთარი ხმის მოსმენით; ძალზე შეუყვარდა ეს კაცი, რომელმაც მისი საუბარი სრული სერიოზულობით მოისმინა და, მაშასადამე, ტაპაია მართლა ლაპარაკობდა, ნამდვილად ლაპარაკობდა, აქ სასაცილო არაფერი იყო.

ერთგან ავტომანქანის გუგუნი მოესმა და ტაპაია წამსვე გაჩუმდა — იქნებ ნაცნობები ისხდნენ მანქანაში. არც შემცდარა — საბარგო ავტო მეზობელი სოფლის ახალგაზრდებით იყო სავსე, მათ სიმღერითა და ყიჟინით ჩაიქროლეს, ტაპაიას უყვიროდნენ და ქუდების ქნევით ესალმებოდნენ. როგორც კი მიიმალა ავტო — ტაპაიამ ისევ აამოძრავა ოცდაათ წელიწადს უქმად ნამყოფი ენა. იმ სოფლამდე, სადაც თანამგზავრის აგრონომი ძმა მსახურობდა, კიდევ კარგა მანძილი დარჩა და ტაპაია თავს არხეინად გრძნობდა — გულს ცოტათი მაინც მოიოხებდა ერთი საათის განუწყვეტელი ლაპარაკით. ქალაქელი მორჩილად უგდებდა ყურს, მიაბიჯებდა შარაზე და ზოგჯერ ზრდილობისთვის თავს უკანტურებდა.

ასე მოლხენილი იყო ტაპაია, სანამ სოფლის განაპირას მდგარ ერთ დიდ მუხას მიუახლოვდებოდნენ; მაგრამ [illegible] კი უეცრად შესწყვიტა საუბარი, ხელები დაუშვა, პირი მოკუმა და სახეზე ისეთი უკმაყოფილება დაეტყო, თითქო გზაზე კატას გადაერბინოს — მოსახვევში, დიდი მუხის ქვეშ, მედუქნე ბესარიონი ჩამომჯდარიყო ქვაზე და ყალიონს აფლაკუნებდა.

თავზე რუხი ლანზლის ყაბალახი ეხურა ბესარიონს, თამბაქოს ბოლით შეყვითლებული, ჭაღარა წვერ-ულვაში მთელ სახეს უფარავდა, ჩაფიქრებული გასცქეროდა შარაზე მომავალ მგზავრებს.

ტაპაიამ თავი ჩაღუნა და მხოლოდ მაშინ აიხედა, როცა ბესარიონი ხმამაღლა მიესალმა მიახლოვებულებს:

— გამარჯვება თქვენი, ყმაწვილებო. როგორ ხარ ქეიფზე, ტაპაია, შე უბედურო...

ტაპაიამ გულუბრყვილო ღიმილით უპასუხა, გულში კი მზაკვრულად გაიფიქრა:

„უბედური შენა ხარ, ქოფაკო“...

ბესარიონი ხვნეშით წამოდგა ქვიდან და მგზავრებს გამოჰყვა.

— მეც აქეთკენ მაქვს გზა. პაწა მუხლი შევასვენე. თქვენ სით მიბრძანდებით? — შეეკითხა ბესარიონი თეთრებში გამოწყობილ ქალაქელს. მან დაუსახელა სოფელი.

— კეთილი და პატიოსანი. მთავრობის კაცი ბრძანდებით დასტურ...

— არა, აქ სტუმრად ვარ ჩამოსული და ისე... — ორაზროვნად უპასუხა აგრონომის ძმამ, უთუოდ ესიამოვნა, რომ მნიშვნელოვან პირად მიიჩნიეს.

— ჰოო, — ვითომ რამეს მიხვდა ბესარიონი, თავმდაბლობად ჩასთვალა, თანამგზავრის ნათქვამი და ერთხელ კიდევ გულდასმით შეათვალიერა, რათა თავის ეჭვში დარწმუნებულიყო, — ეჰეჰე... — განაგრძო მან, — ერთი ჩემი მშველელი არავინ გამოჩნდა და რა ვქნა...

— რამ შეგაწუხათ, რა ამბავია, — უკვე საქმიანად, მფარველის კილოთი

ჰკითხა ქალაქელმა და შავბაფთიანი ქუდი შეისწორა.

— რაღა რამ შემაწუხა... — შეგულიანდა ბესარიონი, ყალიონი სწრაფად გამობერტყა ხელისგულზე, ქამარში გაირჭო და თანამგზავრს გვერდით ამოუდგა, — ერთი დუქანი მქონდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, — ჩამომართვეს, იმ დუქნის უკან ეზო იყო, ცოტა სიმინდს მოიყვანდა კაცი და — ახლა ისიც მიაყოლეს, საკარმიდამო მიწა სახლთან გაქვს, მეტი აღარ გეკუთვნისო. რას მერჩიან, ბატონო, მედუქნე თუ ვიყავი, სხვებსავით კი არ ვატყუებდი ხალხს. აბა, მაშინ კოოპერატივი სად იყო, გზაზე მიმავალ კაცს დასვენება არ უნდოდა, ვახშამი არ სჭირდებოდა? მერე, მე შენ გეტყვი, წყლიან ღვინოს მივართმევდი, ან ძველ მჭადს...

„იმდენი კბილი მოგძვრა“, — გაიფიქრა ტაპაიამ.

— აბა, მე არ მოგიკვდე, — განაგრძობდა ბესარიონი, — ჩემისთანა ჩხავერი, მტრედიფეხა და ალადასტური მთელ გურიაში არ მოიძებნებოდა; ახლა რა სულგუნი, კეცსა და კეცშუა შემწვარი წიწილები, ისრიმში ჩაწყობილი. ვაი, საყვარელო, რა დრო იყო... — ამოიოხრა ბესარიონმა და უცბად შეჩქვიფინდა, სწრაფად დაუმატა, — ახლაც კაი დროა...

— სულგუნი და წიწილები ახლაც ბევრია, მარა რაღაი, მე კაცად არავინ მთვლის და... უწინ — „ბატონო ბესარიონ, როგორ გიკითხოთო“, წელან მეზობელი შემხვდა და „ბესოს სიცოცხლე!“... „ვინაა, ყაზილარო შენი ბესო?“ ხვალ „ბესიეს“ დამიძახებს ვინმე, ბერიკაცი რომ არ ვიყვე, ალბათ „ბესიკელასაც“ მკადრებენ. სანამ დუქანი მქონდა, სიკეთის მეტი ვის რა ახსოვს ჩემგან. აგერ, ტაპაია მაინც მყავს მოწმედ, ჩემთან გაიზარდა, უენო ვის რად გამოადგებოდა, მარა ჩემი კეთილი გულის ამბავი ქვეყანამ იცის. სწავლა რომ შესძლებოდა, იცოცხლე, კაცად გამოვიყვანდი. რა მექნა, დავსვი დუქანში, ხოლ-მე მაგას არაფერი შეეძლო და იჯდა თავისთვის, ჭამდა და სვამდა, მარტო წუღა, ბატონო, მარტო მაგის წუღა-მესტის საფასური ერთ ოჯახს ააშენებდა, ყოველ თვეში უცვლიდი...

ეს კი მეტისმეტი იყო. წუღა კი არა, ბესარიონისგან ქალამანი არ ახსოვდა ტაპაიას, ყმაწვილკაცობა წუღა-მესტზე ოცნებაში გაატარა მან იმ დაწყევლილ გზაჯვარედინზე, უნამუსოდ ცრუობდა ეს ბერიკაცი.

— ასე არ იყო, ბიჭო? — მოუბრუნდა ბესარიონი, — რა ჩემდა საუბედუროდ ხარ მუნჯი, იქნება ვინმემ თქვას, მოჯამაგირედ ყავდა და ტყავს აძრობდაო, ხომ იცი რას არ იტყვის კაცის ენა...

ტაპაიამ ბრაზით შეანათა თვალები, თავს ძლივს იკავებდა, მაგრამ ბესარიონი აინუნშიც არ იყო:

— ხომ ყოველ თვეში გიცვლიდი წუღა-მესტს?.. — ჩააცივდა საკუთარი ტყუილით გატაცებული, — არ გახსოვს კვირადღეს რომ მოგიტანდი ყურიანს, თეთრი მეშის კანტით მოვლებულს? ხმა ამოიღე, ბიჭო, თავი მაინც დაიქნიე შე უბედურო, თორემ რას არ იტყვის კაცის ენა...

— მართლაც და, რას არ იტყვის კაცის ენა, — იყვირა უეცრად ტაპაიამ. — შე ბერძალლო, სულ ფეხშიშველი დავტანტალებდი და რა წუღა-მესტიო, ხომ არ გადარეულხარ...

ბესარიონმა თვალები დააჭყიტა და სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

— ჯამაგირსაც არ მაძლევდი... — გაცოფებული ყვიროდა ტაპაია და ისე მიიწევდა მედუქნისკენ, რომ აგრონომის ძმა შუაში ჩაუდგათ მშვიდობის ალსადგენად, — საქმე არ შეგეძლოვო... მე საქმეს არ ვაკეთებდი?... მე... აბა... მე, აბა...

და აქ ისე აღელდა ტაპაია წარსულის მოგონებითა და ამ უსამართლობით, ისე ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონაც დაიბნა, სიტყვა ველარ იპოვნა, ჩვეულების მიხედვით გაასავსავა ხელები ჰაერში და ხრინწიანი ხმით, მაგრამ ძლიერ დამაჯერებლად, ძველებურად, მისებურად შეჰკივლა:

— ტაპ, ტაპაა... ტაპა... ტაპა, ტაპა...

ბესარიონი კი იდგა სახტად დარჩენილი, პირჯვრის გადაწერაც ველარ მოეხერხებია.

## ორიოდე სიტყვა ამ მოთხრობების ავტორზე

ვინც ორმოციანი წლების დამდეგს, დიდი სამამულო ომის წინ, მწერალთა კავშირში ერთხელ მაინც ყოფილა და მაშინდელ გაცოცხლებულ ლიტერატურულ პაექრობაში სულ მცირედი მონაწილეობა მაინც მიუღია, უთუოდ ეხსომება კოტე ხიმშიაშვილი, დარბაისელი, დაკვირვებული, ზრდილი და თავშეკავებული ახალგაზრდა კაცი, რომლის მიმართაც არ შეიძლებოდა უაღრესი პატივისცემით არ აღვსილიყავი და მისი ყოველი სიტყვა, ასე იშვიათად რომ წარმოთქვამდა ხოლმე, გულზე არ აღბეჭდილიყო.

ჩვენ, მე და ჩემი თანატოლები, უმცროსები ვიყავით, სამწერლო ასპარეზზე მოგვიანებით, დიდი სამამულო ომის შემდეგ და კიდევ უფრო გვიან გამოვედით და კოტე ხიმშიაშვილსა და მის ამხანაგებს ჩვენს უშუალო წინამორბედებად ვთვლიდით და თითოეულისადმი ისეთივე კრძალვით ვიყავით განმსჭვალული, როგორც მათი წინამორბედების მიმართ.

და ვინ იყვნენ ეს წინამორბედები? კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი...

ყველა ეს სახელმოხვეჭილი მწერალი თავისი შემოქმედებითი მუშაობის ცის თავანზე იყო, როდესაც ახალგაზრდა მწერლების ჟურნალ „ჩვენი თაობის" ფურცლებზე კოტე ხიმშიაშვილის პატარ-პატარა მოთხრობები და პირველი რომანი „ჯონქა ხორნაული" გამოჩნდა.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, რა დიდი მოვლენა იყო ეს ჩვენთვის და საერთოდ ქართული ლიტერატურისათვის, რა ხარბად და ინტერესით დავეწაფეთ ბელეტრისტიკაში ახლად ფეხადგმული მწერლის ნაწარმოებს. რომანები, ისიც ახალგაზრდა მწერლის ხელით დაწერილი, მაშინ არცთუ ისე ბევრი ქვეყნდებოდა, როგორც ახლა. მძაფრი ლიტერატურული ატმოსფერო საკუთარი თავისადმი უდიდეს მომთხოვნელობას უკარნახებდა ყველას და ეს მომთხოვნელობა უფრო კი უკიდურესობამდე მისი მიყვანა, არცთუ იშვიათად შემოქმედებით სიბერწესა და უნაყოფობაში გადადიოდა. ზოგი მწერალი ახლაც გამომდგარა და იკვეხნის, შემომხედეთ, რა ცოტას ვწერო, იმას კი აღარ გვეუბნება, თუ რას და როგორ წერს. მწერალი იმის მწერალია, რომ უნდა წერდეს, ეს მისი სულის გარდაუვალი მოთხოვნილება და სიცოცხლის აზრი უნდა იყოს.

კოტე ხიმშიაშვილმა პირველი მოთხრობების გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველი საზოგადოებისა და მწერლობის ყურადღება, ის ერთბაშად რჩეულთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ ამ გარემოებას როდი გაუმაყებია, თვალი როდი აუჭრელებია, პირიქით, შინაგანი მომთხოვნელობა, რწმენა და ასაკთან თითქმის შეუფერებელი სიდინჯე შემატა.

კოტე ხომ სულ ახალგაზრდა კაცი იყო, როდესაც დაიღუპა, დაიღუპა და თან წაიღო ვინ იცის რამდენი კეთილშობილური ჩანაფიქრი, წრფელი განცდა, სამშობლოს სამსახურის დაუცხრომელი წყურვილი!...

მე პირადად არ ვიცნობდი კოტე ხიმშიაშვილს. თუმცა მწერლის და, ამჟამად ცნობილი საბავშვო მწერალი დოდო ვადაჭკორია, ჩემთან ერთად სწავლობდა საშუალო სკოლაში და ყოველთვის შემეძლო, მის სახელოვან ძმას დაუბრკოლებლივ პირისპირ შევხვედროდი, მაგრამ ეს არც მაშინ და არც შემდეგ არ გამიბედავს. ასე მეგონა, გამაქრობდა კოტეს ერთი შემოხედვაც კი. ახლა მიჭირს დანამდვილებით ვთქვა, მართლა არ ვიყავი მზად მასთან სასაუბროდ, თუ უკან ზედმეტი მოკრძალება მხევდა და საკუთარ შესაძლებლობებში ზედმეტად მაეჭვებდა.

დღეს, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ჩვენგან ნაადრევად წასული მწერლის გამოუქვეყნებელ მოთხრობებს ვთავაზობთ საუკუნის ოთხმოციანი წლების მკითხველს, მე კი ავტორის წარსადგენად ამ მცირე ბოლოთქმის დაწერა მიწდება. ამით თითქოს არარაობიდან გამოვიხმობ კოტეს გარეგნულად მშვიდ, შინაგანი ტემპერამენტით განათებულ სახეს და მის წინაშე თავს მდაბლად დავხრი.

რევაზ ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# ცისფერი ცეცხლი

## დოკუმენტური მოთხრობა

აი პალატაც. კარი ღიაა. ექიმი შეჩერდა. შეჩერდა შოთაც.

— აგერ ის!

ექიმმა მიუთითა ფანჯარასთან მდგარ საწოლზე, ქათქათა ზეწარი რომ ეფარა დაჭრილს. ქალს თავი შეხვეული ჰქონდა, მხოლოდ პირისახე მოუჩანდა... პირისახე ნაცნობი, ახლობელი, მშობლიური...

— დედა!

შოთამ მუხლების სიძაბუნე იგრძნო. წამით კედელს მიეყრდნო, მერე უცებ მოწყდა ადგილს და პალატაში შევარდა.

ვალია მერკვილაძე გაუნძრევლად იწვა. სიცოცხლის ნიშატდაბრუნებული, მაგრამ ფერმკრთალი და ტკივილებისაგან დატანჯული .იწვა და არ კვნესოდა. როცა შოთა თავზე წამოადგა, მიმქრალი თვალები წამოენთო.

— შვილო! — მღელვარედ წაიჩურჩულა ვალიამ.

შოთა დაიხარა და ცრემლით სავსე თვალები დაუკოცნა, მერე შუბლზე ეამბორა.

— როგორ ხარ, დედა, როგორ?

— ახლა რა მიჭირს, შვილო... — ტუჩებს ძლივს ამოძრავებდა ქალი, -- შენ აქ როგორ გაჩნდი? შვილო, მონახე ის მფრინავი, ვინც აქ გადმომაფრინა... მადლობა მაინც უთხარი... დიდი მადლობა.

შოთამ თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და მთრთოლვარე ხმით მიუგო დედას:

— ეს მე ვიყავი, დედა... მე ჩამოგიყვანე!

ვალია ისე აღელდა, თვალები მოხუჭა და შოთამ დაინახა, ტუჩები როგორ აუთრთოლდა რაღაცის სათქმელად.

— გთხოვთ! — ექიმმა ხელი მოკიდა შოთას და დედის საწოლს მოაშორა. აღელვებული ჭაბუკი კარს მიუახლოვდა და უცებ შეტრიალდა პალატისაკენ. დაჭრილთა ცნობისმოყვარე სახეები მხოლოდ ახლა შენიშნა.

— კარგად იყავით! — თქვა და დერეფანში გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ცირას აღელვებული უყვებოდა დედასთან შეხვედრის ამბავს.

ცირა თვალზე მომდგარ ცრემლს მალიმალ იწმენდდა. შოთა დაამშვიდა და აღუთქვა, რომ იმავ საღამოდან დედის

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწოლს არ მოშორდებოდა, სითბოსა და ყურადღებას არ მოაკლებდა. მერე ერთი კიდევ წამოიტირა, როცა შოთამ ჯემალი გადაკოცნა, ცირა განშორების ჟამს გულში ჩაიკრა და გასწია აეროდრომისაკენ, სადაც თვითმფრინავი ელოდა.

...შებინდებისას პოლკოვნიკი ვორობიოვი ღიმილით შეეგება თბილისიდან დაბრუნებულ მერკვილაძეს. პატაკის თქმა არც კი აცალა, ჰკითხა:

— როგორ არის დედა?

— თქვენ იცოდით, ამხანაგო პოლკოვნიკო?

— ვიცოდი, ძვირფასო, ვიცოდი... და იმიტომაც შეგარჩიე შენ... როგორ არის დედა?

— გმადლობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო. დედას ოპერაცია გაუკეთეს და ახლა უკეთ არის.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა წადი და დაისვენე!

ბლინდაჟიდან გამოსულმა შოთამ ცას ახედა. აეროდრომზე სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. ეს დუმილი იყო ღრმა და იდუმალი. ღამითაც არ ეძინა ცას — მოჭედილი ვარსკვლავებით ციცხლობდა და ციმციმებდა.

ავიაპოლკის მეთაური მორიგ ამოცანას უსახავდა მფრინავებს, როცა ბლინდაჟში რადისტი კუპრიანოვი გამოჩნდა და პოლკოვნიკს მოახსენა:

— სამიათასი მეტრის სიმაღლეზე იმყოფება მესერშმიტი. ჩვენს მფრინავს ერთი ერთზე იწვევს.

— დალახვროს ეშმაკმა! — იყვირა პოლკოვნიკმა, — რამდენჯერ გითხარით, ასეთ რამეს ნუ მომახსენებთ-მეთქი! ეს ხომ პროვოკაციაა! წადით თქვენს ადგილზე...

მფრინავებისათვის გასაგები იყო პოლკოვნიკის აღშფოთების მიზეზი. გერმანელები მართლაც ხშირად მიმართავდნენ ასეთ პროვოკაციას, იწვევდნენ საბჭოთა მფრინავებს საბრძოლველად, ერთი ერთზე, წყვილ-წყვილად, ჯგუფურად... და როცა ჩვენი თვითმფრინავები ცაში ადიოდნენ, გერმანელები იმალებოდნენ. იყო შემთხვევები, როცა ასეთი შერკინება ხდებოდა.

ახლა ეს შემთხვევები გაახსენდა შოთა მერკვილაძეს და ბრძოლის ჟინმა ისე მოუარა, იმ თავხედ მფრინავთან შეხვედრის სალერღელი აეშალა. ალბათ ახლა შორიშორ უვლის გუმრაკის აეროდრომს, ცაში თავისუფლად დანავარდობს და ელოდება, აბა, თუ ვინმე გაბედავს და ბრძოლას გამიმართავსო. თავხედს ჭკუა უნდა ასწავლო. იქნებ სულაც არ არის პროვოკაცია? თუნდაც ასე იყოს, რა დაშავდება ერთი ცაში განავარდებით?

შოთას ისე მოეძალა ბრძოლის ჟინი, ველარ მოითმინა და პოლკოვნიკს შებედა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება მომეცით შევხვდე გერმანელ მფრინავს!..

პოლკოვნიკს გაოცებისაგან, ამასთან გაბრაზებითაც, ლამის თვალები გადმოუცვივდა:

— შენ რა, ყრუ ხარ? — შეუღრინა მერკვილაძეს.

მერკვილაძე ფეხზე იდგა და გაბედულად უყურებდა პოლკის მეთაურს:

— კარგად მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— რა ვუთხარი რადისტს, შენთვის გასაგები არ იყო?

— იქნებ არ არის პროვოკაცია? მტერს უნდა ვაფიქრებინოთ, რომ ლაჩრები ვართ?

პოლკოვნიკი ჩაცხრა, მდუმარედ მიაჩერდა სახეწამოგზნებულ ჭაბუკს.

„იქნებ მართლაც არ არის პროვოკაცია? ის კი დაგვტრიალებს სამიათას მეტრზე... შევშინდით?„ — ფიქრობდა პოლკოვნიკი. სანამ იგი რამეს იტყოდა, საქმეში მერკვილაძის ესკადრილიის მეთაური კაპიტანი შევცოვი ჩაერია.

— ჩემი პრაქტიკიდან ვიცი...

— რა იცით? — ველარ მოითმინა აღელვებულმა პოლკოვნიკმა. ეტყობა

ეროვნული

თავისი ხანმოკლე ფიქრიდან ვერავითარი დასკვნა ვერ გააკეთა.

— ის აქ არის, თავზე დაგვტრიალებს სამიათას მეტრზე, — თქვა შევცოვმა და ბლინდაჟის მორებითა და ფიცრებით გადახურულ ჭერს შეხედა.

— ეს რა ხალხია! — ხელები გაშალა პოლკოვნიკმა, — თქვენ ვერ შეგაკავებთ ვერაფერი. წადი, მერკვილაძე!.. მაგრამ იცოდე... — ვორობიოვი შეყოვნდა, მიიხედ-მოიხედა და ხელი სწრაფად ჩაიქნია, — არაფერი... წადი!

კაპიტანი შევცოვი ფეხდაფეხ აედევნა ბლინდაჟიდან გავარდნილ მერკვილაძეს. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ შოთა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა საფარისაკენ, სადაც მისი შენიღბული თვითმფრინავი იდგა. სულ რამდენიმე წამში გადააძრო შალითა და თვითმფრინავის კაბინაში გაჩნდა. ასაფრენ ბილიკს რომ გაუსწორდა, ერთბაშად აიღო სიჩქარე და ძრავის გაბმული გუგუნით აიჭრა ცაში.

სამი ათასი! სამი ათასი!

უცებ ილებდა სიმაღლეს. ასი თვალი და ასი ყური გამოისხა, უცებ არ წამოჰპარვოდა ცის ყაჩაღი.

შლემაფონში მოესმა კაპიტან შევცოვის ხმა:

— რა ამბავია, მერკვილაძე?

— არაფერი ჩანს... ველოდები.

— ელოდე ზღვისპირას ამინდს!

შევცოვისაგან კი ამის თქმას არ მოელოდა. თითქოს მხარი დაუჭირა, ალბათ მერე ინანა და ახლა უკვე სჯერა, რომ ამჯერად ფაშისტი სხვა პროვოკაციაზე წავიდა, საბჭოთა თვითმფრინავი გამოიხმო, თვითონ კი დაუყოვნებლივ მოუსვა, თავის აეროდრომზე დაეშვა და მფრინავ ძმაბიჭებში ხელების ფშვნეტით წაიტრაბახა, როგორ გააცურა საბჭოთა მფრინავი.

მერკვილაძე სიმაღლეს არ იცვლიდა. სამიათასი მეტრის სიმაღლეზე გარშემო უვლიდა გურმაკის აეროდრომს. შოთამ წარმოიდგინა, რომ მისი აფრენის ათი წუთის შემდეგ, როგორ გაცხარდებოდა პოლკოვნიკი [illegible] ახლა იგი აეროდრომზე დგას მფრინავებთან ერთად და გაცოფებულია. მაგრამ შლემაფონში რომ არ ისმის თვითმფრინავის დაჯდომის ბრძანება! საერთოდ, დუმს შლემაფონი.

ბრძოლის ზოგადი გეგმა მფრინავს ჯერ კიდევ აფრენამდე აქვს დასახული, შემუშავებული და გაანგარიშებული. მან იცის, რომ კრიტიკულ მომენტში ხშირად წამიც წყვეტს გამარჯვების ბედს, თუკი შეძლო მფრინავმა და დაძაბულ წუთებში გამოიჩინა გეგმაზომიერი სიდინჯე და გულგრილობა... ბრძოლის დროს თავდაყირა დგება წინასწარ დასახული გეგმა და ახლა ყველაფერი დამოკიდებულია რისკზე, გამბედაობაზე, თავგანწირვაზე...

შოთას არაერთხელ გამოუჩენია რისკი, გაბედულიც ყოფილა და თავგანწირვითაც ჰკვეთებია მტერს.

მაგრამ ახლა არა ჩანს მოწინააღმდეგე. თავის თავზე მოუვიდა ბრაზი, ზოგჯერ რა აჩქარებული ვარო. ვერ დაველიე ჩემს ქერქში?

შოთამ გვერდით შეაბრუნა მანქანა, მზის სხივებისკენ ცერად წაიყვანა და უცებ შენიშნა „იაკისაკენ" სწრაფად მომავალი „მესერი". ის ერთი იყო ერთის წინააღმდეგ.

თვითმფრინავები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. „მესერშმიტმა" სცადა „იაკზე" მაღლა აწეულიყო, რომ ზემოდან დასცხრომოდა, მაგრამ ველარ მოასწრო. „იაკმა" ცეცხლი გახსნა. ცეცხლითვე უპასუხა „მესერშმიტმა". აიჭრებოდნენ მაღლა, ერთმანეთს შორიშორ გაუქროლებდნენ ძრავების ღრიალით, დაეშვებოდნენ დაბლა და უმალ ისევ ტყვიამფრქვევების ცეცხლით ეკვეთებოდნენ. ასეთი სწრაფი მანევრირების დროს ძნელი იყო მოწინააღმდეგის მანქანის სამიზნეში მოქცევა. ამასთან, ჩანდა, გერმანელი მფრინავი ეშმაკი და მოხერხებული იყო. თვითმფრინავს ისე ოსტატურად ატრიალებდა, ისე თავისუფლად და ლაღად დანავარ-

დობდა, თითქოს პარადზეა და თავისი უმაღლესი პილოტაჟით მაყურებლები უნდა მოხიბლოსო.

ცაში ორნი იყვნენ. მხოლოდ ორნი, როგორც საჭიდაო ხალიჩაზე ორი მამაცი ფალავანი.

ვინ ვის?

და უცებ, ვირაჟის დროს, ეტყობა გერმანელს ველარ ეყო სწრაფი მანევრირების უნარი, შოთამ უცებ მოაქცია იგი სამიზნეში და საკმარისი იყო ტყვიამფრქვევის ერთი მოკლე ჯერი, „მესერშმიტს“ ცეცხლი გაუჩნდა. მხოლოდ მაშინ იგრძნო შოთამ უზომო მოქანცულობა.

„მესერშმიტმა“ წონასწორობა დაკარგა, იგი თანდათან კარგავდა სიმაღლეს და ცერად ეშვებოდა მიწისკენ, თან მიჰქონდა კვამლის გრძელი და შავი კუდი.

სხვა აღარაფერი დაუნახავს მერკვილაძეს, მანქანა მკვეთრად შეაბრუნა და გუმრაკის აეროდრომზე დაუშვა.

თვითმფრინავი რომ გაჩერდა და მოტორი დადუმდა, ყურებში მაინც ჩაესმოდა განუწყვეტელი გუგუნი. იგი კაბინაში იჯდა, თვალებდახუჭულს თავი უკან გადაეწია და წამოწევას არც კი ფიქრობდა. ისეთი შვება იგრძნო, ისეთი განცხრომა და სულიერი სიმშვიდე, ასე კარგად მამაპაპურ ტახტზე წამოგორებულიც ვერ მოისვენებდა.

„უნდა მოვახსენო: მტრის სვავი ჩამოგდებულია! მოითმენენ! ყველაფერსაც მოითმენენ. ოღონდ მაცალონ, ცოტა ხანს ასე ვიყო, ასე, ჩემს თავთან და ჩემს ყოჩაღ მანქანასთან ერთად მარტოდმარტო“.

ვიღაც მუშტებს უშენდა კაბინის შუშის სახურავს.

შოთამ თვალები აახილა და დაინახა კაპიტან შევცოვის შეშფოთებული სახე. მაგრამ მან როგორც კი შენიშნა შოთას ღია თვალები, პირი უმალ იბრუნა და დაიყვირა:

— ცოცხალია, ცოცხალი!

შოთამ ხელები შემართა, შუშის სახურავი გასწია და წამოდგა. ფრთიდან რომ გადახტა, პირველად პოლკოვნიკი შემოეგება.

— ამხანაგო პოლკოვნიკო... — დაიწყო მერკვილაძემ. მაგრამ პოლკოვნიკმა ღიმილით გაშალა ხელები.

— არ გინდა... ყველაფერი დავინახეთ... ახლა იმ შენს მფრინავს ბიჭები მოიყვანენ. პარაშუტით დაეშვა. ხომ უნდა ვნახოთ ვინ არის. ყოჩაღ, ვერაფერს იტყვი! — პოლკოვნიკი მოეხვია და გადაკოცნა.

მერე თანამებრძოლებიც შემოეხვივნენ. მხიარული სჯა-ბაასი ბლინდაჟში განაგრძეს, სადაც მერკვილაძე თავის საწოლზე გაუხდელად მიეგდო. ისეთი დაღლილი იყო, ისეთი მოქანცული, თითქოს ცაში თვითმფრინავით კი არა, ფეხით დასდევდა ფაშისტ სვავს.

ბლინდაჟში პოლკის შტაბის მეკავშირე შემოვარდა.

— უფროსი ლეიტენანტი მერკვილაძე პოლკის მეთაურთან!

მერკვილაძე მაშინვე წამოხტა. ქამარი შემოირტყა, პორტუპეი გაისწორა და ბლინდაჟიდან გავარდა. წეღან ასე ეგონა, საწოლიდან წელს ვერ აითრევდა. ახლა მხნედ მირბოდა პოლკის შტაბის მიწურისაკენ.

...გერმანელი ფაშისტის შესაპყრობად გაგზავნილი ათეული მალე დაბრუნდა. ტყვე მაღალი, ხმელი, ცისფერთვალება და ქერათმიანი იყო. მოაბიჯებდა გოროზად, ამაყად და როცა მან აეროდრომზე შემოდგა ფეხი, აქეთიქით ისე იხედებოდა, თითქოს საკუთარ სამხედრო ბაზაზე მოვიდაო.

იგი პოლკის მეთაურს წარუდგინეს. პოლკოვნიკმა ვორობიოვმა შეათვალიერა თავაწეული და კუშტად მზირალი მფრინავი და ბრძანა რადისტი მომიყვანეთო. ეს ის რადისტი იყო, რომელმაც ჩინებულად იცოდა გერმანული და ზოგჯერ თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა.

რადისტი ფიცხლად გამოეცხადა პოლკის მეთაურს.

— უთხარი, დაჯდეს! — უბრძანა ვორობიოვმა. რადისტმა მფრინავს ტაბურეტზე მიუთითა.

მფრინავი არ დაჯდა.

ვორობიოვი ფიცრულ მაგიდასთან ჩამოჯდა. მფრინავს თვალს არ აშორებდა. იგი კი მიწურში მყოფთ დაკვირვებით ათვალიერებდა, სათითაოდ დაჟინებით უყურებდა.

— ვის ეძებს, ჰკითხეთ! — ბრძანა პოლკოვნიკმა.

რადისტმა ტყვეს ჰკითხა.

გერმანელმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა.

რადისტი პოლკოვნიკს მიუბრუნდა.

— ეძებს მფრინავს, რომელმაც ჩამოაგდო.

პოლკოვნიკს გაეცინა.

— სახეზე სცნობს? ჰკითხეთ გვარი, სახელი, სამხედრო წოდება...

რადისტმა ტყვეს პოლკოვნიკის შეკითხვა უთარგმნა. მფრინავმა ორიოდე სიტყვა თქვა, გოროზად, მკაცრად, თავი არ დაუხრია.

— არც ერთ კითხვაზე არ გიპასუხებთ, სანამ იმ მფრინავს არ მაჩვენებთ, რომელმაც ჩამომაგდოო.

პოლკოვნიკი ვორობიოვი მაშინვე მოცოცხლდა, მხიარულად დაიძახა:

— გამოიძახეთ მერკვილაძე! მათ შეხვედრას აქაც გავუკეთოთ სათანადო ორგანიზაცია! — მერე რადისტს მიმართა, — გადაეცი, რომ ის მფრინავი მალე აქ იქნება. ეგ კი დაჯდეს. დგას ისე, როგორც ყვავი!..

მფრინავი მაინც არ დაჯდა. ასე იდგა იმ დრომდე, ვიდრე ბლინდაჟში არ შემოვარდა მერკვილაძე.

— ამხანაგო პოლკოვნიკო...

ვორობიოვმა ხელით ანიშნა, პატაკი არ არის საჭიროო.

მერკვილაძემ უცებ თვალი თვალში გაუსწორა ახმახ გერმანელს, რომელიც დაჟინებით უყურებდა და რაღაცა ჩაიბურტყუნა,

— ეს არისო? — თარგმნა რადისტმა.

მერკვილაძეს გაეღიმა. რადისტმა გერმანელს გადასცა, რომ სწორედ ეს ჩვენი მფრინავი გახლავთ, რომელმაც თქვენ ჩამოგაგდოთო.

გერმანელი მხოლოდ მაშინ დაეშვა ტაბურეტზე, ხელი ჩაიქნია და მხრები აიჩეჩა.

— ეს ბავშვი მომერია? — სიტყვა-სიტყვით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თარგმნა რადისტმა აწ უკვე მკვეთრად ნათქვამი სიტყვები გერმანელისა, — მე დამსახურებულ კაცს, გერმანიის ავიაციის პოლკოვნიკს, რკინის ჯვრის ორგზის კავალერს, რომელმაც მთელი ევროპა ბრძოლით მოვიარე და ჩემს თვითმფრინავს აქამდე ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა, ამ ძუძუმწოვარამ როგორ მაჯობა!

მერკვილაძე წამოენთო, რადისტს შეუღრინა!

— შენ მაგ ძიას გადაეცი, მადლობელი იყავი შუბლში რომ არ გთხლიშეთქო!

— დამშვიდდით, მერკვილაძე, — უთხრა ვორობიოვმა, ხუმრობით, — შენ რა, უფროს-უმცროსი არ იცი? რას ფიქრობდი პოლკოვნიკს რომ აგდებდი?

— კაბინაში რანგები არა ჩანს, ამხანაგო პოლკოვნიკო.

ვორობიოვმა ბრძანა:

— ტყვე არმიის შტაბში გაგზავნეთ. მერკვილაძე კი ჯილდოზე უნდა წარვადგინოთ. შეადგინეთ დაჯილდოების ფურცელი.

მალე მოვიდა ჯილდო: სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი.

მფრინავი ვალიკო ურიდია რაღაცით შოთა ცირამუას მოაგონებდა მერკვილაძეს. ამიტომ სულ მალე დაუმეგობრდა. მით უმეტეს შენაერთში ეს ორნი იყვნენ ერთი მიწა-წყლისანი. გულმა გული იპოვა. ცაში ერთად აიჭრებოდნენ ხოლმე. საბრძოლო დავალების შესასრულებლად რომ მიფრინავდნენ,

გზაში ერთმანეთთან რადიოთი შეხუმრებასაც კი ასწრებდნენ.

კარგი ვაჟკაცი იყო ვალიკო, სახენათელი, მხიარული, სიცოცხლით სავსე, გულნათელი და შეუპოვარი.

შემოდგომის სუსხიანი დღე იყო. ურიდია და მერკვილაძე პატრულირებაზე გაგზავნეს. ორმა თვითმფრინავმა ლაჟვარდში შეინავარდა. უკრაინის გადაბუგულ მიწას, რომელსაც ჩვენი ჯარები, თანდათანობით იბრუნებდნენ, დეკემბრის მიმქრალი მზის სხივები ეალერსებოდნენ, თითქოს დიდი ხნის დაკარგული და ტანჯული შვილი ეპოვოს ასევე ტანჯულსა და ძალამილეულ დედას.

...მაგრამ მიწა მაინც ცისფრად სუნთქავდა.

ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა დაზვერვაზე ცაში ასულ მფრინავებს მტერი არ შეხვედრიათ, ბევრჯერაც წასწყდომიან.

ომში მოულოდნელი არაფერია. შენ თუ ფხიზლობ, მომხვდურიც ფხიზლობს. მომხდური ცდილობს მეტი აქტივობა გამოიჩინოს და ყველაფერში დაგასწროს. ამიტომ გმართებს ფხიზელი თვალი და მაგარი გული.

შოთამ ცის სიღრმეში მტრის თვითმფრინავები შენიშნა. საკმარისი იყო წერტილივით გამოჩენილიყო, მისი მახვილი თვალი უმალ შეიცნობდა მტერსა და მოყვარეს. და მალე, სულ სწრაფად, თვრამეტი „მესერშმიტი“ გამოვიდა იერიშზე.

ურიდია და მერკვილაძე მაშინვე ჩაებნენ ბრძოლაში. მტერს გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნეს, არ შეეპუენ, არად ჩააგდეს ბევრნი რომ იყვნენ.

თვითმფრინავები ერთმანეთს დაერივნენ. ცა გუგუნებდა.

ჩვენებს მალე წამოეშველნენ საბჭოთა მფრინავები „მესერშმიტებს“ კუდით ქვა ასროლინეს, თვრამეტს სამი მანქანა გამოაკლეს და დანარჩენები გაჰფანტეს.

ყოველთვის, როცა კი ასე უვნებლად და გამარჯვებით დაუბრუნდებოდნენ მიწას, ურიდია და მერკვილაძე თვითმფრინავიდან რომ გადმოხტებოდნენ, ერთმანეთს მოეხვეოდნენ და ძმურად გადაჰკოცნიდნენ, თითქოს ცხრა მთა და ცხრა ველი გადმოევლოთ ერთმანეთის შესახვედრად, ისეთი მონატრებულები ყოფილიყვნენ.

ერთხელ სოფელ სოლომინსკის თავზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. რაოდენ დაძაბულიც არ უნდა ყოფილიყო შოთა ამ ბრძოლაში, ჯოჯოხეთურ ორომტრიალში იმასაც კი ასწრებდა, მეგობრის მანქანისათვის წამით მაინც შეევლო თვალი.

ურიდიას თვითმფრინავი სვავების ბრბოში ტრიალებდა, „მესერშმიტებს“ გაუსხლტებოდა, აიჭრებოდა მაღლა და ახლა თვითონ ესხმოდა მტერს.

ურიდიას ბედმა უმუხთლა. მისი დაშავებული თვითმფრინავი სოლომინსკის ხნულებისაკენ დაეშვა. შოთას თავზარი დაეცა, როცა შენიშნა, რომ თვითმფრინავიდან ვალიკო არ გადმოხტარა, პარაშუტი არ ჩანდა.

მერკვილაძე ბრძოლას გამოეთიშა და მიწისკენ ზუზუნით დაშვებული თვითმფრინავის კვალს მიჰყვა. მფრინავი ალბათ ცდილობდა დაშავებული მანქანა როგორმე დაესვა მიწაზე, მაგრამ მანქანა მიწაში გვერდულად წაემხო.

შოთამ ხნულს გადაუქროლა და შენიშნა თვითმფრინავისაკენ როგორ მირბოდნენ ადამიანები. მტერი იყო თუ მოყვარე, ვერ გაარჩია, მაგრამ ახლა ბრძოლიდან გამოთიშულს მხოლოდ ერთი აზრი ამოქმედებდა — ეხსნა მეგობარი. ეხსნა, თუკი იგი ცოცხალი იყო, თუკი მას სული კიდევ ედგა პირში.

თვითმფრინავს ხნულში ვერ დასვამდა. მანქანა შემოაბრუნა და ტყის პირას მდელოზე საიმედო ადგილი მოიტაცა თვალმა. არც დაუყოვნებია, მანქანა ამ მოლზე დაუშვა. ცოტა ხნის მერე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ხნუ-

ლისკენ, სადაც ფრთებდალეწილი თვითმფრინავი მომაკვდავი არწივივით წამხობილიყო.

სოლომინსკელმა გლეხებმა მიასწრეს. დაჭრილი მფრინავი ამოიყვანეს და სახიფათო ადგილს მოაშორეს. მოსალოდნელი იყო თვითმფრინავის აფეთქება.

შოთამ დაჭრილი მეგობარი მალე თავისი თვითმფრინავის კაბინაში მოათავსა. ვალიკო გონდაკარგული იყო მანამდე, ვიდრე საველე ჰოსპიტალში არ მიიყვანეს.

ამჯერად კი ვალიკო ურიდია სიკვდილს ვერ გადაურჩა.

იგი გმირულად დაეცა იგივე ხნულში, სოლომინსკის მახლობლად.

ერთ დღეს, ის იყო ნარზე მიეგდო ბრძოლაში მოღლილი შოთა, მიწურში ავიატექნიკოსი პავლენკო შემოიჭრა.

— თქვენი მიწაწყლის კაცი მოიყვანეს ჩვენს ავიაპოლკში, — მიახარა მერკვილაძეს.

— მფრინავია? — იკითხა შოთამ და გულში სიხარული იგრძნო, რომ ქართულად ხმის გამცემი კაცი ეყოლებოდა.

— ისიც კი მითხრა, მერკვილაძეს რომ არ ვიცნობდე, არ შეიძლებაო, — არ ცხრებოდა პავლენკო, — ერთი რაიონიდან ვართ, ჩემს მეზობელ სოფელში არიან მერკვილაძეებიო. ახლავე მოგგვრით თქვენი მიწაწყლის კაცს.

მერკვილაძეს არც კი აცალა რაიმეს თქმა, პავლენკო სხარტად გავარდა მიწურიდან და მალე შემოიყვანა ერთი მაღალი, ორმოც წელს მიტანებული კაცი. იგი შემკრთალი და დაბნეული ჩანდა. მერკვილაძეს რომ შეხედა, სახეზე ბინდი გადაეყარა, თვალები გაუნათდა.

— შენი ჭირიმე! — ისეთი ხმით წამოიძახა, თითქოს შველას თხოულობსო, ხელები გაშალა, მაგრამ მოხვევნა კი ვერ შებედა. სხვა რომ არაფერი, იგი სერჟანტი იყო, შოთა კი უფროსი ლეიტენანტი.

ამ კაცს პირველად ხედავდა შოთა.

— რახან თქვენ შეგხვდით, ქართველო, ჩვენებურო... — უცნობი კაცი ისე შეჰფოფინებდა მერკვილაძეს, ისე იმედიანად და შვებით, თითქოს ხსნა მასთან ჰპოვა რაღაც დიდი და გამოუვალი გასაჭირიდან.

— მაპატიეთ, — თქვა ბოლოს უცნობმა, როცა შოთა მოესიყვარულა და ხელი ჩამოართვა.

— დაბრძანდით, — სთხოვა მერკვილაძემ, — დიდი ხანია ფრონტზე ხართ?

— კურსებიდან დღეს პირველად მოვხვდი წინა ხაზზე... ჩემი ხნის კაცისთვის ძნელია...

— რა გვარი ბრძანდებით?

— პერანიძე ვარ, გიორგი... თქვენი მეზობელი სოფლიდან... ეხლა შტაბში ვიყავი და იქ გავიგე თქვენზე... გამეხარდა, შვილებს გეფიცებით... არც კი მითხოვია, თქვენს რგოლში ისე ჩამრიცხეს მემოტორედ. არიან ქვეყანაზე ღვთისნიერი ადამიანები.

— ო, ეს ძალიან კარგია, ერთად ვიქნებით! — გაეხარდა შოთას.

მერე ბევრი ილაპარაკეს თავიანთი სოფლის ხალხზე. ბევრი საერთო ნაცნობი აღმოუჩნდათ. იმავე წუთებიდან შეეთვისნენ ერთმანეთს.

უშიშარი და გამრჯე კაცი გამოდგა, კაცთმოყვარე, მტრის მოძულე, მამულის მოსიყვარულე, ცოლ-შვილის დარდით გულდამდნარი.

შოთას თვითმფრინავი შვიდი ნომერი იყო. როცა ესკადრილიას გაისტუმრებდნენ მემოტორეები, გიორგი პერანიძეს თვალიდან მოუშორებლად ეჭირა დურბინდი და ცას ერთი წუთითაც არ აშორებდა მზერას.

იმ ხანებში ჩვენს ავიაციას მტრის ჭარბ ძალებთან უხდებოდა შერკინება. საბჭოთა მფრინავები მაინც სჯობნიდნენ გერმანელ მფრინავებს. ამ უთანასწორო ბრძოლაში ჩვენი მანქანებიც გამოდიოდა მწყობრიდან, ხალხი იღუპებოდა.

და რამდენჯერაც აფრინდებოდა შოთა თავის მეგობრებთან ერთად საბრ-

ძოლო დავალების შესასრულებლად, იმდენჯერ დარდით დნებოდა გიორგი. უნდა გენახათ მისი სიხარული, როცა აეროდრომისკენ გამობრუნებულ, მტერთან ნაომარ თვითმფრინავებს შორის № 7 მანქანა ალმოჩნდებოდა. გიორგი არავის და არაფერს ეპუებოდა, ასაფრენ ბილიკზე თვითმფრინავს წინ დახვდებოდა, ხელებს გაშლიდა და ერთ კარგ ცეკვას გააჩაღებდა.

ცეკვავდა კი მოხდენილად. და შოთა ასაფრენი ბილიკის ბოლოში ყოველთვის მოელოდა პერანიძეს.

მტრის თვითმფრინავები ხშირად ესხმოდნენ აეროდრომებს. გიორგი საფარში არასოდეს იმალებოდა. სიკვდილი თუ მიწერია, ომის დამთავრების დღეს ბრმად გასროლილი კენჭიც კი მომკლავსო.

შოთას თვითმფრინავი ტექნიკოს პავლენკოსა და მემოტორე პერანიძის გულმოდგინებით მუდამ გაკრიალებული და ყოველ წუთს მზადყოფნაში იყო.

შოთას თავის მედალიონში გიორგის მისამართი ეწერა, ისევე როგორც გიორგის მისი მისამართი. ომია, ყოველ წუთს მოსალოდნელია სიკვდილი. ვინ იცის, რა ბედი ეწიოთ, სად უმუხთლოთ ყისმათმა...

ერთხელ გერმანელებმა აეროდრომი დაბომბეს. შოთამ შეიტყო, რამდენიმე ტექნიკოსი და, მათ შორის, პერანიძეც დაიღუპნენო. თვითმფრინავები არ დაზიანებულა. მხოლოდ ამ ხალხის დაკარგვა აფიქრებდათ პოლკში. იყვნენ მოწმენი, რომელთაც თავისი თვალით დაუნახავთ ერთ-ერთ სანგარს როგორ გადაეყარა მიწა და შიგ ცოცხლად დაიმარხნენ ტექნიკოსები. ყველა ამ სანგრისკენ გარბოდა.

შოთამ სანგართან მიირბინა. გულისფეთქვა ყელში ამოსდიოდა. როცა მიწაყრილს დახედა, თმები ლამის ყალყზე წაუვიდა. სანგარში ჩაყრილი მიწა ფუვდებოდა, იძვროდა, რაღაც ძალა ცდილობდა მიწის საფარის მოშორებას და აი, გამოჩნდა კიდეც ცოცხლად დამარხული ადამიანის თავი, ხარბად რომ შეიყნოსა ჰაერი და გული წაუვიდა.

ეცნენ მფრინავები სანგარს და მალე სათითაოდ ამოიყვანეს ცოცხალ-მკვდარი მებრძოლები.

სანგარში ოთხნი აღმოჩნდნენ.

გიორგი ცოცხალ-მკვდარი მიაწვინეს მიწაყრილზე. სახე გალურჯებოდა, თვალებს ვერ ახელდა, მაგრამ შოთა ხედავდა როგორ ფეთქავდა საფეთქელი, სიცოცხლის ნიშანს რომ იძლეოდა. მაგრამ გადარჩებოდა? აი რა ანაღვლებდა და რა უთუთქავდა გულს შოთას.

მფრინავებს საბრძოლველად უხმობდნენ.

შოთამ ერთი კი მოხედა მეგობარს და გულანთებული, აღელვებული გაიქცა თვითმფრინავისაკენ.

როცა კი გიორგი პერანიძეს გაიხსენებდა, ყოველთვის ის უკანასკნელი მდგომარეობა აგონდებოდა, მოძღიმარე და სიცოცხლით სავსე კი ამ წარმოსახვის მიღმა რჩებოდა, როგორც კარგი, დაუვიწყარი სიზმარი. სიზმარი, სადაც თვითმფრინავის ასაფრენი ბილიკიც იყო და ბილიკის თავში ცეკვავდა გიორგი.

ეს უკვე, ვინ იცის, მერამდენე მეგობარს ჰკარგავდა შოთა!

რკინიგზის პატარა სადგურიდან შერჩენილი კედლებიღა დარჩენილიყო. სახურავი სახელდახელოდ შეეკეთებინათ, წვიმა რომ არ ჩამოსულიყო.

ტაგანროგის ამ გამომწვარ სადგურში უმეტესად სამხედროებს მოეყარათ თავი.

სამხედრო თვითმფრინავების მისაღებად როსტოვში მივლინებული მფრინავები — მერკვილაძე, საველიევი და კაპუსტინი ხარკოვიდან ტაგანროგში მოხვდნენ. ჯერ სამხედრო ეშელონს გამოჰყვნენ, მერე რომელიღაც საბარგო მატარებელს.

სადგურს მიწის იატაკი ჰქონდა. როგორც ჩანს ხის დამწვარი იატაკი აეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ. ფანჯრის რაფებიც ამოღებული იყო. აქა-იქ ხის დამწვარი ნარჩენი მოჩანდა. მაგრამ უკეთესი თავშესაფარი, როცა გარეთ ქინქლავს, იმ დროს ალბათ მთელ ტაგანროგში არ მოიძებნებოდა.

გაუგებარი იყო ზოგი მგზავრი ამ გაუკაცრიელებულ სადგურში რას ელოდა. თავქვეშ საშვილიშვილოდ ამოედო ფუთა თუ ხალთა, წაეფარებინა მაზარა, ან რაიმე ძონძი და არ ანაღვლებდა, მატარებელი აღმა აივლიდა თუ დაღმა ჩაივლიდა.

ასეთნი უამრავი იყვნენ. ასე რომ, მფრინავებმა თავიანთვის სადგურის მიწის ცივ იატაკზე ძლივს მოძებნეს ადგილი.

ეს იყო შებინდებისას, როცა ტაგანროგამდე ძლივს ჩამოყვნენ ხუთვაგონიან საბარგულს. მერე ეს მატარებელი ჩიხში ჩააყენეს და დატენილი ტომრებით დატვირთეს.

მფრინავებს, რომლებიც სრული საფრენი მოწყობილობით იყვნენ, როსტოვიდან სამი თვითმფრინავი უნდა წამოეყვანათ ფრონტის წინა ხაზისაკენ. პარაშუტებიც თან ჰქონდათ. ეს ტვირთი ფუმფულა ბალიშის მაგივრობას უწევდათ. შვებით გაჭიმეს ფეხები.

ნაშუაღამევამდე ტაგანროგის რკინიგზის სადგურზე მდუმარება სუფევდა. ბნელოდა უფანჯრებო დარბაზში, იდგა ოფლისა და ხის ნამწვის სუნი. აქა-იქ აბოლებდნენ.

შოთას წასთვლიმა. მაგრამ ასე ეგონა მაშინვე წაჰკრა მუჯლუგუნი ვიღაცამ. ნახევრად მძინარეს კაპიტნის ხმა მოესმა:

— ადექით, ბიჭებო, მგონი რაღაც მოდის!

ვიღაცეებზე გადაიარეს, ვიღაცას წამოედვნენ, ვიღაცას ფეხი დაადგეს.

— ნელა, ოხერო, შენი!.. — თქვა ერთმა თავშეკავებით.

მეორემ წამოიყვირა. მესამემ ისე ყიამყრალად შეიგინა, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე ამ წუთს, ამ მიზეზს ეძებდა, რომ ეთქვა ენაზე მომდგარი გინება.

შორიდან მატარებლის ხმა ისმოდა. მოდიოდა ყრუდ, ქშენით, იმედიანად. საიდან მოდიოდა, ვერავინ გაერკვა. უწინდელი, მშვიდობიანი ხანა რომ ყოფილიყო, ორთქლმავალი გამონათებდა, შორიდანვე გაჰკვეთდა ღამის უკუნეთს, ამცნობდა საიდან უნდა შემოსულიყო მატარებელი სადგურში. მაგრამ ახლა ძნელი იყო ამის გაგება.

მფრინავებთან ერთად ნახევრად დანგრეულ ბაქანზე კისრისტეხვით გამოვიდნენ სხვებიც, მოქალაქეები, ჯარისკაცები. სამხედრო ეშელონებს ასეთი მგზავრები ვერ ეკარებოდნენ, სამაგიეროდ სამგზავრო მატარებლებს იერიშით იღებდნენ. აქაც ჭირდა შეღწევა, რადგან ასეთი მატარებლებით ბევრი მუქთახორა სპეკულანტი და ომით ხელმოთბობილი ნაძირალა მგზავრობდა.

მატარებელი როსტოვისკენ მიდიოდა. მფრინავებს გაეხარდათ, როცა ორთქლმავლის ძალზე შავი ლანდი ცის ოდნავ ფერმკრთალ ფონზე გამოჩნდა. მაგრამ მერე ისეთი სისწრაფით ჩაიარა, ისეთი დაგადუგი გაჰქონდა ლიანდაგებს, ყველას იმედი გადაუწყდა. კაცი ვერ გაიგებდა რა მატარებელი იყო. გამლიგინდა და ერთ ხანს კიდევ ისმოდა მისი ხმა.

ისევ დარბაზს დაუბრუნდნენ.

ისევ შეიგინა ვიღაცამ.

— ძილის საშუალებას არ გვაძლევენ! — ჩაიბურტყუნა ძილგამფრთხალმა.

— მონახეს სასეირნო ადგილი!..

— რაო, მოხეტიალე ბიძებო?!.

— დაეყარეთ ერთ ადგილზე!.. გათენდება და იბოდიალეთ რამდენიც გენებოთ!..

ისევ სადღაც ჩაიჭედნენ. პარაშუტები თავქვეშ ამოიდეს. ყველა დაშოშმინდა.

გათენებისას ისევ მოისმა მატარებლის ხმა. ისევ გამოცვივდნენ მგზავრები ბაქანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლმავალი ისეთი სისწრაფით, ისეთი ქშენა-დუღილით შემოიჭრა ლიანდაგებში, გაჩერების ნიშატი არ ეტყობოდა. ესეც ჩაიქროლებს, ეს ოხერი! და, ვინ იცის, როდემდე გაგრძელდება ლოდინი, ვინ იცის, როდის და რა მატარებელი შეჩერდება ამ ტიალ სადგურში!

ორთქლმავალმა სვლას უკლო. მაგრამ გამოირკვა, რომ ეს იყო დაჭრილებით სავსე ეშელონი. როგორც კი მატარებელი გაჩერდა, ყველა ვაგონს მაშინვე დარაჯად დაუდგნენ ფერშალი ქალები.

მიკარება ვერავინ გაბედა. ეშელონს სამედო დაცვა ჰყავდა.

ბევრმა სადგურს მიაშურა. მფრინავები კი უკან გაბრუნებას არ ფიქრობდნენ. ამ მატარებელსაც თუ არ გაჰყვნენ, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. იქნებ სადმე გამოეძებნათ მათთვის ადგილი, მხოლოდ ერთი საათით, ერთი საათით როსტოვამდე. სულაც კიბეზე გაჩერდებიან, ოღონდაც ნება დართონ.

— ვნახოთ ეშელონის უფროსი, ვთხოვოთ, — თქვა საველიევმა.

მფრინავი მეგობრები გეგმას რომ სახავდნენ, წინ სამომსახურეო ვაგონიდან გადმოვიდა ერთი ახოვანი წვერმოშვებული სამხედრო კაცი. მას მოქმედებაზე ეტყობოდა, რომ ეშელონისთვის რაღაც მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა, უფროსი თუ არა, მოადგილე მაინც იქნებოდა.

საველიოვმა არ დააყოვნა და იმ სამხედროსთან მიირბინა, წარუდგა და მოახსენა, ვინც იყვნენ და რა საქმეზეც მიეშურებოდნენ როსტოვში.

მერკვილაძე და კაპუსტინი შორიახლო იდგნენ და თვალს ადევნებდნენ რა მოხდებოდა.

წვეროსანმა სამხედრომ ხელი მატარებლის თავისკენ გაიქნია და თვითონ ბოლო ვაგონებს მიაშურა.

საველიევი სწრაფად გაიქცა მეგობრებისაკენ. სახეზეც ეტყობოდა, რომ საქმე კარგად იყო. მან ქაქანით აუწყა მერკვილაძეს და კაპუსტინს:

— პირველ ვაგონში ადით. დავუჩქაროთ მეგობრებო! მატარებელი მალე წავა.

მფრინავები ეშელონის თავისკენ გაიქცნენ, ისინი სწრაფად ავიდნენ ვაგონში. დამხვდურ ლეიტენანტს საველიევმა გადასცა ეშელონის უფროსის განკარგულება და სანამ იგი გამოჩნდებოდა, ვიწრო გასასვლელში აიტუზნენ.

მატარებელი რომ დაიძრა, ეშელონის უფროსი ჯერ კიდევ კიბეზე იყო, ვიღაცას რაღაცა განკარგულებას აძლევდა. მერე ვაგონში შემოვიდა.

პირველი, რაც თვალში საცემი იყო შოთა მერკვილაძისათვის და რამაც მოუსვენრად აუძგერა გული — ეს კაცი თავისი აღნაგობით, მიხრა-მოხვრით და რიხიანობით მამას აგონებდა, მამას, რომელიც ომის დაწყების დღიდან აღარ უნახავს, ერთმანეთის ამბავიც კი არ იციან.

მაგრამ, ვინ იცის, ამ ქვეყანაზე რამდენი კაცი გავს ერთმანეთს!

დერეფანში შემოვიდა იგი, სახედაღლილი, ოდნავ მხრებში მოხრილი, ახოვანი, წვეროსანი და საველიევმა წამოიწყო:

— აი ჩვენც აქა ვართ...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, სიტყვა პირზე შეაცივდა.

ის, ვინც გრიშა მერკვილაძეს გავდა — გრიშა მერკვილაძე იყო.

ლამის გადირია კაცი, შვილი რომ დაინახა.

ლამის გადირია შოთა, მამა რომ შეიცნო.

მაგრამ არა, ეს მამა აღარ იყო, მუდამ წვერგაპარსული, დინჯი, მომღიმარე თვალებით. შოთა ეხვეოდა მამას და თან მისი მოქანცული გამომეტყველება უკლავდა გულს.

ეშელონის უფროსმა კუპეში შეიყვანა ისინი.

— კანონით უცხო მგზავრების წაყვანა გვეკრძალება, — მიმართა შვილთან შეხვედრით გახარებულმა გრიშა მერკვილაძემ მფრინავებს, — მაგრამ

როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე ჩემი ეს შვილი, შოთა, გამახსენდა და უარიც ამიტომ ველარ გითხარით... აი შვილიც ვნახე. ახლა ალარაფერი მიჭირს. ჩემიანების დარდმა მომკლა. ჩვენ ხომ ყველანი ფრონტზე ვართ.

— ვიცით! შოთამ ყველაფერი გვიამბო. როსტოვში მიგყავთ დაჭრილები? — კითხა კაპიტანმა.

— როსტოვში შედარებით მსუბუქად დაჭრილებს დავტოვებთ. დანარჩენი ბაქოში უნდა ჩავიყვანოთ.

მერე მამა-შვილს შორის გაიბა კითხვა-პასუხის ჯაჭვი. ბევრი, ძალიან ბევრი რამ აინტერესებდა გრიშას. რა იცოდა დედისა შოთამ? ძმებისა? თბილისიდან რა ამბები მოსდიოდა? და შოთაც ჩქარობდა ყველაფერი ეთქვა, რაც რამ იცოდა.

და ერთი საათიც თვალის დახამხამებაში გავიდა.

მატარებელი როსტოვში გაჩერდა.

დადგა ჟამი განშორებისა. და განშორდნენ. შოთა თან გულისტკივილით ფიქრობდა, იქნებ უკეთესი იყო ორივესთვის, რომ ასე მოკლე ხნით არ გვენახა ერთმანეთიო. მაგრამ გული რომ სიამით უძგერდა!

გრიშამ სამივენი მხურვალედ გადაკოცნა, ცის გზა დაულოცა.

ცოტა ხნის მერე სამი თვითმფრინავისგან შემდგარი პატარა რაზმი როსტოვიდან ხარკოვისკენ გაფრინდა.

დაჭრილთა ეშელონი კი ბაქოსკენ მიიჩქაროდა.

* * *

წერილი!

იმდენი წერილი ალბათ კაცობრიობის არსებობის მანძილზე არ დაწერილა, რაც ომის დროს.

კონვერტი არ იყო საჭირო, არც ძვირფასი ქაღალდი. წერილი იწერებოდა ყველაფერზე, რაზედაც ჯარისკაცს ხელი მიუწვდებოდა, იწერებოდა ქაღალდზე, ფანერზე, ქვაზე, კედელზე, სვეტებზე... გასაგზავნი თუ გაუგზავნელი, შინაურისთვის თუ მომავალი [illegible]ბისათვის...

ქაღალდი კი სამკუთხად მოიკეცებოდა და მიჰქროდა შორს, ფრონტიდან შინისკენ, შინიდან — ფრონტისკენ.

შინ უფრო მეტს წერდნენ. წერდნენ გამამხნევებელ სტრიქონებს, სიყვარულით, ალერსით გამთბარ სტრიქონებს.

წერილს დიდი, განუზომელი ფასი დაედო.

ამაღლდა წერილი. წერილი შვებად იქცა, მალამოდ იქცა, მოწოდებად იქცა, მტრის რისხვად აინთო.

მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ სამკუთხა ბარათები. ადამიანები ერთმანეთს გულს უკეთებდნენ, ერთმანეთს გამარჯვების რწმენას უნერგავდნენ.

ალბათ ოდესმე ვინმეს გაახსენდება და ომისდროინდელ ფოსტალიონისა და სამკუთხა ბარათების სიმბოლიურ ძეგლსაც დადგამს... მათაც დიდი ბრძოლა გადაიტანეს.

წერილს მოუთმენლად ელოდნენ ყველგან, შინ თუ გარეთ, ზურგში თუ ფრონტზე, უბრალო ჯარისკაცი და გენერალი... თვით უმაღლესი მთავარსარდალიც!

წერილი!

აბა ერთ წუთს წარმოიდგინეთ თქვენი თავი შოთას ადგილზე. თვითმფრინავი გასაფრენად მზადაა, ზის იგი კაბინაში და ამ დროს ხედავს, უცნობის ხელი ზედ მისი კაბინის შუშასთან აფრიალებს სამკუთხა ბარათს.

— ამხანაგო მეთაურო, გამომართვით, თქვენი წერილია!

შოთა სწრაფად ხსნის სახურავს, ერთს კი მოასწრებს დახედოს თავისი მეუღლის ნაცნობ საყვარელ ხელწერას და ისმის აფრენის ბრძანებაც.

და სრულიად ადვილი შესაძლებელია წაუკითხავი დარჩეს წერილი.

წაუკითხავად კი იდო კაბინაში მანამდე, ვიდრე ბრძოლა არ მოითავეს, ვიდრე შოთა სიკვდილს არ გადაურჩა და არაქათგამოცლილმა თვითმფრინავი აეროდრომზე არ დაუშვა. მერე კი, წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერი შესვენებისას, ცირას ბარათი აიღო:

„ჩემო შოთა! უშენოდ ვეღარ ვძლებ. და საერთოდ არ ვიცი, აქ რა მაძლებინებს, როცა მთელი ჩვენი ოჯახი ფრონტზე ხართ. გუშინ სტალინს მივწერე, მეც წამიყვანეთ ფრონტზე-მეთქი. მეც მინდა ჩვენი სამშობლოს დამცველთა რიგებში ვიყო. იღონე რამე, შოთა, იქნებ შენთან წამოვიდე... ვიბრძოლებ ისე, რომ არ შეგარცხვენ... ჩვენ ერთად უფრო კარგად ვიბრძოლებთ!..“

შოთა აალელვა წერილმა. მას ყოველთვის სწამდა ცირას მგზნებარე გულისა, მაგრამ ასეთ რამეს კი არ მოელოდა, არ მოელოდა, რადგან სხვა წერილებში მხოლოდ გამამხნევებელ სიტყვებს იწერებოდა; მაგრამ ახლა, ეტყობა, მოთმინების ფიალა ალევსო.

ბრძოლა რა ქალის საქმეაო, იცოდნენ ამისი თქმა. მაგრამ შოთამ ბევრი მამაცი მეომარი ქალი ნახა, ვაჟკაცებს ტოლს რომ არ უდებდნენ. და ამ მამაცთა პლეადაში წარმოიდგინა თავისი ცირა.

როცა ცირას წერილი წაიკითხა, შოთას გაახსენდა ის დღე, ის ერთი მოუსვენრად გატარებული ღამე თბილისში. კაცი მშობლიურ კერაში ვერ სძლებდა, შორს ბრძოლის ცეცხლში მიუწევდა გული. ამას კი უწინ ვერაფრით წარმოიდგენდა. მაგრამ როცა ქვეყნის გადარჩენის დიდი და კეთილი საქმე ელოდა, მშობლიური კერის ცეცხლი ახლა ამ დიდ კელაპტართან სანთელივით ბჟუტავდა. იმ ღამეს ვერა და ვერ მოისვენა. სულ სხვანაირი ეჩვენა თბილისი, დადუმებული, მოღუშული, მრისხანე, საავდრო ღრუბელივით მოქუფრული. ფრონტზე ნამყოფი კაცისთვის ძნელი იყო ასეთ ვითარებაში ყოფნა — თბილისი გამოსახსნელი იყო, თბილისშიც უნდა აკიაფებულიყო ლამპიონები, განათებულიყო ფანჯრები, გაეხარა თბილისელთა გულს.

ცირა ქალაქის ამ ტანჯვას უყურებს. ომი ჩუმად, მაგრამ ბოროტად დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში, ძაძით მოსავდა ქალებს, პურის მაგივრად ცრემლსურიგებდა ადამიანებს.

თბილისში თოფი არ გავარდნილა, ზარბაზანი არ დაცლილა, მაგრამ დაჭრილი გული იტანჯებოდა.

აი რამ დააწერინა ცირას ის წერილი, წერილი, რომელსაც სასოებით ინახავდა შოთა და ამაყობდა, რომ ასეთი მეუღლე ჰყავდა. მართალია, ცირა ფრონტზე არ მოხვედრილა, მაგრამ შოთა გონების თვალით ხედავდა ამ მოამაგე ქალის გარჯას, ქვეყნისთვის შრომის ოფლს რომ იწურავდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯანჯღავა
გენერალ-ლეიტენანტი
საბჭოთა კავშირის გმირი

# ე რ თ გ უ ლ ე ბ ა

## დივიზიის მეთაურის ჩანაწერები

### ბრძოლა პლაცდარმისათვის

6 სექტემბერს, გამთენიისას, რადიოთი დამიკავშირდა 44-ე გვარდიული დივიზიის მეთაური გენერალი ვ. ა. ბორისოვი. ჩვენს შორის ჩვეული ფრონტულ-მეგობრული და ტელეგრაფულად სიტყვაძუნწი საუბარი გაიბა:

— მაგრად დგახარ?

— ვდგავარ და „საბანტუის“ ველოდები. შენთან რა ამბავია?

— წესრიგია. შენი მარჯვენა ფლანგის დარდი არ იქონიო!

— გისურვებთ წარმატებას.

— შენც, აგრეთვე!

აი სულ ეს იყო, არც ერთი ზედმეტი სიტყვა. თუმცა სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, მეგობრის ხმა გაიგონო და აუწყო, რომ შენც გვერდით ხარ.

მე და ბორისოვი უკვე ნაღდი მეგობრები ვართ, თუმცა ერთმანეთი სულ ცოტა ხნის წინ გავიცანით და ვერც ისე ხშირად ვხვდებით. სამაგიეროდ, ბოლო დროს ჩვენი დივიზიები გვერდი-გვერდ იბრძვიან, ამასთანავე, ბორისოვთან არ შეიძლება არ იმეგობრო. ასეთია იგი — მხიარული, ხალისიანი, ყველას უმალ „გადადებს“ თავის დაუშრეტელ ოპტიმიზმს და თავისი კეთილი ხუმრობით ყველაზე ძნელ მდგომარეობაშიც კი გაგამხნევებს.

ბორისოვთან საუბრის დამთავრებამდე რაციაში ხმა მომაწვდინა მარცხენა მეზობელმა პოლკოვნიკმა ა. გ. ფროლენკოვმაც. მე იგი თავისი ბოხი ხმით იმ წამსვე ვიცანი. რადიოშიც იერიქონის საყვირივით გუგუნებდა. ჩემსა და მის შორისაც კარგი და კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა.

პლაცდარმის მესამე მეზობელს — 108-ე მსროლელი დივიზიის მეთაურს გენერალ-მაიორ პ. ა. ტერემოვს ჯერ თითქმის არ ვიცნობ. მაგრამ არა უშავს, ახლოს გაცნობასაც მოვასწრებთ. მთავარია, რომ ბორისოვი მას ყველაზე კაი კაცად თვლის.

„საბანტუიმ“, რომლის შესაძლებლობაც გენერალმა ბორისოვმა რადიოსაუბრისას თითქოს სხვათაშორის ახსენა, დიდხანს არ გვალოდინა. მზის ამოსვლისას ჩვენი პლაცდარმის მთელს წინა მხარეზე ჰიტლერელებმა საკმაოდ ძლიერი საარტილერიო და საავიაციო ცეცხლდაშენა წამოიწყეს. ცეცხლდაშენას, როგორც წესი, სატანკო და ქვეითის კონტრიერიშებიც მოჰყვა, თუმცა გერმანელები ამჯერად ვერაფერს გახდნენ. ჩვენც და ჩვენმა მეზობლებმაც იერიშები შედარებით ადვილად მოვიგერიეთ. უფრო მეტიც, დღის განმავლობაში პლაცდარმი რამდენადმე გავაფართოვეთ და გავაღრმავეთ.

გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ საგრძნობლად დაზარალებული მეხუთე ქვეითი და მეხუთე სატანკო ესესელთა დივიზიების ძალებით პლაცდარმს ვერ მოსპობდა და ვერც „ნარევის ღერძს“ დაიბრუნებდა — უკვე დაგვიანებული იყო. ამიტომ 5 სექტემბრის ღამეს გერმანელებმა ბრძოლის რაი-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 1.

* საჟურნალო ვარიანტი.

ონში კიდევ ორი ქვეითი დივიზია და მძიმე ტანკების — „ვეფხვების" ბრიგადა გადმოიყვანეს. აგრეთვე რამდენადმე წესრიგში მოიყვანეს კლეშჩელსა და ნარევის მისადგომებთან შებერტყილი მეხუთე სატანკო დივიზიის — „ვიკინგის" ნაწილებიც. ერთი სიტყვით, 6 სექტემბერს, პლაცდარმის მთელს ფრონტზე დილიდანვე გააფთრებული და ძლიერი ბრძოლები დაიწყო.

მოწინააღმდეგის დივიზიების ამოცანა — ძლიერი დარტყმით გამოვდევნეთ პლაცდარმიდან. ჩვენთვის მოულოდნელი და საიდუმლო არ იყო. კორპუსის მეთაურმა ალექსეევმა ამის შესახებ ჯერ კიდევ წუხელვე გამაფრთხილა.

— მიიღეთ სასწრაფო ზომები ფლანგების გასამაგრებლად, — მიბრძანა გენერალმა ალექსეევმა, — გადაისროლე იქით ილიუჩენკოს ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონი მოწინააღმდეგის მიერ საფლანგო დარტყმის შემთხვევისათვის. მხარს დაგიჭერენ ფლოროენკოვი და ბორისოვი.

და მართლაც, გამთენიისას მოწინააღმდეგემ მთელ ფრონტზე დაიწყო საომარი მოქმედება: დაძაბული ბრძოლები 9 სექტემბრამდე გრძელდებოდა. მოწინააღმდეგის კონტრიერიშების მოგერიებისას, 65-ე არმიის ჯარები და მათ შორის ჩვენი 354-ე დივიზიისაც, შეძლებისდაგვარად აფართოებდნენ პლაცდარმს და ტაქტიკურიდან ოპერატიულ უბნად აქცევდნენ. განსაკუთრებული ღვაწლი ამ საქმეში, თქმა არ უნდა, არმიის სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ პ. ი. ბატოვს მიუძღვოდა. გონიერი, გამოცდილი და ენერგიული სამხედრო მეთაური ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ არა მარტო შეგვენარჩუნებინა პლაცდარმი, არამედ საგრძნობი ზარალიც მიგვეყენებინა ფაშისტთა მოიერიშე ჯარებისათვის. იგი ახდენდა ნამდვილ მხედართმთავრულ მანევრებს, რის შედეგადაც ჩვენი ნაწილები და შენაერთები შეუჩერებლად ანადგურებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითს, დიდი რაოდენობით აზიანებდნენ მის ჯავშანსატანკო ძალებს და ისეთ გამარჯვებებს აღწევდნენ, რომლების შედეგადაც ჰიტლერელები იძულებული ხდებოდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი პოზიციები, გადასულიყვნენ ახალ ზღუდეებზე, ანდა საბოლოოდ აელოთ ხელი კონტრიერიშებზე.

9 სექტემბრისათვის მოწინააღმდეგეს დაძაბუნება უკვე ცხადად დაეტყო. ამ დროისათვის ჩვენი ჯარების სიმტკიცე უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. ამას ის მნიშვნელოვანი ფაქტორებიც ამტკიცებდა, რომ 65-ე არმიის სამხრეთით, ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებმა უკვე მდინარე ვისლა გადალახეს და ახალ პლაცდარმებს დაეუფლნენ, ხოლო უფრო სამხრეთით, უკრაინის პირველი ფრონტის მეომრებმა ვისლაზე მნიშვნელოვანი სანდომირის პლაცდარმი დაიკავეს.

მდინარე ნარევზე პლაცდარმისათვის ბრძოლაში გამარჯვება 65-ე არმიას საკმაოდ დიდ ზარალად დაუჯდა. გარდა ამისა, როგორც მეომრებს, ისე მეთაურებსა და პოლიტმუშაკებსაც დაღლილობა აშკარად ემჩნეოდათ. ბელორუსიის შეტევითი ოპერაციების შემდეგ მათ ძნელი ბრძოლით ექვსას კილომეტრზე მეტი გაიარეს. ნაწილები და ქვედანაყოფები იმდენად დახუნტებული იყვნენ, რომ დასვენებას და შევსებას პაერივით საჭიროებდნენ. ეს ჩვენი 354-ე დივიზიის მაგალითზეც კარგად ჩანდა. მისი რიცხობრივი შემადგენლობა ორნახევარ ათას „აქტიურ ხიშტს" აღარა სჭარბობდა. ამასთანავე, ჩვენცა და ჩვენს მეზობლებსაც ბევრ შემთხვევაში ორ ფრონტზე ბრძოლა გვიხდებოდა: უნდა დაგვეცვა და გაგვეფართოვებინა პლაცდარმიც და ნარევის მარცხენა ნაპირზე მოქმედი ჰიტლერელთა თუმცა დაქსაქსული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნადგურებელი ჯგუფების წინააღმდეგაც გვემოქმედა, რომლებიც არმიის, კორპუსისა და დივიზიის ზურგის დაწესებულებებს ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ.

და აი ბოლოს ეს ხანგრძლივი ნალოდინევი ჟამიც დადგა — 65-ე არმიის ჯარებსაც მიეცათ თავდაცვაზე გადასვლისა და დაკავებულ პოზიციებზე გამაგრების ნებართვა. რა თქმა უნდა, ეს დასვენება არ იყო, მაგრამ დაღლილი მებრძოლები ოდნავ მაინც სულს მოითქვამდნენ.

„უკვე დრო იყო, რომ გავმაგრებულიყავით, — იგონებს თავის წიგნში „ლაშქრობებსა და ბრძოლებში" პ. ი. ბატოვი, — ფრონტის შტაბში გავგზავნეთ დაშიფრული დეპეშა: „გთხოვთ, თავდაცვაზე გადასვლის ნება დაგვრთოთ". დამით როკოსოვსკიმ დამირეკა:

— თქვენი თხოვნა მართებულია. სარდლობამ ბრძანა თქვენი თავდაცვაზე გადასვლა. გაიგეთ, როგორ აფასებს გერმანელთა სარდლობა ნარევისა და ვისლას პლაცდარმებს?

— არა.

— მათ ეძახის გერმანიის გულში დამიზნებულ დამბაჩებს. ერთი იმ დამბაჩათაგანი შენს ხელთს არის. იცოდე, არ შერცხვე. არ დაკარგო დრო, გაამაგრეთ თავდაცვა".[1]

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ჩვენ საბოლოოდ გავმაგრდით დაკავებულ ზღუდეზე, ჰიტლერელები კი დასუსტდნენ და ბოლოს სულაც შეწყვიტეს კონტრიერიშები, დივიზიამ მიიღო შევსება, უმეტესწილად ჯერ კიდევ ომგაუვლელი ახალგაზრდობა, რომლებიც ცოტა ხნის წინ გერმანელ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული ოლქებიდან და რაიონებიდან მობილიზაციით იყვნენ გაწვეულნი. ახლა ამოცანა ის იყო, რომ ახალგაზრდა მებრძოლებისათვის რაც შეიძლება ჩქარა შეგვესწავლებინა სამხედრო საქმე (მათ მხოლოდ სამხედრო ცოდნა აკლდათ, თორემ მტრის სიძულვილი ჰარბადაც ჰქონდათ).

---

1 პ. ი. ბოტოვი, „ლაშქრობებსა და ბრძოლებში", გვ. 444 (რუსულ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობებისათვის გამოყოფილი იყვნენ საუკეთესო მეთაურები და პოლიტმუშაკები. ამ სამუშაოს ხელმძღვანელობდა ჩემი მოადგილე პოლკოვნიკი ვორობიევი.

და აი, მთელი თვეა, თავდაცვაში ვდგავართ. თუმცა მოწინააღმდეგე განსაკუთრებულ აქტივობას არ იჩენს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ფაშისტთა სარდლობა არაფრით არ შეურიგდება ნარევის დასავლეთ ნაპირზე საბჭოთა ჯარების პლაცდარმის არსებობას, ყველანაირად შეეცდება ჩვენს კვლავ მდინარისაკენ გადარეკვას და ამით წითელი არმიის დარტყმისაგან ბერლინის მიმართულების უზრუნველყოფას. ამას ადასტურებენ ჰიტლერელი ტყვეებიც, რომლებსაც იმ დღეებში ჩვენი მზვერავები თითქმის ყოველდღე იჭერდნენ. ამიტომ ჩვენც ვსარგებლობდით თავდაცვითი პერიოდით და ჩვენს პოზიციებს გამუდმებით და საიმედოდ ვამაგრებდით.

ერთხელ, სექტემბრის ბოლოს, დივიზიის საკომანდო პუნქტზე არმიის სარდალი მოვიდა. ჩემი მოხსენების შემდეგ, დაწვრილებით გამომკითხა მოწინააღმდეგის მოქმედების შესახებ და, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალებსაც კი ჩაეძია, მაგრამ არაფრის განსაკუთრებულისა და საყურადღებოს თქმა მე არ შემეძლო: ჩვენი პოზიციებისათვის საარტილერიო ცეცხლდაშენის გარდა, მოწინააღმდეგე არავითარ აქტიურ მოქმედებას არ ამჟღავნებდა.

პავლე ივანეს ძე ბატოვმა ყურადღებით დაათვალიერა რუკა, რომელზეც პუნქტუალური სიზუსტით იყო გადატანილი დივიზიის ყველა ნაწილისა და ქვედანაყოფის განლაგება და მითხრა:

— აბა, წავიდეთ, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, შენს სათვალთვალო პუნქტზე და ადგილზე დავაზუსტოთ მტრის თავდაცვის მონახაზი, აგრეთვე ერთად დავხედოთ თქვენი მარჯვენაფლანგელი პოლკის თავდაცვას.

სათვალთვალო პუნქტზე ჩვეულებრივ ბნელაში გავდიოდით, რომ მტრის სნაიპერების სამიზნეზე არ მოვხვედროდით, რომლებიც იმ დროისათვის განსაკუთრებით გააქტიურდნენ. და რაკი ახლა ნათელი დღე იდგა, მე შევეცადე, პავლე ივანეს ძე დამერწმუნებინა, რომ არ შეიძლება მისთვის ასეთი დიდი საშიშროების გარისკვა, მაგრამ მან სათქმელი შუაზე გამაწყვეტინა:

— ეს შენთვის არის საშიში, — მაღალი ხარ და ტრანშეიდან ჩანხარ, თანაც ჰიტლერელებს სახითაც კარგად ახსოვხარ, როცა მათ ნარევიდან ერეკებოდი. მე კი მხოლოდ გვარით მიცნობენ და ჩემს სიმაღლეს ტრანშეიც მთლიანად ფარავს.

გენერალმა ბატოვმა თავის შოფერს დაუძახა და სპეციალურად წამოღებული რიგითი ჯარისკაცის ფორმა მოატანინა, ჩაიცვა და საბრძოლველად გამზადებულ ნამდვილ რიგით ჯარისკაცს დაემსგავსა.

ზოგან ტრანშეებით, ზოგან ფოფხვით და წელში მოღუნული გადარბენებით გავიარეთ მსროლელი პოლკის თავდაცვა. არმიის სარდალი ხშირად ჩერდებოდა, ესაუბრებოდა მებრძოლებს, ეკითხებოდა საყოფაცხოვრებო პირობებზე, ღებულობდნენ თუ არა ცხელ საჭმელს, როდის იყვნენ უკანასკნელად აბანოში და ა .შ. მებრძოლები ხალისით პასუხობდნენ კითხვებზე და ეჭვადაც ვერავინ ხვდებოდა, რომ არმიის სარდალს ელაპარაკებოდნენ.

ბოლოს მივაღწიეთ სათვალთვალო პუნქტამდეც, რომელიც ტყის პირას, სოფელ პისკარიალუეას რამდენიმე დასავლეთით იყო მოწყობილი. არმიის სარდალი დიდხანს და დაჟინებით აცქერდებოდა მტრის თავდაცვის წინა მხარეს და სწავლობდა მის განლაგებას.

— ყველაზე საშიში უბანი თქვენია, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, — დაასკვნა გენერალმა ბოლოს; უფრო ინტუიციით, ვინემ შეგნებით, რაღაც საგანგაშო ვიგრძენი.

— ნაღმის საქმე როგორღა გაქვს? მკითხა ამასთანავე პავლე ივანეს ძემ, — საკმარისად არის წინა მხარე დანაღმული?

— საკმარისად, ამხანაგო არმიის სარდალო, — მივუგე მე, — ყოველ კვადრატულ მეტრზე ორ-ორი ნაღმი გვაქვს ჩაწყობილი.

— კარგია, — მოიწონა არმიის სარდალმა და ჩაფიქრებით განაგრძო, — დიახ, მაცდური მიმართულებაა. მოწინააღმდეგის შემოტევისათვის, ძალიან მაცდური. — წუთით ჩაფიქრდა და დაუმატა, — აიყვან არმიის შოიერიზე ასეულს, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, და მის ანგარიშზე გაამაგრებ პირველ ეშელონს. გარდა ამისა, მე ვუბრძანებ ალექსეევს, რომ კორპუსის სატანკო თვითმავალი პოლკი სოკოლოვისა, როგორც შენი რეზერვი, გაგზავნოს ნარევის დასავლეთ ნაპირზე, და შენ მას ტშეპოვოსა და პოგოჟელეცის რაიონში განალაგებ.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოწინააღმდეგემ გააძლიერა საბრძოლო აქტივობა და ჩვენი დივიზიის თავდაცვით პოზიციებს მასირებული საარტილერიო ცეცხლი დაატეხა. 2 ოქტომბრის ღამეს დივიზიის სამივე პოლკიდან მაცნობეს, რომ ბლედოსტოვოს რაიონიდან და მეშკას გზიდან ტანკების მოტორების გუგუნი ისმისო. ეს ამბავი უმალვე კორპუსის მეთაურს გენერალ ალექსეევს შევატყობინე.

— ეჭვებს ნუ აჰყვები, — მითხრა დიმიტრი თედორეს ძემ, როცა ჩემი მოხსენება მოისმინა, — უბრძანე პოლკის მეთაურებს, რომ ფხიზლად იყვნენ.

გენერალმა ეს მითხრა მშვიდად, ჩემის აზრით, ზედმეტად მშვიდად. ეს მისი ჩვეულებრივი მანერა იყო, როცა მას ისეთ რამეს მოახსენებდნენ, რასაც საკმარისი დამამტკიცებელი ფაქტები არ ახლდა. იგი მუდამ მოითხოვდა, რომ ჯერ თვითონ გარკვეულიყვნენ, რა იმალებოდა ამა

თუ იმ ამბავში მთლიანად კორპუსისათვის მნიშვნელოვანი და მერე მოეხსენებინათ.

ყოველ შემთხვევისათვის, მე პოლკებს საბრძოლო მზადყოფნა ვუბრძანე, მაგრამ იმ ღამეს არაფერი არსებითი არ მომხდარა.

და მაინც მე მოსვენებას არ მაძლევდა პოლკების მეთაურთა ცნობები ტანკების მოტორების ხმაურის შესახებ. საჭირო იყო ადგილზე თვითონ დამეზუსტებინა მდგომარეობა.

გამთენიისას 1209-ე პოლკში გავემგზავრე. დივიზიის პოლკებს შორის იგი ყველაზე მცირერიცხოვანი იყო, მე და მიხეილ ნიკიტას ძე პავლოვი თავდაცვის წინა მხარეს გავედით. იდგა შემოდგომის ჩვეულებრივი მოღუშული დღე, მაგრამ უცნაურად წყნარი: მოწინააღმდეგის მხრიდან ერთი გასროლაც არ გაგვიგონია. რა მოხდა? ჯერ კიდევ გუშინ და გუშინწინ მოწინააღმდეგე ჩვენი თავდაცვის წინა მხარეს და პლაცდარმის სიღრმეს ასობით ჭურვს აყრიდა. ახლა რატომღაა სიწყნარე?

უცბად ჰიტლერელ ოფიცრების ჯგუფი დავინახეთ. ისინი ბუჩქებს ეფარებოდნენ და ჩვენი წინა მხარის გასწვრივ აუჩქარებლად მიდიოდნენ. მერე შეჩერდნენ. ჭოგრიტში კარგად ჩანდა, ერთ-ერთ მათგანს ხელში რუკა ეჭირა. მაშასადამე, რეკოგნოსცირებას ატარებდნენ.

არტილერისტებს ფაშისტი ოფიცრების განადგურება ვუბრძანე. საიდანღაც პლაცდარმის სიღრმიდან ერთიმეორის მიყოლებით დაიქუხეს ზარბაზნებმა და იქ, სადაც ფაშისტი ოფიცრები იდგნენ, მიწისა და კვამლის სვეტები ავარდა.

ერთი წუთის შემდეგ ჩვენს უკან მომავალმა პავლოვის რადისტმა მიკროფონი გამომიწოდა.

— თქვენ გიძახიან, ამხანაგო დივიზიის მეთაურო!

მიკროფონში გენერალ ფროლენკოვის გუგუნა ბანი გაისმა:

— რამ შეგაშფოთა, მეზობელო? რა სროლა იყო?

მე ვუთხარი, რაც მოხდა.

— თავხედები! — გუგუნებდა ბანი მიკროფონში, — ჩემს უბანზეც გამოჩნდნენ ეგენი და კარგი ცეცხლიც შევუკეთე. ალბათ გაიგონებდი?

— კი, გავიგონე.

— კიდევ ერთი ახალი ამბავი: ბატოვმა ჩემი „მეურნეობის“ მეორე ეშელონზე გადასვლა შეცვალა და ძველებურად კვლავ შენს გვერდით ვრჩები...

ეს დღეც შედარებით მშვიდად გავიდა.

მეორე დღეს, ექვს საათზე უამრავი აფეთქების გამაყრუებელი გრუხუნი გაისმა. მოწინააღმდეგემ ჩვენი პლაცდარმის მთელ ფრონტზე საარტილერიო მომზადება დაიწყო.

გასროლებისა და აფეთქებათა გრუხუნი თანდათან გაძლიერდა — გაორმაგდა... გაათმაგდა... სახიკვდილო ჭურვები, თითქოს ეჯიბრებიანო, ისე წიოდნენ და მიმოფრენდნენ აქეთ-იქიდან, ეცემოდნენ მიწაზე და როგორც მოწინააღმდეგის, ისე ჩვენს მხარეს ერთდროულად ფეთქდებოდნენ. დივიზიისა და კორპუსის არტილერიის გარდა, რომლებიც უშუალოდ პლაცდარმიდან ისროდნენ, ტყიდან გამოსულ გერმანელთა ქვეითსა და ტანკებს ნარევიდან კიდევ საარტილერიო პოლკები და დივიზიონებიც ესროდნენ.

ერთი წუთის შემდეგ ჰაერში თვითმფრინავების დიდი ჯგუფებიც გამოჩნდა. ჰიტლერელ სვავებთან საჰაერო ბრძოლაში ჩაებნენ მე-16 საჰაერო არმიის გამანადგურებლები. დაბლა, ტყის წვერებზე გადავლით გაიქროლეს ჩვენმა მოიერიშე თვითმფრინავებმა.

არმიის საკომანდო პუნქტიდან რაციით გენერალმა ბატოვმა გამომიძახა, ვითარება გამოჰკითხა და გამამხნევა:

— გამაგრდი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ! შენს უბანზე მოქმედებას იწყებს მე-16 საჰაერო არმია, ხოლო მთელი არტილერიის ცეცხლი შენი და ფროლენკოვის „მეურნეობების“ შესაყარზეა მიმართული.

არმიის სარდალს დახმარებისათვის მადლობა გადავუხადე და თანაც შევპირდი, — ყველა ზომებს მივიღებთ და მტერს კი მდინარესა და ხიდისაკენ არ გავუშვებთ-მეთქი.

მაგრამ მტრის ტანკების გააფთრებული იერიშის უკუგდება და მისი ქვეითი ჯარის შეჩერება მთელი რიგი მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქნა. ერთი ასეთი უმთავრესი მიზეზთაგანი, როგორც ზემოთ ვთქვი, იყო ის, რომ პლაცდარმზე ჩვენ ძალიან ცოტა ჯარი გვყავდა.

ნარვის პლაცდარმზე მტრის კონტრიერიშის მოგერიებისას ჩვენი დროებითი წარუმატებლობა ზოგიერთ მემუარულ ნაწარმოებში ახსნილია იმით, თითქოს ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ საკმარისი სიფხიზლე, რის გამოც მოწინააღმდეგემ ჯერ კიდევ შემოტევის დაწყებამდე ფარულად განალმა დანაღმული მინდორი ჩვენი თავდაცვის წინა მხარეს, გააუვნებელყო იგი და თავის ტანკებს გზა გაუხსნა საბჭოთა ჯარების პოზიციისაკენ.

მე არ შემიძლია დავეთანხმო ასეთ მოტივირებას თუნდაც იმიტომ, რომ მზვერავები და მოთვალთვალენი დღე და ღამ თვალმოუშორებლივ ზვერავდნენ მოწინააღმდეგეს და მისი მოქმედება არაფრით არ დარჩებოდათ შეუმჩნეველი. ამიტომ მიმაჩნია, რომ კურსკის რკალზე დაშვებული ავბედითი შეცდომის შემდეგ, მოწინააღმდეგეს შეეძლო შეეცვალა თავისი ტაქტიკა და გაეუვნებელეყო ჩვენი ნაღმის წინაღობა საარტილერიო მომზადების დროს, რომელიც არანაკლებ ერთს საათს მაინც გაგრძელდა.

პლაცდარმის დაცვაზე მოწინააღმდეგის ასეთი ძლიერი დარტყმა, რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს ეს, ჩვენი არმიის სარდლობისათვისაც და შენაერთების მეთაურებისათვისაც უცაბედი და მოულოდნელი აღმოჩნდა. გერმანელ ფაშის-

ტთა სარდლობამ თავის ჯარებსა და, ნაწილობრივ, ტანკებსა და თვითმავალ არტილერიას თავი მოუყარა ჩვენი თავდაცვის წინა მხარიდან ათი-თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით, საიდანაც საარტილერიო მომზადების დაწყებისთანავე მათი ტანკები და ქვეითი ნაწილები უკვე იერიშზეც გადმოვიდნენ, ჩვენმა ოპერატიულმა დაზვერვამ არათუ თავის დროზე ვერ გამოიცნო მტრის ჩანაფიქრი, თვით ნარევის პლაცდარმის რაიონში მისი ჯარების თავმოყრის შესახებაც ძალიან ცოტა რამ იცოდა. ამასთანავე, მოწინააღმდეგემ ამ რაიონში მე-8 და 25-ე სატანკო დივიზიების ფარულად გადმოყვანაც მოახერხა. ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა „ვეფხვებითა“ და „პანტერებით“ ჩვენი ძველი ნაცნობი მე-5 სატანკო დივიზია სს „ვიკინგი“ და ფრონტის სხვა უბნებიდან და ზურგიდან გადმოყვანილი ახალი ძალებით ქვეითი ნაწილები და ქვედანაყოფებიც შეავსო.

სემწუხაროდ, ყველაფერი ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა დარტყმა უკვე განხორციელებული იყო და ფაშისტთა ტანკები ჩვენს პოზიციებს მოადგნენ, ხოლო ადგილ-ადგილ თავდაცვის ზონაში შემოჭრაც კი მოახერხეს.

ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ისიც იყო, რომ მტერმა მსხვილი ძალებით (400 ტანკითა და თვითმავლით და შესაბამისი რაოდენობის ქვეითით) მოახდინა დარტყმა ჩვენი თავდაცვის შედარებით ვიწრო ზოლზე.

ჩვენს საბრძოლო წყობაში მტერი თავბრუდამხვევი სისწრაფით შემოიჭრა და ამ მიზეზით ერთგვარი უპირატესობაც მოიპოვა — პირველი წუთებიდანვე ცნობილი გახდა მისი ძლიერი დარტყმის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი — დაეკავებინა ნარევის ხიდი, მოეხდინა მდინარეზე საბორნე გადასვლისას ლოკალიზება და მოეჭრა უკან დასახევი და მდინარეზე გადასასვლელი გზა პლაცდარმზე მოქმედი ჩვენი ჯარებისათვის, აგრეთვე არ მიეცა ნარევის სწრაფი გადალახვისა და პირველი ეშელონის შენაერთებისათვის მხარდაჭერის შესაძლებლობა 65-ე არმიის იმ ნაწილებისათვის, რომლებიც მდინარის აღმოსავლეთ ნაწილზე იმყოფებოდნენ.

4 ოქტომბერს, ნაშუადღევს, ჩვენი და მეზობელი 193-ე დივიზიის მსროლელი პოლკები, მიუხედავად მათი პირადი შემადგენლობის გმირული წინააღმდეგობისა, მოწინააღმდეგის ჭარბმა ძალებმა ზედმეტად შეავიწროვეს და მდინარის ახლო მისადგომებამდე გადმორეკეს. ბრძოლა მიმდინარეობდა ჩემი საკომანდო პუნქტიდან სულ რაღაც 800 მეტრის დაშორებით, ხოლო მდინარე ნარევამდე რჩებოდა არა უმეტეს 500 მეტრისა. მოწინააღმდეგე შეუწყვეტლად უტევდა და თავისი დარტყმები ერთი უბნიდან მეორეზე გადაჰქონდა. მისი მიზანი ცხადზე უცხადესი იყო: გარშემორტყმოდა ორივე დივიზიას და გაენადგურებინა, მაგრამ ჩვენი მეომრების გაუტეხლობამ და მედგარმა წინააღმდეგობამ ჩაშალა მათი მზაკვრული ჩანაფიქრი.

მტერი, საითაც არ უნდა გაჭრილიყო, ყველგან საკადრის წინააღმდეგობას აწყდებოდა. ხშირად ჩვენი ქვედანაყოფების თვით მცირე ჯგუფებიც კი თავისი გმირობითა და მამაცობით აიძულებდნენ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს, შეეწყვიტათ იერიშები, ანდა სულაც საწყისი პოზიციებისაკენ დაეხიათ.

დივიზიის ქვედანაყოფების აბსოლუტური უმრავლესობა უკანასკნელ შესაძლებლობამდე უმკლავდებოდა მტრის დაწოლას. მაგრამ რიგ უბნებზე ვითარება მაინც წუთი-წუთს რთულდებოდა. დივიზიის საკომანდო პუნქტსა და პოლკებს შორის სატელეფონო კავშირი დიდი ხანია გაწყდა. რადიოთი დაკავშირებაც ყოველთვის არ ხერხდებოდა. ბრძოლაში რადისტებიც ხომ გამოდიოდნენ მწყობრიდან, ხოლო მათი შეცვლა ხშირად ნაკლებგამოცდილი ან რადიოკავშირის ცუდად მცოდნე ადამიანებით გვიხდებოდა.

ბრძოლა გრძელდებოდა, გრიალებდნენ საარტილერიო ჭურვები და ნაღმები. ჰიტლერელები ხიდისკენ მიიწევდნენ, ცდილობდნენ ან ხელში ჩაეგდოთ იგი, ანდა აეფეთქებინათ, რომ ჩვენ მთლიანად მოვწყვეტოდით აღმოსავლეთ ნაპირს.

დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე მეკავშირემ ტელეფონთან მიმიხმო.

— თქვენთან საუბარი ექნება ამხანაგ ჟუკოვს, — გავიგონე ტელეფონში გენერალ პ. ი. ბატოვის ხმა.

მე უკვე ვიცოდი, რომ ჟუკოვი და როკოსოვსკი არმიის საკომანდო პუნქტზე იმყოფებოდნენ, მაგრამ როცა მთავარი ბანაკის წარმომადგენლის ხმა გავიგონე, ჩემი გაზრდილი მოვალეობაც ახალი ძალით ვიგრძენი.

— როგორ არის საქმე, ამხანაგო ჯანჯღავა? იმედი მაქვს, თქვენ არ აპირებთ პლაცდარმის დატოვებას? ჩვენ ვიცით, რომ ახლა უკიდურესად გიჭირთ და ყველა ზომას ვიღებთ თქვენს დასახმარებლად. მდგომარეობას ვგრძნობთ და ვიცით, ამიტომ მოხსენებას აღარ გთხოვთ. თქვენმა დივიზიამ თავი გამოიჩინა ნარევის პლაცდარმის დაკავებაშიც და გვჯერა, რომ მის დაცვაშიც ასეთივე გამორჩევით იმოქმედებს. ამჟამად საარტილერიო დივიზია გარღვევის მისადგომებთან იმყოფება და აღმოსავლეთ ნაპირიდან დაგიჭერთ მხარს. პავლე ივანეს ძეს მიღებული აქვს განკარგულება და თქვენს პლაცდარმზე ამაღამ მოვლენ მძიმე სატანკო-თვითმავალი პოლკი და საარტილერიო ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადა, ხოლო ბორისოვის „მეურნეობა“ (44-ე გვარდიული მსროლელი დივიზია) როგორც იცით, უკვე იწყებს მდინარეზე გადასვლას. ასე რომ, ცოტაც უნდა მოითმინოთ, ამხანაგო ჯანჯღავა, ახლა პლაცდარმზე მთელი

ჩვენი წარმატება თქვენს გამძლეობაზეა დამოკიდებული.

— მტრის ტანკები მდინარისაკენ ვერ გავლენ, ამხანაგო მარშალო, — დავარწმუნე მთავარი ბანაკის წარმომადგენელი, — ოღონდ გთხოვთ ხვალისათვის ძლიერი საავიაციო მხარდაჭერა გაითვალისწინოთ.

მარშალ ჟუკოვის შეპირება იმ უზომოდ გაჭირვებულ დროს საარტილერიო შენაერთის მოსვლის შესახებ, ჩვენთვის ყველაზე სასიხარულო ამბავი იყო.

ჰიტლერელები კი სულ უფრო ძლიერად გვატევდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვუძლებდით, თუმცა, რომ იტყვიან, ორივე ფეხით ცეცხლში ვიდექით.

ომის დროს ხანდახან უცნაურობაც ხდება ხოლმე. მახსოვს კლუბ-ბლინდაჟში შევედი, წამით მივუჯექი მაგიდას და, ალბათ, ძლიერი ნერვული დაძაბულობისაგან, უცბად მკვდარივით ჩამეძინა. იგი თვალისდახამხამებაზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ როცა გამეღვიძა, მეგონა, რომ რამდენიმე საათს მეძინა.

ორდინარეცს გავძახე; წყალი მოვატანინე, დავიბანე და საჩქაროდ გამოვფხიზლდი.

საკომანდო პუნქტზე შემოიარა პოლკოვნიკმა ვ. კ. ბუცალმა. უზომოდ დაღლილს, კვამლისა და მტვრისაგან სახე მთლად ჩაშავებოდა. მთელ დღეს იგი ნაწილებსა და ყველაზე პასუხსაგებ უბნებში იმყოფებოდა.

...მალე, დივიზიის სათვალთვალო პუნქტიდან პოლკოვნიკ ბუცალის წასვლის შემდეგ, რაციაზე კორპუსის მეთაურმა გენერალმა ალექსეევმა გამომიძახა და სულ რამდენიმე სიტყვა მითხრა.

— მიიღე „კოლოფები" შენს სრულ განკარგულებაში.

„კოლოფებს" ფრონტზე ტანკებს ვეძახდით. თუმცა ეს მოწინააღმდეგისათვის დიდი საიდუმლო არ იყო, მაგრამ ტანკებს ყველა ასე ვეძახდით ჯარისკაციდან დაწყებული და გენერლით გათავებული.

მთელ ღამეს მთლად პაწაწინა პლაცდარმზე — მდინარისპირა მიწის ნაჭერზე — ჩვენი დივიზიის მიერ დაცული ხიდით გამოდიოდნენ ტანკები, არტილერია, მსროლელი ქვედანაყოფები, 44-ე დივიზიის გვარდიელები და მენაღმეები. მე ნაბრძანები მქონდა მაგარი თავდაცვის მოწყობა, რომ მდინარეზე გადმოსული ყველა ნაწილები დილიდანვე ჩვენთან ერთად დაუყოვნებლივ შედგომოდნენ საბრძოლო ამოცანის შესრულებას — მოწინააღმდეგის .უკუგდებასა და პლაცდარმის გაფართოებას.

ისე ვიყავით დაღლილები, რომ ფეხზე დგომა ნამდვილად გვიჭირდა, მაგრამ დასვენებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. გათენებამდე პლაცდარმზე გადმოვიდნენ გამაძლიერებელი და ახალი ბრძოლებისათვის გამზადებული ნაწილები. ყველა მეთაურისათვის უნდა მიმეცა [illegible] გამომეყო უბანი და ახლად მოსულ[illegible] უზარმაზარი რიცხვი ისე განმელაგებინა პაწაწინა პლაცდარმზე, რომ გათენებისას შეუფერხებლად შესდგომოდნენ საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

მახსოვს, შუაღამისას ბლინდაჟში დაბალი, ჯმუხი პოლკოვნიკი შემოვიდა.

— მძიმე სატანკო-თვითმავალი პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ვაინერმანი, — მომახსენა მან.

— ვაინერმანი? — შევუბრუნე კითხვა, მაგიდაზე გაშლილ რუკას თვალი მოვწყვიტე და თვითნაკეთი ლამფის მკრთალ შუქზე მისი სახის გარჩევას შევეცადე.

— სწორედ ასე, ამხანაგო ჯანჯღავა!

იმავ წამს მეც ვიცანი ჩემი თანაკურსელი ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლიდან! ჯერ კიდევ სწავლის დროს ეტყობოდა, რომ მისგან წითელი არმიის კარგი მეთაური დადგებოდა, და ახლა უზომოდ გამიხარდა, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ურთიერთშეთანხმებული მოქმედება მოგვიწევდა.

ბევრი რამ გვქონდა სათქმელი და მოსაგონარი, ცამეტი წელი იყო, რაც ერთმანეთი არ გვენახა, მაგრამ მდგომარეობა ინტიმური საუბრის საშუალებას არ იძლეოდა. მეორედ მხოლოდ ომის შემდეგდა შევხვდით, გერმანიის ქალაქ შტრანსში, როცა იქ სამამულო ომის გამოცდილების განზოგადების საკითხებზე კონფერენცია მიმდინარეობდა და საუბრით გული კარგად ვიჯერეთ.

იმ ღამეს კი 4-დან 5 ოქტომბრამდე, მე იძულებული ვიყავი, ვაინერმანის პოლკისათვის მძიმე საბრძოლო დავალება მიმეცა, რომელიც პირადი შემადგენლობისაგან და მეთაურისაგანაც დიდ სიმამაცესა და თავგანწირვას მოითხოვდა. მძიმე სატანკო-თვითმავალი პოლკი გავგზავნე 1203-ე მსროლელი პოლკის განლაგებაში, რომ მასთან ერთად დაეცვა ნარევის მოსახვევი პოგოჟელეცის რაიონში, სადაც ჯიუტად მიიწევდა მოწინააღმდეგე, და პოგოჟელეც-კარნევსკის გზატკეცილზე გამაგრებულიყო. ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ვაინერმანის პოლკმა ეს რთული ამოცანა საუკეთესოდ შეასრულა.

ღამით დროს უქმად არც ჰიტლერელები კარგავდნენ. პლაცდარმის ზღუდეზე მათ ახალი ძალები გადმოისროლეს — სატანკო და ქვეითი ნაწილები, რომელთაც უკან მსხვილი საარტილერიო დაჯგუფება მოჰყვა. ჩვენ ვიცოდით, რომ დილიდანვე მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მოგველოდა, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცოდით და გვწამდა, რომ პლაცდარმს შევინარჩუნებდით.

გარიჟრაჟზე დაიწყო ძლიერი საარტილერიო დუელი. ცეცხლისა და ფოლადის ამ გააფთრებულ შეჯიბრში მოწინააღმდეგეს კვლავ გარკ-

ვეული უპირატესობა ჰქონდა. ჰიტლერელთა არტილერისტები ცეცხლს უშენდნენ ძირითადად მხოლოდ ზილულ პაწაწინა პლაცდარმს, სწორედ ამიტომ ჩვენთვის აუცილებელი იყო, დაგვესუსტებინა მოწინააღმდეგის ძალები და საომარი მოქმედების ასპარეზიც გაგვეფართოვებინა.

როგორც წინა დღეს, იერიში ახლაც პირველმა მოწინააღმდეგემ დაიწყო. ბრძოლაში ერთდროულად ჩაებნენ რამდენიმე სატანკო და ქვეითი ჯგუფები. მაგრამ იერიში სწრაფად დასუსტდა, იგივე ბედი ეწია მეორე, მესამე და მეოთხე იერიშებსაც, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით მეორდებოდა, იწვოდა მტრის ტანკები, თვითმავლები და ჯავშნიანი მანქანები. ჩვენი საბრძოლო პოზიციის წინ ასობით თავგიხფერ ფარაჯიანთა გვამები ეყარა... ტანკსაწინააღმდეგო არტილერია ცეცხლს უშენდა მოიერიშე ტანკებს, ზოლო ღამის განმავლობაში მოსული გარღვევის საარტილერიო დივიზია, რომლის შესახებაც წინა დღეს მელაპარაკა გ. კ. ჟუკოვი, — გზას ულობავდა შეტევაზე წამოსულ ქვეითსა და ტანკებს, რომლებიც კარგად მოჩანდა აღმოსავლეთ ნაპირიდან.

განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა ტრიგონომეტრიული პუნქტის 110,5 სიმაღლისათვის, რომელიც სახაფლაოს რაიონში, სოფელ ძერჟენინის მახლობლად მდებარეობდა.

ორმოცდაოთხი წლის 5 ოქტომბრის გააფთრებული ბრძოლები მთელი სიცოცხლე ეხსომება ყველას, ვინც კი პლაცდარმის დამცველთაგან იმ დღეს ცოცხალი გადარჩა.

უნდა ითქვას, რომ პლაცდარმზე მიმდინარე გააფთრებული ბრძოლები კარგად ჩანდა მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე განლაგებული არმიის სარდლისა და კორპუსის მეთაურის სათვალთვალო პუნქტებიდან. ისინი გარკვევით ხედავდნენ, სად, ჩვენი ჯარების რომელ საბრძოლო წყობებში ჩნდებოდა რღვეულები, სად იყო მოსალოდნელი მისი წარმატებით განვითარება და სად უფრო ვსაჭიროებდით სასწრაფო საარტილერიო და საავიაციო მხარდაჭერას. ამიტომ ჩვენ უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის ვითარების ხშირი მოხსენება და დახმარების თხოვნაც კი ძალიან ნაკლებად გვიხდებოდა. პირიქით, არმიის სარდლის სათვალთვალო პუნქტიდან მარშალი ჟუკოვი გენერალი ბატოვი და ჩვენი კორპუსის მეთაური გენერალი ალექსეევი ბრძოლის ველს გაცილებით უკეთ ხედავდნენ, ვიდრე ჩვენ, ბრძოლის შუაგულში მყოფი დივიზიის მეთაურები და, ამდენად, ჯარების საბრძოლო მოქმედების მართვა უფრო უადვილდებოდათ.

დაახლოებით შუადღისას, როცა ყველაზე მეტად გვიჭირდა, ჩემთან მოვიდა მაღალი, წარმოსადეგი პოდპოლკოვნიკი:

— პოდპოლკოვნიკი რაჟდენ რუხაძე, — მომახსენა მან, — ცალკე მსროლელი ბრიგადის მეთაურის მოვალეობის ამსრულებელი. არმიის სარდლის ბრძანებით გამოვცხადდი თქვენს განკარგულებაში. ბრიგადა სრულძალოვანია და შეუძლია, მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს ყველაზე პასუხსაგებ უბანზე.

რუხაძეს ხელი გავუწოდე და არმიის სარდალს გულში მადლობა გადავუხადე, რომ ჩემს თხოვნას არ დაელოდა და ამ გაჭირვების ჟამს ასეთი აუცილებელი გაძლიერება გამომიგზავნა.

პოდპოლკოვნიკი რუხაძე საბრძოლო ვითარებაში გავარკვიე, ვუჩვენე თავდაცვის უბანი სოფელ ძერჟენინის მახლობლად და მივეცი დავალება, რომ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეცვა პულტუსკ-სეროცკის საროკადო გზატკეცილი.

რუხაძე საკმაოდ საზრიანი მეთაური გამოდგა და უმალ მიხვდა, მისი ბრიგადის წინაშე რა რთული ამოცანაც იდგა. ამოცანას კიდევ ისიც ართულებდა, რომ ბრიგადა შემდგომი იერიშისათვის საწყის მდგომარეობაზე დღისით უნდა გადასულიყო, ხოლო ჰაერში მოწინააღმდეგე ბატონობდა და ჯარების ყოველ გადაადგილებას თვალფხიზლად აკონტროლებდა. ამისდა მიუხედავად, რაჟდენ რუხაძემ შეძლო მტრის ავიაციის შეუმჩნევლად, ფარული მისადგომებით თავდაცვის შექმნა და დღის განმავლობაში არა მარტო აკავებდა მოწინააღმდეგეს, არამედ რამდენჯერმე თვითონაც წარმატებით გადავიდა იერიშზე. ჩვენს დივიზიასთან ურთიერთმოქმედებით ორი დღე-ღამის მანძილზე რუხაძის ბრიგადამ საპატიოდ შეასრულა მიცემული დავალება, გაანადგურა მტრის ოცამდე ტანკი, მისი ქვეითი ნაწილები, და არ მისცა შესაძლებლობა, რომ ჩვენი თავდაცვის სიღრმეში შეჭრილიყო.

ძალიან მინდოდა დიდხანს დამერჩინა ეს ბრიგადა ჩემთან, მაგრამ პავლე ივანეს ძემ დამარეკა და მკაცრი ხმით მითხრა:

— გამოიყვანე ბრიგადა ბრძოლიდან და თავი მოუყარე მეორე კორნოვეცის რაიონში. ერთი ამას დამიხედეთ, როგორი ეშმაკია: თითი მიეცი და ხელსაც წაგაჭამს!

მე გამეორებით ვთხოვე არმიის სარდალს, რომ რუხაძის ბრიგადა ერთ-ორ დღეს კიდევ დაეტოვებინა დივიზიის განკარგულებაში, რადგან მოწინააღმდეგე კვლავ ძლიერად გვიტევდა და ცდილობდა ნარევზე გასვლას, მაგრამ პავლე ივანეს ძე არაფრით არ დამთანხმდა და ჩემს თხოვნაზე გამიწყრა კიდეც. მივხვდი, რომ არმიის რომელიღაც სხვა უბანზე უფრო უჭირდა და ალარც მე დავაძალე, — უყოყმანოდ შევასრულე სარდლის ბრძანება, თუმცა ბრიგადის წასვლისთანავე ჩვენს დივიზიას საკმაოდ გაუჭირდა.

გამომშვიდობებისას რუხაძეს ვთხოვე, შეედგინა რელაციები ბრძოლაში განსაკუთრებით

თავგამოჩენილი მებრძოლებისა და მეთაურებისა, და გადმოეცა ჩემთვის. თვითონ რუხაძე ნარევის ბრძოლისათვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

მე და რაჟდენ რუხაძე ერთმანეთს ხელახლა შევხვდით ომის შემდეგ. იგი იმავე კორპუსში მსახურობდა, რომელსაც მე ვმეთაურობდი. უზომოდ გამიხარდა, რომ ეს მამაცი და მცოდნე მეთაური კვლავ ჩემს კორპუსში მოხვდა.

ბრძოლები პლაცდარმზე 10 ოქტომბრამდე გაგრძელდა, მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე, პასუხსაგები და სისხლისმღვრელი 5 ოქტომბრის ბრძოლა იყო.

ჰიტლერელები ისე საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ნარევის პლაცდარმის კონტრიერიშისათვის და ისე იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ წარმატებაში, რომ პირველსავე დღეს, საღამოს, როცა რამდენადმე მოახერხეს ჩვენი ნაწილების შევიწროვება, რადიოთი უკვე გადმოსცეს პლაცდარმის სრული ლიკვიდაცია და წარმატებისათვის იქ მოქმედ ჯარებს ფაშისტთა სარდლობამ მადლობაც კი გამოუცხადა. ეს უფრო იმიტომ გააკეთეს, რომ გაემხნევებინათ სხვა ფრონტებზე მებრძოლი თავიანთი ჯარები, რომლებიც ზედიზედ მარცხდებოდნენ. ხოლო პლაცდარმი ამ დროს კვლავ მტკიცედ იდგა, ცოცხლობდა და იბრძოდა. ჩვენ ყოველდღე ვზრდიდით ჩვენს დარტყმებს. ჩვენ მტერზე გაცილებით ძლიერები გამოვდექით. ძლიერი იყო ჩვენი მებრძოლების საბრძოლო და მორალური სულისკვეთება, ძლიერი გამოდგა ჩვენი ტექნიკაც და მეთაურთა სამხედრო ხელოვნებაც. ჩვენმა მეთაურებმა ამ ბრძოლებში მაღალი საბრძოლო ოსტატობის ყველაზე სერიოზული გამოცდა ჩააბარეს. მაღალი იყო თვით ჯარების ოსტატობაც, რომელთაც უშუალოდ საბჭოთა კავშირის მარშალი როკოსოვსკი და გენერალი ბატოვი ხელმძღვანელობდნენ.

პლაცდარმზე ბრძოლის დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთ საუბრისას, მარშალმა როკოსოვსკიმ მითხრა:

— მაშინ თქვენ მართლაც მაგრად იდექით, ამხანაგო ჯანჯღავა, და მე უნდა გითხრათ, ნარევისთანა დარტყმა მოწინააღმდეგეს ჩვენთვის ორმოცდაერთ ან თვით ორმოცდაორ წელშიც რომ მიეყენებინა, ჩვენ არა თუ შევინარჩუნებდით პლაცდარმს, არამედ მტრისთვის მნიშვნელოვანი სივრცის დათმობაც მოგვიწევდა. ნარევის დარტყმის მოგერიებას მართლაც დიდი ძალა მოვანდომეთ.

დიახ, მტრის დარტყმას ნარევის პლაცდარმზე კურსკის რკალის დარტყმა თუ შეედრება. აქაც, ნარევზე, როგორც ორმოცდასამი წლის ზაფხულში კურსკთან, ჩვენმა ჯარებმა შეუდარებელი ოსტატობის, ბრძოლისუნარიანობისა და გმირობის მაგალითები გამოავლინეს.

ჯიქურ და გაბედულად გადადიოდნენ იერიშზე ჩვენი მსროლელი პოლკების მწკრივები, მიიწევდნენ წინ ტანკებთან და თვითმავლებთან ერთად. უშენდნენ ცეცხლს ავტომატებითა და ყუმბარებით და ჰიტლერელებთან ხელჩართულ ბრძოლებში ებმებოდნენ, ანადგურებდნენ მტერს და მოწინააღმდეგის არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლით თვითონაც ზარალდებოდნენ...

ექვს დღეს, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, გრძელდებოდა მკაცრი და სისხლისმღვრელი ბრძოლები, იერიშები და კონტრიერიშები. ასობით მოტორის გუგუნი, მუხლუხების ღრჭიალი, დამწვარი ზეთის მახრჩობელი კვამლი, საარტილერიო ჭურვების, ნაღმებისა და ავიაბომბების უწყვეტი, გააფთრებული ქუხილი. ასეთი იყო ის სამახსოვრო დღეები პოლონური მდინარის ნარევის დასავლეთ სანაპიროზე. ყოველდღე, მარტო დივიზიის თავდაცვის უბანზე, მტრის ოციათასამდე ჭურვი, ნაღმი და საავიაციო ბომბი სკდებოდა.

10 ოქტომბრამდე ჰიტლერელები განუწყვეტლივ უტევდნენ ჩვენს ჯარებს ნარევის გაღმა, უტევდნენ უზარმაზარი ძალებით. მოწინააღმდეგის დაჯგუფება შედგებოდა ხუთი სატანკო დივიზიისა და სატანკო ბრიგადისაგან, ორი ქვეითი დივიზიის, რვა მოტოქვეითი პოლკის, ორმოცდაათზე მეტი საარტილერიო ბატარეის, ოცდაათზე მეტი ნაღმსატყორცნი ბატარეის, დიდი რაოდენობით რეაქტიული მოქმედების სატყორცნი აპარატებისა და ექვსი და ათლულიანი ნაღმსატყორცნებისაგან.

მთელი ეს არმადა თანდათანობით სუსტდებოდა და ჰკარგავდა მოქნილობას, ხოლო 10 ოქტომბერს როგორღაც უცბად გაქრა კიდეც. ამისი მიზეზი, რა თქმა უნდა, მარტო ფაშისტი ყაჩაღებისა და მათი მმართველობის ნერვების სისუსტე არ ყოფილა. ფაშისტები პლაცდარმის დამცველი საბჭოთა მეომრების ასეთ გამძლეობას და სიმამაცეს არ მოელოდნენ. ისინი პლაცდარმის დაკავებას ერთ დღეში ვარაუდობდნენ, სინამდვილეში კი ექვს დღეს მოუხდათ ბრძოლა და თანაც უშედეგოდ. თუმცა „შედეგი" მაინც იყო — აურაცხელი, აუნაზღაურებელი დანაკარგი.

ერთ თვეზე მეტი ხნის ბრძოლის მანძილზე, ჩვენი პოლკების მდინარე ნარევზე გადასვლის დასაწყისიდან 10 ოქტომბრამდე, მარტო ჩვენი დივიზიის მოქმედების უბანზე მოწინააღმდეგემ დაკარგა სამიათასნახევარზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ორმოცდაათზე მეტი ტანკი და თვითმავალი, 65 საარტილერიო ქვემეხი, ასობით ტყვიამფრქვევი, უამრავი ავტომანქანა, საწევარი და სხვა სამხედრო ტექნიკა. ხოლო ჰიტლერელთა საერთო დანაკარგი ნარევის გაღმა, 65-ე არმიის მოქმედების ზოლში, შეადგენდა არანაკლებ 20 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს, დაახლოებით 400 ტანკს, თვითმავალ ქვემეხსა და

ჯავშნიან მანქანას. ასეთი დანაკარგის შემდეგ იერიშებისა და კონტრიერიშების გაგრძელება მართლაც უაზრობა იქნებოდა.

ბუნებრივია, საკმაოდ დაზარალდნენ 65-ე არმიის ჯარებიც, განსაკუთრებით კი ჩვენი და მეზობელი — 198-ე და 108-ე მსროლელი დივიზიები, აგრეთვე, სატანკო და საარტილერიო ნაწილები .მაგრამ ჩვენმა ჯარებმა პლაცდარმის დაცვაში შეინარჩუნეს უმთავრესი რამ — მაღალი საბრძოლო სულისკვეთება. მცირე ხნის შესვენების შემდეგ კი — 18 ოქტომბერს თვითონვე გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე და რამდენიმე დღის განმავლობაში არა მარტო ძველ საზღვრებში აღადგინეს ნარევის პლაცდარმი, არამედ თითქმის ორმაგად გააფართოვეს, ძირითადად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მდინარე დასავლეთ ბუგის ნაპირებამდე.

თვის ბოლოს 854-ე დივიზიის პოლკებმა კვლავ დაიკავეს თავდაცვა დაახლოებით იმავე უბანზე, სოფელ მეშკის პირდაპირ, რომელზეც 4 ოქტომბერს უეცარი იერიშით დაგვესხნენ თავს მოწინააღმდეგის ჭარბი ძალები.

დადგა დრო შედარებით ხანგრძლივი შესვენებისა, დივიზიების შევსებისა და ახალი ბრძოლებისათვის მზადებისა.

## ორმოცდამეხუთე წელი

იანვარი კარზეა მომდგარი, ამბობენ, ზამთარი პოლონეთში ისეთი ყინვიანი არ იცის, როგორიც, მაგალითად, მოსკოვში ან კურსკსა და ორიოლში. ეს ნამდვილად ასეც არის, მაგრამ ზამთარი პოლონეთშიც ზამთარია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სანგრებში იმყოფებიან. დროდადრო ისეთი გრიგალი ბობოქრობს, რომ მოსკოვური და კურსკულიც ვერ შეედრება.

სწორედ ერთ ასეთ თოვა-ქარიან დღეს ხუთსა და ექვს რიცხვში ჩვენთან, 854-ე დივიზიაში არმიის სარდალი გენერალი ბატოვი მოვიდა. მოვიდა ჯავშნიანი მანქანით, შტაბის ოფიცერთა ჩვეულებრივი ამალის გარეშე. მხოლოდ ადიუტანტის თანხლებით.

მე მას შევხვდი დივიზიის საკომანდო პუნქტის გვერდით, რომელიც საიმედო, საკმაოდ ღრმა და კარგად შენიღბულ ბლინდაჟში იყო მოთავსებული. წესისამებრ, ვითარების მოხსენებას შევუდექი.

— ვიცი, ვიცი, — გამაწყვეტინა პავლე ივანეს ძემ, — დგეხარ მოგერიებაზე, ამზადებთ პირად შემადგენლობას შეტევისათვის... ყველაფერი ცნობილია. სჯობია, წავიდეთ და ცალკე მოვილაპარაკოთ.

არმიის სარდალმა მეგობრულად ჩამომართვა ხელი, მერე მკლავი გამიყარა და ბლინდაჟში ერთად შევედით.

— რუკა! — არმიის სარდალმა მკვეთრად შემობრუნა თავი კარებში მდგარი ადიუტანტისაკენ, რომელმაც ჩვეული სიმარჯვით ფართოდ გაშალა რუკა მაგიდაზე. — ახლა კი გაისვენებ, თუ დამჭირდები, დაგიძახებ, — დაუმატა გენერალმა და ამით აგრძნობინა ადიუტანტს, რომ ჩვენს საუბარში მისი დასწრება სავალდებულო არ იყო.

პავლე ივანეს ძე დიდხანს და ყურადღებით აკვირდებოდა რუკას, თითქოს მას პირველად ხედავდა. რუკაზე, კარგა შორ მანძილზე გაჭიმულ პლაცდარმის თავდაცვის წინა მხარეს გამოკვეთილად იყო აღნიშნული ექვსი მსროლელი დივიზიის ნომრები.

— შეტევისათვის მზადა ხართ, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ? — მკითხა ბოლოს არმიის სარდალმა და რუკას თვალი მოსწყვიტა.

— ჯერ მთლად არა, — ვაღიარე გულახდილად.

— რა გიშლის ხელს?

— შევსებაზე ვმუშაობთ, ამხანაგო სარდალო!

თუ როგორ გვქონდა შევსების საბრძოლო მომზადების სქემა, პავლე ივანეს ძემ ალბათ ჩემზე ნაკლებ არ იცოდა, არა მარტო ჩვენსაში, არამედ სხვა დივიზიებშიც.

შევსება ჩვენცა და ჩვენმა მეზობელმა დივიზიებმაც დეკემბრის შუა რიცხვებში მივიღეთ. მისი დიდი ნაწილი შედგებოდა ძირითადად სამხედრო კომისარიატების მიერ მოლდავეთიდან გაწვეული გაუწვრთნელი და ბრძოლაუნახავი ახალგაზრდებისაგან. ახალწვეულთა შორის საკმაოდ ბევრნი იყვნენ რუსული ენის ცუდად მცოდნენიც, რაც დამატებით აძნელებდა მათთვის სამხედრო საქმის სწავლებას. მიუხედავად ამისა, ახალბედებთან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების სასწავლო მეცადინეობები სწრაფად და შეუფერხებლად ტარდებოდა.

შევსების ანგარიშზე ჩვენ პირველ რიგში მსროლელი ასეულები გავაძლიერეთ. მართალია, ბევრი მათგანი მთლიანად არ დაკომპლექტდა, მაგრამ მთავარს მაინც მივაღწიეთ — ყველა მსროლელი პოლკი კვლავ სამბატალიონიანი გავხადეთ. პირადი შემადგენლობით ახევე დავაკომპლექტეთ დიდად დაზარალებული 921-ე საარტილერიო პოლკიც, რომელმაც იმავდროულად ახალი, უფრო თანამედროვე შეიარაღებაც მიიღო. ამგვარად, დივიზიამ თავისი ძველი ძალა აღადგინა.

დეკემბრის ბოლოს კორპუსებისა და დივიზიების მეთაურები საიდუმლოდ და მკაცრად გაგვაფრთხილეს იმის შესახებ, რომ შეტევა არა უადრეს იანვრის მესამე დეკადაში დაიწყებოდა. და ჩვენც ახალი მებრძოლებით შევსებული ქვედანაყოფების საბრძოლო მომზადებისათვის ხელთ ეს მინიმალური დროლა გვრჩებოდა.

მაგრამ ბოლომდე არც ეს შეგვრჩა. მოულოდნელად ახალი მითითება მოვიდა: ყველაფერი, რის გაკეთებაც 20 იანვრისთვის იყო განსაზღვრული, 14 იანვრისთვის უნდა მოგვესწრო, ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები დანიშნულ დროზე 5-6 დღით ადრე უნდა გაგვეყვანა შეტევაზე — ასეთი იყო ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის კატეგორიული მოთხოვნა.

— ცოტა უნდა გავიპიროთ, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, დრო აღარ იცდის, — მითხრა არმიის სარდალმა, — და აი, კიდევ რა, — დაუმატა მკაცრად, — შეტევის დროის გადატანის შესახებ ხმა-კრინტი! უმკაცრესი საიდუმლოა, ძალიან უმკაცრესი. — გაიმეორა ერთხელ კიდევ გენერალმა.

ჰიტლერელთა წინააღმდეგ შეტევა, როგორც გენერალმა ბატოვმა თქვა, ერთდროულად ხუთ ფრონტზე დაიწყებოდა. შეტევითი ოპერაციის მთავარი ამოცანა ის გახლდათ, რომ გაგვენადგურებინა მოწინააღმდეგე პოლონეთის მიწა-წყალზე და გავსულიყავით ოდერზე. ამასთანავე, მოგვეკვეთა და შეგვემუსრა მტრის ძლიერი დაჯგუფება აღმოსავლეთ პრუსიაში.

ჩვენი 65-ე არმიის ჯარებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ბელორუსიის მეორე ფრონტის შემადგენლობაში იქნენ შეყვანილი, უშუალოდ უნდა მიეღოთ მონაწილეობა აღმოსავლეთ პრუსიის ჯგუფების განადგურებასა და მოსპობაში. რაკიღა შეტევის დაწყებამდე ჯერ კიდევ ათი დღე-ღამე რჩებოდა, სარდალს დეტალები არ დაუზუსტებია, მხოლოდ შენიშნა, რომ არმიის ზოლში იგი დაიწყებოდა ერთდროულად ნარევის ორივე პლაცდარმზე — სეროცკისა და პულტუსკის პლაცდარმებზე.

14 იანვრის ღამეს, შტაბის ოფიცერთა ჯგუფის თანხლებით გავედით სათვალთვალო პუნქტზე, რომელიც ტყის პირას, სოფელ პისკარნიადუეას მახლობლად მდებარეობდა. თავდაცვის წინა მხარეს, ღამის საფარქვეშ, ყველგან მიმდინარეობდა ბრძოლისათვის მზადება. დივიზიისა და პოლკის ტანკსაწინააღმდეგო... ტანკგამანადგურებლებს უხმაუროდ გადაჰქონდათ თავიანთი ზარბაზნები ქვეითი ნაწილების საბრძოლო მწყობრებში და პირდაპირი დამიზნების ცეცხლდაშენაზე აყენებდნენ. საწევრებსა და სატვირთო ავტომობილებს ასევე წინა ხაზზე გადაჰქონდათ „კატიუშები“ და წინასწარვე განსაზღვრულ მძიმე ქვემეხების პოზიციებზე დგამდნენ. ქაობზე, რომელზეც ხეფენილის საიმედო გზა გადიოდა, თავს იყრიდნენ მძიმე ტანკები, აგრეთვე ნაღმსაწინააღმდეგო ტრალებით აღჭურვილი „ოცდათოთხმეტიანები“.

ახლოვდებოდა უფერული, ბურუსიანი დილა. ირგვლივ ყველაფერი ხშირ ნისლში იყო გახვეული, თვალსაწიერი ორას მეტრს არ აღემატებოდა. ნისლი ჯარების მართვაში ზედმეტ, გაუთვალისწინებელ სიძნელეს ქმნიდა, მაგრამ შეტევისათვის ყველაფერი უკვე გამზადებული იყო.

იერიშის დაწყებამდე სამი საათით ადრე ყველა მებრძოლს, მეთაურსა და პოლიტმუშაკს გავაცანით საბრძოლო ბრძანება. იმავდროულად ქვედანაყოფებში იკითხებოდა ფრონტის სამხედრო საბჭოს მიმართვა, რომელშიც მთელი ომის მანძილზე პირველად იყო ოფიციალურად შეტანილი მოწოდება „წინ, ბერლინისაკენ!“ არა როგორც შორეული ოცნება, არამედ როგორც უკვე ახლობელი მიზანი. ტარდებოდა ბრძოლისწინა მიტინგები.

მოწინააღმდეგე უკვე მიეჩვია იმას, რომ ჩვენ შეტევას ჩვეულებრივ გარიჟრაჟზე ან დილაადრიან ვიწყებდით და ამ დროისათვის თვითონაც ზედმეტად ფხიზლობდა. ამიტომ ფრონტის სარდალმა როკოსოვსკიმ ამჯერად შეტევის დაწყება შუადღისათვის გადაწყვიტა.

ბოლოს ეს წუთიც დადგა. 14 იანვარს, დღის სრულ თორმეტ საათზე გაიცა საარტილერიო მომზადების დაწყების ბრძანება: დაიგრგვინა პირველმა ძლიერმა ბათქმა, მას მოჰყვა მეორე, მესამე... და ყველაფერი ერთ გამაყრუებელ ქუხილად გადაიქცა. პირველი ბათქების დაწყებისთანავე მესანგრეებიც გავიდნენ დანაღმულ მინდორში და თავიანთ სახიფათო საქმიანობას შეუდგნენ. და უნდა ითქვას, რომ საათნახევრიანი საარტილერიო მომზადების დროს მათ ზედმიწევნით კარგად შეასრულეს თავიანთი ამოცანა — დროულად გააკეთეს საჭირო რაოდენობის გასასვლელები ტანკებისა და ქვეითისათვის.

...თვალებზე სტერეომილის ოკულარები მივიდე და ნისლში გავიხედე, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვის მხარეს პირველი აფეთქებები დამენახა. სწორედ ამ დროს ძლიერმა აფეთქებამ ჩემი სათვალთვალო პუნქტის ბლინდაჟს ცალი კუთხე ჩამოაგლიჯა. აფეთქების ტალღამ ძირს დამცა და მსუბუქი კონტუზია დამმართა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. სათვალთვალო პუნქტზე ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა და მეც მალევე მოვედი გონზე, ასევე სრულიად უვნებლად გადარჩა სატელეფონო კავშირი. დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა მხოლოდ შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი პოდპოლკოვნიკი ოსკინი.

რამდენიმე წუთის შემდეგ გენერალმა ალექსეევმა დამირეკა და მოწინააღმდეგე რას შვრება მკითხა.

— ილრინება, — ვუპასუხე და მომხდარი ამბავიც მოვახსენე.

— დივიზიის მართვა შეგიძლიაღა? — მკითხა გენერალმა.

— რა თქმა უნდა, შემიძლია, — დავამშვიდე კორპუსის მეთაური.

— მაშ, ყველაფერი რიგზე ყოფილა. აქ ცოტათი ჩვენც გვიწია, — შემატყობინა ალექსეევმა თავის მხრივ.

საარტილერიო მომზადება გრძელდებოდა. ეს იყო გაუგონარი ძალის საცეცხლე დარტყმა. იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ ბევრი ახალბედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცი მარტო ქუხილმა და გრგვინვამ დააბნია, და ეს სულაც არ იყო გასაკვირი, რამდენადაც ფრონტის თვითეულ კილომეტრზე სამას საარტილერიო ლულაზე მეტი მოდიოდა. ასეთი ძალის დარტყმა წინათ ჩვენ თვით კურსკის ბრძოლებშიც კი არ გვქონია.

ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი დაატეხა მოწინააღმდეგის თავდაცვის მთელს ტაქტიკურ ზოლს. საარტილერიო ცეცხლის ჰიტლერელთა თავდაცვის ზურგში გადატანისთანავე, შეტევაზე გადავიდნენ დივიზიის მეწინავე მსროლელი ქვედანაყოფები და მესანგრეთა მიერ გაყვანილი გასასვლელებით მტრის პოზიციებისაკენ დაიძრნენ.

მოწინააღმდეგის ტრანშეებში პირველები შეიჭრნენ მაიორ ბელოხვოსტოვის 25-ე ცალკე მოიერიშე ბატალიონის მეომრები. კომუნისტი ლეიტენანტის კირეევის ასეულის მებრძოლები ჯერ კიდევ საარტილერიო მომზადების დამთავრებამდე დაეუფლნენ ჰიტლერელთა ტრანშეის ორ ხაზს.

...ჩვენი არმიის ჯარებს ვისლისაკენ მიმავალ გზაზე ბევრი მდინარეები და ხევები ხვდებოდა. თუმცა ისინი ყინულით იყო შეკრული, მაგრამ ჰიტლერელები ისე ეჭიდებოდნენ მათ, როგორც საიმედო მონაკვეთებს. არა ნაკლები გამძვინვარებით იცავდნენ ისინი დასახლებულ პუნქტებსაც. კონტრიერიშები არ წყდებოდა. მათს მოგერიებაში მსროლელ ნაწილებს მხარს უჭერდნენ ტანკისტები და არტილერისტები, ხოლო განსაკუთრებულ ძნელ შემთხვევებში — სახელგან-თქმული „კატუშები".

თვითეული ჩვენი მებრძოლი ორისა და ხშირად სამის მაგიერად იბრძოდა. ბევრი დაჭრილიც კი არ ტოვებდა ბრძოლის ველს და კვლავ მწყობრში რჩებოდა. 16 იანვარს გმირულად დაიღუპა 1208-ე მსროლელი პოლკის ერთ-ერთი საუკეთესო ბატალიონის მეთაურთაგანი ინოკენტი არსენტის ძე სოკოლოვი, ხუთი საბრძოლო ორდენის კავალერი. შეტევის პირველ სამ დღეს დაიღუპა ან დაჭრის გამო მწყობრიდან გამოვიდა ბევრი ასეულისა და ოცეულის მეთაური. ჩვენ მათი შეცვლა ბრძოლის მსვლელობაშივე გვიხდებოდა, და რაკი ასეულის მეთაურთა საჭირო რეზერვი არ გაგვაჩნდა, მათ ცვლიდნენ ოცეულების მეთაურები, ზოგჯერ კი, გარკვეული დროით, სერჟანტებიც.

შეტევა კი ერთი წუთითაც არ წყდებოდა. 17 იანვარს დივიზიამ მარშით გადალახა მდინარე ეკრა, მეორე დღეს პლონსკ-ნოვე მიასტოს გზატკეცილზე გავიდა და ჰიტლერელებს უკან დაახევინა.

იმავე დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა ბრძანება, რომელშიც, უმაღლესი მთავარსარდალი, სხვებთან ერთად, მადლობას უცხადებდა ჩვენი დივიზიის მეომრებსაც.

იმ დღეს გაზეთებიდან ერთი სხვა სასიხარულო ამბავიც შევიტყვეთ — ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე პოლონეთის დედაქალაქი — ვარშავა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ჩიჩუა

# რომანი და თანამედროვეობა

ქართული რომანის აღმავლობა 70-იან წლებში ფაქტად იქცა. გამოვლინდა სტილის მრავალფეროვნება, რაც მხატვრული სახის აგების განსხვავებულ პრინციპებს ეფუძნება. ამ მოვლენების შესწავლას, ჩვენი აზრით, შეეძლო მეტი სიცხადით წარმოედგინა ლიტერატურული პროცესის განვითარების მიმართულება.

ორი რომანის გამო, რომლებზედაც მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება, მრავალი წერილი გამოქვეყნდა როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში. ერთი მათგანი უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა. ამიტომაც ამ წერილის წინაშე არ წამოჭრილა ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონის" და გურამ ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადის" შეფასების ამოცანა. თუ ჩვენ ამ რომანების რომელიმე ასპექტზე შევჩერდებით, მხოლოდ ისეთზე, რომლებიც დღემდე გაშუქებული არ ყოფილა. წერილის უმთავრეს მიზნად კი მიმაჩნია, ამ ნაწარმოებების არსიდან გამომდინარე, ყურადღება გავამახვილო რომანის თანამედროვეობასთან მიმართების პრობლემაზე, მხატვრული სახის აგების პრინციპებზე, მის სიმდიდრესა და სიღრმეზე.

## თანამედროვეთა სახეები

რომანი, რომელიც დღეს იქმნება თემატიკისა და პრობლემატიკის, სახეობრივი აზროვნების თავისებურებათა მიუხედავად, რაღაც მიმართებით, რომელიმე ასპექტით, რეალურით თუ ილუზიურით, ყოველთვისაა შეპირობებული სწორედ თანამედროვე სინამდვილით. ყოველი მხატვრული ნაწარმოები, თუნდაც თავისი შინაარსითა და ფორმით ძლიერ დაშორებული დღევანდელი სინამდვილიდან — იმპულსს სწორედ თანამედროვე ცხოვრებისაგან იღებს. სინამდვილე დღეს უფრო რთული და დიდი შინაარსის დამტევი გახდა და არ განისაზღვრება ზუსტად შემოფარგლული რეგიონებით, არც სივრცეში, არც დროში. ამიტომაც მის იმპულსებზე რეაგირება მხატვრის უფრო დიდ სულიერ ენერგიას, იდეოლოგიურ მთლიანობას და შემოქმედებით შემართებას მოითხოვს, მაგრამ ყველა შემთხვევაში თანამედროვეობასთან მიმართების პრობლემა თავისებურად წამოიჭრება და ხორციელდება. რაც მთავარია, სხვადასხვაა არა თუ თანამედროვეობის გრძნობად-ემოციური ასახვის ხარისხი, არამედ თანამედროვე პრობლემათა გამოხატვის დონე.

დღევანდელი ქართული რომანი სტილის მრავალფეროვნება ჩვენი ლიტერატურის სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენ უნდა შეგვეძლოს განვსაზღვროთ რომელი სტილური მიმართულება უფრო მნიშვნელოვანია და ძირითადია ლიტერატურის პროცესის განვითარების თვალსაზრისით. ცხადია, კონკრეტული ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას განსაზღვრავს არამხოლოდ სტილური მიმართულება, არამედ მხატვრულ ფაქტორთა კომპლექსი, რომელთაგანაც ძნელია რომელიმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, თუნდაც ისეთ უეჭველ პირობასაც კი როგორსაც მწერლის ტალანტი წარმოადგენს.

სტილის მიმართულებას, რომელშიც ვლინდება მწერლის საზოგადოებრივი, მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური პოზიცია — უმნიშვნელოვანესი როლი მიეკუთვნება ლიტერატურული პროცესის განვითარებისათვის.

პირობითი მხატვრული სახის გამოყენება ხელოვნებისა და ლიტერატურის ჩასახვიდანვეა ცნობილი. უფრო მეტიც, თუ ცნებებს ზუსტად განვსაზღვრავთ, ყოველი მხატვრული სახე თავისთავში შეიცავს პირობითობას. მაგრამ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ტრადიციის მიხედვით, გარკვეული აზრით ვიყენებთ, ახედაც პირობითი მხატვრული სახე ხავსებით კანონზომიერი მოვლენაა ლიტერატურისათვის. მაგრამ მას აქვს ზოგიერთი თვისება, რომელთა გამო აქ ბევრი რამ მწერლის ინდივიდუალობაზე, მის ტაქტზე და ბეწვის ხიდზე გავლის ოსტატობაზეა დამოკიდებული, რადგან პირობითი სახე გრძნობად-კონკრეტულისაგან განთავისუფლებისა და აბსტრაქტულობისაკენ მიისწრაფვის. აქ გაძლიერებულია მხატვრული სახის ფუნქცია და შესუსტებულია მისი თავისთავადი არსის ღირებულება, რაც ახახვაზე უნდა იყოს დამყარებული და მხატვრული სახის ინვარიანტულ, სუბსტანციურ ბუნებას გულისხმობდეს.

უეჭველია, რომ ზოგადი, სუბსტანციური ასპექტი ყოველთვის გასათვალისწინებელია ცნობიერების ყველა ფორმისათვის, ცხადია, მხატვრული ასახვისთვისაც. ოღონდ თუ მხატვრული სახის ერთი უმთავრესი ნიშანი კონკრეტულობაა, ზოგადის კონკრეტულ ფორმაში გამოხატვა, მისთვის აუცილებელი იქნება კონკრეტულ-ისტორიული, ეპოქალური და ეროვნული შინაარსის ასახვა. სწორედ ეს იქნებოდა გარკვეული დროის მწერლობის საკუთარი წვლილი ზოგადკაცობრიულის გამოხატვაში. შეცდომით ფიქრობენ თითქოს სამყაროს და ადამიანის არსებობის მარადიული ფორმები დამახასიათებელი იყოს მითოლოგიური აზროვნებისათვის. მარადიული წრებრუნვა, განვითარების პერსპექტივის გარეშე, როგორც ე. მელენტინსკი შენიშნავს თავის ნაშრომში „მითის პოეტიკა", არა მითოლოგიის, არამედ ნეომითოლოგიის შემოტანილია და დეკადენტურ-მოდერნისტულ მსოფლიო კონცეფციასთან არის დაკავშირებული. იგი თავს იჩენს მაშინ, როცა ისტორიზმის პრინციპი არ სახავს მომავლის სახარბიელო პერსპექტივას.

გამოსახვის ფორმების ძიება შეგნებულად უნდა უკავშირდებოდეს ხელოვნების საგანს, რადგან ასეთი კავშირი, მაინც, ნებით თუ ენებლიედ, ყოველთვის ხორციელდება მხატვრულ ნაწარმოებში.

ის რომანებიც, რომლებშიაც გამოხატვის ფორმებად ალეგორიას, პარაბოლას, გროტესკს იყენებენ, ცხადია, დღევანდელი სინამდვილისადმი გამოხმაურებას ისახავენ მიზნად. მაგრამ ამ შემთხვევაში კავშირი უფრო პრობლემურია. მწერლის ცნობიერებაში წარმოქმნილი მხატვრული პრობლემა და მხატვრის აზრი პერსონიფიცირდება „ნებისმიერ", „თავისუფალ" მხატვრულ სახეებში და, ნებით თუ უნებლიედ, ასუსტებს როგორც მწერლის, ისე მკითხველის უშუალო ემოციურ კონტაქტს თანამედროვე სინამდვილესთან.

ჩვენ ამთავითვე უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ხელოვანს თავისი „ამპლუა" გააჩნია, ნიჭის თავისებურება... ან მწვავე პრობლემებს პირდაპირ აყენებს, ან მოიარებით თქმას არჩევს, ესეც ინდივიდუალური თვისებაა. აქ რეცეპტების შექმნა შედეგს ვერ გამოიღებს. მაგრამ ლიტერატურული პროცესის განვითარების საერთო ატმოსფერო არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს საერთოდ მწერლობაზე და კერძოდ თვითეულ ხელოვანზე. ამ თვალსაზრისით, ორი წლის წინათ, ჟურნალ „ცისკარში" ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ეს ორი სხვადასხვა სტილისა და მხატვრული ფაქტურის რომანი — „მარადისობის კანონი" და „აქტიური მზის წელიწადი" 70-იანი წლების დასასრულის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქართულ რომანისტიკაში. ვფიქრობ, ქართული რომანის განვითარება უფრო საინტერესო ფაზაში შედის. თავისთავადი იდეურ-მხატვრული ღირებულების გარდა, ამ ორ რომანს ზოგადი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურული პროცესის განვითარების თვალსაზრისით.

ეს ნაწარმოებები სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული ქართული რომანის, უფრო კონკრეტულად კი ქართული საბჭოთა რომანის ტრადიციებთან და, ამავე დროს, შლიან ახალ ჰორიზონტს ჟანრის განვითარების პერსპექტივაში.

მკითხველი საგანგებო განმარტებას არ საჭიროებს, რომ თანამედროვე სინამდვილის, ყოველდღიური რეალობის მხატვრული ასახვის საშუალებით ძირეულ პრობლემათა წამოჭრა ქართული რომანის ტრადიციის სფეროს განეკუთვნება.

გ. ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადში" და ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში" თანამედროვეობის პრობლემები თანამედროვე ფაბულის ბაზაზეა წამოჭრილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ რომანებში თანამედროვეობა სახეობრივ გამოხატულებას იღებს; ყველა თანამედროვე მწვავე და გლობალურ პრობლემათა სპექტრი — ეკოლოგიური, ენერგეტიკული თუ იდეოლოგიური ტყდება ინდივიდის, პიროვნების სულიერი ცხოვრების სიღრმეში, მის ფსიქიკაში.

შემოქმედება, შექმნა, თხზვა ადამიანის მხატვრული მოღვაწეობის სპეციფიკაა. ამასთან, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ რომანის როგორც ჟანრის არსი, რომანისტული შემოქმედება ცოცხალი სინამდვილის, ცოცხალ ურთიერთობათა მხატვრულ კვლევაზე და ძიებაზეა დაფუძნებული, რაც მის არსებით ნიშნად, სპეციფიკად გადაიქცა საუკუნეთა განმავლობაში. ამაზეა დამოკიდებული მისი შემეცნებითი ღირებულებაც, მისი ისტორიზმიც. „მარადისობის კანონისა" და „აქტიური მზის წელიწადის" თვითეულ პერსონაჟში ზოგადადამიანური კონკრეტული დროის, ეპოქის, კონკრეტული გარემოს გამოხატულებაა ტიპიურ ხასიათებში. ბაჩანა რამიშვილის, ნოდარ გელოვანის, გლახუნა

ქერქაძის, გოგის, მანუჩარა კიკვაძის და სხვა პერსონაჟის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად მათი გრძნობად-ემოციურობა მიგვაჩნია. ისინი გვეხატებიან როგორც ცოცხალი ადამიანური ხასიათები, რომელთაც ფუნქციასთან ერთად თავისთავადი ღირებულება აქვთ. აქ გამოხატვისა და ასახვის ამოცანები ზედმიწევნით უთანხმდებიან ერთმანეთს და დაცული არიან ცალმხრივობისაგან, რასაც შეუძლია რომანის შინაარსი და ფაქტურა გადახაროს ან აბსტრაქტულ სახეთა გამოხატვისაკენ, ან სინამდვილის ნარკვევის ტიპის სარკისებური ასახვისაკენ.

თხზვა რომანებში „მარადისობის კანონი" და „აქტიური მზის წელიწადი" დაფუძნებულია სინამდვილის კვლევაზე, იმ გამოცდილებაზე, რომელიც მოიპოვა მწერალმა სინამდვილესთან უშუალო კონტაქტში, ან შეუმჩნევლად დაუგროვდა როგორც პირადი გამოცდილება, ან საგანგებოდ ეძება, როგორც რომანისტმა. თხზვის მეთოდი აქ უშუალო კავშირშია ასახვასთან. რომანის გმირები მწერლის ცნობიერებაში წარმოქმნილი, ან გადმონერგილი მოდელის რეალიზება კი არ არის, არამედ სინამდვილის ტიპიურ სახეებში ასახვა და გამოხატვა. სწორედ ეს მეთოდი ანიჭებს მხატვრულ სახეს სიცოცხლეს და განაპირობებს მათ მომდინარეობას კონკრეტული ცოცხალი სინამდვილიდან, რაც თავის მხრივ მხატვრული სახის თვითმყოფობის, მისი განუმეორებლობის საფუძველია. ბაჩანა რამიშვილი, ნოდარ გელოვანი, მაღლაფერიძე, გოგი და ორივე რომანის ყველა პერსონაჟი თვითმყოფადია. წარმოუდგენელია, მაგალითად, გოგი XX საუკუნის 70-იან წლებამდე. „დედმამიშვილის და ცხრაძმა ხერხეულიძის სადღეგრძელო ჩვენი საქმე არ არის", ამბობს იგი „ძმაკაცების" სახელით. არა, მე აქ მისი გაკილვა არ მაინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, იგი გაცილებით უფრო პატიოსანი კაცია, ვიდრე ისინი, ვინც თავის ცხოვრებას ცხრაძმა ხერხეულიძეების, დიდგორის, ვახტანგის და სხვა ამგვარი სადღეგრძელოებით აშენებენ. მაგრამ გოგი დიდ დაკვირვებას და ანალიზს მოითხოვს. პირველ რიგში, მე მასში დადებითი მინდა დავინახო. ის არ თვალთმაქცობს, არ პირფერობს, მაგრამ სწორედ ამიტომაა უფრო მნიშვნელოვანი კითხვა: რატომ გაქრა ხერხეულიძეების სადღეგრძელოს სურვილი? ეს არც ადვილი ასახსნელია და ვერც მარტივი პასუხი დააკმაყოფილებს ვინმე. მწერლის ამოცანაც, ჩვენის აზრით, არ არის ერთნიშნა პასუხი მზამზარეულად მიაწოდოს მკითხველს. უფრო მეტ მნიშვნელობას მოიპოვებს მკითხველის აზრის ამოძრავება ამ მიმართულებით. ან კიდევ: განა დასაფიქრებელი არ არის რატომ არ სურს გოგის შვილები ჰყავდეს? „— ცოლის მოყვანა სისულელეა... შვილებს მოვლა უნდა და გზის გაკაფვა. [illegible] კეთილდღეობა გაიძულებს რაღაცას [illegible] თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიურად უფრო მაგრად იდგე ფეხზე. აქედან იწყება ყველა უბედურება. მეტი რა გზა გაქვს, ვიღაცას უნდა ელაქუცო, კრეტინ უფროსს გენიოსი უნდა უძახო. ხშირად საყვედური და დამცირებაც უნდა აიტანო. თავმოყვარეობა ნერვების დაგლეჯის ფასად უნდა ჩაკლა, რომ შვილი ან შვილები არ დაგეჩაგროს. ასეთი ცხოვრება და სიცოცხლე არც მსურს და არც შემიძლია".

ორივე რომანის ცენტრში უახლოესი და უახლესი ცხოვრებისეული და ზნეობრივი პრობლემები დგება, რომლებიც ბაჩანა რამიშვილის, ნოდარ გელოვანის და სხვათა მხატვრულ სახეებში გადატყდებიან; მაგრამ თანამედროვე, დღევანდელი თვალსაზრისითაა დანახული წარსულიც. რეტროსპექტივს „მარადისობის კანონში" სხვა დანიშნულებაც აქვს, ალმოაჩინოს გმირის ზნეობრივი საყრდენების საფუძველი წარსულისა და აწმყოს მძაფრ კოლიზიებში, დაძებნოს მემკვიდრეობითი კავშირი და ცხადყოს ზნეობრივ ამოცანათა თავისებურება თანამედროვე ცხოვრებაში. წარსული, ტკბილიცა და მწარეც, გმირულიცა და ჩვენი სისუსტის ცხადმყოფელიც რაღაც შარავანდედით იმოსება ყოველთვის მოგონებებში და როგორც ჩვენი ცხოვრების, ჩვენი არსების ნაწილი განსაკუთრებული სითბოთი განგვაწყობს თავის მიმართ. მაგრამ „მარადისობის კანონში" ეს სითბო, ცხოვრების ასახვის მისი მეთოდის გამო, მწერალს ვერასდროს ვერ უკარგავს ფხიზელ რეალისტურ ხედვას, კრიტიკულ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი.

თვით ყველაზე კოლორიტული და დიდი მხატვრული ძალის გმირი გლახუნა ქერქაძე, რომელსაც მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება და გულის სითბო მიუძღვნა, ყოველმხრივაა დანახული თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. შეიძლება სწორედ იმიტომაც ხედავს მას მწერალი ასე სრულად და ყოველმხრივ, ძლიერ ახლოს რომ არის მის გულთან.

...სული მწარეა. ფერმის ყველი თავისი ზურგით მიაქვს გლახუნას კიკვაძის მიერ ნაჩვენები გზით. მაგრამ დადგება მომენტი, როცა პირველი შეკრთომა და შიში ვეღარ აიძულებს მას მანუჩარას ნებას დაემორჩილოს. ამ გზით გადარჩენილი სიცოცხლეც კი აღარ უნდა მას, მწერალი ევვის ნატამალის გარეშე არწმუნებს მკითხველს ამაში. დგება ადამიანის წინაშე მომენტი, როცა მის სიცოცხლეს საკუთარ თვალში ეკარგება ფასი, თუ იგი იძულებულია საკუთარი ზნეობრივი მრწამსის და იდეალების წინააღმდეგ იმოქმედოს.

გლახუნა ქერქაძე შეიძლება ჩანართი მოთხრობის ეპიზოდურ პერსონაჟად ჩავთვალოთ, მაგრამ მისი ცხოვრების ორიოდე ეპიზოდიც

მან წარმოგვიდგენს, სწორედ როგორც რომანის პერსონაჟს; რომანისეულია გმირის ასახვის მეთოდი და ხერხები. გლახუნა არ არის დახატული რომელიმე ერთი ვნების, მწერლის გარკვეული იდეის ილუსტრაციისათვის. გლახუნა მწერალს აინტერესებს როგორც თვითმყოფი და თავისთავად ღირებული ადამიანური არსება თავისი მთლიანობით, როგორც გარკვეულ ეპოქაში მცხოვრები ცოცხალი ინდივიდი. ბოღმა და სირცხვილი ახრჩობდა გლახუნას, თავისი ფეხით რომ მისდევდა მანუჩარას, „— გასკდი, გულო, — ნატრობდა იგი. მაგრამ არ გასკდა გული, გული გასკდა კი არა, ფეხი აუჩქარა გლახუნამ, ვაი სირცხვილო“.

ინდივიდის ეს ბუნებრივი რეაგირება სიკვდილის წინაშე შიშზე ჯერ კიდევ შეცნობის, გააზრების წინარე მდგომარეობაა, რომელიც თანდათან შედის გლახუნას როგორც პიროვნების ცნობიერებაში, რომელსაც განსაზღვრავს გმირის მსოფლმხედველობა, სოციალური არსი და ფსიქიკური წყობა და რომლის მეშვეობითაც საბოლოოდ ვლინდება გლახუნას ადამიანური არსება. სწორედ ეს არის რომანული პერსონაჟის სპეციფიკური თავისებურება, სინამდვილის ყოველმხრივი კვლევის, გმირის ბუნების სოციოლოგიის, ფსიქიკის ღრმა ცოდნა, რომელიც ერთ იდეოლოგიურ ფოკუსში იყრის თავს და ნაწარმოების იდეოლოგიურ ცენტრს ქმნის: „და თუ მე და ეს ხვადაგი, მართლაც ერთი ტალახიდან ვართ მოზელილი, მაშინ წაიღე შენი ნაბოძარი სიცოცხლე, აღარ მარგია არაფერში“...

ადამიანის ზნეობრივი არსი პიროვნების განვითარებასთან ერთად შეიძლება გამდიდრდეს კიდეც, სწავლა-განათლებამ, ცხოვრების გამოცდილების შეძენამ დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს მასზე. მაგრამ ყოველივე ეს ეყრდნობა გარკვეულ საფუძველს, რომელიც ბავშვობაშივე ყალიბდება ადამიანის ცხოვრებაში. ბაჩანა რამიშვილი, ომის პერიოდისდროინდელი უმწიფარი ბიჭი — ჟურნალის რედაქტორი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ხდება. მაგრამ მისი ზნეობის საყრდენები ბავშვობის პერიოდის ცხოვრებაშია საძიებელი. მწერალს ბაჩანა რამიშვილი, როგორც რომანის პერსონაჟი, აინტერესებს არა ცხოვრების რომელიმე ეპიზოდში, თუმცა ყოველ ეპიზოდში იხსნება მისი ხასიათი, არამედ მთლიანობაში, მისი საწყისიდან დღემდე. ამიტომ გამოიყენა მწერალმა რეტროსპექტივის თავისებური, არათუ ადრე გამოუყენებელი ფორმა. მაგრამ ხერხი თავისთავად არ განსაზღვრავს შედეგს. მისი გამოყენება სამწერლო მეთოდზე და მწერლის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული. ცხოვრების ერთგვარი შეჯამება, ხელახლა გააზრება და გათვალისწინება, რაც გმირის ავადმყოფობის დროს ხდება, ნ. დუმბაძის ხელში ღრმა რეალისტურ კვლევის საფუძვლად იქცევა, ტიპიზაციის და განზოგადების გზით. მწერალი რეტროსპექტივის თემად ირჩევს არა ყველაფერს, არამედ სწორედ იმ საკვანძო ეპიზოდებს ბაჩანა რამიშვილის ბავშვობიდან, რამაც ჩამოაყალიბა ამ გმირის შინაგანი ბუნება, მისი ზნეობრივი არსი. ეს გზა იწყებოდა ლომკაცა რამიშვილთან, გლახუნა ქერქაძესთან, თამარასთან და სხვებთან, რომელთაც წარუშლელი კვალი დასტოვეს ბაჩანას გულში და ფსიქიკაში.

„მეტი რაღა უნდა გაიზარდო, ბიჭო“, თამარას ეს სიტყვები სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ თხუთმეტი წლის ბაჩანას გაზრდა აღარ სჭირდება. ბაჩანას მოქმედებამ, მისმა დამოკიდებულებამ ადამიანებთან სავსებით დაარწმუნა თამარა, რომ ზნეობრივად ბაჩანა ზრდადამთავრებულია; მკითხველს კი ადვილად გამოაქვს დასკვნა, რომ ბაჩანას ზნეობის საყრდენები, მისი პიროვნების ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური არსის საფუძველი ადრეულ ბავშვობაშივე გაინასკვა, შემდგომი ზრდა და სრულყოფა იმ ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა, რომელიც იქ დაისახა და გაფორმდა, თუმცა ცხოვრებამ მრავალი განსაცდელი და რთული ამოცანა დაახვედრა გზადაგზა. ცხადია, გმირის ცხოვრების სათავეებთან მიბრუნება სწორედ დღევანდელი ამოცანების ახსნის სურვილითაა გამოწვეული. ის ხასიათი, პიროვნება, რომელიც დღეს უდგას ცხოვრებას პირისპირ, ათეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. სათავეებთან მიბრუნებას ეს დანიშნულება აქვს „მარადისობის კანონში“.

იგივე ამოცანა აკისრია სოფლის სცენებს „აქტიური მზის წელიწადში“. თუმცა აქ სტრუქტურულად, აგრეთვე სინამდვილის ანალიზის თვალსაზრისით, განსხვავებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. ნოდარ გელოვანის სოფელში სტუმრობა (ორჯერ) — სათავეებთან დაბრუნებაა, იმ განსხვავებით, რომ ადრინდელი და დღევანდელი სოფელი მრავალი თვალთახედვით, „ერთ კადრში“ უნდა წარმოდგეს ჩვენს წინაშე. მწერალი ამისთვის მიმართავს სხვადასხვა თვალსაზრისს, თუმცა თხრობა პირველი პირის ფორმით მიჰყავს. ნანა ამირეჯიბი სოფელს იდილიურ ფორმებში აღიქვამს („რა სასაცილოები ხაართ!“), სხვაგვარად გაიაზრებს სოფლის ცხოვრებას თვით სოფლის მცხოვრები ელგუჯა და კიდევ უფრო რთულად ნოდარ გელოვანი, რომელსაც, სოფლის სიყვარულთან ერთად, კრიტიკული მზერა მიუპყრია თავის ახლობელთათვის, მაშინაც კი, როცა ისინი გულწრფელად და ღრმად უყვარს. ეს კრიტიკული თვალსაზრისი ღრმავდება და გროტესკში გადადის, თუმცა სრულიად რეალური საფუძვლით, რაიონის მთავარ ექიმთან ერთად მგზავრობისას, რომ არაფერი ვთქვათ მეღვინე ანზორ ჯავახაძის მკვლელობასა და მასთან დაკავშირებულ ეპიზოდებზე.

ერთგვარი რომანტიკა სოფლის ცხოვრების მიმართ როგორც „მარადისობის კანონში", ისე „აქტიური მზის წელიწადში" სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. მართლაც, „იმ გახურებული ლითონის ლავის" შემდეგ, მაგალითად, გმირთა მოედანზე რომ მიედინება გ. ფანჯიკიძის რომანის მიხედვით, და „ნერვების დაგლეჯამდე" მიმყავს ადამიანი, არ შეიძლება რომანტიკულად არ განეწყო სოფლის გარემოსადმი, რომელიც პირველყოფილი ბუნებრივობის ილუზიას მაინც ქმნის და გადაღლილი და გადაქანცული ნერვების პატრონს ამშვიდებს. მაგრამ არცერთ რომანში არ არის სოფლის გაიდეალება; თავისი უბრალოებით და უშუალობით სოფლის ყოფა და სოფლის ადამიანები შეიძლება კიდევაც გვიზიდავენ, მაგრამ ორივე რომანი, დადებითთან ერთად, ნათლად გვიხატავს სოფლელების და სოფლის ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს.

„აქტიური მზის წელიწადში" ხაზგასმულია საერთო ხენმა როგორ შეაღწია სოფელშიაც და ადამიანების გარკვეულ ნაწილში როგორ აღორძინდა თათქარიძეობის სული, გავრცელდა მოხვეჭის და უქნარობის ეპიდემია, რაც თავის მხრივ ტრაგი-კომიკურ სიტუაციას ქმნის — სულიერი სიცარიელის შევსებას ღვინით ცდილობენ.

სოფლის ცხოვრების სურათების შემოტანა ორივე რომანში ბუნებრივია, როგორც სტრუქტურულად, — ეს მხატვრული ოსტატობის სფეროს განეკუთვნება, — ისე ნაწარმოების სიღრმისეულ ამოცანათა თვალსაზრისით; ჩვენი დღევანდელი ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი თავისი „ბიოგრაფიით" სოფელთან არის დაკავშირებული, და თუ მისი ტიპიური გამოხატვის ამოცანას დაისახავს მწერალი გმირის ცხოვრების მთლიანობაში გააზრებით, ეს სავსებით ბუნებრივად მიიყვანს მას როგორც ათეული წლების წინანდელი, ისე თანამედროვე სოფლის ცხოვრების მხატვრულ ანალიზამდე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პირობა აქ არის პერსონაჟის ფსიქიკური წყობა, მისი უძირითადესი იმპულსები და ინტერესები, რომელიც წმინდა პროფესიულ მიზნებზე და ამოცანებზე გაცილებით მაღლა დგას და განსაზღვრავს არა თუ ამ პროფესიულ მიზნებსა და ამოცანებს, არამედ გმირის პიროვნებას, მის მიდრეკილებებს, მიზნებს და გამოვლინდება როგორც უმთავრესში, ისე ყოველდღიური ცხოვრების ყოველ წვრილმანშიც კი; ეროვნული ცხოვრების მთლიანობაში გააზრების მისწრაფება არ იძლევა ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დანაწევრების საშუალებას. ისინი აღიქმებიან როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის ნაწილები.

დიდი სიღრმის და ძალის ეკოლოგიური და ენერგეტიკული პრობლემები, რომელთაც მთელი მსოფლიო მოიცვეს, ცხადია, მეტნაკლები ძალით, მაგრამ უეჭველად ზემოქმედებს დღეს მსოფლიოს ყოველ მოქალაქეზე. მით უმეტეს, როცა ამ უღრმესი, გლობალური საკითხების გადაწყვეტაში თვითეული, ცალკე აღებული ადამიანის მონაწილეობის როლი პრობლემატური ხდება, ამდენად კიდევ უფრო მწვავე ხდება მათი აღქმა და განცდა და უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ყოველი ადამიანის ფსიქიკაზე, მის ზნეობრივ სახეზე და ყოველდღიურ მოქმედებაზე. გარეგნულად „უმოქმედო" დღევანდელი კაცი დიდ აზრობრივ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას იტანს. ყოველი დიდი და მცირე ქვეყანა, მათი მოქალაქეები გრძნობენ მსოფლიოს დღევანდელი პრობლემების ზეგავლენას საკუთარი ქვეყნის და პირადად საკუთარი ცხოვრების მიმდინარეობაზე; ყოველი ოდნავადაც მნიშვნელოვანი ამბავი, მე ალარაფერს ვამბობ მოვლენებზე, მსოფლიოს ყოველი მოქალაქის ყურადღების საგანი ხდება, რეაგირებისა და განცდის ობიექტი. ოდესღაც ვრცელი მსოფლიო, რადიოსა და ტელევიზიის, ოპტოელექტრონიკის, ზესწრაფი საჰაერო ლაინერების ეპოქაში ძლიერ შეიკუმშა, ყოველი სიგნალი თვალისდახამხამებაში აღწევს მიწის ყოველ კუნჭულში და მთელი პლანეტა ნერვიული ცხოვრებით ცხოვრობს.

მსოფლიოს ეს ღრმა გამწვავებული პრობლემები თუ, ერთის მხრით, სასოწარკვეთის საფუძველი შეიძლება იყოს, მეორეს მხრით არ შეიძლება არ იწვევდეს აზრის, ძიების უაღრეს გააქტიურებას, სამყაროს, ადამიანის ყოველი რაობის ამოცანების, ხელახალი გააზრების სურვილს, ტექნიკური პროგრესის, ეკოლოგიის, ბიოსფეროს, ფილოსოფიის, ესთეტიკის, ზნეობის ურთიერთმიმართებებში გარკვევის სურვილს. დღეს მსოფლიოს ყოველი მოაზროვნე მოქალაქე ამ რთულ ურთიერთობათა ხლართშია მოქცეული.

ამ ურთიერთობათა ატმოსფეროში გვეხატებიან ბაჩანა რამიშვილი და ნოდარ გელოვანი, ქართველი ინტელიგენციის ტიპიური მხატვრული სახეები.

უმთავრესი უნდა ითქვას თავშივე: ყველა ეს ღრმა პრობლემა ორივე რომანში საგანგებოდ კი არ არის შემოტანილი, არამედ თავს იჩენს გმირების ცხოვრებაში იმ „ლოკალურ" პრობლემებთან ერთად, რომლებიც შეიძლება ეროვნული ცხოვრების სპეციფიკად წარმოვიდგინოთ. კიდევ მეტიც, თავისებურ შეფარდებას აძლევენ იმ ჩვენ საკუთარ, თითქოსდა საკაცობრიო პრობლემებისაგან დამოუკიდებელ „წმინდა" ქართული ცხოვრების რთულ და მწვავე კითხვებს და რამდენადმე ახსნიან კიდეც მათ. როგორც ნოდარ გელოვანის, ისე ბაჩანა რამიშვილის მიერ საკაცობრიო ღრმა პრობლემებით დაინტერესება არ არის განგებ შეთხზული მხატვრული გამონაგონი, არამედ ეფუძნება გმირების ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს, რადგან ამ გლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალურ საკითხებს ღრმად გაუდგამთ ფესვი ქართველი ინტელიგენტების ცხოვრებაში და ეს ისეთივე „ჩვეული“, მისი საკუთარი საფიქრალია, როგორც ყველა სხვა ერის წარმომადგენლისათვის. მათი კრიტიკული თვალი, მიმართულია როგორც მახლობელი, ეროვნული ცხოვრების მიმართ, ისე სამყაროს გააზრებისაკენ. ეს წმინდა რომანული სიტუაცია, ყველაფრის ანალიზი, ჩხრეკა, კვლევა და შესწავლა, კრიტიკული თვალით ათვისება ორივე ნაწარმოების საფუძველში დევს; ხდება ყველაფრის ხელახალი შემოწმება, გადააზრება, თითქოსდა მყარი და შეთვისებული ზნეობრივი საფუძვლების ხელახალი შეფასება. ცხადია, ეს ყოველთვის როდი ნიშნავს უარყოფას, მაგრამ მაძიებელი, კრიტიკულ-ანალიტიკური სული, როგორც ჟანრის საფუძველი, აცოცხლებს ნაწარმოებებს და ფუნქციას უძლიერებს მას, როგორც თანამედროვე სინამდვილის მხატვრული ათვისების მძლავრ საშუალებას, რომელსაც სინამდვილე, თავის მხრივ, ამოუწურავ წყაროს სთავაზობს, რითაც საფუძველს აცლის ყოველგვარ „თეორიულ“ პოსტულატებს, რომლის მიხედვითაც თანამედროვე სინამდვილე არ იძლევა ზოგადკაცობრიულ პრობლემათა რეალიზების საშუალებას. მიმართულება, რომელსაც მიჰყვებიან „მარადისობის კანონი“ და „აქტიური მზის წელიწადი“, ძირს უთხრის ამგვარ თეორიულ ნაგებობას და ამკვიდრებს თანამედროვე თემატიკის უჭკნობ მნიშვნელობას რომანისტიკის აღმავლობისათვის, მის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადასაწყვეტად და აქ რომანის, როგორც ჟანრის, სიცოცხლისათვის, უპირველეს მნიშვნელობას იძენს ამ ნაწარმოებების მხატვრულ სახეთა — პერსონაჟთა გრძნობად-ემოციურობა, მისი მეშვეობით მკითხველის წინაშე ცოცხლდებიან გმირები. როგორც ბაჩანა რამიშვილი, ისე ნოდარ გელოვანი და სხვები წარმოსახულნი არიან /განსაზღვრული დროისა და სივრცის, კონკრეტული ეროვნული ცხოვრების მონაწილეებად. როგორც სხვადასხვა ინდივიდები, პიროვნებანი ისინი განსხვავებულად ეხმაურებიან ეროვნული ცხოვრების ულრმეს პრობლემებს, მაგრამ მათი საერთო დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ერთნაირად მწვავედ განიცდიან ამ პრობლემებს და თითოეული თავისებურად ეძიებს გარემოსადმი დამოკიდებულების საკუთარ თვალსაზრისს, ან კონკრეტული მოქმედების გზას.

ბაჩანა რამიშვილი უფრო ოპტიმისტურად უყურებს ქვეყანას და მისი მოქმედების მიზანი, ამოცანები და გეგმა უფრო გამოკვეთილია, ვიდრე ნოდარ გელოვანისა. მაგრამ საერთოა უმთავრესი — დაკვირვების, კვლევის, გაძლიერებული ზნეობრივი და ფილოსოფიური ძიების მიმართულება, ულრმესი შინაგანი ბრძოლის პათოსი; ყოველი ახალი მსჯელობა, აზრი საკუთარი ფსიქიკის, გონებისა და გულის აქტიური მუშაობის შედეგია, მდიდარი მეცნიერული, ფილოსოფიური მემკვიდრეობის საკუთარი განსჯის და განზოგადების, ხელახალი გააზრების შედეგი. მათ აზროვნებაში ბუნებრივ ადგილს იჭერს მეცნიერების უახლესი აღმოჩენები, თუმცა სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ მათი მოსაზრებები ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციებს აღწევდეს. ისინი თავადაც არ ფიქრობენ ასე და ამიტომაც არის ძიება ორივე რომანის უპირველესი, განმსაზღვრელი თვისება.

არცერთი ავტორი არ იძლევა მზამზარეულ რეცეპტებს. პირიქით, მათი რომანების ორივე მთავარი გმირის სიცოცხლე იმითაც დასტურდება, რომ მათი მოქმედება, მსჯელობა თუ მოსაზრება ყოველთვის იწვევს დავის სურვილს. იმდენად ცოცხალი ხასიათებია, როგორც ბაჩანა, ისე ნოდარ გელოვანი, რომ მკითხველს უღვიძებს სურვილს ედავოს და ეკამათოს მათ როგორც თანამედროვეთ დიდი თუ მცირე საკითხების გამო, იმ პრობლემების გამო, რომელთა მიმართ მკითხველსაც აქვს საკუთარი აზრი და შეხედულება. მე მგონია, ეს არის ორივე რომანისტის ყველაზე დიდი მიღწევა. თანამედროვეთა ტიპიური ხასიათების შექმნა ყველა დროის მწერლობის უპირველეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს. ამ საქმეს ვერც ისტორიკოსი და მეცნიერების სხვა, რომელიც გინდათ, დარგი ვერ განახორციელებს. ლიტერატურის, ხელოვნების სინთეზური ბუნება იძლევა საშუალებას შექმნას ადამიანის დაუნაწევრებელი, მთლიანი გრძნობად-ემოციური სახე.

მაგრამ როგორია ეს თანამედროვე ადამიანი? ერთი ტიპით შეიძლება აისახოს ის?

## ინდივიდი და საზოგადოება

— დაისვენეთ, გამოიყენეთ ყოველივე, რაც თქვენს ირგვლივაა. უნდა გამოხვიდეთ იმ წინამძღვრიდან, რომ ყველაფერი თქვენთვისაა. ეს ზღვა, გემები, თვითმფრინავები, წყალი, საჭმელი, სასმელი, მთელი ქვეყანა თქვენთვისაა. — დაისვენეთ, გაიჯანსაღეთ ორგანიზმი.

დასასვენებელი სახლის ექიმი სინაზითა და სიკეთით აღსავსე თვალებით შემოგცქერის და ამ წუთში გინდა დაიჯერო, რომ ეს სტერეოტიპული ფრაზები არ არის და მხოლოდ შენ გეუბნება ამას. სრულიად არა გაქვს არავითარი სურვილი ვინმეს ეკამათო და, მით უმეტეს, ამ კეთილგანწყობილ ქალს... მაგრამ მაინც ვერ ვეგუები ამ აზრებს და არ მტოვებს ფიქრი ამ საგანზე.

ცხადია, ადამიანს, პიროვნებას გარესამყაროსთან კონტაქტი მხოლოდ საკუთარი „მეს“ საშუალებით შეუძლია დაამყაროს, სხვა გზა მას არ აქვს. უფრო მეტიც, ამ პიროვნებისათვის მხოლოდ მის მიერ არეკლილი სამყარო არსე-

ბობს. მაგრამ რამდენად სწორია წარმოიდგინოთ, რომ გარშემო ყოველივე შენთვის არის შექმნილი ?იქნებ უმჯობესი იყოს, ადამიანს ყოველთვის შეგნებული ჰქონდეს მის გარეშე არსებული სამყაროს თავისთავადი ღირებულება. რა თქმა უნდა, ეს უმჯობესი იქნებოდა საზოგადოებისათვის, მაგრამ ხომ უმჯობესი იქნებოდა მისთვისაც, პიროვნებისთვისაც, დაეხმარებოდა მას სწორად განესაზღვრა თავისი ადგილი ადამიანებსა და საგანთა შორის. ეს ხომ მსოფლმხედველობის საკითხია, რომელიც ამ ასპექტით პირდაპირაა დაკავშირებული პიროვნების მორალთან, ზნეობასთან. აუცილებელია გწამდეს ჩვენგან დამოუკიდებელი, თავისთავადი ღირებულება ყოველივე იმისა, რაც ჩვენს ირგვლივ არის, ცოცხალი და არაცოცხალი. მაშინ ადამიანი სხვაგვარად აზროვნებს, სხვაგვარად გრძნობს, გამოუმუშავებდა სხვაგვარი მორალური ნორმები.

და ბოლოს, ინდივიდის ხასიათის, ფსიქიკური წყობის ფორმირებაზე ხომ უეჭველად ზემოქმედებს გარემო, სულერთია ეს შეგნებული აქვს თუ არა პიროვნებას. ხოლო ნამდვილი სრულფასოვანი მოქალაქის აზრი და გრძნობა იქითკენ არის მიმართული, გაარკვიოს თავისი ადგილი ბუნებასა და საზოგადოებაში, გაარკვიოს თავისთვის ყოველივე არსებულის არსი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და შეიმუშაოს საკუთარი მიზნები, მორალური ნორმები, მოქმედების გეგმა და ზნეობრივის საზღვრები. ბაჩანა რამიშვილის და ნოდარ გელოვანის ცხოვრება ამ საზღვრების განუწყვეტელი ძიებაა. „მარადისობის კანონი“ სტრუქტურულადაც ისეა აგებული, რომ გმირის მთელი ცხოვრების შეფასება იყოს შესაძლებელი, უპირველესად თვით ამ გმირისათვის, მისივე თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მესამე პირს იყენებს. აქ მთხრობელი და გმირი ერთი და იგივე პიროვნებაა, მაგრამ მწერალი მესამე პირს იყენებს იმისათვის, რომ ერთგვარად, დისტანცია შექმნას მთხრობელსა და გმირს შორის, უკეთ დაუკვირდეს გმირს, სხვა თვალით შეხედოს, გააობიექტუროს იგი. ამ გზით გმირი ცდილობს უფრო ობიექტურად შეაფასოს თავისი ცხოვრება, განვლილი გზა და უკეთ გაარკვიოს თავისი ვინაობა.

„როდისმე გიფიქრია, ვინა ხარ შენ?“ — ეკითხება აკადემიკოსი გზირიშვილი ნოდარ გელოვანს, რომლისთვისაც აქამდე, შეიძლება ითქვას, მორალური, ზნეობრივი ნორმები, რომლებიც მის ცხოვრებაში მჟღავნდებოდა, თითქმის შეუცნობი იყო, გენეტიკურად მიღებული, ან სტიქიურად ფორმირებული. ყოველ შემთხვევაში, გამძაფრებული, ტრაგიზმამდე მისული თვითანალიზი არ ყოფილა მისი სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელი ნიშანი, თუმცა იდუმალი ხვედა და ნაღველი „ულრნიდა გულს“. აკადემიკოსის გადაწყვეტილებამ და მისმა გამომწვევმა მიზეზებმა სულ ახალი კუთხით მოაბრუნა ადამიანის, მისი ცხოვრების არსისა და დანიშნულების საკითხები, მატერიის მოძრაობის ფორმებისა და ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების. სულის არსობის საკითხები. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ახალი თვალსაზრისის, ახალი პოზიციის შემუშავებაზე თანამედროვე ცხოვრების პრობლემების, მტკივნეული საკითხების მიმართ. შინაგანი, ბოლომდე გაუაზრებელი და ჩამოუყალიბებელი პროტესტები, რომელიც ნოდარ გელოვანის როგორც მოქალაქის ცნობიერებაში, შეიძლება ითქვას, მთვლემარე მდგომარეობაში იყო, უფრო გამოკვეთილი და ფორმირებულ გამოხატულებას იღებს.

მაგრამ თვითანალიზი, რომელიც ასე უცილებელია თვითონ გმირისათვის, მისი მისწრაფებების, მამოძრავებელი იმპულსების, მიზნების, ამოცანებისა და მორალური საყრდენების საკუთრივ გააზრებისათვის, სრულიადაც არ არის საკმარისი რომანის სიღრმისეული ამოცანის დასაძლევად. თუმცა თანამედროვე რომანისტიკის სინქრონული გათვალისწინებისას აღმოჩნდება, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ვრცელია სუბიექტივისტური რომანის გავლენის რეგიონები, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის, საფრანგეთის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების რეალისტური რომანის ახალი, ახალგაზრდული ტალღა რეალიზმის ახალი აღმავლობის მანიშნებელია.

გაქრობის გზაზე შედგა „ახალი რომანი“, „ახალი ახალი რომანი“, რომელთა პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი ნ. საროტი, ა. რობ-გრიიესთან, მ. ბიუტორთან და სხვებთან ერთად სუბიექტური რომანის პოზიციებზე იდგა. ის წერდა „ეჟენი გრანდეს“ ბედნიერი დროიდან, როცა მწერალსა და მკითხველს შორის კვარცხლბეკზე იდგა გმირი, ის თანდათანობით, უფრო მეტად და მეტად ჰკარგავდა თავის წინანდელ ატრიბუტებს და პრივილეგიებს, უძრავ-მოძრავ ქონებას და ფასიან ქაღალდებს, ტანსაცმელს, ტანს, სახეს“ და ბოლოს, რადგან სიძნელეს წარმოადგენს სულიერი ცხოვრების მთელი სიმდიდრისა და სირთულის ასახვა, ნატალი საროტის მიხედვით, „მწერალი აშკარად და პატიოსნად ლაპარაკობს მხოლოდ თავის თავზე“.

არ ვიქნებოდით სწორი, რომ ეს აზრი ერთბაშად და ერთი ხელის დაკვრით უარგვეყო. სულიერი ცხოვრების სირთულისა და მისი გამოხატვის სიძნელეებზე ლაპარაკობენ არა მხოლოდ მოდერნისტები, არამედ რეალისტებიც. ალბერტო მორავიას სიტყვით, მაგალითად, გაცილებით უფრო მართებული იქნებოდა დაგვეწერა — „გავიფიქრე მე“, ვიდრე „გაიფიქრა მან“.

მართლაც, თითქმის ყველა მთავარი გმირი, თუნდაც კლასიკურ რეალისტურ ნაწარმოებებში, განსაკუთრებულად ახლოა მწერლის სულთან, ბიოგრაფიასთან, აზროვნებასთან, იდეალე-

ეროვნული

ბთან და ფსიქიკურ წყობასთან. ცხადია, ჩვენ აქ არ გვინდა განვაახლოთ ძველისძველი დავა მწერლისა და გმირის იგივეობაზე, ან დისტანციაზე მათ შორის. მაგრამ აშკარა და ცხადი ის არის, რომ მწერალი თხზავს იმის შესახებ, რაც უკეთ იცის თვითონ და გარკვეულნაწილად თვით მის არსებას შეადგენს, წამოჭრის იმ პრობლემებს, რომელთაც მისი სული შეუძრავს. მხოლოდ ფორმა არასდროს არ ქმნის ნაწარმოებს.

მაგრამ რეალისტურ ნაწარმოებში ერთი გმირი, როგორი ღრმაც არ უნდა იყოს მისი აზროვნება, ფსიქოლოგია — რთული და ბიოგრაფია — მრავალმხრივი, პრინციპულად, ვერ შექმნის რომანის ფაქტურას. ეპიკური ნაწარმოები ფორმათა მრავალფეროვნებას ამჟღავნებს, მაგრამ იგი უეჭველად მოითხოვს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, ერთი პერსონაჟის სხვა პერსონაჟებთან მიმართებას, გმირების ურთიერთზემოქმედებას, ტიპიური ხასიათების და ტიპიური გარემოებების ასახვას, ცხადია, თუ მწერალი რეალიზმის პოზიციებიდან გამოხატავს სინამდვილეს.

ზემოთაღნიშნული მოტივით, რომ მწერალს დაბეჯითებით მხოლოდ თავისთავზე შეუძლია ლაპარაკი, მსოფლიო ლიტერატურაში მესამე პირით თხრობა ბევრ შემთხვევაში შეიცვალა პირველით. ამ პროცესმა პროზის ლირიზაცია გამოიწვია და თანდათან შეავიწროვა ეპიკა, პირველ პირს თავისი დადებითი მხარეები და დიდი პლუსები აქვს, რომელთა აღწერა ახლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ თანდათან ცხადი ხდება მისი უხერხულობანი ეპიკური ჟანრებისათვის; უპირველესი კი ის არის, რომ ძნელად ხერხდება მწერლისა და გმირის თვალსაზრისის გამიჯვნა, თუ კი ამას ვინმე ცდილობს, რადგან მწერლის მხედველობის არე შეზღუდულია გმირის მხედველობის არით. აქ სტრუქტურულად მიუღწეველი ხდება კანონი „მწერალმა იცის ყველაფერი“ (თეკერეი). მწერლობის „დემოკრატიზაციის“ პროცესი, როცა უარყოფილი იქნა ბალზაკის მიერ მწერლის ღმერთთან შედარება, ბევრი წინააღმდეგობის შემცველი გახდა. ამ მეტაფორას, შემოქმედის ღმერთთან შედარებას, რეალური საფუძველი აღმოაჩნდა. ჭეშმარიტი შემოქმედი მარტო ადამის შექმნით ვერ დაკმაყოფილდება, ადამს ევა უნდა, ორივეს ერთად კი გარემო, ედემის ბაღიც კი აღარ არის მათთვის საკმარისი და ისინი გადიან ვრცელ სამყაროში, რომელიც არამხოლოდ სამოთხეა, არამედ ჯოჯოხეთიც.

ადამის ტომიც მომრავლდა და ერთი ხასიათი, რაგინდ მრავალწახნაგოვანი არ უნდა იყოს ის, ოდნავადაც ვერ გახსნის საზოგადოების ხასიათს, მის სტრუქტურას, ზნეობას, მიზნებს, ამოცანებს. ერთი კაცის ცხოვრება ვერ ასახავს საზოგადოების მრავალმხრივ და მრავალწახნაგოვან ცხოვრებას.

ცხადია, ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთმიმართებაში სხვა წინააღმდეგობებიც შეინიშნება, ერთი ნაწარმოები, თუნდაც ეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, „დონკიხოტი“, ან „ომი და მშვიდობა“ იყოს, ვერ დაიტევს ცხოვრების ყველა მხარეს. მაგრამ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ის მომენტია, რომ ცალკე აღებული გმირის ცხოვრება პრინციპულად შეუძლებელია იზოლირებულად გამოისახოს, გაგებული და ახსნილი იქნას, გამოეყოს იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც განუწყვეტლივ ზემოქმედებს მასზე.

შეიძლება ამიტომაც დღეს მსოფლიო ლიტერატურაში შეინიშნება მობრუნება მესამე პირით თხრობისაკენ. იქნებ ამავე მოვლენებს ეხმაურებოდეს და სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რომ ნოდარ დუმბაძემ თხრობა მესამე პირით წარმართა თავის „მარადისობის კანონში“, თუმცა სტრუქტურულად რომანი აეწყო ერთი გმირის ცხოვრების ირგვლივ, მოგონებების სახითაა დაწერილი და თითქო ლოგიკურად მოითხოვდა პირველ პირს.

როგორც ჩანს, მწერალს არ აკმაყოფილებდა პირველი პირით თხრობის შესაძლებლობანი, სურდა უფრო ფართოდ აესახა სინამდვილე.

„აქტიური მზის წელიწადშიც“ მწერალს ვერ აკმაყოფილებს ნოდარ გელოვანის — ერთი გმირის ხედვის არე. თვით ნოდარ გელოვანიც უკმაყოფილოა ინფორმაციის ადამიანური შესაძლებლობის შეზღუდულობით — „მე ვერასოდეს ვერ გავიგებ როგორ მივიდა მამაჩემი გოგისთან“. პირველი პირით თხრობის ამ ხარვეზების შევსებისათვის გურამ ფანჯიკიძე იყენებს ფრიად ორიგინალურ ხერხს, ტიპიური გარემოსა და სიტუაციათა წარმოსახვის ხერხს და ახდენს ამ ხერხის დემონსტრირებას მკითხველის წინაშე. „იქნებ ივნისის დილა იყო, როცა უცნობმა პროკურორს კაბინეტში დაურეკა? იქნებ ივლისის? შეიძლება დილა კი არა, სულაც საღამო იყო. უცნობმა იქნებ პირდაპირ კაბინეტში მიაკითხა? ნაკლებ დასაჯერებელია! ალბათ დაურეკა და რაიონის განაპირას დაიბარა, ხიდის ყურესთან“. ყოველივე ეს არ შეეძლო დაენახა გმირს, აგრეთვე მთხრობელს და ამიტომ მწერალი მკითხველს აწვდის მრავალ შესაძლებელ ვარიანტს, თუმცა არსებითი ამ კონკრეტულ ფორმათა ცვლილებით არ შეიცვლება. იმას, რაც პედაგოგისა და პროკურორ რეზო გელოვანის დიალოგში ირკვევა, არსებითი მნიშვნელობა აქვს რომანის პრობლემათა სიღრმისათვის. ის ტიპიურია და ცხოვრებიდან აღებული, მწერლის გამოცდილების არეშიც შედის და გმირისაც, მაგრამ სტრუქტურულად პირველი პირისათვის მიუწვდომელი იქნებოდა. მწერალი, რომელიც ისწრაფვის ცხოვრების ფართოდ და ღრმად ჩვენებას, ვერ ჯერდება პირველი პირის შესაძლებლობებს და ორიგინალური ხერხით ისევ უბრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდება მეხამე პირის ინფორმაციულ ხიმდიდრეს; ამ ხერხითაა გადმოცემული „აქტიური მზის წელიწადში" მთელი თავები: მამის მისვლა გოგისთან, ზურაბ გომართელის მიერ მანქანით ბავშვის გატანა, ნოდარის პატარა ძმის სიკვდილი, როგორც ვთქვით, პედაგოგის შეხვედრა და დიალოგი პროკურორთან, აგრეთვე ეკას ოჯახის ცხოვრების ეპიზოდები, რომლის მოწმე, ცხადია, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნოდარ გელოვანი. ხანდახან მწერალი გმირის პირით პირდაპირ აღნიშნავს: „ეპიზოდი უჩემოდ". ავტორს არ ყოფნის Ich form-ის დიაპაზონი და ორიგინალურად უბრუნდება ფორმულას — „ავტორმა იცის ყველაფერი". მისთვის ძლიერ საინტერესოა რა ხდება გმირის სულში, რაც რომანში ინტროსპექტიით ხორციელდება, მაგრამ მისთვის ასევე საინტერესოა რა ხდება გმირისირგვლივ. გმირის ცხოვრება სტრუქტურულადაც ითრევს სხვა ადამიანებს თავის ორბიტში და მათი ცხოვრება მწერლის დაუცხრომელი ინტერესის საგანი ხდება, თუნდაც იმიტომ, რომ გმირის ხასიათის ფორმირებას, მისი იმპულსების საყრდენებს ვერ ახსნი ობიექტური სამყაროს გარეშე, სხვა გმირების გარეშე. ამას გარდა, მათ ობიექტური, თავისთავადი ღირებულება და მნიშვნელობა აქვთ.

ასე შემოდის რომანის სიუჟეტში მრავალი პერსონაჟი და ობიექტური სინამდვილის ცოცხალი მდინარების ტიპიური გარემოებანი და მოვლენები.

მამუკა თორაძე ხიდაშელს („მეშვიდე ცა") მოგვაგონებს. საქმისათვის შეიძლება ასეთი კაცი არ იყოს ურიგო. ოღონდ ესაა, თითონ არის შინაგანად გამოფიტული, ზნეობრივად გამოფიტული, უემოციო, რობოტის წინადღე. გოგის ცხოვრება მექანიკურობამდეა მისული, მასში უეჭველად არის პროტესტი ცხოვრების ზოგიერთი ნორმების — არაგულწრფელობის, სიყალბის, მოჩვენების წინააღმდეგ. მაგრამ მასში ჩაკლულია შინაგანი მგზნებარება და ცინიზმი გამოსულა ავანსცენაზე.

„დედმამიშვილებისა და ცხრაძმა ხერხეულიძეების სადღეგრძელო არაა ჩვენი საქმე", „ყოველ ხუთ წელიწადში სრულიად ახალი ფსიქოლოგიის ხალხი მოდის", „მე თქვენ ამხანაგადაც კი არ გამოგადგებით, უბრალოდ საერთოს ვერ გამოვნახავთ". თაობათა იზოლაციის და მემკვიდრეობის უარყოფის პრობლემების აღიარება და ხელოვნური გაღრმავებაა, აქ იმის ცდა კი არ არის, რომ როგორმე დაიძლიოს ეს ზღუდეები, არამედ გაღრმავდეს კიდეც; სინამდვილის სიძნელეებთან „ბრძოლის" მეთოდები და ხერხები შეზღუდულია: „დისკოს გუგუნში", ალკოჰოლის და მორფიუმის მირაჟებში ჩაკარგვა... აქ თავისთავად ძლიერდება ადამიანის მისწრაფება ცხოვრების ტრაგიკული აღქმისაკენ

— დასასრული? ტრაგიკული... მაგრამ კომიკური.

ნოდარ გელოვანი ვერ ამყარებს კონტაქტს უცნობ ძმასთან, თუმცა კი გულწრფელად ცდილობს. არა, აქ, სრულებითაც არ გვინდა ის დავადანაშაულოთ, არამედ ხაზი გავუსვათ გმირების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას.

გმირის ცხოვრების, გონებრივი და სულიერი არსების უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანია მისი პოზიცია გარესინამდვილისადმი, საზოგადოებისადმი, ადამიანებისადმი. მაგრამ პოზიციის განსაზღვრა შეუძლებელია, თუ მკითხველმა ვერ მიიღო ინფორმაცია, ცხადია, სპეციფიკურ მხატვრულ სახეებში, იმათ შესახებ ვის მიმართაც ეს პოზიცია უნდა შემუშავდეს. ამიტომაც რომანის იდეოლოგიური ცენტრისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვთ მაღლაფერიძეს, მთვარაძეს, დარახველიძეს, ტყემალაძეს, პროფესორ გელოვანს, სატყეო დირექტორს, გოგის, ზურაბ გომართელს, მამუკა თორაძეს, ვიდრე ბაჩანა რამიშვილს და ნოდარ გელოვანს, თუმცა ორივე რომანის მთავარ გმირებს სწორედ ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ.

ორივე რომანის ძირითადი კონფლიქტი, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ არსს, ისახება სწორედ ბაჩანა რამიშვილის და ნოდარ გელოვანის პოზიციის შემუშავებაში, ან გარკვევაში, ორივე გმირის მიერ საკუთარი ცხოვრების, საკუთარი ადამიანური არსის ანალიზის და დადგენის პროცესში.

...პალატაში ბაჩანასთან კომბინატორ დარახველიძის აუდიენციის ტრაგი-კომიკურად დასრულების შემდეგ, მეჩექმე „ფიზიონომისტი" ბულიკა ამბობს, შემოსვლისთანავე გამოვიცანი დარახველიძე, ვინც იყოო?. „— ფეხსაცმელის... ლანჩა დავინახე, წინ იყო გაცვეთილი, ქუსლი კი სულ ახალი ჰქონდა. ესე იგი, ტუფლი საგარეოა და უფროსებთან იცვამს მხოლოდ, ისიც მიღებაზე, წინ კი იმიტომ არის გაცვეთილი, რომ ცდილობს ფეხის წვერებზე იაროს. ...ეგ, სიდამპლის პირველი ნიშანია"...

...რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების დაძაბული სიტუაცია პალატაში შეაღწევს გაზეთის ცნობით: „ტყემალაძე მოხსნეს". — აქამდე სად ვიყავითო, კითხულობს ბულიკა და იქვე კითხვას პალატის მკვიდრთა მიმართ გადმოიტანს კონკრეტულად, თქვენ სად იყავითო.

„— ეს მე არ მეხება! — ხელი დაიბანა იორამმა — მე ჩემი კათალიკოსი მყავს, ეგ (ტყემალაძე) თქვენი კათალიკოსი იყო.

— კარგი შენ მღვდელი ხარ და არ გეხება, თქვენ სადღა იყავით, ბატონო ბაჩანა? — გადაიტანა იერიში ბაჩანაზე ბულიკამ. ბაჩანა მოულოდნელობისაგან დაიბნა.

— ვინ ჩვენ? — ისე იკითხა ვითომ შეკითხვა ვერ გაიგო.

— თქვენ, მწერლები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენა, ჩვენ... ჩვენ სად ვიყავით? — ბაჩანას მახსოვრობა გადაეკეტა, ნუთუ მართლა არაფერს ვაკეთებდი? — ჰკითხა თავისთავს და იმ წუთში ვერაფერი გაიხსენა სახიკეთო, — ჩვენ, ჩემო ბულიკა, შენთან ვიჯექით ყველანი და იმ გაცვეთილ ფეხსაცმელებს ვაპაჩინკებდით, — თქვა მან ხინანულით.

— მეც მანდა ვარ".

„სიწრფელის კიდეგან ნაფიქრის ქაღალდზე გადატანას აზრი არა აქვს", წერს „მთვარის მოტაცებაში" ისეთი ჭეშმარიტი არტისტიზმის ფასის მცოდნე, ხელოვნების მრავალ საიდუმლოებათა მფლობელი მწერალი, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია იყო.

ბაჩანას, როგორც მწერლის და როგორც მოქალაქის, ასეთი სიწრფელე თავისთავის მიმართ საწინდარია იმისა, რომ ჩვენი მწერლობა და მისი გმირები დიდი სიმართლით, პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით და არსში წვდომის სურვილით წამოჭრიან ჩვენი საზოგადოების განვითარების პრობლემებს და ყურადღებას ამახვილებენ მის ზნეობრივ ასპექტზე.

ასევეა „აქტიური მზის წელიწადშიც".

წმინდა, ხალასი სულისკენ მისწრაფების გარეშე მსოფლიო პრობლემებზე ფილოსოფიურ ჩაფიქრებას მხოლოდ პოზიორობისაკენ შეუძლია წაიყვანოს ადამიანი და საერთოდ მწერლობაც, კონკრეტული შინაარსის გარეშე სულ ტყუილია ბრტყელი სიტყვები ჰუმანიზმზე, კაცთმოყვარეობაზე და მამულიშვილობაზე.

„— აბა მომისმინე, ყურადღებით მომისმინე, თორემ შეიძლება ჭკუაზე შევიშალო. შენ უნდა გამიგო, ეკა... მე სუსტი და ემოციური ადამიანი ვარ. არ შემიძლია ისე ცხოვრება, როგორც სხვები ცხოვრობენ. მაგიჟებს და მაცოფებს, ირგვლივ რომ გესლიანი და შურიანი ადამიანები მახვევია. ვერ ვიტან სიცრუეს და სიყალბეს, ვერ ვიტან ფარისევლობასა და პირმოთნეობას, ვერ ვიტან ბოროტებასა და კაცისმკვლელებს. ცხოვრება ჩემთვის მხოლოდ სასოწარკვეთა და იმედის გაცრუებაა. მე, მე, თვითონ ვინა ვარ, როგორ ვცხოვრობ, როგორ ვეგუები ჩემს ირგვლივ გამეფებულ უმსგავსობას, როგორ ვებრძვი ნაძირალებსა და ეგოისტებს, დღენიადაგ პირზე რომ ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და პატრიოტიზმი აკერიათ?".

ეს პრობლემები მთელი სიმძაფრითაა წამოჭრილი ნოდარ გელოვანის წინაშე.

განსაკუთრებით დასაფასებელი ამ გმირებში — ბაჩანა რამიშვილში და ნოდარ გელოვანში, ჩემის აზრით, ის არის, რომ კრიტიკას ისინი იწყებენ თავის თავიდან. სხვისი კრიტიკა შედარებით ადვილია. თავისთავის კრიტიკა კი მოწიფულობის, დავაჟკაცების უეჭველი ნიშანია,რაც ასე გამოიკვეთა „მარადისობის კანონსა" და „აქტიური მზის წელიწადში" — რომანებში იმ ავტორებისა. რომელთაც ჩვენ არც ისე დიდი ხნის წინათ ახალგაზრდა მწერლებს ვეძახდით. იდეალური გმირები ამ მწერლებს თავიდანვე არ უყვარდათ, მაგრამ პერსონაჟი, რომელიც მათ მრწამსს გამოხატავდა, შეფასების გარეშე რჩებოდა. იგი თვითონ იყო შემფასებელი.

ბაჩანა რამიშვილი მიხვდა რამ გამოიწვია მთხოვნელთა ნაკადი მასთან, რომლებიც პროტექციას ითხოვდნენ, მან მართლა მიიღო მონაწილეობა „ბაწალაშვილის რესტორან „იმერეთის" დირექტორად დანიშვნაში", სულერთია რა მოტივით იყო ეს, პროტექცია ქველმოქმედების მიზნითაც პროტექციაა. ამ შემთხვევაში კი მამაო იორამი ადვილად გაერკვა საქმის არსში: „— გამოდის ვიღაცას მართლა აულია ქრთამი, ბატონო ბაჩანა? — ჰკითხა მამაო იორამმა. — გამოდის! თავი დაუქნია ბაჩანამ".

თუ ასეთი შეცდომების დაშვებისაგან დაზღვეული არ არის ბაჩანა, რომელსაც უფრო ჩამოყალიბებული ხასიათი აქვს და სამოქმედო პრინციპებიც შემუშავებული, სათანადო საზოგადოებრივი მდგომარეობაც მოპოვებული, უფრო ძნელ მდგომარეობაშია ნოდარ გელოვანი. იგი კარგი მკვლევარია, კარგი მეცნიერი, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მასზე თითქმის არაფერი არ არის დამოკიდებული. პიროვნების როლი ცხოვრების მდინარებაში, ინდივიდუალურად აღებული პიროვნების როლი პრობლემატური გახდა. თუ ნოდარ გელოვანი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გარკვეულა საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებაში მისი როლის დღევანდელ მდგომარეობაზე და პერსპექტივებზე, ათწლედის პედაგოგს საბოლოოდ გარკვეული აქვს ეს თავისთვის. „ჩემი უბედურება ისაა, რომ უსამართლობას ვერ ვიტან. მასთან ბრძოლა კი არ შემიძლია". და მაინც კაცი თავისებურად ცდილობს რაღაცნაირად ხელი შეუწყოს ჭეშმარიტების დადგენას, სიმართლის აღდგენას.

სუსტი თუ ძლიერი პიროვნებაა ნოდარ გელოვანი? კაცი, რომელიც შეიცნობს, ან იბრძვის თავისთავის, საზოგადოების და სამყაროს შეცნობისათვის, არ შეიძლება სუსტი იყოს, განსაკუთრებით ჩვენთვის, მკითხველისთვის. მან კი უკეთ იცის საკუთარი შინაგანი სამყარო, თავისთვის ფასიც იცის, ძალაც და სისუსტეც.

ცხოვრებაში რაიმეს შეცვლა პიროვნების, ინდივიდის ცდით პრობლემატურია. ეს ახალი ამბავი არ არის; ის ვინც მდინარებას მიჰყვება, ადვილად ცხოვრობს და თავისთავის ძლიერების ილუზიაც ადვილად შეიძლება შეექმნას. მხოლოდ ის, ვინც მდინარების წინააღმდეგ აღმოჩენილია, მიხვდება საკუთარი ძალისა თუ სისუსტის ნამდვილ ფასს.

ამიტომაც სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ნოდარ გელოვანი თავისთავს „ემოციურ და სუსტ კაცს" უწოდებს. უემოციო ცხოვრება გზაა მამუკა თორაძისაკენ, უფრო შორს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსპექტივაში — რობოტისაკენ. ხოლო იმ ურთიერთობათა შეცვლისათვის, რომლის წინაშეც ნოდარ გელოვანი აღმოჩნდა, ერთი კაცის ძალა აშკარად სუსტია. მეტის გაკეთება რომ არ შეუძლია, ამიტომაც არის ამხედრებული თავისთავის წინააღმდეგ. ან კიდევ, გააკეთა კი მან, რის გაკეთებაც შეეძლო? აი ეს არის მთავარი საკითხი.

საკუთარი შეხედულებების შემუშავებას საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების მიმართ და აქტიური პოზიციის გამომუშავებას მთავარი და განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს „მარადისობის კანონისა“ და „აქტიური მზის წელიწადის“ მთავარი პერსონაჟების ხატვისას. ერთგვარ დასკვნებს აკეთებს ამ მხრივ რევაზ გელოვანი, რომლის სიტყვები აზოგადებს ამ ორი რომანის დადებით გმირთა სამოქმედო პროგრამას და მოქმედების არსს, მის ეროვნულ და ზოგადკაცობრიულ მნიშვნელობას:

— მე ხალხისთვის ვიბრძვი, ელდარ ბატონო, ხალხისთვის! არ შეიძლება ხალხს რწმენა დაუკარგო, ამ ქვეყანაზე სიმართლეს ვერ იპოვიო. არ შეიძლება ხალხი დააშინო და გაალაჩრო!..

რაიონის ექიმის პასუხიც დიდად დამაფიქრებელია და დიდი ანალიზისა და კვლევის საგანი.

## „დავა“ კოპერნიკთან

ამიტომ არის, რომ ნოდარ გელოვანის ძიება არ არის რომელიმე ერთი მხრით მიმართული. მისი ფსიქიკური დაძაბულობის ზღვარზე მისული კვლევა-ანალიზი ადამიანის არსებობის ყოველ სფეროს მოიცავს, ყველა მხარეს ეხება: მეცნიერულს, ეთიკურს, ესთეტიკურს, რელიგიურს, ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს და უმკვრივეს და უმძიმეს სხეულთა ფიზიკას სამყაროს უსასრულობის სიღრმეში.

შეიძლება ის უფრო მძაფრად განიცდიდეს ადამიანთა ურთიერთობას, უფრო ემოციური იყოს მისი დამოკიდებულება ყოველდღიური მოვლენებისადმი, ადამიანის მოქმედების იმპულსებისა და მოტივებისადმი, მაგრამ სამყარო და ადამიანი მის მიერ არ აღიქმება დანაწევრებულად. მისი თვალსაზრისი ამ მხრივ მთლიანია და ყოვლისმომცველი. და ეს იმიტომ კი არა, რომ ნოდარ გელოვანი ფიზიკოსია. ამ პრობლემებითაა დაინტერესებული მწერალი ბაჩანა რამიშვილიც.

ალბათ, ყოველ გათვითცნობიერებულ ადამიანს აკვირვებდა და აინტერესებდა უკიდეგანო ვარსკვლავთ სამეფო, მაგრამ სამყაროს საიდუმლოებათა ამოცნობის გამძაფრებული ინტერესი, ეს შეიძლება ჩვენი ეპოქის განსაკუთრებული ალტერნატივა იყოს. შეიძლება სამყაროს აგებულების, მისი წარმოშობისა და განვითარების დინამიკა ფილოსოფიური საკითხი იყოს, მაგრამ ისეთი ფილოსოფიური საკითხი, რომელიც ახლო მომავალში, თუ უკვე არა, უშუალოდ პრაქტიკულ პრობლემებს დაუკავშირდეს, თუ ყოველივე ამას ამ სისტემაში „ადამიანთა მიწის“ ადგილის და მისი მომავლის პერსპექტივის თვალსაზრისით შევხედავთ. ადამიანის გონების ტექნიკური მონაპოვრის გრანდიოზულობა დედამიწის ბედს კაცობრიობას უკავშირებს, რაც ადრინდელ საუკუნეებში სავსებით გამორიცხული იყო. ამიტომაც არის, რომ დღეს „წმინდა“ ფილოსოფიური საკითხები ასე მჭიდროდ დაუკავშირდა ადამიანის ზნეობას, ფილოსოფია უფრო ადამიანური გახდა და ასე ძლიერ შემოიჭრა ცხოვრებაში და რომანისტიკაშიც.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დღეს ლიტერატურულ წრეებში ლიტერატურული ნაწარმოების ფილოსოფიურობაზე ლაპარაკი მოდური გახდა. განსაზღვრება „ფილოსოფიური“, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, რომანის გარკვეულ სახეობას მიეკუთვნება, როგორღაც ძალზე გავაიაფეთ, გავაფართოვეთ მისი შინაარსი და საჭიროა თუ არა, ყველა შემთხვევაში მივმართავთ მას, ზოგჯერ იმ საბაბით, რომ ნაწარმოებში წამოჭრილია ესა თუ ის ზნეობრივი პრობლემა. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მხატვრული ნაწარმოები წარმოუდგენელია ზნეობრივი პრობლემის გარეშე. ყოველივე მასთან, რაც კი შეიძლება შემოვიდეს მხატვრულ ნაწარმოებში, ადამიანური დამოკიდებულება უნდა დამყარდეს, ადამიანის მიმართებაში უნდა წარმოისახოს და ამდენად ზნეობის ასპექტში უნდა გადატყდეს. ეს მხატვრული ნაწარმოების აუცილებელი, მისი სპეციფიკური არსის აღმნიშვნელი თვისებაა. და იგი ახლა არავის გამოუგონია. იმთავითვე ახასიათებდა მხატვრულ თხზულებას, იქნებოდა ეს ლირიკული, პროზაული თუ დრამატურგიული ნაწარმოები. მახსენდება, „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორესპონდენტი ჩააცივდა ნოდარ დუმბაძეს, რას იტყვით იმის შესახებ, XX საუკუნის სამოციანი წლების ქართულმა მწერლობამ ზნეობრივი პრობლემები რომ წამოჭრაო. მწერალმა უპასუხა: „შუშანიკის წამებიდან“ მოკიდებული დღემდე მე არ მახსოვს პერიოდი, ქართულ პროზას განსაკუთრებული ყურადღება არ გამოეჩინოს ზნეობრივი პრობლემებისადმი; პროზის ძირითად დანიშნულებად მე სწორედ ეს მიმაჩნია“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1976, 24 თებერვალი) და ეს სრული ჭეშმარიტებაა.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეთიკა ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილია, ამ აზრით შეიძლება მართალიც იყო ბალზაკი, როცა თავისთავს ფილოსოფოსად თვლიდა, და პრევოც, რომელიც თავის „მანონ ლესკოს“ ზნეობრივ ტრაქტატს უწოდებდა; და მაინც მგონია, ფილოსოფიურ რომანს აქვს საკუთარი სპეციფიკა, რომელიც მას გამოჰყოფს, როგორც რომანის ცალკე სახეობას. ამისთვის, ცხადია, საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო არ არის მხატვრულ ნაწარმოებში ფილოსოფიური პრობლემები ადამიანის ცხოვრების სოციალური, ფსიქოლოგიური ასპექტებისაგან განცალკევებით იყოს წამოჭრილი. მე მგონია, ზოგიერთი მწერალი, კრიტიკოსი თუ ლიტერატურათმცოდნე უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ფილოსოფიური სიღრმე რომანისათვის მხოლოდ მისი განყენებული მხატვრული ფაქტურით, ან აბსტრაქტული მხატვრული სახეებითაა მისაწვდომი და ამიტომ ამ სახეობის რომანს მედიტაციის, განსჯის და საერთოდ „ინტელექტუალიზმის" სფეროში ათავსებს, და „რომანი-იგავით" შემოსაზღვრავს. მათი აზრით, პირველყოფილ არქეტიპებს, მითოლოგიას მოკლებული თანამედროვე კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე ვერ იძლევა მასალას მარადიული ფილოსოფიური პრობლემების წამოჭრისა და გადაწყვეტისათვის.

ყოველი მარადიული ზოგადფილოსოფიური პრობლემა მხატვრულ ლიტერატურაში მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ჭეშმარიტ ფილოსოფიურ ჟღერადობას, თუ ეს პრობლემები ადამიანური ცხოვების სიღმეებთან, მისი გამოვლინების ყოველდღიურ უსასრულო მრავალგვარობასთან და მრავალწახნაგოვნებასთან იქნებიან მჭიდროდ დაკავშირებული, უფრო ზუსტად, მათგან გამომდინარე თუ იქნებიან, თუ ზოგადადამიანურ, ურთულეს და ულრმეს პრობლემებს ყოველდღიური ცხოვრების მდინარებაში განჭვრეტს მწერალი. სწორედ ამით არის შეპირობებული ჩვენი ეპოქის მწერლის ქმნილების მხატვრული ღირებულება და, თუ გნებავთ, საჭიროება, აუცილებლობა.

ჯეიმს ჯოისი თანამედროვეობას არ თვლიდა დიდი ყურადღების ღირსად, რადგან მისი აზრით სულერთია „მითოლოგიური „მარადიულობა" წაშლის დროის „შემთხვევით ნიშნებს". სრულიად სხვა თვალსაზრისზე იდგა თომას მანი. მისი ერთი გმირის აზრით, „წარმავალი სრულებითაც არ ამცირებს ყოფიერებას, პირიქით, ის შესძენს მას ღირებულებას, ღირსებას და მომხიბვლელობას... მხოლოდ ის, რასაც აქვს დასაწყისი და ბოლო, აღძრავს ჩვენს ინტერესს და სიმპათიას, რადგან ის სულჩადგმულია წარმავალით. წარმავალით არის გასულიერებული კოსმოსური ყოფიერება, მაშინ როცა მარადიული არ არის გასულიერებული და ამიტომაც არყოფნა, საიდანაც ის გამოვიდა, ჩვენი სიმპათიის ღირსი არ არის".

ნამდვილი ფილოსოფიური რომანი — იშვიათობაა. რთულია ადამიანური ძიება, ყოველდღიური ცხოვრება ყოფიერების ზოგად პრობლემებს დაუკავშირდეს ერთი ნაწარმოების შიგნით, ერთ მთლიანობაში გადადნეს და ერთიანობაში წარმოგვესახოს, მოხერხდეს ამ პრობლემის ურთიერთგამსჭვალვა — ადამიანური, ყოველდღიური გაიხსნას ზოგადფილოსოფიურ კონტექსტში და ზოგადფილოსოფიური აივსოს ადამიანური არსით, გაადამიანურებული ემოციურის გზით შემოვიდეს მხატვრულ ნაწარმოებში და მკითხველის წარმოსახვაში.

განსაკუთრებით დიდი სიღრმეების წვდომას და დიდ ოსტატობას მოითხოვს ფილოსოფიური რომანის თანამედროვე თემატიკასთან შერწყმა. ამ მხრივ, ჩემის აზრით, ბევრ საყურადღებოს ვხვდებით „მარადისობის კანონსა" და „აქტიური მზის წელიწადში".

სამყარო, კოსმოსი ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანის დაკვირვების, უფრო კი გაკვირვების, ობიექტს, ამავე დროს, მზე და მთვარე, „წვრილ-წვრილი" ვარსკვლავები ისევე „აწლობელი" იყვნენ ადამიანისათვის, როგორც საკუთარი ოჯახის წევრები — დედა, მამა და და-ძმა. მეტაფორა აქ გულიდან მომდინარე იყო. მიუხედავად ამისა, ვარსკვლავთა სამეფო მაინც იყო დაკვირვების, უფრო კი გაკვირვების ობიექტი.

თანამედროვე ადამიანისათვის კოსმოსი ცნობისმოყვარეობის და ცოდნისმოყვარეობის სფერო როდია მხოლოდ; უკიდეგანო სამყაროს საიდუმლოება უხილავი ძაფებით კი აღარ არის გადაბმული ადამიანის ბედთან, უკანასკნელ ათწლეულებში ის პირდაპირ და უშუალო კონტაქტშია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მსოფლიოს ხალხთა საარსებო პრობლემებთან. ის, რაც წინათ ზოგადად იცოდა ადამიანმა მზის ენერგიისა და მთლიანად კოსმოსის ზემოქმედების შესახებ დედამიწის სიცოცხლეზე, დღეს კონკრეტულ შინაარსს იღებს, მომავალში ალბათ კიდევ უფრო გამდიდრდება ეს ცოდნა.

ადამიანის თვალთახედვა უაღრესად გაფართოვდა და შორს წავიდა, გაცილებით უფრო შორს, ვიდრე ჩვენი პატარა პლანეტა, მეოცე საუკუნის ინფორმაციის და კომუნიკაციის წყალობით კიდევ უფრო დაპატარავებული და შეკუმშული.

ოთხნახევარ მილიარდამდე გაზრდილი მოსახლეობა, ენერგეტიკის, საკვების, ბიოსფეროს უაღრესად გამწვავებული პრობლემატიკა ადამიანის მზერას მიმართავს ყოველმხრივ. როგორც ბოლო დროს ირკვევა, ზღვის მოიმედედ მაინცდამაინც ვერ იქნება თურმე ადამიანი, გამოსვლის ძებნა ყოველმხრივაა საჭირო. პრობლემები დედამიწაზევე უნდა გადაიჭრას, მაგრამ იქნება ისეთი ძალები იქნან აღმოჩენილი, მოკავშირედ, დამხმარედ რომ გამოადგება მიწის შვილთ. ცხადია, არავინ იცის შორს მომავალში რა შეიძლება აღმოაჩინოს ადამიანმა კოსმოსში, მაგრამ დღეს პრაგმატიკული თვალსაზრისითაც ზოგიერთი, არცთუ უმნიშვნელო მონაპოვარი, ფიქსირებულია და ისიც კარგად ჩანს, რომ ადამიანი გაცილებით მეტს მოელის კოსმოსისაგან. გადადგმულია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები, რომელთაც წინ უძღოდა ფიზი-

კოსთა და მათემატიკოსთა დიდი თეორიული შრომა.

თანამედროვე ფიზიკის აღმოჩენები ისე დიდია, რომ, როგორც თორნიკე გავაშელი („აქტიური მზის წელიწადი“) ამბობს, მათი ამოხსნა დროსა და ფიზიკის დღევანდელი ფუნდამენტური კანონების შემოწმებას მოითხოვს.

ეს შეიძლება ფიზიკოსების სპეციფიკური პრობლემა იყოს, მაგრამ კოსმოსისა და დედამიწის ურთიერთმიმართების პრობლემა დღეს ადამიანთა ფართო მასების პრობლემაა, ცხადია, სხვადასხვა დონეზე გათვითცნობიერებული.

ცალკეული კრიტიკოსების აზრით, ამ პრობლემათა რომანის ცენტრში შემოტანა არ არის გამართლებული, რომანისათვის საკმაოა უფრო მიწიერი, მწვავე ყოფითი პრობლემები („ლიტგაზეტა“, კონდრატოვიჩის წერილი).

ჩემი აზრით, თანამედროვე რომანის ყველაზე იდეალური სახეობაა ისეთი ნაწარმოები, სადაც ყოფისა და ყოფიერების პრობლემები ურთიერთგანმსჭვალულია, რადგან დღევანდელი ყველა ძირითადი გლობალური პრობლემა, ეს იქნება კოსმოსური ურთიერთმიმართების, ენერგეტიკის თუ ეკოლოგიისა და ბიოსფეროს პრობლემა, დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე, მის ზნეობაზე, მორალზე და ვლინდება ყოფის ყოველდღიურობაში; ამას შეიძლება ჩვენ ვერც კი აღვიქვამდეთ და შევიცნობდეთ დღეს მთელი სისავსით, გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევთ ადამიანის ზნეობაზე დაფიქრებისას, ვიდრე მას სინამდვილეში აქვს. როგორც „მარადისობის კანონში“, ისე „აქტიური მზის წელიწადში“ სინამდვილის ორივე ეს მხარე — ადამიანის არსის გამოვლენის ყოფითი მხარე და მისი გაუნელებელი სწრაფვა ყოფიერების წვდომისა, ყოველ შემთხვევაში ნაწარმოებების მთავარი გმირების დონეზე — ურთიერთკავშირში და მთლიანობაშია მოცემული.

ამ რომანებში ცხოვრების მწვავე პრობლემები სრულიადაც არ არის გვერდავლილი. პირიქით, ადამიანის ფართო თვალთახედვა, მისი ცოდნა და სამყაროში ადამიანთა ადგილის გარკვევისაკენ მისწრაფება ფოკუსირებულია სწორედ დედამიწის, მსოფლიოს, ქვეყნის, რესპუბლიკის კონკრეტულ პრობლემათა ირგვლივ. ზოგადფილოსოფიური პრობლემები დანახულია დღევანდელი, კონკრეტულ-ისტორიული კაცის თვალსაზრისით, ადამიანთა ცხოვრების გლობალურ და ყოველდღიური ცხოვრების პრობლემათა შუქზე. როგორც მწერლების, ისე მათი რომანების მთავარ გმირთა უპირველესი საზრუნავი სწორედ ადამიანი და ადამიანთა მიწაა. ამდენად, ყოველი ზოგადფილოსოფიური პრობლემა ჰუმანიზირებულია. დედამიწა სამყაროში, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, ერთადერთი პლანეტაა, რომელზედაც ვიცით სიცოცხლის არსებობა, ამდენად ის სამყაროს ცენტრადაც შეიძლება დავსახოთ. მხატვრულ ნაწარმოებში ფილოსოფიას განსაკუთრებული, თავისებური კუთხე აქვს. შეიძლება ითქვას, ეს ფილოსოფია უფრო ამტკიცებს, ვიდრე ახსნის რაიმეს.

„მარადისობის კანონში“ ყოველ სტრიქონში იგრძნობა ფარული „დავა“ კოპერნიკთან. იგი შემთხვევითი არ არის, არამედ ვითარდება როგორც რომანის ცენტრალური იდეა. და სიზმრის შემდეგ ბაჩანას სიტყვები: „— საოცარი სიზმარი ვნახე, ბატონო იორამ, ისეთი სიზმარი, კოპერნიკს შეშურდებოდა“... მხოლოდ მკითხველის მიერ რომანის მიხედვით წინასწარშეგრძნობილი აზრის დადასტურებაა და სავსებით მოსალოდნელი ლოგიკური რეპლიკა. მეცნიერებისათვის, სამყაროს სტრუქტურის წარმოსადგენად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დედამიწის გარეშე სიცოცხლის ნიშან-კვალი არ ჩანს, ხოლო მწერლობისათვის ამ გარემოებამ შეიძლება უპირველესი მნიშვნელობა მოიპოვოს. შორეული უსიცოცხლო გალაქტიკები უამრავ მზეთა ციმციმით უფრო განცვიფრებას და შიშს აღძრავენ, ვიდრე სულის ემოციურ მოძრაობას, რაც პატარა ნამცეცა დედამიწას შეუძლია თავისი ცოცხალი ადამიანებით და მწვანე სიცოცხლით. კოპერნიკთან „დავა“ აუცილებელი იყო ლოგიკის ძალით, რადგან ცენტრი იმ მსოფლიო სისტემისა, რომელიც აგებულია „მარადისობის კანონში“, სიყვარულია, ხოლო სიყვარული, ჯერჯერობით, რამდენადაც კაცობრიობამ იცის, მხოლოდ დედამიწაზეა და ის არის იმ სამყაროს ცენტრი, რომელსაც სიყვარული ქმნის, რომელიც ხელოვნებას შეუძლია შექმნას.

კოპერნიკამდელი გეოცენტრისტული სისტემა, რომლის მქადაგებელნი და ქომაგნი ეკლესიის წმინდა მამები იყვნენ, შეიძლება ითქვას, უმეცრებას ემყარებოდა, ხოლო „მარადისობის კანონის“ მეტაფორული „გეოცენტრიზმი“ მეცნიერების უკანასკნელ მონაცემებს ილებს მხედველობაში; თუ უკიდეგანო სამყაროში ოცი სინათლის წელიწადის რადიუსში სიცოცხლის არავითარი დამადასტურებელი საბუთის მოპოვება არ შეუძლია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კვლევა-ძიებას, მაშინ ხელოვნებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, სამყაროს სისტემის საკუთრივ რომელი „მერიდიანის და რადიუსის სიგრძეებსა და განედებში“ მოძრაობს დედამიწა. ან კი ჰელიოცენტრულ სისტემათა მირიად მწკრივებში განა ადვილი წარმოსადგენია სად შეიძლება იგი მოხაზავდეს თავის ელიპსს? აქ homo Sapiens და homo Moralis იქნებ არც კი უპირისპირდებიან ერთმანეთს, მეტაფორასაც რომ თავი გავანებოთ. მაგრამ რომანის სიბრძნე, ფილოსოფია სწორედ ამ მეტაფორაშია. რომანის ფილოსოფია, უფრო ზოგადად კი ფილოსოფია მხატვრულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში არ არის ჩვეულებრივი

ფილოსოფია. თუ ვაჟა-ფშაველა დედამიწას, მის ფლორას და ფაუნას ადამიანის თვისებებს მიაწერს, განა ამის გამო ვინმეს აზრად უნდა მოუვიდეს, რომ მის ლირიკაში და ეპიკურ პოეზიაში, პროზაში, მხოფლმხედველობრივი ანტროპომორფიზმი ამოიკითხოს? თუმცა კი გვახსოვს ვაჟას ხან ანიმისტად, ხან პანთეისტად აცხადებდნენ. „მარადისობის კანონის" ფილოსოფია სიყვარულზეა დაფუძნებული, ამიტომ არის, რომ რომანის მიხედვით მზის, მზის სისტემის გული დედამიწაა. მხატვრული ზეამოცანაა რომანის ფილოსოფიის ემოციური დამუხტვა და მისი ზნეობის სფეროში რეალიზება. თუ უხეშად გამოვთქვამთ, იდეა პრაგმატისტულ-პუბლიცისტურია. ადამიანებო, ხელი შევაშველოთ ერთმანეთს და ვიზრუნოთ ჩვენს დედამიწაზე, მოუაროთ მას, „გაააცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე როგორმე, თუ შეგიძლიათ".

იგივე ცენტრალური იდეაა გატარებული „აქტიური მზის წელიწადში". „არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ოცი სინათლის წელიწადის რადიუსში არიან დასახლებული პლანეტები. და თუ თავს ასე მარტოდმარტო წარმოვიდგენთ ამ უკიდეგანო სივრცეში, მით უმეტეს გვმართებს დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, მით უფრო გვმართებს გვიყვარდეს ჩვენი ცისფერი პლანეტა, „ღმერთის" რჩეული, მოაზროვნე პლანეტა, რომლის წიაღშიც შექმნილი სულიერი და კულტურული ფასეულობანი ნაკლები საოცრება როდია, ვიდრე თვით შეუცნობელი და იდუმალი სამყარო".

გერმანელი მწერლის ჰანს ფალადა მწარე ჭეშმარიტებას აღიარებდა: „Ieder stirbt für sich allein"!

არ შეიძლება ყოველი ჭეშმარიტი მწერალი არ დააფიქროს ამ პრობლემამ: „მარადისობის კანონისა" და „აქტიური მზის წელიწადის" ავტორები ჩააგონებენ მკითხველს ხელიხელჩაკიდებულებმა მოვუაროთ ჩვენს ცისფერ პლანეტას, ერთმანეთს ვუშველოთ და როცა სიკვდილი მოვა, „სიყვარულით მოვკვდეთ", რომ „ჩვენმა სხეულებმა ენერგია შემატონ მზეს, რათა არ ჩაქრეს ის". ვინც კი ეს რომანები წაიკითხა, მათი დარწმუნება არ დაგვჭირდება, რომ ეს არ ნიშნავს თითქო მათი ავტორები ვარდისფერი სათვალეებით ხედავდნენ ცხოვრებას; პირიქით, როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ, როგორც ბაჩანა რამიშვილი, ასევე ნოდარ გელოვანი მთელი სიმძაფრით განიცდიან ცხოვრების პრობლემებს, ულრუბლო და უკონფლიქტო ცხოვრება იდეალშიც არ არის საგულისხმო. სწორედ ეს იწვევს ამ რომანების მებრძოლ, მომწოდებლურ პათოსს.

ნოდარ გელოვანი ფიზიკოსია და მისი გონება, აზროვნება, ზემძიმე და მკვრივი სხეულების ნაწილაკების და ანტინაწილაკების მოძრაობას შეუპყრია. ამასთან, იგი დიდი სულიერი დაძაბვით განიცდის ყოველ ადამიანურ ქცევას. თვითანალიზის გზით, სხვათა მოქმედების ანალიზის გზით ცდილობს ამოხსნას ადამიანური არსის საიდუმლო, ჯერაც გაუხსნელი შინაგანი იმპულსები, ინსტინქტები, შეაღწიოს ქვეცნობიერის სფეროში. იგი გარკვეული ისტორიული ეპოქის, გარკვეული საზოგადოების შვილია და ამ დროის მორალური საყრდენების დონიდან აანალიზებს ყოველი ადამიანის მოქმედებას, ცოცხალი, მძაფრი ემოციური დამოკიდებულებით, ექსპრესიული რეაგირებით... მძაფრი წინააღმდეგობრივი გრძნობები მორალის სფეროში, სიყვარულში, მეცნიერებაში — სამყაროს საიდუმლოებათა ამოცნობაში წარმოქმნის ღმერთის პრობლემას. აქაც, ალბათ, უმალვე უნდა შეინიშნოს, რომ მხატვრული ნაწარმოების ღმერთი, ყოველ შემთხვევაში ამ ორი ნაწარმოების ღმერთი არ არის „მამაო საბაოთი". დაუძლეველი წინააღმდეგობები წარმოშობენ „მიუწვდომელის" გრძნობას. სწორედ ეს „მიუწვდომელი" უთანაბრდება ღმერთს.

ღმერთი „მიუწვდომელის" სინონიმია, იგი გვევლინება როგორც პანაცეა, ან თუნდაც თავის დაღწევა, „გამოსავლის" პოვნა დაუძლეველი პრობლემების წინაშე. ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ სამყაროს.

ადამიანის ცხოვრების ისტორიაში ღმერთი, როგორც პანაცეა თავს იჩენს როგორც ონტოლოგიის, ისე გნოსეოლოგიის, ასევე მორალის, ეთიკისა და ესთეტიკის სფეროებში. ონტოლოგიურად ღმერთი გაგებულია, როგორც შემოქმედი, რადგან გარკვეული აზრით, სამყაროს წარმოქმნის პრობლემა დღესაც მითის დონეს დიდად არ გასცილებია. თიამათის გაპობა — შუმერულში, პანგუ — ჩინურში, ატომის გახლეჩა და სამყაროს შექმნა გრანდიოზული აფეთქების შედეგად, სამყაროს შეკუმშვისა და გაფართოების თანამედროვე თეორიები და ყველგან, სადაც გადაულახავი პრობლემა იჩენს თავს, შეიძლება წარმოიქმნას ღმერთის, როგორც „მიუწვდომელის" პრობლემა („მიუწვდომელია საქმენი შენნი").

გნოსეოლოგიაში პრობლემა უფრო პრიმიტიულად და კატეგორიულად წყდება. ღმერთს შეცნობა არ სჭირდება, ღმერთი — ღმერთია, მას მხოლოდ რწმენა ესაჭიროება.

ეთიკაში ზნეობის, მორალისა და სამართლის მუდმივი ურთიერთშეჯრა შეინიშნება, ღმერთი რჯულმდებელია და უმაღლესი მსაჯული. — ჩაგრულთა ოცნება, „ღვთის კარზე" განსჯის იმედი და... ულიაჯობის დასტური, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში.

ესთეტიკის თვალსაზრისით, მშვენიერი ღვთაურია, რაც ხსნის მისი არსის შეცნობის პრობლე-

მას. მისი ახსნა შეუძლებელია, მისით დატკბობაა საჭირო.

მარქსიზმი იმიტომაც იყო ჭეშმარიტი რევოლუცია ადამიანის აზროვნებაში, რომ მან მოხსნა ყოველგვარი პანაცეა და ყველა პრობლემას შესაძლებელი გადაჭრის ნამდვილი ასპარეზი დაინახა ადამიანის, ადამიანთა საზოგადოებას მოღვაწეობის სფეროში, აზროვნებაში და პრაქტიკაში.

საკითხის ამგვარი დასმა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამკვიდრდებოდა ადამიანის არსის ახლებური გაგება, ადაიმანის ახალი კონცეფცია — ადამიანი შემოქმედი, რომელიც ახსნის სამყაროს და გარდაქმნის გარემოს, საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ადამიანი ისტორიის ვრცელ სარბიელზე, უძველესი მითოლოგიიდან დღემდე, ნაბიჯ-ნაბიჯ აცლის ასპარეზს ღმერთს და თვითონ დგება მოვლენათა ცენტრში. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რამდენადმე გაიოლდა სამყაროს, მაკრო და მიკრო სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნის ამოცანა. homo Erectus-იდან homo Sapiens-ამდე მილიონობით წლებმა განვლეს, მრავალზე მრავალი ადრინდელი „მიუწვდომელი" პრობლემა დღეს ბანალურ ჭეშმარიტებადაა ქცეული. ვინ იტყვის, განსაცვიფრებელი არ იყოს კოსმოსური ბალისტიკური გამოთვლები, ან თუმდაც კავკასიონზე საჰაერო ლაინერით გადაფრენა, რაც დღეს ჩვენთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. ჩვენი საუკუნის ფიზიკა გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. მე ეჭვი არ მეპარება, რომ შემდგომ საუკუნეებში მეოცე ასწლეულს დიად აღმოჩენათა საუკუნეს უწოდებენ. მაგრამ ბუნების რაც მეტ საიდუმლოებას ამოხსნის ადამიანი, კიდევ მეტი, აქამდე უჩინარი წახნაგები წარმოჩნდებიან მის წინაშე. აკადემიკოს ა. ა. ლოგუნოვის აზრით, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა დღეს ისეთივე აღმოჩენათა ზღურბლზე დგას, როგორიც მოჰყვნენ ატომურ ფიზიკას ატომის სტრუქტურის ამოხსნის შემდეგ და ატომგულის ფიზიკას ატომის ბირთვის აგებულების ამოცნობის შემდეგ. საბჭოთა მეცნიერების ღრმა და დახვეწილი ექსპერიმენტების მიღწევებმა გამოამჟღავნეს მონაცემები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ივარაუდონ ყველაზე მოუხელთებელი ნაწილაკის — ნეიტრინოს „უძრაობის მასა". ეს კი ახალ სინათლეს ჰფენს სამყაროს აგებულების წარმოდგენას, გალაქტიკების წარმოქმნის პროცესებს, მზის წიაღში მიმდინარე რეაქციებს. დღეს კი მეცნიერებამ იცის რამდენიმე ასეული სხვადასხვა ნაწილაკი.

ადამიანის აზრი დაუდგრომელია და არასდროს კმაყოფილდება მიღწეულით. ადამიანმა მოახერხა მოუხელთებელი ნაწილაკების გზის აღნუსხვა, მაგრამ თვალებდახსიებულ, ღამენათევ ნოდარ გელოვანს არ ასვენებს ფიქრი — „ვილხონის კამერაში შესული ეს უცხო კოსმოსური სტუმარი (მეზონი თუ პროტონი) საიდან მოსძანდა", სად არის ამ ზემძლავრი ენერგიის სხეულების წყარო? „სად იბადებიან ან სად იძენენ ამოდენა ენერგიას მატერიალური სამყაროს უმცირესი ნაწილაკები, რომელთა დანახვა ზემძლავრი ხელსაწყოებითაც კი არ შეიძლება? რა არის იქ, მეტა-გალაქტიკის სიღრმეში, რა წარმოშობს მატერიის პირველ საფუძვლებს, რომლებიც ჩვენამდე, ალბათ, მეორადი ნაწილაკების სახით მოდიან?".

...„იქნება მართლაც პრიმიტიულობაა წარმოიდგინო დროსა და სივრცეში მომუშავე შემოქმედი. იქნებ თანამედროვე თეორია მართლაც გვაიძულებს ვიფიქროთ სივრცისა და დროის მიღმა მომუშავე შემოქმედზე?"..

ნოდარ გელოვანის გონებაში ამოტივტივდება: „რამეთუ გუშინდელნი ვართ და არა უწყით: „რამეთუ აჩრდილ არს ქვეყანასა ზედა ცხორებაი ჩვენი" — უახლესი მეცნიერული ინფორმაციით აღგზნებული გონება ამ ციტატასაც იმ მიმართულებას აძლევს, ამ წუთში ანგარიშს ვერ უწევს ციტატის ისტორიას, წარმოშობას, იდეოლოგიას, იმას, რომ ციტატის ავტორი „იმქვეყნიურ ცხოვრებაზე" ფიქრობს და მატერიის „პირველსაფუძვლებთან" და „მეორად ნაწილაკებთან" პარალელები ნაძალადევია.

ახევე ელექტრონის მოძრაობის აუხსნელი მიზეზები, კანონზომიერების მიუგნებლობა მასაც, ისე როგორც ბევრ ცნობილ მეცნიერს (მაგალითად, დირაკს), აღუძრავს კითხვას „იქნებ ელექტრონის მოძრაობა ღმერთის ნება-სურვილს გამოხატავს?"

მაგრამ ნოდარ გელოვანის მაძიებელი გონების უმთავრესი ნიშანია შ ე მ ო წ მ ე ბ ა, ყველა სფეროში ანალიზი და შემოწმება. ადამიანის მოქმედების, მისი იმპულსების, ზნეობრივი საურდენების შემოწმება, მეცნიერული ინფორმაციის შემოწმება, მიღებული დასკვნების, საკუთარი მოსაზრებების შემოწმება. აქ ის, როგორც ყოველთვის, გულწრფელია და თანმიმდევრული, შეუბრალებელი ანალიტიკოსი, საკუთარი თავის მიმართაც. ახევეა თორნიკე გავაშელთან საუბარშიც. აქაც გულახდილად მიმართავს ცნობილ მეცნიერს: „მე ახალ თეორიებს კი არ გთავაზობთ, უბრალოდ გეკითხებით. მინდა ზოგიერთ საკითხში ჩემი თავი შევამოწმო". აქ ის დაინტერესებულია საერთოდ ადამიანის შესაძლებლობით, რამდენად შეუძლია მას ჩაწვდეს სამყაროს საიდუმლოებას.

თორნიკე გავაშელისათვის ძირითადი ფილოსოფიური საკითხები გარკვეულია. იგი მტკიცე ბაზაა შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. მას ურყევად სჯერა, რომ „რასაც ვერ ავხსნით დღეს, აუცილებლად აიხსნება ხვალ". მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი აღმოჩენების განსაზოგადოებლად შეიძლება არც იყოს საკმარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკის ახლანდელი ფუნდამენტური კანონები. „მეცნიერება ძალიან ვიწრო შესავლელიან გამოქვაბულს ჰგავს. როცა გამოქვაბულს შესასვლელს უპოვი, გგონია, შეძვრები შიგ და საიდუმლოებასაც ფარდა აეხდება. შეძვრები ამ შესასვლელში და რას ხედავ, გამოქვაბულს ბოლო არ უჩანს. ეს კიდევ არაფერი, გამოქვაბული ძაბრივით ფართოვდება უსასრულოდ". ადამიანი უსასრულო პრობლემათა წინაშე დგას და „სადაც მეცნიერება უძლურია, რელიგია იქ პოულობს ნოყიერ ნიადაგს, ამოუხსნელ მოვლენას — განგებას, ღმერთს უკავშირებენ ხოლმე".

ნოდარ გელოვანი, რომელიც თავის შეხედულებებს ამოწმებს, არც ფიქრობს აგრე ადვილად დაუთმოს თორნიკე გავაშელს:

„— ბორი ან ჰაიზენბერგი არ ყოფილან ღვთის მსახურები".

თორნიკე გავაშელი ეთანხმება ნოდარ გელოვანს და, ამავე დროს, იმოწმებს ბორის მიერ სამყაროს მიზეზობრიობის აღიარებას და ლაპლასური დეტერმინიზმის, „სამყაროს ბედის წიგნის" უარყოფას. ჰაიზენბერგიც ხომ არ წასულა ბუნების მატერიალურობის წინააღმდეგ. სხვათაშორის, მას ეკუთვნის სიტყვები: „ფიზიკოსი თავის მეცნიერებაში უნდა გამოდიოდეს იმ დებულებიდან, რომ ის სწავლობს ბუნებას, რომელიც მას არ შეუქმნია და რომელიც იარსებებდა მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე, ეს ფიზიკოსი საერთოდ რომ არ ყოფილიყო". ეს სიტყვები საგულისხმოა არა მხოლოდ ფიზიკოსებისთვის, არამედ არანაკლებ მწერლებისთვისაც.

ყველაფერი ეს ასეა, თუმცა მკითხველმა იცის, რომ მხოლოდ მატერიალიზმის პოზიციებიდან შეეძლო, მაგალითად, მენდელეევს შეექმნა ელემენტების სისტემა და თანაც წინასწარ განეჭვრიტა რამდენიმე ელემენტის არსებობა, რაც ასეთი სიზუსტით დადასტურდა შემდგომ. ასევე, დირაკმაც წინასწარ განსაზღვრა ანტინაწილაკების რამდენიმე სახეობა, რომელნიც აგრეთვე აღმოაჩინეს შემდგომში და მაინც ამ მეცნიერთა აზროვნებაში დარჩა ადგილი ღმერთისთვისაც. შეიძლება იმიტომაც, რომ ღმერთი მიუწვდომლის სინონიმია. მაგრამ „მიუწვდომელი" მიუწვდომელია მანამ, სანამ ის ახსნილი არაა. ადამიანის გონება კი თანდათან აღწევს მიუწვდომლის არსში და ართმევს ასპარეზს ღმერთს. ახსნილი „იმუწვდომელი "აღარ შეიძლება იყოს ღმერთი.

„მარადისობის კანონში" და „აქტიური მზის წელიწადში" ღმერთი მიუწვდომლის მეტაფორული სახეა და ღრმა პრობლემებზე მიგვანიშნებს. ღმერთი იქ იჩენს თავს, სადაც პრობლემათა დაძაბული კვლევა ნათელ პასუხს ვერ იძლევა, სულერთია ეს იქნება მეცნიერული თუ ზნეობრივი პრობლემები.

ყველაზე მეტად მწარე, დამაფიქრებელი და გულისმომწყვლელი, რაც ნოდარ გელოვანს გაუგონია, ეს არის საკუთარი მამის, პროფესორ გელოვანის სიტყვები: „ის ვინც ამ ცხოვრებაში სიმართლეს ეძებს, სულელია, გულუბრყვილო და მოუთავებელი"! ან კიდევ: „— მერედა ვის უნდა ეგ შენი სიმართლე: — სიმართლე ადამიანს მანამ უნდა, სანამ თვითონაა გაჭირვებული და დაჩაგრული..."

პროფესორი გელოვანი თავისივე ოჯახში ხვდება სასტიკ წინააღმდეგობას, შვილის — რეზო გელოვანის მხრით. ზემოთმოყვანილი დასკვნები იქნებ არც პროფესორისთვის იყოს მისაღები, მაგრამ ისინი ცხოვრების სასტიკ გამოცდილებას ემყარებიან და ნოდარ გელოვანი საკუთარი გამოცდილებითაც რწმუნდება, რომ, სამწუხაროდ, ეს დასკვნები არც თუ ისე იშვიათად მართლდებიან ცხოვრებაში. „ვინ იცის რამდენი მკვლელი და გამყიდველი ჩავა საფლავში ვაჟკაცი კაცის სახელით. ვინ არის მსაჯული, ვინ გაარჩევს ცრუსა და მართალს, მკვლელსა და ვაჟკაცს? იქნებ ღმერთი, რომელიც არ არის, ან თუ არის, უმოწყალოდ დუმს?!".

ღმერთის უარყოფის თუ ღმერთთან მეტოქეობის პრობლემაც ყოველთვის იდგა ადამიანის წინაშე. მთელი ისტორიის მანძილზე რწმუნდებოდა ის, რომ მხოლოდ თავისთავის მოიმედე უნდა ყოფილიყო. ამიტომაც იტაცებდა თავიდანვე როგორც ხალხურ შემოქმედებას, ისე ლიტერატურას ღმერთთან მებრძოლი გმირი. ამიტომაც მიაჩნდა კონსტანტინე გამსახურდიას საშაგალითო მგირად „თავის მრისხანე ღმერთთან მებრძოლი იაკობი".

როგორც „მარადისობის კანონი", ისე „აქტიური მზის წელიწადი" განმსჭვალულია ადამიანში რწმენის, მისი ძალებისადმი რწმენის პათოსით. კრიტიკული თვალი ადამიანის ბევრ ნაკლოვანებას აღმოაჩენს, მაგრამ, როგორც თორნიკე გავაშელი ამბობს, „ადამიანის შესაძლებლობებს არ აქვს საზღვარი, იგი უსაზღვროა". ორივე რომანის საყრდენს ადამიანის ნიჭისა და უნარის, მისი ჰუმანისტური არსის შეგრძნობა და აღიარება წარმოადგენს, მისი მაძიებელი სულის გამოხატვა. „ადამიანი თითქოს არარაობაა კოსმოსური მასშტაბით, მაგრამ იგი თანდათანობით ეუფლება ამ მასშტაბებს, თანდათანობით იჭვრიტება მის საიდუმლო „სკივრებში"... „...ჩვენი დედამიწა ნამცეცია ამ სამყაროში, ხოლო ჩვენი სიცოცხლე წამი,. მაგრამ წამი მოაზროვნე ადამიანის წამია და იგი მილიარდობით სინათლის წელიწადების სივრცეებს წვდება" („აქტიური მზის წელიწადი"), მთელი სამყაროს უკიდეგანო სივრცე და დრო ეტევა ადამიანის ტვინში, მთელ ფსიქიკაში. ალბათ, ეს არის უძლური ადამიანის უსაზღვრო ძლიერების ერთადერთი ასპექტი, აზრის უკვდავების საყრდენი, ხოლო აუცილებელი პირობა — ჭეშმარიტებისაკენ შეუჩერებელი სწრაფვა, მიუწვდომლის ახსნა, ღმერთის დაძლევა.

ადამიანის გამოხატვის ამ მასშტაბებისაკენ და პარამეტრებისაკენ აღებული მიმართულება გვქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდით „მარადისობის კანონი“ და „აქტიური მზის წელიწადი“ ქართული საბჭოთა რომანის უფრო საინტერესო ფაზაში შესვლას ნიშნავსო. გამოხატვის სიღრმე დაისახა ორი ასპექტით, მხატვრული სახის (პერსონაჟის) სიღრმისა და მხატვრული სახის (ხელოვნების ენის) აშკარად გამოხატული ნოვატორული თვისებებით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ ჟანრის გამომსახველობითი გამდიდრება და გაღრმავება განხორციელდა თანამედროვე სინამდვილის ბაზაზე, არქეტიპებისა და მითოლოგიური პირობითი სახეების გარეშე.

## მხატვრული სახის პარამეტრები

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ბაჩანა რამიშვილთან და ნოდარ გელოვანთან შეიძლება, ზოგჯერ კი აუცილებელიც არის დავა ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური თუ ესთეტიკური პრობლემების გამო. მაგრამ ერთი უეჭველია, ეს პერსონაჟები მეოცე საუკუნის მოქალაქეები არიან, ამასთან, ქართველი კაცები. თვით ეს დიალოგის მოთხოვნილება, რომელიც მკითხველს წარმოექმნება ამ გმირების გაცნობისას, ყველაზე კარგად ამტკიცებს, რომ ისინი ჩვენი თანამედროვეები არიან, ახალი ადამიანები არიან, რომელთა ასახვას უნდა მოეტანა რაიმე ახალი ფორმის თვალსაზრისითაც, ჟანრობრივი და ასახვის ხერხებისა და საშუალებების თვალსაზრისით.

გზადაგზა ვცდილობდით ფორმისა და შინაარსის საკითხები არ დაგვეცილებინა ერთიმეორისაგან, ვფიქრობ მაინც საჭიროა რამდენიმე საკითხზე საგანგებოდ შეჩერება.

ბევრი ფიქრობს, რომ მწერლის ამოცანაა იპოვოს ახალი ჟანრობრივი, თუ სახეობრივი ფორმები, ასე თუ ისე ცნობილი შინაარსის გამოსახატავად. აზრის ამგვარ მიმართულებას საფუძველში უდევს ადამიანის კონცეფციის გარკვეული წინამძღვარი, რომლის მიხედვით ადამიანი ისტორიულად არ იცვლება და, ასე თუ ისე, ცნობილია მისი არსი, ჩამოყალიბებულია უცვლელ არქეტიპებში, რომლებიც დროდადრო სხვადასხვა კომბინაციას იძლევა. მხატვრის ამოცანაა გამოიგონოს სხვადასხვა ახალი ფორმები მის გადმოსაცემად. აქ წინა პლანზე იწევს მწერლის ოსტატობის პრობლემა. პირადად მე სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე ვდგავარ, იმათთან ერთად, რომელთა აზრით, ჭეშმარიტი მწერლობა პირველაღმოჩენაა, ახლის შემჩნევის და გამოსახვის უნარი, განსხვავებული ხედვა. განსხვავებული არა მხოლოდ მკითხველისაგან, არამედ თვისივე მოძმე მწერლისაგან. ახლის შემჩნევა და გამოსახვა, არსებითად დაუნაწევრებელი პროცესია. მაინც მწერლის ოსტატობა, რომელსაც უეჭველი და დიდი ღირებულება აქვს მხატვრული თხზულებებისათვის, დამოკიდებული მნიშვნელობისაა, მთავარი კი, პირველადი ის არის, ახალი შინაარსი, რომელიც ახალ ფორმას მოითხოვს და წარმოქმნის, ახალ ხედვას ამკვიდრებს. პირიქითაც შეიძლება მოხდეს. ფორმის მოდერნის, ფორმის ქმნადობის გამოდევნებას ზოგჯერ შეიძლება ისეთივე შინაარსი, იდეოლოგია მოჰყონდეს, რაც არც კი გაუაზრებია მწერალს, რადგან ყოველი ფორმა რაღაც შინაარსის ფორმაა და თვით ფორმა შინაარსის მატარებელია.

მაგრამ, როგორც წესი, როგორც ხელოვნების გარდუვალი კანონი, ახალ ფორმას, სტილს, ახალ ხედვას მწერლის მიერ აღმოჩენილი ახალი შინაარსი წარმოქმნის. ხანდახან ეს შეიძლება ტრადიციული ფორმის სიღრმეში ძნელი აღმოსაჩენიც იყოს, ხან კი ის მხატვრულ ქსოვილში აშკარად იჩენს თავს, სააზროვნო-სახეობრივი მასალა ლაგდება ახალ მიმართულებებში, პერსონაჟთა აზროვნების და მიდრეკილების დონეზე.

„ძილში ვიგრძენი ვიღაც თავზე მადგას და დამჩერებია. უცნაურმა შიშნარევმა გრძნობამ შემიპყრო. თვალი ნელა გავახილე. ჯერ ძველი, ნახევრადდანგრეული ეკლესიის სითეთრემ შემომანათა, მერე თანდათან, თითქოს ფოკუსი გაასწორესო, უფორმო რუხმა მასამ ადამიანის გამოსახულება მიიღო“.

„ერთბაშად ვერ გავერკვიე, სად ვარ. ჩემი დაფანტული, ჯერ კიდევ სიცხით და ძილით დანისლული გონება ისე ხედავს ამ ეკლესიას, ცაცხვის უზარმაზარ ხეებს, ამ გაუმჭვირვალე მასას, ადამიანი რომ ყოფილა, როგორც აპარატის ობიექტივი. ეს ლამაზი, მაგრამ ივლისის სიცხისაგან გათანგული პეიზაჟი ჩემს ტვინში ჯერ არცერთ უჯრედს არ აღიზიანებს. ამის მერე ვხვდები, როცა თავში ნისლი ნელ-ნელა გაქრა. წვერგაუპარსავი უცნობი კი იმ უსიუჟეტო და უთავბოლო სიზმრის გაგრძელება მგონია, წეღან რომ ვხედავდი.

სიზმარი სწორედ ამ კაცის დაჟინებულმა მზერამ შემაწყვეტინა, იქნებ არც დამჩერებოდა ასე დაჟინებით? ვინ იცის, იქნებ უბრალოდ იდგა და ჩვენს გაღვიძებას ელოდა? რაღა მაინცდამაინც მე ვიგრძენი ორი მწველი სხივი, ჩემი სხეული რომ გასჭოლა?“... „უზარმაზარ ცაცხვებსა და ნეკერჩხლებს შუა მოქცეული ეკლესია ისე თვალისმომჭრელად ბზინავს, თითქოს ვიღაცას სხივები უზარმაზარ ბროლის ლინზაში შეუკრებია და ეკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ი ი ხ ა კ ე ნ   მ ი უ მ ა რ თ ა ვ ხ ო".

ყველა ამონაწერი „აქტიური მზის წელიწადის" პირველივე გვერდიდანაა მოტანილი, საგანგებოდ არ ამირჩევია.

მკითხველისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს იმის შემჩნევა, რომ მთხრობელი, იგივე ნოდარ გელოვანი, სავსებით თავისებური, განსხვავებული კუთხით უყურებს და აღიქვამს გარემოს, მისი შედარებებიც გარკვეული სამყაროს წარმონაქმნია. და განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ყველა ეს თითქოს უმნიშვნელო განსხვავებული ნიუანსი, რომელიც ამ ტექსტში ამოიცნო მკითხველმა, გარეგანი ატრიბუტები როდია. ისინი ულრმესი შინაგანი ცხოვრების გამოხატულებაა, გარკვეული ინტერესების, განათლების, აზროვნების წესის და მიმართულების გამოხატვაა.

აი კიდევ ერთი ამონაწერი, ნოდარ გელოვანის აზროვნების დასახასიათებლად.

„— დიდი მდინარეა? — მეკითხება ნანა.

— საკმაოდ.

. . . . . . .

აშკარაა პასუხმა დააკმაყოფილა. მისმა ფანტაზიამ ალბათ, უკვე წარმოიდგინა, დაახლოებით რამოდენაა გზის გასწვრივ გრუხუნით მიმავალი მდინარე, რომელიც თურმე „საკმაოდ" დიდი ყოფილა. მაინც რა აილო ორიენტირად? რამოდენად წარმოიდგინა თავისი სიდიდისთვის შეუფერებელი ხმაურით მიმავალი ხხარტულა? რომელ მდინარესთან შ ე დ ა რ ე ბ ი თ განსაზღვრა მისი სიდიდე? მტკვარი და რიონია საქართველოში ყველაზე დიდი მდინარეები .მხოლოდ მათთან შედარებითაა საქართველოს დანარჩენი მდინარეები პატარები, მოზრდილები, საშუალოები, საკმაოდ დიდები და დიდები.

იგივე პასუხზე ე ნ ი ს ე ი ს   ან   ლ ე ნ ა ს   ნ ა პ ი რ ზ ე   მ ც ხ ო ვ რ ე ბ ი   კ ა ც ი   რ ა მ ო დ ე ნ ა დ   წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა   ჩ ვ ე ნ ს   ხ ხ ა რ ტ უ ლ ა ს?"

ნოდარ გელოვანი რომ ფიზიკოსია, ფარდობითის თეორიის ცოდნა რომ ანაბეჭდს ასვამს მის აზროვნებას, ის რომ სამყაროს პრობლემატიკის ზნეობრივ პრიზმაში გარდატეხით სისხლხორცეულად დაინტერესებული კაცია., რომ ეს შეადგენს მისი ცხოვრების შინაარსს, ეს ჩვენ მთხრობელის გადმოცემით ან Ich Erzälung მხატვრული სტრუქტურის საშუალებით კი არ ვიცით, უფრო დაზუსტებით რომ ვთქვათ, ამას ჩვენ ვიგებთ არამხოლოდ გმირის საქმიანობით., მისი ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობით, მეცნიერული კვლევაძიებით ან თუნდაც მისი საუბრის თემატიკით, არამედ მთელი მხატვრული ფაქტურით, რითაც ნოდარ გელოვანი წარმოგვესახება და, რაც ამ პერსონაჟის ფსიქიკას შეგვაგრძნობინებს, და ისიც არ არის გადამწყვეტი, რომ ნოდარ გელოვანი ფიზიკოსია, ის აზროვნების წესი, ხედვის კუთხე და მანერა, რომელიც ნოდარ გელოვანს ახასიათებს მეტ-ნაკლები დოზით, დამახასიათებელია თანამედროვე განვითარებული მოქალაქეისათვის. მისი ფსიქიკა გვეხატება როგორც XX საუკუნის ფართო თვალთახედვის, ღრმა პრობლემებით დაინტერესებული ადამიანის ფსიქიკა .მის ცხოვრებაში მის ყოფაში შეიჭრა მაშინერია, ტექნიკა. მანქანა, თვითმფრინავი, მისი ცხოვრების ჩვეულებრივი ატრიბუტებია. ცხოვრების ტემპი გამოუმუშავდა სწრაფი გადაადგილების პირობებში — მანქანით, თვითმფრინავით. ბინიდან სამსახურამდე, მთის სალდელ სადგურამდე, მოსკოვამდე, სერპუხოვომდე, დუბნამდე და უშორეს კონტინენტებამდე. მთავარი კი ის არის, რომ მისი ფსიქიკა, მისი აზროვნება შეგუებულია, შეჩვეულია ამ აჩქარებებს, ამ ტემპს. სხვა რიტმით ცხოვრება მას აღარ შეუძლია. მცირე შეფერხებებსაც კი წონასწორობიდან გამოჰყავს. ჩვენ არ ვიცით როგორ იქნება მომავალში, მაგრამ ერთი ცხადია, ამ ტიპის კაცი არ შეიძლებოდა ასახულიყო არა თუ ადრინდელ, ან ბოლონდელ საუკუნეებში, არამედ თუნდაც ოციოდე წლის წინათაც კი. ე. ი. ეს მხატვრული სახე, ხასიათი მჭიდროდ არის „მიჯაჭვული" თავის ეპოქასთან, უფრო განსაზღვრულ ბოლო ორიოდე ათწლეულთანაც კი. მაგრამ აბა ვინ იტყვის, რომ ამის გამო იგი ნაკლებად ზოგადადამიანური იყო!? ზემოთაც ვთქვით, ზოგი მწერალი და კრიტიკოსი ფიქრობს, რომ თანამედროვეობის პარამეტრებში მოქცეულ ადამიანს თითქოს ზოგადადამიანურობის გამოვლენა ნაკლებად შეეძლოს. და ამიტომ თითქოს აუცილებელი იყოს მითს ან პარაბოლას მივმართოთ ყოველთვის.

მე მინდა სწორად გამიგოს მკითხველმა, სრულიად არ მაინტერესებს აქ ვინმეს ვუსაყვედურო, მხოლოდ ის მინდა, ცინცხალი ლიტერატურული მაგალითით დავასაბუთო, რომ კონკრეტულ-ისტორიულობა პერსონაჟს კი არ ართმევს ზოგადაადამიანურობას, არამედ უფრო გამოკვეთილს და შესაგრძნობს ხდის მას. ზოგადადამიანური აბსტრაქტულად არ გამოიხატება, მისი გამოვლენის ფორმა კონკრეტულ-ისტორიულია, ეროვნული. განსაკუთრებით ცხადად ეს ჩანს ლიტერატურაში, ხელოვნებაში, სადაც გრძნობად-კონკრეტული — ასახვის და გამოხატვის სპეციფიკური ფორმაა. მხატვრული სახე საერთოდ, კერძოდ კი პერსონაჟი, გმირი გვეხატება გარკვეული დროის და სივრცის არეალში, როგორც მწერლის ეპოქის ასახვა. მხოლოდ ასე შეუძლია მწერალს თავისი საკუთარი შეიტანოს ზოგადადამიანურის გამოხატვაში.

ეს „საკუთარი", კონკრეტულ-ისტორიული, ყოველთვის უნდა გამოვლინდეს როგორც ახალი შინაარსი, რაც პირდაპირ კავშირშია „წმინდა" მხატვრულ ფორმისეულ ნოვატორობასთანაც. თუ გნებავთ ფორმისეული ნოვატორობა მხოლოდ ამ გზით შეიძლება აღმოჩნდეს ნაყოფიერი, რადგან ის წარმოიქნება როგორც არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სურვილი ნოვატორობისა, არამედ როგორც ძიება ახალი ფორმებისა, ახალი შინაარსისათვის.

ახლის, ცოცხალის, დღევანდელის მხატვრულ სახეებში მოსაქცევად, დღეს წამოჭრილ თანამედროვე პრობლემათა ასახავად მზამზარეული ფორმები არ გამოდგება. აქ „მსოფლიო სტანდარტები", „ევროპის სტანდარტები", ძალზე მაღალი დონისაც კი, მხსნელად ვერ გამოგვადგება; როგორც ეროვნული ტრადიციის, ისე საერთაშორისო მიღწევათა პირდაპირ კულტივირებას მეორადობისა და ეპიგონობისაკენ მივყევართ. „ეროვნული ლიტერატურა იქ იწყება, სადაც უცხო მწერალთა ზეგავლენას საზღვარი ედება" (კ. გამსახურდია). როგორც ეროვნული ტრადიცია, ისე მსოფლიო რომანისტიკის მიღწევები მწერლის „მხატვრული ერუდიციის" სიმდიდრეს უნდა შეადგენდეს. თავისი საგნისათვის კი უნდა შეიმუშავოს სწორედ ის ფორმები, რომელთაც ეს საგანი მოითხოვს, თავისი რომანისათვის, თავისი გმირებისათვის მან ინდივიდუალური, საკუთარი გზა უნდა ეძიოს.

სულ სხვა საქმეა, როცა სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში მოდური წაბაძვის გარეშე, თავისთავად, წარმოიქმნება როგორც შინაარსის, ისე ფორმის, ჟანრის, სტილის, ასახვის ხერხების თუ საშუალებების შეხვედრის წერტილები. ეს იქნება ეპოქის სტილის ნიშნები. კაცობრიობის განვითარების რთულ ხვეულებში შესაძლოა ეპოქის კონტურების გამოყოფა, განსხვავება სხვა ეპოქებისაგან. ისტორიის შინაარსიც ეს არის. გლობალური პრობლემები ერთიანი ხდება კაცობრიობისათვის, შეიძლება მიახლოებით ერთნაირი აღმოჩნდეს ასახვის ფორმებიც. ეს ხდება მაშინ, თუ ახალი შინაარსისაკენ არა ერთიმეორის განმეორების, არამედ თავთავიანთი გზით მიდიან. და აქ თავს იჩენს იდეოლოგიურ და მხატვრულ პოზიციათა მრავალგვარობა თუნდაც ერთი რომელიმე გლობალური პრობლემის ირგვლივ. ერთ-ერთ ამგვარ პრობლემას ჩვენს საუკუნეში, განსაკუთრებით კი ბოლო ათეულებში წარმოადგენს დროისა და სივრცის პრობლემა. მისი ასახვა და გამოხატვა მრავალ ვარიაციას იძლევა რომანსა და დრამატურგიაში. აბსოლუტური დროის არ არსებობის გაცნობიერებამ დიდი კვალი გაავლო ადამიანის აზროვნებაში და საერთოდ ფსიქიკაში. თუ გნებავთ ფსიქოლოგიურად უფრო ძნელად დასაძლევია აბსოლუტური დროის არ არსებობა, ვიდრე ლოგიკურად. ეს საწინააღმდეგო რეაქციას იძლევა და ლიტერატურაში, უფრო ხშირად, რომანში დრო წარმოიდგინება როგორც მხოლოდ მხატვრული ფენომენი, რადგან იგულისხმება დროის არ არსებობა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, დრო წარმოისახება როგორც ერთიანი მითოლოგიური დრო (ნეომითოლოგია). ეს არის დროიდან გასვლის უშედეგო ცდა, რასაც ხშირად მიმართავენ მოდერნისტები. [illegible] რომ ადამიანი, რომელიც დედამიწის პარამეტრებში დროის ფარდობითი განზომილებით ცხოვრობს, ნორმალურად აღიქვამს მას, როგორც ისტორიულ რეალურ დროს.

„მარადისობის კანონსა" და „აქტიური მზის წელიწადში" დრო ქრონოლოგიურად არ მიმდინარეობს. რომანების დროის სტრუქტურას თემატიკური პრინციპი აწესრიგებს და გარკვეული ცხოვრებისეული ეპიზოდი მაშინ შემოდის რომანში, როცა აზრის მდინარების ასოციაცია თემატიურად მოითხოვს მას. ამ რომანების დროს, პირობითად შეიძლება *აზროვნებითი დრო* ვუწოდოთ. რამდენადაც ფიზიკური მოქმედება პასიურია, იმდენადაც გააქტიურებულია აზროვნება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ნოდარ გელოვანსა და ბაჩანა რამიშვილს შორის ამ თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა. ნოდარ გელოვანის სწრაფი გადაადგილება დედამიწის პარამეტრებში, ზღაპრისებური ლაკონიურობით გამოიხატება, ან საერთოდ გამოტოვებულია კონტინენტიდან კონტინენტზე, ვთქვათ ევროპიდან (მოსკოვიდან) ავსტრალიაში გადაფრენის პერიპეტიები და მხოლოდ ახალი ობიექტის გამოჩენით ვიღებთ ინფორმაციას ამ მგზავრობის შესახებ, ეს ინფორმაცია ჩამალულია „თავების შიგნით". ინტენსიურობას მოკლებული ეს დრო რომანული დროის უმცირეს კომპონენტს შეადგენს. აქცენტი აზროვნებაზე, მოქმედების, ადამიანების. მოვლენების შეფასებაზე, შესაძლო დასკვნების გამოტანაზეა გადატანილი როგორც ერთ, ისე მეორე რომანში.

მაგრამ ნოდარ გელოვანის სწრაფ გადაადგილებას მაინც დიდი ფუნქცია აკისრია. რომანში ამ გზითაც შემოდის სივრცის პრობლემა და უფრო რეალურადაც. შეიძლება აზროვნებაში წარმოსახულ სივრცესთან შედარებით აქ მიკროსაზომები იყოს, მაგრამ იგი ფიზიკურად შესაგრძნობი და ცდისმიერია. ადამიანის ფსიქიკა გიგანტური სივრცეების დაძლევის უშუალო განცდებს იღებს.

სწრაფი საჰაერო ლაინერებით კონტინენტების გადასერვა სივრცისა და დროის ფარდობითობის უახლოესი, და შეიძლება, უმარტივესი მაგალითია. დრო, სივრცე და სიჩქარე ურღვევ კონტაქტს ამყარებენ და ცვლიან ურთიერთშეფარდებებს. დროის შემცირება შეფარდებით ასპექტში ამცირებს სივრცეს და დედამიწას თითქოს კუმშავს ადამიანის ცნობიერებისთვის. საჰაერო ლაინერების ზებგერითი სიჩქარეები, ინფორმაციის საშუალებათა მზარდი ინტენსიფიკაცია, განსაკუთრებით ტელევიზიის ოპერატიულობა სივრცის და დროის ზღვარამდე შეზღუდვის გზით მსოფლიოს და მის მცხოვრებთა კონცენტრაციას ახდენს როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარადისობის კანონში" კოსმიური სივრცესა და დროის დაძლევის ასეთ მისწრაფებებს ვხვდებით: „სივრცესა და დროში გადაადგილება ჩვენ გავუთანაბრეთ სურვილს, საკმარისია ისურვო და თქვენ იმ გალაქტიკაში და იმ პლანეტაზე ხართ, რომელიც ისურვეთ".

რა არის ეს ხუმრობა, ავადმყოფი გონების ილუზია, თუ ზღაპარი? მაგრამ აქ ხომ ზღაპრის მასშტაბები მიკროსაზომებად გამოდგებოდა მხოლოდ. ფიქრის არე არსებითად შემოუფარგლავია. უსასრულო სამყაროს სტრუქტურა თავსდება უმცირეს ჭურჭელში.

ასეთი მასშტაბების და უკიდეგანო სივრცისა და დროის სტრუქტურების მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ დროს არ აქვს ქრონოლოგიური მდინარება, აქ, არცერთ რომანში არ არის დაშვებული რეალური, ისტორიული დროის უგულებელყოფა და აღრევა, რაც მოდერნისტულ რომანში შეინიშნება და გარკვეული იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელია.

„აქტიური მზის წელიწადში" და „მარადისობის კანონში" სურვილისამებრ ადვილად შეიძლება მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა.

ამ თვალსაზრისით შეიძლება არ იყოს გამართლებული ნანა ჯანდიერის გაცნობის ეპიზოდის წინასწარი აღწერა „აქტიური მზის წელიწადში"; მწერლობის, შემოქმედის მხატვრული ფანტაზიის შესაძლებლობანი ამოუწურავია, მაგრამ თუ ყოველ მხატვრულ თხზულებას განვიხილავთ, როგორც ერთიან სისტემას, და მისი განხილვა კი მხოლოდ ასე შეიძლება, აღმოჩნდება, რომ ამ ნაწარმოებს ყოველთვის აქვს საკუთარი ათვლის წერტილები და კანონები, რომელსაც მწერალი ახორციელებს, საბოლოოდ კი რეალიზებული მხატვრული ხნეულის ობიექტურ კანონზომიერებად ყალიბდება. ასეთ კანონზომიერებად „აქტიური მზის წელიწადში", მხატვრული სახის პრეზენტაციის თვალსაზრისით, პრეზენსის ფორმა უნდა ჩაითვალოს. ამის „აღმოჩენა" სირთულეს არ წარმოადგენს, აწმყოს ბუნებრივად მოითხოვს პირველი პირით თხრობა. მხოლოდ აქ უნდა დაემატოს, გურამ ფანჯიკიძის რომანში მოგონებაც, „სავარაუდო" ვარიაციებიც პრეზენსის ფორმით შემოდის, რადგან ანალიზი, ფაქტის მოგონება და განხილვა ყოველთვის „ა ხ ლ ა" ხდება. ყოველივე ამის გამო მომავალი ამბის პრეზენსის ფორმით გადმოცემა განცალკევებულად დგას რომანის საერთო სისტემიდან. ამასთან, ნანა ჯანდიერის გაცნობის ეპიზოდის დეტალებამდე ზუსტ წინასწარ „ცოდნას", რომ ეს უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ა ს ე მ ო ხ დ ე ბ ა თვენახევრის შემდეგ, რომ „ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი", მაშინ როდესაც ნოდარ გელოვანს თხრობის მომენტში არც კი სმენია რაიმე ნანა ჯანდიერის შესახებ, სწორედ ლაპლასური „ბედის წიგნის" დეტერმინისტული ელფერი დაჰკრავს. თუ ჩვენ სავსებით ვუჯერებთ მთხრობელს მთელ რიგ ეპიზოდებში, რომელიც მას „ვარაუდით" შემოაქვს ნაწარმოებში, ეს იმიტომ, რომ ის კარგად იცნობს, ვთქვათ, ზურაბ გომართელს, პროფესორ გელოვანს, პროკურორ რევაზ გელოვანს, ეკას როგორც ხასიათებს და მთელი წარმოსახული პერიპეტიები ამ ხასიათების ბუნებიდან ამომდინარეობენ. მაშინ როცა ნანა ჯანდიერი, რომანის მიხედვით, სავსებით უცნობია მთხრობელისათვის. შეიძლება დეტალებამდე ზუსტად წარმოიდგინოთ როგორ მოიქცევა გარკვეულ სიტუაციაში ესა თუ ის პერსონაჟი, რომელსაც შენ კარგად იცნობ, მაგრამ ამასვე ვერ იტყვი უცნობზე.

იქნებ აქ ჩვენ ზედმეტ სიმკაცრეს ვიჩენთ და ნაკლებ ანგარიშს ვუწევთ პირობითობას მხატვრულ ნაწარმოებში? მაგრამ ის წესები და კანონები, რომელიც მწერალმა თავისთავს დაუწესა, თუნდაც გარკვეული, ერთი ნაწარმოებისათვის, ბოლომდე თანამიმდევრულად უნდა განახორციელოს, რადგან, ღრმად ვარ დარწმუნებული პირობითობასაც თავისი კანონზომიერება გააჩნია.

მწერალსა და მკითხველს შორის უნდა დამყარდეს კავშირი იმ ენის ბაზაზე, რომელზედაც შემოქმედი ახორციელებს მხატვრულ ამოცანას. ასეთი კომუნიკაცია უმთავრესად ხორციელდება კონვენციის გარეშე, რადგან გრძნობად-კონკრეტულ ფორმაში განხორციელებული მხატვრული სახეების საფუძველი განზოგადება, რაც სუბსტანციურთან არის წილნაყარი და რეალურის, ობიექტურის ასახვას წარმოადგენს, როგორც გოეთე ამბობს: „მხატვარი უნდა მოქმედებდეს თანახმად კანონებისა და წესებისა, რომლებიც მას თვითონ ბუნებამ დაუკანონა და რომლებიც ბუნებას არ ეწინააღმდეგებიან..." ეს როცა საქმე ეხება რეალური სამყაროს ინვარიანტულ ტიპიურ მხატვრულ სახეებს, როცა „მოვლენა თვით მოვლენისავე ფორმაში" აისახება (ჰეგელი). მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში გვხვდება ისეთი პირობითობაც, რომელიც უეჭველად კონვენციას მოითხოვს. ეს კონვენცია საინტერესოდ ხორციელდება. თამაშის პირობებს მწერალი კარნახობს, მკითხველი მას უჯერის და მიჰყვება. მაგრამ როცა თამაშის წესი სისტემად ჩამოყალიბდება, მწერალი თვითონ უნდა იცავდეს მას ბოლომდე და თანამიმდევრულად, რომ მკითხველი ბოლომდე გაჰყვეს. „როგორადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მხატვრობა მოითხოვს უფრო დიდ სიზუსტეს precision, ვიდრე მეცნიერება", — წერდა ლევ ტოლსტოი.

...მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ამ ხნის მანძილზე „აქტიური მზის წელიწადის" და „მარადისობის კანონის" ქალ-პერსონაჟებზე თითქმის არაფერი გვითქვამს. მე ვთვლი, რომ ისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი მაინცა და მაინც დიდი იღბლიანები ვერ გამოდგნენ ამ რომანებში. მათ აშკარად ჩაგრავენ თავიანთი მხატვრული ძალით მამაკაცი პერსონაჟები. ეკა („აქტიური მზის წელიწადი“) ჰეროვანი და მომხიბვლელი ქალია, მაგრამ მას სავსებით უარყოფილი აქვს საკუთარი პიროვნება. მისი სიყვარული თავდავიწყებამდე უსაზღვროა (თუმცა ღირსებას არასდროს არ კარგავს). არ ვდავობ, ვინ იცის შეიძლება ეს იყოს ნამდვილი სიყვარული, ჭეშმარიტი სიღრმე. მაგრამ უკმაყოფილების გრძნობას იწვევს ის, რომ ეკას სრულებითაც არ აქვს დამოუკიდებლობა; როგორც კი მარტო აღმოჩნდა, მაშინვე, ახალ ნავთსაყუდელს დაუწყო ძებნა, რადგან მას მარტო არსებობა არ შეუძლია, თითქოს ვიღაცის დამატებას უნდა წარმოადგენდეს, თუნდაც სრულიად გული არ მიუწევდეს მისკენ.

ამ მხრით უფრო მომგებიანი პოზიცია უკავიათ ნანა ჯანდიერს, თამარს და მარიამს.

მარიამის მხატვრული სახის თავისებურებაა მისი პოეტური საშუალებებით გამოხატვა. ლაკონიური, სწორედ ლირიკისათვის დამახასიათებელი დეტალების აქცენტაციით და არა რომანისეული ანალიზით არის მოცემული გმირის მთელი ცხოვრების ისტორია (მარიამის ბარათი ბაჩანას, მისივე სადღეგრძელო — მონოლოგი რესტორანში).

უნდა გამოვტყდე, ფარდობითობის თეორიამ, ალბათ, ზეგავლენა მოახდინა ჩემზეც, როგორც მკითხველზე. ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ქალი პერსონაჟებით, ჩემი აზრით, გამოწვეულია იმითაც, რომ ის დიდი მასშტაბურობა, რომელზედაც ჩვენ ვთქვით და რომლის გამოც ეს ორი რომანი ქართული რომანისტიკის მიღწევათა გაღრმავებად მივიჩნიეთ, პირველ რიგში, სწორედ ორი პერსონაჟის — ბაჩანა რამიშვილისა და ნოდარ გელოვანის მხატვრულ სახეებში გამოიკვეთა.

აქ კი ბუნებრივად დაისმის კითხვა, ჩვენი პრობლემის ასპექტში როგორია ამ პერსონაჟების მიმართება ნოდარ დუმბაძისა და გურამ ფანჯიკიძის ადრინდელი რომანების გმირებთან? როგორც სოსოია, თემურ ბარამიძე, ავთო ჯაყელი, ისე ლევან ხიდაშელი, ოთარ ნიჟარაძე, რომლებიც ამ ორი მწერლის შემოქმედებათა მთავარ ორიენტირებად გვესახებიან, ისე როგორც მათი რომანების ყველა პერსონაჟი, და მათში ასახული სინამდვილე, ჩვენი თანამედროვეობაა. მათი ინტერესების სფერო მთლიანად დაკავებულია ამ სინამდვილით. ამ მხრივ ბოლო ორი რომანით, შეიძლება ითქვას, საკუთარ გზას აგრძელებენ. ის სიახლე, რომელიც ჩვენ გვინდოდა განსაკუთრებით აღგვენიშნა — მხატვრული სახის სიმდიდრე, ახალი ასპექტების, ახალი პარამეტრების, ახალი სიღრმეების აღმოჩენა, აქვე უნდა ითქვას, მხატვრული სახის მასშტაბურობა და მხატვრული ღირებულება თავისთავად არ არის ერთი და იგივე, ყოველ შემთხვევაში, ეს ცნებები არ ფარავენ ერთიმეორეს. ამჟამად ასეთი შეპირისპირება, რაც მხატვრული სახის ხარისხს, ღირებულებას იგულისხმებდა, ამ ორი ბოლო რომანის მთავარი გმირებისა ნოდარ დუმბაძის და გურამ ფანჯიკიძის ადრინდელი რომანების გმირებთან არ შეადგენს ამ წერილის ამოცანას, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ძირითადად ყურადღება გამახვილებულია მხატვრული სახის თანადროულობასა და მასშტაბურობაზე.

თანამედროვე თემატიკის მხატვრული ხორცშესხმა ამ რომანებში თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ა დ სხვაგვარი გახდა. გამოიკვეთა უფრო ღრმა თვალსაზრისი.

გრძნობად-კონკრეტული მხატვრული სახე ყოველთვის მეტია იდეაზე, მხატვრული სახის ფუნქციაზე და ამიტომ მასში ყოველთვის შეიძლება ფარული სიღრმეების აღმოჩენა. მაგრამ ამ რომანებში უკვე გლობალურ კონცეფციებში გამოიკვეთა თანამედროვე ცხოვრების „ყოველდღიური“ მოვლენების ფილოსოფიური გააზრების სიღრმე.

რომანისტების უპირველესი ამოცანა ცოცხალი ხასიათების დახატვა იყო სინამდვილის ასახვის საფუძველზე. და თუ ცოცხალი ხასიათები შეიქმნა, მათთან ერთად ბუნებრივად უნდა ამოწეულიყო ის პრობლემები, ცხოვრების უმწვავესი კითხვები,, ფილოსოფიური პრობლემები, რომლებიც ჩვენს თანამედროვეს აწუხებს. ცხადია, ეს მხატვრულ ამოცანასთან ერთად დამოკიდებულია მწერლის ტალანტზე და მხატვრულ ძალაზე. თუ ბაჩანა რამიშვილი და ნოდარ . გელოვანი ტიპიური ჩვენი თანამედროვენი არიან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთ ან რამდენიმე პერსონაჟს შეიძლება დაეკისროს ეპოქის სახის შექმნა. სინამდვილე ყოველთვის მრავალ ადამიანურ ხასიათს ავლენს. ამიტომაც „მარადისობის კანონისა“ და „აქტიური მზის წელიწადის“ გახსნილი ახალი ჰორიზონტი კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობას შეიცავს.

ბაჩანა რამიშვილი და ნოდარ გელოვანი კი, ჩემი აზრით, კარგად გამოხატავენ XX საუკუნის გარკვეული ტიპის ადამიანის ბუნებას, მისი ცხოვრების ყველაზე არსებით პრობლემებს, ამ პრობლემათა დაძლევის გზების შეუნელებელ ძიებას, მის ჰუმანისტურ იდეალებს. ეს ანალიტიკური, ყოველი მიზეზის ძირამდე ჩასვლის პოზიცია, საკაცობრიო პრობლემების რეალური, ცხოვრების პროცესში ძიება, რომანის ჟანრობრივი სტიქიაა. მას სწორედ ამ გზაზე ელოდება უეჭველი მიღწევები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ დავითიანი

# კ. გამსახურდია და ნაირის ქვეყანა

„მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“ ეპოქალური მოვლენების ამსახველი ეპიკური ტილოებია, რომლებშიც ქართული სინამდვილის ჰეროიკული და დრამატული სული ისეთი მაღალი მხატვრული ოსტატობით არის გაცოცხლებული, რომ ამ წიგნებმა დიდი ამაგი დასდეს ქართული ნაციონალური კულტურის წინსვლას. ამიტომაც ქართულ მიწაზე არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას დიდოსტატის კონსტანტინეს სახელი, ხოლო მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს ისღა დაგვრჩენია მისივე სიტყვებით დავახასიათოთ ამ შედევრების ავტორი: „არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომით გამოჩენილი სიმამაცე. უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როდესაც შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებას და მიწას სამკაულად გამოადგება“.

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებები მთლიანად გამთბარია ჰუმანიზმით და კაცთმოყვარეობით; მისი ნაწერები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მარად გაუხუნარ ჭეშმარიტებას: თანამედროვე დიდი მწერალი წარმოუდგენელია უიმისოდ, რომ იმას არ აწუხებდეს თავისი ხალხის ტკივილების გვერდით სხვა ხალხების ტკივილები, სხვა გვარტომის ადამიანთა ბედი, გინდაც ისინი კარის მეზობლები იყვნენ და გინდაც უფრო შორებელნი.

უაღრესად საინტერესო ფურცლებს, საინტერესო ეპიზოდებს შეიცავს დიდი ქართველი მწერლის დამოკიდებულება ნაირის ქვეყანასთან — სომხეთთან, მის ხალხთან, მის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან, რომელიც ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებიდანაა მოქცეული მწერლის თვალსაწიერში. „მე სიყრმეშივე მქონდა ამოკითხული ქართლის ცხოვრებაში, ჰაოსი და ქართლოსი ძმები რომ იყვნენ. ეს ლეგენდარული გადმონაბარი ჩვენი ისტორიის უძველესი პერიოდისა, უსაზმნო ფანტაზიის ნაყოფი როდი ყოფილა“, — აღნიშნავდა მწერალი.

არსებობს ვერსია, რომლის მიხედვით კ. გამსახურდია 40-იან წლებამდე არ იცნობდა სომხებს და ამ წლებზე ადრე არც ყოფილა სომხეთში.[1]

ეს არ არის სწორი, ვერსიის ავტორი არ იცნობს მწერლის ცხოვრების დეტალებს. კ. გამსახურდიას შეხვედრა ნაირის ქვეყანასთან და სომხურ სინამდვილესთან უფრო ადრე ხდება. „უკვე დავაჟკაცებულს მუდამ დიდი ინტერესი მქონდა ამ შესანიშნავი ერის ტრაგიკული წარსულისადმი, — ვკითხულობთ „ესეებში“, — უკვე სიჭაბუკეში გადაკითხული მქონდა, რაც სომეხი ერის დიდი კულტურის შესახებ დაუწერიათ მარი ფელისტე ბროსეს, სტეფანოზ ორბელიანს, დულარიეს, ჩვენს აკადემიკოსებს: ივანე ჯავახიშვილს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს, ნ. მარს, დიუბუა დე მონპეროს, ადონცსა და მარკვარტს“.

ვერსიის ავტორი იმაშიც სცდება, თითქოს პირველად 1940-იან წლებში ესტუმრა კ. გამსახურდია სომხეთს.

დიდი მწერლის კალამს ეკუთვნის ნარკვევი „მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა“, რომელიც დაწერილია 1934 წლის სექტემბერს, სომხეთში მოგზაურობის შთაბეჭდილების გამო.[2]

ავტორი საოცრად პირუთვნელად ჰყვება ისტორიულ ქარიშხლებში გამოვლილი ნაირის ქვეყნის, მართლაც, „მკვდრეთით აღმდგარი ქვეყნის“ ახლო წარსულში სომეხი ერის ყოფნა-არყოფნის თითქმის ყველა საკვანძო საკითხს, მის აწმყოსა და მომავალს. ამიტომ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ (რაკილა კონსტანტი-

ნე სომხურ თემას სხვაგანაც ეხება) „მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანა“ თავისი ღრმა შინაარსით ერთგვარი საპროგრამო ნაწარმოებია, სხვაგან კი ავტორი კიდევ უფრო ნათელს ჰფენს დასახელებული ნარკვევის ცალკეულ დებულებებს.

ლირიკული წიაღსვლით იწყება თხრობა ნარკვევის ფურცლებზე.

„ღამეა ისეთი მრუმე, როგორიც ჯავახეთში იცის.

ოჰ, მე ძალიან მიყვარს სამხრეთის კუპრი ღამეები. მატარებელი ბამბაკის ხეობაში შევიდა, ვაგონის ფანჯარასთან ვზივარ და ძილნახვამ ტყეებს და კლდეების ქიმებს გავსცქერი...“

ბამბაკის ხეობა ლორეს ხეობის გაგრძელებაა, ესე იგი, მატარებელი ყარაქლისის (დღევანდელი კიროვაკანის) მიდამოებში მიჰქრის... ცნობისმოყვარეობას ძილი წაურთმევია მწერლისათვის და აი, ის მიმჯდარა ფანჯარასთან და იქიდან აკვირდება დილის ბინდბუნდში ჩაძირულ ნაირის ქვეყანას.

თენდება. მატარებელმა ჩაუარა მხვნელ-მთესველებს; სომეხი გლეხები ველების პირზე დგანან „ბრინჯაოს ფიგურებივით“ და მიწას ხნავენ. „ისტორიის გრიგალების მიუხედავად, ყოველ წელს მიაკითხავს სომეხი გლეხი თავის მიწას და აბარებს სამერმისო თესლს მოსე ხორენელამდის და მოსე ხორენელიდან დღემდის“.

უყურებს ღრმად დაფიქრებული მწერალი ამ „ბრინჯაოს ფიგურების“ მსგავს ადამიანებს და როცა მატარებელი სულ ახლოს გაუვლის მათ და ისინი კი თავსაც არ ახწევენ, ფილოსოფიურ წიაღსვლას აკეთებს: „...დასცქერის მუშაკი გახსნილ გულმკერდს ამ შავი მიწისას, რადგან იქაა დამარხული მარადი ანდაზა, რომელსაც ვერც ერთი თაობა ვერ მოილევს და თავს ვერ დააღწევს“.

კალთებჩამოღლეწილი შიშველი კლდეები, თავმოქაჩლული გორაკები, ტიტველი, ფოლადისფერი გორმახები, ბექობები და შორეული ნისლების ჩადრებით შებურვილი მთები მწერალს სომხურსა და ქართულ ტაძრებს აგონებენ, მაგრამ პეიზაჟი უმალ იცვლება, აზიის უდაბნოების ცხელი ტრამალი იშლება მის თვალწინ. „მსუბუქი ნისლის დარი მტვერია გაწოლილი სამხრეთისაკენ გაჭიმულ დაფიქრებულ ველზე, სადაც არც ჯაგნარია და არც ხუჭუჭა მწვანე წალკოტები, არამედ მხოლოდ ქვიანეთი“, და მწერალს აღმოხდება: „ცოდვაა უხეო ზეგანზე ბინადარი გლეხობა“.

გზაში გაცნობილი ერევნელი მასწავლებლის მონაყოლის მიხედვით კ. გამსახურდია სომხეთის ახლო წარსულის კოშმარული დღეების სურათს ხატავს. ჯერაც ატყვია ნასოფლარებს ცეცხლის ნათარეშავი და იქვე: „მაგრამ ისევ სული მოუბრუნებია მიწისმოყვარე სომეხ გლეხს, გამრჯელი ხელი ისევ ახალ აგურებს აწყობს ცეცხლით გარუჯულ ბალავარებზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კოშმარული დღეების“ მომტანნი მუსულმანი მეზობლები არიან, „ცეცხლის ნათარეშევი“ მათი ნახელავია, მაგრამ მწერალმა იცის, რომ ნამდვილი ავტორები ამ ბარბაროსობისა, დასავლეთის დიდი ქრისტიანული სახელმწიფოებია; ისტორიის ბრმა განაჩენის კვალობაზე სომხეთი და საქართველო მათმა მუხანათობამ პირში მისცეს ფანატიკურ აღმოსავლეთს, მათი წყალობით მოექცა ეს ორი ერი სამტროდ პირდაფჩენილ მეზობლების ზღვაში, მერე ზურგი აქციეს და ამან წელში გაწყვიტა საცოდავი სომხის ხალხი...

ავტორს აქცენტი გადააქვს საქართველოსა და სომხეთის ათასწლოვან ძმობაზე, საქართველოს უჭკვიანესი მეფეების მზრუნველობაზე სომხეთისადმი და ბოლოს იმაზე, რომ „ამიერიდან არ არსებობს არავითარი ძალა, ამ ორ ხალხს შორის არსებული კავშირი რომ გაანიავოს“.

როგორც კი მატარებელი არაგაწის ზეგანიდან არარატის ველზე დაეშვება, მწერლის თვალს ახარებს კოხტა, სუფთა დაბები, მწვანეში ჩაფლული სოფლები, საუცხოოდ მოვლილი კარ-მიდამო, მაძღარი საქონელი, და იქვე სინანულია: „ჩემდა სახირცხვილოდ უნდა ვაღიარო: პირველად მიხდება სომხეთში მოგზაურობა, სადაც მე არ მიგრძვნია ისეთი უცნაური ძრწოლა, უცხო ქვეყანაში ჩასვლისას რომ შემიპყრობს ხოლმე“.

რატომ?

იმიტომ, რომ „ველი, ტაფობი და გორმოხი, ბექობზე გადმომდგარი კონუსისებური გუმბათი და ჩვენებური ორლობე... ძალიან წააგავს ეს სურათი ტიპიურ ქართული სოფლის იდილიას. და მთის კალთებზე შეფენილი ფარეხი და ჯოგები აძლიერებენ ამ მსგავსებას ჩემს თვალში“.

იმიტომ, რომ ნაირის ქვეყანაში კ. გამსახურდია ყოველთვის გარემოსილი იყო საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით. იგი ამ ქვეყნის მიწა-წყალზე სტუმარი როდი იყო, არამედ შინაური კაცი, დიდი ეროვნული ოჯახის წევრი.

შვიდი დღე იმოგზაურა ავტომანქანით, ამ მოგზაურობაში ამხანაგური და თბილი გულისხმიერებით ეპყრობოდნენ სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელები. არეზის ნაპირებიდან მოავლო მზერა „ბიბლიურ გოლიათს“ — არარატის მთას. „უდიდეს რელიგიურ ცენტრში“ — ეჩმიაძინში დაათვალიერა უნიკალური ხელნაწერების ბიბლიოთეკა, „ჭკვიანი ბერის“ მეგზურობით შემოიარა „საუკუნეების მტვერით და რემინისცენციებით დატვირთული ტაძრების ჩრდილი“, სადაც გონებამახვილი ბერი, გვარად ოვსეფიანი, უჩვენებდა სარქის პიწაკის „შესანიშნავ მინიატურებს“, სომხურად უკითხავდა და შემდეგ

გერმანულად უთარგმნიდა შუა საუკუნეების სომეხი პოეტების — ფრიკისა და ნარეკაცის ნაწარმოებებს.

მწერლის ყურადღება განსაკუთრებით მიუპყრია იმდროინდელი ერევნის მართლაც განსაცვიფრებელ აღმშენებლობით ტემპებს; იგი აღტაცებულია იმ შემართებით, როგორითაც სომხებს გადაუწყვეტიათ წარსულის კოშმარული მემკვიდრეობიდან სომხეთის დახსნა. „როცა ასეთი ერთობლივი გადაწყვეტილება დაიბადება, მას უკვე აღარაფერი დაუდგება წინ“, — წერს და იქვე გვიმჟღავნებს თავის სიხარულს „მრავალტანჯული სომეხი ხალხის მაგივრად“.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია მწერალზე მოხუც ხუროთმოძღვარ თამანიანთან შეხვედრას, ვისი გეგმითაც შენდება ერევანი: „თამანიანი ახალი სომხეთის აღმშენებელთა გალერეაში უშესანიშნავესი კაცთაგანია. მას დიდი ბრძოლა გადაუტანია სომხური სტილისათვის მოქალაქეობრიობის მოსაპოვებლად“, — დასძენს აკადემიკოსთან გასაუბრების შემდეგ კ. გამსახურდია და იქვე უმატებს, თუ როგორ მისულან ორივენი იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს და სომხეთის ქალაქებს მხოლოდ ხალისიანი ფერის შენობები დაამშვენებს, რომ საამისოდ მრავალფეროვანი გრანიტი მოეპოვება ორივე ქვეყანას, რომ თბილისს უნდა ჰქონდეს თბილისური იერი, ერევანს — ერევნული, რომ ინდუსტრიალიზაცია არ გამორიცხავს ამა თუ იმ მხარისათვის დამახასიათებელ იერს, რომ ორივე ქვეყნის არქიტექტორებმა ამ მხრივ უნდა იმუშაონ და უთუოდ შექმნან დედაქალაქებისათვის განსხვავებული სტილი, სადაც ხალვათობაც იქნება, სივრცობრიობაც და, ამასთან ერთად, ახალი დროის სუნთქვაც იგრძნობა.

მაგრამ კ. გამსახურდიას სომხეთის მარტო დღევანდელი დღე კი არა, „საბჭოური სომხეთის ხვალეც“ აინტერესებს, ამიტომაც საგანგებოდ დაუთვალიერებია მშენებარე სინთეზური კაუჩუკის ქარხანა. მწერალს გულდასმით შემოუვლია 450 ჰექტარზე გადაჭიმული სამი უზარმაზარი ქარხნის — კარბიტის, ქლორისა და ხრომიკის — მშენებლობის მოედნები, სადაც სჭედდნენ, სთლიდნენ, ხერხავდნენ, ქლიბავდნენ, ბურღავდნენ, ჩაქუჩსა და უროს ურტყამდნენ, სადაც აყლაყუდა ექსკავატორებს უშველებელი ვარხვებსავით დაებჩინათ ხახა...

საღამოს სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ს. ტერ-გაბრიელიანის მიწვევით მის ოჯახშია კ. გამსახურდია. „ტერ-გაბრიელიანი შესანიშნავი მოსაუბრეა. ტკბილი, თავმდაბალი, თავაზიანი და უაღრესად კულტურული — ჩვენს ბოლშევიკებს შორის იგი აბელ ენუქიძეს მაგონებს ხოლმე“.

ბევრის მთქმელია და დღესაც ინტერესმოკლებული არ არის მწერლის საუბარი სააკ ტერ-გაბრიელიანთან სომხეთისა და საქართველოს ხუროთმოძღვრების საკითხებზე, იმაზე, რომ საბჭოურმა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ორი ხალხის ხუროთმოძღვრების ორიგინალურ სტილს, დაიცვას, რომ იგი არ წალეკოს ამერიკის „კონსტრუქტივისტულმა“ სტილმა: „ჩვენ გავიარეთ მომჭირნეობისა და გაჭირვების წლები, ახლა ხალხის ესთეტიკურ აღზრდაზე უნდა ვიფიქროთ, კმარა ეს ნაცრისფერი, ყრუ კედლები, უსამკაულო კარ-ფანჯარა, ურიკულო აივანი... ჩუქურთმით ამკობდა ჩვენი გლეხი თავის სახლის ფასადსა და აივანს, ისევე როგორც თავის პაჭიჭებს ფერადი შიბებით“.

საუბარში შეხებიან აგრეთვე ნოხების ქსოვას, ჩვენებური შალის ხელობის განვითარებას, ოქრომჭედლობას, მალათინით მქარგავეობას, ხეზე მძერწავეობას — გადაშენების გზაზე დამდგარი ხელოსნობის აღორძინებას.

საუბარი იმის აღიარებით დასრულებულა, რომ, თუმც, ორი ათასი წელი გადმოსცქერის არარატისა და ყაზბეგის მწვერვალებიდან სომხებსა და ქართველებს, თუმც, ისტორიული ერების ტვირთი ადევთ მხრებზე ამ ორი ქვეყნის ხალხებს, მაგრამ ახალი დროის უებრო დოლი ამათგანაც ისევე მოითხოვს სასწაულების მოხდენას, როგორც ახალი ერებისაგან. ჰოდა, ამ დოლშიაც უნდა იმარჯვონ ჩვენმა ხალხებმა, თორემ „ვაი იმ ერს, რომლის დღევანდელი და ხვალინდელი დღე მის გუშინდელს ჩამორჩება...“

რატომ შევჩერდი ასე ხანგრძლივად ამ ნარკვევზე?

ალბათ იმიტომ, რომ მასში ჩაქსოვილია ქართველი კაცის ნამდვილი ბუნება, სულის სილამაზე და სიდიადე, ანუ ძლიერი ემოციური, ტემპერამენტიანი დამოკიდებულება მეზობელი ხალხისადმი, მისი ქვეყნისადმი და ამ ქვეყნის ინტელექტუალური გამოხატვის ძალა.

იმ მრუმე ღამიდან მოყოლებული, რითაც იწყება ნარკვევი, მწერლის თვალმა ბევრი რამას ალქმა მოასწრო და ჩვენც სახიერად ჩაგვიბეჭდა გონებაში ნაირის ქვეყნის ბუნება და მისი ადამიანების ხატება, საოცარი თანაგრძნობითა და უკეთესის სურვილებით გადაგვიშალა კარის მეზობელი ხალხის ხვალინდელი დღე. ბევრი, ძალიან ბევრი ფიქრი და წინასწარი განსჯა ატყვია ნარკვევის ყოველ სტრიქონს, ეს სტრიქონები უნებურად თვალს გტაცებს და ავტორისკენ მიგახედებს — გიკვირს მისი სიფხიზლე წუთისოფლის უკუღმართობის ანალიტიკაში. „წყეულიმც იყოს ის ბნელი წლებიო, — ამბობს კონსტანტინე და ამით მიგვანიშნებს იმ მძიმე დროზე, როცა სარეველა ბალახივით მოდებულმა სხვადასხვა ჯურის მტრებმა გაუმარგლავ ბაღად აქციეს სომხეთი და საქართველო. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა სარეველას ამომძირკველი — ოქტომბრის რევოლუცია.

„მან შეასრულა ეს ისტორიული მისია“, — დაასკვნის ავტორი და გრანდიოზულ სურათს ხატავს, თუ როგორ დაწყებულა 30-იანი წლებიდან მკვდრეთით აღმდგარი ქვეყნის წინსვლა.

და კიდევ ერთი; ნარკვევის ყოველ სტრიქონში ამოიცნობა მოქალაქეობრივი თავაზიანობა ასახვის ობიექტისადმი, ყოველთვის იგრძნობა, რომ ავტორი შვილია იმ ხალხისა, ვის სულზედაც გაუვლია მსგავსი განსაცდელების ეკლიან გზას ავადმოსაგონი შაჰაბასისა და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დღეებში; ამიტომაც იგონებს მიუდგომელი მსაჯულის გადამდები მღელვარებით მეზობელი ხალხის გაღებულ მსხვერპლს მსოფლიო ცივილიზაციის სახელით და ჩვენც გვმსჭვალავს იმ შეწირული ადამიანების სულებთან თანაგრძნობით, დღეს რომ გენოციდის მსხვერპლთ უწოდებენ.

ვიმეორებთ: მწერლური უზადო კეთილსინდისიერების დასტურია ეს ნარკვევი, კ. გამსახურდია ამ ნაწარმოებით სომეხ-ქართველთა შეძმობის თავგამოდებულ ქომაგად მოგვევლინა და ამ გზისათვის არასოდეს არ უღალატია.

## გადახვევა პირველი

ამას წინათ ერევანში ვიყავი მივლინებით. აბოვიანის პროსპექტზე ერთი ნაცნობი შემხვდა, თბილისელი სომეხი, გვარად აბელ აბელიანი. ამჟამად სომხეთის კულტურის სამინისტროში მუშაობს. შეხვედრა რესტორანში აღვნიშნეთ. სიტყვამ მოიტანა და მკითხა, რაზე მუშაობო. სომეხ-ქართველთა მეგობრობაზე ნარკვევს ვწერ-მეთქი. ფიქრიანი თვალით შემომხედა, ჭიქა ღვინით გაავსო და ქართულად წარმოთქვა სომხურ კილო-ყაიდაზე:

— ერევნის მიწაზე სულითა და გულით ვსვამ ქართველი ხალხის სადღეგრძელოს, ახალ-ახალ აყვავებასა და გაფურჩქვნას ვუსურვებ საქართველოს. ალალი იყოს თბილისის შენება და დამშვენება. ვამაყობ, რომ ჩემში ბევრია თბილისური, ჰოდა, ამას გთხოვ, ჩვენი და ქართველების ურთიერთობაზე ლაპარაკის დროს ყოველთვის ძმობა იხმარე, ურღვევი ძმობა, ეგრე უფრო უპრიანია, — თქვა და სავსე ჭიქა ბოლომდე გამოსცალა...

კ. გამსახურდიას მეორე წერილს „ურღვევი შეძმობა“[3] ჰქვია. ამ სტატიაში დიდად გონიერი მემატიანის მახვილი თვალით არის დანახული სომეხ-ქართველთა შეძმობილების ფესვები. X-XI-XII საუკუნეებში ჩვენს ხალხებს ერთად უბრძოლიათ ისლამურ აგრესორთა წინააღმდეგ. „არაბებსა და ირანელებს, სელჯუკიან თურქებსა და ოსმალოებს არაერთხელ დაულაშქრიათ სომხეთი და საქართველო, ილია ჭავჭავაძემ სომხეთს სამხრეთული ფარი უწოდა“.

და იქვე: „მსოფლიოში იშვიათად უცხოვრია ორ ხალხს ორი ათასი წლის მანძილზე ისე მეგობრულად, როგორც ეს შესძლეს ჩვე[illegible]ბმა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც იყო, რომ ჭკვიანი ქართველი მეფეები ყოველთვის მფარველობდნენ სომხეთს, — გვამოძღვრებს დიდოსტატი კონსტანტინე და დაწვრილებით გვიყვება დავით აღმაშენებლის ბრძოლებზე, თუ როგორ და რამდენჯერ ზედიზედ წაგლიჯა თურქ-სელჯუკებს სომხური ციხე-ქალაქნი, მათ შორის სამეფო ქალაქი ანი, მერე ეწვია სომეხთა დედოფლის კატრონიკეს საფლავს, მუხლი მოიდრიკა და ჩასძახა: „გიხაროდნენ დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმა საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

და განა მარტო დავითი, მისი სიკვდილის შემდეგ გიორგი მეფე განაგრძობდა სომხეთისადმი ქომაგობას, მერე — ბრწყინვალე თამარი, ბაგრატ V, ერეკლე II და ასე იწრთობოდა ძმობა ამ ორ ერს შორის იმიტომ, რომ „არასოდეს არ მომხდარა სომხის ხალხს ჩვენთვის დამდგარ ჟამთასიავით ესარგებლოს და ჩვენს მტრებს მიმხრობოდა“, — წერს კ. გამსახურდია და ცოტა ქვემოთ თანამემამულეთაგან მოითხოვს, რომ მთელი ინტელექტუალური ძალები ქართველ-სომეხთა ურღვევი შეძმობისაკენ წარმართონ. „ჩვენი მრავალტანჯული ხალხების დიდი წარსული გვიკარნახებს, ვიძმოთ და ვიბრძოლოთ სომეხი და ქართველი ხალხების მეიდრო მეგობრობისათვის, რადგან ამის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ხალხების გამარჯვება“.

ჭეშმარიტად ლამაზი სიტყვებია, ნამდვილ მხატვარ-ჰუმანისტის ღირსებას რომ შეჰფერის.

კ. გამსახურდიას „ესეებში“ ერთგან წერია: „ნამდვილი ტალანტები მაგნიტებია. კლიტენი ამა თუ იმ ხალხის სიყვარულისადმი ასეთი ადამიანების ხელშია“.

ერთ-ერთ ასეთ ტალანტად თვლიდა კ. გამსახურდია სომეხი ხალხის სულიერ მოძღვარსა და თავისი ქვეყნის ეროვნული კულტურის აყვავებისათვის დაუცხრომელ მზრუნველს, დიდ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ავეტიქ ისააკიანს, რომელიც ექვსი ათეული წელი სომხური მხატვრული ლიტერატურის საუნჯეს ამდიდრებდა ხალხური წიაღიდან მომდინარე ხატოვანი ენით დაწერილ ქმნილებებით, რითაც დიდი ამაგი დასდო ახალ სომხურ მწერლობას.

ამავე დროს, ა. ისააკიანი დიდი ჰუმანისტი და ინტერნაციონალისტი იყო, ყველა ხალხის სიყვარულს იტევდა მისი გული, ყველაზე მეტად კი — ქართველი ხალხისა. ამ სიყვარულის კვალი გასდევს მოთხრობას „შაქრო ვალიშვილი“ (1908), რომელშიც ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი რევოლუციონერია წარმოსახული, უცხოეთიდან სამშობლოსაკენ მიმავალი პოეტის ლირიკულ ქმნილებას „ქართველი აშუღის სიმღერა“ (1927), მგზნებარე სიტყვას, მიძღვნილს უკვდავი რუსთაველისადმი (1937), ახლო ძმურ ურთიერთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ქართველ პოეტებთან და მწერლებთან, მისი უბის წიგნაკში ჩანაწერებს, სადაც გულთამხილავი ბრძენი კაცის თვალით არის დანახული საქართველო და მისი ადამიანები 1940 წლის ივნისში საქართველოში მოგზაურობის გამო.

ამ მოგზაურობის დაუვიწყარი დეტალია ორი დიდი მამულიშვილის შეხვედრა თბილისში, რომელთა ნაცნობობა იმავე წლის გაზაფხულზე ერევანში კ. გამსახურდიას ყოფნის დროიდან დაწყებულა. სამწუხაროდ, ამ შეხვედრის შესახებ წერილობით არაფერია დარჩენილი, მაგრამ არსებობს კონსტანტინეს წერილი „ავეტიკ ისააკიანი“, მიძღვნილი თავისი დიდი მეგობრისადმი, 1957 წლის 10 დეკემბრის თარიღით.

ავ. ისააკიანის მიწვევით კ. გამსახურდიამ 1942 წელს თითქმის ერთი თვე დაჰყო სომხეთში, ვარპეტის თანხლებით ესტუმრა გელარდს, გარნის, ზვართნოცს, ეჩმიაძინს, დვინს, უშუალოდ გაეცნო მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს. იმ შთაბეჭდილებების ძალა იმდენად წარუშლელი ყოფილა, რომ სომეხი და ქართველი ხალხების შემდგომი დაახლოების მიზნით კონსტანტინემ წამოაყენა წინადადება ყველა ქართულ სკოლაში სომხური ენისა და ყველა სომხურ სკოლაში ქართული ენის სწავლების შესახებ. იმავე წლებში დაებადა რომანის დაწერის იდეა.

„— ჩვენი ორი ხალხის შეძმობილების შესახებ რომანი უნდა დავწერო. საფუძველი ქალაქი ანის ისტორია იქნება. ბევრი მასალა მოვიძიე, მაგრამ მათ გადამუშავებას, რომანის შემოხაზვას, მოგეხსენებათ, ჯანმრთელობა და დრო სჭირდება. თუ არსთაგამრიგემ მაცალა...[4]

იმ დროიდანაა, კ. გამსახურდია დაჟინებით მოითხოვდა თანამემამულეთაგან სომხური კულტურის, მისი სახელოვანი შვილების შემოქმედების გაცნობას. ცნობილია, როგორი დიდი მოწონება ხვდა კ. გამსახურდიას გამოსვლის მწერალთა კლუბში, რომლის ტრიბუნიდან მან საყვედური თქვა იმათ მისამართით, ვისაც არ გაეგონა ავ. ისააკიანის სახელი და არ იცოდა ვინ იყო ის.

არა მარტო შეხვედრებით, წერილობითაც ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. ა. ისააკიანი თავის ქართველ მეგობარს ერთერთ წერილში ასე უზიარებს თალინში გატარებული ზაფხულის შთაბეჭდილებებს: „საყვარელო კონსტანტინე, ამ ბარათით მინდა გაგიზიარო უკანასკნელ თვეებში ჩემი ცხოვრების ამბები. ამ ზაფხულს თალინში ვიყავი, მთის ხალხმა, სასუნელებმა, დიდი პატივით მიმიღეს და გულუხვად მიმასპინძლეს. შემოვიარე მთიანეთი, დავდიოდი სოფელში. მთის შვილები ყველგან გულისყურით და სიყვარულით მხვდებოდნენ“.

„— ამ წერილს ჩემს სეიფში შევინახავ როგორც დაუვიწყარ მოგონებას, — სთქვა კონსტანტინემ, როცა სომხური წერილი ქართულად ვუთარგმნე ჩემი მდივნის დახმარებით, ბარათი გამომართვა და უბეში ჩაიდო“.[5]

კ. გამსახურდიას წერილი „ავეტიკ ისააკიანი“ ერთი დიდი ადამიანის გულწრფელი გამოტირებაა მეორე დიდი ადამიანის მიერ. ავტორი თანდათან გადაგვიშლის ვარპეტის მწერლური და მოქალაქეობრივი ღირსებების შტრიხებს ისეთი ლოგიკური თანამიმდევრობით, რომ პარალელურად საკუთარ მაღალ ჰუმანისტურ მრწამსშიც გვახედებს.

წერილი საქართველოსა და სომხეთის ისტორიის უძველესი პერიოდის ზოგადი მიმოხილვით იწყება. ჰაოსის შთამომავალთა მიმართ საქართველოს უმამაცეს და უძკვიანეს მეფეთა თანადგომა და მფარველობა ქართველ მწერალს კმაყოფილებით ავსებს და ცოტა ქვემოთ სიამაყით აცხადებს: „ჩვენ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები: ისეთ ეპოქებში, როცა ვენა ჩალით დახურული სოფელი იყო, ანისი, თბილისი და მცხეთა ქალაქები იყვნენ, ოქროს ფურცლით გადახურული ტაძრებით დამშვენებული. ჩვენ და სომხებს მოგვეპოვება უბრწყინვალესი ძეგლები არქიტექტურისა და მწერლობისა, რომლებსაც არა ერთი უგანათლებულესი ერი ინატრებდა“.

მერმე ავტორი მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთხელ ამახვილებს სომხებისა და ქართველების ბრძოლებზე სელჯუკების, მონღოლებისა და ისლამური ბარბაროსების წინააღმდეგ, იმ აურაცხელ სისხლსა და ენერგიაზე, რომელიც ჩვენმა ხალხებმა ამ ბრძოლებს შეალიეს და იმ დაღვრილი სისხლის დაუმსახურებლად იგნორირებაზე მსოფლიო ისტორიაში.

ახალ დროში კ. გამსახურდია ქართველ-სომეხთა შეძმობილების ნამდვილ მოღვაწეებად თვლის ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ოვანეს თუმანიანს, დერენიკ დემირჭიანს და ავეტიქ ისააკიანს, „რომელთაც ნამდვილი წრფელი სიყვარულით შეახსენეს ჩვენ ხალხებს: ქართლოსი და ჰაოსი რომ ძმები არიან“.

მწერალი ახლოს იცნობდა სამივე სომეხ მოღვაწეს, მაგრამ მათგან მისთვის ყველაზე მახლობელი გამომდგარა ა. ისააკიანი: „ეს იყო ისეთი კაცი, რომელსაც ხელთ ეპყრა კლიტენი სომხის ერის გულის საუნჯისა. ძვირფასი ვარპეტი იყო არა მარტო დიდი პოეტი, — დიდად განსწავლული ადამიანი, უხუცესი ძმა კავკასიის პოეტთა შორის“.

### გადახვევა მეორე

„ახალი პატარძალი ვიყავი, — იგონებს ბელა ისააკიანი — ეს იყო 1942 წლის გაზაფხულზე. პაპამ უცხო კაცი მოიყვანა, მასთან ერთად შემოევლო ახლო-მახლო სოფლები. იგი

ალტაცებული იყო იმ შეხვედრებით, სოფლებში პაპას რომ უწყობდნენ გლეხები. სუფრაზე სტუმარმა დიდის ამბით დალია ჩემი მამამთილის სადღეგრძელო და ასე უთხრა: „ბედნიერი ხარ, ძვირფასო ავეტიკ, შენ ხალხს ეგრე რომ უყვარხარ და შენი ხალხიც უკვდავია, თავისი პოეტის ეგრე რიგად სიყვარული რომ შესძლებიაო“. ლამაზი ლაპარაკი იცოდა იმ ჩვენმა სტუმარმა. მერე გავიგე, დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია იყო. მეორედ იგი ვნახე პაპას დაკრძალვის დღეებში, ხოლო მესამედ — თბილისში: ჩვენში ავ. ისააკიანის დაბადების 100 წლისთავისთვის ემზადებოდნენ. საიუბილეოდ გამოიცა მდიდრულად გაფორმებული „აბუ-ლალა-მაარი“. ამ დროს იყო, რომ თბილისში მომიხდა ჩამოსვლა. გადავწყვიტე მომენახულებინა პაპას დიდი მეგობარი და თანაც ახლადგამოცემული პოემა მიმერთმია. მაგრამ კოლხური კოშკის ჭიშკართან მე და ჩემს მეგზურს გვითხრეს, ბატონი კონსტანტინე ახალი გამოყვანილია საავადმყოფოდან და არავის არ ღებულობსო. ის იყო უკან გამოვბრუნდით, რომ ზვიადის ხმა მომესმა ზურგს უკან, დავბრუნდით, გავიარეთ ჭიშკარი და რას ვხედავ — ლოგინიდან წამომდგარიყო ბატონი კონსტანტინე და კიბის თავზე შემომეგება: ჩემი ძმის რძალს ჩემი სახლის კარს ვერ გამოუკეტავო“.

კონსტანტინეს წერილი მთავრდება უდიდესი გულისტკივილით. ვარპეტი თბილისში ჩამოსვლას დაჰპირებია, აქედან კი ზანგეზურში, სომხეთის სამხრეთ რაიონებში მოგზაურობას, მაგრამ ამჯერად ა. ისააკიანს პირობა ვერ შეუსრულებია. თვითონ კონსტანტინეს მონატრებია მისი ნახვა და ერევანს წასულა. „ბოდიშობდა, ვეღარ გაგაცილებო. ძეგლების მოსანახულებლად ქალაქის არქიტექტორი გამაყოლა“, — ვკითხულობთ სტატიაში და ცოტა ქვემოთ ასე დასტირის მეგობრის დაკრძალვას: „ივანე ჯავახიშვილისა და ალექსანდრე აბაშელის სიკვდილის შემდეგ მე ასეთი მწუხარება არ მიგრძვნია, რაც განვიცადე ავეტიკ ისააკიანის გარდაცვალების გამო, ამიტომაც მისი დამარხვის დღეს, რომელიც ნამდვილად იყო ცრემლის დღე სომეხი მშრომელი ხალხისა და არა მარტო სომხეთის, გაოგნებული ვიდექი სამგლოვიარო ტრიბუნაზე და სიტყვა ვერ დავძარი, რადგან ნამდვილი წუხილი მჭერმეტყველებას თავისთავად გამორიცხავს“.

იმავე წერილში ვკითხულობთ: „ავეტიკ ისააკიანის ფიზიკური სიკვდილის მეოხებით სომხეთმა დაკარგა სამშობლოს მამა, მსოფლიო პოეზიამ — უბრწყინვალესი პოეტთაგანი, ხოლო ჩვენ, მისმა მეგობრებმა — უფაქიზესი ამხანაგი და მისანდობელი გულისა“.

ამ სიტყვებით იხურება ზემოხსენებული წერილი და ამ ღრმა ადამიანურ მწუხარებას კიდევ უფრო ამძიმებს ა. ისააკიანის [illegible] მოხმობილი ერთსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც კონსტანტინესეული თარგმანით ასე იკითხება სტატიის ბოლოს:

სადა ძევს ნეტავი ის დიდი ლოდი,
რომელიც ჩემს საფლავს შეამკობს ოდესმე,
ვინ იცის, მიმწუხრში, უჩინარ ადგილას,
ვმჯდარვიყო მე მასზე ფიქრებში წასული.

ის, რის თქმაც ვერ შესძლო კონსტანტინემ სამგლოვიარო ტრიბუნიდან ა. ისააკიანის დაკრძალვის წუთებში, ყელში მოწოლილი მწუხარების გამო, ჩვეული სიბრძნით მოკლედ გამოთქვა სასტუმრო „არმენიაში“ ვარპეტის სახელობაზე გაშლილ ჭირის სუფრაზე.

სომხებისა და ქართველების საუკუნოვანი შეძმობილების გულწრფელი აღიარება უძღოდა წინ მთავარ სათქმელს, მერე სიტყვა შემოაბრუნა და თუ რაოდენი ნაღველი ჩაალესა გულში თანამოძმისა და თანამოკალმის სიკვდილმა, ასე გამოთქვა:

„— თქვენ დღეს ნახეთ დაუშრეტელი ნაკადივით როგორ მიედინებოდა ხალხის ტალღა პოეტის კუბოსთან. დიახ, ასე სცემენ კავკასიაში პატივს თავის პოეტს. ეს იმის დასტურია, თუ რაოდენ ძალოვანად უყვარს ხალხს თავისი დიდი მამულიშვილი: დღეს მთელი ერი გლოვობდა მის გარდაცვალებას. სამგლოვიარო ძაძები და გლოვა მარტო ქალბატონ სოფისა როდია, გლოვა მთელი ერისაა, მთელი კავკასიისა, მთელი კაცობრიობისა — ჩაქრა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ბრწყინვალე მნათობი“.[6]

დიდი სევდაა კონსტანტინეს სიტყვებში, მაგრამ ამგვარი სევდა ამხნევებს მკითხველს, ამაღლებს, სულიერ ძალას ჰმატებს, იმედით ავსებს — ასეთ მწუხარებას ნათელი ახლავს, მისი შუქი მწუხარებიდან დევნის სიბნელესავით შავსა და უპერსპექტივო გრძნობას და მის ადგილზე ამკვიდრებს წინ ხედვის იდეალს.

* * *

დიდი სითბოა კ. გამსახურდიას მეორე წერილშიც, რომელიც გამოჩენილ სომეხ მწერალს დერენიკ დემირჭიანს ეძღვნება.[7]

სომხური საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სომხური პროზისა და დრამატურგიის გამოჩენილი ოსტატი დ. დემირჭიანი ქართველი ხალხის უანგარო მეგობარი იყო და არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ საქართველოში დაიბადა, აქ მიიღო დაწყებითი განათლება, აქვე მუშაობდა სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, თბილისში დასტამბულ ჟურნალებში („ტარაზი“, „მურჭი“) იბეჭდებოდა მისი პირველი ლექსები, აქ მიიღო სამწერლო ნათლობა და ბოლოს, სხვადასხვა დროს, პირველად აქ დაიდგა მისი ცნობილი პიესები: „ქაჯნაზარი“, „ფოსოფორის სხივი“,

„სამხჯავრო", რომლებმაც დ. დემირჩიანს ნაჭიერი დრამატურგის სახელი დაუმკვიდრეს. 1925 წელს დ. დემირჩიანი სამუდამოდ დასახლდა ერევანში, მაგრამ საქართველოდან გაყოლილი ხითბო არასოდეს არ განელებულა მწერლის გულში.

„მე საქართველო უანგარო, ნათესაური გრძნობით მიყვარს, ამ ქვეყნის ლამაზ მიწაზე ავიდგი ფეხი, აქ გავატარე ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები — ყველაზე სანეტარო ასაკი ადამიანის სიცოცხლეში, აქვე მოხდა ჩემი პოეტური ნათლობაც, ამიტომ ჩემთვის თანაბრად მშობლიურია, როგორც ჩემი თანამემამულე მწერლების ნაწარმოებები, ისე მარად უკვდავი შოთას და ჩვენი დროის ქართველი მწერლების მხატვრული ქმნილებები. ჩემი სურვილია ხშირად ვკითხულობდე ჩემს მშობლიურ ენაზე თანამოკალმეთა თხზულებებს და უფრო ხშირად ვნახულობდე მათ".

დ. დემირჩიანის შემოქმედების გვირგვინია ორტომიანი ეპოპეა „ვარდანანქი". ეს დიდი ტილო სომხეთის მე-5 საუკუნის ისტორიის ფონზეა გაშლილი და მასში დიდი ოსტატობით არის დახატული, ერთის მხრივ, იმჟამინდელი სპარსეთის მომძლავრებული სახელმწიფოს მიერ მთელ ამიერკავკასიაში ისლამის გავრცელების მცდელობა და, მეორეს მხრივ, მის წინააღმდეგ სომეხი ერის ბრძოლა მამაცი სპასპეტის ვარდან მამიკონიანის სარდლობით.

რომანის პირველი ტომის ქართული თარგმანი (მთარგმნელები მ. ბინიაშვილი და ს. მანველიანი) „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა 1968 წელს, ჩემი რედაქტორობით. კონსტანტინე გამსახურდიას წერილი „დერენიკ დემირჩიანი" „ვარდანანქის" პირველი წიგნის გამოსვლის გამოა დაწერილი. ამ წერილის შესავალი ნაწილიდან ვგებულობთ, თუ რაოდენ თბილი ურთიერთობა ყოფილა კ. გამსახურდიასა და დ. დემირჩიანს შორის. „1932 წელს, როცა რაპპელმა ვულგარიზატორებმა საქართველოს მწერალთა კავშირიდან გამაძევეს, დერენიკ დემირჩიანმა და სხვა მეგობრებმა ერევანს მიმიწვიეს. ჩემს ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება ის სიტყვა, რომელიც მომაგეს სომეხმა მეგობრებმა".

ორი კვირის მანძილზე დერენიკ დემირჩიანი ყველგან თან ახლდა მას სომხეთში მოგზაურობის დროს, საღამო ჟამს კი ისხდნენ სახტუმროში და საუბრობდნენ. „...საუბარში ხანდახან წამოსცდებოდა ჩემი კნინობით სახელი „კოტე". დერენიკი ფრიად დარბაისელი კაცი იყო, შემეკითხა კიდეც ერთხელ ქართულად: „კონსტანტინე, ხომ არა გწყინს, „კოტეს" რომ გეტყვი?" „არა, ძვირფასო დერენიკ, კოტე დამიძახე, ეს მირჩევნია ამ ბერძნულ კონსტანტინეს".

ამ წერილში არის სტრიქონები, რომლებიც არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას, რომლებსაც არასოდეს არ მიადგება ჩრდილი, რადგან მათში კიდევ და კიდევ გაცხადებულია დიდი მწერლის კეთილშობილური იდეალი: „მე იმიტომაც მიყვარს სომხეთი, რომ ჩვენი ციხეები და ტაძრები ერთმანეთს ჰგვანან, ჩვენი უძველესი ალფაბეტები ურთიერთს ჰგვანან, ჩვენი მთები და მდინარეები, ჩვენი ადამიანები, ჩვენი დიდი მეფეებისა და მამაცი კათოლიკოსების წვერები ერთმანეთს რომ ჰგავდნენ.

კიდევ იმიტომ მიყვარს სომხეთი, რომ ჩვენ ვიყავით და ვართ ფორფოსტები უძველესი ცივილიზაციისა".

შემდეგ ავტორი უშუალოდ რომანს ეხება და წერს: „სამწუხაროდ, მე არ ვიცი სომხური, მაგრამ პროზაული ქმნილების არც თუ პირველხარისხოვან თარგმანშიაც მოსჩანს მრავალნაცადი ლომის ბრჭყალები".

კ. გამსახურდია ჩვეული განსწავლულობით მიმოიხილავს რომანის საკვანძო პრობლემებს, ეპოპეას თვლის ისტორიული მასალის ღრმა ცოდნითა და დიდი ტაქტით დაწერილ ნაწარმოებად. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს იმ ეპიზოდებზე, სადაც ქართველ-სომეხთა შეხების შტრიხებია.

ჰაზკერტი მრისხანე ულტიმატუმს უგზავნის სომხებს. სომეხი ხალხი დიდი განსაცდელის წინაშე დგას. ერის თავკაცები ელჩებს გზავნიან საქართველოში. ვარდან მამიკონიანი დესპანს წერილს ატანს ქართლის მეფე მირდატთან და ამგვარი სიტყვებით ისტუმრებს საქართველოში: „ყველას წყნარად ელაპარაკე, დაარწმუნე და ნურავის შეეკამათები. ქართველები ჩვენი ძმები არიან და ჩვენი განსაცდელი მათი განსაცდელია".

სომხეთის შემდეგ ისლამის შავი ღრუბლები საქართველოსაკენ მოიგრაგნება. ეს კარგად იცის ქართლის მეფემ, ამიტომ მცირე ხნის დუმილის შემდეგ დესპანსეუბნება: „პირველად როდი გვიპირებს სპარსი გველი მკერდზე შემოხვევას, აჰა, მათი ციხიონები დგანან თბილისის, მცხეთის და ცურტავის ხანაზებში. პასუხს მალე გამოგიგზავნით, ღმერთი ჩაგვაგონებს კეთილ აზრს და შევთანხმდებით, სომხები ჩვენი ძმები არიან, მათი ბრძოლა ჩვენი ბრძოლა იქნება".

კ. გამსახურდია დიდად აფასებდა აგრეთვე ავტორის მხატვრულ ოსტატობას, მას დიდ მწერლად და ქართველ-სომეხთა სიყვარულის მგზნებარე ქომაგად მიიჩნევს, „რომელმაც თავისი ტალანტით განამტკიცა ეს სიყვარული თავის ეპოპეაში „ვარდანანქ".

* * *

კ. გამსახურდია დიდად აფასებდა აგრეთვე გამოჩენილ სომეხ ბელეტრისტს სტეფანე ზორიანს, თანამედროვე სომხური პროზის ერთ-

ერთ ფუძემდებელს. სომხეთიდან ჩამოსულ სტუმრებს იგი საგანგებოდ შეახსენებდა ხოლმე: „კარგად მოუარეთ სტეფანეს, ეგ ერთილა დარჩაო“.

სტეფანე ზორიანთან კ. გამსახურდიას ისიც აკავშირებდა, რომ მან თარგმნა „ხოგაის მინდია“, ხოლო კ. გამსახურდიამ (ივ. დავითიანთან ერთად) სტ. ზორიანის მოთხრობა „ვაშლის ბაღი“, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ (1964 წ.) დაიბეჭდა, შემდეგ კი — 1978 წ. „მერანის“ მიერ გამოცემულ სტეფანე ზორიანის მოთხრობებისა და ნოველების კრებულშიც შევიდა.

ქართულ-სომხურ ლიტერატურათა მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში 1960 წლისათვის დიდ მოვლენად აღინიშნა სომხურ ენაზე „დიდოსტატის მარჯვენის“ გამოცემა, იგი მაგარ ყდაშია ჩასმული, ახლავს კონტრტიტული, სვეტიცხოვლის ტაძრის ხედით, წამძღვარებული აქვს კ. გამსახურდიას საგანგებოდ დაწერილი წინასიტყვაობა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ სომხურ ენაზე“, ერთვის ავტორის მშვენიერი პორტრეტი და ბოლოში წიგნის რედაქტორის, მწერალ სერგო პაიაზატის წერილი — „კონსტანტინე გამსახურდია“.

წინასიტყვაობა სულ ორი გვერდია, მაგრამ მისი ყოველი სტრიქონი ისევ და ისევ გამთბარია სომეხი ერისადმი სიყვარულით, რომ „ქართველ-სომეხთა ძმობა ჩვენი თაობის მოგონილი ამბავი როდია“, რომ სხვადასხვა ჯურის მომხდურ მტრებთან ბრძოლაში ერთობლივად ბევრი სისხლია გაღებული და მაინც „სისხლის წვიმების მიუხედავად, შეიქმნა სომხეთისა და საქართველოს უბრწყინვალესი მწერლობა, არქიტექტურა და ისტორიული პროზა“.

წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რაოდენ სასიამოვნო მოვლენად უცვნია კ. გამსახურდიას რომანის გახმაურება „მოძმე სომხეთის უბრწყინვალეს და უხუცეს ენაზე“.

„დიდოსტატის მარჯვენამ“ დიდი რეზონანსით მოიარა ნაირის ქვეყანა და არაჩვეულებრივი მოწონება ხვდა. იმ მომწონებელთაგან უპირველესად ყურადღებას იქცევს ნიჭიერი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი სალომე არეშიანი. იგი ჟურნალ „სოვეტაკან გრაკანიუთუნში“ გამოქვეყნებული სტატიით — „დიდოსტატის ისტორიული რომანი“ — გამოეხმაურა ამ წიგნის გამოცემას სომხურ ენაზე.8

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს სალომე არეშიანი კ. გამსახურდიას მხატვრული ოსტატობის დიაპაზონის შესახებ. იგი დიდი და სუფთა სულით დაწერილ წიგნებს მიაკუთვნებს „დიდოსტატის მარჯვენას“ და დიდი სულიერი სისუფთავით ხსნის წიგნის დიდ პოპულარობას. სულიერი სისუფთავის წყაროსთავი კი, რეცენზენტის აზრით, ის არის, რომ კ. გამსახურდიას მწერლობა მიაჩნია არა მხოლოდ თვალსაჩინო გმირობის გამოსარჩლებად, არამედ „მიჩქმალული გმირობის ქომაგობადაც“.

„მიჩქმალული გმირობის ქომაგობა“ — ძალზე ტევადი და ღრმაშინაარსიანი ფრაზაა. იგი ზუსტად მიგვანიშნებს წუთისოფლის მუხანათობაზე არსაკიძის მიმართ, მაგრამ ის ხომ ერთადერთი მსხვერპლი არ არის, მას ხომ მასავით ნაწამები ბევრი ცნობილი თუ უცნობი მოძმე ჰყავდა წინათ და ახლაც ჰყავს მსოფლიოს ყველა კუთხეში, ყველა მერიდიანსა და განედზე, რომელთაგან მოძალადეების ხელს ზოგისთვის ხელი მოუკვეთია, ზოგისთვის თავი, ზოგიც სულაც უგზოუკვლოდ გადაუკარგავს.

ამ პოზიციიდან ხატავს კ. გამსახურდია თავის პერსონაჟებს, და ამით შორეულად ეხმიანება ლევ ტოლსტოისო, ამბობს ს. არეშიანი და იქვე დასძენს: „მაგრამ თუ ადამიანები მდინარეებს ჰგვანან, და ეს იყო ლევ ტოლსტოის საყვარელი თეზისი, გამსახურდიასათვის ადამიანი — ესაა შფოთიანი მდინარე, რომელსაც მღელვარება ვნებისა მიაწყვეტავს ხოლმე ხან კეთილს და ხან ბოროტების ნაპირებს“.

კრიტიკოსი ვრცლად მიმოიხილავს სიყვარულის თემას და შორენა-არსაკიძის სიყვარულს ადამიანის სულის სიდიადეზე თქმულებად აღიქვამს, თავისი შინაგანი ძალოვანებით რომეოსა და ჯულიეტას ტრფობის ტოლფარდ თქმულებად.

რომანის დიდ ღირსებად არის აღიარებული აგრეთვე ხალხის ავტორისეული წარმოსახვის ოსტატობა. ხალხის სიდიადე მისი შემოქმედებითი უნარითა და შემართებით განისაზღვრებაო, შენიშნავს რეცენზენტი, და ამის დასტურად წიგნის ყოველ ფურცელზე მცხეთის სვეტიცხოვლის ხატებას უსვამს ხაზს. „იგი ჟღერს როგორც მუსიკალური თემა სიმფონიაში, ის მუდამ არ ისმის, მაგრამ მუდამ რჩება და იგრძნობა რთულ პარტიტურაში“.

წერილში ორიგინალურად არის გაანალიზებული „დიდოსტატის მარჯვენის“ მთავარი გმირის პრობლემა. პირველად რომ შეხედავ ისტორიას, ჯერ მეფეები და სარდლები გამოჩნდებიან და ასე გგონია, ყურადღების ცენტრში ისინი იქნებიანო ბოლომდე, მაგრამ „რომანში შინაგანად უფრო მნიშვნელოვანია კონსტანტინე არსაკიძე და არა გიორგი; პირველი გამოხატავს ხალხის სულს და მწერალმა ეს ძლიერ კარგად დაგვანახა“.

მთარგმნელის შრომის შეფასებაშიც ობიექტურია კრიტიკოსი. კ. გამსახურდიას რთული და მდიდარი ენა, ხანდახან განზრახ არქაული იმ მიზნით, რომ ეპოქა გადმოგვცეს მისი ენობრივი ფორმების მთელი სისრულით, ს. არეშიანის აზრით, გარკვეული სიძნელეების წინაშე აყენებდა სურენ ავჩიანს. მაგრამ მთარგ-

მნელს დაუძლევია ეს სიძნელეები, რომანისთვის შეუნარჩუნებია ავტორის ხელწერის თავისებურებანი, ძველი ქართული ენიდან მომდინარე ცალკეული გამოთქმებისათვის გამოუძებნია სომხური იდიომები, დაცულია პეიზაჟების ეპიკური აღწერა, დიალოგების სიმძაფრე, „ათასი წლის რაინდების" ლაკონიური ხატვის მანერა; ამიტომ თარგმანი ორიგინალური ნაწარმოებივით ლაღად და თავისუფლად იკითხება.

დასასრულ კრიტიკოსი კიდევ ერთხელ ქებით იხსენებს „დიდოსტატის მარჯვენის" ავტორს და წერს: „ის გამოესარჩლა გმირებს, ის მიჩქმალულ გმირთა ქომაგიც გახდა და თანამედროვეებს უჩვენა კეთილშობილური და მაღალი ადამიანური გრძნობები იმ დიდოსტატებისა, რომელნიც აშენებდნენ ძველ საქართველოს".

სომხეთის „გრაკან თერთის" („ლიტერატურული გაზეთი") ფურცლებიდან „დიდოსტატის მარჯვენის" სომხურ თარგმანს მხურვალედ მიესალმა გამოჩენილი სომეხი პროზაიკოსი, პოპულარული რომანის „მხითარ სპარაპეტის" ავტორი სერო ხანზადიანი; იგი დიდად აფასებს კ. გამსახურდიას მოქალაქეობრივ პათოსს და „დიდოსტატის მარჯვენას" ხთვლის შემოქმედი ადამიანის ბედისწერაზე დამაფიქრებელ წიგნად, რომელშიც უპირველესი ადგილი სამშობლოს მოვლა-პატრონობის გრძნობას უჭირავს. „ამ მაღალმა გრძნობამ დაბადა დიდი ქართული ლიტერატურა, მშვენიერი ქართული ხუროთმოძღვრება და ქართველი კაცის კეთილშობილური და მეგობრისმოყვარე სული".

„დიდოსტატის მარჯვენამ" კიდევ უფრო მყარი გახადა კ. გამსახურდიას პოპულარობა სომხურ მიწა-წყალზე. წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა, მომეტებული ინტერესით კითხულობდნენ როგორც ადგილობრივი სომხები, ისე ერევნის უმაღლეს სასწავლებლებში უმაღლესი განათლების მისაღებად უცხოეთიდან ჩამოსული სომეხი ახალგაზრდები. ეს ინტერესი ისე გაღრმავდა, რომ ერთი ჯგუფი უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდებისა კოლხურ კოშკში ეწვია კ. გამსახურდიას.

## გადახვევა მესამე

„მიგვიღო თუ არა, თავისიანებს უთხრა, სუფრა გაშალეთო, მანამდე კი ვენახში გაგვატარა.

— კარგი მწერალი თუ არა, კარგი მევენახე მაინც ვარ უთუოდ. ამაზე კი ვერაფერს შემომბედავენ კრიტიკოსებიო, — თქვა და ცოტა არ იყოს, საყვედურით შემოგვხედა.

— იცით რა, ძმებო, — გვითხრა, — მე თქვენზე ცოტა ნაწყენი ვარ. ჩემთან მოსვლაზე ამდენი წინასწარი გარიგება არ მომეწონა. როდის იყო, ძმა ძმასთან სახლში მისვლაზე ურიგდებოდა!.. ამიერიდან გახსოვდეთ, ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა თქვენთვის.

მერე სუფრასთან მიგვიწვია. კედლებზე ა. ისააკიანის, დ. დემირჭიანის და სხვა სომეხი მწერლების ფოტოები ეკიდა, აგრეთვე სომეხი მხატვრების ფუნჯით მოხატული სურათები.

ჩვენ ფრანგულ ენაზე ვსაუბრობდით.

— ვარპეტ, მოდით ჩვენი ძმობის ენაზე ვილაპარაკოთ. თქვენ თქვენი ტკბილი ქართული მოგვასმენინეთ, ჩვენ კი — ჩვენსას, — შევთავაზე მე.

ძალიან გაეხარდა და საუბარი განვაგრძეთ სომხურ-ქართულ ენებზე სურენ ავჩიანის თარჯიმანობით.

თბილად გაიხსენა ა. ისააკიანი, დ. დემირჭიანი, მერე სიტყვა ჩამოაგდო გაგიკ მეფეზე, მინდა მოთხრობა დავწეროო, ხოლო როდესაც სუფრიდან ავიშალეთ და ვემშვიდობებოდით, ჯანმრთელობა გვისურვა და სიტყვა ასე დაასრულა:

— უბედურია ის ადამიანი, ვისაც სამშობლო არა აქვს. თქვენ, ყველას მხოლოდ ერთი მიზანი უნდა გქონდეთ — სომხეთში დაბრუნება".[9]

კოლხური კოშკი ძალუმად იზიდავდა სომეხ მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, იმ კოშკში ცხოვრობდა დიდი მწერალი, რომელიც მუდამ გულღიად ხვდებოდა მათ, — იმ სიყვარულითა და ალერსით, როგორითაც თვითონ იყო ხოლმე გარემოსილი სომხეთში ყოფნის დროს.

განუმეორებელი და თავისთავადი სამყაროა კ. გამსახურდიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში სომხური თემა. მას მომავალში უფრო მეტი სინათლე მოეფინება, როცა ენას ამოიდგამს ყველა საარქივო მასალა, ჯერ მიუკვლეველი ყველა სტრიქონი. მიუხედავად ამისა, რაც დღეს უკვე ცნობილია, ამის კვალობაზეც უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კ. გამსახურდიას, ა. ისააკიანისა და დ. დემირჭიანის მეგობრობა გზამკვლევი ვარსკვლავივით ანათებს ჩვენი ხალხების ურთიერთობას. მათ სომეხ-ქართველთა შეძმობილების ახალი ბალავარი ჩადგეს და ჩაადუღაბეს იმ დროს, როცა ბევრი რამ საერთოდ გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო. ამ სამმა დიდებულმა ადამიანმა მოგვცა ხალხის ნამდვილ მსახურთა უკვდავი მაგალითი და დღეს, როცა ვიგონებთ მათ, როცა მათ მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ, თითქოს იმასაც ვხედავთ, როგორი სიყვარულით უბრწყინავდა ხოლმე ღრმა ნაოჭებში ჩამჯდარი ბრძნული თვალები ავ. ისააკიანს, ანდა — განუმეორებელი მელანქოლიით დაბინდული სახე დ. დემირჭიანს მათთან სტუმრად ჩასული დიდი ქართველი მეგობრის ხილვისას, ხოლო კ. გამსახურდიას საოცრად გონიერ დიდრონ თვალებში რამდენი

სითბო იყო თავის ძველ მეგობრებთან შეხვედრის გამო.

სომეხმა ხალხმა დიდი ქართველი მწერლის პიროვნებაში ამოიცნო ლამაზი, მგრძნობიარე სიყვარული, მიიყვავილა იგი, შეისისხლხორცა, ძმად და მეგობრად იწამა და ისე დაუშურებლად მიაგო სამაგიერო სიყვარული და სითბო, რომ ბატონ კონსტანტინეს თავის გენიალური „დიდოსტატის მარჯვენის" სომხური თარგმანის წინასიტყვაობაში უკვდავი სტრიქონები ჩააწერინა: „სომხეთში მე მყავს კიდევ ერთი სასიქადულო და დიდი მეგობარი, რომლის სიყვარულს ყოველთვის განვიცდი. ეს არის თავისი კულტურის, თავისი მრავალსაუკუნოვანი ტანჯვითა და თავისი ვაჟკაცობით სახელგანთქმული სომეხი ხალხი".

### გადახვევა მეოთხე

„ჩემს ასაკში ბევრ ზარ-ზეიმსა და გულთბილ შეხვედრას მოვსწრებივარ, მაგრამ რაც ჩემმა თვალმა ნახა 1940 წლის გაზაფხულის იმ დღეს ერევნის რკინიგზის ვაგზალში, მსგავსი არაფერი მინახავს. თან ვახლდი ბატონ კონსტანტინეს, ერთად მივდიოდით ერევანში, „ბელადის" თარგმნის გამო იქაური გამომცემლობის მუშაკებთან მოსალაპარაკებლად. ზღვა ხალხი დახვდა ჩვენს მატარებელს. კონსტანტინე ვაგონის კარებში გამოჩნდა თუ არა, დამხვდურნი ყვავილების თაიგულებით შეეგებნენ. შემდეგ იქვე, მოედანზე, სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მიტინგზე სიყვარულითა და სიხარულით გამთბარი ბევრი საძმო სიტყვა ითქვა. ბოლოს კონსტანტინეც გამოვიდა, თავისი გამოსვლა ჩვენი ხალხების წინა თაობების ერთმანეთის მხარში დგომაზე საუბრით დაიწყო და იმით დაამთავრა, რომ იგი მუდამ დარჩება სამარადჟამოდ განმტკიცებული ქართველ-სომეხთა შეძმობის მოციქულად. იმ წუთებში კონსტანტინეს საოცრად ულიმოდა დიდრონი ჭკვიანი თვალები, რაც სხვა დროს არც თუ ხშირად შემინიშნავს მისთვის" (სურენ ავჩიანი).

ძალიან ტევადია სომხისთვის სიტყვა „ვარპეტი". ღრმა შინაარსი ახლავს ამ სიტყვას, განუმეორებელი ხმიერება და ფერი აქვს, ვისაც ასე მიმართავენ, ანდა ამ სიტყვით გაიხსენებენ, ის სომხის გულში ზის სამარადისოდ. დიდი სიყვარულის ნიშნად სომხეთში კ. გამსახურდიას ვარპეტს უწოდებდნენ, მას იცნობდნენ არა მარტო დიდ მწერლად, არამედ — თავიანთი ჭრილობების მესაიდუმლედაც, დიდი ტანჯვაგამოვლილი ერის შვილად, ვისთანაც შეიძლებოდა ეროვნულ ტკივილებზე საუბარი, ვისაც შეეძლო, სხვისი მოუშუშებელი ტკივილების გაგება, ვინც ცოცხალი ინტერესით უყურებდა იმას, რაც იმდროინდელ სომხეთში იყო, ვისაც მუდამ ამოძრავებდა მისი გაუმჯობესების, ალორძინების, განახლებისა და აღმავლობის ცოცხალი სურვილი. ამიტომაც აფასებდა დიდად ა. ისააკიანი კ. გამსახურდიას, ნიადაგ თვალს ადევნებდა მეგობრის ცხოვრებას, ცნობისმოყვარეობით კითხულობდა მის ნაწარმოებებს და მაღალი აზრისა იყო კ. გამსახურდიას ტალანტზე და მოქალაქეობრივ ღირსებებზე.

„— კ. გამსახურდია ნამდვილად დიდი ნიჭაა, ცოცხალი კლასიკოსია, ფართო და ღრმა მოაზროვნე, გაბედული და უშიშარი მწერალი, დიახ, უშიშარი. როცა ჩვენთან იყო, ერთხელ შევეკითხე: — კონსტანტინ სიმონიჩ, ამქვეყნად ყველაზე ძალიან ვისი ან რისი გეშინიათ-მეთქი. ღმერთისაო, სხვა არავისიო, — მომიგო წარბშეუხრელად და გულიანად ჩაიცინა.

კონსტანტინეს ღმერთი — ხალხია, ვინც ხალხის გულში ბინას დაიდებს, ის უკვდავია".[10]

1953 წლის შუა რიცხვებში ცნობილი კრიტიკოსი ერემია ქარელიშვილი ერევანში იყო მივლინებული დავალებით — მახალები შეეკრიბა ქართული ლიტერატურული გაზეთისათვის, რომელიც სომხურ ლიტერატურასა და ხელოვნებას ეძღვნებოდა. ქართული გაზეთის რედაქციის თანამშრომელთა სურვილი ყოფილა, ნომერი ავეტიკ ისააკიანის სტრიქონებსაც დაემშვენებინა. ამ მიზნით იგი ვარპეტსაც უნდა სწვეოდა. წინასწარ დათქმულ დღეს ერემია ქარელიშვილი პოეტ აშოტ გრაშის მეგზურობით ხლებია შინ ა. ისააკიანს. ვარპეტს იგი გულთბილად მიუღია, სიამოვნებით შეუსრულებია თხოვნა, ხოლო როცა აუდიენცია დამთავრებულა და სტუმარს წამოსვლა დაუპირებია, ავ. ისააკიანს დაუბარებია:

„— შინ რომ დაბრუნდები, ბატონი კონსტანტინე საგანგებოდ უნდა მომიკითხოთ. არ დაგავიწყდეთ, მე მას დიდად ვაფასებ. კონსტანტინე გამსახურდია ჩემი და ჩემი ხალხის გულწრფელი მეგობარია, როცა თბილისში ვარ, უთუოდ მოვინახულებ ხოლმე. იგი კი ჩემთან საგანგებოდაც ჩამოსულა: — შენთან საუბარი მომენატრაო. ერთმანეთთან შეხვედრისას ორივენი სულიერად ვისვენებთ, გულახდილად ვუზიარებთ საკუთარ ფიქრებს ჩვენი ხალხების ისტორიულ ძმობაზე, მათ დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე და ამაღლებული შინაგანი განწყობილება გვეუფლება. მოხიბლული ვარ კონსტანტინეს რაინდობით. თავისი ერის ღირსეული შვილია, თავდადებული პატრიოტი, მომწონს მისი მუდამ შემართული სულისკვეთება. უბრალო საგანზეც მღელვარედ იცის ლაპარაკი. საოცარი ენერგია აქვს. ერთხელ ერთი საკითხით ძალიან გატაცებული იყო და პათოსით მელაპარაკებოდა, მიხსნიდა, მიმტკიცებდა, მე კი დინჯად ვუსმენდი, მის პათოსს ვერ ავყევი. ღიმილით დამაკვირდა და მითხრა:

**— ავეტიკ, რა იქნებოდა, რომ ჩემი პათოსის ნახევარში შენი სიდინჯის ნახევარი მოგეცა! — და ისე გულიანად გაიცინა, მეც გადმომედო, ამიყოლია, თითქმის ათი წუთი ორივე უსიტყვოდ, ისტერიულად ვიცინოდით. ჩემი დედაკაცი მეორე ოთახიდან გამოსულიყო და გაოცებული შემოგვცქეროდა, რა დაემართათო".[11]**

## გადახვევა მეხუთე

კ. გამსახურდია სომხეთში მოგზაურობის დროს თან იახლებდა ხოლმე თბილისში მცხოვრებ ცნობილ მწერალს ბენიკ სეირანიანს. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის სომხეთის საზოგადოების გაზეთში[12] ბ. სეირანიანმა გამოაქვეყნა წერილი კ. გამსახურდიას შემოქმედების შესახებ, მისი ტალანტის სიდიადეზე, მწერლის მეგობრობაზე სომეხ ხალხთან. აქვეა მოთხრობილი რამდენიმე ეპიზოდი კ. გამსახურდიას სომხეთში ყოფნის დღეებიდან:

„გარნის წარმართული ტაძრის ნანგრევებთან დიდხანს იდგა ბატონი კონსტანტინე ჩაფიქრებული, მერე გახედა შემოდგომის ფერებით მოხატულ ხეობაში მოდუდუნე აზატ-მდინარეს და დინჯად თქვა:

— ეს ხეობა ბევრი ბრძოლების მომსწრეა, ამ მდინარის ქვიან ნაპირებს ბევრი სისხლი უნახავთო, — და მცირე დუმილის შემდეგ დაუმატა: — არა, უთუოდ უნდა აღდგეს ეს დიდებული ტაძარიო".[13]

გარნიდან გელარდში წასულან. კ. გამსახურდიას ყურადღებით დაუთვალიერებია მთლიან სალკლდეში გამოკვეთილი ქრისტიანული ტაძარი, მაგრამ ცალი თვალი და ყური სალოცავად მოსულ გლეხებზე ჰქონია, დიდი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მათი ტან-ფეხის ჩაცმულობას, ლაპარაკის კილო-ყაიდას, მიხვრა-მოხვრას...

„თბილისში გამომგზავრების საღამოს, როცა სასტუმრო „არმენიიდან" სადგურისაკენ მივდიოდით ავტომანქანით და მატარებლის გასვლას ნახევარ საათზე ცოტა მეტი უკლდა, კონსტანტინემ ჩამილაპარაკა:

— ბევრი რამ ვნახე, დიდად ვისიამოვნე, მაგრამ ერთი ნატვრა მაინც მიმყვებაო.

— რა ნატვრა, ვარპეტ? — გავიკვირვე მე.

— ერთი ლაზათიანი სომხური ქორწილი ვეღო ვნახე.

უცბად გამახსენდა: ამ საღამოს აშტარაკის რაიაღმასკომის თავმჯდომარის გარუშ მკრტჩიანის ოჯახში ქორწილი იყო. სახლი სადგურისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. მასპინძლებს კარგად ვიცნობდი, მანქანა გავაჩერე და კონსტანტინე ქორწილში მივიწვიე.

ქართული ლიტერატურის დიდოსტატის გამოჩენას მქუხარე ტაშით შეეგებნენ, მექორწილენი. არ მოელოდა ასეთ შეხვედრას, წამით თითქოს დაიბნაო, მერე, ერთიც ვნახოთ, სუფრის თავში წამოიმართა თამადისა და ნეფე-დედოფლის შუა, აშტარაკული ღვინით სავსე ჰიქით ხელში, და გაისმა კიდეც მისი დარბაისელი ხმა:

— მე მრავალგზის მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, ჩვენი დროის ადამიანების ვალია სიწმინდესავით გაუფრთხილდნენ სისხლის წვეთებით ჩაკირულ ძმობას ჩვენი ხალხებისა, რომელიც ჩვენი მომავალი გამარჯვებების პირობაა უცილოდ... მე მოგიწოდებთ თქვენ, მოუარეთ მაგ ძმობას! ბედნიერები იყავით! — ნეფე-დედოფალს შუბლზე აკოცა, ბოლომდე გამოსცალა ჰიქა, ტაშით აზმაურებულ მექორწინეთ თბილი მზერა მოავლო და ჩვენ განვაგრძეთ გზა სადგურისაკენ".

**მიდიოდა წლები, კონსტანტინეს დაუცხრომელი შრომა კანონიერი სიამაყით ავსებდა ქართველ ერს და, ამავე დროს, მაგნიტივით იზიდავდა თბილისისაკენ, სახიჭადული ერისკაცს საიუბილეო თარიღების აღსანიშნავ ზეიმებზე, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ხალხების რჩეულ ადამიანებს დიდ შემოქმედთან თუნდაც ორი-სამი დღით შესახვედრად. იმ ადამიანების ნაკადში მუდამ იყვნენ ხოლმე სომეხი ერის წარმომადგენლები.**

## გადახვევა მეექვსე

„მწერლის დაბადების 70 წლისთავის ზეიმს სომხეთიდან ესწრებოდნენ რომანის „თეირანის" ავტორი გარეგინ სევუნცი და ცნობილი კრიტიკოსი ვაზგენ მნაცაკანიანი. სასტუმრო „ინტურისტში" გამართულ საიუბილეო ბანკეტზე სომხეთის მწერალთა კავშირის სახელით ვაზგენ მნაცაკანიანი მხურვალედ მიესალმა იუბილარს, დამსწრეთა ტაშის გრიალში გულზე დააბნია სამკერდე ნიშანი, რომელზედაც არარატი იყო გამოხატული და, ცოტა ადრე, კ. გამსახურდიას იმ განცხადების პასუხად — „სამოცდაათს გადავაბიჯე, მაგრამ გული საითა მაქვს, ვერა ვგრძნობ" — ხუმრობით ჰკადრა:

— ძვირფასო ვარპეტ! მარცხენა მხარეს დაგაბნიე მკერდზე არარატი, რომ გულის მხარე შეგახსენოსო..." (მ. ქარამიანი)[14]

**მწერლის დაბადების 80 წლის თავზე მის გვერდით იყვნენ სომეხი პოეტები არშალუს საროიანი და აშოტ გრაში. ა. საროიანმა კ. გამსახურდიას პროზას მძიმე არტილერია უწოდა, რომელიც „ისე ზუსტად ურტყამს მიზანში, რომ მისი ექო საუკუნეებს გადეცემა", ხოლო ა. გრაშმა — ხალხის სანუკვარ ფიქრთა მესაიდუმლე, და ორივემ მადლობა გადაუხადა „ჭკვიანი წიგნებისათვის".**

**კოლხური კოშკის მასპინძლის სითბო უგემია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ სომეხ მწერალს, მხატვარს, საზოგადო მოღვაწეს და ასე გრძელდებოდა ურთიერთობა ნაირის ქვეყნის შვილებთან. მაგრამ გამოხდა ხანი, გადაიარეს მშფოთვარე სულის ქარიშხლებმა და დადუმდა კოლხური კოშკი... მძიმე ძაძებში გაეხვია მთელი საქართველო...

ამ ცნობას ღრმა მწუხარებით შეხვდა სომხეთიც, გლოვობდა სომეხთა ქვეყანა დიდი მწერლისა და მეგობრის დაკარგვას, გლოვა იყო საყოველთაო, სახალხო. ესაა გაცხადებული იმ სიტყვაში, რომლითაც გამოეთხოვა კონსტანტინე გამსახურდიას ერის სახელით გამოჩენილი სომეხი მწერალი სერო ხანზადიანი:

„ძნელია ირწმუნო, რომ ჩვენ ვემშვიდობებით კონსტანტინე გამსახურდიას, რომ სამუდამოდ ვეთხოვებით ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ერთ-ერთ ბრწყინვალე ამაგდარს... ყველას, ვინც დღეს ვგლოვობთ ამ მძიმე დანაკლისს, ამიერიდან მთელი სიცოცხლე თან გაგვყვება ბრძენი უფროსის, მასწავლებლის, მეგობრობის დიდი ქომაგის აღსასრულის სიმწარე. საბჭოთა ლიტერატურის პატრიარქის სიცოცხლის დასასრულს ულრმესი მწუხარებით გლოვობს ჩემი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ ვიცით, დიდ-დიდნი არა კვდებიან და ისიც ღრმად გვწამს, რომ ბატონ კონსტანტინეს მოუღლელი კალმით შექმნილი თხზულებანი ისევე მარადიულად იბრწყინებენ, როგორც ბრწყინავს ჯვარი, სვეტიცხოველი, გელათი...

ძვირფასო ვარპეტ! მე მოვსულვარ ბიბლიური მასისიდან, არაგაწიდან, შენი საყვარელი სევანის წყლებიდან და ულრმესი რიდით თავს ვხრი შენს წინაშე მთელი სომეხი ერის სახელით".

* * *

საქართველოს სამეფო ტახტზე დავით აღმაშენებლის აღზევების ხანა ის პერიოდია, როცა სომხეთში უკვე მთელი სისწრაფით ბრუნავდა საქრისტიანოში შემოჭრილი სელჯუკიანთა მიერ დატრიალებული ცოდვის კალო. ჯერ იყო და, გვირგვინისათვის ბრძოლის გამო გაგიკ მეფის მემკვიდრეებმა თითქმის დაღუპვის პირას მიიყვანეს ანისი, მერე იყო და, სომეხთა სამეფო ხელისუფლების რღვევითა და დაკნინებით მყის ისარგებლა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე VIII-მ, სომხეთში გააუქმა სამეფო მმართველობა და ანისში თავისი ნაცვალი დასვა. ბოლოს, 1064 წელს სელჯუკიანმა არფ-არსლანმა დაიპყრო ანისი, ქალაქი თითქმის დაანგრია და იქ ქრისტიანთა „სისხლის აბანო მოაწყო".

სომხური სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ბურჯი ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მდებარე პროვინციაში, კილიკიაშიღა იყო. მაგრამ ცალკე თურქმანების გულმხეცობისა და ცალკე შინაური აშლილობის გამო ისიც თანდათან ირღვეოდა. მიუხედავად ამისა, ერის უკეთესი ნაწილი, მხურვალე მამულიშვილები მაინც არ უშინდებოდნენ სელჯუკთა სასულთანოში „გიაურებისათვის" შემოღებულ მკაცრ სასჯელებს და მამაცურად იბრძოდნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის თურქმანებისაგან. ამ ბრძოლაში წარმატების ერთადერთ პირობად, ტრადიციის მიხედვით, მათ ქართველ ხალხთან ძმური თანამშრომლობა და ბრძენი მეფის დავით აღმაშენებლის ძლიერ ლაშქართან თანადგომა მიაჩნდათ.

ამ თანადგომისა და ძმური თანამშრომლობის სულისკვეთება ძალოვანად ამოიცნობა კ. გამსახურდიას რომანებში. ამას თვითონ მწერალიც აღნიშნავდა არაერთხელ: „ჩემს რომანებში „დიდოსტატის მარჯვენა" და ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელში" მრავალი გვერდი მიძღვნილია სომეხ-ქართველთა საერთო შეძმობილებაზე".

ამაზე საუბრისათვის სხვა ასპექტებია საჭირო, იგი ცალკე განხილვისა და მსჯელობის საგანია, ამიტომ აქ ვსვამ წერტილს, მხოლოდ ამას კი დავსძენ: სომეხი ერისადმი დავით აღმაშენებლისა და შემდეგ დიდი თამარის მხარდაჭერამ რამდენადმე შეანელა როგორც კილიკიის უკანასკნელი სომხური სამეფოს მოსპობის პროცესი, ისე სომხეთის მიწა-წყლის სრული ანექსია თურქმანების მიერ, თითქმის იქამდე, სანამ თვით საქართველოსაც არ დაუდგა „დიდი ღამე".

## გადახვევა მეშვიდე

„ერთ დღეს. ეს იყო კონსტანტინეს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ვარპეტისაგან, ზვიადის ხელით, გაზეთ „სოვეტაკან ჰრასტანის" რედაქციაში სომხურად დაწერილი მოკლე წერილი მივიღე, რომელიც მისთვის უცხოეთში მცხოვრებ სომეხს გამოეგზავნა. ვინმეს ქართულად ათარგმნინეო, მთხოვდა. თხოვნა, რა თქმა უნდა, სიამოვნებით შევუსრულე. წერილის ავტორს წაეკითხა გაზეთ „ჰაირენიქი ძაინში" ჩემი წერილი კ. გამსახურდიას შესახებ და თავის გულისნადებს უზიარებდა ბატონ კონსტანტინეს: „დიდად მოხარული ვარ, რომ სომეხ-ქართველთა ისტორიულ მეგობრობას თქვენისთანა მედროშე გამოუჩნდაო" (ბ. სეირანიანი).

„მედროშე" — მოსწრებულად ნათქვამი სიტყვაა. ქართველ-სომეხთა მეგობრობას ბევრი მედროშე ჰყავდა: ი. ჭავჭავაძე, ხ. აბოვიანი, აკ. წერეთელი, გ. სუნდუკიანი, ო. თუმანიანი, გ. წერეთელი, ტ. ტაბიძე, შ. დადიანი, ა. ისააკიანი, დ. დემირჩიანი, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, სტ. ზორიანი და სხვები. დიდი ადამიანების ამ თანავარსკვლავედშია კ. გამსახურდიას სახელიც, — მან ღრმა კვალი გაავლო ჩვენი ხალხების მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ხნულში, იგი იყო ის მწერა-

ლი, რომელიც ისტორიიდან გამოიხმობდა ხალხების ერთმანეთთან შეძმობილებისა და დაახლოების მონაცემებს, ამ ამბებზე ამახვილებდა ორივე ხალხის ყურადღებას და ამით დიდ სამსახურს უწევდა ჩვენი სახელმწიფოს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას — ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

ამ გარემოებამ თავისი ანარეკლი ჰპოვა რუსეთის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელის ე. ა. შევარდნაძის ღრმაშინაარსიან სიტყვაში სომხეთზე, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ზეიმის მონაწილეებზე:

„...ამ ღირსშესანიშნავ დღეს, [illegible] სომეხ ხალხს მხურვალედ მივესალმები ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის სახელით, მინდა ისიც ვთქვა, რომ სომხეთისა და საქართველოს ისტორიული ბედი ორი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს.

სომხეთი და საქართველო მართლაც რომ ძმები არიან. ხალხური თქმულება ამბობს, და ეს აკი გუშინაც გამახსენეს კანაკერის ალუმინის ქარხანაში შეხვედრისას, რომ ჩვენი წინაპარნი იყვნენ ღვიძლი ძმები ჰაოსი და ქართლოს — სომეხი და ქართველი. ჩვენ ოდითგან ვმეზობლობთ და ვცხოვრობთ, როგორც ურთგულესი და უახლოესი მეგობრები“.15

შენიშვნები:

1 საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური სექციის ალმანახი — „კამურჯი“ (ხიდი). მ. ქარამიანი — „წლები და შეხვედრები“, 1968, გვ. 308, თბილისი.

2. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, გვ. 149.

3 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტომი VII, გვ. 285.

4 ალმანახი „კამურჯი“, გვ. 216, 1957 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

5. წერუნ თორგომიანის მოგონებიდან.

6 ჟურ. „სოვეტაკან გრაკანიუთუნი“, № 3. რაჩია ჰოვანესიანი: „სანამ დახუჭავდა არწივისებურ თვალებს“.

7 კონსტანტინე გამსახურდია. რჩეული თხზულებანი, ტ. VI, გვ. 708, 1963 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

8 ჟურ. „სოვეტაკან გრაკანიუთუნი“, № 2, 1961 წ. წერილი ქართულად ითარგმნა და „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა (№ 22, 1961 წ.).

9. თოროს თორანიანი. საით მივყევართ გზებს... გვ. 14-15, „ჰაიპეტრატი“, ერევანი, 1974 წ.

10 ალმანახი „კამურჯი“, გვ. 317. გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.

11 ერემია ქარელიშვილი, „ორი დღე დიდ სომეხ პოეტთან“ (მოგონება). გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 28 ოქტომბერი, 1975 წ. № 129.

12 „ჰაირენიქი ძაინ“, (სამშობლოს ხმა), 15 მაისი, № 20 (408), 1973 წ. ერევანი.

13 ამჟამად ტაძარი აღდგენილია.

14 ალმანახი „კამურჯი“, გვ. 217.

15. გაზ. „კომუნისტი“, 19 ოქტომბერი, 1978 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ჩიხლაძე

# კატო მიქელაძე

კატო მიქელაძე მშფოთვარე, მებრძოლი ბუნების ადამიანი იყო. „კატო მიქელაძე ვაჟკაცურიც იყო და ქალურიც. ეშხიანი, სათნო და მიმზიდველი, ახალგაზრდა ქალი თავისი ორიგინალური გარეგნობითაც იპყრობდა ყურადღებას.

მგზნებარე ლაპარაკი იცოდა, მტკიცე და დამაჯერებელი. დაგიპყრობდათ, გაგიტაცებდათ თავისი საინტერესო საუბრით".

ასეთი იყო თავის თანამედროვეთა დახასიათებით ის ადამიანი, რომელსაც ცოტა რამ მოსწონდა ამ ქვეყნად — სათქმელს ყველას პირში მიახლიდა. არავისთან არაფერი ჰქონდა საფარისევლო. ბუნებით ამაყი, საოცრად პრინციპული იყო, კეთილი, სადა და უბრალო.

მაგრამ მაინც გაუხარებელი და უბედური წავიდა ამ წუთისოფლიდან. უბედურიო — ვამბობთ, რადგან, სხვა სიკეთესთან ერთად, მისი საფლავის კვალიც დაიკარგა.

კატო დავითის ასული მიქელაძე დაიბადა 1878 წლის 18 სექტემბერს, სოფელ კულაშში (ყოფ. ქუთაისის მაზრა).

პოეტის მამა, დავით მიქელაძე, ოჯახზე, შვილებზე ნაკლებად ზრუნავდა. ცხოვრობდა ისე, როგორც მაშინდელი ფუქსავატი თავადაზნაურობა, სანამ ხელიდან ქონება არ გამოეცალა.

კატოს დედა ბავშვობაში გარდაეცვალა. მისი გაზრდა იკისრა ნათლიამ, რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. მაგრამ ეს უკანასკნელი მზრუნველიც მოულოდნელად სიკვდილმა გამოაცალა. კატო იძულებული გახდა დაეტოვებინა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელი.

90-იან წლებში კატო მიქელაძე ქ. თბილისში ერთ-ერთ ნათესავთან გადმოდის საცხოვრებლად. სწავლის გაგრძელების სურვილით შეპყრობილი ქალიშვილი უმაღლეს სასწავლებელში სწავლაზე ოცნებობს, ეწაფება თვითგანვითარებას, კითხულობს ბევრს.

1900 წელს იგი წარჩინებით ამთავრებს საბებიო ინსტიტუტს და ქალაქ გორში მიდის სამუშაოდ.

საშინელი სიბნელე, დაბეჩავებული მშრომელი ხალხი — აი, რას ხედავს ახალგაზრდა ქალი იქ.

კატო აარსებს ბიბლიოთეკას, სცენისმოყვარულთა წრეს, დგამს უფასო წარმოდგენებს, და, როგორც თვითონ წერს, „სინათლე შეაქვს ხალხში".

1903-1904 წლებში კატო მიქელაძე ცხინვალში მოღვაწეობს; იმავე ხანებში უახლოვდება მესამედასელებს, იწყებს არალეგალურ წრეში მუშაობას, არაჩვეულებრივ აქტიურობას იჩენს, ყოველგვარ დავალებას პირნათლად ასრულებს და ამხანაგებს ეხმარება აკრძალული ლიტერატურის გავრცელებაში.

სწორედ ამ პერიოდში დემოკრატი პოეტიქალი, თავის ახლო მეგობრის, ირ. ევდოშვილის ხელით უგზავნის „ბრძოლის" რედაქციას თავის ლექსებს, რომლებსაც გაზეთი დაუყოვნებლივ აქვეყნებს.

დიდი როლი ითამაშეს კატო მიქელაძის ცხოვრებაში მისმა მეგობარმა ქალებმა — მარიამ დემურიამ და ნატო გაბუნიამ. კატოს მომავლით დაინტერესებული ქალები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რეკომენდაციით, მას მოსკოვში გზავნიან სასწავლებლად — ქართველი მეცნიერების მიერ ახლად გახსნილ პედაგოგიურ კურსებზე, მაგრამ დუბასოვის გამძაფრებული რეაქციის პირობებში, როცა ირგვლივ მხოლოდ — „დახვრიტეთ, ჩამოახრჩეთ" გაისმოდა, შეუძლებელი იყო კატო მიქელაძის, როგორც შემჩნეული პირის, მოსკოვში გაჩერება. იგი საზღვარგარეთ აზერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებს გაპარვას. აი რას წერს თვითონ პოეტი ქალი:

„1906 წელს დუბასოვის საშინელ რეაქციის დროს, მე აუცილებლად უნდა დამეტოვებინა რუსეთის ტერიტორია და გადავსულიყავი საზღვარგარეთ, რაშიაც დიდად დამეხმარენ და ხელი შემიწყვეს ალ. ხანანაშვილმა და სოფიო ამირეჯიბმა“ (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, კ. მიქელაძის არქივი, № 1012).

პოეტი-მთარგმნელი ქალი სოფიო ამირეჯიბი, რომლის თაოსნობითაც კატო გაგზავნილი იქნა საზღვარგარეთ, არა თუ ამ შემთხვევაში, არამედ საერთოდ სისტემატურად ეხმარებოდა მას. ხოლო სოფიოს გარდაცვალების შემდეგ კატოს მეცენატობა იკისრა ცნობილმა ქველმოქმედმა, საზოგადო მოღვაწემ დავით ზურაბიშვილმა.

საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდიდან ახალგაზრდა კატო მიქელაძეს ყველაზე ტკბილ მოგონებად პარიზში გატარებული წლები დაამახსოვრდა. ეს იმიტომ, რომ მოულოდნელად, რაზედაც კატოს ოცნებაც კი არ შეეძლო, მას ესტუმრა თავის პატარა ოთახში, სადაც ორი კაცი ძლივს ეტეოდა, პარიზში სამკურნალოდ ჩასული ქართველი ხალხის სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი, თავისი მეუღლით.

„აკაკი რომ უცხოეთში დავინახე, — წერს კატო, — სამშობლოს მოწყურებულს, ისეთი სითბო მომხვდა გულზე, თითქოს მთელი საქართველო ჩემს თვალწინ იდგა.

აკაკიმ ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, თუ როგორ ვცხოვრობ, ხომ არაფერი მიჭირს და სხვ.

ამაღელვა დიდი პოეტის ასეთმა ყურადღებამ, მიკვირდა, სად მოვაგონდი, ანდა როგორ მომაგნო?!

მალე ოთახში აკაკის მეუღლეც შემოვიდა — ნ. ბაზილევსკაია. საკმაოდ ხანშიშესული ჩანდა, მაგრამ ახალგაზრდობისდროინდელი სილამაზის იერი ისევ შერჩენოდა.

გავაცილე აკაკი და მისი მეუღლე... ფრთებშესხმული დავბრუნდი სახლში... ჩემი ოთახი ერთი-ორად გაზრდილი მომეჩვენა. სხვანაირი შნო და ლაზათი მისცემოდა. ყველაფერი იცინოდა.

დიდხანს ვიდექი იმ სავარძელთან, სადაც, სულ რამდენიმე წუთის წინ, საქართველოს უდიდესი მამულიშვილი აკაკი წერეთელი იჯდა“ (ჟურ. „ლიტერატურული მატიანე“, 1909, წ., № 5).

კატო მიქელაძისათვის ასევე დაუვიწყარია პარიზელი ქართველი სტუდ,ენტების მიერ აკაკის საპატივცემულოდ გამართული ბანკეტი კაფე „ვოლტერში“, 1909 წელს. ბანკეტზე განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კატო მიქელაძისადმი მიმართულმა აკაკის სიტყვამ:

„როცა შეტყობა უნდათ წინასწარ ამინდის, ბარომეტრს დადგამენ ხოლმე. რომელიმე ერის, ხალხის გაცნობა თუ გვინდა, ჯერ ქალები უნდა გავიცნოთ, როგორც ეროვნების ბარომეტრი. როცა საქართველო თავის სიმაღლეზე იდგა, მაშინ ქართველი ქალიც, როგორც ცოლი, როგორც დედა და როგორც მოქალაქე განთქმული იყო; ამ საუკუნეებში, როცა საქართველო დაეცეს, ეს დაკნინება უფრო დაეტყოთ ქალებს: დღეს ბევრ ქალს ნახავთ ჩვენში, რომ დავიწყებული ჰქონდეს მისი წმინდათაწმინდა და ქართულად ვერ ახერხებდეს ლაპარაკს... ამის შემხედავი, იმედმიხდილი ვიყავი ამ სიბერის დროს, მაგრამ ახალმა მოძრაობამ სხვა დამანახა: ახალგაზრდა ქალები მზად იყვნენ საქართველოსათვის სამსხვერპლოდ თავი დაედვათ... დღევანდელმა ქალებმა ძველებური დედების სული გამოიჩინეს...

...იმედია, დროის შესაფერად კიდევ აღადგენთ ძველ სახელს. ეს პირველი ნაბიჯი თქვენ შეგხვდათ და საჭიროა წალმართად გადადგათ. ვისურვებ ამ უცხო თავისუფალ ქვეყანაში თქვენს წარმატებას, რომ საკეთილდღეოდ დაუბრუნდეთ საქართველოს“ (ჟურნ. „მნათობი“, 1940 წ. № 5-6).

ასეთი იმედიანი თვალით შესცქეროდა აკაკი კატო მიქელაძეს და სწორედ ამით იყო გამოწვეული ის სითბო, რომელიც თავის სიტყვაში ჩააქსოვა და ფეხზე ადგომით შესვა მომავალი პოეტი-ქალის სადღეგრძელო. აქ იყვნენ ქართველი სტუდენტები, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ალექსანდრე ჯანელიძე, იოსებ ქეიშვილი, ალექსანდრე გაბუნია, ნიკო კურდღელაშვილი და სხვები.

კატო ღელავდა, ადვილი როდი იყო ასეთ ფართო საზოგადოებაში სიტყვის თქმა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, მადლობა ხომ უნდა გადაეხადა აკაკისათვის, რომელმაც ამდენი კარგი რამ უსურვა ახალგაზრდა პოეტ-ქალს.

კატომ გონება მოიკრიბა, ხელში სასმისი აიღო და სიტყვა დაიწყო:

„დიდო მგოსანო! დღეს ჩვენთვის უცხოეთის ცივი თუ უჩვეულო ატმოსფერო თბილსა და საამტკბილო გრძნობით შეიცვალა. თავი სამშობლოში გვგონია, მხოლოდ უფრო განათლებულსა და ბედნიერში; ის, რაც ბავშვობიდან სატრფიალო, საყვარელი იყო ჩვენთვის, აქ გვყავს იგი, — ჩვენი ერის ბურჯი, სათაყვანო აღმზრდელი.

50 წელიწადია იბრძოდი ჩვენი ტანჯული სამშობლოს გამოსახსნელად, ჩვენი ეროვნული ცხოვრების ასაღორძინებლად. ამ ნიადაგზე ერთხელაც არ შეწყვეტილა არც შენი უკვდავი ჩანგის ჟღერა და არც მამულიშვილური ბრძოლა; კავკასიის მთებიდან შენი „დაფი და ნალარა“ სხვა და სხვა ხმაზე გაჰკიოდა, რომ სასოწარკვეთილ და მიძინებულ ერისთვის ძილი დაეფრთხო და კვლავ სასიცოცხლო, გმირული სული შთაებერა; ბავშვები გებრალებოდათ და ჩვენი სამშობლოს ტანჯვას იმედიანად, მსუბუქად გადმოგვცემდი. რამდენადაც ჩვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო თვით მაშინდელი გრძნობა, ბუნება, ამის გამო ერთი და იგივე შინაარსი წლოვანებისდაგვარად ხვდებოდა ჩვენს გულს:

ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ,
ამ ეზოში დილ-დილასო,
ვერ მომპარავ, არ გაგატან
ჩემს პატარა წიწილასო.

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი,
არის მთელი საქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი.

ამ ბრძოლაში რამდენი დაბრკოლება გედობებოდა წინ, რამდენი სიმწვავე განუცდია შენს ღვთაებრივ ცეცხლით აგზნებულ გულს? მაგრამ შენი დიდი უკვდავი სულიერი ძალა იმდენად ძლიერი იყო, რამდენადაც ჩლუნგი და უსირცხვილო შენი მოპირდაპირენი.

შეუმზადო მით ქვეყანას —
თაფლი, ზეცას — სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწიროს
და ანათლოს აქ ბნელიო,
ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის,
ქვეყნის მტერი ის არიო,
და მისთვის მაქვს მომართული
გესლიანი ისარიო!

და ვაი იმ ურჩს, რომელსაც შენი მჭრელი ისარი მიზანში ამოიღებდა! საქართველოს ცამ გუნდრუკად გამოგაკმია თავს შენგან შემზადებული სანთელი, მოგიძღვნა თაფლის სანთელი, შენამდი თაფლად ქცეული ხალხის გრძნობები, რათა სამარადისოდ დაიტკბო, მგოსანო, ხანგრძლივი ღელვით მრავლად განცდილი მებრძოლი გული! აღსრულდა, დიდო მგოსანო, შენი შორსმჭვრეტელობა, რომლითაც გვასულგრძელებდი ჩვენ:

ნაშთი ძველი დიდებისა,
არ გამქრალა ჭერაც ყველა,
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა...

ამ ნიშნით შევკრებილვართ დღეს აქ, და გთხოვთ მიიღოთ დიდო მგოსანო, ჩვენი გულითადი მადლობა, იმ მამულიშვილური და ფაქიზი გრძნობებისათვის, რომელსაც გვიღვიძებდა შენი უკვდავი ჩანგის სიმთა ჟღერა, როგორც ადამიანებს და როგორც ქართველებს. მოგილოცავთ რა სასურველად დაგვირგვინებულს დიად მიღწევებს, სასოებით ვსვამ შენ სადღეგრძელოს და ვისურვებ მრავალ წელს გვყავდე თავმოსაწონებელ ნიმუშად, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო დიდებავ!

მსურს დროს წარვტაცო შენგან გავლილი,
მრავალი წელი მწარ-ნაღვლიანი,
და სიჭაბუკის სიცოცხლის ძალა,
მარად ცეცხლმფრქვევი იმედიანი.
ორთავე ერთად მსურს დაგიბრუნო
ძვირფას სიცოცხლის სადღეგრძელ[illegible]
მით ხნოვანების ჩამოგხსნა ტვირთი,
ძალის და ღონის შესაზავებლად,
რომ ჩვენს სამშობლოს, შენს ლამაზ
სატრფოს,
ბრძოლის ველს ჰყავდე მუდამ მაშველად,
კიდევ და კიდევ ნაღარა სცადე
მის ტყვეობიდან გამოსახსნელად".

კატო მიქელაძის ამ ამაღელვებელმა პატრიოტულმა სიტყვამ მხურვალე ტაში გამოიწვია.

მეორე დღეს, დიდი ქართველი პოეტი აკაკი და კატო კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. აკაკის კატოსათვის უთქვამს: „— შენი სიტყვა ხომ ლამაზი და ლამაზი იყო, მაგრამ რომ ლაპარაკობდი, თვალი ვერ მოგაშორეო"...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კატო აქტიურად მონაწილეობს ახალი ქართული კულტურის მშენებლობაში; კატოს ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა, თვითონაც საოცრად ახალგაზრდული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. დღე არ გავიდოდა, რომ მისი პატარა საცხოვრებელი ოთახი (რუსთაველის თეატრის შენობის უკან) სავსე არ ყოფილიყო ახალგაზრდა მწერლებითა და პოეტებით. აქ იყრიდნენ თავს ანდრო თევზაძე, შალვა ამისულაშვილი, სანდრო ჟღენტი, ქუთაისიდან ახლად ჩამოსული პოეტი ლადო ასათიანი და სხვ. საკუთარ შვილებივით არიგებდა და ასწავლიდა კატო ახალგაზრდებს.

„ჩვენ მოგვწონდა მისი მშობლიური რჩევა-დარიგება, — იგონებს მწერალი გიორგი ქავთარაძე, — მოგვწონდა მისი დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება".

ეს იყო 1938 წელს, მაისში; კატოსთან პოეტმა ანდრო თევზაძემ შემოირბინა თავისი ახლადგამოცემული ლექსების წიგნით; რომელიც წარწერით იქვე მაგიდაზე დაუდო. კატოს ეხიამოვნა ეს და ექსპრომტი დაუწერა:

მე რომ ამ ქვეყნად ტანჯვა არ მეყო,
თავზე ნისლები გადმომახურეს,
სად დამინახე, ნორჩო პოეტო,
რომ გულში სხივი ჩამომასხურე,
შენი ლამაზი განცდები, ვაჟო
ციურ ზარივით, როცა წკრიალებს,
მასში ნურასდროს ნუ დაეჭვდები,
რომ მკითხველის გულს შეაჟრიალებს!

პოეტმა ლადო ასათიანმა თავის ერთი საუკეთესო ლექსი — „საქართველო იყო მისი საოცნებო სახელი" — გამოქვეყნებამდე მიუტანა კატოს წასაკითხავად და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა — ივარგებდა თუ არა დასაბეჭდად. ლადოს ისე სჯეროდა კატო მიქელაძის, რომ არ შეეძლო მისი შენიშვნა უსიტყვოდ არ მიეღო: კატომ ლექსი ბოლომდე სიამოვნებით წაიკითხა და, რომ დაამთავრა, უთხრა:

— დიდებულია, ჩემო ლადო! — მე ყველა მიყვარს, ვინც ქართველ ქალს აუგათ არ იხსენიებს და მის ტანჯულ ისტორიას პატივს სცემს! „საქართველოში ყველაზე მეტი გადაიტანა ქართველმა ქალმა“ (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, კ. მიქელაძის არქივი, № 1841).

არ შეიძლება არ მოვიგონოთ და არ აღვნიშნოთ კატო მიქელაძის გულთბილი, ადამიანური დამოკიდებულება და ამაგი ნიჭიერი პოეტი-ქალის საფო მგელაძის მიმართ.

მათ ერთიმეორე გაიცნეს იმ ხანებში, როცა პარიზიდან დაბრუნებული კატო მიქელაძე სათავეში ჩაუდგა ჟურნალს — „ხმა ქართველი ქალისა“. ამ ჟურნალის დაარსებით კატომ ბევრი ნიჭიერი ქალი შემოიკრიფა, ბევრი მწერლისა თუ პოეტი ქალის გამოვლინებას შეუწყო ხელი. ერთი მათგანი საფო მგელაძე გახლდათ.

საფო იმ დროს პროვინციაში ცხოვრობდა. სცადა ბედი და თავისი ლექსების რვეული ფოსტით გაუგზავნა ქალთა ჟურნალის რედაქტორს — კატო მიქელაძეს. და რა დიდი სიხარული, რა ბედნიერი დღე იყო ის დღე, როცა პასუხი მოუვიდა. კატო მიქელაძე უცნობ ქალიშვილს, ნიჭიერი ლექსების ავტორს სწერდა: „სიამოვნებით გადავიკითხე თქვენი ლექსები, მომეწონა. დიდი სურვილი მაქვს თქვენი პირადი ნახვისა და გაცნობის. ერთმანეთს წალვერში შევხვდეთ“.

ეს იყო და ეს. აქედან დაიწყო რედაქტორისა და პოეტი-ქალის ურთიერთობა, კატო საფოს ნიჭის დიდი ქომაგი და პატივისმცემელი გახდა.

მან ჩამოიყვანა საფო სოფლიდან, ვაჟკაცურად ამოუდგა გვერდში, ახალისებდა, არწმუნებდა მას თავისი ნიჭის შესაძლებლობაში და ყოველმხრივ ცდილობდა მისთვის გზა გაეკაფა.

„—დღეს თუ ცოცხალი დავრჩი, კატო მიქელაძეს უნდა ვუმადლოდეო“, წერს პოეტი ქალი.

როცა იმედის ჩაქრა ლამპარი
და ტანჯულ სულში მხოლოდ ბნელოდა,
ამ დროს მოხველ და მითხარი მტკიცედ,
ალსდექ, აიღე შენი ფარ-ხმალი,
ჩვენ შრომა გვმართებს, ჩვენ დავამტკიცებთ,
რომ ძლიერია ბრძოლაში ქალი.

(გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ს. მგელაძის არქივი, № 2328).

ამიტომ იყო, რომ კატო ნერვიულობდა და მწვავედ განიცდიდა საფო მგელაძის ჯანმრთელობის შერყევას. იგი ხედავდა, რომ საშიშროების წინაშე იდგა ახალგაზრდა ნიჭიერი ქალის სიცოცხლე. ამას საფოს წერილიც ადასტურებს:

„ჩემს ოთახში ვიწექი, მაღალი სიცხე და უწამლობა მწვავდა. ვხედავ, ჩემთან შემოვიდა უკეთილშობილესი ქალი და თ[illegible]ლები, რაც მთავარია, იმედიანი სიტყვა (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, ს. მგელაძის არქივი № 2817).

საფოს ავადმყოფობის საკმაოდ გრძელ მანძილზე კატო არ მოშორებია, გულის ტკივილით ვკითხულობთ საფოს სტრიქონებს კატოსადმი:

დამარწმუნე, ერთხელ კიდევ
შენ უმწიკვლო სიყვარულში,
მომათავსე, მეგობარო,
მაგ შენ ძლიერ, ამაყ სულში,
რომ იქ თავი შევავედრო,
რომ იქ სული შევაფარო,
დამიხსენი, გევედრები,
დამიხსენი, მეგობარო...

(გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, კ. მიქელაძის არქივი, № 1224).

საფო რომ გარდაიცვალა, მაშინ კატო მიქელაძე ქალაქში არ იყო. იქნებ ასე სჯობდაო — ამბობს საფოს ქალიშვილი შუშანა მგელაძე, — ის კიდევ უფრო დაიტანჯებოდა, დედაჩემის უკანასკნელი წუთები რომ ენახა. კატო მიქელაძეს არც შემდეგ შეუწყვეტია ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა საფოს ქალიშვილებთან და მის ოჯახთან.

დაიწყო სამამულო ომი. კატო ამ დროს უკვე ხანში შესული იყო. მატერიალურად უჭირდა, ცხოვრობდა პენსიით და ფრანგული ენის კერძო გაკვეთილებით. ხშირად მოაკითხავდა ხოლმე ხანდაზმულ მარტოხელა ქალს მისი შვილობილი — ასე ეძახდა კატო მწერალ გიორგი ქავთარაძეს,—რომელიც ნავთსა და სანოვაგეს შემოუტანდა ხოლმე.

ზაფხულში კატო გიორგი ქავთარაძემ დასასვენებლად იმერეთში, თავის მახლობლებში გაგზავნა.

— ისე კარგად შემხვდნენ, გული გამითბესო! — წერდა კატო სოფლიდან; გიორგიმ პატარა ამანათი და თავისი ექსპრომტი გაუგზავნა — წაიკითხავს, გაუხარდებაო.

შენ იწერები, გული გაგითბეს,
მე იმედმა და ფიქრმა შემმოსა,
მარტო ვარ, მარტო, რა ვქნა, ვერ ვითმენ,
მინდა გიცქირო საყვარელ მგოსანს.
თვითონ ხარ ცეცხლი, უქრობი სითბო,
დასჯახებიხარ მოვარდნილ ფიქრებს,
ბევრჯერ გრიგალი ყოფილხარ თვითონ.

კარგა ხნის შემდეგ გიორგიმ კატო მიქელაძისაგან ბოლო წერილი მიიღო: „ჩემო ძვირფასო გიორგი, — წერდა კატო, — დიდი მადლობა ძღვნისათვის, ლამაზი გრძნობებისათვის, რომელიც შენმა წერილმა მაგრძნობინა. მე შენ დღეიდან ისე გიყურებ, როგორც საკუთარ შვილს და ყოველი ღონითა და სურვილით მოვინდომებ შენს სიკეთესა და წარმატებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სურვილი არის ის, რომ შენ იყო ჯანსაღი და პირუთვნელი ადამიანი, როგორიც უნდა ყოფილიყო ჩემი შვილი, რომელიც ჩემს მოხუცებულობას დაატკბობდა, ჩემს თავმოყვარეობას დააკმაყოფილებდა“ (გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, კ. მიქელაძის არქივი № 16682).

ეპატიჟებოდნენ კატო მიქელაძეს სხვა ახლო მეგობრები და ნათესავები ქუთაისში, სოხუმში, ფოთში — ჩამოდი, ჩვენთან დაისვენეო. კატო უყვარდა ყველას, ყველა პატივს სცემდა, მაგრამ ქართველი საზოგადოება უფრო მეტს მოითხოვდა მისგან, ისეთი განათლებული და ფართო გონებრივი ჰორიზონტის ადამიანისაგან, როგორიც კ. მიქელაძე იყო. მისი შესაძლებლობისა და ნიჭის მქონე მწერალს, ცხადია, უფრო მეტი უნდა გაეკეთებინა.

კატო მიქელაძემ თავისი პოეტური ნიჭი თარგმანშიც სცადა. ფრანგული ლირიკული პოეზიით გატაცებულმა, ბევრი კარგი ლექსის თარგმანი დაგვიტოვა. იგი მუდამ ცდილობდა თარგმანში გადმოეცა ფრანგული ლექსის თავისებური სიმსუბუქე და მუსიკალური ჟღერადობა.

ასეთია მაგალითად, ფრანგი პოეტის სიული პრუდომის „ვედრება“.

ო, რომ იცოდე, თუ რა ტკივილით
ჩემს გულს ობლობამ ხელი შეახო,
იქნება მაშინ თქვენ გაივლიდეთ,
სადაც მე ვცხოვრობ, იმ სახლის ახლოს.
როგორ მიყვარხარ, თქვენ რომ იცოდეთ,
და უთქვენობით როგორ ვარ ავად,
მაშინ სირცხვილით თუნდაც იწოდეთ,
შემოივლიდით ჩემს სანახავად.

(გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმი, კ. მიქელაძის არქივი, № 2318).

თავისუფალ თარგმანებად შეიძლება ჩაითვალოს კატო მიქელაძის მიერ თარგმნილი პოლ ვერლენის ლექსი: „შემოდგომის სიმღერა“, ლამარტინის „მარტოობა“ და სხვ.

კატო მიქელაძის ლირიკულ ლექსებში, რომლებიც იმ დროს იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში („ტრიბუნა“, „ხმა ქართველი ქალისა“, „თეატრი და ცხოვრება“, „რუბიკონი“, „ბარიკადი“ და სხვა), მოისმოდა ნამდვილი ტრიბუნის, პოეტი-ქალის სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი ხმა.

აი რას წერდა ჯერ ისევ რევოლუციამდე კატო საამაყო ქართველ მწერალ ქალს ეკ. გაბაშვილს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ეთაყვანებოდა და მასთან საქმიანი მიწერ-მოწერა ჰქონდა:

„ჩვენო საამაყო დიდო დედავ კატო!

თქვენი წერილი და მოთხრობა მივიღე. უკანასკნელი ჯერ არ გადამიკითხავს, მაგრამ ჩემთვის ესეც კმარა, რომ ეს თქვენი თხზულებაა; როცა თქვენ წერილს ვკითხულობდი, ვგრძნობდი, რომ რაღაც ღვთაებრივი ენერგია შემატებოდა, ჩიტივით შემაფრთხიალა და ისეთ სიმაღლეზე ამიტაცა, რომ ჩემი თავი ქვეყნის მპყრობელი მეგონა. იმერულ პირფერობად არ ჩამომართვათ, ეგ ჩემი გულუბრყვილო აღსარება, მე ვფიქრობ სრულიად უადგილოა გულჩახვეულობა და დუმილი იმ ადამიანის წინაშე, რომელიც ბავშვობიდან, შორიდან მიყვარდა და დღეს, როცა მოწიფული ქალი ბრძოლის ველზე გამოვდივარ, რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი კმაყოფილება, როგორც თქვენი ჩვენი მიზნისადმი თანაგრძნობა ჩემთვის. მე ჩემმა კერძო ცხოვრებამ აშკარად დამანახვა, თუ როგორი უფსკრული სუფევს თანამედროვე ქალ-ვაჟთა სულიერ დამოკიდებულებებში. ვერავითარი ზევიდან ბოძებული უფლება ჩვენ ვერ გვიხსნის, თუ თვით ქალები არ მოვინდომებთ ჩვენი ადამიანური პიროვნების აღდგენას; გადახედეთ ჩვენ უბადრუკ ცხოვრებას, თუ რა ცოტა სჭირდებათ მამაკაცებს სახელის და ავტორიტეტის მოსაპოვებლად... ჩვენ უნდა შევქმნათ ატმოსფერო ქალების შემოქმედ ძალთა და აქტიურობის ახალორძინებლად და ეს მოხდება მაშინ, როცა ქალები დაისწავლიან თავთავის ურთიერთ-პატივისცემას, რომელიც მისცემს მათ ნამდვილ საზოგადოებრივ ცხოვრებას...

ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი სულიერი კავშირი, რომ არავითარმა წინააღმდეგობამ არ შეგვაშინოს და არ განგვაცალკევოს. არც ერთი პასიური, გამოურკვეველი ადამიანი არ უნდა იყოს სარედაქციო კოლეგიაში. საჭირო არ არის სიმრავლე რიცხვისა, ძალა ღირსებაშია და და არა რიცხვში... საჭიროა სულიერი სიძლიერე, ენერგია და, თუ ასეთები ათამდე მაინც ვიქნებით, ბევრ რამეს გავაკეთებთ.

ისე, ცოტა ჯანმრთელობას ვუჩივი, მაგრამ სანამ სიცხე ლოგინში არ ჩამაგდებს, თავი ყოველთვის ჯანსაღად მიმაჩნია.

თქვენ სისტემატურად გიგზავნით ჩვენს გაზეთს.

თქვენი გულით პატივისმცემელი კ. მიქელაძე“.

ჩვენს მიერ მიკვლეული ეს დღემდე უცნობი წერილი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ როგორი თავგამოდებით იბრძოდა კატო მიქელაძე ქალთა თავისუფლებისათვის; შემდეგშიც, საბჭოთა სინამდვილეშიც, აქეთკენ იყო მიმართული მისი პროპაგანდისტული მუშაობა. რას არ აკეთებდა კატო იმისათვის, რომ აემაღლებინა მშრომელი ქალი, იგი ჰგზავნიდა ახალგაზრდა ქალებს სოფლებსა და დაბებში, თვითონაც ლექციებსატარებდა სოციალურ გარდაქმნათა მნიშვნელობის საკითხებზე; კატომ დააარსა ქალთა წრეები ზესტაფონში, სამტრედიაში, აბაშაში და სხვ.

კატო მიქელაძე შთააგონებდა მშრომელ ქა-

ლებს ზურგი ექციათ იმ ძველისა და დრომოჭმულისათვის, რომელიც ხელს უშლიდა ისტორიისა და პროგრესული აზროვნების განვითარებას. ყველა თავის პუბლიცისტურ წერილში თუ საჯარო გამოსვლებში კატო მიქელაძე, როგორც დემოკრატიული მიმართულების მწერალი, იმ მწერლების წინააღმდეგ გამოდიოდა, რომელთაც თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში — ქალი მამაკაცის გასართობ ტიკინად გამოჰყავდა და არა როგორც მეგობარი და როგორც უფლებამოსილი წევრი საზოგადოებისა.

დღემდე ხელშეუხებელია და დღის სინათლე არ ღირსებია მის ერთ-ერთ საკმაოდ საინტერესო გამოკვლევას „ვეფხისტყაოსანზე“.

ვფიქრობ, კ. მიქელაძე, როგორც თავისებური ლიტერატურული მოვლენა, საინტერესოა და შესწავლის ღირსია. ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მას საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა ქალმა ოლგა ფორშმა და კატო მიქელაძის გაცნობის და მასთან საუბრის შედეგად დაებადა სურვილი შეექმნა წიგნი ქართველი მწერალი ქალების შესახებ.

მწერალი ბაბილინა ხოსიტაშვილი გვიამბობს: „— ფოიეში შემოვიდა ოლგა ფორში, ყველა მწერალი ქალი ერთად თავმოყრილი რომ დაგვინახა, გაუხარდა: — აი, სად ყოფილხართ ყველანი... — გვითხრა გახარებულმა და ყველას სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა.

— მე, საუბედუროდ, დრო არ მრჩება თქვენთან, ყველასთან გასაუბრებისა, მაგრამ თქვენ უფროს კოლეგასთან მომხიბვლელმა ლაპარაკმა დამარწმუნა თუ რა საინტერესო ხართ თვითეული თქვენგანი... მოსკოვში ჩასვლისთანავე შევუდგები საბჭოთა ქართველი მწერალი ქალების წიგნზე მუშაობას.

გთხოვთ, ჩემს წასვლამდე მომაწოდოთ თქვენი ჩანაწერები თქვენი მუშაობის შესახებ“. (ბაბილინა ხოსიტაშვილის მოგონება, ჩაწერილი ჩემს მიერ, ინახება ჩემთან).

საუბედუროდ ,ოლგა ფორშს არ დასცალდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება. მაგრამ 1931 წელს ლენინგრადის ჟურნალ „ზვეზდაში“ მან გამოაქვეყნა თავისი გულთბილი ჩანაწერები ქართველი მწერალი ქალების შესახებ, რომელშიც ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს კატო მიქელაძის შემოქმედებას, მის დიდ ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე.

სამამულო ომის დღეებში ავადმყოფი კატო მიქელაძე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ომის მსვლელობას, გამარჯვების იმედს არ კარგავდა, ჩემი საყვარელი საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ფეხზე უნდა შევხვდეო.

1943 წელს პირველ იანვარს იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

გულისტკივილით წერს კატოს დაკრძალვის დღის შესახებ მწერალი გიორგი ქავთარაძე:

„კატო მიქელაძის დაკრძალვას მხოლოდ რამდენიმე მწერალი და მისი პირადი მეგობარი დაესწრო.

დასაფლავების დღეც ისეთივე ქარიშხლიანი და ბობოქარი იყო, როგორც მთელი მისი გაუხარელი ცხოვრება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# ნიკო მუსხელიშვილი

## დაბადების 90 წლისთავის გამო

მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა ნიკო მუსხელიშვილთან. აქედან თექვსმეტი წლის განმავლობაში (1955-1971) თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი მას, როგორც აკადემიის აკადემიკოს-მდივანი. რა არ გადაგვხდენია თავს ამ ხნის მანძილზე, რა სიტუაციაში არ ვყოფილვართ! დროდადრო საუბრისას მე მას შეკითხვებით მივმართავდი და იქვე, მისი თანდასწრებით ვიწერდი ხოლმე პასუხებს.

ჩვენი აკადემიის პირველი პრეზიდენტი დიდი პიროვნება გახლდათ და მასზე სპეციალური მონოგრაფიები დაიწერება. მე კი ამ ჩემი მცირე მოგონებით მინდა პატივი ვცე მის ხსოვნას.

### კითხვა-პასუხი

1.

— ბატონო ნიკო, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, გკითხეთ: თქვენს ცხოვრებაში როდის განიცადეთ ყველაზე დიდი სიხარული-მეთქი. თქვენი მაშინდელი პასუხი ჩაწერილი მაქვს, თუ ნებავთ, წაგიკითხავთ. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. იქნებ ერთხელ კიდევ მიპასუხებდით იმავე შეკითხვაზე?

— წაკითხვა არ არის საჭირო. მე მაინც ძველებურად გიპასუხებთ: ყველაზე დიდი სიხარული მაშინ განვიცადე, როდესაც პეტროგრადში ამხანაგებმა მამცნეს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე ვარ დატოვებული. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო და ამიტომ უდიდეს ბედნიერებად ჩავთვალე მაშინ და ვთვლი ახლაც. ყველაფერი, რაც მას შემდეგ მოხდა, ჩემს უნივერსიტეტში დატოვებას მოჰყვა და, ამდენად, მოულოდნელი არ იყო.

2

— თქვენს ხანგრძლივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ვისი გავლენა განიცადეთ?

— მათემატიკას მამის გავლენით მოვკიდე ხელი. მან ბავშვობიდანვე შემაყვარა ეს მეცნიერება, თუმცა მას პირდაპირ არასოდეს არ ურჩევია, თუ რა სპეციალობისათვის უნდა მომეკიდა ხელი. სხვა პირთა გავლენა რატომღაც არ მაგონდება.

3

— საკავშირო აკადემიის პრეზიდენტმა მსტისლავ კელდიშმა საერთო კრებაზე განაცხადა, რომ თქვენ მისი მასწავლებელი ბრძანდებით. ჩვენ ყველას ძალიან გაგვეხარდა თქვენდამი მისი ასეთი პატივისცემა.

— ეს, რა თქმა უნდა, ჩემი დაფასებაა და მისი დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ მსტისლავ ვსევოლოდის ძემ, მე მგონია, თავის თავსაც არანაკლები პატივი სცა!

3

— თქვენ ხშირად ახსენებთ ბატონ ივანე ჯავახიშვილს. მასთან დაკავშირებით უფრო რას მოიგონებდით?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონმა ივანემ მომიწვია. ეს დიდი დაფასება და დიდი ვალდებულება არასოდეს დამავიწყდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ მის კატეგორიულ მოთხოვნას, რაც შეიძლება ჩქარა და საფუძვლიანად შემესწავლა ქართული ენა. მე ხომ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე არ მიმიღია. ბატონმა ივანემ დინჯად და მტკიცედ განმიცხადა: „ახლავე შეუდექით ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის დამუშავებას. ამ საკითხზე მეტს ნუ ვიმსჯელებთ".

ახლა ნათლად ვხედავ, თუ რა დიდი დახმარება გამიწია მან! რომ ბატონი ივანე არა, მე ქართული ენის ყველა სიკეთეს ვერ ვეზიარებოდი.

5

— თქვენი ქართულ ენაზე გამოსვლის ტექსტი ყოველთვის თქვენივე ხელით გაქვთ გადაწერილი: ხელწერა მსხვილი, ლამაზი ასოებითაა შესრულებული. რატომ აკეთებთ ასე?

— როდესაც მანქანაზე დაბეჭდილი ქართული ტექსტი მაქვს თვალწინ, მაშინ მშობლიურ ენას ისე კარგად ვერ ვგრძნობ, როგორც ხელწერისას. მართალია, ჩემი ხელნაწერი ჩვეულებრივ ნაწერზე უფრო მსხვილი ასოებითაა გამოყვანილი, მაგრამ ეს მე მამშვიდებს, იმის შიშისაგან მათავისუფლებს, რომ წაკითხვისას რომელიმე სიტყვა შემეშლება. ამას ისე მივეჩვიე, რომ თვით გადაწერის პროცესიც დიდ სიამოვნებას მგვრის, თითქოს ბავშვობისდროინდელ ხარვეზებს ვავსებდე.

6

— რა მიგაჩნიათ თქვენი მეცნიერული მუშაობის ძირითად თავისებურებად?

— დამოუკიდებელი მუშაობა, თანაავტორების გარეშე, ერთი მიმართულებით დიდხანს ფიქრი და ჩემი მოსაზრებებისა და შედეგებისადმი უაღრესად კრიტიკული მიდგომა. მე მეტად „ნელი ტემპის" მუშაკი ვარ. ჩვეულებრივ დღეში ერთ გვერდზე მეტი არ დამიწერია. ჩვენ ამაზე ადრეც გვქონდა საუბარი: ჩემი მეცნიერული ავტორიტეტის შექმნა ნახევარზე მეტად შეიძლება ჩემი წერის მანერას მიეწეროს. ის მეცნიერები, რომელთა თეორიულ მოსაზრებებს მე ვეხები, მარწმუნებენ, რომ მათ მიერ მიღებული შედეგები ჩემს წიგნებში უფრო სადად და გასაგებად არის გადმოცემული.

7

— ზოგჯერ თქვენ და ბატონი ივანე ბერიტაშვილი ერთმანეთთან საათობით საუბრობთ ხოლმე. რა არის თქვენი საუბრის მთავარი თემა, თუ, რა თქმა უნდა, ეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს?

— ჩვენ ძველი მეგობრები ვართ. ერთმანეთს ყოველთვის დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით და ვექცევით. ერთმანეთის მეცნიერულ მიღწევებსაც დიდად ვაფასებთ. ჩვენ ვმსჯელობთ მხოლოდ იმის თაობაზე, თუ ვისი გზა იყო უფრო სწორი; მე ჩემი დროის დიდი ნაწილი მეცნიერების ორგანიზაციას მოვახმარე, ივანე კი უფრო მეტად უშუალოდ მეცნიერულ კვლევას მისდევდა. საინტერესოა რა შედეგებს მივიღებდით, თავიდანვე რომ „დატვირთვები" გაგვეცვალა. ორივეს გვაქვს რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა; მეტი გვინდოდა გაგვეკეთებინა, ვიდრე გავაკეთეთ. შეიძლება თქვენ გიკვირთ კიდეც, რომ ახლა ამაზე ვმსჯელობთ, მაგრამ ზოგჯერ ხანდაზმული ადამიანებიც არიან ახალგაზრდული სურვილებით აღსავსენი.

8

— ამას წინათ თქვენ აკადემიის საერთო კრებაზე სიტყვა უნდა მიგეცათ რესპუბლიკის ხელმძღვანელისათვის, თქვენ კი გამოაცხადეთ „სიტყვა ეძლევა გიორგი ნიკოლაძესო". დარბაზში ხმაური ატყდა. თქვენ მალე გამოერკვიეთ და შეცდომა გაასწორეთ. რატომ მოგივიდათ ასე? რაში იყო საქმე?

— ასეთი შეცდომები მე ახალგაზრდობაშიც მომსვლია, ზოგჯერ ფიქრი გამექცევა და სულ სხვაგან აღმოვჩნდები. რას იზამ, ეს ჩემი ნაკლია. რაც შეეხება გიორგი ნიკოლაძეს, ის დიდი კაცი იყო. რომ ეცოცხლა, საქართველოს ბევრ დიდ საქმეს გაუკეთებდა. მე ვგრძნობ, თუ როგორ აკლია გიორგი ჩვენს ქვეყანას, რა გოლიათური გონების, ენერგიისა და ნებისყოფის ახალგაზრდა დაგვეკარგა. იმ დღეს დილითვე ეს ფიქრები ამეკვიატა, შემდეგ თითქოს გადამავიწყდა მისი დაკარგვა და, როგორც შენ თქვი, უეცრად მას, როგორც ცოცხალს, სიტყვა მივეცი. ბევრმა გაიცინა, ჩემთვის კი ეს სულ სხვა რამ იყო...

9

— ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიას უარი უთხარით თქვენი სამუშაო ოთახიდან რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან ტელეფონით დაკავშირებაზე. ამავე დროს მე გამაფრთხილეთ: თუ კონსტანტინე იმავე თხოვნით მე მომმართავდა, ნება დამერთო, თქვენ მას ყოველთვის დიდ პატივს სცემდით და ასე რატომ მოექეცით?

— კონსტანტინეს ჩვენ ყველანი დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ხომ იცით, თავისებური კაცია, მისი მართვა თითქმის შეუძლებელია. მე არ მინდოდა კონსტანტინეს შექმნოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ, როცა კი მოისურვებდა, ყოველთვის შეეძლებოდა თხოვნით მიემართა რესპუბლიკის ხელმძღვანელებისათვის ჩემი სამუშაო ოთახიდან. თქვენ კი მაშინ იმიტომ გთხოვეთ დახმარება, რომ მის ვაჟს უჭირდა და ხელის

გაწოდება ესაჭიროებოდა, მე კი, რა თქმა უნდა, ამის მომხრე ვიყავი.

10

— ჩვენს წრეში ხშირად მსჯელობენ, თუ როგორ ავარჩიოთ ახალგაზრდები მეცნიერებისათვის. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?

— ახალგაზრდობაში მომავალი მეცნიერის გამოცნობა, შერჩევა მეტად ძნელი საქმეა. მე არ მჯერა ეგრეთწოდებული ნიჭიერთა სკოლებისა. ახალგაზრდასთან უნდა დავამყაროთ სისტემატური კონტაქტები, უნდა ვეცადოთ ნიჭიერ ახალგაზრდებს სხვადასხვაგვარ სიტუაციაში გავეცნოთ. ამიტომ მე უპირატესობას ვანიჭებ უნივერსიტეტში სწავლის დროს შერჩევას კათედრების მიერ და შემდეგ კათედრაზე ახალგაზრდულად დატოვებას. მე არც ის მიმაჩნია სწორად, რომ ყველას და ყველა დარგში ერთნაირ დროს ვაძლევთ მეცნიერული მომზადებისათვის.

11

— თქვენ უკმაყოფილებას გამოთქვამდით ერთ-ერთი მეცნიერის სადოქტორო ნაშრომის გამო. მახსოვს, მაშინ ბრძანეთ, რომ მოსკოვში ამ დისერტაციის დამტკიცება შეიძლება გაძნელდეს. ასეც მოხდა. შემდგომ თვითონ თქვენ დაეხმარეთ მას ამ საქმეში. ამჟამად კი ემხრობით იმავე პიროვნების აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევას. ეს როგორ უნდა გავიგოთ! დისერტაციის დაცვიდან მხოლოდ სამი წელი გავიდა და მას, მგონი, ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია!

— რაც თქვით, ყოველივე მართალია. სადოქტორო დისერტაციის დაცვა მას შეიძლება ახლაც გაუჭირდეს, სხვადასხვა პრობლემას ეჭიდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ უაღრესად ორიგინალური მოაზროვნეა, მისი მიხვედრები და მოსაზრებები შესაძლოა მრავალი გამოკვლევის საგანი გახდეს. აკადემიაში ასეთი ადამიანებიც უნდა იყვნენ. ამიტომაა, რომ მე ამ მეცნიერს აქტიურად ვუჭერ მხარს, თუმცა ზოგიერთი ჩემი კოლეგა ამ საკითხში მე არ მეთანხმება. ახალი იდეა, ხომ იცით, მრავალ შესანიშნავ შრომას დაედება საფუძვლად.

12

— სამი წლის განმავლობაში (1956-1958) შვიდი ინსტიტუტი დავაარსეთ. ახალი ინსტიტუტის დაარსებას წინათ თქვენ კრიტიკულად ეკიდებოდით. ახლა რა მოხდა, ხომ არ აჩქარდით?

— არა მგონია! ძირითადი კადრის გარეშე არცერთი ინსტიტუტი არ შეგვიქმნია. ყველა მათგანს აქვს აგრეთვე წინარე მეცნიერული ისტორიაც. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს მაღალი მეცნიერული დონე არა აქვს, და არც შეიძლება ჰქონდეს! ინსტიტუტების ახალი მეთაურებიც ერთმანეთისგან საკმაოდ განირჩევიან. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ ვინ ან რომელი ინსტიტუტი გაამართლებს, მაგრამ ამ გაბედვის გარეშე არ შეიძლება წინსვლა. ახალი მიმართულებები აკადემიაში ყოველთვის უნდა ნახულობდეს გასაქანს. აკადემიის გადაქცევა მხოლოდ რამდენიმე გამოკვეთილი მეცნიერების სამყაროდ — არ მიმაჩნია სწორად. ხვალ რომელ დარგში იფეთქებს ნიჭი, ვინ იცის! აკადემია მხოლოდ დღევანდელი დღის ამოცანებით ვერ შეიზღუდება, ვერ იარსებებს...

13

— ჩვენ დიდი საშიშროების წინაშე ვართ; აკადემიამ შეიძლება რამდენიმე ინსტიტუტი დაკარგოს, რადგანაც გამოყენებითი დარგის ინსტიტუტები გადააქვთ რესპუბლიკური აკადემიებიდან. განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნების მოსაზრებით, ერთადერთი გამოსავალია ინსტიტუტებისათვის სახელწოდებების ფორმალურად შეცვლა, თეორიული მიმართულებების გამომხატველი სახელწოდებების დარქმევა.

— გავაკეთოთ ისე, როგორც მათ მიაჩნიათ საჭიროდ, გაბედულად გავაკეთოთ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერში მთავარი შინაარსია. ინსტიტუტებს რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც უკანვე არავინ დაგვიბრუნებს, სახელწოდება კი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს.

14

— თქვენ ყოველივე იღონეთ, რათა აკადემიიდან გარიცხული ერთი აკადემიკოსი და ორი წევრ-კორესპონდენტი აღგვედგინა. ამ საქმის გამო სათანადო დაწესებულებებში ოფიციალურად ყოველთვის მე მგზავნიდით, რამაც ზოგიერთ ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს თქვენ მათი აღდგენისათვის აქტიურად არ მოქმედებდით. რატომ არ გინდოდათ, რომ ამ საქმისადმი თქვენი ნამდვილი დამოკიდებულება გამომჟღავნებულიყო და ყველასათვის ყოფილიყო ცნობილი?

— აკადემიის საერთო კრებას, რომელმაც ისინი გარიცხა, მე ვხელმძღვანელობდი. არსებული წესის მიხედვით, ისინი ისევ საერთო კრებას უნდა აღედგინა და, რა თქმა უნდა, თავმჯდომარე კვლავ მე უნდა ვყოფილიყავი. ასეთი საქმე არც ისე იოლია ჩემთვის, როგორც შეიძლება ზოგიერთი ფიქრობდეს! აბა მოიგონე 1960 წლის ის საერთო კრება, რომელზედაც ჩვენ ისინი აღვადგინეთ, რა მკითხეს მაშინ მე და რა ვუპასუხე! მე იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ მე არც მაშინ, გარიცხვისას, ვიცნობდ საქმეს ისე ღრმად, როგორც საჭირო იყო,

და არც ახლა, ალდგენისას, ვარ-მეთქი მთლიანად საქმის კურსში. თქვენ გგონიათ, მე არ მესმის, თუ რას ნიშნავს ეს! მაგრამ არა უშავს, საქმე ხომ გავაკეთეთ!

15

— გუშინ საჩხერიდან დავბრუნდი. ამომრჩევლებთან მქონდა შეხვედრა კორბოულის საარჩევნო ოლქში. იქ ერთი საოცრება ვნახე და მინდა ეს გიამბოთ. ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგ ერთ ოჯახში მიმიპატიჟეს. სოფლის თავკაცები მოგროვილიყვნენ. შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა. რაზე არ ვისაუბრეთ, რა არ გავარჩიეთ... ის-ის იყო სუფრიდან უნდა ავმდგარიყავით, რომ ღრმად მოხუცებულმა, ას წელს მიღწეულმა მასპინძლის პაპამ სიტყვა მოითხოვა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი პრეზიდენტის — ნიკო მუსხელიშვილის სადღეგრძელო შესვა. რა თქმა უნდა, ყველა უხმოდ და დიდი სიამოვნებით დაემორჩილა. ახლა ჩემს ოთახში შემოიხედეთ, გვთხოვა თქვენი სადღეგრძელოს ავტორმა.

ბატონო ნიკო, ოთახი სულ თქვენი სურათებით იყო სავსე. აკადემიის დაარსებიდან 24 წლის განმავლობაში რა სურათიც კი გაზეთში ან ჟურნალში დაბეჭდილა, მას ყველა ამოეჭრა და თეთრი ქაღალდის ჩარჩოებში მოთავსებული კედელზე ჩამოეკიდა. საოცარი სანახაობა იყო!

— ამის მსგავსი რამ სხვა დროსაც გამიგონია და მიკვირს! მე არა მაქვს ისეთი დამსახურება, რომ ხალხი ასეთ პატივს მცემდეს; როგორც ჩანს, ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს ვერ წარმოუდგენია, რომ სახალხო საქმეს სათავეში სახალხო გმირი არ ჰყავდეს. ჩემზედაც, ალბათ, ასე ფიქრობენ. ეს ართულებს ჩემი მუშაობის პირობებს. ილიკო ვეკუა ხშირად მახსენებს ხოლმე, რომ მე ვალდებული ვარ ჩემს საქმიანობას ამ პოზიციიდანაც შევხედო! თქვენმა კორბოულელმა მასპინძელმა რომ ახლოს გამიცნოს, ჩემზე შეხედულება უეჭველად შეეცვლებოდა.

16

— ზოგჯერ, როდესაც თქვენთან სამუშაო ოთახში შემოვდივარ, ხელთ ტელეფონის ყურმილი გიჭირავთ და ნელა ატრიალებთ, ზონარს აკვირდებით. რაშია საქმე, თუ რამეა გასასწორებელი, მე მითხარით და ოსტატს გამოვუძახებ.

— არა, აქ საქმე ცოტა უფრო რთულად არის. მე ასე მგონია, რომ ყურმილს ყოველთვის ერთნაირად ვიღებ, ვცდილობ ზონარი არ დაიხვეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მაინც დაგრეხილია და მე ახლა ყურმილს საწინააღმდეგო მიმართულებით ვატრიალებ. გრეხვის პროცესები მე მაინტერესებს ჩემი თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, დრეკადობის თეორიის პოზიციებიდან. ტელეფონის ზონარის დახვევა მასალების პლასტიკურობის გამოვლინებაა, ძალ-წირების დაფარული მოქმედებაა. მოკლედ რომ მოვჭრათ, არავითარი ოსტატის გამოძახება არაა საჭირო. ეს მხოლოდ ჩემი ოცნების საქმეა.

17

— ცნობილია, რომ თქვენ ლამაზი ქალის ტრფიალი ბრძანდებით. განსაკუთრებით მაინც რა გიზიდავთ ქალში?

— სანდომიანი გარეგნობა, ქალური სინატიფე და ძლიერი, მამაკაცური გონება. მაგალითისათვის შემეძლო ერთი ჩვენი საერთო მეგობარი დამესახელებინა (გახსოვს, აკადემიკოს კელდიშს მან რა სიტყვა უთხრა!), მაგრამ არ ივარგებს, მე და თქვენ ხომ ვიცით: „სიყვარულსა მალვა უნდა“...

18

— თქვენ ყოველთვის ფულით ეხმარებით ერთ ხანდაზმულ კაცს. ვინ არის ის?

— ის კაცი პენსიონერია, მოხუცია, ერთხელ დახმარებისათვის მომმართა. მომეწონა და ვთხოვე, რომ ხელფასის აღების დღეს მოსულიყო ხოლმე ჩემთან. ამის შემდეგ მე მას ყოველთვის ვაძლევდი მცირე თანხას, როგორც მამაჩემის სახელობის პენსიას.

19

— რატომ გამომიძახეთ, რაშია საქმე?

— მოსაცდელში სამი პიროვნება ზის. მათ საკმაო „დამსახურება“ აქვთ ჩემსა და ილიკოს მიმართ. ალბათ გახსოვთ, რა დღეში ჩაგვაგდეს? მე მათ ახლავე ვთხოვ, რომ შემობრძანდნენ, რაც არ უნდა გვთხოვოს თითოეულმა მათგანმა, შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებლად უნდა დავეხმაროთ! ყველა თხოვნა პრაქტიკულად ალბათ თქვენი შესასრულებელი იქნება და მე გთხოვ, რაც კი შეიძლება, ყველაფერი იღონეთ! მათ არ უნდა იფიქრონ, რომ ჩვენ შეგვიძლია გაკეთება და არ ვუკეთებთ.

(რამდენიმე დღეში სამივე „დავაპურეთ“).

20

— ერთხელ რაფიელ დვალმა და მე გთხოვეთ ჩვენთან, პრეზიდიუმში, მომუშავე ერთი თქვენი მეგობარი თანამდებობიდან გაგეთავისუფლებინათ, როგორც სამუშაოსათვის შეუფერებელი პიროვნება. თქვენ გაეცანით ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალებს და გვთხოვეთ, რომ ეს საქმე არ გაგვეხმაურებინა. დაგვპირდით, ორ დღეში

იგი თავისი განცხადებით დატოვებდა სამუშაოს. ეს მართლაც ასე მოხდა. რატომ მოიქეცით ასე?

— ის კაცი შუახნისაა, ჩვენთან არ გამოდგა, შეიძლება სხვაგან გამოდგეს. ისეთი არაფერი მქონდა ჩადენილი, რომ აუცილებლად დაგვესაჯა. მე მისთვის არაფერი არ დამიმალავს, ყველაფერი ვუამბე, რაც საჭირო იყო. ამით, მე მგონია, საკმაოდ დავსაჯე კიდეც. ახლა, როგორც ამბავი მომდის, თავისი შესაფერის ადგილზეა მოწყობილი.

21

— პრეზიდიუმის ერთი წევრი მთხოვს, რომ რაც შეიძლება ნაკლები პირადი, საქმიანი შეხვედრები მქონდეს მთხოვნელებთან, — მე ადრე სხვა ქალაქში ვმუშაობდი და ჯერჯერობით ადგილობრივ ხალხს ნაკლებად ვიცნობ, მუშაობა მიჭირს! როგორ მოვიქცე?

— ეს ადვილი საქმეა! აკადემია იმ ქალაქში გადავიტანოთ, სადაც მას ყველაზე მეტი ნაცნობები ჰყავს...

22

— არც თუ ისე იშვიათად მშობლები ცდილობენ შვილის შემოქმედებითი ინტერესები თავისას დაუკავშირონ და ამგვარად განსაზღვრონ მისი მომავალი. ამასთან დაკავშირებით აკადემიაში ზოგჯერ გაკვირვებას გამოთქვამენ, რომ თქვენი ვაჟი მათემატიკოსი არ არის.

— ყოველმა ადამიანმა თავისი მეცნიერული მიმართულება თვითონვე უნდა აირჩიოს. მე გურამისათვის არასოდეს არ დამიძალებია მათემატიკა. ის თავისი მიდრეკილებითა და ინტერესით უფრო ახლოსაა ბიძამისთან — გიორგი ნიკოლაძესთან, ვიდრე ჩემთან. ვფიქრობ, არცერთი ჩვენთაგანი არ შემცდარა.

23

— 1948 წელს, როდესაც მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გახლდით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოსკოვს დოქტორანტურაში გაგზავნაზე უარი მითხრა, რამდენიმე დღის შემდეგ თქვენ პირადი წერილი გამატანეთ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან სერგეი ვავილოვთან, რომ მე დოქტორანტურაში ჩავერიცხე. როგორ უნდა გავიგოთ ეს: პრეზიდიუმი თქვენი თავმჯდომარეობით უარს მეუბნება მოსკოვს წასვლაზე, ოქმი თქვენი ხელმოწერითაა გაფორმებული, პირადად კი ხელს მიწყობთ და მოსკოვს ორი წლით მგზავნით!

— ფორმალურად ეს „უბედურებაა“ ალბათ. ჩემი შეხედულებით კი, საქმე მეტად მარტივად იყო. პრეზიდიუმი არ იყო სწორი, რომ თქვენ მეცნიერული წინსვლის გზა შეგიზღუდათ. ამიტომ — მე განსაკუთრებით ხრდომის შემდეგ, თქვენთან საუბარში დავრწმუნდი, რა უკეთესი იყო საქმისთვის: თქვენ იქ გემუშავათ, სადაც უკეთეს მეცნიერულ შედეგს მიაღწევდით, თუ პრეზიდიუმისათვის არ „მეღალატა“, როგორც ამას მაშინ პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი ამტკიცებდა. მით უმეტეს, რომ მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი მაშინ უკვე ფეხზე იდგა და თქვენ მორალური უფლება გქონდათ დროებით დაგეტოვებინათ იგი...

24

— თქვენი მძღოლი ალიოშა ქობულია აკადემიის ზოგიერთ თანამშრომელს არ მოსწონს, განათლებული კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებს და პრეზიდენტს არ შეეფერებაო...

— ალიოშა კარგი მძღოლია, მე მიყვარს, რომ იგი ძველებური თბილისური ჟარგონით მესაუბრება; ბევრ რამეს მაგონებს... და რაც ყველაზე მთავარია, გულწრფელი ადამიანია. ამავე დროს, მეტად ორიგინალური აზროვნების კაცია. რასაც ის გაბედავს და მეტყვის, იმას ვერვისგან ვერ მოვისმენ!

25

— რამდენი წლის იყო გურამი, დედა რომ გარდაეცვალა, ხომ არაფერს მოიგონებდით ქალბატონ თამარზე?

— გურამი 15 წლისა იყო დედა რომ დაკარგა. მე და თამარს დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა. თამარისათვის მე მთელ სამყაროს წარმოვადგენდი: როცა მასთან ვიყავი, თავს უბედნიერეს ადამიანად თვლიდა. მეც ყოველთვის ვცდილობდი, რომ მის სიმაღლეზე ვმდგარიყავი. ეს კი ძალზე ძნელი იყო!

26

— სალამოობით იშვიათად სეირნობთ, თქვენ ხომ ნადირობა გიყვართ და სუფთა ჰაერის ყადრიც იცით. რა გიშლით ხელს?

— სეირნობის დროს ფიქრი მიყვარს, ამას კი არავინ მაცლის. რამდენჯერმე ვცადე კიდეც ბაღში გასეირნება, მაგრამ არ გამომივიდა: ან ჩემთან მოდიან და მესაუბრებიან, ანდა თვალყურს ისე დაჟინებით მადევნებენ, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. შეიძლება ქალაქგარეთ გასეირნება, მაგრამ ამასაც ვერ ვახერხებ. როგორც ხედავთ, ჩემი ერთადერთი ხსნა ნადირობაა...

27

— დავალება შეგისრულეთ: თქვენ რომ შექეიფიანებისას სუფრასთან მღერით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ, ნუ სტირი. რისთვის ჰგოდებ, გენაცვა.
შენც მიყვარხარ, განა არ მებრალები?
მაგრამ ეხლა ავირჩიე მე სულ სხვა —
სად შენა და სად იმის თვალები!

იოსებ გრიშაშვილის ლექსის „გარეუბნელი ბიჭის სიმღერებიდან“ პირველი ტაეპია, ლექსი კი სულ 19 ტაეპიანია.

— გმადლობთ, მაგრამ საიდუმლო უნდა შემინახოთ. მე ეს დიდი ხნის წინათ ახალგაზრდობაში ჩემს მეგობრებთან თბილისში ქეიფის დროს ვისწავლე. ხოსოთან კი ნათქვამი მაქვს, რომ მისი ლექსია ჩემი მუსიკალური შთაგონების წყარო. ხულ მეშინოდა, არ ეკითხა — რომელი ლექსიდანო და ჩემი შეცოდება არ გამჟღავნებულიყო.

28

— ამ დღეებში მკითხეთ, თუ რა ურთიერთობა მაქვს აკადემიკოს ალექსანდრე ოპარინთან. იმ დღეს ჩვენ საუბრის გაგრძელების საშუალება არ გვქონდა. რატომ დაინტერესდით ოპარინის პიროვნებით?

— გასულ თვეს მოსკოვში ხელმოსაწერად მომიტანეს ოპარინის საწინააღმდეგოდ შედგენილი წერილი. მას რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი აწერდა ხელს, სამწუხაროდ, მათ შორის მათემატიკოსებიც იყვნენ. ეს მოხდა ოპარინისათვის სახელმწიფო პრემიის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია მისი წიგნი „სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე“. მე გავერკვიე, რაში იყო საქმე, და ოპარინის საწინააღმდეგო დოკუმენტზე ხელი არ მოვაწერე. მე ვფიქრობ, რომ, რაც ლისენკომ გააკეთა, მას ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, უსამართლოდ, ოპარინს მიაწერენ. ოპარინმა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი აკადემიკოსი ორბელი შეცვალა. მე ეს დადებით მოვლენად მიმაჩნია. იმ პირობებში, როგორც ამბობენ, ოპარინი ზომიერად მოქმედებდა. ვინ იცის, სხვა როგორ მოიქცეოდა!

29

— აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის გარდაცვალების მეორე დღეს რამდენიმე კაცი ერთად მივედით ოჯახში სამძიმარზე. მისმა ექიმმა ვაჟმა მიცვალებულთან შეგვიყვანა—მამა ვნახოთო. თქვენ დაინახეთ თუ არა მიცვალებული, საოცრად შეწუხდით. ისეთი ფერი დაგედოთ, შეგვეშინდა კიდეც... თქვენთვის ხომ ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი, რატომ განიცადეთ ასე ძლიერად?

— ნე შიშველი მიცვალებული პირველად ვნახე. შვილი ალბათ მხოლოდ მამას ხედავდა! მე კი საერთოდ ადამიანი შემეცოდა...

30

— თქვენ კარგად ხედავთ, რომ პრეზიდიუმის ორ წევრს შორის დამოკიდებულება თანდათან რთულდება; ერთმანეთს ველარ იტანენ. ასე რომ გაგრძელდეს, არ ივარგებს. ამას წინათ, ალბათ, გახსოვთ კიდეც, ერთი რომ მსჯელობდა, მეორემ, მგონი, შემთხვევით, ჭერში აიხედა და ეს უსიტყვო ჟესტი უდიდესი უსიამოვნების საფუძველი გახდა. იქნებ ილონოთ რამე, ბატონო ნიკო.

— მათი ასეთი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. აქ საქმის ერთადერთი წამალია, რომ ჩვენ არ უნდა შევნიშნოთ მათი ასეთი დაძაბული ურთიერთდამოკიდებულება და არ უნდა ჩავერიოთ. დანარჩენს დრო თვითონვე მოაგვარებს.

31

— 1955 წელს სულ რამდენიმე თვის მოსული ვიყავი აკადემიაში, როდესაც ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც ფინანსებს განაგებდა, თქვენ ლაბორანტის ერთი საშტატო ერთეული სთხოვეთ, მე კი ორი, ბიოქიმიაში რომ მუშაობა დამეწყო. ვიცე-პრეზიდენტმა ორივეს უარი გვითხრა: ამდენი ხელფასის ფონდი არ მაქვსო. თქვენ გაიცინეთ და არაფერი არ თქვით, მე კი სახტად დავრჩი: მე არ მაძლევს, არ მაძლევს, მაგრამ პრეზიდენტს უარს როგორ უბედავს-მეთქი! მეორე დღეს საფინანსო ნაწილის უფროსმა კოტე მაჩაბელმა საშტატო ერთეულები გამომიყო. რაში იყო საქმე, რატომ იქვე არ გაუსწორეთ, თუ იცოდით, რომ აკადემიას საშტატო ერთეულები ჰქონდა?

— ვიცე-პრეზიდენტი, ჯერ ერთი, ახალი არჩეული იყო და ჩვენი ურთიერთობები კარგად არ ჰქონდა წარმოდგენილი; მეორეც, მე, როგორც პრეზიდენტს, მაჩვენა თავისი „პრინციპულობა“ და ბოლოს — კოტე მაჩაბლის ტირილი: „რა ვქნათ, ბატონო, აკადემიას ხელფასის ფონდი სრულებით არ გააჩნიაო“ არ იცოდა სინამდვილეში რას ნიშნავდა! მე მას ცალკე განვუმარტე, რომ თქვენ ბიოქიმიური ლაბორატორიის შექმნაზე ოცნებობთ და ჩვენ ვალდებული ვართ ამ საქმეში ყოველ მხრივ შეგიწყოთ ხელი.

32

— დღეს ასე რატომ გაგვიჯავრდით, თქვენ მართალი არ ბრძანდებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უნდა ჰქონდეს მათემატიკის ინსტიტუტის ახალი შენობა. მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ახლა მტკიცდება და თუ ინსტიტუტის მშენებლობას ახლა არ შევიტანთ, მერე ვინ იცის, საქმე როგორ წავა!

— მე განა მათემატიკის ინსტიტუტის მშენებლობის წინააღმდეგი ვარ. მაგრამ უხერხულად მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა თავისი დარგის

ინსტიტუტი მაშინ ააშენოს, როდესაც ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტებმა არ იციან თანამშრომლები სად დასვან! მე ყველას მადლობელი ვარ ,მადლობელი ვარ ილია ვეკუასი, რაფიელ დვალისა, რომ მათემატიკის ინსტიტუტის შენობაზე ამდენს ფიქრობენ, მაგრამ, ნება მიბოძეთ, ჩემს პოზიციებზე დავრჩე ბოლომდე...

33

— ამას წინათ ფიზიკის ინსტიტუტის ათი წლისთავი გადაიხადეს. თქვენი დავალებით საზეიმო სხდომას მე და პრეზიდიუმის სწავლული მდივანი დავით ფურცელაძე დავესწარით. დირექტორმა თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ინსტიტუტისა და აკადემიის პრეზიდიუმის ურთიერთობას დაუთმო. მისი მთავარი თეზისი იყო, რომ ინსტიტუტის დირექცია ყველაფერს თვითონ აკეთებს, ინსტიტუტი რომ მხოლოდ აკადემიას დაყრდნობოდა, ახლა ალბათ არაფერი არ ექნებოდა. მოხსენების დანარჩენი ნაწილი მეცნიერულ მიღწევებს შეეხებოდა და ბრწყინვალე იყო.

— მოხსენების პირველი ნაწილიც შესანიშნავი ყოფილა, ყველა ინსტიტუტის დირექტორი ასე უნდა მოიქცეს. აკადემიის პრეზიდიუმი ძიძის როლში არ უნდა გამოვიდეს. პრეზიდიუმმა დირექტორს გამოუცხადა ნდობა და მიანდო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. ეს ცოტაა?! ინსტიტუტის ძირითადი მამოძრავებელი, მაორგანიზებელი ძალა დირექტორი უნდა იყოს.

34

— თქვენი აზრით, რა განაპირობებს მეცნიერის საყოველთაო აღიარებას, ავტორიტეტს?

— რთული საკითხია, მაგრამ მე მაინც შევეცდები ჩემი აზრი გადმოგცეთ. მეცნიერის საყოველთაო აღიარება და მისი მეცნიერული დამსახურება უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს შეესატყვისება. და მაინც მეცნიერის საყოველთაო აღიარების ძირითად საფუძველს მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა წარმოადგენს, ხალხის ინტერესებისადმი დამოკიდებულება, ხალხთან ურთიერთობა განსაზღვრავს. არსებობს აგრეთვე მთელი რიგი „დამატებითი ღონისძიებები“, რაც ხელს უწყობს მეცნიერის პოპულარობას, მაგრამ ამაზე, ალბათ, არც ღირს საუბარი...

35

— თქვენ სახელოვანი ცხოვრების გზა განვლეთ და მაინც — თუ გწყდებათ რაიმეზე გული?

— სახელოვანი გზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გაცილებით მეტი რომ უნდა გამეკეთებინა, ეს ჩემთვის ცხადია. განსაკუთრებით ვნანობ, რომ ცოტა დავწერე, შემეძლო რამდენიმე მონოგრაფია კიდევ დამეწერა.

36

— მახსოვს, ამერიკელმა მეცნიერებმა იქ გამოცემული თქვენი ორი მონოგრაფია რომ ჩამოიტანეს და ავტოგრაფი გთხოვეს. თქვენ იხუმრეთ კიდეც: „ორივე წიგნი მგონი ათი კილოგრამია და თავი ასე რატომ დაისაჯეთო!“ თქვენი მონოგრაფიები მრავალ ენაზეა თარგმნილი და კიდევ არა ხართ კმაყოფილი?

— ასე კითხვის დასმა არ იქნებოდა სწორი. ჩემი აზრით, მთავარია ადამიანმა თავისი შესაძლებლობა საქმისათვის მთლიანად გამოიყენოს. გამოვიყენე კი მე ჩემი ცოდნა, გამოცდილება, წერის უნარი მთლიანად?! აი, რაში მეპარება ეჭვი!

37

— შარშან თქვენს კაბინეტში გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად სურათი გადავიღეთ. როცა ფოტოგრაფი „გვასწორებდა“, თქვენ იხუმრეთ: „ჩვენ ახლა გალაკტიონთან ერთად სურათის გადაღებით უკვდავებას ვეზიარეთო“.

გალაკტიონმა ჩვეულებისამებრ ჩაიქირქილა და მოგვმართა: „ძამიკოებო, ხომ დამემოწმებით, რომ პრეზიდენტი არასოდეს არ ცდებაო!“ ბატონო ნიკო, როგორია თქვენი აზრი პოეტისა და მეცნიერის როლისა და დაფასების თაობაზე. აკადემიაში ახლა პოეტებიც არიან!

— პოეტსა და მეცნიერს ერთმანეთს მხოლოდ ერთი მაჩვენებლით შევადარებდი: ორივე შემოქმედია. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ მეცნიერებაც და პოეზიაც დიდ სულიერ საზრდოს აძლევს ადამიანს. რაც შეეხება სახელს, ეს უკვე შეუდარებელია. სამი ან ოთხი ბრწყინვალე ლექსის ავტორი შეიძლება უფრო პოპულარული იყოს, ვიდრე ათეული საუკეთესო მეცნიერული შრომის ავტორი. მე ეს კანონზომიერ მოვლენად მიმაჩნია. პოეზია მილიონების გულს სწვდება, მეცნიერება კი ერთეულების ინტერესში შედის. ასე რომ, მე და შენ მომავალში იქნებ მართლაც გალაკტიონთან ერთად სურათის გადაღებამ გვიშველოს.

38

— ბატონო ნიკო, ასეთი ღიმილით არასოდეს არ შემხვედრიხართ. რასთან დაკავშირებით დაგეუფლათ ამგვარი ზეაწეული განწყობილება?

— მე და ჩემი შვილიშვილი გულკა დიდი მეგობრები ვართ. როგორც კი დროს იშოვის, სულ ჩემთან თამაშობს, ხშირად წიგნებსაც ვუკითხავ ხოლმე. ამაზე სერიოზული საქმე, აბა, რა შეიძლება მქონდეს! ერთხელ გამომიცხადა,

რომ ბებიას ქურქი ძალიან, ძალიან მომწონსო. საპასუხოდ ჩემი მეუღლე გულკას მოეფერა და აღუთქვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ქურქი მას დარჩებოდა. ამის შემდეგ პატარა გულკა ყოველ ცისმარე დღეს გვეკითხებოდა: „ბებია არ მომკვდარა, რა მოუვიდა, რატომ არ კვდებაო?!"

თქვენს შემოსვლამდე ჩემთან ერთი მათემატიკოსი იყო და მოიარებით მეკითხებოდა იმის თაობაზე, თუ როდის დავტოვებდი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის პოსტს! რას იზამ, ზოგჯერ ვერც სრულწლოვანები იკავებენ თავს...

## ორი დღე თელავში

ნიკო მუსხელიშვილი და დავით ფურცელაძე 1946 წლის შემოდგომაზე თელავში გვესტუმრნენ. მათი ჩაცმულობა და „შეიარაღება" ამჟღავნებდა, რომ სანადიროდ იყვნენ ჩამოსული. ძაღლი არ წამოეყვანათ. ბატონმა ნიკომ გვითხრა:

— ჩემი რექსი მწყერებზეა გაწვრთნილი, აქ შემირცხვებოდა, კახელ მონადირეთა მეძებრები კი სიზმრებშიაც ხოხბებს ხედავენო.

რაიონის ხელმძღვანელობამ ნადირობა ჩინებულად მოაწყო. ორ საუკეთესო თელაველ მონადირეს — ბესო მწყერაძესა და ვახტანგ როსტომაშვილს სთხოვა ნიკოს „ექსპედიციაში" მონაწილეობა მიეღოთ.

თელაველები მოითხოვდნენ სანადიროდ დილაადრიან წასულიყვნენ. პრეზიდენტი არ დაეთანხმა. დილით მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ესტუმრა. ინსტიტუტის შენობაში ომის დროს სამხედრო ნაწილები იდგა, საცდელი ნაკვეთები მოუვლელი იყო, გამწევი ცოცხალი ძალა და სატრანსპორტო საშუალებები ინსტიტუტს არ მოეპოვებოდა... მიუხედავად მძიმე პირობებისა, ინსტიტუტის კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. ეს ბატონმა ნიკომ შეამჩნია და ინსტიტუტის ცხოვრებით კიდევ უფრო დაინტერესდა. დაათვალიერა განყოფილებები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სარდაფი, ჯიშნარი, მუშათა საცხოვრებელი. დაწვრილებით გაეცნო საქართველოსა და საფრანგეთის ვაზის ჯიშებს, ღვინის დაყენების წესებს, კუპაჟის მათემატიკურ ფორმულებს.

— როდესაც მე და ჩემი მეუღლე თამარი საფრანგეთში ვიყავით, იქ გავიცანი ჩემი სიმამრის ნიკო ნიკოლაძის ერთი მეგობარი, რომელმაც საქართველოსა და მისი სოფლის მეურნეობის შესახებ ბევრი რამ იცოდა. ამის გამო ჩემი გაკვირვება მისთვის არ დამიმალავს. ფრანგმა თანამოსაუბრემ გაიცინა და მითხრა:

— ბატონი ნიკო ნიკოლაძის ნიჭსა და ენერგიას შეუძლია რამდენიმე საათში თქვენი მიზანდასახულობაც კი შეგაცვლევინოთო.

პრეზიდენტს მოეწონა, რომ ჩვენთან ფრანგული პერიოდიკა ფართოდ იყო წარმოდგენილი. როდესაც მარტონი დავრჩით, მირჩია, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი თანამშრომლებისათვის რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მიმეცა, მეცნიერების მომავალი მათ ფრთაგაშლილ მუშაობაზეა დამოკიდებულიო.

ინსტიტუტიდან მონადირეთა კოჰორტა ენისელისაკენ გაემართა. ნიკოს მშრალზე ნადირობა სურდა.

— ჭანჭრობში მხოლოდ მამალი ხოხობი იცის, მშრალზე კი მამალიცაა და დედალიც. ჩვენს მასპინძლებს მგონი ეშინიათ კიდეც, რომ მამალმა ხოხობმა თავისი ომახიანი აფრენით არ დამაფრთხოსო, — ხუმრობდა პრეზიდენტი.

ალაზნის ნაპირებზე ნადირობა ყველა დაკანონებული წესის მიხედვით მოეწყო. სახოხბე ძაღლებიც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ; ნიკოს ჩანთა ხუთმა ხოხობმა დაამშვენა.

ბატონმა ნიკომ თავის მეინახეებს მიმართა:

— როგორ მოგეწონათ დავით ფურცელაძე, ხომ კარგი მონადირეა! და ჩემი თანაშემწე და მეგობარიც არის. ჯერ მარტო ჩემთან ნადირობაში რამდენი ფრინველი დაუხოცავს. აბა ერთი უთხარით, — ქათამი დაკლას! უეჭველად უარს გეტყვით. მას თავის დღეში ქათამი არ დაუკლავს. უმწეო ფრინველს ყელს ვერ გამოვჭრი, აფრენილი სხვაა; ხოხობს რომ ცაში შევატრიალებ, ეს სულ სხვააო, იტყვის ხოლმე.

ღამე ჩვენმა მონადირეებმა სასტუმროში გაატარეს.

მეორე დღეს დასვენება იყო და ნიკო თავისი ამალით მზის ამოსვლას ალაზნის ნაპირებზე შეხვდა, როდესაც ხოხბები საკენკად ტყიდან მინდვრებზე გამოდიოდნენ. ამჯერადაც წარმატებით ინადირა. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ჩაიმუხლეს და ფრინველიც განაბული ელოდა აგრილებას.

საღამო ხანს ნიკომ აღარ მოისურვა სანადიროდ გასვლა. კვლავ ინსტიტუტში დაბრუნდა. ახლა თანამშრომელთა ურთიერთდამოკიდებულებით დაინტერესდა, ღვინის ნიმუშები დააჭაშნიკა. დიდხანს გვესაუბრა. ბევრ რამეს მოგვიყვა პეტერბურგში გატარებული დღეების შესახებ. განსაკუთრებული ნაღველით იგონებდა თავის თანაკურსელს თელაველ თუშს ბუქურაულს; მათემატიკაში ის პირველი იყო, მე — მეორე, ბედმა არ გაუმართლა, ოჯახური პირობების გამო მიატოვა სწავლაო.

საღამოს პრეზიდენტის პატივსაცემად შევიკრიბეთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიკო სუფრასთანაც შეუდარებელი იყო, ყოველთვის სხარტად და მოხდენილად ხუმრობდა, ზომიერად ბახუსსაც პატივს სცემდა. სუფრასთან საუბრის ძირითადი თემა ლერმონტოვი და საქართველო იყო. პრეზიდენტმა სინანული გამოთქვა, რომ ლერმონტოვთან დაკავშირებული მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალების შეგროვებასა და დაცვას თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა.

სუფრის ერთმა წევრმა ნიკოს მიმართა:

— გუშინ და დღეს ყველაზე მეტი ხოხბები თქვენ დახოცეთ. რით უნდა აიხსნას ეს? მართალია თუ არა, რომ თქვენ თოფის დამიზნებისას მათემატიკური ფორმულებით სარგებლობთ? მე ამის შესახებ ერთ-ერთ ჩვენს ჟურნალში წავიკითხე.

ნიკომ გაიღიმა და მრავლისმეტყველად განაცხადა:

— ჩემი თოფის სროლის ამბავი სახელმწიფო საიდუმლოებაა და ჯერჯერობით ვერ გავამხელ.

მესამე დღეს დილით სტუმრები თბილისისაკენ ცივგომბორის გზით გავაცილეთ. უკან დაბრუნებისას თელაველი მონადირეები სიტყვაგადაკრულად იმეორებდნენ — პრეზიდენტის უბადლო სროლა სახელმწიფო საიდუმლოებაა. რამდენჯერმე ვკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს, მაგრამ ვერ ვათქმევინე.

გავიდა წლები და მე აკადემიაში პრეზიდენტის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გავხდი. ერთხელ, საუბრისას მოვაგონე თელავში სტუმრობა, ინსტიტუტი, თელაველი მონადირეები და ვთხოვე გულახდილად ეთქვა, თუ რა საიდუმლოება იფარებოდა ნადირობისას, სროლის ამბავში.

— ხოხობზე ნადირობისას ოთხი-ხუთი მონადირე ერთმანეთისგან 10-15 მეტრის დაშორებით ერთ ზოლზე მიდის. წინ ძაღლები მიუძღვით, მინდორს აქეთ-იქით ძებნით სერავენ, ბუჩქებში დაძრწიან. როცა ძაღლი ხოხობის სიახლოვეს შეიყნოსავს, სვლას ანელებს და ფრინველს ფეხაკრეფით უახლოვდება, ეშინია, უდროოდ არ შევაფრთხოვო. ამ დროს მონადირე უბრძანებს: „მიდი“, „ეცი“-ო და ძაღლის ნახტომს ხოხბის ფრენა მოჰყვება. ხოხობს ის მონადირე ესვრის, ვის წინაც იგი აფრინდება. თელავში ნადირობისას ყველაფერი ასე იყო, გარდა ერთი „სიახლისა“ — ადგილობრივი მონადირე ვახტანგ როსტომაშვილი ყოველთვის ფეხდაფეხ მომდევდა და ჩემთან ერთად ისროდა თოფს! მე მივხვდი, რომ მას ჩემი დახმარება ჰქონდა დავალებული. როსტომაშვილი იმავე ხოხობს ესვროდა, რომლისთვისაც მე უნ და მესროლა. თუ მე ავაცდენდი, ის ხომ უეჭველად ჩამოაგდებდა. როგორც ხედავ, თელაველმა მეგობრებმა გადაწყვიტეს — პრეზიდენტი რომ საუკეთესო მონადირე არ იყოს, არ შეიძლება, და ვაითუ დააცილოს ხოლმეო! ამ გარემოებამ ჩემს წინაშე ახალი ამოცანა წამოჭრა: ხომ შეიძლებოდა ორივეს დაგვეცილებინა, მაშინ რაღა გვეშველებოდა ან მას, ან მე?! ალბათ ამიტომ მოხდა, რომ მაშინ შედარებით ჩვეულებრივზე უკეთეს მონადირედ გამოვიჩინე თავი. ესაა ჩემი თელავის ნადირობის საიდუმლოება.

უნდა გენახათ თელაველი მონადირეების გაკვირვება, აღტაცება და ერთგვარი სინანული, როდესაც მე მათ ბატონი ნიკოს მონაყოლი ვუამბე...

## ნებართვა

1960 წლის დასაწყისში აკადემია არჩევნებისათვის მზადებას შეუდგა. აკადემიის ახალი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო აკადემიის ცხოვრებაში და მუდამ ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა. იმხანადაც შეიქნა დიდი ორომტრიალი, ვინ არ მოდიოდა პრეზიდენტთან, რა სპეციალობებს არ სთავაზობდნენ, ვის არ ასახელებდნენ! აშკარად იგრძნობოდა, რომ აკადემიის შევსება საყოველთაო-სახალხო საქმე იყო.

არჩევნების პრაქტიკული ხელმძღვანელობა მე მქონდა მინდობილი. ამიტომ ბატონი ნიკო არჩევნებთან დაკავშირებულ ყოველა კორესპონდენციას მე მიგზავნიდა და ამა თუ იმ კანდიდატზე სხვადასხვა პირთა შეხედულებებსაც მაცნობდა.

აკადემიის წესდების მიხედვით, არჩევნებას ერთ-ერთ ეტაპზე ასარჩევი კანდიდატების სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აკადემიის შესაბამისი სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე განიხილება. აკადემიის პრეზიდიუმი მხოლოდ ამის შემდეგ იხილავს მას.

ერთ დღეს, როდესაც მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების წინასაარჩევნო სხდომა მიმდინარეობდა, სრულიად მოულოდნელად, მეც მიმიწვიეს. განყოფილების აკადემიკოს-მდივანი მაშინ ალექსანდრე ჯანელიძე ბრძანდებოდა. განყოფილების წევრები იყვნენ ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, გიორგი ძოწენიძე, ევგენი ხარაძე, ვიქტორ კუპრაძე, პეტრე გამყრელიძე, ელეფთერ ანდრონიკაშვილი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. განყოფილებაში შევედი თუ არა, ვიგრძენი, რომ აქ ცხარე კამათი უნდა ყოფილიყო; რამდენიმე აკადემიკოსი აღგზნებული ჩანდა.

— ბატონო სერგი, — მომმართა თავმჯდომარემ, — ბოდიშს ვიხდით, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ აქ მსჯელობა გაიმართა ერთი საკითხის გამო: თეოფანე დავითაია წამოყენებულია ნამდვილი წევრობის კანდიდატად; ჩვენ კარგად ვერ გავერკვიეთ, რატომ პირდაპირ წევრად უნდა ავირჩიოთ და არა ჯერ წევრ-კორესპონდენტად. ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ თქვენ კარგად იცნობთ მის საქმიანობას და შეგიძლიათ დაგვეხმაროთ საკითხის გადაწყვეტაში.

ასეთ კითხვას სრულებით არ მოველოდი და პასუხი დამიგვიანდა. ჩემი უჩვეულო მდგომა-

რეობა ვიქტორ კუპრაძემ სწრაფად იგრძნო და კითხვა გამიმეორა:

— აქ ბატონმა გიორგი ძოწენიძემ მოგვახსენა, რომ თქვენ თეოფანე დავითაიას მეგობარი ხართ და შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოტივებით არის იგი წამოყენებული პირდაპირ აკადემიის ნამდვილ წევრად. მისი შრომების სია საკმაოდ დიდია, რეცენზიებიც კარგია, მაგრამ ჩვენს შორის მას, როგორც მეცნიერს, საფუძვლიანად არავინ იცნობს, რადგანაც იგი სულ სხვა დარგის მკვლევარია. გვითხარით, რაც იცით მასზე, როგორც მეცნიერზე.

— სერგი, დაივიწყე ის გარემოება, რომ ის შენი ძველი მეგობარია და განყოფილებას თეოფანე დავითაია ობიექტურად დაუხასიათე, — მომმართა გიორგი ძოწენიძემ.

მე უკვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე და ჩემგან რას მოითხოვდნენ. ყველაფერი ძალიან მოკლედ, მაგრამ, როგორც შემდეგ თქვეს, დამაჯერებლად მოვახსენე. როდესაც სიტყვა დავამთავრე, ალექსანდრე ჯანელიძემ კვლავ დამისვა კითხვა:

— თქვენ, ბატონო სერგი, შესანიშნავად გადმოგვეცით ბატონი თეოფანეს ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ არ გვითხარით, თუ თქვენ რა აზრის ბრძანდებით, რას გვირჩევთ — წევრად ავირჩიოთ თუ წევრ-კორესპონდენტად.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ მე გეოგრაფი არა ვარ. აბა მე როგორ შემიძლია თქვენს შეკითხვაზე ავტორიტეტული პასუხი გაგცეთ. ეს ხომ დარგის მცოდნეების საქმეა, რეცენზენტების უშუალო მოვალეობაა. როგორც მახსოვს, დავითაიას პირად საქმეში ცნობილი მეცნიერის, გეოგრაფის, პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის წარდგინებაც არის. სწორედ ის მოითხოვს დავითაიას პირდაპირ წევრად არჩევას. აქ, ალბათ, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ბატონ ალექსანდრე ჯავახიშვილის დიდი სურვილია გეოგრაფიის ინსტიტუტის მომავალი ბედ-იღბალი დავითაიას მიანდოს.

სიტყვა ვიქტორ კუპრაძემ ითხოვა.

— ბატონებო, სერგის მოწოდებულმა ცნობებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ნე უკვე აღტაცებული ვარ თეოფანე დავითაიას პიროვნებით, მისი ბიოგრაფიით, მიმართულებებით, მოპოვებული შედეგებით. ჩემი წინადადებაა, რომ დავტოვოთ იგი ასარჩევ წევრთა სიაში.

სიჩუმე ჩამოვარდა. ამით ვისარგებლე და თავმჯდომარეს ვთხოვე, ნება დაერთო სხდომა დამეტოვებინა. ბატონმა ალექსანდრემ ერთხელ კიდევ მომიბადა ბოდიში, მადლობა გადამიხადა და დამემშვიდობა.

გაოგნებული დავბრუნდი ჩემს სამუშაო ოთახში. ვღელავდი, უჩვეულოდ ვღელავდი. მოვიქეცი კი სწორად, რომ ჩემი აზრი პირდაპირ, გულახდილად არ გავაცხადე?! რატომ არ ვთქვი, რომ იგი უეჭველად ნამდვილ წევრად უნდა იქნეს არჩეული?! ასეთ მტკივნეულ ფიქრებში ვიყავი, როდესაც ოთახში ბატონი ნიკო შემოვიდა და მომმართა:

— შენ თუ იცი, დღეს რომ ბეწვის ხიდზე გაიარე; ხომ იცნობ ჩვენს თანამშრომლებს. ზოგიერთ მათგანს არ უყვარს, როდესაც ვინმე ჭკუას ასწავლის. სხდომაც რომ დროულად დატოვე! შენს მოსვლამდე ზოგიერთი ამტკიცებდა: აი, ნახავთ, ამოვა დურმიშიძე და დაგვიწყებს მტკიცებას: დიდ დანაშაულს ჩაიდენთ ერის წინაშე, თუ დავითაიას პირდაპირ წევრად არ აირჩევთო! ახალგაზრდა კაცი ხარ და დღევანდელი დღე დაიხსომე, ტაქტის გრძნობა ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობისაა. შენ რომ დღეს გრძნობის ცდუნებას აყოლოდი, შეიძლება აკადემიას ერთი წევრი დაეკარგა. შენ ხომ ჩემი წინადადებით მოგიწვიეს და შენს მოქმედებაზე პასუხს მეც ვაგებდი. მე მომწონს დავითაია, ნათელი აზროვნების, ენერგიით სავსე, ფართო მისწრაფებების კაცი ჩანს. მე მგონია, ყველაფერში გაგვიმართლებს.

შვებით ამოვისუნთქე, დავწყნარდი. ამ დროს თეოფანე თბილისში იყო, მაგრამ მისთვის, რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს.

რამდენიმე კვირაში განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებისაგან ოფიციალურად მივიღეთ ასარჩევი კანდიდატების სიები. მხოლოდ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებები აგვიანებდნენ. მივმართე ბატონ ალექსანდრეს... პასუხმა გამაოცა:

— ბატონო სერგი, არ გეწყინოთ და დავითაიას საკითხში ერთსულოვნება ჯერ კიდევ არ არის. უმჯობესი იქნება, ცოტა კიდევ დაველოდოთ და ყველაფერი წესისამებრ მოგვარდება.

დრო ჯერ კიდევ ითმენდა და მე ამის შესახებ პრეზიდენტისათვის არაფერი მითქვამს. ერთი კვირის შემდეგ გავიგე ალექსანდრე ჯანელიძე უროლოგიის ინსტიტუტში საოპერაციოდ დაწოლილიყო. ახლა უკვე პრეზიდენტს მივმართე. მისი რჩევით წაველი უროლოგიის ინსტიტუტში და ბატონ ალექსანდრეს ვთხოვე ასარჩევთა მთლიან სიაზე მაინც მოეცა თავისი ვიზა. უარი მითხრა, ხელი სიაზე არ მომიწერა... აღარ ვიცოდი რა მექნა. პრეზიდენტს ბატონ ალექსანდრეს უარი ძალზე გაუკვირდა; ჩვენი განყოფილება ხალხმრავალია და ორი-სამი კაცის დაჟინებას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, არ მესმისო! მთავარია სწორი მოქმედება და არა ფორმალური ნებართვა. ნება მომცა, რომ განყოფილების აკადემიკოს-მდივნის ნებართვის გარეშე ყველაფერი ისე გამომექვეყნებინა გაზეთში, როგორც გათვალისწინებული იყო და რასაც ჩვენ სრულიად სწორად ვთვლიდით.

ასეც გავაკეთეთ. თეოფანე დავითაია აკადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიის საერთო კრების მიერ ერთხმად იქნა არჩეული აკადემიის ნამდვილ წევრად.

გავიდა დრო და თეოფანე აკადემიის აქტიური წევრი გახდა. ბატონი ნიკო ზოგჯერ ხუმრობით შემახსენებდა ხოლმე:

— ბატონ ალექსანდრეს ნებართვა როდის უნდა გამოართვაო?!

ერთხელ, როდესაც გეოგრაფიის ინსტიტუტი მორიგ გამარჯვებას ზეიმობდა, ბატონმა ნიკომ მკითხა:

— მართლა, სულ მინდა გკითხო და მავიწყდება, „ნებართვის" ამბავი თეოფანე დავითაიამ თუ იცის, თუ მოუყევი?

— არაფერი არ იცის, ბატონო ნიკო. ის მეტად თავმოყვარეა და განაწყენებას მოვარიდე.

— იქნებ დამალვა არც ღირდეს. ჩემი აზრით, სჯობია, რომ კაცმა ყველაფერი იცოდეს. ბოლოს და ბოლოს, აქ რაა საწყენი. ხომ შეიძლება ადამიანებს სხვადასხვა აზრი ჰქონდეთ. მათ ზურგს უკან ხომ არ უმოქმედიათ, მსჯელობისას თავისი აზრი გამოთქვეს. მე პირადად შენს ადგილზე რომ ვიყო, თეოფანეს ახლა მაინც ყველაფერს დაწვრილებით ვუამბობდი.

## კამა

ბატონ ნიკოს ძალიან უყვარდა ნადირობა. სტუდენტობის დროსვე შეიძინა ორლულიანი თოფი და თავისი დედისეული სოფლის მაწევანის მიდამოებში კურდღლებზე ნადირობდა. ეს გატაცება ხანდაზმულობამდე შერჩა. პრეზიდენტობის პერიოდში მას ეგრეთ წოდებული „სამრგოლიანი" უჩახმახო ზაუერი ჰქონდა. სანადიროდ ხშირად თავის მეგობარ დავით ფურცელაძესთან ერთად დადიოდა. ნადირობდნენ უფრო ხშირად მწყერზე, იშვიათად კაკაბზე, ხოხობსა და კურდღელზე. მათი სანადირო ადგილები იყო მანგლისის მინდვრები, მუხრანის ველი, ალაზნის ნაპირები... ორმოციან წლებში ნადირობისას ბატონ ნიკოს მუდამ თან ახლდა ოთხფეხი მეგობარი, ინგლისური სეტერი-ლავერაკი — „რექსი". რექსი პატრონის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მას მუსხელიშვილების ბინაში აივანზე საგანგებოდ მოწყობილი კუთხე ჰქონდა მიჩენილი. რვა წელზე მეტს ემსახურა იგი პრეზიდენტს და მაშინ, როდესაც მათ ურთმანეთოდ ყოფნა უკვე უჭირდათ, რექსი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბატონმა ნიკომ მისი დაკარგვა ძლიერ განიცადა.

გავიდა რამდენიმე წელი და ნიკოს ოჯახში ისევ გაჩნდა სეტერი, კვლავ ლავერაკი, სახელად „კამა". ბატონ ნიკოს რომ პირველი შვილიშვილი გულკა (ოლღა) შეეძინა, კამა უკვე დიდ სასტუმრო ოთახში ბალიშებზე ნებივრობდა. გულკა და კამა ერთად იზრდებოდნენ, დამეგობრდნენ კიდეც. რამდენიმე წელიწადში კამას უკვე ორი ერთგული მეგობარი ჰყავდა: პაპა და შვილიშვილი. პრეზიდენტიც მათ, როგორც მეგობრებს, ხშირად ერთად მოიხსენიებდა. კამა ოჯახში მეტად დარბაისლურად იქცეოდა, კარგად იცოდა, რა დროს რა გაეკეთებინა. როდესაც ბატონი ნიკო გულკასათვის სათამაშოებს თავისი ხელით აკეთებდა, კამა ამ დროს ჩაცუცქდებოდა და პრეზიდენტის დურგლობას თვალყურს ადევნებდა, „ამოწმებდა".

— კაცო, რა ნახა პრეზიდენტმა ამ ძაღლში ასეთი, ზოგს ადამიანი არ უყვარს და ბატონი ნიკო ლამისაა კამას გადაჰყვეს, — იტყოდა ხოლმე მისი მძღოლი ალიოშა ქობულია.

რვა წელიწადი ცხოვრობდა კამა მუსხელიშვილების ოჯახში.

— კამა თავისი საქმის უბადლო ოსტატია, თუ კარგად დააკვირდები, უსიტყვოდაც მიუხვდები, თუ რა უნდა მოხდეს სანადირო ველზე — ამბობდა ბატონი ნიკო.

ერთ დღეს პრეზიდენტმა აკადემიის საქმეთა მმართველი გიორგი კავკასიძე დაიბარა და მეგობრულად სთხოვა კამასათვის წამლები ეშოვა, — ძლიერ ავად არისო! ბატონი ნიკო ისეთ გუნებაზე იყო, რომ თანამშრომლები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: ალბათ გულკა თუა ავადო. რა არ იღონეს, მაგრამ კამას სიცოცხლე ვერ შეუნარჩუნეს.

კამას სიკვდილის დღეს ჩემთან ალიოშა ქობულია შემოვიდა და გაოცებულმა ფული მაჩვენა.

— აი, შეხედე, პრეზიდენტმა რამდენი ფული მომცა! კამასათვის კარგი ფარდაგი იყიდე, ისეთი უნდა იყოს, რომ კამა მასში რამდენჯერმე გაეხვიოსო, მანგლისში დამარხე, მე საფლავს სანახავად რამდენიმე დღის შემდეგ ავალო.

— ბატონო სერგო, ღმერთი არ არის, ამ ფულით რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეიძლება, რად უნდა კამას ფარდაგი, გვერდები გაუცივდება თუ რა...

კარგა ხანს ვისაუბრეთ და როგორც იქნა დავითანხმე ალიოშა, რომ ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც ბატონმა ნიკომ უთხრა.

კამას დასაფლავების დღეს ნიკო აკადემიიდან ადრე წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ალიოშამ წაგვიყვანა და კამას საფლავი გვაჩვენა. ბატონი ნიკო დიდხანს იდგა საფლავთან დადუმებული.

## 1971 წლის 9 ოქტომბერი

1971 წლის 9 ოქტომბერს ბატონმა ნიკომ თავისთან, ბინაზე დამიბარა. საღამოს 8 საათზე მივედი. საწოლ ოთახში მიმიღო — შეუძლოდ იყო. მშვიდად იწვა; გადაფითრებულ სახეზე ოდნავ ღელვა ემჩნეოდა. რამდენჯერმე იხუმრა კიდეც, მაგრამ ეს გახუმრება მის ჩვეულებრივ გონებამახვილობას არ ჰგავდა.

— სერგო, ჩემი მეუღლე მირჩევს, რომ პრე-

ზიდენტობაზე ხელი ავიღო, ვიდრე ასაკმა გონება არ შემილახა. მე მინდა მოურიდებლად გვითხრა, რას ამბობენ ჩემს ახლანდელ მუშაობაზე მეგობრები, კოლეგები და ან შენ თვითონ რას ფიქრობ ამაზე!

მე ვიცოდი რესპუბლიკის ხელმძღვანელების, პრეზიდიუმის, ჩვენი აკადემიის სხვა წევრების შეხედულება და ცოლ-ქმარს დაწვრილებით ვუამბე, თუ რა აზრი ტრიალებდა ბატონ ნიკოს ხელახალი არჩევის შესახებ, რომ არავინ არ ელის მის შეცვლას, ყველანი მზად არიან იმდენჯერ აირჩიონ პრეზიდენტად, რამდენჯერაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ.

ბატონ ნიკოს ესიამოვნა, ეტყობოდა, სხვაგვარ ინფორმაციას არც მოელოდა. ახლა მეუღლეს მიმართა, რომ ჩემთვის გაეზიარებინა ის აზრი, რასაც ამ ბოლო დროს ხშირად უმეორებდა.

ქალბატონმა რუზანამ მითხრა:

— დიდი ხნის წინათ ჩვენ ორივენი ერთად ვიყავით მოსკოვში. ვესწრებოდით ერთ-ერთ შეკრებას, სადაც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი კომაროვიც იყო. დამბლას იგი მეტისმეტად მოეტეხა, სახეც მთლიანად შეცვლილი ჰქონდა. დამსწრენი მხოლოდ მასზე საუბრობდნენ, მის ახლობლებს ჰკიცხავდნენ: ნუთუ ვერ ხედავენ, რა მდგომარეობაშია, რატომ აწვალებენო?! იმ საღამოს ნიკომ პირობა ჩამომართვა: თუ დიდხანს იცოცხლებდა და თანამდებობაზე ხელის აღება გაუჭირდებოდა, მე უნდა დავხმარებოდი ამ საკითხის გადაწყვეტაში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი პრეზიდენტობიდან წასვლის დრო დადგა და ჩემს პირობასა და ვალდებულებას ვასრულებ. თქვენ, მის მეგობრებსა და კოლეგებს, გთხოვთ, რომ სინამდვილეს თვალი გაუსწოროთ და ხელი არ შეუშალოთ ნიკოს, ისე მოიქცეს, როგორც მის ვაჟკაცობას შეშვენის. იგი სადაცაა 81 წლის გახდება, თქვენს მომავალ არჩევნებამდე თითქმის ნახევარი წელიწადია. თქვენ ამ ხნის განმავლობაში ყველა საორგანიზაციო საქმის მოგვარებასაც მოასწრებთ. ამ საქმეში მე სულაც არ ჩავერეოდი, მაგრამ ჩვენთან ხშირად მოდიან მისი მეგობრები და დაჟინებით ურჩევენ, რომ კვლავ იყაროს კენჭი.

ნიკო დანაღვლიანებული უსმენდა... ბოლოს სიჩუმე მანვე დაარღვია:

— რუზანა, იმასაც ხომ მოფიქრება უნდა, თუ ვინ იქნება ჩემი შემცვლელი, მე ხომ ამაშიც მომეთხოვება პასუხი. შენ მოითხოვ, რომ ახლავე წამოვიდე აკადემიიდან. იქნებ არჩევნებს ჩავლო, ერთ-ორ წელიწადში საპრეზიდენტო კანდიდატი შევარჩიო და თანამდებობა ახალი ვადის გასვლამდე მისთვის გადამელოცა.

მეუღლე ბატონ ნიკოს არ დაეთანხმა.

— ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, იუბილეს შემდეგ უნდა წამოსულიყავი აკადემიიდან, ეს უფრო სასახელო იქნებოდა. ახლა [illegible] შენზე უფრო შენი თანამდებობაა საჭირო. შენ მომავალი პრეზიდენტის დარდი ნუ გაქვს, ეს უშენოდაც გადაწყდება ალბათ.

ნიკოს სახეზე შეეტყო, რომ ბოლო ნათქვამი არ მოეწონა, მაგრამ არაფერი თქვა.

ზარი დაირეკა და რუზანა ოთახიდან გავიდა.

— სერგო, ახლა მარტონი ვართ. შენ რუზანას აზრი ადრეც იცოდი, ჩემი გურამიც აკადემიიდან ახლავე წამოსვლას მირჩევს. გულწრფელად მითხარი, რასაც ფიქრობ.

— ბატონო ნიკო, არ ვიცი რა გითხრათ, მიჭირს, ძალიან მიჭირს; თექვსმეტი წელია თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით, რა არ გადაგვხდენია, რა არ განგვიცდია; აბა ყველაფერს ამას ასე უცებ როგორ შეველიო?!

ნიკოს უნდოდა საპასუხო რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს რუზანამ სინით ხილი და ღვინო შემოიტანა. მასპინძელი გამხიარულდა:

— აი, შენი და ჩემი საყვარელი „წინანდალი". მე რუზანას დაუწერელი კანონის მიხედვით უფლება მაქვს, დღეში ხუთი ცალი პაპიროსი მოვწიო და სადილად ორი ჭიქა ღვინო დავლიო. ვისარგებლოთ ამ „კანონით". როგორც ვიცი, შენი ნანა რუზანაზე ნაკლები „მტარვალი" არ უნდა იყოს!

ერთი-ორი ჭიქა ღვინოც გავხელით. საუბარში ნიკომ კვლავ აკადემიკოსი კომაროვი გაიხსენა:

— ბოლო დროს მართლაც შესაბრალისი სანახავი იყო, ვერავინ ეს ხმამაღლა ვერა თქვა, სანამ იგი შემთხვევით სტალინმა არ ნახა და არ გაწყრა — ამ ადამიანმა რა დაგიშავათ, რად ამჭოფებთ ასეთ სათაკილო მდგომარეობაში, ახლავე გაათავისუფლეთო!

იმ დღიდან აკადემიამაც მოისვენა და აკადემიკოსმა კომაროვმაც.

— რუზანა, ძვირფასო, შენ ალბათ რაღაც ცვლილებებს მატყობ, თორემ მე რომ კიდევაც გაგეწირე, ჩემს ჯამაგირს ასე ადვილად ხომ არ შეელეოდი!

რუზანას გულიანად გაეცინა და მოეფერა:

— ახლა კი ძველებური ნიკო ხარ, ასეთი მიყვარხარ და მინდა ყოველთვის ასეთი იყო.

ათი საათი იქნებოდა, როცა მუსხელიშვილებს გამოვეთხოვე. მოვდიოდი და ვგრძნობდი, რომ მათთან გატარებულ ორ საათში ჩემი სიცოცხლის რაღაც დიდი ნაწილი დავკარგე.

მეორე დღეს ბატონმა ნიკომ ტელეფონით მაცნო:

— გადაწყდა, აკადემიას თავს ვანებებ...

არ ვიცოდი რა მეპასუხა! თვითონვე მიხსნა:

— სერგო, ამ საღამოსაც გამოიარე, ახლა უკვე ახალ პრობლემებზე ვისაუბროთ და, რაც მთავარია, შენ როცა აქ იქნები, რუზანა ღვინის ულუფას ისე მკაცრად აღარ შემიზღუდავს. იცოდე, გელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

# უბის წიგნაკიდან

### სამშობლოში დაბრუნება

ლეო ქიაჩელი:

— 1915 წელს, კარგა ხნის ემიგრანტი, ჯერ ისევ შვეიცარიაში ვიყავი, სამშობლო მენატრებოდა. მშობლიურ ქვეყნისათვის სევდა მოსვენებას აღარ მაძლევდა. მეტის ატანა აღარ შემეძლო. გადავწყვიტე, რაც არ უნდა დამმართოდა, დავბრუნებულიყავი საქართველოში.

ვფიქრობდი: აქ, უცხო მიწა-წყალზე გაურკვეველ დრომდე ხეტიალს მირჩევნია დავბრუნდე რუსეთში; თუ დამიჭერენ, მოვიხდი რვა წლის კატორღას და ამის შემდეგ ხომ მაინც მეღირსება სამშობლოში ცხოვრება? არა, ასე უნდა მოვიქცე!

ამ გადაწყვეტილებით დავტოვე შვეიცარია და 1916 წელს გამოვეშურე სამშობლოსაკენ. პირველად პარიზს ჩავედი. იქ თედო სახოკია შემხვდა. ისიც საქართველოში მოდიოდა. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის აკაკი ჩხენკელის დახმარებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული მოწმობა ედვა ჯიბეში. მე კი — სხვისი პასპორტი მქონდა, ჩემი ნათესავის — რაჟდენ შენგელაიასი.

ამ პასპორტით ვცხოვრობდი თერთმეტი წლის განმავლობაში, როგორც რუსეთში (არალეგალურად), ისე საზღვარგარეთაც.

მე და თედო პარიზიდან ლონდონს წავედით. გაცხარებული ომი იყო. თედო გზაში სულ ბუზღუნებდა, მას თან ხუთი ჩემოდანი მოჰქონდა, მე კი ერთადერთი ჩემოდანი მეჭირა ხელში.

ლონდონის სადგურზე რომ ჩამოვხტით, თედომ მითხრა, შენ ამ ჩემოდნებით აქ, სადგურზე მომიცადე, მე წავალ სასტუმროს ამბავს გავიგებ და ჩქარა დავბრუნდებიო.

დავრჩი ბარგის ყარაულად. შემოვიდა პოლისმენი. შემათვალიერა, წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა.

მე ისევ ჩემოდნებს ვუჯექი.

პოლისმენი წავიდა და ჩქარა მებარგულის თანხლებით დაბრუნდა, მიუთითა ჩემს ჩემოდნებზე.

მე ფრანგულად დავუწყე ახსნა პოლისმენს, რომ აქ ჩემი ბარგიანად თანამგზავრს ვუცდი, რომ უიმისოდ არსად წასვლა არ შემიძლია.

ინგლისელმა პოლისმენმა ჩემი ფრანგულის ვერაფერი გაიგო.

რაღა გაეწყობოდა. დავმორჩილდი მის ნებას. ჩემი ჩემოდნები შესანახ კამერაში მიიტანა მებარგულმა და ჩააბარა.

მე ქვითარი ავიღე და თედოს მოლოდინში ბაქანზე დავიწყე ბოლთის ცემა.

ამასობაში თედოც დაბრუნდა, გაიგო ბარგის ამბავი და საშინლად გაცხარდა. მომდგა: არა, რომელი მდიდრები ჩვენა ვართ, რომ კამერაში შენახვის ხარჯისათვის ფულებს ფლანგავო. ბევრი მებუზღუნა, მიუხედავად იმისა, რომ ავუხსენი ჩემი სრული უდანაშაულობა ამ ხარჯის გაწევაში.

ლონდონში, ისევე, როგორც პარიზში, სასტუმროში არ შეგვიშვეს — სათანადოდ არ ვიყავით ჩაცმულები.

ლონდონიდან გავემგზავრეთ შოტლანდიაში. ნიუ-კესტლის პორტში ჩავსხედით ნორვეგიულ ხომალდში, ჩრდილოეთის ზღვით ბერგენისაკენ გავემართენით.

შუა ზღვაში ჩვენი ხომალდი ორჯერ გააჩერა გერმანელთა წყალქვეშა ნავმა. ორჯერვე გაგვიშვეს, — გემი ნეიტრალური ქვეყნის დროშით მიდიოდა.

როგორც იქნა, მივაღწიეთ ბერგენს.

თედომ თქვა, აქ კონსულად ოლივერ უორ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1.

დროპია, წავიდეთ მის სანახავადო. მე მორცხვი ვიყავი, არ წაველი. თედო მარტო გაეშურა ეორდროპისაკენ.

საღამოს, როცა დაბრუნდა, მიამბო: ეორდროპმა, როგორც ქართველი კაცი და ლიტერატორი, ალერსიანად მიმიღო და გამიმასპინძლდაო. შენთანაც სალამი დამაბარა და აი ეს გამომატანაო, — მან უბიდან რამდენიმე ქართული გაზეთი ამოიღო — „სახალხო გაზეთი“ იყო.

აქ მინდა ვთქვა, რაც ზემოთ დამავიწყდა, ჯერ კიდევ 1915 წელს შვეიცარიიდან საქართველოში ფოსტით გამოვუგზავნე „სახალხო გაზეთს“ ჩემი „ტარიელ გოლუას“ ხელნაწერი. ორი ეგზემპლარი მქონდა, ერთი ჩემთვის დავიტოვე, იმ შემთხვევისათვის, თუ რაიმე მიზეზით გაგზავნილი ცალი გზაში დაიკარგებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ხელნაწერის ბედი გამოურკვეველი იყო, აღარც კი მქონდა იმედი, რომ ის დანიშნულების ადგილს მიაღწევდა...

და აი, მე სიხარულით გავხსენი ქართული გაზეთი! რამდენი ხანი იყო, რაც ქართული გამოცემა არ მჭეროდა ხელში! გაზეთი გავშალე და რას შევხედე! სიხარულისაგან თვალებს აღარ ვუჯერებდი: შიგ ფელეტონად დაბეჭდილი იყო ჩემი „ტარიელ გოლუას“ დასაწყისი.

მთრთოლვარე ხელით გაზეთი თედოს გავუწოდე, ვკითხე მართალი იყო, რასაც ვკითხულობდი, თუ მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ეს სინამდვილე იყო.

ნორვეგიიდან შვეციაზე გამოვლით ფინეთში ჩამოვედით. მე მეშინოდა, საზღვარზე გადმოვლის დროს ჟანდარმებს რაიმე ეჭვი არ აელოთ ჩემზე და არ დავეჭირეთ.

საინტერესო ამბავი მოხდა. ჟანდარმებმა მე, ყალბი პასპორტის მქონე, თავისუფლად გამომიშვეს, თედო სახოკია კი, რომელსაც ჯიბეში ოფიციალური დოკუმენტი ედო, საეჭვოდ მიიჩნიეს და დააკავეს. ოთხ დღეს იყო დაკავებული.

პეტროგრადით და მოსკოვით თბილისს ჩამოვედი, მივაკითხე „სახალხო გაზეთის“ რედაქტორს სამსონ ფირცხალავას. მან ძალიან კარგად მიმიღო, 300 მანეთი მომცა ჰონორარი. როცა გაიგო, არალეგალურ მდგომარეობაზე ვიყავი, ბინაც მიმიჩინა, თავისი ნაცნობის მისამართი მომცა.

მე წაველი იმ მისამართზე. გზაში ერთი ჩემი ძველი ნაცნობი, გენერალური შტაბის ოფიცერი ჩხოტუა შემეყარა. ამბავი გამომკითხა, და როცა გაიგო ვიმალებოდი, ხელი მომკიდა, ჩემზე საიმედო ბინას სად იშოვიო, მითხრა და თავისთან წამიყვანა.

ამის შემდეგ მასთან ვცხოვრობდი. იმდენად გავთამამდი, რომ „საერობო კავშირში“ შეველი სამსახურში. იქ ვიღაც ნემჩანოვი იყო უფროსად, ახირებული და ღრჯუ კაცი. ყველას გვერიდებოდა მისი და არ გვიყვარდა. თურმე ხშირად სინამდვილე სხვაა და ჩვენი წარმოდგენა კიდევ სხვა.

ჩქარა თებერვლის რევოლუცია მოხდა. გამოირკვა, რომ ის ჩვენთვის უსიამოვნო ნემჩანოვი თითონ ესერი ყოფილა, ხვდებოდა თურმე, რა „კარგი სულიც“ ვიყავი, მაგრამ არაფერს იმჩნევდა, მინახავდა სამსახურში.

რევოლუციის შემდეგ თბილისი მივატოვე და ჩემს სამშობლო ზუგდიდში ჩავედი.

ერთხელ ჭიშკარი გაიღო და ეზოში ცხენით შემოვიდა სწორედ ის კაცი, ვის სახელსა და გვარსაც ვატარებდი მთელი თერთმეტი წლის მანძილზე, ვისი პასპორტითაც ვცხოვრობდი არალეგალურად.

საკვირველი ამბავი დამემართა. უეცრად გულიდან გადამვარდა მისი სახელი. სიხარულით შევეგებე, შევიწვიე, დიდხანს ვისაუბრეთ. მაგრამ არა და არა! არ იქნა მისი სახელის მოგონება! მინდა ვუთხრა: ჩემო... და სახელი აღარ მახსოვს. ბოლოს სტუმარი ადგა, გამომეთხოვა, ცხენზე შეჯდა, გაემართა ჭიშკრისკენ... და აი სწორედ ამ დროს მომაგონდა მისი და თერთმეტი წლის განმავლობაში ჩემი) სახელი:

— რაჟდენ! რაჟდენ! — მივაძახე მას. მოიხედა. დავეწიე, ვთხოვე ხვეწნით, ჩამომხდარიყო, მოეცადნა... მადლი მომახსენა, „სხვა დროს იყოსო“, ცხენს მათრახი გადაჰკრა და წავიდა.

* * *

### ვ. გაფრინდაშვილი, გარდაცვლის პირველი წუთები

1941 წლის 1 თებერვალს ჩანაწერი:

„წუხელის, შუაღამისას გარდაიცვალა ვ. გაფრინდაშვილი. ვიყავით რაჟდენ გვეტაძისას. ვვახშმობდით, იყო სიმღერა, ხუმრობა. ამ დროს დარეკეს, გვაცნობეს ვალერიანის სიკვდილის ამბავი. სუფრა იმ წუთშივე აიშალა, სიმონი, რაჟდენი და მე წავედით ვალერიანის ბინაზე.

განსვენებული ჯერ კიდევ თავის ლოგინში იწვა. ზეწარი ეხურა. სახე ღია ჰქონდა, მხოლოდ თვალებზე გადაეკრათ ტილო.

წვერ-ულვაში ახლად გაპარსული ჰქონდა. დილით გაეპარსა, თურმე კარგ ხასიათზე იყო, უთქვამს: ახლა მგონი მოვმჯობინდი, აწი აღარაფერი მიშავსო.

როცა შევედით, რაჟდენის დანახვაზე ვალერიანის ცოლმა ქვითინი დაიწყო. ბევრი იტირეს რაჟდენმა და სიმონმა. კუთხეში იდგნენ და ბავშვებივით ტიროდნენ. გული დაეწვათ, რომ ნახეს მკვდარი ვალერიანი.

ვალერიან გაფრინდაშვილი! ჩემ თვალწინ განვლო მისი ცხოვრების ყველაზე საინტერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო შემოქმედებითმა ნაწილმა. ჯერ „ცისფერი ყანწები“, ქუთაისი, „ყანწელების“ გამოსვლები, საღამოები ქუთაისის თეატრში.

1922 წლის ზაფხულზე ის ჩამოვიდა ჭიათურაში. პოეზიით აღტაცებული ახალგაზრდები მას ვუკითხავდით ჩვენს პირველ, გაუმართავ ლექსებს. ისიც დიდის ყურადღებით და ჩვეული თავაზიანობით, ინტერესით გვისმენდა. იმავე წლის „მეოცნებე ნიამორებში“ ვალერიანმა დაბეჭდა ერთი იმ ლექსთაგანი; შეიძლება ითქვას, რომ პირველმა მან შემიყვანა დიდ ლიტერატურაში.

ვალერიანი მახსოვს თბილისშიც, მწერალთა სასახლეში, ლიტერატურულ საღამოებზე. ეს იყო 1919-20 წლები, უფრო შემდეგაც, მაგონდება რესტორანი „ქიმერიონი“, სუდეიკინის ფანტასტიური ფრესკებით, ვახშმები, საუბრები პოეზიაზე. აღმაფრენა, თავბრუდამხვევი გატაცება პოეზიით და მაშინ საოცნებო, ჯადოსნური სახელებით: რემბო, ბოდლერი, მალარმე, ვერლენი... ის ნისლიანი შემოდგომის საღამოები, რუსთაველის პროსპექტის ფარნებით გაშუქებული. ბნელი ღამეები და მტრედისფერი განთიადები, ბეღურების ქლივილი პუშკინის სკვერში, მზის პირველი სხივებით გაბრწყინებული მთაწმინდა.

მაგონდება სტუდენტობის და ახალგაზრდა პოეტების შეხვედრა უფროს პოეტებთან, ვალერიანის ენა-დაბორკილი საუბრები რემიდე-გურმონზე, ბარბე-დორევილზე... ყველაფერი ეს ეკუთვნის შორეულ წარსულს, ჭაბუკობის აღტაცებულ წლებს.

უკანასკნელი ორწელიწადნახევარი ის ავად იყო გულის მანკით. ერთხელ, ბათუმში ჩასულმა გავიგე, რომ ვალერიანი ავადმყოფი და ლოგინში მწოლარე ცხოვრობს ჩემს სასტუმროში. მაშინვე წავედი, ვინახულე. ძალიან გაეხარდა ჩემი მისვლა. დიდხანს ვესაუბრე. მეორე საღამოც მასთან გავატარე. ეს იყო თურმე უკანასკნელი ნახვა ვალერიანისა. ამის შემდეგ მე ის ვიხილე უკვე გარდაცვლილი, მდუმარე, წარბშეკრული, მაგრამ მომღიმარე ბაგეებით.

**26. IV. 46 წ.**

* * *

### უკანასკნელი საჩუქარი

ახლად გათხრილ საფლავთან ვალერიანის კუბოს წინ, მდუმარედ იდგნენ ამხანაგები. სიტყვები ითქვა. განსვენებულს გამოეთხოვენ მეგობრები, ნათესავები, მეუღლე.

ხალხში გულამოსკვნილი ტირილი გაისმა, როცა კუბოს წინ დაიჩოქა ვალერიანის ათი წლის გოგონამ. ბავშვმა მამას ერთი ფორთოხალი ჩაუდვა კუბოში, შემდეგ მის ცივს შუბლს ეამბორა. მერე ადგა, ჩუმად განშორდა იქაურობას.

**ძველი ჩანაწერიდან (41 წ.).**

* * *

### შეხვედრა ავეტიკ ისააკიანთან

1941 წ. 10 თებერვალი. გუშინ ვახშმად ვიყავით გიორგი ლეონიძესთან. მან ნადიმი გაუმართა ავეტიკ ისააკიანს, რომელიც ამ დღეებში მოწვეულ იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ სომხეთიდან, მისთვის 65 წლის შესრულების გამო საზეიმო საღამოს გასამართავად.

სტუმრებს შორის იყვნენ: ს. ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი, შალვა აფხაიძე, ბესო ჟღენტი, თამარ ციციშვილი, ჩვენი ქალები და სხვ.

ისააკიანს ორი სომეხი ლიტერატორი ახლდა (ერთი — პაპარე), აგრეთვე ცოლი.

თამადა ვიყავი და ვეცადე, რაც შეიძლებოდა უკეთ გამომეხატა ჩვენი კეთილი გრძნობები შესანიშნავი პოეტისათვის.

სიმონ ჩიქოვანმა და გოგლა ლეონიძემ თავიანთ სიტყვებში საუცხოოდ გამოსთქვეს ის დიდი დაფასება, რომლითაც სარგებლობს ჩვენში ისააკიანის შემოქმედება.

„შენ უხუცესი ხარ, — უთხრა სხვათაშორის, გოგლამ, — არა მარტო სომეხ და ქართველ პოეტებში, არამედ საერთოდ საბჭოთა პოეტებს შორისაც. და ჩვენ, ქართველი პოეტები, თქვენ შემოგცქეროდით ისე, როგორც შევხედავდით ვაჟა-ფშაველას, ცოცხალი რომ ყოფილიყო. თქვენ ჩვენი, შედარებით ახალგაზრდა პოეტების, მამა ხართ, ოსტატი, ხოლო ჩვენ — თქვენი შვილები, და შეგირდები. მიიღეთ ჩვენი მხურვალე სიყვარული და გულწრფელი აღტაცება, მიიღეთ ჩვენგან უდიდესი მადლობა თქვენი შესანიშნავი პოეზიისათვის!“...

ისააკიანი ძალიან აღელდა ამ სიტყვებზე, თვალზე ცრემლი მოადგა: გეყოფათ, გეყოფათ, ხედავთ მე ვტირი, — თქვა მან და მადლობის ნიშნად გადაეხვია გოგლას.

სუფრაზე ძალიან მორიდებით იჯდა, ცოტას ლაპარაკობდა. ქალებმა სიმღერა დაიწყეს, ავეტიკი დიდის ინტერესით უსმენდა ქართულ სიმღერას. ქალებმა იმღერეს აკაკის „სულიკო“, „ციცინათელა“, „ჩანგურს სიმები ავუბი“.

ისააკიანი აღტაცებაში მოვიდა. „აი გენიოსი პოეტი, — თქვა მან აკაკიზე, — ხალხმა წაიღო მისი ლექსები და დაამღერა თავისი გრძნობები მისი სიტყვებით — ეს ხომ იდეალია ყველა ჭეშმარიტი მგოსნისათვის!“...

ნავახშმევს ყველანი ზარხოშად ვიყავით, ყმაწვილებმა ხუმრობა დავიწყეთ, გავამხიარულეთ, ვაცინეთ მოხუცი სტუმარი. საცეკვაო დაუკრეს. სანდრო შანშიაშვილი შევუჩინეთ და ავეტიკიც ვაცეკვეთ. ის ოდნავ ფეხს უსვამდა, ვითომ ცეკვავდა. ხუმრობდა.

ძალიან სახალისო საცქერი იყო ამ ორი ჭარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგი, მოუხერხებელი ვაჟკაცის ხელების გაშლა და „ცეკვა“.

ძველი ჩანაწერიდან.
27. IV. 46

* * *

### შემთხვევა ტრაპეზში

**რაჟდენ გვეტაძე:**

— ათი-თორმეტი წლის ბიჭი ვიყავი, როდესაც საფიჩხიის ეკლესიაში მღვდელს ვეხმარებოდი: ვამზადებდი საცეცხლურს, ვკითხულობდი საეკლესიო წიგნებს.

მახსოვს, ერთხელ ისე გრძნობით წავიკითხე, რომ მლოცველთა შორის მყოფი ჩვენი უბნელი დურგალი, რომელსაც მეტსახელად ალექსია პუწკიას ვეძახდით, მოვიდა, თვალცრემლიანი გადამეხვია, მაკოცა.

ერთხელ ზიარების დღეს, ტრაპეზში ვიყავი, სეფისკვერებს ვჭრიდი პატარ-პატარა ნაწილებად, ევლოგიებისათვის. სეფისკვერები და აგრეთვე საზედაშე ღვინო პატარ-პატარა ბოთლებით მლოცველთა მიერ მოტანილი, მაგიდაზე მელაგა.

მღვდელი ლევან გაჩეჩილაძე, რომელმაც ის იყო კრეტსაბმელზე ფარდა ჩამოაფარა, ტრაპეზის შუაგულში იდგა, ბარძიმის წინ, ლოცულობდა.

მან მიბრძანა მიმერთმია ზედაშე და დაჭრილი სეფისკვერი. მივართვი. მღვდელმა სეფისკვერი ბარძიმში ჩაყარა, ზედ მთელი ლიმონათის ბოთლი ღვინო ჩაასხა.

მე ჩემს სეფისკვერებს დავუბრუნდი, განვაგრძე მათი ჭრა. უეცრად მღვდელისკენ მივიხედე და სახტად დავრჩი: მღვდელმა კოვზი მოურია ბარძიმს, როგორც ჩანს, კარგად რომ ჩამბალიყო ღვინოში სეფისკვერები, მერე მოიყუდა და სულმოუთქმელად გამოსცალა.

ჩემთვის ეს სანახაობა თავზარის დამცემი იყო. ღრმად მწამდა ზიარების სიწმინდე, მთელი მარხვის განმავლობაში პირში არაფერი მქონდა ჩაკარებული, ზიარებას ვუცდიდი. დედაჩემს არაერთხელ უთხოვია, ხილი მაინც მეჭამა, მაგრამ არ ვიშვრებოდი, ამ ზიარებამდე არ მინდოდა მარხვის გატეხა, და აი, ახლა ჩემი თვალით დავინახე, რომ მღვდელმა სრულიად უცერემონიოდ, თითქოს ხელში ყანწი ჰკავებოდეს მოქეიფეს, ისე გადაყლურწა „წმინდა“ ზიარებისთვის შემზადებული სითხე.

მღვდელმა, ვითომც და აქ არაფერიო, მეორედ მომთხოვა საზედაშე ღვინო და დაჭრილი სეფისკვერი. შეამზადა ბარძიმში, ილოცა, შემდეგ გავიდა ტრაპეზის წინ: „ესე არს სისხლი ჩემი“... დაიწყო მან ლალადისი დაჩოქილი მლოცველების წინაშე. ამის შემდეგ შეუდგა მორწმუნეთა ზიარებას.

მე გამოვედი ტრაპეზიდან, ხალხში გავძვერი, ეკლესია დავტოვე და წავედი შინ. ზიარება აღარ მივიღე. ჩემთვის მას უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი სიწმინდე და სასოება. ბევრი მეძება თურმე დედაჩემმა ხალხში, მაგრამ რაღას მიპოვიდა. შინ რომ დაბრუნდა, დამტუქსა ზიარების მიუღებლობისათვის. მიზეზიც მკითხა, მაგრამ არ გავუტყდი.

დიდი ხნის მერე, უკვე ცოლის შერთვის შემდეგ, ვუამბე დედაჩემს ყოველივე, რაც ვნახე ტრაპეზში.

ბავშვობის მოგონება.
28 აპრ. 48 წ.

* * *

### შლეიფი

**მიკოლა ბაჟანი:**

— ლონდონში მეფე გეორგ VI-სთან საზეიმო რაუტზე ვიყავით. ასსამბლეის მონაწილე დელეგაციები იყვნენ მოწვეულნი. უამრავი ხალხი ირეოდა დარბაზებში, ჩვენ გვახლდა თარჯიმნად ინგლისელი ოფიცერი ჰოდსონი („ინტელიჯენს სერვისის“ წარმომადგენელი).

ორიოდე ნაბიჯიც არ გადამედგა, რომ ვილაც ბრწყინვალედ ჩაცმულ ხანდაზმულ მანდილოსანს შევეჩეხე. მის სახეზე გაკვირვება და შიში იყო გამოხატული. გონს რომ მოვედი, მივხვდი, რომ ორივე ფეხით ვიდექი მის შლეიფზე. უკანვე გადავხტი და შერცხვენილი ხალხში გავერიე. ის ქალი მეფე გეორგ VI-ის დედა იყო.

მიკოლამ მიამბო 5. X. 46 წ.

* * *

### „თორნიკე ერისთავის“ წყაროები

**ს. ჩიქოვანი:**

— თორნიკეს დასაწერად აკაკის, ქართულ წყაროების (მატიანე და სხვ.) გარდა, უცხოეთის ლიტერატურული მასალებიც გამოუყენებია, როგორც ჩანს

ჩემის ფიქრით, აკაკის გამოყენებული უნდა ჰქონდეს, სხვათაშორის, ანნა კომნენეს წიგნიც კომნენთა სამეფო სახლის შესახებ.

ანნა კომნენეს ნაწარმოებიდან ციტირებას აკეთებს შარლ დილი თავის წიგნში „ბიზანტიური პორტრეტები“.

რაც შეეხება „თორნიკეს“ ქართულ წყაროებს, მე ვფიქრობ, რომ აკაკის ბეჯითად უკითხავს დიმიტრი ბაქრაძის შესანიშნავი კომენტარები, რომელიც გაკეთებული აქვს ვახუშტის „საქართველოს ისტორიას“. ერთ-ერთ ძირითად წყაროს კი ეტყობა მისთვის წარმოადგენდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ცხოვრება.

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში ერთი საინტერესო ადგილია. ბერად აღკვეცილი მოხუცი მონასტერში თავისუფალ დროს ბერებს უამბობს წარსულ ცხოვრების ეპიზოდებს,

მტრებთან ბრძოლას, საგმირო თავგადასავალს. ბერები ამ ამბის მოსმენის დროს აღგზნებაში მოდიან. ეს რომ წინამძღვარმა გიორგი მთაწმინდელმა გაიგო, თორნიკეს აუკრძალა ამბების მოყოლა.

**12. VI. 46.**

* * *

**ქართველი რეჟისორები**

**შ. ღამბაშიძე:**

— პავლე ფრანგიშვილი, გორში, რეპეტიციის დროს, როდესაც უნდა მსახიობმა ტემპერამენტი გამოაჩინოს, შესძახებს ხოლმე:

— ჯიგარი, ჯიგარი, შე შობელ ნასესხებო!

ეს უამბეს ვასო ყუშიტაშვილს. მოეწონა თურმე ეს გამოთქმა. ერთხელ, „მასკარადის“ რეპეტიციის დროს, როცა ვასო გოძიაშვილს ზედმეტი „განცდები“ შეამჩნია, დაუძახა:

— ვასო, ჯიგარი не надо, играй без ჯიგარი!

**28. VI. 46.**

* * *

**„თარგმანი იაპონურიდან“**

**სერგო კლდიაშვილი:**

— დამწყები მწერალი ვიყავი, ლექსებს ვუგზავნიდი „ნაკადულის“ რედაქციას. არ მიბეჭდავდნენ. მაშინ ხერხს მივმართე. პატარა მოთხრობა გავუგზავნე რედაქციას და სათაურის ქვეშ მივაწერე: „თარგმანი იაპონურიდან“. ეს მოთხრობა კი სიამოვნებით დაბეჭდა „ნაკადულმა“ (1911 წ.).

ჰონორარი მივიღე 2 მანეთი და ათი შაური. ნინო ნაკაშიძემ, ფულს რომ მაძლევდა, მითხრა თავისი გურული აქცენტით: ყმაწვილო, ეგ მოთხრობა რომ ორიგინალური ყოფილიყო, ხუთ მანეთს მიიღებდი...

გული დამწყდა, მაგრამ როგორ გავამხელდი ჩემს ავტორობას.

**რედაქციაში მიამბო.**
**8. III. 46.**

* * *

**ქართველი სიმბოლისტები**

**პაოლო იაშვილი:**

— ჩვენს „პირველთქმაში“ ვამბობდით, რომ გვსურს შევქმნათ საოცარი და გაუგებარი სიტყვები. ჩვენი მთავარი მიზანი იყო გაოცების შეტანა პოეზიაში, რადგან ამის გარეშე ძნელი იყო იმ შთაბეჭდილების მოხდენა, რომლისთვისაც მთელი თაობა იბრძოდა. წაქეზებულნი იმით, რომ ჩვენ ფორმის ნოვატორებად მოვევლინეთ ქვეყანას, ჩვენს სიტყვასა და ლექსს მხოლოდ სამკაულის მნიშვნელობა მიუზღავით.

როდესაც ვწერდით სონეტებს, ხელს ვაფარებდით ტექსტს და ერთიმეორეს ხშირად მხოლოდ რითმებს ვაჩვენებდით, რადგან ჩვენი აზრით, სონეტის გამარჯვება მხოლოდ ახალი რითმების გამარჯვებით იქნებოდა გამოთლებული.

ვ. გაფრინდაშვილი ოცნებობდა, რომ მის იუბილეზე ჩვენ მას 25 ახალ რითმას მივუძღვნიდით და ეს მას ყველაზე დიდ საჩუქრად მიაჩნდა.

ჩვენს შორის ვ. გაფრინდაშვილი ყველაზე უფრო ემონებოდა ფორმალურ ესთეტიკას და ბევრ თქვენთაგანს ახსოვს გარეგანი ელვარება მისი „დაისებისა“. ის არის ავტორი კლასიკური ფორმალისტური სტრიქონის: „ისევ მაღრიბის მალალურებს ემალალურა“.

**(მწერალთა დისკუსიაზე წარმოთქმულ სიტყვიდან).**

* * *

**პუდოვკინი და ჭიაურელი**

**მიხეილ ჭიაურელი:**

— ჩემი პირველი კინო-სურათი „საბა“ რომ გავათავე, მოსკოვში წავიღე საჩვენებლად და დასამტკიცებლად. უცნობი, დამწყები კინორეჟისორი ვიყავი. მახსოვს რა დიდის ამბით ელოდნენ სურათის გასინჯვაზე პუდოვკინის მოსვლას. ის მაშინ უკვე სახელგანთქმული რეჟისორი გახლდათ. როგორც იქნა, მოვიდა. ნახა სურათი. მე გული მიფანცქალებდა, ვაითუ არ მოეწონოსთქო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს პუდოვკინი გამოვიდა სიტყვით. მას მოსწონებოდა სურათი. მაქო, ლაპარაკის დროს რამდენიმეჯერ მახსენა:

— ამხანაგებო, — ამბობდა ის, — აი კინორეჟისორმა ამხანაგმა ნაფარეულმა კარგი სურათი ჩამოგვიტანა... ამხანაგ ნაფარეულს კარგად აქვს გადმოცემული სახე თავისი გმირისა... ამხანაგი ნაფარეული დიდის ტაქტით და ზომიერებით გვიჩვენებს... და სხვ.

მას რამდენიმეჯერ გაუსწორეს უთხრეს რომ ჩემი გვარია არა ნაფარეული, არამედ ჭიაურელი, — ის მაინც თავისას გაიძახოდა. შემდეგ შეეჩვია ჩემს გვარს. ახლა კარგად ახსოვს თუ რა გვარისაცა ვარ.

* * *

**ლადო მესხიშვილის გასტროლი გორში**

**მიხ. ჭიაურელი:**

— თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი, სცენაზე რომ დავიწყე გამოსვლა თბილისის სახალხო სახლში. სოფლელი ბიჭის როლებს ვასრულებდი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სხვა ქართულ კომედიებში.

ერთხელ სოსო ქიქიძე მართავდა წარმოდგენას გორში. მონაწილეობის მისაღებად მატარებლით გაემგზავრა მსახიობების ჯგუფი, მათ შორის, ლადო მესხიშვილიც. ლადომ წინადღით მითხრა წავყოლოდი მათ. მე დიდის სიხარულით მოვახსენე, რომ მზად ვიყავ მისი გულისთვის გორში კი არა, თვით ქვეყნის კიდეზე წავსულიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემმა დიდის მწუხარებით შეიცხადა, როდესაც ვუთხარი, გორში უნდა წავიდე-თქო. გორი რალაც არაჩვეულებრივად შორეულ ქალაქს წარმოადგენდა მისთვის. ეს ბუნებრივიც იყო: მამაჩემი ღრმად მოხუცი გარდაიცვალა, და ნავთლუღს არ იყო გაცილებული.

დიდის ამბით გამამზადეს დედამ და ჩემმა დამ ნატამ. ერთ მოწნულ კალათაში ჩამილაგეს საგზალი — ერთი ბოთლი ღვინო, ხორცი, პური. მანეთნახევარი ფული ჩამიდვეს ჯიბეში და ლოცვით გამისტუმრეს.

დანიშნულ დროს მივედი სადგურში. ჩქარა ყველანი ჩავსხედით მატარებელში, მესამე კლასის ვაგონში. მე ფანჯარასთან მოვხვდი სკამზე, ჩემს წინ იჯდა თვით ლადო მესხიშვილი. მას ღვთაებრივად ლამაზი სახე ჰქონდა, თეთრი დიდი თმები.

უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი; მე ღირსი გავხდი ლადოსთან ჯდომისა და მასთან მოგზაურობისა. ლადოს გაზეთი ეჭირა ხელში, კითხულობდა. მე სიტყვის დაძვრას ვერა ვბედავდი.

მცხეთას რომ მივუახლოვდით, ლადომ ერთ ჩვენთაგანს უთხრა თავისი ბოხი, ხავერდოვანი ხმით:

— აქ შესანიშნავი ღვეზელებია, წადი მოიტანე. ის წავიდა, მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ ფული არ ჰქონდა ღვეზელის საყიდლად. მე შეუმჩნევლად გავედი ვაგონიდან, ბუფეტში ათი ცალი ღვეზელი ვიყიდე (ათი შაური მივეცი) და ქაღალდში გამოხვეული ამოვიტანე. დიდხანს ვერ ვბედავდი ლადოსთვის მიწოდებას, ბოლოს, როგორც იქნა, ვთხოვე მიერთმია.

ლადო სიამოვნებით შეექცა, თურმე მშიერი იყო და ფული კი არ ჰქონდა საუზმის საყიდლად. ამ დროს ჩემი საგზალიც ამოვიღე. ლადოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო, რომ კალათაში ერთი ბოთლი ღვინოც იყო.

გორში რომ ჩავედით, სადგურზე შეგვხვდნენ ქივიძე და კიდევ ერთი წინასწარ გაგზავნილი კაცი. მათ თქვეს, რომ აფიშები ორი დღეა გაკრულია ქალაქში, ლადოს მონაწილეობაც არის გამოცხადებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ რამდენიმე ბილეთია გაყიდული. ეტყობა, ხალხს არ სჯერა, რომ თქვენ ჩამოხვიდოდით, — უთხრა ქივიძემ ლადოს.

მოითათბირეს და გადასწყვიტეს, რომ ეტლი ექირავებინათ, შიგ ლადო ჩაესვათ და ეტარებინათ ქალაქში, რომ ხალხს ენახა იგი. გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მას შესრულებაც უნდოდა. ფული კი არავის ჰქონდა ეტლის საქირავებლად. აქაც ჩემი ერთადერთი მანეთი აღმოჩნდა მხსნელად.

ეტლი იქირავეს. ლადო ჩაჯდა, მასთან კიდევ ორი მსახიობი. მთელი ოთხი სა[illegible] ლადო გორის ქუჩებში.

ამან გასჭრა, ხალხი მოვიდა იმ ღამეს თეატრში. მიდიოდა შილერის „ყაჩაღები“. ლადო თამაშობდა კარლ მოორისა და ფრანც მოორის როლებს ერთსა და იმავე დროს.

მე ვასრულებდი დანიელის როლს. ერთი სიტყვა არ ვიცოდი როლისა, რადგან არ ვიყავი გაფრთხილებული, რომ ამ როლს შევასრულებდი. ლადომ გრიმის კეთების დროს მასწავლა რამდენიმე რეპლიკა, დანარჩენსო, — მითხრა, სცენაზე გეტყვი თამაშის დროს და ისე მიპასუხეო.

ასე ვითამაშე პირველად ლადო მესხიშვილთან გორში.

5. IV. 47.

* * *

### კონსტანტინე გამსახურდია

**ჩანაწერი დღიურში 1932 წ. 20 იანვარს:**

„რედაქციაში მოვიდა კონსტანტინე გამსახურდია. ის დაიბარებინა მწერალთა კავშირის მდივანს პანტ. ჩხიკვაძეს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მოსული.

კონსტანტინეს ყლალი ჩოხა ეცვა, წელზე საუცხოო სევადიანი ხანჯალი ეკიდა. ჩხიკვაძე რომ არ დახვდა, ნაწყენი იყო. მე და სიმონ ჩიქოვანს გვითხრა ხუმრობით:

— მაგ ჩხიკვაძეს აშორდიას აზნაური ხომ არ ვგონივარ, რომ მიბარებს და არ მხვდება ადგილზე? მე ნამდვილი აზნაური ვარ და თუ გული მომივიდა, შეიძლება ხანჯლის წვერზეც წამოვაგო ვინმე!...

...შემდეგ საუბარი ჩამოვარდა ქართულ ენაზე. კონსტანტინემ თქვა:

— როდესაც რაიმე ცნების გამომხატველი სიტყვის შემოწმება მჭირდება, ამ სიტყვას შევაწამებ ხოლმე დაბადების, სახარების ან სხვა რომელიმე ძველი ქართული ძეგლის ტექსტს და მერე ვხმარობო!

კონსტანტინე ამბობს:

— შემხვდება, ბატონო, ეს ილია ელეფთერიძე და მეტყვის, ესა და ეს მეგრული სიტყვა რატომ გაქვს ნახმარი შენს ნაწერში, რისთვის შემოგაქვს სალიტერატურო ქართულში მეგრელიზმიო. ასეთივე საყვედურით მომმართა წინათ ერთმა პროფესორმაც. მე მაკვირვებს, ყმაწვილებო, ეს ამბავი. თუ სხვებს შეუძლიათ ქართულ სალიტერატურო ენაში შემოიტანონ ფშაური, გურული, ქალაქური, ან სხვა პროვინციული სიტყვები, ჩვენ, მეგრელები, როგორ საქართველოს ბუშები ვართ, თუ როგორ ჰგონია ამ ხალხს? რატომ ჩვენ გვეკრძალება საჭირო შემთხვევაში გამოვიყენოთ შესაფერი მეგრული სიტყვა?

საუბარი გადავიდა კონსტანტინეს გერმანიაში ყოფნის ამბებზე.

კონსტანტინე გვიამბობს, თუ როგორი ყურადღებით ეკიდებოდა მას, როგორც ახალგაზრდა ქართველ მწერალს, სახელგანთქმული თომას მანი; როდესაც თომას მანს მოუნდებოდა ჩემი ნახვა, — ამბობს იგი, — გამომიგზავნიდა საკუთარ ავტომობილს და მეც ვეახლებოდი. ასე ცხოვრობენ, ბიძია, ევროპელი მწერლები! ერთხელ თომას მანმა ერთ-ერთი გერმანული ჟურნალის რედაქციაში შემდეგი შინაარსის წერილი გამატანა: „ეს ყმაწვილი ქართველი მწერალია, მოუსმინეთ და დაეხმარეთ".

რასაკვირველია, რედაქციაში მე მაშინვე გამომართვეს მასალა და ჩქარა დაბეჭდეს კიდეც ისე, როგორც იყო, უცვლელად. ცხადია, ამ გარემოებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მე მიცქეროდნენ როგორც ეგზოტიკას: ქართველი მწერალი — გერმანულ გაზეთში! ეს ხომ უცნაური ამბავი იყო.

* * *

**ეგნატე ნინოშვილი და ვარდენ გურიელი**

ეგნატე ნინოშვილი ნათლული იყო გრიგოლ გურიელისა; ერთხელ ეგნატე და მისი ნათლია სადილად ისხდნენ. ამ დროს შემოვიდა ცნობილი მოქეიფე თავადი ვარდენ გურიელი. მან სალამი მისცა და ხელი ჩამოართვა როგორც მასპინძელს, ისე მის სტუმარს, ცოტა ხნის შემდეგ ვარდენმა იკითხა სტუმრის ვინაობა.

— ეს ყმაწვილი ჩვენი ნინოს ვაჟიშვილია, ინგოროყვა, — გააცნო გრიგოლ გურიელმა.

— მერე ამ გლეხის შვილმა როგორ მკადრა და ხელი ჩამომართვა! — წამოიძახა ამპარტავანმა თავადმა, ხეწამოიჭრა და ეგნატესაკენ გაიწია.

თავხედ თავადს მიცვივდნენ, მოაშორეს ეგნატეს. გაფითრებულ ეგნატესაც მოუბოდიშა მასპინძელმა, მან წყნარად თქვა თურმე:

— ვირის წიხლი არ მეწყინება!

ვარდენ გურიელმა ხელახლა გაიწია მისკენ, მაგრამ გააკავეს, ძლივსძლივობით დააშოშმინეს. გრიგოლ გურიელმა აუხსნა თავის ამპარტავან სტუმარს, რომ ეს ყმაწვილი ინგოროყვა განთქმული ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილია, განათლებული და მცოდნე ადამიანი და სხვა.

ვარდენ გურიელმა თვალები მიაშტერა ეგნატეს, შეკრთა, შეწუხდა, ადგა, მოწიწებით ბოდიში მოიხადა და მონანიებით უთხრა:

— მართლაც შენი ვირი ვყოფილვარ, ბატონო, და ჩემგან ნურაფერი გეწყინება!

**ივ. ჭყონიას ნაამბობი (ძველი ჩანაწერიდან).**

**22. IV. 47.**

* * *

**აკაკი და გელათი**

**შალვა დადიანი:**

— ერთხელ, მახსოვს, კერძო საუბარში, ქუთაისში, აკაკიმ გამოსთქვა სურვილი [illegible] ლათის ტაძარში დამარხულიყო.

— ამას სიამაყე როდი მალაპარაკებს, — დასძინა მოხუცმა მგოსანმა, — არა, მე იქ თამარის საფლავი მეგულება და იმიტომ მინდა იქ განვისვენებდე.

**გოგიშ. ხაუბარი.**

24. IV. 47.

* * *

**ვარლამ ჩერქეზიშვილის ხიცრუე**

**ს. ჩიქოვანი:**

— გამიგონია, რომ ერთხელ ლონდონში ავტობუსით მიდიოდნენ ანარქისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი და საქართველოდან ჩასული აგრონომი-მეაბრეშუმე იოსებ ქუთათელაძე. ეს იოსები მაშინ ახალგაზრდა იყო, წარმოსადეგი, ლამაზი ვაჟკაცი. ყველანი ალტაცებით შესცქეროდნენ მას. ვინ არის ეს კაცი? — ჰკითხეს ინგლისელებმა ჩერქეზიშვილს, რომელიც დაბალი, ჩია ტანისა იყო თავად.

— ეს კაცი ქართველია, — ამაყად უპასუხა მან, — ყველა ქართველები ასეთი ახოვანნი და ლამაზები არიან.

— თქვენ კი რა ტომისა ხართ? — ჰკითხეს ვარლამს.

— მე... მე ყიზილბაში ვარ, — უპასუხა ქართველმა ანარქისტმა დარცხვენით.

* * *

**ახალგაზრდა სტალინი —**
**ავჭალის აუდიტორიაში**

**შალვა დადიანი:**

— ერთ დროს თბილისში, ავჭალის აუდიტორიაში ვმუშაობდი, წარმოდგენებს ვდგამდი. შენობა პატარა იყო. სარდაფში გვიხდებოდა რეპეტიციების ჩატარება, აგრეთვე ტანისამოსის გამოცვლა, გრიმის გაკეთება და სხვა.

რეპეტიციების მომიზეზებით, იმავე სარდაფში, თურმე მუშები იკრიბებოდნენ, არალეგალური წრეების მეცადინეობა სწარმოებდა.

ერთხელ წარმოდგენის დაწყების წინ გამოირკვა, რომ ჩვენი სუფლიორი არ მოვიდა, ვაფრინეთ კაცი, ვერსად ვერ ვიპოვეთ. ჩავვარდით საგონებელში. წარმოდგენას ჩაშლა მოელოდა. ამ დროს ერთმა ახალგაზრდა კაცმა განაცხადა, რომ მას შეუძლია სუფლიორობა გასწიოს. ჩვენ სიხარულით დავთანხმდით, ის სწრაფად ჩაძვრა ჯიხურში და წარმოდგენა დავიწყეთ.

ასე გვისუფლიორა მან ბოლომდე.

ეს ამბავი და აგრეთვე იმ ახალგაზრდა უცნობის სუფლიორობა გამახსენა სულ რამდენიმე წლის წინათ განსვენებულმა სანდრო ყალაბეგიშვილმა. ის აქტიორად იყო მაშინ ჩვენს დასში.

ის ახალგაზრდა კაცი თურმე კობა ყოფილა.

სწორედ ის ხელმძღვანელობდა თურმე მუშათა არალეგალური წრის მეცადინეობას ავჭალის აუდიტორიაში.

**ძველის გახსენება.**
17. V. 47.

* * *

**გერონტი ქიქოძის წინაპრები**

**გერონტი:**

— ჩემი პაპა (მამის მამა), ლავრენტი ქიქოძე, შეძლებული აზნაური იყო. მისი სახლკარი სოფ. ბახვში, სადაც მე გავატარე ბავშვობა, — განცალკევებით იყო და გარშემო ტყე ეკრა. საღამოობით მოდიოდნენ ტურები და მათი შემზარავი ჭყავილისგან ყურთა სმენა იყო წაღებული.

— გამოიტანე შე კაცო, ბერდანა, — უთხრა ერთხელ ლავრენტიმ თავის მოჯამაგირეს, — დაუდარაჯდი იმ წყეულებს და დახოცე, რომ იქნებ ცოტა მოვისვენოთ.

ამის შემდეგ არ გაუვლია ბევრ ხანს, ლავრენტი ოზურგეთში იყო ცხენით წასული, საქმეებზე. კარგა დაღამებული იყო, რომ დაბრუნდა სახლში. ცხენი ნელა მოდიოდა, ასევე უხმოდ შევიდა იგი ეზოში. ზაფხულის ბინდში ლავრენტი ვერაფერს ხედავდა, ამ დროს თოფის ჭექა გაისმა. მძიმედ დაჭრილი ლავრენტი ცხენიდან ჩამოვარდა...

ხელმარცხნივ მოჯამაგირეს თურმე სწორედ ამ დროს მოუნდომებია ტურებზე ნადირობა, როცა მისი ბატონი ბრუნდებოდა ქალაქიდან...

ლავრენტის ბერდანის ტყვია კვირისთავში მოხვდა, გაიარა ბარძაყში და თეძოში გაჩერდა. ის გადაჰყვა ამ მძიმე ჭრილობას.

ასეთივე მარცხის მსხვერპლი შეიქნა მამაჩემიც, დიმიტრი ქიქოძე. ის მღვდელი იყო. ფოთში მას ერთი მეგობარი ჰყავდა, ლეონტი ჩაჩანიძე, რომელიც ეპისკოპოსის კანტორაში მსახურობდა.

ერთხელ დიმიტრი მივიდა ამ თავის მეგობართან კანტორაში. არ ვიცი, რაში სჭირდებოდათ ამ სასულიერო მოღვაწეებს იარაღი, — ლეონტის ამოუღია მაშინ ახლად შემოსული ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი და ათვალიერებდა. უეცრად რევოლვერი გავარდა, ტყვიამ მამაჩემს მუცლის არეში გაუარა.

ველარაფერმა უშველა, ტყვიას მუცლის აპკი გაეხია. დაეწყო განგრენა. ერთ თვეში მოკვდა... ეს მოხდა 1902 წელს.

ჩვენს ოჯახში ტყვიის მსხვერპლი გახდა აგრეთვე ჩემი სიძეც — უფროსი დის ქმარი — გვარად გოგოლიშვილი...

მას თურმე მტრობა ჰქონდა ვიღაც თავის ემუხვართან. უნდა ითქვას, ორივე მაგარი ვაჟკაცები იყვნენ თურმე... ერთხელ უცაბედად შეხვდნენ ერთმანეთს ეს მოსისხლე მტრები, ორივემ ერთდროულად იძვრეს რევოლვერები და ესროლეს ერთმანეთს... არც ერთს არ უმტყუნა მარჯვენამ: ორივე უსულოდ დაეცა მიწაზე...

საკვირველია, რომ ასეთ მარცხს რამდენი მსხვერპლი მოჰყოლია, ხოლო საგულდაგულოდ ნასროლ ტყვიას კი ბევრი გადარჩენია ცოცხალი.

გურიაში, ჩემს ყმაწვილკაცობაში, იყო ერთი უშიშარი ვაჟკაცი კიკია მამულაიშვილი. ის პოლიტიკური ყაჩაღი იყო, ტყეში გავარდნილი. მეფის პოლიცია მოსაკლავად დასდევდა მას. მაგრამ არც კიკია იყო ჯიბეში ხელებჩაწყობილი. ისიც თავის მხრივ, როგორც ტერორისტი, ძალიან სდევნიდა პოლიციელებს. ერთხელ, ოზურგეთში, დღის სინათლეზე ის თავს დაეცა ცნობილ სტრაჟნიკების უფროსს, გვარად მგელაძეს, სასტიკსა და ვერაგ კაცს. კიკიამ ესროლა, მგელაძე წაიქცა. წაქცეულს კიდევ რამდენიმე ტყვია დააყარა და რა დარწმუნდა, რომ მისი მსხვერპლი მკვდარი იყო, სასწრაფოდ გაიქცა. მაგრამ რა გგონიათ? მგელაძე წამოდგა ფეხზე და, მართალია, დაჭრილი, მაგრამ მაინც საკუთარი ფეხით გაუდგა გზას. ის გადაურჩა საგულდაგულოდ ნასროლ ხუთ ტყვიას... ასეთი უიღბლო ხელი ჰქონდა იმ გამბედავ ტერორისტს, რომელიც მიზანში არ აცდენდა არასოდეს...

თუ რა ფათერაკი სდევდა ჩვენი ოჯახის წევრებს, ამის მაგალითად მინდა კიდევ ერთი ამბავი ვთქვა, რომელიც წელან დამავიწყდა. მამაჩემის პაპაც (დედის მხრივ) თურმე ტყვიის მსხვერპლი გამხდარა. ის სასტიკი და უდიერი აზნაური ყოფილა. ერთხელ, გულმოსულს, გლეხისათვის უცემია.

შეურაცხყოფილ გლეხს არ მოუთმენია შეურაცხყოფა. ერთ კვირა დღეს, როცა პაპაჩემი წირვის შემდეგ ცხენით შინისკენ ბრუნდებოდა, მას გზაზე დახვედრია თავისი გალახული გლეხი. იმას გადმოუღია თოფი, პაპაჩემი სწრაფად გადმოხტარა ცხენიდან, მაგრამ გლეხის ტყვიას მოუსწრია და ის უსულოდ დაცემულა მიწაზე...

**საუბარი ფოსტის დერეფანში, კარგა ხნის უნახაობის შემდეგ.**
29. IX. 47.

□ გაგრძელება იქნება □

ð-3-/56 15 02
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ